ჰაიდო ბაშეშიღი

ცხოვრების და შემოქმედების წიგნი

კულტურული ურთიერთობების ცენტრი
კავკასიური სახლი
THE CENTRE FOR CULTURAL RELATIONS
CAUCASIAN HOUSE

თბილისი
2023

ანოტაცია


კრებული „პაოლო იაშვილი, ცხოვრების და შემოქმედების წიგნი“, ეპოქის სურათებთან ერთად, ერთდროულად გამოხატავს: პოეტის ყოფიერების არტისტიზმს და დრამატიზმს; მის შინაგან ძალასაც და საკუთარ დროებაში დაუცველობას. შეძლებისდაგვარად მოთხრობილია ის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, რის გამოც „ცისფერყანწელთა“ გაცხადებული იდეალი: „პოეტმა უნდა გააზღაპროს თავისი ავტობიოგრაფია“ საბედისწეროდ განუხორციელებელი დარჩა.

წიგნი წარმოადგენს პაოლო იაშვილის შემოქმედების რჩეულს, თანამედროვეთა მოგონებებს, სახელმწიფო თუ კერძო არქივებში დაცულ იშვიათ დოკუმენტებს, კომენტარებით. კრებულს ახლავს მეოცე საუკუნის დასაწყისის თბილისის ლიტერატურული პროცესების და შემოქმედებითი გარემოს მიმოხილვა, სათაურით, „მოდერნისტული ტფილისი“.

კრებულის ვიზუალური მხარე, საარქივო ფოტოებსა და ხელნაწერებთან ერთად, მოიცავს სპეციალურად ამ გამოცემისთვის გადაღებულ მემორიალურ ადგილებს ქუთაისსა და თბილისში. მათ შორის, პოეტის მამის, ჯიბო იაშვილის სახლს ქუთაისში, იშვიათი რელიკვიებით. აგრეთვე სახლ-მუზეუმს სოფელ არგვეთში და მწერალთა სახლში გახსნილ, პაოლო იაშვილისადმი მიძღვნილ დროებით ექსპოზიციას.

ზოგიერთი მასალა ქვეყნდება პირველად და რეპრესიების შემდგომ გადარჩენილ მემკვიდრეობას და ბიოგრაფიის დაკარგულ ფურცლებს ნანილობრივ ავსებს.

ვეცადეთ მთლიანობაში წარმოგვედგინა კონკრეტული დრო, რომელიც პაოლო იაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაში მონაწილეობს.



„მარტო იაშვილი დოგით", კირილე ზდანევიჩი, 1920-იანი წლები

მოდერნისტული ტფილისი

„თბილისი გამოვაცხვეთ პოეზიის სატაბტოზე...“

პაოლო იაშვილი

„ტფილისი გახდა პოეტების ქალაქი. კაფე „ინტერნაციონალში“ იგი კიდეც გამოაცხადეს პოეტების ქალაქად. კიდევ მეტი: გაიძახოდნენ: პოეზია მარტო ტფილისშიაო. პაოლო იაშვილი სწორედ ამ ხანებში დაეცა თავს ტფილისს, როგორც არტურ რემბო პარიზს. მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდა მან, რომ ტფილისის აღება ბოჰემით და ლექსით უფრო ძნელია, ვიდრე პარიზის... ქვეყანა მართლაც იქცეოდა და მხოლოდ ტფილისი იყო ერთადერთი ქალაქი, რომელიც ამ „ქცევას“ პოეტური მღერით ხვდებოდა“ (გრიგოლ რობაქიძის რომანიდან „ფალესტრა“).

ეს იყო სხვა რეალობა, იოსებ გრიშაშვილის „ძველი ტფილისისგან“ სრულიად განსხვავებული... სხვა ხმები ისმოდა ორთაჭალის ბაღებიდან... წარსულს ჩაბარდა მუხამბაზები, დაირები, საზანდარები... „ტფილისში ნელ-ნელა იჭრებოდა ცივილიზაცია. ტფილისი ევროპელდებოდა. იცვლებოდა ტფილისი“... – გულდაწყვეტით განმარტავდა გრიშაშვილი, „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემის“ ტრუბადური.


დასავლეთისკენ იხრებოდა „აღმოსავლეთის ნატეხი“ (გრ. რობაქიძე).

რომანში „ფალესტრა“ რამდენიმე ეპიზოდია, რომლებზეც თხრობის დინამიკაა აგებული: 1918-1920 წლების ლიტერატურისა და ხელოვნების მაგისტრალური ხაზი, რომელიც იმდროინდელ თბილისს უკავშირდება, პერსონალიები და მოვლენები დოკუმენტალისტის სიზუსტითაა აღწერილი. ის შემთხვევაა, როცა მხატვრული ნაწარმოები ეპოქის ისტორიულ დოკუმენტს წარმოადგენს.

მოდერნისტული ლიტერატურის თანამდევევი სოციალური თუ კულტურული კრიზისები და კანონზომიერება, რის ნიადაგზეც ახალი ლიტერატურული პროცესების განვითარება იწყება, უპირველესად ადრე არსებულის თანმიმდევრული უარყოფაა. ამგვარ საფუძველზე ხდება თვისობრივად განსხვავებულის და კარგად დავიწყებული ძველის არაცნობიერი შერიგება – სინთეზი, რადგან სრულიად ცარიელ სივრცეს სახელდება არ შეიძლება მოეძებნოს.

ფორმების რადიკალური ცვლილებების და ექსპერიმენტების ხანა, მოდერნიზმისთვის ტიპიური გაუცხოების, ვოლუნტარიზმის, წარსულის აწმყოსგან გაძევების თეორიები ქართულ ლიტერატურაში არ და ვერ იქნა ბოლომდე განხორციელებილი, არც შემოქმედებითად და არც ბიოგრაფიულად. ამის მაგალითია იგივე პაოლო იაშვილის ცხოვრება და შემოქმედება, საკუთარი ლიტერატურული მანიფესტის პარალელურად არსებული.

პაოლო იაშვილი პარიზიდან განახლებისა და ძველის უარყოფის ენთუზიაზმით ბრუნდება, მაგრამ იმ დღეებშივე აკაკი წერეთლის (სიმბოლურად, ძველი საქართველოს) დამკრძალავი კომიტეტის წევრი ხდება. განუშორებლად თან ახლავს იმ საგანგებო მატარებელს, რითაც აკაკის ძვირფას ნეშტს მოასვენებენ. ყოველ სადგურზე ჩერდებიან. ხალხი მიდის ძვირფას ცხედართან და ემშვიდობება ეპოქალურ, საყვარელ პოეტს. პაოლო იაშვილიც, როგორც ძველი საქართველოს ჭირისუფალი, მუხლს იდრეკს აკაკის წინაშე (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით). ეს სცენა ქართული ლიტერატურული მოდერნის, კერძოდ, „ცისფერყანწელთა“ დაჯგუფების, შინაარსობრივ და მსოფლმხედველობრივ მხარეს მეტაფორულად გამოხატავს.



მიუხედავად იმისა, რომ მოდერნიზმის ეტიმოლოგიური მნიშვნელობა (ლათ. „Modo“) თანამედროვეს აღმნიშვნელი ტერმინია, მოდერნის, მოდერნიზმის ზუსტი დეფინიცია არ შეიძლება არსებობდეს, თუნდაც, ცნებითი მნიშვნელობის დროისმიერი ცვალებადობების გამო. გამოცდილება და პრაქტიკა ლიტერატურასა და ხელოვნებაში მოდერნის, გნებავთ, მოდერნულობის ყველა დროში არსებობას არ გამორიცხავს. აქ აუცილებელი პირობაა: ტრადიციის მოხმობა, გარკვევა, რა შეიძლება ოდენ ჩაითვალოს წარსულში არსებულად, ფორმალური თუ სტილისტური თავისებურებების გათვალისწინებით და როგორ შეიძლება განხორციელდეს დროსთან შემოქმედებითი დისტანცირება.

„მე ვლაპარაკობ კულტურის საშუალებით“ – განმარტავს პაოლო იაშვილი. სხვა რა საშუალება გააჩნია პოეტს, რომელსაც „საყვარელ ფალავნად ვაჟა-ფშაველა გამოჰყავს და იმედის გასამარჯვებლად თავისი მარადიული სიყვარული საქართველოსი“ ამიტომაც თავისებურება ქართული ლიტერატურული მოდერნისა ვერ მოექცა კონკრეტული სკოლის ცნებაში და ვერც განშორება-დამშვიდობების სრული რიტუალი ჩატარდა...

კონკრეტული კულტურული სივრცე კი, სადაც იმდროინდელი ტფილისის ოფიციალური თუ არაოფიციალური მწერლობა და ხელოვნება იქმნებოდა, რაღაც წარსულსა და აწმყოს შორის არსებულ სივრცედ ჩამოყალიბდა, დაწერილი და დაუწერელი კანონებით.

ტფილისი – ის განსაკუთრებული და მრავალფეროვანი გარემო, ეგზოტიკა თუ ადამიანური კაპიტალი, რაც იმდროინდელ საქართველოში სუფევდა, არაჩვეულებრივ კლიმატს და ყველასათვის მიმზიდველ სცენებს ქმნიდა. ეს ადგილი, თავისი შემოქმედებითობით და მიმღეობით შესაძლოა საუკუნის დასაწყისის პარიზს შევადაროთ, რისი ანალოგიებიც ლიტერატურულ ტექსტებშიც გაჩნდა: „საქართველოს მერე უწმინდესი ქვეყანა არის პარიზი. ადიდე, ხალხო, ეს ჩვენი მრისხანე ქალაქი, სადაც გიჟური გატაცებით ჯამბაზობენ ჩვენი ლოთი ძმები – ვერლენი და ბოდლერი... მალარმე, სიტყვების მესაიდუმლე და არტურ რემბო, სიამაყით მთვრალი, დაწყევლილი ჭაბუკი...“ (პაოლო იაშვილი, „პირველთქმა“).

„ატმოსფერული გავლენა იდეებს“...

რუსეთსა და ევროპაში აღარ არსებობდა არცერთი მებრძოლი ლიტერატურული დაჯგუფება, გარდა რუსული აკმეიზმისა, როდესაც პირველ ლიტერატურულ გაბაცხადს აკეთებდა ქართული მოდერნიზმი.



სხედან: სანდრო ყანჩელი, ნინო მაყაშვილი-ტაბიძე, გრიგოლ რობაქიძე
დგანან: ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი

„ჩვენ ვერ ვიცნობთ დღეს ვერცერთ ლიტერატურულ სკოლას, რომელსაც შეეძლოს გვაიძულოს შევცვალოთ ის მთავარი ხაზი, რომელიც „ცისფერმა ყანწებმა“ თავიდანვე აიღო.“ (პ. იაშვილი)

შევეცადოთ გავარკვიოთ რა იყო ეს „მთავარი ხაზი“ ანუ „ქართული მწერლობის ევროპის რადიუსით გამართვის“ გზა, რომლის კატეგორიულობა პერმანენტულად ცვალებად ლიტერატურულ პროცესებს ითავსებდა და რომლის ოფიციალური მანიფესტაციაც შედგა ქუთაისში, 1916 წელს, ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ ფურცლებზე.

აქვე დაისვა საორიენტაციო საკითხი: ქართული სიმბოლიზმის არსებობის, როგორც მეთოდის თუ როგორც სკოლის.

ამავე 1916 წელს, „Русская мысль“-ში ვ. ჟირმუნსკი აქვეყნებს წერილს: „Преодолевшие символизм“, საიდანაც ჩანს, რომ სამი თაობის შემდეგ რუსული სიმბოლიზმი უკვე აკადემიური მსჯელობის საგნად გადაიქცა.

ამ დროს ოსიპ მანდელშტამი კლასიციზმის სათავეებს უბრუნდება და განმეორების განუმეორებლობაზე ლაპარაკობს („Неповторимость повтора“).

ანდრეი ბელი წერს, რომ ხელოვნების არსებული ფორმების და შორეული წარსულის, დროისმიერი გამოცდილების სინთეზი „მკვდარი ეკლექტიზმია“ და „ხელოვნების ტაძრის ხელოვნების მუზეუმად გადაქცევა“.

როგორც ჩანს, ეს პოეტები თვლიდნენ, რომ წარსულში დაბრუნება შეუძლებელია, ვინაიდან ჩვენ წინაშე თანამედროვე, გადაუჭრელი სირთულეებია და ყველა დროს აქვს თავისი განუმეორებელი ნიშნები, მიუხედავად იმისა, რომ სამყარო „განმეორადობის“ კანონს ემორჩილება.



პოეზიის საღამოზე სურამში, 1917 წ. მარცხნიდან პირველი – პაოლო იაშვილი, მესამე – ელიო ჯაფარიძე, უკანა პლანზე პირველი – კოლაუ ნადირაძე


რაც შეეხება ცოდნას, წარსულთან არსებითად დაკაშირებულ ფენომენს, მოდერნის ზოგიერთი თეორეტიკოსის აზრით, ის ძირითადად მეთოდების დაუფლებისა და ტექნიკური არსენალის სრულყოფის გზაა. ხელოვანი რაც უფრო მეტად ემსგავსება მეცნიერს (მცოდნეს), მით უფრო ბუნდოვანდება ხელოვნების ნამდვილი მიზანი. ხელოვნება და ლიტერატურა ცოდნაა, მაგრამ „გარკვეული სახის ცოდნა“ (ა. ბელი), რაც უმეტეს შემთხვევევაში, ზოგადი მეცნიერული დებულებებით არ აიხსნება.

„ხელოვნების პირდაპირი დანიშნულებაა აჩვენოს და არა ამტკიცოს“ (ა. ბლოკი).

საქართველოში მოდერნიზმის პირველი ლიტერატურული განაცხადიდან სამი წლით ადრე ქართული მოდერნიზმის ბელადი გრიგოლ რობაქიძე ამტკიცებდა, რომ არსებობს ერთგვარი „ატმოსფერული გავლენა იდეების“.

ეს იყო არგუმენტაცია, რომელიც ახალ ქართულ მწერლობაზე რუსული და ევროპული ნააზრევის (ფრანგული სიმბოლიზმის, რუსული სიმბოლიზმის, იტალიური და რუსული ფუტურიზმის, იდეალისტური ფილოსოფიის და უაილდის ინგლისური ესთეტიზმის) პირდაპირი თუ არაპირდაპირი გავლენით იყო ნაკარნახევი. „ჩვენში მზადაა ნიადაგი მოდერნიზმისთვის“ – ასაბუთებდა ტიციან ტაბიძე საპროგრამო წერილში „ცისფერი ყანწებით“, 1916 წელს.

„ყოველი დღე დამძიმებული იყო ახალი შესაძლებლობებით“, – იტყვის შემდგომ ტიციან ტაბიძე. აქ იგულისხმება პოტენციური ტვირთის აუცილებელი სიმძიმე და რენესანსულ ჩვენებათა ახალი პერიოდი, რასაც, რუსული სიმბოლიზმის სათავეებთან, ანდრეი ბელიმ „ცის გახსნა“ უწოდა.



ჟურნალი "ცისფერი ყანწები", 1916 წ.

„სიმბოლიზმის, როგორც ფორმის გაღმერთების გაგება, როგორც პრიმატი „როგორის" „რაზე" – გაუგებრობაა. ამგავრი დასმა საკითხის მიუღებელია, რადგან იგი გულისხმობს განცალკევებას იქ, სადაც კონკრეტულად არსებობს მხოლოდ ერთიანობა" (ტ. ტაბიძე). ასეთი იყო ე.წ. ქართველი „სიმბოლისტების" პირველი სერიოზული შეხება ფორმალიზმთან. თუმცა, ფორმის ნამდვილი მნიშვნელობის აღიარება საბჭოთა პერიოდის ოფიციალურ ლიტმცოდნეობაში მათ იდეოლოგიურ მარცხად შეფასდა. ქართული მწერლობის ახალი გზა „ქაოსის და ფორმის" ბრძოლაში დიდხანს ვერ გამოიკვეთა.

რუსი სიმბოლისტების მსგავსად და განსხვავებით ჟან მორეასის და მარინეტის მანიფესტებისგან, „ცისფერყანწელებმა" თავიანთ პირველ დეკლარაციებს „მანიფესტი" არ უწოდეს და არც პუნქტურად ჩამოუყალიბებიათ საკუთარი მხატვრული მეთოდი და ესთეტიკური მიმღეობა. ახალი მიმდინარეობის ამოცანები ჟურნალ „ცისფერი ყანწების" პირველთქმაში და ბოლოსიტყვაობაში თეორიული მსჯელობებით, კონკრეტული ანალოგიებით და ქვეტექსტებით ჩამოაყალიბეს, რაც, ცხადია, თავისებურ მანიფესტაციას წარმოადგენს. პაოლო იაშვილის აზრით, „არც ერთი სკოლისთვის არ არის სავალდებული, რომ ის წერდეს შემოქმედების კონსტიტუციას. როგორი ლექსია საჭირო ხვალ, დღეს ეს არავინ იცის".

შეუძლებელია არსებობდეს პოეტისთვის პოეტური ვერსიფიკაციის ერთხელ არჩეული ფორმულა, გადახვევების და ცვლილებების გარეშე. „ცისფერყანწელთა" ყველაზე დიდი ავტორიტეტი და თეორეტიკოსი გრიგოლ რობაქიძე თეორიულ წერილებში, პოეტურ თუ პროზაულ ტექსტებში არღვევდა ორთოდოქსული სიმბოლიზმის პრინციპებს და „ყანწებში" დაბეჭდილი მანიფესტის

ხმამაღალ პათოსს... და მაინც, „ცისფერყანწელთა" ორდენი გრიგოლ რობაქიძეს სიმბოლიზმის „პირველ მოციქულს" უწოდებდა, რომელიც „მხოლოდ სიტყვიერად ქადაგებდა მოდერნიზმის სახარებას..." მათივე აზრით, „რობაქიძის ლექსები პირველი სიმბოლისტური ლექსებია" (ტ. ტაბიძე).

რობაქიძე საკუთარ ლიტერატურულ ძიებებს წარსულის უნივერსალური გამოცდილებით აყალიბებდა. თანამედროვე ქართულ ცნობიერებაში შემოიტანა „ძველი ატლანტელის" მივიწყებული მითი და მომავალი ქართული ლექსის არქიტექტონიკა ივანე ჯავახიშვილის მიერ მეცნიერულად დასაბუთებული ეროვნული არქიტექტურის „აღნაგობას" დაუკავშირა, სადაც უმთავრესი ადგილი აგებულებას ენიჭება და არა „სამკაულს"

„ცისფერყანწელთა" ე.წ. მანიფესტში პაოლო იაშვილი ზეაწეული ტონით აყალიბებს საკუთარ პროგრამას: „ოცნებადაკარგულ ხალხს ვასწავლით განწმენდილ გზას მომავლის ცისფერ ტაძრისაკენ" „ვგალობთ ოქროთი შემოსილი განახლების აქტიორები უსხივო ხალხის წინაშე" აქ ადვილად სახილველია სიმბოლისტური სკოლებისთვის დამახასიათებელი შეხედულება ხელოვნებაზე, როგორც საკულტო რიტუალზე და საკუთარი მესიანობის აღიარება ხალხის, ამ შემთხვევაში, არსებული კულტურული მონაპოვრის წინაშე.

ზოგი რამ პარალელებზე: „ჩვენ გვსურს შევქმნათ გაუგებარი და საოცარი სიტყვები", – ვკითხულობთ „პირველთქმაში" პარალელი რუსი ფუტურისტების მანიფესტთან: „Бессмысленность, тайна властной ничтожности воспеты нами"

პარალელი მარინეტის მანიფესტთან: „მიაწოდე ცნობა უცნობს არა იმედის გულისთვის, არამედ ისე, უბრალოდ, რომ გაამდიდრო აბსურდის რეზერვუარი"

ჟან მორეასის მანიფესტის პატრიოტული ხაზი: „საყოველთაოდ აღიარებული და მოდერნიზებული ფრანგული ენა" „ცისფერყანწელთა" პირველთქმაში ასე გამოიყურება: „საქართველოს ხალხო, დავიწყებულო, მაგრამ დიდებით დაგვირგვინების ღირსო"

ფ. მარინეტი „ფუტურისტების პოლიტიკურ პროგრამაში" წერდა: „ხალხი მოამაყე იმით, რომ იტალიელი ხალხია"... პაოლო იაშვილის საპროგრამო წერილში ვკითხულობთ: „უდიდესი თვისება არსებობისა არის სიამაყე... ხალხი, რომელიც უარყოფს დიდების სურვილს, ჰგავს ავადმყოფს"

აღარ გავაგრძელებთ პარალელებს, რასაც გზის დასაწყისშივე აღიარებდა ტ. ტაბიძე: „ჩვენ შევეხეთ ჩვენს განწყობილებას ფუტურიზმთან, როცა შევაერთეთ სახელები რუსთაველის და სტეფან მალარმესი. უკანასკნელის, როგორც ჯერ გაუხსნელი ფორმების ავტორის. ევროპის ფუტურიზმი განაგრძობს მალარმეს. იქნება ეს გაღრმავება სიმბოლიზმის თუ დაწყება ფუტურიზმის, სულერთია. აქ კომენტატორი ღირს ნოვატორად".

თვისობრივად დაუკავშირებელ საწყისთა (სიმბოლიზმის და ფუტურიზმის) სინთეზმა მაშინ, როდესაც „მთელი ტრაგიზმი ქართული პოეზიის იყო ის, რომ პოეტები ჩამორჩნენ მშობლიურ პრიმიტივს და ევროპის რადიუსი ყოველთვის უვლიდა გვერდს თბილისს" (ტ. ტაბიძე), ჩამოაყალიბა გარდაუვალი და აუცილებელი ლიტერატურული ატმოსფერო, რაც ახალი ქართული მწერლობის ფორმისმიერი ძიებების, ენის სტრუქტურული შესაძლებლობების ბოლომდე გახსნის საშუალებად იქცა. ქართველმა ნოვატორმა მწერლებმა ამ გზას „სიმბოლიზმი" უწოდეს, რაც თანდათანობით პირობით ტერმინად იქცა.

ამ პერიოდში კი საჭირო იყო მიმდინარე ლიტერატურული პროცესისთვის კონკრეტული ნათლობა. გარკვეულად სახელდებული სკოლის იმიტაცია. ვალერიან გაფრინდაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „რომელიც აიღებს სახელს, როგორც თავისი პოეტიკის მთავარ ხაზს".

„L'AVANGUARDIA A TIFLIS"?

ვინ იყვნენ ისინი: მოდერნისტები თუ ავანგარდისტები? რა აუცილებლობას წარმოადგენს ზუსტი დეფინიცია, როცა შეუძლებელია ინდივიდუალური ტექსტების შემქმნელთათვის კანონიკურ სახელმძღვანელოდ იქცეს დეკლარაციებსა და მანიფესტებში დასახული მიზნები, ამოცანები თუ ჩარჩოები...

ლიტერატურული ლექსიკონები მოდერნიზმს და ავანგარდიზმს, ამ ორ მსგავსი შინაარსის სახელდებას, ძირითადად ერთმანეთისგან მიჯნავს. თვლიან, რომ შემოქმედებითი მხარე ავანგარდისტულ ლიტერატურაში ჟანრზე მეტად მათ ავანგარდისტულ პოზას ან „მხატვრულ ანტისაქციელს" ემყარება, ხოლო მოდერნისტული ლიტერატურის წარმომადგენლები უფრო აკადემიურები არიან. ასევე წარსულის ნანგრევების იდეალიზაცია და წარსულის უარყოფა ავანგარდიზმისთვისაა ნიშნეული, მოდერიზმისთვის – დეკადანსი და ა. შ.

სკანდალურობა, ეპატაჟი მეოცე საუკუნის არც ერთ ქართულ ლიტერატურულ მიმდინარეობას არ აკლდა და მათი სტატუსები, პირიქით, ამ თვალსაზრისით, ერთგვაროვნებას გამოხატავს, მიუხედავად იმისა, რომ შემოქმედებითი პროდუქციით და ხარისხის ნიშნით სრულიად განსხვავებული პოლუსებია: „ცისფერყანწელები", „ფუტურისტები", „დადაისტები" და ყველა ის ჯგუფი, რომელიც მეოცე საუკუნის დასაწყისის ლიტერატურულ ტფილისს წარმოადგენს. მათი მოდერნიზმად და ავანგარდიზმად დაყოფა არ ხერხდება, უპირველესად ამ ლიტერატურული მიმდინარეობების ქართველ ადეპტთა ცხოვრების და შემოქმედების ანალიზით. მათ მხატვრული ფორმების და სტილის გადააზრება სხვადასხვა დონეზე შეძლეს, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, კულტურული წინაპირობების გამოყენებით.

„ცისფერყანწელთა" არსებობას, მათ ეპატაჟურ გამოსვლას ქართული ავანგარდიზმის დასაწყისად თვლის კრებული „L'avanguardia a Tiflis" (ვენეციის უნივერსიტეტის გამოცემა, სტატიების, გამოკვლევების, დოკუმენტების და მოგონებების კრებული, 1980 წ.), რომელიც ქართული ლიტერატურული მოდერნის კომპლექსური შესწავლის პირველი ცდაა.





ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, 1916 წ.

კრებული ავანგარდის ცნებას შინაარსობრივად დიდ მასშტაბში აქცევს და საუკუნის დასაწყისის ყველა ახალ, განსხვავებულ ფენომენს ამ სახელის ქვეშ განიხილავს, სადაც მომავალზე ორიენტირებული ავანგარდისტული ხელოვნება, იდეათა ცვლის გამო, ხშირ მეტამორფოზას განიცდის: ირღვევა, კვდება, მაგრამ ადაპტაციის დიდი უნარით კვლავ ახალ დაბადებას და სიცოცხლეს აღწევს.

„საუკუნის დასაწყისში, – ნათქვამია წინასიტყვაობაში – ადგილობრივ კულტურას ევროპული კულტურის ყველაზე უფრო პროგრესული გამოცდილება შეეზარდა. სწორედ მაშინ შეიგრძნო საქართველომ თავისი ახალი აღორძინება. დადგა ის მომენტი, როდესაც ხიდი უნდა გადებულიყო ევროპულ და აზიურ ცივილიზაციებს შორის“.

კრებულის ერთ-ერთი ავტორი, ტეხასელი მეცნიერი ჯონ ბოულტი „ცისფერყანწელებს“ ნეოსიმბოლისტურ ჯგუფს უწოდებს, რაც ალბათ მსოფლიო ავანგარდისტული ლიტერატურის პარნასზე მათი ნაგვიანევი გამოსვლით არის ნაკარნახევი. თუმცა, „ცისფერ ორდენს“ არ მიუღია ორთოდოქსული სიმბოლიზმის მთლიანი სახე (პირველ რიგში ემპირიის სრული უარყოფა) და სიმბოლისტური სკოლების გამოცდილებისთვის, გამოსახვის ტრანსცენდენტური საგნისთვის სტრუქტურულად ახალი თვისებები არ შეუმატებია.

ამიტომ მისი ნეოსიმბოლიზმად ისევე, როგორც სიმბოლიზმად გამოცხადება, არ შეიძლება ზუსტი განსაზღვრება იყოს.

ვენეციელი პროფესორი ლუიჯი მაგაროტო თავის გამოკვლევაში „ქართული ავანგარდიზმის თეორია და ისტორია“ „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებას სამართლიანად არ მიიჩნევს წმინდა კანონიკურ სიმბოლიზმად (რის საფუძველსაც იძლევა „ყანწელთა“ ლიტერატურული პროდუქცია და პარალელები სიმბოლისტურ ლიტერატურასთან).

...ისინი ცამეტნი იყვნენ, ცამეტ ასურიელ მამასთან ისტორიული ანალოგიით: პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, სერგო კლდიაშვილი, ივანე ყიფიანი, ალი არსენიშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, შალვა კარმელი, შალვა აფხაიძე, სანდრო ცირეკიძე, რაჟდენ გვეტაძე. (ეს სია პირობითია. აქ უპირობოდ სახელდება გიორგი ლეონიძეც... უპირველესად გრიგოლ რობაქიძე, თუკი არ გავითვალისწინებთ მისივე განაცხადს, რომ ის არ გახლადათ წევრი „ცისფერყანწელთა“ დაჯგუფებისა, არამედ იყო მხოლოდ უფროსი მეგობარი (იხ. გრ. რობაქიძის წერილი: „სათავენი ჩემი შემოქმედებისა“).

პაოლო იაშვილის ლიტერატურული პიროვნული და შემოქმედებითი არტისტიზმი განსაზღვრავდა „ყანწელთა“ მოდერნისტულ-მესიანისტურ პოზას: „ავედით მთაზე და არცერთ ძმას არ დაუკვნესია დაღლილობით. ჩვენ გვაოცებდა ჩვენი თვალები: მათი ელვარება სწვავდა ცივ სიბნელეს და როდესაც აენთო ლალისფერი ცეცხლის კოცონი, ამაღლდა ერთი ჩვენს შორის“... (ჟურნალი „ცისფერი ყანწები“, „პირველთქმა“, 1916 წ.)

ცამეტი ძმის გამოჩენა ქართულ პარნასზე მძლავრ ლიტერატურულ ფაქტად იქცა, რასაც შემდგომ გრ. რობაქიძე ქართული მოდერნიზმის სათავეს უწოდებს.

ლუიჯი მაგაროტო ეპითეტების გარკვეულ რიგს, რომელიც ევროპელი ავანგარდისტებისთვისაც იყო დამახასიათებელი, ქართული ლიტერატურული მოდერნის პირველ დეკლარაციებს უკავშირებს: „ექსცენტრიზმი, დენდიზმი, არაკონფორმიზმი, ანტაგონიზმი, სკანდალური მისწრაფებანი, წარსულის უარყოფა, მანქანების საუკუნის ფეტიშირება, თვითრეკლამა, დემაგოგია“...

ეს შესაძლოა იყო დეკლარაციულად, მაგრამ ფაქტობრივად, „ცისფერი ორდენის“ ლიტერატურული სახე გამორიცხავს წარსულის სრულ უარყოფას. რაც შეეხება თვითრეკლამას: „ყანწელები“ არ უცდიან მომავალ პოეტებს, რომლებიც გააზღაპრებენ მათ, როგორც ღმერთებს და გმირებს და თვითონ შეჰყავთ პოეზიაში ერთმანეთის პიროვნება“ (ვ. გაფრინდაშვილი). ამგვარი პასაჟი ეპოქის უკვე არსებულ მოდერნისტულ ტრადიციებს გამოხატავს, რაც მხოლოდ თვითრეკლამად არ უნდა განვიხილოთ. ისინი საკუთარი სახელებით თუ ფსევდონიმებით ქმნიდნენ სახელების მაგიას, მითებს, სიმბოლოებს ისევე, როგორც „ფრანგი პოეტები „ყანწელების“ ლექსებში მეორე დაბადებას და მეორე ყოფნას განიცდიან სიკვდილის შემდეგ... ეს არის ახალი მითოლოგია“... (ვალერიან გაფრინდაშვილი „ახალი მითოლოგია“).

სიმბოლისტური სკოლების გამოცდილებიდან ვიცით, თუ რა ძალით შევიდა პოეზიაში ისტორიული, ბიბლიური, აპოკალიფსური სახელები, რასაც დაერთო თანამედროვე სახელთა მასკარადი. ლიტერატურულ ლანდშაფტში მათი კავშირი მხოლოდ წარმოსახვაში მყარდება. შეიკრა დიდი წრე, რომლის ნამდვილი სახე და ორმაგობა, მხოლოდ ინტუიციურ შემეცნებას უნდა ამოეხსნა, რადგან მხოლოდ ინტუიცია იქნა აღიარებული სიმბოლოში გაცხადებული საიდუმლოს გასაღებად.

ანდრეი ბელის განცხადებით, პოეტის პიროვნება თვითონ ეპოპეაა. ვიაჩესლავ ივანოვის აზრით, პოეტმა უნდა შექმნას არა თავისი წიგნები, არამედ, თავისი ცხოვრება. ვალერიან გაფრინდაშვილის საპროგრამო ფრაზაა, „ცისფერყანწელთა“ სახელით: „პოეტმა უნდა გააზღაპროს თავისი ავტობიოგრაფია“ ასევე იკითხება ცხოვრება, როგორც ტექსტი რუსი სიმბოლისტების დევიზში: „Творите жізнь“



დიდი გავლენა იქონია ქართველ მოდერნისტებზე არტურ შოპენჰაუერის სულით რომანტიკულმა მოძღვრებამ, გენიოსის, როგორც მხატვრული შემოქმედების სუბიექტის შესახებ. უპირველესად კი ალბათ, ფრანგი პოეტების შემოქმედებამ და ბოჰემური ცხოვრების წესმა, აპრიორულად მიღებულმა პარიზული პარნასის პოეტთა სახელებმა: „ბოდლერი, გადაშლილი, ვით სახარება...“ (ვალერიან გაფრინდაშვილი).

ჟურნალი „მეოცნებე ნიამორები“ 1922 წელს წერდა: „ყანწელებმა მოინდომეს პირადი მეგობრობის გაზღაპრება. პირადი ინტიმი გარდაქმნეს პოეზიად და ინტიმურ გრძნობებს მისცეს უნივერსალური ხასიათი“.

„რაც არ უნდა იყოს, – წერდა ტ. ტაბიძე, – საქართველოში პოეტს არ უხდება თავის თავზე ლაპარაკი, სხვა ბევრ სათნოებასა თუ ზრდილობასთან ერთად ყველაზე უფრო მას ავალებს ტრადიცია“

ქართველი მოდერნისტი პოეტისათვის სამშობლოს ცნება არ არის მხოლოდ პატრიოტიზმი, ის ესთეტიკური კატეგორიაცაა. ქართულ ლიტერატურულ მოდერნს არ უარყვია წარსულის ხატი, პირიქით, დიდი ხნის წინათ არსებული, როგორც მარადიული ღირებულება, შეძლებისამებრ დაიცვა და ახალი სიცოცხლე მიანიჭა. „ცისფერყანწელთა“ ორდენმა დავიწყებული სახეები და სახელები გამოიხმო. „რუსთაველიდან დაიწყო გზა ძვირფასი კენჭებით მოკირწყლული“ – წერს შალვა აფხაიძე. ეს გახლდათ სულიერი წინაპრის აღიარების ტრადიციული ფაქტი, როგორიც ვთქვათ, შარლ ბოდლერისათვის ტეოფილ გოტიე ან ვალერი ბრიუსოვისთვის ალექსანდრ პუშკინი.

„საქართველოს ფირუზ ხელებს გადავეცით ჩვენი აღსარება“, – აცხადებს „ყანწელთა“ პირველთქმა, რასაც პაოლო იაშვილმა „ცისფერი ქადაგება“ უწოდა, ხოლო თავისუფლებას „ცისფრად მორთული ბედნიერება“

გარდა სიმბოლიზმისთვის დამახასიათებელი ფერთა პირობითობისა (განსაკუთრებით საკულტო და ბიბლიური ფერების: ცისფერისა და თეთრის, რომელიც ხშირად ფიგურირებს ქართველ მოდერნისტთა პოეზიაში და რომლის მეტაფორულად ახსნის გზას გალაკტიონ ტაბიძემ „ირიბი ასოციაციები“ უწოდა), ცისფერის კულტი ჩვენი მნერლობისთვის ორგანული და ღრმად ეროვნულია და ნიკოლოზ ბარათაშვილიდან იღებს დასაბამს.

„საქართველოში ცისფერ ყვავილს ღერო წითელი ჰქონდა. ქართველებისთვის ცა და მიწა სამუდამოდ არასოდეს გაყრილან...“ – ვკითხულობთ „ცისფერი ყანწების“ მეორე და უკანასკნელ ნომერში.

დავუბრუნდეთ იმ კალენდარულ დროს, 1916 წელს, როცა სკანდალური ხმაურით შემოდიან „ცისფერყანწელები“ და გამოდის ჟურნალი „ცისფერი ყანწები“ მაშინ სხვაც ბევრი რამ ხდება საქართველოში...

„ქვეყანა შექანდა“

გრ. რობაქიძე

„Игорь Терентьев попал в заграницу ума“


ა. კრუჩიონიხი



პაოლო

1916 წელს, 14 ივლისს, ციურიხში, კაბარე „ვოლტერში“, ტრისტან ტცარა კითხულობს დადაიზმის პირველ მანიფესტს. 1917-1918 წლებში კი ტფილისში შეიქმნა დადაისტების (თეორეტიკოსები: ი. ტერენტიევი, ა. კრუჩიონიხი, ი. ზდანევიჩი) ლიტერატურული ჯგუფი „41°“

„რუსი პოეტების ჩამოსვლა თბილისში, იგონებდა სერგო კლდიაშვილი – მხოლოდ მეგობრული ურთიერთობით არ იყო გამოწვეული. ისინი გრძნობდნენ რა ლიტერატურული ძალა იმალებოდა საქართველოში და ჩვენი სამშობლო მათი შემოქმედების იმპულსატორი ხდებოდა“



ვალერიანი

„Давольно разрушать, пора созидать!“ რუსი მწერლების ეს ანონიმური ლოზუნგი პირველად საქართველოში გაისმა და თბილისში გამოცემულ რუსულ სალიტერატურო ჟურნალ „ARS“-ის (რედაქტორი ს. გოროდეცკი) თავფურცელზე დაიბეჭდა და მაშინვე გახმაურდა...



პივიანი

გრიგოლ რობაქიძე: „ტფილისი უცნაური ქალაქია, ხოლო 1919-1920 წლებში კიდევ უფრო აუცნაურდა. გამორეკილი თუ გამოქცეული რუსები თავს აქ აფარებდენ. სცენიდან გაისმოდა კაჩალოვის ხმა – („სამხატვრო თეატრი“ აქ იყო)... ტფილისშივე იყო ნ. ნ. ხოდოტოვ. სცენიდან მისი ხმაც ისმოდა: თამაშობდა დოსტოევსკის მიშკინს, ანდა ლექსებს კითხულობდა რუსეთზე რუსი პოეტებისას... კომპოზიტორი ნ. ნ. ჩერეპნინ კაფეში შედიოდა მთვრალი (სიმთვრალეს ვერ შეატყობდით) და ნაღვლობდა რუსეთზე... მხატვარი იური სერგეევიჩ სუდეიკინ რესტორანს ხატავდა, რომელსაც ქართველმა პოეტებმა „ქიმერიონი“ დაარქვეს – (სუდეიკინმა მართლაც აავსო რესტორანი ქიმერებით). მხატვარ საველიი აბრამოვიჩ სორინს ქართველი ყელმოღერებულ თავადის ასულების პროფილები ტილოზე გადმოჰქონდა: „ლამაზი – მეტად ლამაზი“ ხაზებით. დრამატურგი და თეატრალი ნ. ნ. ევრეინოვ, როგორც ყველგან და ყოველთვის, აქაც „თეატრს თავისთვის“ სთხზავდა და შერჩეულ წრეებში „Самое Главное“-ს კითხულობდა. პოეტი სერგეი მიტროფანოვიჩ გოროდეცკი, კავკასიის ფრონტის დარღვევის შემდეგ, ტფილისში დარჩა და ამრავლებდა „პოეტების ცეხს“, საცა ქალი უფრო მეტი იყო ვიდრე ვაჟი და ერთი-მეორის „გაცნობა“ კიდევ უფრო მეტი ვიდრე პოეზია... ვინ არ იყო მაშინ ტფილისში? ფუტურისტებმაც აქ გადადგეს ნაბიჯი დადაიზმისკენ. მათ შექმნეს ორგანო „41 გრადუსი“ – (ალბათ სიცხის ნიშანი, როცა ბოდვა იწყება)... ქვეყანა შექანდა... ტფილისშივე იყო ილია ზდანევიჩ, კაცი ნამლევა, მაგრამ



ა.ი.

კოლაო

პ. იაშვილის ჩანახატები



გარდაქეშანის პათოსის. იგი ხმას ავარჯიშებდა მუდამ „Заумь“-ის წარმოსათქმელად, რომლით დაწერილი სიტყვები ალბათ ასტრალურ სმენას თუ ესმოდა. დიდებული იყო იგი, როცა კაფეებში თავის „Смерть Гарро“-ს კითხულობდა. უნდა შეგეხედათ, თუ როგორ იზრდებოდა ეს პატარა კაცი და როგორ იპყრობდა თვალებ-აცეცებულ საზოგადოებას – (ლექსის ბოლოში მართლაც ისმოდა სიკვდილის შრიალი). ვასილი კამენსკიც ეწვია მაშინ ტფილისს. კითხულობდა ესტრადიდან „სტენკა რაზინს“, და მოკვეთილი თქმა – „Саринь на кичку!“ მოედო ტფილისის ქუჩებს. იყვნენ სხვებიც“ („ფალესტრა“).

მაშინ ტფილისში პირველად გამოჩნდა პერფორმანსის ხელოვნება... ზოგჯერ გაუგებარი მინიშნებებით აღბეჭდილი განმარტებანი, საგანთა თუ სიტყვათა მნიშვნელობის უფრო გაბუნდოვანებას და ქაოსის შექმნას ემსახურებოდა. ქართველმა ფუტურისტებმა 1922 წელს გამოცემული თავიანთი საპროგრამო ჟურნალის სათაურს სიმბოლური დატვირთვა მისცეს: „H_2SO_4“ – მჟავის სახელი, რომელიც თითქოსდა, წაშლის და დაშლის ძველ ხელოვნებას! თუმცა, პარადოქსი ის გახლდათ, რომ ტფილისის კონსერვატორიის შენობაში გამართული პრეზენტაციის დროს წაკითხულ ფუტურისთა მანიფესტს „საქართველო – ფენიქსი“ ერქვა. (სხვადასხვა დროს ამ მოძრაობაში, როგორც მწერლები და როგორც მხატვრები მონაწილეობდნენ: ჟანგო ღოღობერიძე, ირაკლი გამრეკელი, ბენო გორდეზიანი, აკაკი ბელიაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, ნიგოლ (ნიკოლოზ) ჩაჩავა, დავით გაჩეჩილაძე, ნიკოლოზ შენგელაია, ბიძინა აბულაძე, ბესარიონ ჟღენტი, გრიგოლ ორაგველიძე, შალვა ალხაზიშვილი, პოლ (პავლე) ნოზაძე, ალექსანდრე გაბესკირია, მზია ერისთავი).

ფენიქსის ცნობილი თემა კი უკვე არსებული ფასეულობის უარყოფას და ნგრევას კი არა, ძველის აღდგომა-გაცოცხლებას ნიშნავს, მაგრამ ქართველმა ფუტურისტებმა სათაურს მიღმა სხვა მიზნები და ამოცანები ჩამოაყალიბეს. ეს ხდებოდა უკვე არსებულ ლიტერატურულ მიმდინარეობათა გამოცდილებით და არა კოპირებით. მათ მანიფესტში განსაკუთრებით იგრძნობა პაოლო იაშვილის „პირველთქმის“ გავლენა.




პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, 1920 წ. 26 მაისი

„ელექტრონის შუქმა ჩააქრო მთვარე და მეოცე საუკუნე აღარ იცრემლება სენტიმენტალობით. ჩვენ შევიყვარეთ მანქანის კვამლში გაჯანგული ბრბო, აღტაცებით ტაშს რომ უკრავს რევოლუციას. ჩვენ შევიყვარეთ ქალაქი ხმაურით, არსენალით, ღამით რომ თვალებს აბრიალებდნენ. არ ვჩერდებით მუზეუმებისა და ძეგლების წინაშე და ვქმნით საქართველოს მომავალს, რომელსაც არ ახასიათებს დრო და სივრცე...“ (ჟურნალიდან „H_2SO_4“).

თუკი ცხოვრება აბსურდულია, რასაც ქადაგებს თუნდაც, დადაისტური მიმდინარეობა, აბსურდული და გაურკვეველი უნდა იყოს პოეტის არა მარტო სიტყვები, შესაბამისად განცდები, ემოციები და რაღა თქმა უნდა, ცხოვრებაც... აქაც იგივეა: ცხოვრება, როგორც ტექსტი. ის არა მარტო ისტორიის ან ლიტერატურის საკუთრებაა, არამედ ლინგვისტურ-სტილისტური სამუშაოა და კომპლექსური კვლევის საგანია იმდროინდელი ტფილისის ატმოსფეროს, არტისტული კაფეების, ქართველი და უცხოელი პოეტების შეხვედრების, განუმეორებელი ინტონაციების, შემოქმედებითი ავტონომიების თუ გავლენების, მაგალითად, მკვლევარი ლ. მაგაროტო ასაბუთებს, თუ როგორი დიდი გავლენა იქონია ვლადიმერ მაიაკოვსკის შემოქმედებაზე ქართული ლექსის სტრუქტურამ. ასევე ვ. მაიაკოვსკის პოეტიკა, კრებულის ერთ-ერთი ავტორის, ავსტრიელი მეცნიერის, როზემარი ციგლერის აზრით, ტფილისში დასახლებული რუსი ფუტურისტების, კერძოდ, ა. კრუჩიონიხის შემოქმედებითი ორიენტაციის საგანი გახლდათ...

ტფილისში გამოცემულ თავის უკანასკნელ წიგნში „Трактат о сплошном неприличии“ (1920) ი. ტერენტიევი სიმბოლისტებს და ფუტურისტების პირველ თაობას ისტორიის დავიწყებულ ფურცლებს მიაკუთვნებს და გზადაგზა ე.წ. „ზაუმის“ თეორეტიკას აყალიბებს: „Слово не успевает за переживанием вдохновенного и поэтому оно может выражаться на живом не застывшем, не имеющем определенного логического значения языка — на зауме“



თბილისის "არტისტული საზოგადოება"

იგორ ტერენტიევი, რომელიც ქართულ ლიტერატურაში მოხსენიებულია, როგორც „განსაკუთრებული ინტონაციის პოეტი", 1918 წელს ჩამოყალიბებული ლიტერატურული რეპუტაციით ჩამოვიდა საქართველოში (ა. კრუჩონიხის თქმით, „Попал в заграницу ума")... იგორ ტერენტიევის ლიტერატურული ცხოვრების შემორჩენილი უკანასკნელი ფურცლები ტფილისს უკავშირდება, მაგრამ მისი ორგანული ნაწილი ვერ ხდება...

ი. კრუჩიონიხის პოეტური ორიენტაცია აბსტრაქციონიზმის გავლენის ქვეშ ყალიბდებოდა (კერძოდ, სუპერმატისტ მალევიჩის თეორიული ხაზი მან ახალი პოეტიკის საყრდენ წერტილად გადააქცია). „41°" გახდა ამ ექსპერიმენტების გარკვეულად სახეშეცვლილი, ნაგვიანევი რეალიზაცია.

ტფილისის მოდერნისტული სკოლების, როგორც განსხვავებული და იმ დროში აქტუალური ფენომენის გამოცდილება ილია ზდანევიჩმა „41°"-ის პროპაგანდით ჩაიტანა პარიზში: „ჩვენი პრინციპი ძალიან განსხვავებულია".

ერთ-ერთი ლექციის მოსაწვევი ბარათი, რომელიც ილია ზდანევიჩმა პარიზელი მანდილოსნის, მადამ ოლენ დ. ალჰეინის ატელიეში გამართულ კონფერენციაზე წაიკითხა, იუწყება, რომ „თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი ი. ზდანევიჩი წაიკითხავს ლექციას პოეზიის ახალი სკოლების შესახებ". მოსაწვევი ბარათი იმასაც „გვამცნობს", რომ საღამოს დაესწრება ონორე დე ბალზაკი, რაც ალბათ, არა მარტო უცნაურ და მხოლოდ მისი ავტორისთვის გასაგებ ხუმრობად შეიძლება ჩაითვალოს, არამედ მოდერნისტულ თემად, როცა უარყოფილი წარსული არღვევს ლოგიკას და დროს აცდენილი თანამედროვე ინტერიერში შემოდის. ბალზაკის ლანდი აქ მხოლოდ გარდასული ავტორიტეტის, უარყოფილი ტრადიციის სახით გვევლინება, რადგან ზდანევიჩი ყველაზე დიდ სახელებსაც კი არ მიიჩნევს თანამედროვე ლიტერატურის აუცილებელ ფიგურანტებად. შესაძლოა, ზდანევიჩი „წარსულის ნანგრევების" უარმყოფელი იტალიური ფუტურიზმის მეტრის, მარინეტის გავლენას განიცდის, რომელსაც დიდ ოსტატად და მასწავლებლად აღიარებს

და მისდამი პიეტეტს ყველა შესაძლო სიტუაციაში გამოხატავს. ილია ზდანევიჩის მარინეტისადმი მიწერილი წერილები ასე იწყება: „ძვირფასო მაესტრო“...

იტალიელი პროფესორი მარციო მარცადური, რომელიც ვენეციის უნივერსიტეტში გამოცემული კრებულის „L'avanguardia a Tiflis“-ის ერთ-ერთი ავტორია, „41°“-ის თეორეტიკას უპირისპირებს ევროპის დადაისტურ სკოლებს, რომელთაც მკვლევარის აზრით, „41°“-თან შედარებით, აკლიათ კონსტრუქციული იდეა.


მ. მარცადური, როგორც ლიტერატურის თეორეტიკოსი, „41°“-ს გარკვეულ ადგილს უძებნის თანამედროვე ლიტერატურის ისტორიაში: „41°“ დგას „დადასა“ და „სიურრეალიზმს“ შორის, სადაც მან მონახა თავისი ადგილსამყოფელი XX საუკუნის პირველი ნახევრის ავანგარდისტული კულტურის ინტერიერში“

ქართული მოდერნიზმის ანალოგიები ევროპულ სამყაროსთან თუ ლიტერატურულ-ბოჰემური ურთიერთობები, უპირველესად, პაოლო იაშვილის საფრანგეთიდან ჩამოტანილი პარიზული შთაბეჭდილებების გაზიარებით იწყება. თუნდაც, მონმარტრის არტისტული კაფეების ესთეტიკა და სულისკვეთება... მაგრამ იმპორტირებული მუზა არ შეიძლება არსებობდეს, ის ხელოვანში და ხელოვანის სამშობლოში სხვაგვარად იბადება: „საქართველოს ლანდურ არსებას მოვევლინეთ ახალი სხივმოსილებით და ოცნებადაკარგულ ხალხს ვასწავლით განწმენდილ გზას მომავლის ცისფერ ტაძრისაკენ. საყვარელმა ნიმფებმა ასწიეს ფარდა და ვგალობთ ოქროთი შემოსილი გაზახლების აქტიორები უსხივო ხალხის წინაშე...“ (პ. იაშვილი, „პირველთქმა“).

ავანგარდისტული იდეები, პერფორმანსები ტფილისში კიდევ უფრო გამრავალფეროვნდა 1918 წლიდან, როცა ინტენსიურად დაიწყეს ჩამოსვლა უცხოელმა მწერლებმა, მხატვრებმა, თეატრალებმა... მათ შემოქმედებით საღამოებზე აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ „ცისფერყანწელები“ ყველაზე ქმედით როლს პაოლო იაშვილი ასრულებდა... გამოსვლებით, ქართული თუ რუსულენოვანი ექსპრომტებით, თარგმანებით.

ბუნებრივია, ისტორიული გადასახედიდან, ასეთი კითხვაც დაისმის: ამ პერიოდში, პირველი რესპუბლიკის ხანაში, ჩვენს სამშობლოში (საქართველოს დამოუკიდებლობის სიხარულის ზეობის ჟამს), რატომ შეიქმნა საუკეთესო ნიადაგი რუსული ხელოვნების და ლიტერატურის ექსპორტისთვის? გასაგებია, რომ ბალმონტის, პასტერნაკის, მანდელშტამის, ესენინის მეგობრობა ქართველი მწერლებისთვის ორმხრივ საინტერესო, გულწრფელი და საუკეთესო მოგონებებით იყო დატვირთული, მაგრამ რუსული კულტურის ისეთი ტოტალური „გადმოსახლება“, როგორც ჩანს, რაღაც მოულოდნელ სირთულეებსაც ქმნიდა, რასაც 1920 წელს, წერილში „ჩვენი სეზონი“, გამოეხმაურა პაოლო იაშვილი: „თბილისი უცხოელებს დანებდა. ყოველმხრიდან შემოგვესიენ ომით და რევოლუციით გადმორეკილი ემიგრანტები, ბებერი და უნიჭო აქტიორები. არის მცირე გამონაკლისი, ჩვენთვის საყვარელ და მისაღებ სახელს ხერხიანად ამაღლებდნენ ქუჩის რედაქტორები. რჩება გახუნებული ოპერა, დანგრეული ბალეტი. სატახტოს ხელოვნებას დაეპატრონნენ ჩრდილოეთით დაქირავებული კლაკიორები და ესთეტიკის სპეკულიანტები. არსებობს ბევრი გათამამებული კავშირი, რომელიც კადნიერად ამტკიცებს თავის ძლიერებას. საჭიროა მათი გარეკვა. ჩვენ ბევრი სალახანა ბუდე ჩავამტვრიეთ, ბევრს ჩავაწყვეტინეთ ხმა თბილისში ბატონობისთვის“.

რას უნდა ნიშნავდეს „თბილისი უცხოელებს დანებდა“... არაერთმნიშვნელოვანია პოეტი-დენდის, იშვიათად სტუმართმოყვარე ქართველის ეს კატეგორიული განცხადება, რაც უპირველესად, ალბათ, მავან უნიჭოთა ოდენ იმპერიული უპირატესობების წარმოჩენას ალუდგა წინ და „მოდერნისტული ტფილისის“ სივრცეში მხოლოდ იმ ღირებულებათა შემოტანა სცნო მისაღებად, რაც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, შესაბამისი იქნებოდა „კულტურის, პოეზიის, რესპუბლიკის დემოკრატიის, რასის კეთილშობილებასთან“.



ტიციან ტაბიძე: „ჩვენ, „ცისფერყანწელებმა", პირველად ტფილისში გავხსენით სეზონი კაფეში. ბევრი, ალბათ, მოიგონებს კაფეს, რომელსაც მაშინ „დარბაზი" ერქვა... მოულოდნელად დაიწყებოდა ლექსების თქმა: პირველად დაიწყებდა და შემდეგ სხვა გამოსვლებს დირიჟორობდა პაოლო იაშვილი. ლექსებს ამბობდნენ: ტიციან ტაბიძე, ლელი ჯაფარიძე, ლექსი უთქვამს ბალმონტს, სერგეი გოროდეცკის, ი. ზდანევიჩს და ბევრ სხვას"

ლადო გუდიაშვილი: „როგორც ადრე, პარიზში ნასვლამდე, ამ პერიოდშიც ძალიან საინტერესო სანახავი იყო თბილისი... მართალია, პოეტების კაფეებს ძველი კოლორიტი აღარ ჰქონდა, მაგრამ მაინც საინტერესო იყო. ეწყობოდა დისპუტები, შეხვედრები, საღამოები, სადაც ქართველებთან ერთად რუსი მწერლებიც მონაწილეობდნენ. რუსი მწერლები, განსაკუთრებით პოეტები, ნათლობას თბილისში იღებდნენ. ყველას აქეთ მოუწევდა გული. ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს ყველა ახალი და საინტერესო იდეა თბილისში იბადებოდა... ეგრეთწოდებულ „სალონებსა" და „კაფეებში" იმართებოდა პოეტური საღამოები. ამ საღამოების ერთ-ერთი მონაწილე მეც ვიყავი... მახსოვს, გოლოვინის პროსპექტზე, იქ, სადაც ახლა ბორჯომის წყლები იყიდება, იყო კაფე, რომელსაც ერქვა „ფანტასტიური ყავახანა" (ეს კაფე გრ. რობაქიძესთან მოხსენიებულია, როგორც „პოეტების ცეხი". – ნ. ხ.)... აქ თავს იყრიდნენ პოეტები, მწერლები, მსახიობები, რეჟისორები, მოდიოდნენ მხატვრებიც... აქ ეწყობოდა შეხვედრები მოსკოველ მწერლებთან, მაიაკოვსკისთან, კამენსკისთან... და ყველაფერს ამას ტონს აძლევდნენ „ცისფერყანწელები" იმართებოდა დისპუტები, იყო ერთი აურზაური, სიწყნარე კი არასოდეს. ვაკეთებდით შეხვედრების მონაწილეთა ჩანახატებს, კარიკატურებს, პორტრეტებს... მწერლების თხოვნით, მე, კირილე ზდანევიჩმა და ზიგა ვალიშევსკიმ ამ კაფეს კედლებიც მოვხატეთ. მაგრამ ისე, როგორც ბევრი რამ, ეს მხატვრობაც დაიკარგა" (ლ. გუდიაშვილი, „მოგონებების წიგნი", 1979 წ.).


1919 წელს ტფილისის „არტისტული საზოგადოების" თეატრის დარბაზში, ყოფილ რესტორან „ანონას" სივრცეში, გაიხსნა „ქიმერიონი," ზოგჯერ კაბარედ, ზოგჯერ კაფედ და ზოგჯერ რესტორნად სახელდებული.

მხატვრული თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, ეს იყო უცნაური სინთეზი: „ანონას“ ფსევდო კლასიკა, ხმელთაშუა ზღვის ფერწერული პეიზაჟებით, რომელთა შორის ანტიკური ხუროთმოძღვრების ნანგრევები იყო ჩახატული... ანიმალისტური პორტრეტები, ყვავილების გირლიანდები, ქალბატონები... პარალელურად კი 1919 წელს შექმნილი მხატვრული ბუფონადა, მოდერნისტული პარადოქსებით.

„ქიმერიონის“ ვრცელი სივრცის მოსახატად მოწვეული იყო სერგეი სუდეიკინი (1882-1946) – „რუსული სეზონების“ პარიზული სპექტაკლების (სერგეი დიაგილევის ცნობილი თეატრის) მხატვრული გამფორმებელი. მისი ესთეტიკა, სიმბოლოებზე დამყარებული აზროვნების ფორმა, მხატვრული სამყარო მოდერნისტული ლიტერატურის და ხელოვნების ნიშნებს ატარებდა და შესაძლოა, ამიტომაც ტფილისის და ქართველი ე.წ. „სიმბოლისტების“ გარემოში უპირობოდ იქნა მიღებული და აღიარებული. იგი გახლდათ ტონის მიმცემი იმ მხატვრებისთვის, რომლებმაც „ქიმერიონის“ დარბაზებში დაიწყეს და ეტაპობრივად განაგრძეს მუშაობა. ესენი იყვნენ: დავით კაკაბაძე (1889-1952), ლადო გუდიაშვილი (1896-1980), სიზიგმუნდ (ზიგა) ვალიშევსკი (1897-1936), კირილ ზდანევიჩი (1892-1969), მოსე თოიძე (1871-1953), ირაკლი თოიძე (1902-1985).

უკვე 1919 წლის ბოლოს ტფილისის გაზეთები იუწყებოდნენ: „28 დეკემბერს, კვირა საღამოს, ქართველ ლიტერატორთა და მხატვართა კლუბის „ქიმერიონის“ გახსნა გაიმართა. კლუბის მმართველობის მოწვევით, ამ საზეიმო ღონისძიებას ესწრებოდნენ: ბრიტანეთის კომისარი ოლივერ უორდროპი, მეკავშირე სახელმწიფოთა კომისარი (იგულისხმება ანტანტის წევრი ქვეყნები), პოლკოვნიკი გასკელი, მეუღლითურთ, სხვა უცხოელი მისიის წევრები, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ამხანაგი ქარცივაძე, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ამხანაგი თაყაიშვილი, ქალაქის თავი ბენია ჩხიკვიშვილი, მხატვარი სუდეიკინი, სოკოლოვი, ოვანეს თუმანიანი, დამფუძნებელი კრების წევრები და ჟურნალისტები. გახსნასთან დაკავშირებით მოწყობილ ბანკეტს თამადობდა ქალაქის თავი ჩხიკვიშვილი. ბანკეტზე წარმოითქვა ქართველი ლიტერატორების და ქართული ხელოვნების უამრავი სადღეგრძელო. განსაკუთრებით მხურვალედ მიიღეს სუდეიკინის, ევრეინოვის, სოკოლოვისა და ოვანეს თუმანიანის სადღეგრძელოები. ღონისძიებამ ძალიან მხიარულად ჩაიარა“





დადო გუდიაშვილი, კაფე "ქიმერიონი", 1920 წ. (ცემ 1750-გრ)



იმ პერიოდში თბილისში მყოფი ინგლისელი მწერალი კარლ ე. ბექჰოფერ რობერტსი იგონებს: „ტფილისის მთავარ გამზირზე მდებარე კაფე „ინტერნაციონალში“ ერთხელაც ახალგაზრდა ქართველ პოეტთა ლიდერმა პავლე იაშვილმა სკამზე ასულმა ხმამაღლა განაცხადა, რომ არა პარიზი, არამედ ტფილისია მსოფლიო კულტურის ცენტრი. იაშვილი – ბრწყინვალე ახალგაზრდა, შუა ღამის მერე მეფე იყო ტფილისის. მისი პოვნა შეიძლებოდა სარდაფის კაბარე „ქიმერიონში“, პეტროგრადელი მოდერნისტი მხატვრის სერგეი სუდეიკინის მიერ მოხატულ უზარმაზარ დარბაზში. კაბარე ტფილისელი პოეტების იმ გილდიას ეკუთვნოდა, ვისი ლიდერიც იაშვილი იყო და სუდეიკინმაც მათი პორტრეტები შექმნა კედლის მხატვრობის სხვადასხვა ადგილას. კაბარე ნამდვილად არ იყო ცუდი. სამყაროს ამ ნაწილისთვის კი ძალიანაც კარგი იყო. აქ მღეროდნენ ბოშურ რომანსებს, რუსებს რომ ასე ძალიან უყვართ. აქ იყვნენ, ღმერთმა უწყის, საიდან გაჩენილი რეგთაიმის ამერიკელი ზანგი მომღერლები; მოცეკვავეები (მსგავსი მომხიბვლელი „ლიდია ჯონსონისა“, რომელმაც მთელი ტფილისი გააგიჟა ერთი თვის განმავლობაში); ლექსების ექსპრომტად მთხზველნი, რომლებიც იქ მყოფებზე ქმნიდნენ ზოგჯერ არცთუ უწყინარ კუპლეტებს და მოკლე სატირულ პიესებს. შოუ მთავრდებოდა დილის ოთხ საათზე“ („ქიმერიონი რუსთაველის თეატრში“, რუსთაველის ეროვნული თეატრი, პირველი გამოცემა, 2022 წ.).

აქ, „ქიმერიონის“ დარბაზში, ირჩევდნენ მეჯლისის დედოფლებს. აქ გადაუხადეს ქორწილი გიორგი ლეონიძეს, ცნობილ სოხუმელ ფეხბურთელს სეით ბეი აჩბას და სხვებს...

ლადო გუდიაშვილი, როგორც მისი საუბრების ჩანაწერებიდან ჩანს, არასოდეს ივიწყებდა ამ კაფეების როლს თბილისის ატმოსფეროში. გასაბჭოების შემდეგ, როცა არტისტული კაფეების თუ ყავახანების „სეზონი დაიხურა“, დედაქალაქიც შეიცვალადა, ქალაქის ცხოვრებაც.

ლ. გუდიაშვილი: „სხვაც ბევრი ასეთი კაფე იყო თბილისში. მაგალითად, „ძმური ნუგეში“, „არგონავტთა იალქანი“... მაგრამ ყველაზე საინტერესო „ქიმერიონი“ იყო. ეს კაფე მდებარეობდა რუსთაველის თეატრის ახლანდელ ქვემოთა ფოიეში. მისი გახსნის ინიციატივაც „ცისფერყანწელთა“ ჯგუფს ეკუთვნოდა... ყველა იმ სატკივარს შორის, რომლებიც კი ოდესმე ცხოვრების გზაზე შემხვედრია, ერთ-ერთი ისიცაა, რომ ხელოვნების ეს შესანიშნავი ძეგლი, ვგულისხმობ „ქიმერიონის“ კედლებს, ყოვლად უაზროდ გაქრა და დაიკარგა“ (ლ. გუდიაშვილი, „მოგონებების წიგნი“).



1922 წელს „ქიმერიონი“ მფლობელობაში გადაეცა განათლების კომისარიატს. შემდეგ თანდათან არსებობა შეწყვიტა. როგორც ჩანს, მხოლოდ ინტერიერი და კედლები, იმ ატმოსფეროს შემქმნელთა (უპირველესად პაოლო იაშვილის გარეშე) არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ იქაურობა ადრინდელი მნიშვნელობის მატარებლად დარჩენილიყო. მოგვიანებით „ქიმერიონის“ მოხატული კედლები რამდენიმეჯერ გადაიღება. თითქოს, იმ მოდერნისტულ-არტისტული სამყაროს გაქრობა „ახალი, დიადი ეპოქის“ დასახული მიზანი იყო... და თუკი ასეა, ეს მიზანი აღსრულებულად შეიძლება ჩაითვალოს. აქვე შეწყდა დიალოგი ევროპასთან ანუ „ევროპის რადიუსსზე“ სწორება და ის „არისტოკრატიული ბოჰემაც“ (ლ. მაგაროტო), რის გამოც იზიდავდა ტფილისი ხელოვნების სხვადასხვა წრის წარმომადგენლებს. თუმცა, ქალაქიც და ქვეყანაც მაინც ინარჩუნებდა გარკვეულ მიმზიდველობას. ამ ქალაქში პოეტები დარჩნენ...

„ვერავინ შეება სიტყვის უღელს ისე, რომ გადაეცილებინა იგი სამშობლოს საზღვრებს და მიეთრია ევროპის რომელიმე ქალაქის მოედნამდე“ (პაოლო იაშვილი).

„ქართული მოდერნიზმის იძულებითი დასასრული“ უწოდა ლალი ავალიანმა ქართველ საბჭოთა მწერალთა ყრილობის შემდგომ მოვლენებს: „ამას დაერთო მწერალთა კავშირის (იგივე ხელისუფლების) დირექტივები: რა, როგორ და რაზე უნდა ეწერა შემომქმედს... 1932 წლის საკავშირო „ისტორიულმა“ დადგენილებამ, შემდეგ კი სისხლიანმა 1937 წელმა გამოუსწორებელი ლახვარი ჩასცა არამცთუ ქართულ მოდერნიზმს, არამედ „დამღუპველად იმოქმედა“ მოუთვინიერებელ თუ მოთვინიერებულ მწერლებზეც – მათი ფიზიკური მოსპობით ან სოციალისტური რეალიზმის ხუნდებში მოქცევით“ (ლალი ავალიანი, „ქართული მოდერნიზმის იძულებითი დასასრული“, კრებულიდან „ქართული მოდერნიზმის ტიპოლოგია“, თბილისი, 2016 წ.).

„დამღუპველად მოქმედებს“ – ეს სიტყვათა შეთანხმება პაოლო იაშვილმაც ახსენა, 1928 წლის 7 მარტის მწერალთა კავშირის სხდომაზე: „ჟურნალ-გაზეთებში მთელ რიგ შემთხვევაში უმართებულოდ და უხეშად ესხმიან თავს ქართულ მწერლობას... ეს დამღუპველად მოქმედებს ლიტერატურის განვითარებაზე.“ (ჟურნ. „ქართული მწერლობა“, 1928 წ.)

გავიდა დიდი დრო და, 1981-1986 წლებში, რუსთაველის თეატრის რეკონსტრუქციასთან ერთად, „ქიმერიონის“ მოხატულობის აღდგენაც დაიწყო. ეს იყო სრული ფანტასტიკა: საღებავის


ექვსი ფენა თანმიმდევრულად, ფრთხილად, სკალპელებით უნდა გადაეცალათ. ბოლოს და ბოლოს სივრცემ ფერებით ამოანათა... მაგრამ სამწუხაროდ, მხოლოდ ნაწილის აღდგენა გახდა შესაძლებელი. სამუდამოდ დაიღუპა და რესტავრაციას აღარ დაექვემდებარა სუდეიკინის მთელი კედელი, ქართველი პოეტების პორტრეტებით: პაოლო, ესპანური შალით და ყანწით ხელში, ტიციანი პიეროს კოსტიუმში, ნინო ტაბიძე – კოლომბინა და სუდეიკინის მეუღლე ვერა სუდეიკინა ქართული ფრესკების კოლორიტში... ასევე სუდეიკინის სტილიზებული ავტოპორტრეტი. დაიკარგა ვალიშევსკის, ზდანევიჩის ნამუშევრები, გუდიაშვილის მოხატულობა „დარაჯი მელა“ და ა. შ.


„ქიმერიონის“ რესტავრაციის იდეა და განხორციელებისთვის გადადგმული პირველი ნაბიჯები ეკუთვნის აკაკი ბაქრაძეს, რომელიც რუსთაველის თეატრის დირექტორი იყო და მის მიერ მოწვეულმა ექსპერტებმა ერთმნიშვნელოვნად დაასკვნეს: საღებავების მიღმა კედლის მხატვრობა იყო შემორჩენილი. და მაინც, როგორ გადარჩა?

აუხსნელ საიდუმლოთა სფეროს მივაკუთვნებთ დიდი რეჟისორის, რობერტ სტურუას სიტყვებსაც: „მადლობა უნდა ვუთხრათ იმ უცნობ, უბრალო ადამიანებს, რომლებმაც არ ჩამოფხიკეს კედლები, როგორც ნაბრძანები ჰქონდათ და ქართველ ხალხს შეუნარჩუნეს ეს პატარა შედევრები“

სერგეი სუდეიკინმა ტფილისიდან გამგზავრებისას, თურმე ისე განიცადა ამ მოხატულობათა დაზიანების და განადგურების ისტორია, ითხოვდა: არასოდეს, არავის აღარ შეეხსენებინა ეს ამბავი, რომელიც გულს საშინლად სტკენდა.

სუდეიკინს მსგავსი განცდები ადრეც ეწვია, როცა 1919 წელს, პეტერბურგში, მისი შემოქმედებით დამშვენებული კაბარე „ბროდიაჩაია სობაკა“ დახურეს, ვითომდა, ალკოჰოლით უნებართვოდ ვაჭრობის გამო. მერე ეს ადგილი გაყიდეს და მალე მისი კედლის მოხატულობა განადგურდა, თანდათან კვალიც აღარ დარჩა მხატვრის





პეიზაჟი "ქიმერიონის" სამხრეთ კედელზე (ფოტო. რესტორანი "ანონა")

შემოქმედების... მაგრამ იმავე წელს ხომ სუდეიკინი საქართველოში მიიწვიეს, როგორც დიდი მაესტრო!.. თითქოსდა, პატივაღდგენილი სუდეიკინი ფიქრობდა: კედლის მხატვრობის პეტერბურგულ გამოცდილებას ტფილისში გადაიტანდა და ხელოვნების ძეგლად სამუდამოდ აქცევდა.


ნაწილობრივ ასეც მოხდა. მართალია, „ქიმერიონის" მისეული ფრესკები განადგურდა, მაგრამ დარჩა კედლის მოხატულობის რაღაც ნაწილი და ხსოვნა დიდ მაესტრო სერგეი სუდეიკინზე, „ცისფერყანწელთა" საუკეთესო მოგონებებით. მისი, როგორც მხატვარი მონუმენტალისტის, კვალი იყო თბილისის ერთ-ერთ უბანშიც: გალაკტიონ ტაბიძის ქ. ნომერი 21. შენობის პატრონს, თუმანიშვილს, ბინაში „საშინაო თეატრი" ჰქონია და ფოიეს მოსახატად სერგეი სუდეიკინი მოუწვევია. დამკვეთს 30 მეტრი სივრცის მოხატვა შესთავაზეს და მხატვარმაც მისთვის ჩვეულ სტილში დახატა: არლეკინი, კოლომბინა, ჯამბაზები, ფრინველები, ნიღბები... „ცისფერყანწელთა" ლექსების პერსონაჟები და სახეები... მოდერნისტული ტფილისის ინტონაციები.

ლიტერატურული ურთიერთობების მკვლევარ მამია ჩორგოლაშვილის განმარტებით: „1920 წელს ამ სახლში შვიდი ოთახი დაიკავა ნიკო ნიკოლაძის ოჯახმა. მართალია, ბინას რემონტი გაუკეთეს, მაგრამ ფოიეს მოხატულობა პირველადი სახით დატოვეს. ამ დარბაზში არაერთი შეხვედრა მქონია პროფესორ რუსუდან ნიკოლაძესთან და სიმართლე რომ ვთქვა, გაოცებას და აღტაცებას ვერ ვმალავდი. ხუმრობა ხომ არ არის, იჯდე იმ ოთახში, სადაც არაერთხელ ყოფილან გამოჩენილი ადამიანები, ოჯახის წევრები – გიორგი ნიკოლაძე, ოლღა გურამიშვილი, ნიკო მუსხელიშვილი... და მაინც, ფრიზის მოხატულობას ყოველთვის მოკრძალებით შევცქეროდი. რა კარგია, რომ ნიკოლაძის ოჯახმა ერს შემოუნახა დიდი მხატვრის სიყვარულით შესრულებული ფრესკები. დღესდღეობით იგი პირველი ნამუშევარია კედლის მხატვრობის თვალსაზრისით, რომელიც სერგეი სუდეიკინმა თბილისში დატოვა" (მ. ჩორგოლაშვილი, „თითქოს აქ ვიყო დაბადებული", თბილისი, 1990, გვ. 175).

ჩვენი ვიზიტი ამ მისამართზე სამწუხარო რელობით დასრულდა: გ. ტაბიძის ქ. 21-ში სუდეიკინის მოხატულობა იავარქმნილი დაგვხვდა.

ტიციან ტაბიძე პაოლო იაშვილის და სუდეიკინის პირველ შეხვედრას აღწერს: „პირველი შეხვედრა, როგორც ყოველთვის, იყო პაოლო იაშვილი. წვიმიან აპრილის დღეს ჩვენ მოვხვდით კაფე „დარბაზში“... პირველი გრძნობა, რომელიც შეიძლება შენიშნო – სუდეიკინის აღტაცება პაოლო იაშვილით. ეს არც ტრადიციის სტუმართმოყვარეობაა – ეს არის პაოლო იაშვილის ახალგაზრდა სიხარული – მისი პირველი სახე პუშკინის მეგობრებში: გაბედვა, პათოსი, მოცარტობა. სუდეიკინი გრძნობს ამას, როგორც არტისტი.“


„ქიმერიონის“ ფრესკებივით არაერთგზის წაიშალა მათი სახელები. დარჩა რეტუშირებული წარსული... და არტისტული ქალაქის ლიტერატურული მოდერნიზმი, რომლის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე კლასიკად იქცა.




არტისტული ბოჰემა...

„პოეტმა უნდა გააზღაპროს თავისი ავტობიოგრაფია“ (ვ. გაფრინდაშვილი) და ალბათ გარემოც, რომელიც ვარიაციაა მათივე არტისტიზმის, ამ ელვარე პიროვნებათა ბოჰემური პორტრეტების.

XX საუკუნის დასაწყისის ქართული ბოჰემა შინაარსობრივად ორთოდოქსური ბრძოლა იყო კონსერვატიზმის წინააღმდეგ, მაგრამ გარეგნულად რომანტიკულ, კეთილშობილად არტისტულ იერს ატარებდა. ეროვნული ხასიათი თბილისის ბოჰემას აქცევდა ფანტასმაგორიად. იგი, თუნდაც მეტისმეტად ბუფონადური სახით წარმოდგენილი, იყო შეფარულად ტრაგიკული, ოდნავ სასოწარკვეთილი შინაგანი პროტესტის ფორმა.



იტალიელი მკვლევარი ლ. მაგაროტო ძველი თბილისის ეგზოტიკურ მოტივებთან (გოგირდის აბანოები, ყარაჩოხელები, აშუღები, კინტოები) დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ამ ტიპის ბოჰემა იმ დროინდელი ტფილისის ნამდვილი ცხოვრებისათვის არ არის ნიშანდობლივი და რომ განსხვავებით მათგან, „ცისფერყანწელთა“ ბოჰემა კარგად გამოხატავს ქართული ინტელიგენციის სახეს და თავისი ინდივიდუალური დაღით, უფრო ევროპასთან არის მიახლოებული.



„ცისფერყანწელებზე“ საუბრისას მკვლევარი ცალკე გამოჰყოფს მათ დახვეწილ ბოჰემას, როგორც საქართველოსთვის დამახასიათებელს და ასხვავებს ხელოვნურად ეგზოტიკური და რუსული „მუჟიკური“ პოეზიის ბოჰემისგან.



პაოლო იაშვილის მეუღლის, თამარ ოქრომჭედლიშვილი-სერებრიაკოვას მოგონებიდან: „1920 წლიდან, როდესაც შემისრულდა 16 წელი, მამას საღამოობით დავყავდი თეატრებში, კონცერტებსა და წვეულებებზე. თბილისში ხშირად ეწყობოდა საქველმოქმედო საღამოები, სადაც „დიასახლისებად“ იწვევდნენ რომელიმე ცნობილ ქალბატონს... ამ საღამოებზე გამოდიოდნენ მომღერლები და პოეტები, იყო მუსიკა და თითქმის ყოველთვის მოხდენილი ექსპრომტებით საზოგადოებას თავს ამახსოვრებდა ახალგაზრდა პოეტი პაოლო იაშვილი. ის ადიოდა ესტრადაზე ან რესტორნის ცენტრში მაგიდაზე დგებოდა და სათითაოდ ყველას მიმართავდა... პაოლოს ექსპრომტები ძალიან ენამახვილი, კვიმატი იყო, მაგრამ ადრესატები ყოველთვის კმაყოფილნი რჩებოდნენ და უხვად გასცემდნენ თავიანთი ჯიბიდან ფულს იმ ლანგარზე, რომელსაც ჩამოატარებდა ქალბატონი ან გოგონა...

ერთ-ერთ ასეთ საღამოზე, მამის თანხმობით, მეც მიმიწვიეს, რათა მაგიდებს შორის ყვავილები გამეყიდა. იმ საღამოს მამაჩემმაც შეუკვეთა თავისთვის მაგიდა. პირველად მოვირგე მაღალქუსლიანები და ამით თითქოს ბავშვობის ზღურბლი გადავლახე. რომელიღაც შესასვლელთან, მაგიდებს შორის, გადავეყარე პაოლოს. გავიარე რამდენიმე ნაბიჯი, უკან მოვიხედე და დავინახე მისი გამჭოლი, დაჟინებული მზერა. პაოლომ შემამჩნია და გაიგო ვინ ვარ. თუმცა, ყურმოკვრით ადრეც იცოდა ჩემს შესახებ. ეს იყო 1921 წლის თებერვალში“...

ᲩᲝᲮᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲓᲔᲠᲜᲘᲖᲛᲘ

...და მაინც, სად გადის მოდერნის მთავარი ხაზი, მეოცე საუკუნის რომელი ლიტერატურული მიმდინარეობა ჩაითვლება „ჭეშმარიტად ძველთაძველის“ ანტაგონისტად და სიახლედ?

„სად არის მემარცხენეობა პოეზიაში: „დადაიზმი“ თუ „ცისფერი ყანწები?“ – კითხულობს ტიციან ტაბიძე 1918 წელს.



ქართველი დადაისტების ანუ, როგორც პოეტმა გრიგოლ ცეცხლაძემ უწოდა, „ჩოხიანი დადაისტების" მოღვაწეობა ეფემერული გამოდგა. გარდა იმისა, რომ ვერც ერთმა ქართველმა „დადაისტმა" ვერ გაითავისა მანიფესტში ჩამოყალიბებული ამ უცნაური სკოლის დოგმატიკა, თვით სახელდებაც სრულიად არაადეკვატური აღმოჩნდა ისევე, როგორც სათაური ტიციან ტაბიძის ლექსისა „დადაისტური მადრიგალი". იტალიელი მეცნიერი ლუიჯი მაგაროტო სამართლიანად აცხადებს, რომ ამ ლექსში დადაისტური მიმდინარეობის არც ერთი ელემენტი არ იძებნება.

„ჩოხიანი დადაისტების" ანალოგიით, ტფილისის ყველა ლიტერატურული ექსპერიმენტი, ყველა „იზმი" ნაციონალურ ელემენტებს ვერ იცილებდა. თითქოს, ყველა ეროვნულ ტანსაცმელში იყო გამოწყობილი და ამავე დროს „ფრაკი" და „ბინოკლი" დამატებით აქსესუარებს წარმოადგენდა. ნაციონალური სამოსი, თუნდაც წარმოსახვითი, მათთვის ნგრევის და უარყოფის პათოსს ვერ ზღუდავდა.

პოეტი გრიგოლ ცეცხლაძე, ქართული „დადას" ერთ-ერთი თეორეტიკოსი, აგრეთვე საქართველოში „სინთეტისტების სკოლის" შემქმნელი, ასაბუთებდა, რომ პოპულარობა ლიტერატურული პროცესის შემოქმედებით მხარეზე დამღუპველად მოქმედებს. საჭიროა მრავალი ექსპერიმენტი, მეტამორფოზა და „იზმი", რათა დავინახოთ „პოეზია მომავლის" და არა „პოეზია დღევანდელი დღის"... ტერმინი „ჩოხიანი დადაისტებიც" მას ეკუთვნის.

დღევანდელი დღის პოეზიისგან დისტანცირება არ იყო მათი თვითმიზანი და როგორც შემდგომ აღმოჩნდა, ისინი ისტორიულ სინამდვილესაც უპირისპირდებოდნენ.

ქართველ მწერალთა მეორე ფრთა, კერძოდ ფუტურისტული ხელოვნების წარმომადგენლები, „იზმებს" სიმბოლიზმის კრიზისად მიიჩნევდნენ.

1924 წელს, თბილისში, ჟურნალ „H_2SO_4" ის პირველი ნომრის გამოსვლა ქართული ხელოვნების არსებული პოზიციების დარღვევისთვის იყო გამიზნული. იქამდე გამოქვეყნებული ქართველი ფუტურისტების პირველი მანიფესტი: „საქართველო-ფენიქსების ქვეყანა" იყო წარსულსა თუ აწ-



სერგეი სუდეიკინი, "ქიმერიონი", 1919 წ. ტილო, ზეთი

მყოში არსებულ ლიტერატურულ ტექსტებთან ოპოზიცია, უპირველესად კი დაპირისპირება ე.წ ქართულ სიმბოლიზმთან და მათივე განმარტებით, „რევოლუცია პოეზიაში, როგორც ყოველი ფსიხიკის, ისე პოეზიის სტრუქტურის ნგრევის პროცესი".

მათი მტკიცებით, „ძველ საფეხურებზე მდგომ შკოლების (ყანწები, პროლეტარული პოეტები, ხომალდები, ილიონები და ძველი მწერლობა) შენაცვლით გამოდის H_2SO_4" და ფუტურიზმი „სხეულის ნაწილივით ატარებს დადას" (ჟურნ. „H_2SO_4", №1, 1924).

ქართველ ფუტურისტთა თეორიული ორიენტაცია და ახალი გზის მონიშვნის მცდელობა, მათი განცხადებით, „ნივთების კონსტრუქციისა" და „ნივთების დინამიზმის" სინთეზის აუცილებლობაში იქმნებოდა. პარალელურად ლიტერატურაში სცადეს მოეხდინათ, როგორც თავად წერდნენ: „ორგანიზაცია მასიური მოძრაობის და კონსტრუქცია", რაც სათავეშივე წარუმატებლობისთვის განწირული აღმოჩნდა ისე, როგორც მათივე ცდა ერთგვარი ქაოტური წესრიგისა თუ „ტაქტი ქაოტური დალაგებების".

ქართველი ფუტურისტების ბელადი სიმონ ჩიქოვანი ათეული წლების შემდეგ იგონებს: „ამ ჯგუფს „მემარცხენეობა" ვუწოდეთ. ქართულ და რუსულ პოეზიაზე გაზრდილი გახლდით, ქართველ მგოსანთაგან განსაკუთრებით მიყვარდა ბარათაშვილი და ვაჟა. რუსებიდან ტიუტჩევი. გასაგებია, რომ ფუტურიზმის პოზიციებზე გადასვლა ჩემთვის მტკივნეული იყო".

ლიტერატურული ექსპერიმენტები და უარყოფის პათოსი მხოლოდ და მხოლოდ უარყოფისთვის, როგორც ხელოვნური ჟესტი, წარსულთან და აწმყოსთან კონფლიქტის შედეგი გახლდათ, რაც მოგვიანებით შინაგან კონფლიქტად და საბოლოოდ, მათ მიერვე გამოცხადებული უარყოფის უარყოფადაც გადაიქცა.



დავით კაკაბაძე, ესკიზი "ქიმერიონის" პანოსთვის. 1919 წ. ქაღალდი, აკვარელი, გუაში

ცნობილია, რომ კანონიკური ფუტურიზმისთვის სრული პარადოქსია შემოქმედებაში ლიტერატურული წინაპრების დადებით კონტექსტში მოხსენიება. მათ კი ბარათაშვილის თუ გურამიშვილის სახელები ექსპერიმენტულ ლიტერატურულ ტექსტებში პერსონალიებად შემოიტანეს.

ქართული ფუტურისტული პოეზიისთვისაც, განვითარების ამ ეტაპზე, კონფლიქტი წარსულსა და მომავალს შორის მხოლოდ დეკლარაციის და მანიფესტების ჩარჩოში დარჩა.

ლუიჯი მაგაროტო თავის გამოკვლევაში „ქართული ავანგარდიზმის თეორია და ისტორია" ფუტურისტულ მიმდინარეობაზე საუბარს ასე ამთავრებს: „H_2SO_4"-ის გამოცდა, რაც ძალიან მალე დამთავრდა, არ გვთავაზობს მთლიან შემოქმედებით გეგმას, არც რეალიზაცია-დამუშავებას, არამედ ის იფარგლება მარტოობით, ინტუიციით, შემოქმედებითი თეორიისა და პრაქტიკის უბრალო გახლეჩვით, რასაც არც განმარტება აქვს და არც სისტემურობა... და მაინც, ექსპერიმენტების არათანმიმდევრულობის გამო „H_2SO_4" არ განიცდის არც შესაძლო და მოსალოდნელი წარუმატებლობის სირთულეს და არც იმის იმედგაცრუებას, ვისაც თავიდან აქვს ყველაფერი დასაწყები. საბოლოო და გადამწყვეტი დამარცხება კიდევ წინ არის."

თუ რა იყო ქართველი ფუტურისტების ის „საბოლოო და გადამწყვეტი დამარცხება" ამას შემდგომი ეპოქა წარმოაჩენს. მან ვერც ლიტერატურული მოდერნის მოყვარულთა სულიერი მოთხოვნილებების და ვერც სოციალურ-პოლიტიკური იდეების მქადაგებელთა ინტერესები დააკმაყოფილა, მიუხედავად ნიჭიერი ადამიანების თავგამოდებული ექსპერიმენტებისა და ემოციური აღიარებებისა, რითაც ფუტურისტულმა მოძრაობამ ოდენ საკუთარი წრე და იმიჯი შექმნა ტფილისის მრავალფეროვან ლიტერატურულ ფონზე.

რუსეთის და ევროპის სიმბოლისტურ თუ მოდერნისტულ სკოლებთან მიახლოებამ, ცალკეულმა მსგავსებამაც, ვერ გამოიწვია მხოლოდ ბრმა გავლენები თუ ერთგვაროვნება და ტფილისის ლიტერატურულმა მოდერნმა, ყველაზე გამორჩეულად კი „ცისფერყანწელთა ორდენმა“, თავისი ორიგინალური და გარკვეულად აკადემიური ლიტერატურული სახეც გამოხატა და შეინარჩუნა.

1928 წელს სრულიად საქართველოს მწერალთა II ყრილობის ტრიბუნიდან რადიკალურად განსხვავებული მსოფლმხედველობის მწერლები იდგნენ: არისტო ჭუმბაძე – აკადემიური მწერლობის ასოციაციიდან, ბესარიონ ჯღენტი – მემარცხენე მწერლობის ჯგუფიდან, პაოლო იაშვილი – „ცისფერი ყანწების“ წარმომადგენელი, ბენიტო ბუაჩიძე – „პროლეტარული მწერლობის ასოციაციიდან“, გერონტი ქიქოძე – „არიფიონის“ დამაარსებელი.

იმ დღეებში სამწუხაროდ, ქართული მწერლობის დამოუკიდებლობის ეპოქა მთავრდებოდა...

ფორმისმიერი ძიებების პროცესების დეკლარირება საქართველოში ოფიციალურად შეწყდა მას მერე, რაც ჩამოყალიბდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი... შემოქმედებითი დამოუკიდებლობა დაახლოებით ისევე და იმ დროს დასრულდა, როგორც ტფილისური ლიტერატურული ბოჰემა და ისე, როგორც მოდერნიზმი ტფილისში.

რა დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ დროის გადასახედიდან, ათიანი წლების ლიტერატურული ატმოსფეროდან, უპირველესად, ქართულენოვანი ტექსტების და ქართული ლიტერატურული პროცესების შესახებ. ტფილისის მაშინდელი სტუმრები (ყველაზე დიდი ხნით დარჩენილნიც კი) მეტ-ნაკლები პოპულარობით, საბოლოოდ, რუსულენოვანი კულტურის კუთვნილება გახდნენ. ისინი საქართველოს უწოდებდნენ „სამოთხეს ევფრატს გადაღმა“ (ი. ბუნინი) და ყველაზე თამამი შემოქმედებითი ექსპერიმენტების განხორციელება სწორედ ტფილისში შესძლეს.

ქართული ლიტერატურული მოდერნის ეროვნულმა ორიენტაციამ კი არსებითად განსაზღვრა მთავარი ხაზი თუ მიმართულება. ამიტომ მისი მსოფლმხედველობაც ტრადიციონისტურია.

მეოცე საუკუნის დასაწყისის ლიტერატურული პროცესები ქართული მწერლობის ისტორიამ მოამზადა. ქართული ლიტერატურული მოდერნის უკედურესი ძიების მომენტებიც წარსულის მემკვიდრეობის პირდაპირ თუ არაპირდაპირ გავლენას გულისხმობს.


„და გულში გივლის მტკივან ალივით შენ რუსთაველის მერიდიანი...“ (პ. იაშვილი).

„რუსთაველიდან დაიწყო გზა ძვირფასი ქვებით მოკირწყლული...“ (შ. აფხაიძე).

„არტურ რემბოსთან ბოროტ ტყუპად ჩახუტებული, მადგამენ გვირგვინს თეიმურაზ და ჭავჭავაძე...“ (გ. ლეონიძე)

„თვით პოეზიას ურიდებლად ვახურავთ ჩალმას, მაგრამ სავსეა სიყვარულით თვალის უპეები...“ (ტ. ტაბიძე).

ამავე სივრცეში არსებობდა გაცნობიერებული და სიამოვნებით მიღებული ლიტერატურული გავლენების მაგალითებიც... რემბოს „მთვრალი ხომალდი“ ტორტმანებს ტრანსცენდენტურ სამყაროში, ანდრეი ბელი „არგოს“ პორტიდან არა მარტო სამშობლოს, არამედ, მთლიანად ამქვეყნიურ სამყაროს შორდება. ტიციან ტაბიძე კი თავისი „არგონავტებით“, მშობლიურ კოლხეთის ნაპირებთან მიცურავს და თან მიაქვს „ქალდეას ქალაქების“ მითი, „აპოკალიფსის თეთრი იმედი, გზა შორეული, ქიმერია, ქალდეა, ჟღალი კავკაზი“...



ვასილი კამენსკი, "ტფილისის რუკა", 1917 წ.

„თბილისი გამოვაცხადეთ პოეზიის სატახტოდ. მივეცით ბრწყინვალება ქართულ ბოგემას და ქუჩებში ვცემდით და ვლეწავდით საქართველოს მტრებს. ჩვენ დავაარსეთ ორდენი – პოეტების ძმობა...“ (პაოლო იაშვილი).

ტრადიციის და ქართული მოდერნის (რომელიც მოდერნის ესთეტიკას ბოლომდე ითვალისწინებს), სინთეზი არ იქცა ეკლექტიზმად და როგორც ორი აუცილებელი მომენტი შეხვდა ერთმანეთს.

„პოეზიაში არის მარადი ტრიალი, – წერს ვალერიან გაფრინდაშვილი – მომავალში მოსჩანს წარსული და წარსულში მომავალი. პოეზიაში იმდენი სახეები და იდეები დაეხეტება, ისინი ისე გულმოდგინედ დაეძებენ ერთმანეთს, რომ შეხვედრა აუცილებელია“

ქართული მოდერნის იდეოლოგია სოციალურ საკითხებთან არ ყოფილა დაკავშირებული. პოზიცია თავიდანვე გაირკვა, როცა გაზეთი „ბარრიკადი“ წერდა: „საქართველოში მოდერნიზმში მოცემულია ერთი ფორმა – წმინდა ესთეტიური, უმეტესად სინთეტური“. ქართველ ფუტურისტთა სოციალურ საკითხებთან მიახლოების ცდები (რუსი ფუტურისტების, განსაკუთრებით ვ. მაიაკოვსკის გავლენით) საბოლოოდ, მხოლოდ ესთეტიკური რევოლუციით მთავრდებოდა.

ქართული მოდერნიზმის ისტორიაში არც ერთი „იზმი“ არ გახდა ორთოდოქსალური. ეს ექსპერიმენტები იყო ქართული მწერლობის დიდი შემოქმედებითი ლაბორატორია, შინაგან ლოგიკას დაყრდნობილი დიალექტიკური პროცესი, როდესაც, საბოლოოდ, მნიშვნელობა მიენიჭა არა იმას, თუ საიდანაც გამოვიდა მწერალი, არამედ იმას, სად მივიდა, რა ღირებულებები შემოგვთავაზა და რის უარყოფაში იყო ის ასე კატეგორიულად თანმიმდევრული...

P. S. ჩვენი საუბარი იტალიელ მეცნიერთან, ვენეციის უნივერსიტეტში გამოცემული წიგნის რედაქტორთან, ლუიჯი მაგაროტოსთან კრებულის „L'avanguardia a Tiflis" გამოსვლის შემდეგ შედგა. ფრაგმენტები საუბრიდან:

ლ. მაგაროტო: კრებულში მითითებული გვაქვს ყველა ის წყარო და მასალა, რაც წიგნზე მუშაობისას გამოვიყენეთ. ჩემს სტატიაში განვითარებული მაქვს ორი ხაზი: „ცისფერყანწელები", სადაც დავეყრდენი შემდეგ პერიოდიკას: „ცისფერი ყანწები", „მეოცნებე ნიამორები", „ბახტრიონი", „ბარრიკადი", „ARS" და სხვ. ანალიზისთვის ვიყენებდი „ცისფერყანწელთა" ლექსებს. მეორე ხაზი გახლავთ ფუტურიზმი, სადაც გამოვიყენე ს. ჩიქოვანის „მანიფესტი აზიას", ჟურნალები: „ფენიქსი", „H_2SO_4", „ლიტერატურა და სხვა", „მემარცხენეობა" და ე.წ. ქართველ ფუტურისტთა ლექსები.

ავანგარდისტები პრინციპში ნოვატორები არიან, მაგრამ მათ შემოქმედებაში შეიმჩნევა გარკვეული გამეორებები. საერთოდ, ამ ტიპის მოვლენებზე საუბარი დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. კვლევა უნდა ჩატარდეს წინასწარ განსაზღვრული და დაკანონებული დებულებების გარეშე. ერთმანეთში არ უნდა აირიოს თეორიული პრინციპი და ავანგარდისტული პოზა... ისინი ზოგჯერ წერენ სერიოზულად და არის მომენტი, როცა წერენ განზრახ არასერიოზულად. ავანგარდს თან ახლავს ერთგვარი თამაშის პროცესი, სიტყვით თუ ფერით ჯამბაზობა. პოზა მჟღავნდება წმინდა გარეგნულ მხარეებშიც (მაგალითად, ტიციან ტაბიძის მიხაკი)... ჩაცმულობა, ჟესტი, ურთიერთობის მანერა... ამგვარი პოზები შემოქმედებაშიც გადადის.

მე აქ არ ვგულისხმობ შინაგან მედიტაციებზე დაყრდნობილ წმინდა სიმბოლიზმს. წმინდა სიმბოლიზმის წარმომადგენლებს, თავიანთი ფილოსოფიური მრწამსის გამო, ეფექტებისთვის არ ეცალათ. ამას განსაზღვრავდა ქვეცნობიერის შრეებში წვდომა, საგანში გამოხატული მსოფლიო ნების და საგნების მარადიული ფორმების ძიება.

ნ. ხოფერია: კრებული ავანგარდის ცნებას შინაარსობრივად დიდ მასშტაბში აქცევს და საუკუნის დასაწყისის ყველა ახალ, რადიკალურად განსხვავებულ ტექსტებსაც ერთი სათაურის ქვეშ ათავსებს. რა ამთლიანებთ მათ? მხოლოდ ფორმის ძიება?.. დამეთანხმებით, რომ „ცისფერ ორდენს" არ მიუღია ორთოდოქსული სიმბოლიზმის მთლიანი სახე (პირველ რიგში, ემპირიის სრული უარყოფა) და სიმბოლისტური სკოლების გამოცდილებისთვის, გამოსახვის ტრანსცენდენტური საგნისთვის სტრუქტურულად ახალი ფორმები არ შეუმატებია. როგორ ფიქრობთ, ევროპული და რუსული სიმბოლიზმისგან განსხვავებით, რატომ არ მიიღო ანალოგიურმა ქართულმა მიმართულებამ კანონიკური სახე?

ლ. მაგაროტო: ავანგარდიზმი ხასიათდება რამდენიმე მომენტით: რამდენიმე ადამიანი (ძალიან მცირე რაოდენობა) აარსებს დაჯგუფებას. ამის შემდეგ ისინი წერენ მანიფესტს, რომელიც განსაზღვრავს მიზანს და მიმართულებას. მანიფესტის უმეტესი ნაწილი განსაზღვრავს, როგორ არ უნდა წერონ, ხოლო უფრო მცირე ნაწილი იძლევა რეკომენდაციას, როგორ უნდა წერონ. შემდეგ იწყებენ თავიანთ შემოქმედებას. მათი გამოჩენა შემოქმედებით ასპარეზზე იყო საჯაროდ სკანდალური, წინააღმდეგობრივი, ვინაიდან ხდებოდა ძველი ფასეულობების გადაფასება. პაოლო იაშვილის სტრიქონები: „პაოლო იაშვილს მომეწყინა ყვითელი დანტე,/ ვაქებდი შექსპირს, მაგრამ ფარდა: შექსპირს უარი./ რა ვქნა, რომ ჩემთვის ბეთხოვენი მხოლოდ ყრუ არის/ და რომ წარსულმა ვერ გადმომცა მე ანდამატი"... – ეს არის არტისტულ-ავანგარდისტული პოზა ნიჭიერი პოეტის, რომელიც ასრულებდა ლიდერულ როლს...

მეორე მომენტი უკვე შემოქმედების განვითარებაა. მაგალითად, კრიუჩონიხისთვის იყო ექსპერიმენტი, „ცისფერყანწელთათვის" – ნათელი შემოქმედებითი სამუშაო.



დადო გუდიაშვილი, "ცისფერყანწელები". ჟურნალი "ფენიქსი", 1919 წ. № 1.

„ცისფერყანწელთა" მოღვაწეობას დიდი სიამოვნებით დავუკავშირებდი ტერმინ „პოსტსიმბოლიზმს". რაც შეეხება განსხვავების მომენტებს: არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართველი „ცისფერყანწელები" არ იყვნენ ფილოსოფოსები, როცა რუსეთში სიმბოლიზმი დაიბადა ფილოსოფოსთა შორის. „ცისფერყანწელებს" ფილოსოფიის სფეროში არ განუზრახავთ რაიმე ახლის შექმნა. პოეტი შეიძლება იყოს დიდი ლირიკოსი, მაგრამ არ იყოს ფილოსოფოსი. არსებობენ გენიალური გამონაკლისები, როცა პოეტი ლირიკოსიც არის და ფილოსოფოსიც. მაგალითად, დანტე, რუსთაველი.

ფილოსოფიასთან დიდი შეხება აქვს, მაგალითად ანდრეი ბელის, რუსული სიმბოლიზმის თეორეტიკოსს.

„ცისფერყანწელები" არიან წმინდა წყლის ლირიკოსები. ეს მათი არჩევანია.

გარდა ამისა, „ცისფერყანწელებს" არ შეეძლოთ მიეღოთ წმინდა კანონიკური სიმბოლიზმის სახე. ვინაიდან, როდესაც მათ დააარსეს თავიანთი დაჯგუფება, რუსეთშიც და ევროპაშიც სიმბოლიზმი განვლილი ეტაპი იყო. იმ დროს უკვე გაჩნდა ფუტურისტული მანიფესტებიც. „ცისფერყანწელები" არ იყვნენ უვიცები. მათ ეს და სხვა ბევრი რამ იცოდნენ.

ნ. ხოფერია: ნუთუ, მთავარი მიზეზი დროში აცდენაა და სხვადასხვა ერების ლიტერატურული პროცესები მხოლოდ პარალელურ დროში ხდებიან ანალოგიურნი? მაგრამ თუ ფრანგული სიმბოლიზმის დასაწყისს ჟან მორეასის მანიფესტს ან ბოდლერის „ბოროტების ყვავილების" 1857 წლის გამოცემას მივაკუთვნებთ, იქვე დავინახავთ, რომ რუსული სიმბოლიზმის ხაზების გახსნა მოგვიანებით, 1894 წელს იწყება, როცა გამოდის ბრიუსოვის კრებულები. ფრანგული

სიმბოლიზმის გამოცდილების გაზიარებამ ახალ რუსულ პოეზიას არ შეუშალა ხელი შეექმნათ ორთოდოქსულ-სიმბოლისტური მიმდინარეობა. როგორც ჩანს, ეროვნული თავისებურებანი, ნაწილობრივ მაინც, განსაზღვრავს ლიტერატურულ მიმართულებებს... ასევე რეალობაა, რომ დროში პარალელური არსებობა ბადებს ლიტერატურულ პროცესებს... ხომ არსებობს ცნება: ამა თუ იმ დროის შვილები... „არსებობს ატმოსფერული გავლენა იდეების", – წერს რობაქიძე და ეს ისტორიულად ძალიან დამაჯერებლად გამოიყურება.

ლ. მაგაროტო: დიდი მნიშვნელობა აქვს დროის ფაქტორს. 1916 წელს, „ცისფერი ყანწების" პირველი ნომრის გამოსვლისას, უკვე მომწიფდა სიტუაცია, მომწიფდა ლიტერატურული პროცესები. აღარ არსებობდა რუსული სიმბოლიზმი, არსებობდნენ მხოლოდ პოეტები: ბლოკი, ბრიუსოვი... აღარ არსებობდა ფრანგული სიმბოლიზმი, არსებობდნენ მხოლოდ პოეტები: ბოდლერი, მალარმე... სკოლების თეორიული გამოცდილებები ზოგადად პოეზიის გამოცდილებად იქცა. თითოეული „იზმის" გამოცდილება მეტ-ნაკლებად გაიზიარა ქართულმა ლიტერატურამ. სწორედ რამდენიმე დღის წინ დამეთანხმა ბატონი კოლაუ ნადირაძე, რომ „ცისფერყანწელთა" პირველთქმა გარკვეულად „ფუტურისტული" მანიფესტების გავლენის ქვეშაა დაწერილი. საქართველოში არ შეიძლებოდა შექმნილიყო წმინდა სიმბოლიზმი, არც წმინდა ფუტურიზმი. დიახ, ნამდვილად არის მეორე ფაქტორიც: ეროვნული. ჩემი აზრით, არც ერთ ქვეყანაში ადამიანის აზროვნებაზე ისე არ მოქმედებს ტრადიცია, ისტორია, როგორც საქართველოში... ქართველი მოდერნისტების ცდებს ტრადიციის კვალიც ახლავს. ქართველმა ავანგარდისტებმა ინდივიდუალური გზა მონახეს მსოფლიო ავანგარდის გამოცდილების ფონზე. სწორედ აქ იწყება მათი ორიგინალობა და ერთადერთობა.

ნ. ხოფერია: თქვენი აზრით, რამ განსაზღვრა ამ ექსპერიმენტების არსებობა ქართულ ლიტერატურაში, გარდა იმისა, რომ პარნასი ეპყრათ მეცხრამეტე საუკუნის მწერალთა ეპიგონებს.


ლ. მაგაროტო: ეს ექსპერიმენტები მნიშვნელოვანი იყო ქართული ლიტერატურის მრავალფეროვნებისთვის. მაგალითად, მუშაობა სონეტის ფორმაზე. აღსანიშნავია ტ. ტაბიძის ცდები ლექსის მეტრიკაზე, სიმონ ჩიქოვანის ცდები ბგერწერაში. პაოლო იაშვილის მისტიფიკაცია: ელენე დარიანის დღიურები... ეს ყველაფერი თავისთავად საინტერესო იყო.


ნ. ხოფერია: რა გამოხმაურება გამოიწვია ვენეციის უნივერსიტეტში შედგენილმა ამ კრებულმა იტალიელ სპეციალისტთა შორის?

ლ. მაგაროტო: კრებული სპეციალისტებმა მიიღეს კარგად, არა მარტო იტალიაში, არამედ, დიდი მოწონება ხვდა შეერთებულ შტატებში, სადაც მას გამოეხმაურა ხუთი კვლევითი ხასიათის სამეცნიერო ჟურნალი. აღინიშნა, რომ ეს არის მსოფლიო მასშტაბში პირველი ცდა ქართული ლიტერატურის და ხელოვნების ამ პერიოდის შესწავლისა, რომ ეს არის სრულიად ახალი ფენომენი ლიტერატურის ისტორიის ინტერიერში. გერმანელი მეცნიერი ბერნალდ შოლდი აღნიშნავდა: „როდესაც ვლაპარაკობთ მსოფლიო ავანგარდზე, უფლება არ გვაქვს დავივიწყოთ ქართული ავანგარდი".

პირადად ჩემთვის, ქართული ლიტერატურის გაცნობისას, „ცისფერყანწელები" იყო ჩემი პირველი სიყვარული. ავანგარდისტები წერენ, რომ ლიტერატურასა და კრიტიკაში უნდა დაივიწყო პირველი სიყვარული. არ ვიცი, შევძლებ მე ამას თუ არა...

ნინო ხოფერია





ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, პოლაუ ნადირაძე

"გიდიოტინისთვის გამზადებული"

ქუთაისი, 1916 წ.



პაოლო იაშვილისა და ტიციან ტაბიძის ძეგლი ქუთაისში, "ცისფერყანწელთა" ქუჩაზე. მოქანდაკე გიორგი ჯაჯანიძე




1915 წლის დასაწყისში ახალი ქართული სიტყვის ქადაგებამ ქუთაისის თავზე გადამფრენ ფრინველთა სიმღერასავით გადაიქროლა. ქუთაისი შეშფოთდა. თვითრჯული ქალაქი: იგი მეტაფიზიკური „ობივატელობის“ უდავოდ გენიალური გამოხატულებაა და ამასთან, მეტისმეტად თავისებური.

ახალგაზრდები, რომელთაც თავიანთი ახალი სიმღერით ქუთაისის ქუჩების უდარდელი მყუდროობა დაარღვიეს, იყვნენ დამწყები პოეტები: პაოლო იაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ლელი ჯაფარიძე. ცხოვრების განცდის მოდერნისტული სტილი მხატვრული სიტყვის მწყობრ განსახიერებაში, – აი, რა იყო მათი აღთქმის სჯულის ფიცარი.

მეფე ბაგრატის მეფური ნანგრევები უტყვად უჭერდა მხარს მათში მსხვერპლისებური წვის შემოქმედებით ელემენტს.

„ქართული მოდერნიზმი“
გრიგოლ რობაქიძე



ქუთაისი, ხედი გაბაშვილის გორიდან და თეთრი ხიდი,
1890-იანი წლები



რიონის ტაძრები, ხედი თეთრი ხიდიდან

„ეს ის ადგილია
სადაც ქართველის,
სად შიც ქრისტიანის
იქაური ქცია...“

პაოლო იაშვილი



თეთრ ხიდზე ამოტვიფრული პაოლო იაშვილის სტრიქონები

№ 161 21 августа 1900

ЕГО ПРЕВОСХОДИТЕЛЬСТВУ

Господину Директору Кутаисской Гимназіи.


21/VIII 900

ПРОШЕНІЕ

Желая дать образованіе Сыну моему Павлу Д— ичу Ш— ли во ввѣренномъ Вамъ учебномъ заведеніи, имѣю честь просить распоряженія Вашего о томъ, чтобъ онъ былъ подвергнутъ надлежащему испытанію и медицинскому освидѣтельствованію и помѣщенъ въ тотъ классъ, въ который онъ, по своимъ познаніямъ и возрасту, можетъ поступить, при чемъ имѣю честь сообщить, что онъ приготовлялся къ поступленію въ приготов. классъ и до сего времени обучался въ школѣ Іосифа Ивановича Ц— а — — — потомуже Желаю, чтобы сынъ мой Павелъ въ случаѣ принятія его въ заведеніе, обучался въ назначенныхъ для того классахъ обоимъ новымъ иностраннымъ языкамъ, буде окажетъ достаточные успѣхи въ обязательныхъ для всѣхъ предметахъ, въ противномъ случаѣ французскому языку

При этомъ прилагаются свидѣтельства о возрастѣ, званіи и привитіи оспы

ხიბრაელ ნამუიელის თხოვნა ქუთაისის გიმნაზიის დირექტორისადმი, მისი ვაჟის, პავლე ნამუიელის სასწავლებელში მიღების თაობაზე, 1900 წ. 21 აგვისტო



По алф.

ДѢЛО

Яшвили
Павла
Дмитріевича
с Боярщина
Православнаго
Вероисповѣданія

Мѣсяцъ и чис.	Годъ.	№
2 августа	1892	
1 сент	1902	
	1900.	
14 сент	1911.	
24 января	1899.	11892
31 августа	1900.	2379
31 августа	1900.	1892
31	1900	901; 1901 902
	1902	903
	1903	904; 1904 905
	1905	906
	1906	907
	1907	908
	1908	909.; 1909/10
	1910/11	



პავლე იაშვილი, დაახლ. 1897 წ.




Мѣсяцъ и чис. Годъ. №

2 августа 1892г
1 сент 1902г.

нсіонъ на свой счетъ.

გიმნაზისტ პავლე იაშვილის პირადი საქმე.
დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პ. იაშვილი დაიბადა 1892 წ. 2 აგვისტოს



Павелъ Яшвили

...ыли съ ...ши

...слышали тишь

...въ первый разъ ...ыли.

Было ранние утро.

Учитель еще непришелъ.

Сообщились ученики

...ружили испуганно

Вачю и стали

спрашивать, кто онъ,

...но мальчикъ стоялъ

...ничего не отвѣчалъ.

3-

(2)

გიმნაზიის დაწყებითი კლასის მოსწავლის, პავლე იაშვილის დაწერილი თემა მასწავლებლის შეფასებით

СВИДѢТЕЛЬСТВО.

Предъявитель сего, бывший ученикъ седьмого класса Кутаисской мужской гимназіи Яшвили Павелъ Виссаріоновичъ, по происхожденію сынъ дворянина вѣроисповѣданія Православнаго родившійся 2го августа 1892 записанъ съ 1го сентября 1900 г. по 14 іюня 1911 года, былъ хорошаго поведенія и въ 1910/11 учебномъ году, при переходѣ изъ шестого класса въ седьмой, оказалъ слѣдующіе успѣхи:


По Законѣ Божіемъ	пять	(5)
Русскому языку	три	(3)
Философ. пропед.	~~~~	, ~~~~
Латинскому языку	три	(3)
Греческому языку	~~~~	„ ~~~~
Математикѣ	три	(3)
Физикѣ	три	(3)
Исторіи	три	(3)
Географіи	четыре	(4) при пер. изъ 5 въ 6 кл
Естественнобыв. наукамъ	~~~~	„ ~~~~
Законовѣдѣнію	~~~~	„ ~~~~
Французскому языку	три	(3)
Нѣмецкому языку	три	(3)
Грузинскому языку	четыре	(4)

№ 8815

До поступленія въ Кутаисскую мужскую гимназію означенный Павелъ Я-ш-в-л-и обучался дома

Уволенъ ~~Выбылъ~~ отъ изъ Кутаисской гимназіи по постановл. Пед. Совѣта отъ 11 п. 18 правила о выпускныхъ —

Права Яшвили Павелъ, какъ окончившаго курсъ шестого класса 3 мѣс.



სოფ. არგვეთი, ჯიბრაილ იაშვილის სახლი




ექსპოზიცია პაოლო იაშვილის სახლ-მიზეუმში



პაოლო იაშვილის სახლ-მუზეუმი სოფ. არგვეთში, 2023 წ.



ექსპოზიცია პაოლო იაშვილის სახლ-მიზეუმში



პაოლო იაშვილი და ვალერიან კაფარიძე, 1910 წ.



მემორიალური მაგიდა პაოლო იაშვილის სახლ-მუზეუმში



პაოლო იაშვილის მემორიალური ექსპონატებიდან

ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, 1906 წ.

Характеристика ученика.
1907/8 уч. год.

Способностей средних. Въ занятіяхъ относился небрежно. Домашнія задачи дѣлаетъ дѣлаетъ въ классѣ по математикѣ. Поведеніе хорошее.

Ф. Церетели

1908/9 Средних способностей, но недостаточно прилеженъ внимателенъ Поведенія хорошаго

Дир. М. Лушниковъ


1909/10 уч. г.


Средних способностей, но недостаточно удовлетворительно относится къ занятіямъ Въ рѣдкихъ случаяхъ способенъ напрягать, благодаря вспыльчивому характеру.
Поведенія вообще отличнаго. Ф. Церетели

Оставленъ тотъ же. Ф Церетели.

1907-1908 სასწავლო წლის გიმნაზიელი პავლე იაშვილის დახასიათების ფურცელი, სადაც აღნიშნულია, რომ ჯარგი ყოფაქცევის მიუხედავად, გაკვეთილებზე უყურადღებობას იჩენს...







„პაოლო იაშვილის „ავტოპორტრეტი“ ლაღური გათამამების სონეტია. ეს არის თავმომწონე გამოწვევა თავის-თავისა სათარეშო ესტრადაზე: შიგ ირონიაც არის და გაცინებაც. ეს არ არის მისი თავადური ლექსი: ეს უფრო მისი „უდარდო ხელის“ შეზარხოშებაა. „წითელი ხარის“ და „ფარშავანგების“ ავტორს ამის უფლება აქვს. მე ძალიან მომწონს ხაზები: „ლამაზ რითმისთვის ერთი წუთით ჩაფიქრებული“; „მხოლოდ უაილდის ყელსახვევით გაკვირვებული“...

გრ. რობაქიძე

ავტოპორტრეტი

ამპარტავანი და ყოველთვის პირგაპარსული,
ბუნებით შავი, ხელოვნურად გათეთრებული,
დამაზ რითმისთვის ერთის წუთით ჩაფიქრებული.
ვამაყობ იმით, რომ არა მაქვს ვრცელი წარსული.

დამონებულ ხაღხს შევაპარე სიტყვა თარსული.
ყოველთვის მელის მშვენიერი ქალთა კრებული.
მხოლოდ უაილის ყელსახვევით გაკვირვებული.
მათრობს ხამხაში, სურნელება ძველი, სპარსული.

საქართველოში არ იწამეს ჩემი ღენიობა,
მე მახაღისებს მხოლოდ ჩემი Salto-Mortale,
მაგრამ ბოლელერის ცივი ღანდი თოკი მენიობა.

ხაღხის წინაშე მე ვიქნები მუდამ მართალი.
შევხარი მზესა, ვეცრფი მთვარის ყვითელ ხავერდსა
და რუსთაველთან გაღავლივარ მე აღავერდსა.

1917

ღანდი სიცივეში

წვიმა და წვიმა. ცივი ვეღი. გამხდარი ღანდი.
ვინ არი ღანდი?.. გზა საღ არი?.. გამხდარ ღანდს სცივა.
უნდოდა ბინა... გაცივებულს დააგვიანდა.
გაყინულ კვნესით დიდხანს ივლის და ვერსად მივა.

სიკვდილი მოდის... სად მიდიხარ, ან სად იყავი?
დახეულ თვალებს ძილი უნდა, ახლოა ბინდი.
მგლოვიარე გუნდს ყვავებისას დასცილდა ყვავი.
მწუხარო მგზავრო, ღამე ნახე და აქვითინდი.

არ იცის ქარმა ვის წაუღოს ვეღის ამბავი.
არ იცის წვიმამ ვის კარებთან იტიროს მწარეთ. 1915
მგზავრის ძონძებში, ცივ ღამეში გათბება ყვავი.
მშვიდობა ყველას, ვინც ზამთარში მოკვდება გარეთ!

სონეტი ეღის

სონეტით მინდა ჩემი გრძნობა შენდამი ეღი
შენს სულს გადავცე!.. მავონდება სოფელი შორი;
ერთმანეთს შევხვდით; ყვავილებით ხარობდა ველი.
იყავი ნაზი, ისე როგორც ცქყის ნიამორი.

მე შემიყვარდი... და მიყვარხარ... და მარად გელი.
მე მინდა შენი სიახლოვე, შენი ამბორი,
შენთვის ვოცნებობ მე, სონეტით მადიდებელი,
და შენით, ეღი, ანთებული, მზის თანასწორი.

ყვავილებია ჩემს გარშემო!.. მაისი მინდა...
ჩემო ბაღებო, აყვავიდით, იმხიარულეთ!
გაზაფხულის ღღე, შეხვედრის ღღე ხომ დაგვიბრუნდა?..

იცხოვროს ყველამ სიხაღისით და სიყვარულით!.. 1915
და ამ ბუნების მე მანამდე ვარ გადამკიდე.
სანამ იმედი დამშირდება, რომ გნახავ კიდევ.

სონეტი
ვალერიან გაფრინდაშვილს

მაგ თვალთა ცქერას უხარია მწვერი სახე მზის,
შენ გსურს იწამო გრძნეული სიცყვის მეფური ძალა...
მძინარ მიდამოს მწუხრის ჩაღრი ჩამოეცადა
და გაჩნდა მხარე გამარჯვების და განახლების.

ღაღის კოშკები, სიდიადე ზღაპრული სახლების,
რაც გვაწამებდა, ყველაფერი მზემ გამოცვალა!
შენ უცნაურის სამსახური აიღე ვაღად
და მეც მომესმა ხმა ძვირფასი, ხმა შეთანხმების.

ოცნებით სცხოვრობ, ოცნებაში შენი ძმა ვარ მე,
მიჰქრი უშიშრად მოყვარული ღამის მხედარი.
გაგიგებული ფიქრს ოქროს სიცყვით ხიბლავს მაღარმე.

არ არის შენთვის გზა ბნელი და გაუბედარი,
აცახცახებულ სულს სურს, მგოსანო, მარად იქროლო...
ჩემი სონეტი, შენ, — ძვირფასო ძმაო და ცოლო.

1915

ღამე კუბოში

როგორ მაშინებს ჩვენს სოფელში მე დაბინდება,
სიჩუმე მოდის, როგორც დედა მკვდრის საფლავიდან:
მკვდარ ძმებთან წასვლა და ტირილი მეც მომბინდება,
არ ვიცი სოფლის მყუდროებას ვით გადავიცან.

ცამეც ეზოში ატირდება ცამეტი ძაღლი,
თითქოს სოფელი სასიკვდილოთ მიესვენება,
მკვდრების ღანდებით აივსება ეს ჩვენი სახლი,
მომაკვდავ რაშზე ჩემი თავი მომეჩვენება.

შიშის ნაპრალთან მომესმება ჩემი სახელი:
„გიყვარდეს მკვდარი, ვით ცოცხალის კოცნა გიყვარდა.
წავიდეთ, სანამ მოვა დიდა თვალგასახელი,
სანამ მზის სხივმა არ აანთოს ქვისფერი ფარდა

სახეშეშლილი მივეკვრები ცახცახა კარებს,
გაიტაცებენ შიშის ასფილს კოჭდი ქაჯები.
სოფლის შიშისგან დასახსნელად შვაღამის ზარებს
ცივ საძრეკლოზე ჩამორეკენ ღვთის დარაჯები.

1916

სევდიანი ზურმუხტი

ნოხთა ყვავილებს გადაესხა ოქროს სასხური,
მაგრამ დედოფალს ჯერ არ სძინავს და თეთრად ეცის.
პირამიდებში გაიფანტა ნისლი სიბნელის
და კიდევ ერთხელ მოშვიდდაობს მეფის მსახური.
დღეს სხვანაირი: ფერწასული და უსახური.
მოჰქრიან ხმები სამინელი გასაგონები:
„მოგვიკვდეს მეფე და ატირდნენ ბნელი მონები.
დარბაზში კრძალვით შეასვენეს მბრძანებლის რახტი,
ღამისფერ ფარჩით შეიმოსა ფირუზის ცახცი.

ღრმა ღამეებში თეთრ ღანდივით შესახედარი
სწუხს დედოფალი: დაფანტულა ფიქრი მრავალი;
სახლვრების იქით იხედება მისი მხედარი,
მაგრამ არ იცის ნათელი გზა იქ წასავალი.
და მძინარ დარბაზს თითქო ნაზად მიეპარება,
სანთლისფერ ღოცვით აჩქარებას მეფეს ჰპირდება,
მაგრამ ჩქარი მზე შორეულ ღანდს მიეფარება
და დაღალული მეოცნებე კვლავ ატირდება.

აღმოსავლეთის ძვირფასი ქვა, თეთრი მაღონა
დილით ირთვება ელვარებით და სიძვირფასით;
მაგრამ იჩოქებს დედოფლის წინ ასული მონა,
ფრთხილად აგროვებს ზურმუხტის ცვრებს იისფერ თასით.
და ყოველ ღამის ამ ცრემლებში პირდაბანილი,
კრძალვით შეხვედრა ჩემ დედოფალს მეცად უხდება.
და როცა მოვა სურნელება მზით მოცანილი,
ემჩნევა სახეს საკვირველი გაზურმუხტება.

სახლვრების იქით გზა არ ინახება,
რაც უნდა ბევრი ღამეები ცრემლებით თვალო!
ძველ სიმღერებში შენი მუდამ წმინდა სახება
თეთრ პიერიგრინებს შენახული აქვს დედოფალო!
როცა არაბი ჰფანცავს სიღას აელვარებული,
იგონებს როგორ ღოცულობდი და როგორ სწუხდი,
და იმ სიმღერას, მარად ახალს და შეყვარებული,
პირამიდებში სევდიანი, — ჰქვია, — ზურმუხტი.

1916

წითელი ხარი

წითელი ხარის ნაძოვზე
ბაიახი აღარ ამოდის — ნაცეცხლარი.
ხაიხური სიმბოლიკა

ყვითელი რქებით
წითელი ხარი.
ცხელი და ჩქარი.
ვაღიღოთ ქებით.

ცეცხლიან ყვავილებში მოჩვენება წითელი
ცხელი ცახცახით ველის
რომ ქვეყნის ამღერება
იქნება მზის ნაღიმი შუაღლის მშვენიერება.

გაგიჟდება აღით მხარე. ცისკენ მიჰქრის კვნესით ხარი.
მიწა რქებით მონათხარი ნაკვერცხლებად სცვივა ჰაერს.
ხარის ღანდი გაჩნდა ცვენრში. ზღვა აღარ ჩანს ოქროს მცვენრში.
მიწის ღოცვა აქ ფრთას ვერ შლის.
ვერ შლის სურვილს ათასხაირს.

ხარსა ხარი მისდევს მზესთან.
ვინ ღაითვლის წითელ ხარებს?
ჰაერს ფრთები აუკვნესდა.
ყველა მზისკენ! ყველა მზეში! მიწა ველარ გავგახარებს?

ქვეყნის ცეცხლი რკაღში სახღობს.
ის, რაც ცოცხაღს შავად ახმობს,
რაც ცყეების ღასანგრევად
ცხელ ზაფხულში ჩვენსკენ იღცვის,
სანაღიმოდ მოსაწვევად
ჩვენ გვიგზავნის წითელ სიკვღილს.

და მზის ცხოველს, ყვითელ რქებით
ქვეყნად ცეცხლის ფრთით რომ ღაღის,
ჩვენ ვაღიღებთ წმინდა ქებით 1916
და ვეჩქარით აღურ ნაღიმს.

ფარშავანგები ქაღაქში

ქაღაქში სიცხე იყო. რეტიან ფიქრებს
მზე აწვაღებდა და ახრჩობდა ცხელ ნიაღვარში:
(ავია, როცა წითელ გვეღებს მზე შემოიკრებს,
და დაიქცევა მკბენარ სისხღად ქუჩების ღარში).
ქაღაქში სიცხე იყო. ეცღები ქროღნენ,
მზეს ემღუროღენ მოშეცებუღ ნეცარებისთვის;
მხოლოღ კაცები ქვეყნის ღუღის შეეხაროღენ,
რომ ინახავენ თავის ვნებას ცხელ ღარებისთვის:
როგორც ღამსხვრეუღ შუშების მცვერი,
ისე ეღავღა ღურჯი ჰაერი.
და მოძრაობდა ჩქარ ეღვარებით
ხაღხი, მორთუღი ცხელ ოღარებით.
ქარხნების ყვირიღი და კვამიღი ღვრია,
ქუჩებში სნეუღი ძაღღები ყრია.
კნავიან სახღებზე ფერადი კაცები;
საყღრის გუმბათები
ცას ეშურებიან, ვით ცეცხღის ენები.
მხურვაღე ცახცახით დაჰქრიან ცხენები.
მწვანე და წითელი ქოღგების ცრიაღი,
საღღესასწაუღო ღროშების ფრიაღი.
ღურჯ ხავერღიან ხეების ღანღები,
ოქროს და ძვირფასი ქვის შუშაბანღები...
სისიხღისფერ გვეღეშაპს ბრაზი ემატება,
ქაღაქში შენიშნეს ჰაერის ანთება...

მოუღოღნეღად, მღუღარე მზის მთვრაღი განგებით,
ჰაერი აყვავიღდა წითელ ფარშავანგებით.
იყო მათი მოვღენა წითელი ქარცეხიღი,
იყო მათი ყვირიღი მხურვაღეღ დაცეხიღი.
ფრთებზე სღუღდა სპიღენძი და კიოღნენ ყვითელ ციღან,
თითქოს ახღა აშოსცვივღნენ გახურებუღ ქვაბებიღან,
როშელშიღაც სჩქეფდა რკინა;
და ფრთებღაშწვრებს ვერ ეპოვათ ვერსად ბინა.

და ეღავდა მათი ცანი სისხლით.
თითქოს ვინმე მოსდევდა ფარშევანგებს მზის ხმლით.
ცხენ ჰაერის ცისფერ ხორცსა გეუჯღნენ მკაცრი ნისკარტებით
და ქაღაქში მოფრენილი გაგიკვებულ მზის დარდებით.
ქუჩებს. ოქროს მდინარეებს. აკვნესებდნენ ახალ შიშით —
და აივსო ეს ქაღაქი ხმაურობით და სიგიჟით:
ღიწინით სცვიოდნენ ხეების ტოტები
აინთნენ სახლები აიმურის მოდებით.
ხაღხი ირეოდა კვნესით და ვაებით
ყვირილით მიჰქროდნენ ჩქარი ცრამვაები.
და ფარშავანგები ჰკიოდნენ, ჰკიოდნენ.
მაღაღ სახლებიდან კატები სცვიოდნენ.
და გიჟი ცხენები ხედვა ახვეული.
მოსჩანდნენ სვეტებზე მკერდგაღახეული.
ოხრავდნენ ჰაერში მზისგან დევნილები.
სისხლით აცღასობდნენ ძირს ქვაფენილები.
წითელ ქარში ზართა რეკა შეშოისმა ყრუ და ჩქარი.
ყველა შიშმა გაღარეკა. მხოლოდ მკვდართან მოსჩანს მკვდარი.
ცხელი ორთქლი. ცრემლისფერი. მხურვაღე ცას ეფინება.
ჩუმაღ არის ყველაფერი. ქაღაქს წითლად ეძინება.
და სხივოსნობენ გუმბათები და ოქროს ჯვრები.
იისფერ ნისლში მდუმარებით სჩანან ვეღები.
ვით დაფღეთილი. სისხლისფერი. სოვეღი ჩვრები.
ხეებზე სხედან დაღაღული მზის ფრინველები.

იქითური

გაიხსნა ჭიშკარი. სეღო, რად იჩქარი?
ვეღარ დაბრუნდები: იქ სამინელია.
ყოფნა გაწამებდა, როცა დაღამდება,
ვერ გათამამდება, ვინც გრძნობით ნელია.
სურვილში ვერ ვკვდები, მცანჯავენ ღმერთები,
ქაღების მკერდები დამშრალან, კვდებიან.
შიშით ვიხედები, გაყვითდენ გედები,
სნეული დედები ქრისტეს ვერ ხვდებიან.
ვეფხვების ღოთობა, ჭრელი ბოროტობა,
ჰანგების ღორობა, კბენა თვალებისა,
კივილი მეხორი, ცეკვა უხერხული,
უკმეხი ფერხული გიჟი ქაღებისა.
ქრიდობის დაჩენა, შავი მზის გაჩენა,
ღღე ვინ შეაჩვენა, ცყვე რამ გადარია,
უფსკრული ქარდება, ვარსკვლავი ვარდება,
ცა ვერ ივარდება, ცივი ცა მკვდარია.
ყოფნა იქითური: წვიმა უწმინდური
ქორწილი ბინდური, ყვირილი მაყრების,
ავი სახედები, გვედთა გახედება.
ცოება, ცხედება და კვნესა დახვრების.

1916

დაუდევარი ღამე.
თავი რკაღში.

წერილი დედას

დავცოვე სოფელი,
მყუდრო სამყოფელი,
ქვიტკირის მარნები
და კაცის კნუტები — სიმინდის ყანა!
ჰა! კინტოს პროფილი,
საქვაო ცარნები.
და დავიკუნტები
ქაღაქის ქუჩებში მე — საღახანა.

ცირიღი, ცირიღი, ცირიღი ბევრი!
ბზის განიავება, კაღო და კევრი
და სოფლის სიწმინდე, მართაღი ბათმანი,
როცა მე ქაღაქში მაწუხებს, მახელებს,
ყველა ყელსახვევი, შავი ხელთათმანი.

იქნებ ჩვენ ცფიღისი ხვაღ ყველამ დავცოვოთ!
მინდა ღღეს მივწერო დედას უსათუოდ,
იმღეროს მამასთან ის ნანა ცკბიღი,
როცა გაიხარა, რომ მე მეცქრებოდა პირველი კბიღი;

როცა მე ქურდები მეგობრად მრაცხავენ,
სოფელში ვენახი გახდა მოსარწყავი
და ვაზის ფურცლებზე ისე გაღურჯდება იქ შაბიამანი,
ვით თვაღის უპე — როცა მე არ მახურავს ღამეში საბანი.

დედა! ინახულე
შენ წმინდა ხახული!
წაღი ფესხმიშველი,
ქაღაქში დაკარგულ შვილისთვის ღამე გაათიე.
ღმერთო! აპატიე —
მე თუ ვერ მიშველი.
დედას, რომ დაგინთოს ჩემ სიგრძე სანთელი,
მისთვის, რომ ჩემს გულში
დაყუჩდეს გრიგალი და კორიანტელი.

1916

ტრიპტიხი

მაღარმე

ის იყო თეთრი თავახრიელი და ოქროპირი,
უცხო სიტყვები. ვით გველები მან აღიარა.
მისთვის ოცნება იყო მკაცრი იროდიადა.
და იყო მარცო სიდამაზის ძვირფასი გმირი.
როგორც სტუმარი, სხვა ქვეყნიდან მოსული, ძვირი,
უსხივო ხაიხში სხვანაირად ის დაბიოდა,
ღვთაებრივ ხმებში ზამბახები თეთრად სცვიოდა,
შორს არი მისი ოქროს ქვეყნის წმინდა ხაბირი.
თოვლზე დაფანტული ძვირფას ქვების ზემაქებარი!
სიმახინჯეში მან შენიშნა მხოლოდ კეთილი.
ის იყო ბრძენი, ერთადერთი, გაუგებარი,
როგორც „სონეტი" თეთრ სხივებში გამოკვეთილი.
და ჩვენი ქებაც სიდამაზის რომ გათამამდეს,
ოქროს ცაძრებში დოცვების დროს მაღარმე გვწამდეს.

ვერლენ

უბედურ ვერლენს დასცინიან ჩვენს სამეფოში. —
მე მორიდებით მის ყვითელ თმებს სხივს დავაფენდი.
იმის დანახვას ვერ ბედავდა ბრწყინვალე დენდი,
მე კი დოცვები ამოვკრიფე მის წამებაში.
ვერლენი! ბოდლერ, და მაღარმე! ამ სამებაში
მე ყველა მიყვარს... მაგრამ ვერლენს თრთოლვით ვისმენდი,
მას სწამდა ღამე. ეკლესია. მღვრია აბსენტი.
სნეული ღმერთი ეძახდა დალამებაში.
მან მეფობასთან შეაერთა მათხოვრის ბედი.
ცხოვრობდა როგორც ღიღ ქალაქის ავი ღეგენდა.
ბნელ ოცნებაში დასცურავდა მაისის გველი.
წავიდა ისე, რომ მაისი არ გაუთენდა.
მას, როგორც მოწმე უკვდავ ყოფნის და ღიღებისა,
აღგია ძეგლი მარმარიდის სონეტებისა.

ვერჰარნ

შენი კივილი მკვეთრია ვით ცხელი შურდული.
შენს სასახლეში ყეფს წითელი საშინელება.
ქვარცლიან ბაღში აღტაცება არ გეძნელება.
შენ ხარ მხედარი შეშლილი და გზადაბურდული.
სახრჩობელები. კვამლი. სისხლი. სახე ქურდული.
მშიერთა ურდო. რკინის კვნესა. მზის დაბნელება.
ვერჰარნ! ვიხრჩობით! ცეცხლის ზღვაში რა გვეშველება.
ოცნება ოხრავს ვით ფრინველი ფრთადასუდრული.
ო! ეგ სიჩუმე! ანი ვიხლა შეგედარებაა!
სიცამახისთვის საშიშია ეგ მდუმარებაა!
მშვენიერებას მოევლინა დღე ხისლიანი:
მიგასვენებენ თეთრი დები სიჩუმის ნავზე...
შენი აჩრდილი იძართება ვით სისხლიანი
და საშინელი ქანდაკება ქაღაქის თავზე.

1916

მღუმარე ვედრება

ღმერთო! შენ დაამშვიდე ჩემი მამული,
ის არის სისხლით დანამული.
მან არ იცის — სიხარული როგორია!
უფალო! ჩემი ხვეწნა — ამბორია.
წინათ მას სდარაჯობდა ქაღწული ნინო,
დღეს კი ქართველი სამშობლოში არი უცხინო!
ღმერთო! საც არი ჩვენი ბედი, ჩვენი იღბალი!
სუსტი ვარ, მაგრამ მენატრება გმირების ხმალი!
მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერი და წმინდა — როცა,
როცა მხურვალედ მომინდება მამულზე ღოცვა.
მაგრამ მე ვიცი, არ დაგვტოვებ უფალო ისთე —
რომ კიდევ ერთხელ არ მოვიდეს ახალი ქრისტე.
რომ კიდევ ერთხელ არ ვიხილოთ მცრის მორჩილობა
და სიხარულით შევიხვიოთ მკერდის ჭრილობა.
ღმერთო! გვისმინე! ნუ დაგვტოვებ ქართველებს მარტო.
მე აღარ ვიცი როგორ გითხრა, როგორ მოგმართო!
ქვეყნიერების სიხარული როცა იწყება,
მე მეშინია საქართველოს გადავიწყება.
უფალო! შენ ხარ ქვეყნის მეფე, ქვეყნის მმართველი,
დიდი ხანია შენს წინაშე იწვის ქართველი!
და ჩვენი ღოცვა დღეს სხვა ღოცვას აღარ ედრება,
უკანასკნელი გავიგონე, ღმერთო, ვედრება!

1917

სონეტი
(კოკაინის ბუნში)

მე ვეტყვი ვინმეს: „ჩემს სონეტებს რად არ აფასებ"
მერე უეცრად: „თამარ იყო ჩემი დობილი
ვსთხოვ საწყალივით — შესვას ჩემი შესანდობელი,
და თავს დავიღრჩობ სამიკიცნოს მყრალ დარაბაზე.

თუ იმ დღეებში ღხინს მოიწვევს საღმე დარბაზი,
ჩემ თვითმკვლელობას გზა ექნება იქ დათმობილი...
ვახშამი, ყავა, მაღლობა და ავცხომობილი,
მშიერი ფიქრი სახვალიო დროს ცარებაზე...

მაგრამ მე დავსწვავ სურნელოვან ღექსთა თაბახებს,
რომ არ დაარსდეს გაზეთებში ძეგლისთვის ფონდი,
და მთქნარების დროს ნურავინ ნუ დაიცრაბახებს,

რომ მე მიყვარდა და შემთხვევით კვლავ მოვაგონდი.
მე მაგინებდენ, მაგრამ ვიცი, ქებაც ბევრს სურდა
და უკაცრავად, თუ თან წამყვა სათქვენო ხურდა.

1918

დაცემული ბათომს

ჯერ არ დამცხრალა ჯიუტი ომი
დაუღგრომელი, ქარიგით მკვეთრი
და აცორტმანდა ჩვენი ბათომი,
მწვანე ბათომი მაისის ხვეული.

სეთანის ხარბი და ქროლა თვალი
უცქერს, ქაღაქო, შენს ნოხურ ბაღებს;
იისფერ ზღვაში მზე ჩამავალი
ძველებურ ღხენით თვალს ვეღარ აღებს.

და შენს მეომარ ამართულ მთაზე
სძინავს ზარბაზანს რუსული მიდით,
მაგრამ ართვინის მცველრიან გზაზე
ახალი ურდო მოდის სიფრთხილით.

ცხვრის ქონით უნდა ფეხადი ნოხი
და მოალწია საზღვრებთან მცველმა,
მას უკან დარჩა უკვე ქოროხი
რომ გადაღაქოს ჯანგისფერ მცელმა.

უკვე იწყება მრისხანე წამი,
წამი, რომელიც ძველებს დაახვავებს,
უკვე შეირხა ზღვასთან ღერწამი,
ბათომის ცაზე მე ვუმზერ ყვავებს.

ამხანაგებო! ნუ ხართ დარდუდად,
ღღეს საქართველო მე ვეღარ ვცანი,
დროა აყვირდეს უკვე ქართულად
მრისხანე თოფი და ზარბაზანი.

ბრძანება ისმის და სმენა ჩქარა.
გაშალეთ მზეზე კრიალა ხმლები.
ან დავიბრუნოთ ჩვენი აჭარა.
ანდა ბათომთან დავცურავოთ ძვლები.

აღრე სულთანი ნუ გაიხარებს.
აღმოსავლეთის აღრეა ცაში. —
ჩვენ დავიბრუნებთ ბათომის კარებს.
მწარე იქნება ჩვენი რევანში.

1918



ბათუმი, 1910-იანი წლები

ღარიბი ვერლენი
კოლაუ ნაღირაძეს

ვერლენს სცივოდა, დაღიოდა გაუპარსავი,
უხდოდა საწყაღს ბედის კვაღი გამოეცვაღა:
მას ღვთისმშობელი შეუყვარდა ობოლ დასავით
და შვეღა თხოვა, როცა ღამის ჯვარზე ეწვაღა.

მისჯიღი ჰქონდა მას ცოღვიღი კაფე სავაღოდ,
ო! რა ერთგუღად ასრუღებდა თავის განაჩენს;
და თუ ხანდახან მას ესმოდა: „ღმერთო, თავაღო!"
ჩუმად მაღავდა სიხარუღში ცრემღს გადანარჩენს.

იქვით უცქერდა თავის დექსებს და არ სჯეროდა,
თუ მისი ნიქი იყო მართღა დიდი ქონება;
მხოღოდ უხდოდა დამშვიდებუღ ღამის ჩეროდან,
მისი დექსივით ატირებუღ ხმის გაგონება.

საყვარეღ ქაღის რაინდობა მანაც გაბედა,
მაგრამ საწყაღი შეაშინა ქაღის დიდებამ,
ვერლენს უყვარდა უნუგეშოდ და უცაბედად...
და ახდა მთვარის მოჩვენებას გაეკიდება.

და როცა დარჩა უნუგეშო, ცოდვიღი, კენტი,
ხარობდა მხოღოდ ცაზე ობღად დარჩენიღ ღრუბღით,
ეხარბებოდა სიმთვრაღეში მხოღოდ აბსენტი
და სიფხიზეღეში იცანჯოდა მახინჯი შუბღით.

1918

ოფეღიას ორღენის კავაღერს

შენ როცა გძინავს დამძიმებული წვიმიან ღღეში.
თმებს გიხეღს შენი ოფეღია მწვანე თითებით.
იმას გეღები ჩააბარეს თეთრ სამოთხეში
და გეღისაფარი მოუქარგეს მარგაღიტებით.
გაახეღ თვაღებს. მორცხვად იტყვი: ახ. უკაცრავად.
ჩამოხსნი ფრთხიღად თეთრ ნაბადს და ღერიღახოღებს.
და თუ დაჰკოცნი იმის თითებს დაუკაწრავად,
ათ კოცნას თვაღი ათ მარგაღიტს გაღააყოღებს.
ქვეშევრდომ პოეტს ენა მეტად დაგებორკება.
ახღა საყურეს დაჰპირდები. შენ. უხერხული.
მან დაგავაღა შენ მესტების ფეხზე მორგება
და ემზადება. რომ გამართოს შენთვის ფერხული.
სურს ოფეღიას პირველობა და ძვირფასობა,
ქაღწეღ სურვიღებს შენ გაგიმხეღს. შენ დაგენდობა.
და თუ მხოღოდ შენ გეკუთვნოდა ეს დარბაზობა,
აღარ სქირდება ოფეღიას ცოდვის შენდობა.
და ეს შეხვედრა კიდევ ხშირად რომ გამეორდეს.
რომ მის მადღობით ამაყობდეს პოეტის მკერდი.
შემოგთავაზებს ოფეღია საკუთარ ორღენს.
რომ იყო მისი კავაღერი შენ ერთად-ერთი.

1918. აგვისტო

აღი არსენიშვილს

გაგონი ცხენებით. ხუთი გუსარი.
აწყურისაკენ. აპრილი. 1918 წ.

გაცოცხლდა შენი უცნაურობა,
გაღაქცეულო მარჯნების ხვავად;
და რჩება ჩვენი მოგზაურობა
სიკვდილის ღრისთვის შესანახავად.
ჰფანტავდა კვამლსა მატარებელი,
აყვავებული ტყეშლის რტოებად;
შენი სიტყვები უდარებელი
უკან მისდევდა ქარს ღევკოებად
და ცოგაპოხსნიქს მაინც დაგშვენდა
შენ რეციანი ღექსით ბარბაცი;
და მოდიოდი, ძვირფასო, ჩვენთან,
ვით ღოენგრინი და ჯარისკაცი.
ჩვენ ძირს გვეფინა გამხმარი თივა
და გვინათებდნენ თავს გვირგვინები;
გვეზმანებოდა ღეღი გოდივა
ქრისტეს მოახლით შენაგინები.
უღელტეხილზე მაშინ დაბინდდა,
მზე დაიმალა, როგორც ყაჩაღი,
ჩვენ აფთიაქმა მძინარ დაბიდან
გამოგვაცანა ბოდეგრის ბაღი.
მრავალ წარსულით, მთვრალი „შერეთი
გარს გვეხვეოდა ღექსი ხროებად,
გვეჩვენებოდა ეს იმერეთი
არაბეც ზღაპრის დაბოროებად.
თითქოს უეცრად შენ გაგარეცა,
ნერონის ხმებმა ცეცხლიან ქარში;
თითქოს ორღანომ ხმა გაიმეცა
კათოლიკების წმინდა ცაძარში;
თითქოს ამაღით შეგვეხვდა ყველი,

ან ივერებდი შენ მზის ნატეხებს
და ან თვით იდა რუბინშტეინი
გაბანიებდა დაღაღუე ფეხებს.
უცბად ირიდის გამოჩნდა ცახცი
და საღომეას მოგესმა ფიცი —
მერე უეცარ მოწამეთ გახდი
როგორ კვდებოდა დანიის პრინცი.
უკანასკნელად გაჩნდა ბრომელი
მწვანე ციცინდრით, თვალ ნისრიანი.
შევხვდით სამება დაუდგრომელი
აღი, ბაღრო და ციციანი.

1918

პოემა ჩემი რამოდენიმეთ გადარევისა

კარი პირველი

თორმეტი წლიდან მე არ მაცდიდნენ
ცხოვრებას დიდი ოქროს ჩიტები...
მე დამქაშები საიდუმლო ჰანგებში მცდიდნენ,
თორმეტი წლიდან მე ბრაზიან კაცს ვეძიებ.
ყოველდღე მოდის სიღარიბე...
დიდები — ბურით...
გადამიშენდენ დღეს წითელი ჩემი ხარები,
დაობდა ზეცა, დაიფარა ბნელ ფაიფურით...
დაინგრა ცვინი... დავეხეტები.
მზიანს მიპირებს ღამე ჩათრევას;
ხანჯლიან შვადღეს ვერ ვიხედები,
ველარ უმღერი შვადღის შადრევანს.
ახ! პოეზია... მეგობრობა... ჩემი სარდრობა...
ასარგადონი... ოდოფერნი... ქაღების თმები,
ხმა უშაღდესი და პლანეტის უსამართლობა...
და სახოგადოთ ავი სიცყვა: „როდესაც ვკვდები

კარი მეორე

დამეთანახმეთ, ამეგო წესი:
ღღემოკღესავით გაღავიცვაღე.
და პოეზია უძვირფასესი
მე დამიტირებს ყველაზე მაღე.
მოაქვს სიკვდიღებს ჩემთვის ცღღები,
მაგრამ ზვარაკში არა ვარ კვნტი:
არ მიმეტებენ მე „ყანწღები"
რემბო, ბოდღერი და ღეზ-ესსენტი.
ღმერთმა სიგიჟე გაღმომივღინა,
რაღგანაც ხშირად მე ვარ მშიერი.
ღეღა მიტირებს მე ბაბიღინა
და ჯიბრაეღი მამა ძიერი.
ქვეყნიერება აღრე ღავტოვე,
სუღ ზეღმეტია ერის ნუგეში,
მომეგებება ჩხიკვაძე ნოე
საიქიოში და ღიღუბეში.

ეპიტაფია

გავიჟღა... მაშასაღამე გაღაიცვაღა
პოეტი პაოღო იაშვიღი...
პოეზიისთვის ბევრი იწვაღა,
მაგრამ არ იყო მისთვის საშვეღი,
როღესაც იყო სუსტი, პაცარა
მკითხავმა უთხრა: „იყავ გმირია"
ოცღაოთხ წღამღე ღრო გააცარა
და ოცღახუთზე გაღაირია.
იყოს უკვღავი მისი სამარე
და იქ შეევსოს ამ ქვეყნის ნაკღი. 1918
იქ ყავღეს ცოღათ მეფე თამარი
და მაყრად ყავღეს მეფე ირაკღი

ნიკო ლორთქიფანიძეს

ხარ მოეღვარე ვით სატევარი,
ემორჩილები მზეს და იადონს.
მომეცი ნება, როგორც მწევარი,
ღექსი გაჩუქო ბუნებით ბატონს.
გაგიძნელდება ქვეყნის დანდობა,
მაგრამ ხარ მუდამ კეთილშობილი.
მიმონებს შენი დარდიმანდობა,
და იშვიათი ჩვენში პროფილი.
სოფლის წითელა, ყვავილი, ხველა,
გამოტკბილილი და სამძიმარი,
შენ იმერეთმა დაგანაღველა
როგორც პოეტი და პატიმარი.
ფუქსავატ ხაიხში ხარ განდეგილი,
და შთაგონების ხარ ფაღავანი;
თუ პოეზია გულაგლეჯილი
დღეს ძებნაშია ერთგულ სავანის,
ჩვენი დათმობა შენთვის წესია
დამშვენებულო ძმური თვისებით;
თითქოს გაგეხსნას შენ ეკლესია
ცოდვილ სულების პარაკლისებით.
მაგრამ საყდარში არავის ელი
და რჩება ლოცვა გაუმართველი...
ხარ დიდებული ქუთაისელი
და შენ ბრძანდები დიდი ქართველი.

1918-20

ცოცია ცაბაძეს

გაღაგვაშენებს ჩვენ ბოღვები მომღგარი ჯარით,
მეც შენგან ვეღი ზიარებას, ვიხღი შვიღეუღს.
საკმევღის სუნი გვაბარბაცებს შენ და თვითეუღს,
კათაკმევღებათ მღოცვეღებში, რომ შეეგჩარით.

შეგისკვნა გუღი კოღომბინამ ცისფერი ჩვარით,
მოგეფერება ბაღაგანში ღამე გათეუღს.
მეც შემომხეღე შენი ყვითეე ღექსებით სხეუღს,
მეფეე და ბავშვო, დაღაღუღო ქაღღეას ჯვარით.

დახურეს გზები, მოვეფანცეთ ყავრიან ქოხებს,
კომანღორივით უკან მოგღევს წმინდა გიორგი
შვაღამის კვამღში შენ ავამღვრევს და ავამბოხებს

ღურბეღით, ჭღექით ღღე ნაკღული შენი ღაფორგი.
მოგაგონღება მამაშენი, ღვინო და გეღი.
სოვეღი ქინკა, ვარსკვღავები და საფრანგეთი.

1919

გიორგი ლეონიძეს

შენი ლექსი წითელ ძროხის ჯოგია,
შენი გული ყვითელ ოქროს მორგვია,
შენი სული — აღდგომის ელოგია.
არ ამცილდეს შენთან ძმური ერთობა.

შენ ოცნებით თამარისკენ წახვედი,
ჰგავხარ დაშარს ანთებული სახეთი.
მოდი, ვნახოთ შენი გარე კახეთი,
საღაც სიცყვა წარსულით გაერთობა.

მოდი, ვნახოთ ნინოწმინდის საყდარი,
ნინოს ხატი ქრიდობებით გამხდარი,
ვნახოთ მხარე, ერეკლეს ნაცახცარი,
ძველი მადლი, ახალი უღმერთობა.

შენ ხსოვნიდან იმ ცკივიდებს ამიშლი,
რაც დაგუბდა ობოლ საგურამოში,
და ყოველდღე და ყოველ საღამოში
გაჩაღდება არღნიანი მცხეთობა.

1919
მცხეთა, 14 ღვინობისთვე

არცურ რემბო

ცეცხლით ავსიღოს პოეზიის მძიმე ჩვენება.
ხარ ქრისტეს ჯიშის და გაკვირა მხოლოდ აღდგომა.
ევროპის ზურგზე შენი ჩქარი გაღაჭენება
დარჩება ცაზე განთებული ირმის ნახტომად.

პარიზის კერპებს მოევდინე ბავშვი — უფაღი.
მაკადამებში ჩაიცანე მზე უნახავი.
დასტოვე სიტყვა, როგორც მეფე ნატრიუმფაღი
და მხოლოდ ერთი სიდამაზე გაუძრახავი.

მთვრალი ხომაღდით აცურავე ოქროს ქვირთები.
იოღი იყო შენთვის ქვეყნის გაღახვეცება.
უფეხო რემბო! მოწინავედ მგოსნებს გვჭირდები.
თორემ ღაღი და მარმარიდო გაღიხვეცება.

ცირიღის დროა! და ქვეყანა მოღის დაჩრობით.
ძველი ევროპის სქელი ფაშვი ღღეს იფატრება.
გაძარჯვებული ხეტიაღით, ჩხუბით, ვაჭრობით.
არცურ მართაღო! გვინდა შენთან დაბინაღრება.

1920
ნოემბრის 6

პოეტი და ადამიანი

I

მე მენატრება ცხოვრება
პატიოსანი,
მაგრამ რა ვქნა, რომ გამათხოვრება
ბედის წყევლაა ქართველი მგოსანის.
მე მენატრება ბრწყინავდნენ
ისევ თვალები...
გაზაფხულიდან ზამთრის ყინვამდე
არ მასვენებენ ქვეყნის ვაღები.
სურვილი დიდი როდია, —
მცირეოდენი...
მაგრამ ყოველდღე ჩემთან მოდიან
და აღწერების მოაქვთ ორდერი.
ფიქრი ირევა ჩემს თავში
როგორც მწერები.
რა მაქვს ქონება: ცოცი და ბავშვი,
ძაღლი და ცოცა ხელთნაწერები.
მეცყვიან: გული გქონიათ, —
წავა ნაჭრობით.
მაგრამ არსად არ გამიგონია,
გული გაჰყიდონ ვაღში ვაჭრობით.

2

ნუ გეშინია, გულო, დარჩები
ყოველთვის ოქრო უზარმაზარი,
ვინ მისცემს ნებას, მართლა ჩარჩებმა
გამართოს „ძვირფას გულთა ბაზარი
ვინ მისცემს ნებას არჩეულ პოეტს
გაუნაღგურონ ბუღე ნაგები.
ხალხის სიყვარულს თუ მოიპოებს
პოეტს მრავლად ჰყავს ამხანაგები.
რა არის ფული, რა არის ვაჭი,
მოწყენილობა და მწუხარება,
როდესაც ხალხის ხორცი და ძვალი
გადაქცეულა მშრომელ ხარებად,
ვინც გაიტაცა ახალ ძიებამ,
გადაქცეულან რკინის კაცებად,
ნუთუ პოეტებს გვეპატიება
ზნეაურული გაზარმაცება.
ამხანაგებო, ნუ გეზარებათ
ჩამოცილება ძველი ფესვების,
დროა გადიქცენ ოქროს ზარებად
აცრემლებული ჩვენი ლექსები.

1921

ღიღი მეუნარგიას

პაცარა ბაიშს დაეცა ცრემლი,
პაცარა ფიცცვებს მიეპარა ჭღეჭი და ხვეღა...
ჩამოწყდი როგორც ყვავიღი ცყვემღის,
შენ, რომ იყავი საიდუმღო და ქიანქვეღა.

სამარადისო ნისრს დაუბრუნდი.
მაგრამ მგზავრობას შენსას ჰქვია: ბავშვის სიკვდიღი.
ასე მგონია ფუტკარის გუნდი
დაესეოდა შენს მკვდარ სხეუღს, ცკბიღ სხეუღს — ღიღი.

შენ ბავშვობიდან გეღოდენ ცაში,
ჩვენც მოგეღოდით: განშორება უფრო ძნეღია,
მაგრამ მე მკერა, თავის საბანში
შენ მიგიღებენ ბვაცრიჩე და ოფეღია.

13. 10. 1922

პავლე ინგოროყვას

გაღამეცებით, ცანჯუე ღლეებით
წარსული ჰკივის უკუღმართული;
ჩვენ კი უტკბიღეს სამოთხეებით
გვინდა გავმართოთ მხარე ქართული.

საუკუნენი ცხელ თავანებით
ჩვენი სამშობლოს მზეში ღნებიან;
მაგრამ ჯერ კიღევ ქარავანები
სცღიან ოქროებს ძველ მაღნებიღან.

მიწა მსუქანი სისხლის დაღევით
შენ შეგვათვისე — იმეღიანი,
და გულში გივლის მკივან აღივით
შენ რუსთაველის მერიღიანი.

ძმა ინგორუყო! ჩვენება არი
და ტკბიღის ცანჯვით მოსაგონები:
მწველ ინღოსცანში ქართული ჯარი
და ცრაპეზონღში გარნიზონები.

და გვიბრუნღება ის ნეტარება
ამაყ ღლეების — გაღაჩვეულებს;
თუ პოეზია შეეღარება
ჯვარზე გასაღტულ წმინდა რჩეულებს.

ძმა ინგორუყო! პოეტო აღრე
და მერე ღარღო წასული ღიღების:
გულს პოეზია იძვებით ანგრევს
და სისხლს — დაპყრობა პირამიღების.

1922

გრიგოლ რობაქიძეს

საქართველოში გადავაშენოთ სონეტის მოდგმა...
ჩვენ გავაკეთეთ ის მშობლიურ სიტყვის მეცნიერში...
იმედია...და ახლა გავასვენოთ თეთრი კუბოთი,
და ღვიძლებად იყვნენ მაღარძე და ხოხე-მარია.
მომართვა ჩემი, კარიბნაირ ჩვენი ორდენის,
იქნება მძიმე:
შენი შუბლი უფრო მძიმეა
ყველა ექვსებზე. რაც მე და შენ დაგვიწერია.
გაძლიერი ექვსით
ქება შენ.

ნიცშე. დანტე. ბოდლერის ღმუილი.
ყველა მხეცების ხმით თქმული.
ლოცვა დიდების:
შენი გვამის მიღებისთვის.
თბილისი იღუპება. როცა შენ გიხდა.
მიწისძვრა არის მისი ბრალი,
რომ შენი ექსი უკანასკნელი,
შეძრაა ცვინის — მატერიის მიწაზე დიდის.
ხარ მარმარილო და კუნძავრი.
ციხინდრი ძვირად. უფრო ხშირად
სანყაღი ცქერით.
როდესაც ეძებ ახალ ექსს
და შენს ბავშვს აღგას.
ჩვენის ცირილით გახსენებული:
უხმინდეს გრიგოლს.
უნეცარეს გრიგოლს.
უსაყვარელეს გრიგოლს.
ვუსძენთ სინდისით. სიმკაცრით მდიდარს.
ძე გეკითხები: ვართ მართლები?
გვიპასუხებ: ჩვენი სიტყვა პირველია
ძას შეძლეც. რაც ქრისტიანობამ მოვალეობად
აღამიანს გაუხადა. რომ პოეტს დაეძორჩილოს.
რომელსაც გული აქვს ღმერთის და ცქერა
ყველა ვარსკვლავების.
ძე ვხედავ მეხადგებს: ისინი თბილისს

შემოესივნენ. ყველა ქუჩები სავსეა მათით.
სიცხეა დიდი: ეღიან შენს გამოსვლას.
სიხარულით: სცირიან ქუჩებში ძენაღები.
დაგინახეს და გიყვებიან ძენაღები
იჩოქებენ: ცახცახებენ: იხძორებიან.
შენ ძოესწარი:
ღღესასწაული შენ მოგიწყო
ჩვენმა ორდენმა.
შენ გვიპასუხე დირიჟორმა: ქაღებაში
იყო ღღე დიდი.
ქაღაქი სრულიად უხაღისო. უმოძრაო
და გაღამწვარი. მზით გაღამწვარი.
ცას ასტუქრე ფარშავანგები.
ძთავარ ძოედანზე ბაღაგანი გამართე.
ღიასახღისათ მოიყვანე ბაღაგანის — ოფეღია.
ბაღდახინით მოასვენე ყველა ღექსები:
ჩვენი შვიღები უბიწონი და უქორწინო.
პირველი დარაჯათ ღღესასწაულის
დანიშნე ვაჟი — სარაცინი.
ოქროს ცრირემით ქაღაქს მოაღგა
კაპიტანი და მოიყვანა სანცა მარია...
და ერთად ერთი მათხოვარი მეოცნებე
იყო ნაპირზე. ოქროთი და ვერცხლით
დაცვირთული. ჩვენგან: ერთად ერთი
გახარებული მათხოვარი.
და ფრაკში ფავნი იყო ჩვენი მოსამსახურე.
ფარშავანგებმა გზა გაუხსნეს ციდან
მოსული მცრელს: ეს არის აღკა.
დაისში მან იცეკვა ბაღაგანის წინ.
ჩვენ ცამს ვუკრავდით და ვიყავით
გახარებული, რომ უდიდეს ღღესასწაულზე
არ დაგვივიწყა ჩვენ აღკას სუღმა.
შემდეგ იცირე:
და ვიძღერეთ დასამშვიდები ყველამ 1922
ერთად ღოცვა:
გრიგოლს უწმინდესს.
გრიგოლს უნეცარესს,
უსაყვარლესს გრიგოლს.

ევროპა

შესავალი


1915. იანვარში
პორტმა, რომელსაც გრაზგო ჰქვია,
დიდს ნიაღვარში
მე გამისტუმრა ევროპიდან ინგლისის გემზე „კაბაღოკია
ეს იყო მაშინ.
როცა სენაში
ყრიდენ პარიზის მოქალაქენი გერმანელ ტყვეებს...
ვიგონებ ღლეებს,
როცა ვერდენს მოადგა შანთი,
როცა დასცადეს ტროკადერო
და ღუვრს მოსცალეს ლაურა-დე-დიანტი.
გახდა პარიზი უსიცილო და უსიმღერო.
დიუქსემბურგში:
იდგა გერდენი ცრემლიანი და თოვლის ქურქში.
ღამის ქალები, პოეტები მოშორდენ „დარკურს და კაფე
„დიდას
და მათხოვრები სენის ხიდებქვეშ მარსელიეზით ხვდებოდენ
დიდას.
პარიზელები ყვავილებით, პაცარა ჯვრებით
გზავნიდენ ბავშებს პერლაშეზის სასაფლაოზე.
გამოვექეცი ევროპის ქაოსს.
სისხლს,
დანგრეულ რეიმსის ცაძარს,
უზარმაზარ ცანკების ქშენას.
რეინის ირგვლივ თაობათა გადაშენებას.
ვიგონებ მართლა ჟრუანცელით
დამანშის სრუტეს,
იქ ჩაგებულ ატლანტიკის ანთებულ გემებს,
შოტლანდიაში:
ვნახე თეთრი ძროხების ჯოგი

და გავიღიმე ვით ნახევრად გაგიჟებული...
გამოვექეცი ევროპის წარღვნას.

პარიზში დამრჩა ერთი საფრავი:
ლეგიონის ორდენის წევრი.
აღმოსავლეთში განთქმული გმირი
და ქუთაისში გადამტანი რევოლიუციის.
(1905)

მკვდარი მარნასთან
პერღაშენზე გასვენებული:
ბუქუცა აბაშიძე.

1922



კედლის მხატვრობა "ქიმერიონში"

დაცრიალება

შემომაკედება, დამეფანცა ნუთუ ოქრო და
სისხლი, რომელსაც ვუზიარებ მთელ პოეზიას;
თუ ჩემი სიცყვა შუაღღეში ხანჯლად მოჰქროდა,
ისევ ცხენზე ვარ და ვაგრძელებ კივილს ღეზიანს.

ქარმა სიცხეში მეფის ცოვა შემომახია,
იქნებ გვირგვინი მიცომ გაცყდა და დაბურდუღა,
რომ ჩემი თესლის შვიდთვიანი ჩონჩხი მარხია
პოეცთა ბაღში, სადაც ღამე მივაც ქურდუღად.

დაფანცული ფიქრით ქაღაქებში ვუმზერ საათებს,
რომელნიც სხედან ორბებივით და ბედს ზომავენ,
თუ მომეწყინა — რუსთაველი შემომანათებს,
და მაშინ ისევ საქართველოს გავაღომავებ.

მოღის ფარჩებით, მზის არღანით ზაფხუღის ჯოგი,
მჯერა ღექსები ისევ თავზე დამესხმებიან,
თუ ერთხელ მაინც დამინახეთ მე დანაჩოქი.
ეხღა ვაგრძელებ ისევ „ყანწებს" ოქროს ხმებიანს.

1923

ოვანეს თუმანიანი

გახარებულო! ბავშის თვაღებით
შენ დიღამ მაღრი ჩამოგაპკურა,
ჩვენ გიყურებდით ხან მოკრძაღებით
და ხან გკოცნიდით ამხანაგურად.

როგორც მაღარი თაფლის სანთელი,
აენთე ღარიბ სომხეთის მთაზე.
და ძმობის კვაღი, შენგან ნათელი,
საასპარეზოდ შემოგვთავაზე.

შენი ღექსები, როგორც მტრედები,
ბუდობდნენ გღეხთა დაბაღ ოდებში;
და მოციქულის თავგამეტებით
ჩასდექ ომების სიბოროტეში.

შენთან ღღეებმა ამაფრთოვანეს,
მოკვდი და გრძნობას ნისღი მოეღო;
იტყვიან ბავშნი: „წმინდა ოვანეს"
გავიმეორებთ: „წმინდა პოეტო"

ოქროს სიცოცხლე შემოგეძარცვა,
და დიდხანს სევდის თვაღებით ვუმზერ,
როგორ დაღგება ანუში ნაძვად
შენს კეთიდშობიღ საფღავის გუღზე.

1923. 5 აპრიღი

გრიგოლ რობაქიძეს

ჩვენ როცა გავჩნდით შვაღლის საქებათ,
ჩამოეყუღნენ მზიდან სვეტები.
ხვატი, მღუღარე პაპანაქება,
ცვინს გვიდაღავდა ოქროს წვეთებით.

კიდევ გვაბრმავებს — ზეცის განგებით
ჩამონგრეული მაღნის წყაღობა!..
მე ტან-ანთებულ ფარშავანგებით
მოგართვი შვაღლის კარდინაღობა.

ატეხილია მიწა ზვიადი,
კენტავრის სირბილს „ღიღეს" აყოღებ,
ატარებ როგორც აღკვიადი
ცხენ. გახურებულ ღერიდახოღებს.

სჭრი ღექსებს, მაგარ რკინის ღვეღებათ,
და გვაბარბაცებ სიტყვის შანთებით;
საქართველო კი გეიმეღება
ირრუბაქიძის გაღანათებით.

16. 11. 1923

URBI

მინდა ავვარდე მამაღავითზე,
იქ აირჩიე, სულო, ბინა შენ:
მინდა უეცრად მუხლზე დავეცე
ჩემი ცფიღისის და მზის წინაშე.

ჩემო ქაღაქო! არ დამაკლდი
შენ სიხარული მზისგან ფერიღი,
თავზე გაღგია, როგორც კანკელი,
ცა მოღვარე და აკლერიღი.

ვხედავ, ურმები ღორთქა თივებით
გზას ახარებენ აქრიაღებით;
მცკვარს მოჰყვებიან ფიქვის ცივები,
ვით მოცურავე თეთრი ქაღები.

სღუღან ოქროს და წითელ ღვარებად
კვირა ღღეებით შენი ქუჩები,
და იცღებიან ოხშივარებად
შენს გარეშემო მთები თეჯების.

შენს აღაყაფთან მსურს დავაღაგო
ღექსები, როგორც სისხლის წვეთები...
მიღიონ ხმებით სავსე ქაღაქო,
ღიღი სატახტო ხარ პოეტების.

1924. 23 აპრიღი

ცანიც ცაბიძე

ყვითელ ორბირში ყანჩების კვაღზე
დაღის პოეტი, შიშით, ციებით,
ციების პოეტს ცრემლი აქვს თვალზედ,
და შვილის აკვანს ავსებს იებით.

ციების პოეტს სურდა მაისი,
შენ ხარ მაისი – ცანიც ცაბიძე;
მაგრამ ორბირის აღონაისი
ისევ ორბირის სტირის ნაბირზე.

ვერ შეაჩერე მამის გოდება
ორი თვიანი შენი კბილებით,
შენც გაიზრდები, შეგეცოდება
უბედო გვარი მაყაშვილების.

მზიან აღაზანს სეზონი ასცდა
როცა წიწამურს დააღგა თაღხი
და სამშობლოში გაგვიმაცდა
იმერეთიდან მოსული ხაღხი.

მამა გიმღერის, ბრმა მამაჩემში
არის წამება და ჩუში ბედი:
ცანიც ორბირის მაღაღ ყანჩებში
დაცოცავ როგორც მსუქანი მტრედი.

დედას კახეთი ესახლება.
მამა ბორანზე ფიქრობს ჰაფიზზე.
მწვანე ცხენის წყლის ციებ-ცხელება
შენც დაგასუსტებს ცანიც ცაბიძე.

მოვრჩაა სისხლი პოეტის მამის
და დედის ცრემლი თვითმკვლელობაა.
გაშინებს იანდი ორპირი ღამის
მაგრამ კახეთი შენთვის შობაა

იქნება მამა სულ გაიბაროს
სტიროდეს დედა ფშანის ნაპირზე.
მაშინ დაიცოს. ღმერთმა დაგფაროს.
ღმერთმა დაიხსნას ცანიც ცაბიძე.

1926



გიორგი ლეონიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი,
მიხეილ ჯავახიშვილი, სანდრო შანშიაშვილი, 1925 წ.

არგვეთის ღამეები

ცაზე ვერცხლის მერცხლები
სხედან ღურჯ ბუდეებში.
მთვარე ცივად ეცემა
შქერის ცყეში გამართულ
ტოტების ბაღეებში.

მთვარე, თეთრი ხოხობი
გაეხირა ტოტებში,
ძაღლი, მცველი ორღობის
ღამეს ათევს ყეფაში და
ძაღლურად ბოღვებში.

აღვის ხეებს აცვიათ
სირმიანი ნაბდები,
ტკბილი სიზარმაცეა
და მდინარეც სავსეა
თითქოს — თეთრი ბაცებით.

ჰაერში დაფარფატებს
უბედური ღამურა,
ნეტავ არვინ დაფანტოს
ხმები იდუმალების,
ქცეული საღამურად.

1926
სოფ. არგვეთი

პაოლო იაშვილის ხელნაწერი ლექსი "არგვეთის ღამეები"

მელორის ღოცვა

უფაღო! უსმინე შევარდენს
მის ხელით გიგზავნი ბარათს.
მიშველე ღორებში ჩავარდნილს
ღორებში დარჩენილს მარად.

როგორც რომ ბურვაკი პაღოზე
ახოში ბაწარით აბია.
მარცო ვარ. უფაღო დაღოცე
მელორე ცრემლების ყიაპია!

უფაღო! მომეცი სამხარი
ძაღღივით ამოსუღს ცაზე
და შენი პერანგი ნახმარი
ჩამაცვი ცოღვიან ცანზე.

მომეცი ბავშებში ჩარევის
და მათთან თამაშის ნება,
უფაღო! შენს გარდა არავის
არა აქვს ამის უფლება.

ფიქრები სამწყემსო ღორებზე
ყოველ ღღე ცრემლებით მსჯიდა,
უფაღო! გაღავნის ყორეზე
დამნიშნე ბელურა ჩიცათ.

1926

პოეზია

გაგიჟება სჯობს, თუ გათავდა სიტყვის მადანი,
და თვალთა დათხრა, თუ მზეს ქებით ვეღარ დახვდები.
ღექსო! გუღიდან ხორცად რომ ხარ გამონატანი,
თუ უნაპირო, სამუდამოდ არ გაჩაღდები.

არი მკვდეღობა, არი ომი, არი ხანძარი,
მიწისძვრა, ჭირი, ცხეში ყოფნა მარად თუღებად,
მაგრამ არ არის ცხანჯვა უფრო უზარმაზარი,
როგორც პოეტის შთაგონებით დასნეულება.

დადის ქაღაქში ბევრის მსგავსი ჩემი სხეული
და ხალხი ამბობს: „ეს კაცია ღექსის მწერალი!"
მაგრამ ვინ იცის, რა ცეცხლშია გამოხვეული
ეს ჩემი ცხვინი, დასაქცევი, ცხვინი ვერანი!

რამდენი თვალი უნდა მქონდეს, რომ ყველა ვნახო,
რამდენი გული უნდა მეღგას, რომ ვიგრძნო ყველა,
რამდენი სახე მე თვით უნდა გავაბარცახო,
რომ ერთი ღექსი დამრჩეს წმინდა, როგორც პეპელა.

შემომახორებს სიკვდილივით სიტყვა კვიატი,
და სისხლი, აზრი, სული იქცენ იმის მონებად:
გავიდა ღამე, მოასკდება კარს განთიადი,
აღარ ხარ კაცი, აღარც ჩონჩხი, ხარ მოგონება.

რამდენი ღექსი დაიწერა, იმდენი წელი
ჩამოეწერა ჩემს ცხოვრებას ვით აღამიანს!
და თუ ეს ღექსი უნდა იყოს უკანასკნელი,
მაშინ ეს მძორი ყვავებისთვის გასაცანია.

1926

პაოლო იაშვილის ხელნაწერი ლექსი "პოეზია", 1926 წ. (სემ 547-22 ქც)

ქუთაისის ხანძარი

ყველგან, ქუჩაში, სახლში გაისმის —
ცეცხლში იწვის და სდუღს ქუთაისი.
ჩემი აკვანი, ღექსთა საგანი,
ჩემი ბუდე და ბუდე მაისის.

მართლა მაშინებს მე ღღეს გაზეთი,
გადამაშენებს გაზეთი ცნობით:
„ჯერ არ ყოფილა წარღვნა ასეთი —
ითვლიან ზარაღს მილიონობით“

ვკითხულობ ცნობას შეშლილი სახით
და ვგავარ ახლა უსუსურ ღაჩარს:
„ცეცხლით დამწვარი სამასი სახლი,
ხუთიათასი უსახლო დარჩა

მესმის ზრიალი ებრაელების,
მთელი გოდება ხანძრიან ქარში;
ათრთოლებული მათი ხელები
გამოეთხოვა ფართალს და არშინს.

ათი წელია იხევდა უკან
ღღეს განწირული მათი ხელობა,
ახლა ხანძარმა ნარმიან ღუქანს
გამოასალმა ებრაელობა.

მაშინ, როდესაც ყველა ფიცარი
სრულებით ახალ შენობას ჰკვანძავს, —
რა ღროს ცეცხლია დასამიწარი,
რა უნდა ჩვენგან საძაგელ ხანძარს!

ძიავს ამოვეყრით სიღარიბიდან.
ძიავს მოვიშორეთ ზურგზე კურტანი.
მითხარით, ახია რომელი კიბიდან
ავავსოთ ცეცხლის მოხაქურდაკი.

მე ცეცხლში ასეთ გოდებას ვისვრი.
მაგრამ მეცია ბეღზე მდურება.
რა ვქნათ, მაგარ და შეჩვეულ კისრით
ვზიდოთ ახალი უბედურება.

1928. 13 მაისი



ქუთაისი
ებრაელთა უბანი ხანძრის შემდეგ, 1928 წ.

პოეზიის ინჟინრებს

ათი გრიაღა წეღიწაღია,
რაც ღექსებისთვის გავწირეთ თავი,
და იმ გრიაღით ისევ მწაღია
ვიქნეთ მეღგარი და გამბეღავი.

ვიყავით მარად მოერთბაშენი
და დაშორება ახღაც ძნეღია,
გავცყღეთ აშკარად, გუშინ ნაშენი
ღღევანღეღისთვის უკვე ძვეღია.

რა დაგვმართია: სიცყვები რკინის
გაღაქცეუღა აყაღო მიწად,
უკუღმართია, როღესაც ჟინით
ისევ დანგრეუღ ღობეებს ვიცავთ.

სიცყვა მართაღი გუღმოღგინებით
ვთქვათ და ეს სიცყვა ღიღხანს ღარჩება,
რა ჰყავს ბაღაღი, როცა ზვინები
ჩაშწყრივღებიან ოქროს არჩევებად.

როღესაც მაღაღ ქარხნის მიღიღან,
იფეთქებს გუნღი შავი შაშვების,
როღესაც გახვაღ ხაღში ღიღიღან
და ღაგხვღებიან გზაში ბავშვები.

მღინარეების ყოვეღი წვეთი
გაღაიქცევა წყრიაღა შუქად,
და ჩვენს ღღეებში არასღროს ერთი
ღღეც არ ჩაივღის ხაღხისთვის უქმად.

ჩაღგება აღბათ გუღის წიაღში
კმაყოფიღება ოქროს ცბორებად —
თუ მოხდა დამბაე ყარაიაში
ციების კოღოს ჩამოშორება.

სიცყვა მართაღი ვთქვათ ერთმანეთში,
მღაბიო თქმაში ხშირაღ ზანცებმა;
რაა ბაღაღი, როცა სვანეთში
მაცარებეღი აცორცმანღება.

როცა კახეთის დაზვირთუღ ზვარებს
ვეღარ აუვა ქურჭეღი გუეხის
როცა გახეღავ ღიახვის მხარეს
ნაღღი ნაყოფით დაცვირთუღ ხეხიეს.

სიცყვა მართაღი გაჩაღღა ვხეღავ
და მღერის ჩემში ხმა უცკბიეესი;
რაა ბაღაღი, როღესაც მცხეთას
მიაბჯენს სახღებს ჩვენი ცფიღისი.

როცა მაღნებით გამჯღარ მიწაში
ცივი წერაქვი ღაიორთქიება;
ანღა ღაღნები ღექსის კინძვაში,
როცა გამაიეს ჩერო ფოთიებმა.

ღეს ჩვენში ხმაღი ქარქაშში ჩასვეს,
გაღიგრიაღა ბოიომძიის ომმა,
და ხეღავს თვაღი მომავაღის სავსეს.
რომეისაც სარღიად მიუძღვის შრომა.

1929. 25 მარცი

მაგიდა — ჩემი პარნასი

თითქოს უბრალოდ მე ვწერდე წერილს.
ქაღალდზე მარდად დაჰქრიან თითები.
და როგორც შუქზე მოფრენა მწერის
ისე მსუბუქად მოცურდნენ რითმები.

მარცვლების ძებნას დაიწყებს ცერი
აავსებს წერილს წუხანდელ ცის დარდი
და მღერის, მღერის კაღამის წვერი
კაღამის წვერი — ბუღბუღის ნისკარტი.


მაგიდას — პარნასს ყვითელი მტვერი.
მზის ოქროს წვერი ხვრეტიდან ესობა.
და პოეტს ზარმაცს — წასვლია ფერი
ოქროს მტვერი რომ გაუჩნდა მეზობლად.

შრიალა ნარშას წერით დასერილს
დაეცა მართლა ყვითელი მზის ვარდი.
და ელის კარნახს კაღამის წვერი:
კაღამის წვერი — ბუღბუღის ნისკარტი.

სხეტში ყარანა — ყანებში მწყერი.
ხეები ბევრი. სერი და ამინდი:
მძიმე გაფრენა შვაღლეზე ძერის

ნაჭედი მთები მოოქრული კრამიტით.
ღიკის და ქერის. ყოველი ღერი
მეძახის, მივაც, მივრბივარ, ვისწრაფი
და აღარ მღერის, კაღამის წვერი
კაღამის წვერი — ბუღბუღის ნისკარტი.

1932



პაოლო იაშვილის ხელნაწერი ლექსი "მაგიდა — ჩემი პარნასი"

კოლაუ ნაღირაძეს

(პოემიდან „მიმართვა მეგობრებს")

როგორც ზეციდან მცრელების ჯოგი
მიწაზე ჰფანტავს უნაზეს ჩეროს,
როგორც ურმული გაღაღის ბოგირს
და ოღნავ არხევს ნაძვების წვეროს,
როგორც დასცოვებს აღაზნის ღოგინს
და ცაში კვნესით შესცურავს წერო, —
ასეთი მინდა წერილი ზოგი
როგორც პასუხი, ძმაო, მოგწერო.
მაგრამ სიჭრელე და გაორება
ამ ჩრდილოეთში ზომა მეცია,
მეც მოშიძებნეს მკერდი ქორებმა,
გულში ვატარებ ნისკარცს წვეციანს,
სიცივე ჩაღგა ყინვის ცბორებად,
ოთახის კარი ჩამაკეცია,
სურდო, ხველება, სშირი ზმორება
მოახლეებად გადამწყვეცია.
ქართულად ვთარგმნი პუშკინის ამბავს,
ახლა ჯერშია მისი „ციგნები
მაგრამ სიჩუმე საუბარს აბამს:
„მარცო ხარ, მარცო, მარცოც იქნები!"
ვკითხულობ შოთას, ვაჟას და საბას
და ვერ მშვედიან მათი წიგნებიც,
ვწვები... თავამდე ვიხურავ საბანს
მესმის „მარცო ხარ, მარცოც იქნები!..
და ასე ღამეს მოჰყვება ღამე
და მოდის დიდა საღამოს მზვავსი,
ძმაო, მომწერე ისეთი რამე,
ჰქონდეს ჩვენს ბაღში საუბრის ფასი:
ჩემს საღღეგრძელოს თუ ისევ სვამენ,
ჯერ თუ მთელია საჩემო თასი,
თუ გამოაკლდა ვინმე ჩვენს ცამეცს

და პოეტების დაინგრა დასი.
თუ ცოცხალია შაშვების დასცა
და დარჩა ბაღში მათი საკვები.
თუ ჩემს მეღვას დაეცყო გახდა
და ისევ არი ჩემი საქები.
თუ შენ და ნინა ხშირად ხართ მასთან.
არ ივიწყებენ ამხანაგები.
თუ ზაფხულამდე უჩემოდ გასცანს.
ისევ ვუყვარვარ თუ ვეძაგები.

1932. მოსკოვი



როგორც აფრის ცკაცუნი

მაინც რად მინდა მეცი დასცური
ვარდა იმისა, რომ დიდა მეხნა,
ვარ, როგორც ღვინო აღადასცური
და მიხარია ფათური ქვეყნად.

მორთმეულია სამყარო გობით,
მხოლოდ აკლია ოქროდ დაღნობა
და ყოველ ყვავილს, ვარსკვლავს და კობიცს
ჩემი ლექსისთვის მართებს მადლობა.

ამართულია სოველ ქვიშიდან
ცამდე კრიალა შუშის კედელი;
და მე არ ვიცი, რაღა მიშლიდა
მეთქვა სიმღერა განუწყვეტელი:

როგორც აფრის ცკაცუნი
მოვარღნილი ზღვიდან,
ისეთი ვაჟკაცური
გაქროლება მინდა.

როგორც ფართო ქადართან
ჩეროების ჯერი,
ისე ჩუმად ჩაცარდა
ჩემი ლექსი ბევრი.

და ქცეული სურათად
სიცყვა, ყველა ბგერა,
მინაზე მიცურავდა
დამწიფებული ქერად.

ბოსტნების დასანაგვად.
მოუთიბავ მოლად,
ბაღახის ამხანაგად
და ომბაღოს ცოლად.

ახლა, როცა ცკაცუნი
აფრის მესმის ზღვიდან,
ასეთი ვაჟკაცური
გაქროლება მინდა.

მინდა სიცყვის თარეში
ჩემი ყვეღამ ნახოს,
ხევსურების ფარეხში,
ჩანჩქერების ახლოს.

მინდა მიწას მარჩენაღს
ჰქონდეს მშვიდი ძილი:
ჰგავდეს ვაჟის გაჩენას,
მზის ამოსვლას ღილით.

როგორც აფრის ცკაცუნი
მოვარდნილი ზღვიდან,
ისეთი ვაჟკაცური
გაქროლება მინდა.

1932

ლექსებიდან: „ლირიკული მისამართები

ჯერ სიყვარული ასე ფართო და ასე მთელი
მე არ მიგრძვნია — და ეს სიბრძნე დამბუდებია.
მოშვერიდი ვარ შენზე გულით და როგორც გელი
ჩემი თვალები უკეთესი საბუთებია.

ჩემი დაბნევა, ელდა, ყოველ წუთს ცეცხობა
როცა არ შესმის, რას ამბობენ, რაც მეძახიან.
უხერხულობა, ყველა დარდი, ყველა შეცდომა
ეს ყველაფერი სანატრელო შენი დაღია

მოუსვენრობა ვერაფერმა ველარ გახარა.
გამოჩნდი იმ დროს — იქვები რომ მებადებიან.
ნუ გეშინია, ჩემო კარგო, თმაში ქაღარა
ეს სინათლეა სიყვარულს რომ შემატებია.

ოცდაჩვიდმეტი წელიწადი ისე გაცურდა
როგორც მხატვარის მეგობრობა საყვარელ ფერთან.
იყავი ჩემთან გამცანელთან და ვაჟკაცურთან
ამ დიდ ღლეებში ყოველ წამში ვიაროთ ერთად.

ნუ ჩაგაფიქრა ქირვეული ქორის ხროებმა,
ჩემთვის სიჩუმე ღამეში რომ მოიზანტება,
საშინელია, როგორც ომის მოახლოება
საშინელია, როგორც ჩემთვის ცყვიის მზადება.

1932

ოთხშაბათი „ოთახისტო მოსაშვებო“ [illegible]!

ჭერ სიყვასტოსი რე თანათო და რე მთოთო
შ ის მიგრძვით – რა ი სიბრძე რაბმეღი,
მოშვისტოთა ჯი შენე მყოთი რა ხოგოს გითა
ჩემი აკოსები ნაბიჯები სიბნელეში.
ჩემი ბიბლიოთეკა, ოთახი, ძველი წიგნის სუნი
ოთახი რომელშიც ერთად ვიყავით, სადაც მე
ვკარგავდი ადრინდელ – ახალგაზრდულ ილუზიებს
და ვიძენდი ახალ – ნაადრევ სიბერეს
ან ოთახი თეთრ ინდო-ფრანგულ შენობაში
ფანჯრიდან რომელიც ვიყურებოდი ხოლმე
ხოლო რა ქვეშე ჩემი ფიქრები ისე ნელა მიედინებოდნენ
ჩემი ბიბლიოთეკა ოთახი ფანჯარა ინდო-ფრანგული შენობა
ყველაფერი ეს ერთად ერთი ნაწილი იყო
ჩემი ცხოვრების ერთი ნაწილის, რომელიც
ახლა ჩემთვის ისე შორეული ჩანს
როგორც ჩემი ბავშვობა ან ადრეული ახალგაზრდობა.
ჩემი ბიბლიოთეკა ოთახი ფანჯარა ინდო-ფრანგული შენობა
ისინი ისევ იქ არიან, ისევ ისე ლამაზები
ისევ ისე ჩემთვის ძვირფასები, ისევ ისე ჩემი
ნაწილები, მაგრამ ისინი ახლა ჩემთვის
ისეთივე შორეულები არიან, როგორც
ის ადრეული ახალგაზრდობა და ბავშვობა.

აფთიაკარი

როცა ჩამოდის მამა,
ჩამოაქვს სურნელი ძვირფასი ერთი,
ჩამოაქვს ვაჟკაცს ღამაზს
უბრალო სუნი პიცნის წვეთის.

ახიურ ზამთრის კაროშს
უდის წამდის სუნი,
და ჩემს ოთახში გაიობს
წამდების კეთების წკარაწკუნი.


სოკრატის თავი
და თეთრი ბინდი
აცურდებიან უეცრად
და ჩემი ფიქრი იქითკენ მიდის,
როდესაც ჩემთვის
პირველად
ყვავილი უნდა აეცრად.

და თითქოს მამა
ჩემს ოთახში უნდა ეძებდეს
რამე შენაძენს, რომ მხნეობა
შვილის შეაქოს,
მაგრამ მოითხოვს
უეჭველად ყველა რეცეპტებს
და გააჩაღებს ღათიხურ სააფთიაქოს.

რა ცკბილი არი
ჩემთვის მისი,
„ქვანცუმ საცისი
დაისვამს მუხლზე
შვილიშვილს და დაუწყებს ბოხად:
„ეს რად გჭიროდა,
გაცივება ხშირი რად იცი
და ბავშიც ყნოსავს
მის იოდით გაჟღენთილ ჩოხას.

სიცყვას არ იცყვის,
რომ აკრია ჩითი, შაქარი,
სწუხს, რომ წამღების
შოვნა უქირდა,
დასტირის წამღებს
ღირიკუღი აფთიაქარი,
გამოკვეთილი გარეგნობით
თითქოს თუჯიდან.

1933



არგვეთში

სამასი არგვეთელი

მწერდა მეგობარი ძველი:
„ცაღი ფეხით ვდგავარ კუბოში,
ათი წელიწადი გელი,
ერთხელ მაინც ჩამოდი წყაღტუბოში.

დავხვდები ნამცხან კარგად,
აღბათ
კიდეც დავითვრები,
ხომ გახსოვს ცყეშაღში ფარგა
და ხორკღიანი კიტრები“

პოეტი ამაყი კაცია,
ჰაერში აშენებს ხეხიღს,
არ იცის —
ნაღბანდს რა აცვია,
არც შემოსავაღი გღეხის.

საკამათოა ეს საგანი
დაღად მოქრიღი ქვაზე...
მივქროდი ახაღ მანქანით
ახაღ წყაღტუბოს გზაზე.

ხეები ჯარად მიდიან,
შორს — თოვღის მთები
დგანან ოცნებით,
თითქოს ჰაერში ჰკიდია
მიცკაღის პირსახოცები.

მივედი — გავიხარიან,
გულთბილად დამხვდნენ ძაღიან,
ვზოში ერთი ხარია,
მარცო ცყავი და ძვაღია.

უცბად საჯარო ბაცივი
(სიამოვნებით ჩავებით),
მომჩერებოდნენ ხაცივით
წყაღცუბოს ნათესავები.
აგვაღო დაღი სიმძიმის
საღამომ კარგად გაშღიმა,
ხაღხი დაგვხოცა სიცილით
ექიმმა მიშა იაშვიმა...

„ჩემი აწ სცანით ყოველმან,
მას ვაქებ ვინცა მიქია,
მისი სახელი შეფარვით
ქვეშორე მითქვამს მიქია...
შევხვედე უკვე განდაგან
დვას ინჟინერი ჯიქია.

მომიხმო დაბაღ ღობესთან
ნელი ნაბიჯით უბრისად,
შევაცყვე იმას მობეზრდა
აცორცმანება სუფრისა.

დიდი ხანია მჯეროდა
იმისი უეჭველობა,
ჩემი ოდიშურ კიდოთი
დაიწყო ჩემთან მსჯელობა.

— გული ფიქრებით შესივდა,
ფიქრებმა სული დამარბია:
მუშები რიონჰესიდან
როგორც არჩვები გარბიან.

სამასი კაცი კმაროდა
გვირაბის გასათავებლად...
(ბრწყინავდა ზეცის თაროდან
ვარსკვლავი ოქროს თავდა).

უეცრად მითხრა: — მშვიდობით,
მშენებლობაზე მეციან,
ჩემთვის სამასი მუშა დღეს
სამასი არაგვეღია
ზრებს შევუშვი საღავე,
წავიდნენ ვერცხლის ღარითა,
გამოვერკვიე, გადავეც:
— ვარ ქიათურის მხარიდან.

სამასი კაცი? ბაშუსტა!
არ მოგეჩვენოს არაკად.
მგონია, ჯერ არ დასულცდა
ზემოურების ბარაქა

პასუხი იყო ნაკვეთი
და მშვიდი როგორც მთვარეა.
— მაშ ვნახოთ შენი არგვეთი
როგორი მოსახმარია

ვიცოდე მათი პატივი,
მანქანა ველარ შეკავდა.
მთვარე კი თეთრი ბატივით
ცაში ვარსკვლავებს კენკავდა.

დიღა გათენდა, დამადგა
მზის სხივი ათი მტკავლია
და ისევ მიდევს გამაკთან
გაშლილი „ვაჟა-ფშაველა

მზემ მოგვაშვირა მიღები
და მღუღარებას გზავნიდა,
თბებოდნენ დავრდომილები
წყაღცუბოს აბაზანიდან.

მივდივარ, ცურავს ბაკებზე
შრიალი ჩემი ღექსისა.
ხაღხი მეძახის — „დაგეძებს
უფროსი რიონჰესისა"

აგერ ნაცნობი მანქანა,
ჯერ საღამიც ვერ მითქვია,
უკვე ამართულ ნაგანად
დგას ინჟინერი ჯიქია.

ვერ მოვასწარი ცანზე გადაცმა,
არც ჩემოდანი და არც ქუდია —
მხოლოდ ეს მითხრა მეღვარმა კაცმა
„მაცდარებიამდე — ოცი წუთია!"


ცას გადაეკრა სიღურჯე ბაცი,
მიჰქრის მანქანა და მესმის მხოლოდ.
„სამასი კაცი
სამასი კაცი
სამასი კაცი
ჩემო პაოლო!"

მეც ამ სიჩქარეს კარგად ვუძერი
და მეტყობოდა კიდეც გმირობა.
ვაგონში მომცა ხუთი ფურცელი.
ხელშეკრულების ხუთი პირობა.

მატარებელი ნელა წავიდა.
ხელშეკრულება გავშალე ნდობით.
თითქოს ძვირფასი წიგნსაცავიდან
გამომატანეს რჩეული ტომი.

ფეხზე მაცვია მუშის წუღები.
სხეულში დიდზე დიდი ღონეა
და საღორიის დიდი მეხები
უკვე სამასი მუშა მგონია.

1933





რიონჰესის მშენებლობა, 1933 წ.

მწვერვალებიდან

აი, აქ არის, მეგობრებო, ის ასპარეზი,
რაც ბედმა მისცა ამაღლებული გონებას ჩარჩოდ.
არც უკეთესი, ჩემო ძმებო, არც უარესი,
არ გვიძებნია ახალგაზრდა სულისთვის სარჩო!

შეხიზნული ვართ საქართველოს შეუვალ მთებში
და მივსდევთ ფერებს, ხმებს და სიცყვას მგელური მაღით;
კლდეში ქარივით დატრიალდა ავსილი თეფში,
და უსმენს სივრცე საყვარელი სტუმრების ნაღიმს.

თქვენ შორის, ძმებო, არჩეულის წილი მრგებია,
რომ საიმედოდ გავჩნდეთ ხოლმე უეცარ ზარშიც;
რაღგან სიახლე, რაღგანაც მზე ღექსის გერბია,
რაღგან ვერ ვითმენ და ნახშირსაც დავატან ზარნიშს.

აღბათ ეს არის ქაბუკური სულისკვეთება,
რომ წვიმის ღლესაც ჩემი ზეცა მწუხარე არ ჩანს,
ასე მახარებს უბადრუკი კუბოს კეთებაც,
როცა ოსტატი მას უმატებს მხიარულ ფარჩას!

ასეთ ცხოვრებას ვერ დაუდებს საათი ვადას,
და ასეთ მკერდებს ვერ შებოჭავს დაბეჩავება!
შრომაში, ომში, ქარიშხალში — ვიქნებით სადაც,
ყველგან სიცოცხლის ქადაგებად უნდა ჩავებათ!

მწვანე ფოთოლი, ფრინველის ხმა, წყაროს წკარუნი,
ქალის წამწამი — ხომ სულ მცირე სანუკვარია,
მაგრამ, როდესაც აიცაცებს მათ სიხარული,
ყველა მათგანი მარადიულ ცხის კარია!

1934

ვიდრე ბაშაჭიკანი


ჰაოლო იაშვილის ხელნაწერი ლექსი "მწვერვალებიდან"

სამეგრელოს ასულს

მე ყველასათვის მსურს სიხარული,
ხარისი, ღხინი, ბედნიერება!
ღხინში იზრდება და იფურჩქნება
ყოვლად ძლიერი მშვენიერება.

და სამეგრელოს ტურფა ასულსა
ვუსურვებ მხოლოდ მზიურ ხარისსა.
ვიცი, რომ ღხენა არი სურვილი
და მისწრაფება ყველა ქალისა.

1914



პაოლო იაშვილის ხელნაწერი ექსპრომტი "სამეგრელოს ასულს", 1914 წ.

უეცარი ღექსი — პოეტონეთს

ზღაპრული ხალხი! გრძნეული ერი!
აქ პოეტონეთი — წმიდა მხარეა!
თქვენ გითენდებათ ღუე ბედნიერი.
და თქვენთან ერთად ჩვენც გვიხარია.
მიცკევიჩის რაშს არ უძნეღება
ნახვა სწორის და გაწმენდიც გზისა.
და სიოვაცკისთვის არ დაბნეღება,
თუ მოხვდა დროშას ისარი მზისა.
როგორც შობენი, თქვენთვის დამწვარი,
ისე ნაზია ღუეს თქვენთან გუეი
და თქვენს ზეიმში ჩვენი ხმაც არი,
თქვენის დიდებით აღეღებული.
გვსურს ვიამაყოთ ძველ სახეღებით
და ახალ სისხლით ვნამოთ ყანები.
მწარე იარებს ნაზი ხეღებით
დაგვიამებენ თეთრი პანნები.
და როს თქვენს გვირგვინს, ერის სამკაულს,
შემოეხვევა მწუხარე თაღი,
ძველი ვარშავის დიდ ღუესასწაულს,
ჩვენ ისე ვიგრძნობთ, ვით თქვენი ხალხი.
ქართველი ერი და პოეტონეთი: —
ორი გვირგვინი და ორი კვნესა!
ჩვენ გვაწვაღებდა ოცნება ერთი,
და ჩვენ მოვეღით ერთნაირ მზესა.
ჩვენ ერთად ვეღით და მაღე გვინდა
ახალი მორთვა მზით მთა-ვეღისა!
ამაყო ძმებო! საღამი წმინდა!
საღამი გრძნეულ რუსთაველისა!

1917

ოფორტი
დავით კლდიაშვილს

შენში გაცოცხლდა იმერეთი თავის მაჭრებით,
მე ვუმზერ ბოსტნებს, ვიწრო შარებს, შეშის ბოგირებს.
აგერ ირინე მეწვრილმანეს აცდუნს ვაჭრობით,
მღვდელი ზოსიმე დამშეულ ჯორს მიაბოვინებს.

თავდა და კაღო, გაღესილი ჩქარი ნამგალი,
ლობეში ღორი უღრიანი ღრიალებს მწარედ. 1919
და სოლომანი, გაცრეცილი მხნე მაჭანკალი,
ჭიშკართან ყვირის: „მაინძელო, გამოდი გარეთ!"

ექსპრომტი ს. ჩიქოვანს
(ქართველ ფუტურისტებს)

უწინ ღეკები, შმაგი ქისტები
თავზე ესხმოდენ კახეთის მდელოს,
ღღეს კი ჭაბუკი ფუტურისტები
ანაღგურებენ ძველ საქართველოს.
მაგრამ დგებიან ჩვენ წინ კითხვები,
სად არის ბრძოლის თავი და ბოლო?
პასუხად გვესმის ბენოს სიტყვები. —
„პოეზიაა მიმიკა მხოლოდ.
ამიტომ არ გვსურს ვწეროთ ღექსები
და ვეშურებით პიტნავას ღუქანს
სჯობს მწვადი, ღვინო, მწიფე ნესვები
გიჟმაჟ პაოლოს, ტიციანს მსუქანს"
არჩევანია სახელოვანი. 1923
ჩვენ კი სიცოცხლეს კიღევ ვეცდებით პიტნავას რესტორანი
და მიხარია, რომ ჩიქოვანი
მე მანაღგურებს მანიფესტებით.

ეთიმ გურჯს

დღეს პირველად ვნახე ხაიხის ეთიმი,
ის ყოფილა ჩვენი გუდის ექიმი.
ღვინო, ღვეზი არის მისი აღათი
და ქონება — ერთი შავი ნაბადი.

მესმის მისი ცრემლიანი ღაღადი:
დასაწერად არ მაქვს სუფთა ქაღალდი!
ვერ მაჩუქა საქართველომ კალამი,
რომ დავწერო მისთვის გუდის სალამი.

მე არა მაქვს საკუთარი ბინაო,
მე წუხელი ქვაზე დამეძინაო,
მაგრამ მშვენის სითბო რუსთაველისო,
აღბათ ახლაც მონატრებით მელისო!


საქართველოვ, ზეცას ეთამაშები,
მაგრამ ეთიმ გურჯისათვის რას შვრები?
ცუდათ არის შენი შვილი ეთიმი,
ვერ უნახავს ვერსად თავის ექიმი!

1925

გამოთხოვება შემოდგომამდე

ერთმანეთისთვის გაუგებარი.
ვიცი, რომ ჩემში ვიღაც ამღერდა,
ლექსებით მთქმელი და მაქებარი.
მე კიდევ მოვაღ ლექსებით სავსე
და თუ არ გინდა პოეტის გლოვა.
შემოდგომამდე ნუ გამცვლი სხვაზე
და შენს ოთახში ნორავინ მოვა.

1932



პაოლო იაშვილის ხელნაწერი ექსპრომტი "გამოთხოვება შემოდგომამდე"

მარიკუნია აღნიაშვილს


ვაჟა-ფშაველას ღვთისი ხარ
მყინვარზე ჩამოძირნარი,
ოქროს მუხების ფესვი ხარ
თერგის ნაპირზე მძინარი.
ჩვენი სიწმინდის წესი ხარ
თან მორცხვი და უჩინარი,
ნესტანზე უკეთესი ხარ
მხიარული და მცინარი.

1935

ცანიც ცაბიძეს

ღამაზია სახით. ცანით
ჩამოთრიცი ელვის ღანით.
ცოცხალია როგორც წყარო
და ფრინველი გარეგანი.
მას შევხარი მთელი ჩემი
პოეზიის მოედანით.
ცაბიძეა – ქალი გვარად.
და სახელად ჰქვია ცანიც.
თუ აქამდე არ იცნობდით
ჩემი ღვთისით გაიცანით.

1933




ილუნე ბარიანის დღიურები

ძახილი

მარგალიტები მოვიხვიე ყელზე სამ წყებად...
    მარგალიტები, იაგუნდები...
არ შემიძლია შენი სახის გადავიწყებაI
    არ დაბრუნდები?
თეთრ შემოსილი ვწევარ მე შენს ნაცნობ საწოლზე,
    სევდიანია ღამე მძინარი;
ნუ თუ არ ფიქრობ, სანატრელო, შენს სათუთ ცოლზე?
    არავინ არის!..
ჩუმად ვკითხულობ შენს ძველ წერილს
                    ყვითელს, დახეულს...
    სხვა რა მაქვს შენი მე აძის გარდა?
მე თვითონ ვკოცნი ჩემს თეთრ მკლავებს,
                    ჩემს დამწვარ სხეულს.
    შენ რომ გიყვარდა...
მაგიუბს სითბო. ვერ ვიგუე ფარჩის საბანი,
    ჩემს ოთახს ავსებს შენი დანდები.
სანატრელია ყველასათვის ღუმელ ჩემი ცხანი,
    ნუ გვიანდები.
არ შემიძლია დავიწყება შენი სახისა...
    დავფარე ცხანი ბნელ ნაწნავებით;
ვიხუცებ ვნებით მსუბუქ ჰაერს ჩემ ოთახისას
    თეთრი მკლავებით.

1915

ჩემი თავადი

გათავდა ნაღიმი. საღ არის მხლებელი?
ცხენები მზად არის? — „თავადო გელით
ძვირფასი ყვავილი, ჯერ ხელუხლებელი
თავადმა გაღმომცა მთრთოლვარე ხელით.

— „უთქვენოდ შესწუხდა. დაბნელდა დარბაზი
— „ეგ ხომ სულ ერთია... მზე უკვე ჩადის.
მახარებს, თავადო, საღამო ღამაზი.
ცა ნაზი საღამო ღხენას გვიქადის"!

თავადის თვალები, ვით ჩემი ზღვა ღიღით.
ისეთი ღრმა არის... ო, მაღე, მაღე!
გული ანთებული საოცარ წადილით.
მსურს გუთხრა ჩემს თავადს — „შენ გენაცვალე

ჩქარობენ ცხენები, მთვარე ამოსცურდა.
მდინარე მთებისა მთის ამბავს მღერის.
ასრულდა წადილი ჩემს სხეულს რო სურდა.
მას ძაღა უნდოდა მწველ სიძლიერის.

და ჩემი თავადი ღომივით ძლიერი,
ჩემს სხეულს ბატონობს, ჩვენ ვეღზე ვხარობთ.
მდინარის ნაპირს ვართ ჩვენ ბედნიერი.
შორს, საღღაც იცინის ჩემის ხმით წყარო.

1915

ზამთარში

ჩემი ოთახი ცისფერია, ნაზი ფერია,
ცისფრად მორთული დამიხვდება, გააღე კარი:
ღრიანის წუთი ღღეს ისეთი მშვენიერია —
ვით პირველი ღამეს. პირველი ღამეს ქაბუკი ქმარი.

რად დალაღება ყვავილები ვენერას მკერდით,
მზის სიხარული ჩემს ფანჯარას რად ერიდება?
შიშით გადავშლი ერთმანეთს რო წერილებს ვწერდით,
და ჩემს არსებას ძველი აღი მოეკიდება.

მტრედის ფერ თოვლით ჯერ სამყარო არ დაფარულა,
მაგრამ მოსცილდა მას სიმწვანე გასახარელი!
ჩვენმა ოცნებამ გაზაფხულზე იმხიარულა,
ახლა კი მესმის: ის არ მოვა, მას აღარ ელი.

უხმოდ დასრულდა ღღე უმზეო და მგლოვიარე.
მენატრებოდა – და გულს აღარ ეიმედება.
ჩემი სხეული ცივი არის, როგორც ის მთვარე,
ჩემს ფანჯარაში სიკვდილივით რომ იხედება.

1915

უვერციურა

ისე მოვედი, რომ არავინ არ მომელოდა,
მივეცი კოცნა მებაღეს და... გაიღო კარი,
მარტო ვიყავი!.. ჩემს გარშემო ღორჯად ბნელოდა,
მაგრამ შემომხსნა ქმრის ხელებმა ცანზე ქამარი!..
გავყვეთ სიმღერებს! ჩემი ვნება აღდართული
და ის მახარებს, მამაისებს ბაღში შემოსული.
რომ ჩემი კოცნა, სიყვარული, ხმაც ქართული.
ყოველდღის ციურს ჯერ უცნობი სიგიჟე რომ მსურს
ჩემი ცხოვრება ისეთია, როგორც ოცნება.
ჩემი წუხილი, სიხარულიც ცრფობის ბრაღია.
ჩემს სხეულს მეფობს ხან სინაზე, ხან საოცრება.
ღეღოფლობს გული! ის ყოველდღის მომღერალია.

1916

მაგიერებს სითბო! ვერ ვიგუე ფარჩის საბანი.
ჩემიდან

უკანასკნელი მოვიხსენი ცანსაფარავი,
დაღუმებული მხრებს ეღანდება შეხება ნელი.
სავნებო გზაზე სიბნელეა არ სჩანს არავინ,
სასიზმრო ღობეა ვიგაღობე უკანასკნელი.
დამეძინება... გათავდება ზანტი ზმორება.
და დამშვიდდება ჩემი მკერდი ჯერ ხელუხლები:
ძილში ჩემს მუცელს ვიღაც ვაჟი ეამბორება
და ვნებისაგან იღუნება ჩემი მუხლები.
მზის აყვავება გამომცაცებს მწველ ადამიანს.
(ჩემს შეყვარებას მწუხარება კვლავ მოემატა!)
და დაღონებულს, ვაჟის კოცნას, კოცნას ნამიანს,
ვარდისფერ ენით მომავონებს გამთბარი კაცი.

1916

პაოლო იაშვილის ხელნაწერი დექსი "პირამიდებში", 1916 წ.

პირამიდებში

იქ. საღაც სღუმან პირამიდები
მზის ქორწილის ღროს მე დავწვები მზისფერ სიღაზე.
იქ. საღაც სღუმან პირამიდები
შენ მომინღები.
შენი თვაღები. შენი მკღავები. შენი სინაზე.
შენ მოგაფრენს ცხენი არაბული.
თვაღებღანაბული.
საყვარელ ხეღებს მივეცემი როგორც ნაზ საწოლს
და შენ დამკოცნი ვით ღედოფაღს. ვით მონას და ცოლს.
ტკბილი იქნება ცხენ სიღაზე ჩვენი თამაში
მზიურებს შაშინ
არაფერი მოგვაგონღება...
პირამიდებში აცირღება ღოღინით რაში,
ღურჯ სფინქსთან მივა. ღიღხანს უცქერს და ღაღონღება.
სიღიან ცანით მღინარისკენ გავეშურებით.

მწვანე ცაღღებში დავამშვიდებთ ჩვენს ვნებას აღურს;
გამოფხიზღება შენი რაში სფინქსის ყურებით,
დაუწყებს ძებნას უღაბნოში თავის სიყვარულს.

1916

ფერადი სონეტი

მომღერავ თავაღს მე ვიგონებ ნაზი ზმანებით.
წაიღო კოცნა და ნაწილი ჩემი პერანგის;
ყველას გიყვარდათ. — სიყვარული მეც დამანებეთ...
ძე მოვიცანე ეღვარება ფერადი ჰანგის.
და ჩემ ცელქ ფეხებს ენატრება რკალი უზანგის.
არავის კოცნას არ ვიგონებ მე დანანებით;
მე გამეხარდა გალიმება ბავშვური ზანგის.
ყვითელ ქაირში რომ ვაქრობდა მკრთალ ბანანებით.
მე ერთი ვნახე და ველარ ვსთქვი თამამი „არა"
და მომეწონა რომ მფარავდა მე ოქროს ბადე...
მე მიხარია ბნელ თვალებით რომ დავიბადე.
რომ ბედში ვცხოვრობ და ცრფობისთვის მაინც არ კმარა...
თეთრი თავაღის დაბრუნება მე თრთოლვით ვცადე.
ავტირდი ჩემად. როცა რაში ცხენს მოეფარა.

1916

მე და კაცა

ხშირია სიჩუმე ოთახის სცენარი.
წვიმის ღრო მოვა და ღიღაბის ღარჩება.
ბუხართან კაცაა ყოველთვის მღუმარი...
ცისფერი ოთახი წითლად იფარჩება.
მივდივარ ბუხართან: რა მინდა! რა ვიცი!
ველაენ, თბებიან ცივცველი ფეხები.
მე არ შემიძლია, მე მარცო დავიწვი.
და ფეხის გუღებით კაცის ზურგს ვეხები.
და ისევ ზმორება, ვნება უწინდელი.
კაცასთან თამაში და თრთოლვით ხუმრობა.
ძვირფასმა მაჩუქა გამხდარი ცინდალი:
მე მიყვარს ზამთარში სიჩუმის სცენრობა.

1916

ყოველთვის მაისში

ავსწიე ფარდა, და მაისმა აკოცა მინას,
ვინც მე მიყვარდა ის ჩემთან არი და ჩემთან სძინავს,
ვაკოცებ ხელზე, როგორც წმინდანს მე დავკოცნი მას.
და სხვა სახელზე მე დავიწყებ მერე ოცნებას.
და მორიდებით კოცნას ვმაღავ მე იმის თმაში
და ძვირფას ქვებით მოძინდება მერე თამაში.
ზურმუხტს და ღიღებს, მოვიფანტავ ცანზე ძვირფასათ.
დავხუჭავ თვალებს: მეყვარება მაისის მზგავსათ.
კოცნით გამთბარი, სიხარულში გავიწმინდები;
იღვიძებს ქმარი, რომ ჩამაცვას თეთრი წინდები.
ძვირფასი ქვები, ჩვენს საწოლში დაიფანტება...
მე კვდები, კვდები — მისი ხელი მკერდს ეღანდება.
შიშით ვიცანი: — რომ მაისი გაგვითენდება
და ჩემი ცანი სიყვარულში დაითენთება.

1916

ეიენე დარიანი წერს უბრალოდ და აბნეულად

ამაღამ მგონი იქნება ქარი!..
ვაი, ღეღოფაღ ცყეშღების ბრაღი!
ღაღონებული წავიდა ქმარი,
და დაბრუნღება ღიღაზე მთვრალი.

ღიღი ხანია ამ ბუხრის აღში
ცკივიღით იწვის ჩემი ოცნება...
ქმარმა გასცვაღა მომღერაღ ქაღში
ჩემი ცოღვიღი პაციოსნება...

აღბათ მოჰყვება მას სავარცხეღი
უფრო უბეღურ ჩემი მეცოქის...
მეცყვის ბრძანებით: — მომეცი წყაღი
ჩემი ფერაღი სპარსეული ღოქის.

მონა ვარ მისთვის მე სასახეღო,
(მე ის მკოცნიღა სხივიან ღღეში):
ღვინით გასვრიღი მისი საყეღო
გაღავარღება მყეღრო კეთხეში.

ქმრის სითამამე ჩემი ბრაღია.
არ ვწეხვარ ბეერი რომ მოვეხათრე...
რაღგან ძვირფასი მეცაღ მთვრაღია,
ღაეძინება მას ჩემზე აღრე.

1920

ცისფერი ქოლგა

მე სოფლის ამბავს შენ მოგიყვები,
(შენ რომ ჰკოცნიდი ტუჩების კიდეს);
ისე დაზრდიღან ჩვენი იხვები,
რომ პეპლაობა დაიწყეს კიდეც.
შემომეჩვიენ ჩემი მტრედები.
თმას მიხიდავენ ღერჯ ნისკარტებით.
ამ სიყვარულით ნაიმედები.
თავს ვიმშვიდებდი სოვეი ვარდებით.
ვკითხულობ ვაჟას. ვიძულებ პოეს.
ვნატრობ სესხიან მწარე ამინდებს;
ზურგს ვუფხან დღისით პაცარა ხბოებს
და საღამოზე ვიფერავ თითებს.
ვწოვ ყურძენს. როგორც მკივანა ბზიკი,
ტყეში ვნახულობ მე წითელ სოკოს;
ხან მღვრიე მაჭარს ვსვამ რვეული ქიქით,
ხან ვეავარ სოფლის მკერდ-სავსე გოგოს.
წვიმაში ვარჩევ სიმინდის ცაროს
და ღამაზ ცაროს ვაკოცებ უცებ,
მერე კი ვათევ ღამეს უმთვაროს,
და იქვით სავსე გულს არ ვახუცებ.

1922. სექტემბერი
სოფ. ავლევი

წერილი ანნა ახმატოვას

მე მინდა გითხრა სამძიმარი,
რომ ბიროკი მოკვდა!
ხანდახან ჩემი და მძინარი
მეცა ვარ ბიროკთან.
ჩამოდი ჩემთან. მე მგონია
ვიქნებით დები:
თუ პეტერბურგის აგონია
გიყვარს... და ვცდები.
თბილისის მადლი და შვენება
გიშვენის, ვიცი.
ორივეს ერთად გვეჩვენება
წასული პრინცი.
შენ დალატული გიბანია
სხვული ნისლში...
ჩემი ქვეყანა ისპანია
არი ივლისში.
მე ცოცა მიცნობს: სხვანაირი
მენწვია ბედი.
შენთვის საჩუქრად მაქვს დაირი
და ოქროს გედი.
ჩვენი მზე, ჩვენი მხარე ღორჯი
ღოყებს აგინთებს;
აკოცე შენი ცივი ტუჩით
თამარის თითებს.

1922

დარიანული

დაიცანჯა
    მაჯა
    მარჯნის
მძიმე ჯაჭვის ცარებით.
    ბევრი ცრემლი დამეხარჯა
ერთ ღამის ნეცარებით.

დაიცანჯა
    მაჯა
    მარჯნის
მძიმე ჯაჭვის
    ცარებით.
მე ღოყაზე დამრჩა
    ფარჩა
ცხელ პირის მოკარებით.

დაიცანჯა მაჯა
    მარჯნის
მძიმე ჯაჭვის
    ცარებით.
ჩემ დამცანჯველის
    ღმერთი დასჯის
    ქაჯად
გაღაგვარებით.

1923

პარიზისკენ

უნდა აყვავდეს მაღე ქვიშნები,
უნდა ბაღახი ღიღამ დართვიღოს:
მე ამ ზაფხუღზე დავინიშნები
და მივატოვებ ჩემ საქართვეღოს.

მე დავშორდები ძვირფას პოეტებს
და თან წამყვება ვაჟას კრებუღი;
ჩემ ღექსს ბაიშქვეშ ვინ ამოიღებს
ჩემი კოცნებით გაოგნებუღი.

ჩემო ქვეყანა. მეტად ძნეღია
შენი დაკარგვა და დატოვება;
სოფღის ბავშვები აღარ მეღიან
არ მეღის მუხა ათასრტოება.

ჩემო ქვეყანა, ვიცი პარიზი
არი გუღის და თვაღის ამხეღი.
ვიცი მომეღის მე უარესი.
აღბად გაცყღება ჩემი სახეღი.

აქ ჩემ სუღს კიღევ მზე მოუვღიდა.
დაშორებუღს კი ვეღარ მიშვეღი;
იქნებ დაიწყოს ცოღვა ღუვრიდან
და გადავიქცე მე ბუღ მიშეღი.

მაგრამ არ მინდა ღხინი ქიქების,
მინდა მივიღე შეუცოღვეღი
ყრუ მონასცერში კათოღიკების.
საღაც მიკითხავს ღოცვას კიღეღი.

მაშინ დავცინებ მე ჩემს საროს ცანს.
უკვე დაქანცუღს ვნების წვაიებით...
მე ვეღარ მივაღ სოფღის წყაროსთან
და ვერც თამაშით დავიღაღები.



პაოლო იაშვილი, 1932 წ.

ქალაქი, ხეები, სიყვარული...

ფერადი გუმბათები

თბილისში ბევრი მათხოვარი — საზიზღარია.

ერთი მათხოვარი ქუდს ისე მიხდის, როგორც ძველი ნაცნობი, შემდეგ ქუჩაში გამოგენთება, ჩაგაცივდება, იკლაკნება, როგორც ცხრაფეხა.

ის ყოველთვის ილიმება, თუ კარგად ჩაცმული დაგინახა.

ღარიბებს არც ქუდს უხდის, არც უღიმის. საღამოთი ჩაჯდება ალექსანდრეს ბაღის მოაჯირთან და ხარბად ითვლის ფულს.

მას ორი შვილი ჰყავს, რომელთაც ისე ჰგეშავს მათხოვრობაში, როგორც მონადირე ძაღლს.

კიდევ არის მათხოვარი, რომელიც დედას იგინება, თუ ფულს არ მისცენ; თუ ამ დროს მიუბრუნდები, მიხვალ, აჩუქებ, უცბად გაიცინებს, ბოდიშს მოიხდის და გეტყვის: „ნამომცდაო“

ერთი ყოველთვის სტირის, საღამოთი კი მიდის „მეეტლეების სამიკიტნოში“ ვორონცოვის ხიდთან საათრობელად, სვამს ასურეთის მჟავე ღვინოს და ზედ ატანს გამხმარ დოშის კუდს, რაშელსაც მისთვის იმეტებს ვაჭარი დიდზურაბოვი.

მაგრამ ტფილისში ბევრი გულის დამწველი მათხოვარია.

ნე მყავს მათ შორის ნაცნობები.

მათთან შეხვედრა მახარებს, როდესაც მთვრალი ვარ, მიყვარს მათთან საუბარი. თუ ფული არა მაქვს, ვსესხულობ და მათ ვაჩუქებ.

ერთ საღამოს ბრმა ახალგაზრდა მათხოვარს, რომელიც, სამწუხაროდ, ორი წელიწადია აღარ სჩანს ტფილისში, მე შევუგროვე ფული ამნაირად:

მოვიხადე ქუდი და ვიძახდი:

„აჩუქეთ ხელმოკლე პოეტს ერთი კვარტი ღვინისთვის!“

მე მთელი ქალაქი მიცნობს — ბევრმა მაჩუქა.

სულ მალე ათი კვარტის შევაგროვე. მათხოვარი სულ იცინოდა, ხელებს ისრესდა სიხარულით, მაგრამ, როდესაც ფული ჩავაბარე, შეფიქრიანდა, დაეჭვდა, ფული ეცოტავა და დარწმუნდა რომ გამოვრჩი.

შეგროვილი ფულიდან ნაწილი მართლა დავიტოვე ჩემი ერთი ამხანაგის ჭკუიანი რჩევით და წავედით „ჭაჭასთან“. „ჭაჭა“ ვაჭრობდა მხოლოდ ღამით, ჰგავდა ჯალათს. დუქანი გამართული ჰქონდა სარდაფში ჩასავალ კიბეზე და, როდესაც მუშტარი არ ჰყავდა, ჰკვებავდა თაგვებს ყველის და პურის ნამცეცებით.

ამ უკანასკნელ დროს ტფილისში გაჩნდა ერთი ბრმა, თიანეთიდან ჩამოსული. ის უკრავს ფანდურზე და იმღერის არსენას ლექსს:

„წუხელი სიზმარი ვნახე
ინით ვიღებავდი წვერსა“.

სოფლებიდან ჩამოსული გლეხები უსმენენ მას და იცრემლებიან, როგორც არსენას დასაფლავებაზე.



თბილისი, 1920 წ.

ყველაზე ორიგინალური ტფილისის მათხოვრებში უსათუოდ ჩვენი „კაპიტანია“ ექვსი წელიწადია მას აცვია ერთი და იგივე საზამთრო ოფიცრის შინელი. გარეგნობით ჰგავს ნიკოლოზ მეორეს, ლაპარაკობს ლექსებზე, სპორტზე და, თუ მოიწვიე კაფეში სავახშმოდ, — მოითხოვს, როგორც შანსონეტკა მაინც და მაინც ძვირ საჭმელს. ღვინოს მხოლოდ ერთ ჭიქას დალევს, ნაკლულ ბოთლს ჩაიდგამს მწვანე ტომსიკაში და თავაზიანად იტყვის: „ხვალ შეიძლება თქვენ ვერ გნახოთ — ეს ღვინო სადილად მეყოფა“

კაპიტანის ოცნება ახალი ჩექმების ყიდვა და გემრიელად ჭამა არის.

მაგრამ მან იცის თავისი ფასი და სამზარეულოში არ შევა მზარეულის სამოწყალოდ. მას უყვარს სუფრა სუფთად გაშლილი, ხელსახოცის გულზე აფარება და საუზმის წინ არყის დალევა.

კაპიტანი განსაკუთრებულ სიყვარულით მაფასებს მე და ჩემს ამხანაგებს, როდესაც მიადგება რომელიმე რესტორანს, ფრთხილად შეაღებს კარებს, გაიწმენდს სათვალეებს, გადაათვალიერებს ხალხს და იკითხავს:

– ერთი ეს მიბრძანეთ, ქართველი პოეტები ხომ არ არიან აქ? — და თუ უარს მიიღებს, მაშინ კერძოდ ჩემს გვარს დაასახელებს.

თუ რესტორანის პატრონი ვახშამს არ მისცემს — კაპიტანი ჩამოივლის სუფრებს და თავაზიანად შეეკითხება სტუმრებს: „შეიძლება თქვენის ნებართვით მოვითხოვო პრეისკურანტი?“ „კაპიტანს“ ხშირად აძლევენ ამის ნებას და ხანდახან მხიარული მოქეიფენი, რესტორანის დაკეტვის შემდეგ, ჩაისვამენ მას ეტლში... ამ შემთხვევაში კაპიტანი ყოველთვის კითხულობს: — „რა ამბავია, ქალებისაკენ?..“ სანამდის ეტლში მოეწყობოდეს, კაპიტანი ეუბნება მეეტლეს: „მე შეიძლება ღვინო მომეკიდოს, გთხოვთ ჩაიბაროთ ჩემი ტომსიკა და უსათუოდ გამახსენეთ მისი წაღება“. კაპიტანს ტომსიკა არ ავიწყდება, რადგან იქ, როგორც თვითონ ამბობს, სანოვაგის მარაგის გარდა, ინახება მისი პირადობის მოწმობაც.

კაპიტანს უყვარს ქალებზე და სექსუალურ საგნებზე ლაპარაკი, მაგრამ ყოველთვის უმატებს: „მე ჩემს ცოლს ვერ ვუღალატებ“. თუმცა მისი ცოლი უკვე ორი წელიწადია წავიდა ბაქოში ერთ ნაცნობთან და წერილსაც არ იწერება.

რევოლუცია კაპიტანს მოსწონს, მაგრამ მაინც მოიგონებს დიდ მთავარს კონსტანტინე კონსტანტინეს ძეს: — კორპუსში ყოფნის დროს მას თავის ლექსების კრებული აჩუქა.

კაპიტანის ბინა თითქმის არავინ იცის, მეზობლებს გარდა, ალბათ, ის ყოველთვის ემდურის მეზობლებს, რადგან მათ კაპიტანს კუდიანი დაარქვეს.

ერთხელ კაპიტანი შემეკითხა: „არსებობენ თუ არა კუდიანები?“ მე, რა თქმა უნდა, ვუპასუხე, რომ, როგორც განათლებულსა და სწავლულ კაცს, არ მჯერა კუდიანების არსებობა... „კუდიანები რომ არსებობენ მე ეს ვიცი“ — დაჟერებით მიპასუხა კაპიტანმა — „მაგრამ შეიძლება თუ არა მე არ ვიცოდე, არ ვგრძნობდე და ისე ვიყო კუდიანიო“.

თბილისის მათხოვრებს კაპიტანი არ უყვართ და მას დიდ კაცს უძახიან.

საზოგადოდ, თბილისის მათხოვრებმა დაჰკარგეს ერთმანეთში თვისება. ძვირად შეხვდებით ჩვენს ქუჩებში ორ მათხოვარს ერთი მეორესთან მოლაპარაკეს. ერთმანეთი სძულთ, ერთმანეთს ემუშტრებიან ქუჩებში „გეზიან“ ადგილებზე. მათხოვრები „გეზიან“ ადგილებს ისევე ირჩევენ, როგორც ვაჭრები დუქნებს და დარაბებს.

ყველაზე შემოსავლიანი იყო სასაფლაოს „ყელი“, მაგრამ ეს ადგილი მათხოვრებს რჩებათ მემკვიდრეობით, ხანდახან ხდება „გამოყიდვაც“. ზოგი შემოსავლიან ადგილზე „სართს“ ართმევს მეორეს.

ᲝᲠᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲐᲗᲮᲝᲕᲠᲔᲑᲖᲔ

პარიზის მათხოვრები ბევრად მაღლა სდგანან ტფილისის მათხოვრებზე შეგნებით, ისინი შეკავშირებული არიან: მათი საერთო ჭერი სენის ხიდებია. პარიზში მათხოვარს ოთახი იშვიათად აქვს. მისი ბინა არის კათედრალების – ნოტრ დამის, სანსუპლისის – გალავნები. ღამე სძინავთ სენის ხიდებს ქვეშ.

დღისით მათხოვრები აგროვებენ პაპიროსის ნამწვავებს, ქუჩაში დაფანტულ ქაღალდებს, ძონძებს.

ქუჩებში აკრძალულია – მათხოვრობენ ეზოებში.

ზოგი ატყუებს ქუჩის აჟანს. დაიჭერს ერთ ძველ გაზეთს „ლა პატრის“, თითქოს გამყიდველია და მხოლოდ საიმედო გამვლელს გაუმჟღავნებს თავის საიდუმლოებას.

საღამოს სენის ნაპირები სავსეა მათხოვრებით.


სენა მწვანედ არის ამღვრეული, როგორც აბსენტი. წყალის ზედაპირი ელვარებს ქონით, მაზუთით. თეთრი გედებივით მიჰქრიან პატარა გემები და ნავები.

სენის ხიდებ ქვეშ დიდი ხმაურობაა. ზოგი მათხოვარი მშიერია, ადრე დაიძინებს. უმეტესობა [illegible]ობს ომზე, რევოლუციაზე, ჟორესის მოკვლაზე.

[illegible]ზე ცნობილი მათ შორის არის გასტონ დელაროშ, რომელსაც მეგობრებმა „ფალიერი“



პაოლო იაშვილი, თამარ და გიორგი ოქრომჭედლიშვილები. თბილისი, 1923 წ.



როდესაც ის დაინახავს უცხო სტუმარს, ხიდის ქვეშ ჩამოსულს, მივა და ეტყვის:

– თქვენ ალბად ნორვეგიიდან ჩამოსული ტურისტი ხართ, ან ესპანელი მომღერალი, გაინტერესებთ პარიზი და ჩვენი ცხოვრება. მე გახლავართ გასტონ დელაროშ, კეთილშობილი მათხოვარი, მცხოვრები სენის ნაპირას, დეპუტატ ჟორესის მეგობარი და მისი ამომრჩეველი.

ამის შემდეგ ის დაგიმტკიცებთ თუ რა ადვილია უეცრად გამათხოვრება. შემდეგ ამაყათ იტყვის: ამაღამ სიცივე იქნება, გათენებისას აქ ყოველთვის ძალიან ცივა. მე თქვენი ფული არ მინდა, გაიარეთ აქედან კაფე „პასკალში“ და დაუკვეთეთ ჩემთვის ორი ჭიქა პუნში, ხვალ დილით მივალ და თქვენს სადღეგრძელოს დავლევ.

ფალიერი ყველაზე ბევრს კამათობს.

ყოველდღე კითხულობს ლ'უმანიტეს, იცის პოლიტიკა, ეჯავრება როიალისტები და წინააღმდეგია ბერლინის ოკუპაციის. კონკორდიის მოედანზე აღტაცებით უხდის ქუდს ელზასისა და ლორენის ძეგლებს და ზიზღით იხსენიებს ბისმარკს, რომელმაც „რკინის ყუთში ჩაჰკეტა ელზასისა და ლორენის აყვავებული ბაღები“. ის მეთაურობს კავშირს „სენის მათხოვრებისას“ და სასტიკად სდევნის ქურდებს მათხოვართ შორის.

როდესაც ცივი ზამთარია, ბევრი მათხოვარი კვდება სენის ხიდებ ქვეშ.

ავადმყოფები სიცივეს და შიმშილს ვერ უძლებენ. ღამე ადგება ავადმყოფი, გადაიძრობს გაზეთს, რომელიც მას საბნათ ახურავს, მივა მდინარის ნაპირას და წყალში გადავარდება. ამას ბევრი ხედავს, მაგრამ ადგილიდან არავინ დაიძვრის. ავადმყოფი მათხოვარი გადავარდება წყალში, და რადგან მას არავინ უშველის – დაიხრჩობა.

ერთ ღამეს მე, ილია ერენბურგი და გიომ აპოლინერი ვეწვიეთ მათხოვრების ბანაკს ალექსანდრე მესამის ხიდის ქვეშ.

მაშინ ომი დაწყებული იყო და ბანაკი ნამდვილ პარლამენტს ჰგავდა. იყო კამათი და თავმჯდომარეც იყო.

ერთი მათხოვარი, ყოფილი კონსიერჟი ქიმიურ ლაბორატორიისა, უხსნიდა დანარჩენებს „მაღრჩობელ „გაზების“ მნიშვნელობას. „გაზების“ გამოგონება ყველას აბრაზებდა, რადგან ის ხელს შეუწყობდა მათხოვრობის გავრცელებას საფრანგეთში.

ღამის ორი საათი იყო, კამათი არ თავდებოდა.

ყველას შიოდა.

ათი მათხოვარი მე, აპოლინერმა და ერენბურგმა წამოვიყვანეთ კაფე „ა ლა როტონდში“ სავახშმოთ. „როტონდა“ ჩვენი მეგობრებით იყო სავსე და მათხოვრების დანახვამ აღტაცება გამოიწვია.

მსხვილი რიბეირა, ესპანელი მხატვარი, ნახევრად ტიტველი იყო, რადგან სიცხე აწუხებდა. მან სათითაოდ გადაჰკოცნა ჩვენი სტუმრები, მივიდა ერთ ცნობილ მხატვრების მეცენატთან, რომელიც დადიოდა „როტონდაში“ და ცდილობდა ხელში ჩაეგდო ზანგის ქალი ჯელიკა, ლამაზი და თევზივით მოქნილი. რიბეირა მოვიდა მეცენატთან, მაგრად დაჰკრა ჯოხი თავზე დაცმულ კატელოკზე და უბრძანა ვახშმის გაწყობა. მეცენატს ეტკინა თავი, მაგრამ გაიცინა და ვახშამი გაამართვინა.

მათხოვრები, პოეტები და მხატვრები მეცენატის სტუმრები ვიყავით. დიასახლისებად ავირჩიეთ ჯელიკა და მარევნა, მხატვარი ქალი, პარიზში ტფილისიდან ჩამოსული.

პირველად რიბეირამ ადღეგრძელა მეცენატი და უკანასკნელის ხარჯზე უბრძანა კაფეს პატრონს ხუთ-ხუთი ფრანკი გადაეცა თითო მათხოვრისათვის.

ბრძანება შესრულდა.

მეცენატს ეწყინა, მაგრამ ხელზე აკოცა ჯელიკას.

შემდეგ ჯელიკამ სთქვა: „ამხანაგებო, ჩვენ გვეწვიენ „სენის მოქალაქენი“, ასეთი სურათი ჯერ ჩვენს როტონდას არ ახსოვს. ჩვენ შორის დღეს არ არის ის, ვინც გაოცდება ამ სურათით – მისცემს მას უკვდავებას. ჩემი წინადადებაა გაეგზავნოს ავტომობილი პაბლო პიკასოს და ეთხოვოს მას აქ მოსვლა“.

აპოლინერმა ჯელიკას ტუჩებში აკოცა, მაგრამ ავტომობილი ცარიელი დაბრუნდა: წინა დღით პიკასო ფრონტზე წასულიყო.

როდესაც მათხოვარი ელიმ ადერი ადგა სიტყვის სათქმელად, მოხუცებული და კეთილი როტონდის გარსონი ლუი მივიდა მასთან, ატირდა და სთქვა:

– ბატონო ემილ, ნუ თუ ვერ მიცანით, მე ვარ ლუი გარსონი კაფე „რიშიდან“. ბევრი ლუიდორი მახსოვს თქვენგან ნაჩუქარი.

დიდი ხანია გავიგე თქვენი დაცემა, გაღარიბება.

მე უცოლო ვარ და კარგი ოთახი მაქვს.

გადმობრძანდით ჩემთან ბინაზე...

და ახლა კი, ბატონებო, ნება მიბოძეთ – მოიწმინდა ცრემლები ლუიმ – ბატონ ემილ ადერის პატივსაცემად მოგართვათ ექვსი ბოთლი ბურგუნდიისა.

ემილ ადერმა სიტყვა ვეღარ სთქვა, ენა დაება, ჩაეკრა მოხუცებულ და კეთილ ლუის და ორივე წავიდენ მეორე ოთახში წარსულის დასატირებლად.

ამ სურათის დანახვაზე, ახალგაზრდა პოეტმა ალბერტ ჟანმა ლექსი დასწერა და გადასცა ერენბურგს რუსულად სათარგმნელად.

როდესაც გათენდა, მე გამოვეთხოვე პარიზელ მეგობრებს და ამ დღესვე წამოვედი საქართველოში.

როტონდის უკანასკნელი ღამე დღემდე არ დამვიწყებია, მახსოვდენ სენის მათხოვრები.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც შევხვდი ერთ რუს მათხოვარს, ლეონტი კაჩერგას, სოლოლაკში. მან მომაგონა როტონდის უკანასკნელი ღამე და სენის ხიდები.

როგორ ცხოვრობს მათხოვარი ლეონტი კაჩერგა

ლეონტი კაჩერგა – მაღალი და მოღუნული, მისი დიდი ცხვირი ჰგავს მსხვილ მწიფე ხენდროს, თმა აქვს ჭაღარა, როგორც გაურეცხელი თეთრი მატყლი, ტუჩებთან თმა ისეა გაყვითლებული თამბაქოს ბოლით, როგორც ოქრო.

ლეონტი კაჩერგას სახე მუდამ შეშინებულია, თვალებიდან ყოველთვის წყალი მოდის. ქუჩაში ფულს არავის სთხოვს, თუმცა დგას ქუჩაში სამათხოვროთ. მისი კისერი რბილი და ჩაჟანგებულია, როგორც ხეზე ამოსული აბედის სოკო.

აცვია ძველი მაზარა იღლიებ ქვეშ გამომწვარი და გამოხეული.

ის ყოველთვის სდგას – არ დაჯდება.

მას ქუჩის ბავშები არ აწუხებენ – პატივსაც სცემენ.

მას არ აქვს ტომსიკა ხმელ პურის შესანახად. ფულს ის ძველ, რუხ ქუდში ინახავს და ხანდახან ქუდი გაბერილია ბონებით.

ლეონტი კაჩერგა სდგას უსიტყვოთ, ყოველთვის ჩაფიქრებული, სიცხიან დღეში ჩაფიქრება მის სახეზე ტანჯვათ იქცევა და ის ქუჩაში მოსჩანს, როგორც ჯვარზე გაკრული.

ცხოვრობს მუხრანის ხიდის ყურთან, მის ეზოში რეცხავენ ტყავებს და ზაფხულში იქ შმორის სუნია.

ეზო მტკვარზე გადადის.

ოთახი აქვს ქვემო სართულში, ოთახის წინ პატარა აივანია უდერეფნოთ. იქ დგას ძველი დანგრეული ტახტი, რომელზედაც მას უხდება ძილი.

ოთახში პატარა ორი წლის ბავშით სცხოვრობს მისი 19 წლის ქალი კლარა, რომელიც კახპობს. ლეონტი კაჩერგას ოთახში ღამის გათევა ძვირათ შეხვდება, რადგან მის ცხრამეტი წლის მეტად ლამაზ ქალთან ყოველ ღამე მოდიან სტუმრები.

ოთახში ელექტრონის სინათლეა, სუფთად არის მორთული, იქ ყოველთვის „მარწყვის საპნის“ სურნელებაა, კედელზე ჰკიდია ემელიან პუგაჩოვის სურათი, სურათის ქვეშ ფიცრის სკამზე სდგას ლურჯი ემალის ტაშტი.

ფანჯრის თაროზე უამრავი შუშებია.

ლოგინთან კედელზე გაკრულია გაშლილი, ფერადი ქაღალდის მარაო, მარაოს გარშემო კი სურათებია ლინა კავალიერის, სობინოვის, მოჭიდავე პეტლერძინსკის და ვიღაც უნტერ-ოფიცრის, რომელიც ცხენს მიაჭენებს და ხელში აქვს შიშველი ხმალი. ერთ კუთხეში ფიცრის სკამზე გამართულია ლოგინი პატარა ბავშისთვის.

ᲔᲝᲜᲔᲑᲘ ᲙᲐᲩᲔᲠᲒᲐ – ᲛᲐᲛᲐ

დილით კაჩერგა ზის ოთახის წინ.

იფხანს გაუანგუშ და აბედივით დაჩვარულ კისერს. ვითომ ეალერსება მუხლებზე დამჯდარ შვილი-შვილს.

უნდა გაუცინოს ბავშს და ლაფშებს აღებს ბაყაყივით, ბავშს შია, დასუსტებულია და კნავის, როგორც ტურა.

ბავში რომ დაამშვიდოს, პირში ჩაუდებს ბინძურ, დაუბანელ ნეკს სალოკავათ. ერთი წუთით დამშვიდდება პატარა, მაგრამ უცებ სახე დაემანჭება, თითქოს ძმარი დალია.

კაჩერგას ნეკი არ არის გემრიელი.

ბავშს მოსწყინდება ტირილი და შიმშილი და ჩაისველებს კაჩერ-გას მუხლებზე. მათხოვარი იგრიხება, როგორც გველგადაყლაპული, ჰაერში არწევს ბავშს, რომლის პატარა და გამხდარ მუხლებზე ცხელი შარდი მოკრიალობს, როგორც მდუღარე ცრემლები.

აულაგებელ ყავისფერ ლოგინზე დაასვენებს კაჩერგა ბავშს, მზეზე გაიშრობს დასველებულ შარვლის ტოტებს, მივა კარებთან, და როგორც შეშინებული, ხრინწიანი ხმით დაიძახებს:

– კლარა, ბავშს შია!

შემდეგ ჩამოჯდება ლოგინზე, ზურგს მიუბრუნებს ოთახის კარებს, საიდანაც გამოდის მორიგი სტუმარი.

კლარას სტუმრის ყოველთვის რცხვენია უბედურ მამას.

შეიყვანს, თითქოს შეასვენებს ბავშს დედასთან.

ოთახში სიმჟავის სუნია.

ელექტრონს დააქრობს, გააღებს ფანჯარას და უსიტყვოთ გამოვა ოთახიდან, მიდის სოლოლაკში და დგება ქუჩაში, როგორც ჯვარზე გაკრული.

იმ ქუჩაზე, სადაც კაჩერგა სდგას, მე მიხდება ჩავლა ყოველდღე.

ერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ მე ჩამევლოს კაჩერგასთან და მისთვის არაფერი დამეტოვებიოს.

შორიდან მოიხდის ქუდს, სახე უწითლდება, თითქოს რამე დააშავა, ფულს ფრთხილად მართმევს: ასეთის სიფრთხილით ანთებდნენ სანთელს ხატის წინაშე. უნდა რაღაც სთქვას, მაგრამ ხმა უწყდება.

ერთ დღეს შორიდან შევამჩნიე, რომ კაჩერგა სხვანაირ გუნებაზე იყო.

ქუჩის ბავშებს ეთამაშებოდა, იცინოდა, ამბობდა ყრუ ხმით რაღაც სიტყვას, მე მომაშურა და მითხრა:

– დღეს ნუ მაჩუქებთ. დალეული ვარ, არაყი დავლიე ბევრი. მერე ჩვენმა მედუქნემ ბალი მომცა და ოთხი ირისი, ირისი და ბალი ამ ბავშებს დაურიგე. მე დალეული ვარ, თქვენთან მინდოდა ლაპარაკი. აღარც არაყი მინდა, არც ღვინო. მინდა სადმე თქვენთან ლაპარაკი. მე ვიცი თქვენი დაწესებულება, იქ შესავალ კარებთან ბევრი დახატული მხეცებია, თქვენი მეეზოვეც მიცნობს. მაჩუქეთ ნახევარი საათი.

კაჩერგას თვალები ელავდენ ისეთის სიგიჟით, თითქოს მისჩერებოდა ცეცხლს, რომელიც მის საკუთარ სახლს ან ქონებას წაეკიდა.

მეც მინდოდა მასთან საუბარი და წავედით „ხელოვანთა სასახლეში", სადაც სპარსულ ოთახში მოვისმინე:

კაჩერგას მონოლოგი

– მე მაქვს პროგრესიული დამბლა ხერხემლის. წინად ვმსახურებდი ბანკში ფულის დამთვლელად. ახლა ფულის თვლა აღარ შემიძლია – თითებმა დაჰკარგეს გრძნობიერება.

ცოლი გამიქრა ოცდაოთხ საათში, ექიმებმა ვერ უშველეს.

დამრჩა კლარა – ჩემი ერთად ერთი შვილი. სამი წლის წინად ის სულ ბავში მომტაცა ლოთმა დალაქმა, რომელიც არაყს ისე სვამდა, როგორც ჩაის, ის სცემდა ჩემ კლარას, კბენდა, არ აცმევდა, არაყს აძალებდა, ათახსირებდა.

წელიწადზე მეტი ყავდა ჩემი ბავში, მერე გული გაუსკდა, მოკვდა და კლარა ორსულად დამიტოვა. ვერ მოუარე ბავშს.

ლამაზი იყო.

ორსულობაშივე გაჰყვა ხელს.

მეხორცეები ესეოდნენ ჩემს ბინას, როგორც სასაკლაოს.

ერთ ყასაბს ვცემე, ჯოხი დავკარი სქელ მუცელზე. ისე მაგრად დავკარი, რომ ნაწლავების ანთება დაემართა.

ყველას ვეჩხუბებოდი, მაგრამ მოხუცი ვარ და სუსტი.

ჯერ მერიდებოდნენ, მერე ნახეს ჩემი უძლურობა. დამცინოდნენ, მახელებდენ. კლარამ ჩხუბი დამიწყო, შენ მე ვერ მაცხოვრებ,

გამიტყდა ხასიათი.

დავიწყე მათხოვრობა.

ქუჩაში კლარას მამას მეძახოდენ.

კლარამ ოთახი მოაწყო, ელექტრონით გაანათა.

ბავში ეყოლა. ჯერ ერთი ჰყავდა საყვარელი, მერე მეორე. შემდეგ ყველა მისი საყვარელი იყო.

ერთი ოთახი გვაქვს. მე შვილმა ვერ გამაგდო. უყვარს მაინც მამა, ბავშს არავის ანდობს ჩემს გარდა.

როცა ღამე სტუმარი ყავს კლარას, მე დერეფანში ვწევარ, ვერ ვიძინებ. არ მძინავს. შვილი მაწუხებს. ჩემს ლოგინთან ოთახის ფანჯარაა.

ღამე კლარასთან სტუმრები მოდიან.

ვინ არიან სტუმრები, რა სჯულის, რა ხელობის?

ხშირად მესმის შვილის კვნესა, სიცილიც მესმის, მაგრამ ის სიცილი ტყუილია, ის სიცილი კლარას მოგონილია.

ერთხელ კლარა წავიდა. ჩემს ლოგინთან რომ ფანჯარაა, იქ შუშა ჩავტეხე ქვედა კუთხეში. გარეთ გამოვედი, ჩატეხილ კუთხიდან შევიხედე, მთელი ოთახი დავინახე. მაწუხებდა შვილი, ვერ ვითმენდი. როცა მთვრალი სტუმრები ატირებდენ კლარას, შუშის კუთხეში პატარა ჯოხს შევყოფდი, ფარდას ავწევდი ჯოხის წვერით და ყველაფერს ვხედავდი.

რამდენი მახინჯი კაცი დამინახავს კლარასთან დაწოლილი.

ერთხელ დალაქი მოვიდა, შავი, როგორც ნაგაზი, ზემო ტუჩი გახეთქილი ჰქონდა, ის ამხანაგი იყო კლარას ქმრის.

აწვალებდა ჩემ შვილს. თმებს უჭამდა, თვალებს უწოვდა, მერე ძუძუზე უკბინა. იკივლა შვილმა.

მე ყველაფერს ვხედავდი ფანჯრის კუთხიდან. სასთუმალთან ნაჯახი მქონდა. ვიყვირე. ლოგინზე ვყვიროდი... უშველეთ კლარას, უშველეთ კლარას... ვიძახოდი... ნაჯახი ავიღე... მაგრამ ხელში გამივარდა.

მე კაცის მოკვლა აღარ შემიძლია. კაცის მოკვლას ძალა უნდა. ნაგაზი გამოვარდა ოთახიდან... კლარას ხმა არ მესმოდა.

შევედი შვილთან.

ძუძუებზე სისხლი გადმოდიოდა, თვითონ გულწასული ეგდო, აყროლებული, მეორე კუთხეში ბავში კნაოდა. კლარას ტანზე მშრალი ადგილი არ იყო. სისხლი, ცრემლები, სიმყრალე.

დაუჩოქე ლოგინთან და შევევედრე: „შვილო, ნუ იღუპები, ახალგაზრდა ხარ, თავს უშველე. დედა ხარ, ბავშზე იფიქრე, მამა შეიცოდე“.

– „კარგი, კარგი, მამა!“ – მითხრა კლარამ. „დავანებებ თავს“. ძუძუ მოიბანა, იოდი დაიცხო. ბავშს გადახედა და დაიტანჯა, მე დავინახე რომ დაიტანჯა.

ის დღე ჩემთვის ბედნიერი იყო.

საღამოს კლარამ დამიძახა ოთახში, ბავში თეთრად გამოაწყო, ფეხის გულებს უკოცნიდა.

– მამა, მე ვიმსახურებ. ბავშზე ვიფიქრებ. ყოველდღე წავიყვან ბაღში. ამას წინად ერთმა ნაცნობმა მითხრა, მალე ალექსანდრეს ბაღში ისევ ძველებურად გაყიდიან ფერად ბუშტებს, წითელს, მწვანეს და ცისფერს, ფერად ბუშტებს, მე რომ მიყვარდა ბავშობაში. ყოველ კვირას ვუყიდი ჩემ ბავშს ფერად ბუშტს. ლოგინს გაუწყობ, მიუბამ ლოგინთან, დილით გაიღვიძებს და გაეხარდება.

მე ცახცახი დავიწყე სიხარულით.

კბილები ამიკანკალდა ნეტარებით.

ერთი ახალი ხალათი მქონდა შენახული. ის ჩავიცვი. გავიკრიჭე და გავიპარსე. მაშინ მე მუხრანის ხიდთან ვმათხოვრობდი.

მეორე დღით ვერავინ მიცნო.

ერთი მეგობარი მყავდა, საპნის ქარხანა ჰქონდა ავლაბარში. ის ხშირად მაძლევდა ფულს. ხანდახან იმდენს, რომ სამი დღე მყოფნიდა.

იმ დილით რომ ჩამომიარა, გავაჩერე. მან იცოდა ჩემი უბედურება. უამბე ჩემი სიხარული. არ გაუშვი. ვთხოვე ჩემთან წამოსვლა. შვილი გავაცანი. შვილიშვილს შუბლზე აკოცა. დაჯდა, კლარას დარიგება დაუწყო. აქებდა. მოეწონა, სამსახური თვითონ დაპირდა. ჩვენ მოვლას გვპირდებოდა. მე სიკვდილი დამავიწყდა. სიცოცხლე მინდოდა. სტუმარს ხელზე ვაკოცე. ეს იყო პირველი დღე ჩემი ნამდვილი ბედნიერებისა.

გავიდა ორი დღე.

ღამეობით არავინ მოდიოდა. სიმშვიდე და ნათელი დაბინავდა ჩვენს ოჯახში. მე გული ამიცრუვდა მათხოვრობაზე. ერთ საღამოს დამპატიჟეს ჩემმა ძველმა ამხანაგებმა, სახალხო ბანკის ფულის მთვლელებმა.

ყველას უხაროდა ჩემი გამოკეთება.

ღვინო ცოტა დავლიე. მაგრამ ამანთო და სახლში დავბრუნდი.

უკვე ჭიშკრიდან ფეხაკრეფით ნავედი ოთახისკენ.

მეშინოდა სიმშვიდის დარღვევის. ძილი და სიჩუმე საჭირო იყო კლარასათვის. ოთახს მივუახლოვდი.

ელექტრონის სინათლემ გამაკვირვა.

შიშით მივედი ლოგინთან.

ოთახიდან ლაპარაკი მომესმა. შევიხედე შუშის ამოტეხილ კუთხეში. და სადღაც, სიღრმიდან, გულის სიღრმიდან, გავიგონე საკუთარი კვნესა.

კლარას ისევე, როგორც ყასაბი, დალაქი, მიკიტანი აწვალებდა და ჰკოცნიდა ჩემი ძველი ნაცნობი, საპნის ქარხნის პატრონი.

ის მპირდებოდა გამთელებას, მან უარესად გაანადგურა ჩემი სული, სხეული, პატარა ოჯახი, ცხოვრება.

ლეშივით დავეგდე ლოგინზე.

იმ ღამეს ღრმად დამეძინა. აღარ მაწუხებდა შვილის ბედი, სიცოცხლე, მომავალი.

ვიგრძენი დასასრული ჩემი ოცნების.

გამოირკვა ყველაფერი.

გათავდა.

მეორე დილით შევხედე კლარას.

მის სახეზე იყო ცბიერება, მწუხარებაც, მაგრამ ყველაზე უფრო მე დავინახე მის თვალებში სულის სამუდამო სიკვდილი.

არაფერი შველოდა კლარას, გათახსირდა.

რამდენჯერ დაიჭირეს. მთელი ღამეობით ეგდო მილიციაში.

მე ვიღრჩობოდი, არავინ შველიდა ბავშს.

წასვლა მინდოდა მოსკოვში. იქ, იმასთან, გაგონილი მქონდამისი გულის სიკეთე ღარიბებისათვის, მივიდოდი, ვეტყოდი, „შვილი გყავს, გაგიზდია – მიშველე, მომეხმარე, წაიყვანე, მოუარე, შენია!“ – მაგრამ შორს იყო მოსკოვი – შორს!

ყველა მამა მეცოდება. ერთი მათხოვარი, ჩემი მეგობარი, ქართველია. რვა ნლის ქალი ყავს. გიჟდება კლარას მაგალითით.

მისი შვილი მიაბარეს კამოს სასწავლებელში. ყოველ დღე აწუხებს სკოლის უფროსს ჩემი ამხანაგი: – „ბავში არ გამიფუჭოთ კლარასავით, თვალები არ აემღვრეს, კარგათ მოუარეთ, მეტი არაფერი გამაჩნია!“

ბატონო მწერალო, მე თუ წავიდე ამ ქვეყნიდან, მიხედეთ იმ მათხოვარს, ურჩიეთ, საცოდავია.

გათავდა კაჩერგას მონოლოგი.

მე თითქოს თეატრში ვიყავი და ვხედავდი საშინელ წარმოდგენას.

ოთახში რაღაც სიბნელე ჩამოდგა.

ლეონტი კაჩერგა სიკვდილის პირათ ამბობდა თავის ნაღველით დამუნუკებულ სიტყვებს.

პატარა ამბავის დასასრული

კლარას პატარა ბავშს მენინგიტი დაემართა.

ავადმყოფობამ შესცვალა დედა.

ერთი წუთით აღსდგა მკვდარი სული.

ეჩხუბებოდა მთვრალ სტუმრებს, კლარას რომ ესეოდნენ, ოთახში არავის უშვებდა.

ბავშს სიცხე ადნობდა.

ორი დღე ლოგინში უგონოდ იდვა.

კვნესოდა და ძიგძიგობდა, როგორც ბელურას ბახალა.

პატარა ტუჩები გაებერა, თითქოს პატარა ტუჩები უნდა გამსკდარიყვენ. ისინი ჰგავდენ ტყუპად დალაგებულ პატარა, მსუქან წითელ ჭიებს.

ცხვირი გაყვითლდა და იყო მოელვარე, როგორც ქარვა.

მთელი სახე გაშრა სიცხისაგან.

თვალებს ვერ ახელდა, ხანდახან გაიხსნებოდენ შეკრული წამწამები და გამოჩნდებოდა თეთრი სინათლე, რაღაც მაგარი თეთრი სინათლე. როდესაც ბავშს თმა გაკრიჭეს, სახემ დაჰკარგა სილამაზე, სახე სულ შეწუხებული იყო.

წარბები ხან და ხან შეინძრეოდენ.

მარჯვენა წარბის კამარა ცხვირის სათავესთან ცოტათი შეტყობოდა და მაშინ ყველა გრძნობდა, რომ მწუხარე ბავში შველას ითხოვდა.

ყოველ წუთში იცვლებოდა შუბლზე ცივი ტილო. კლარას შენახული ჰქონდა ორი ოქრო. დაახურდავა. ბავშს არაფერს აკლებდა. ექიმს ტირილით ევედრებოდა, გასწორებას ჰპირდებოდა...

საღამოს ბავშს სიცხემ უმატა.

შუაღამისას კლარას კარებს მოადგა ერთი საყვარელი ამხანაგით. კარები მაგრათ შეანგრია. კლარა კივილით მივარდა კარებს, სახეში ეცა საყვარელს, ჩამოჰპოტნა, მაგრამ მოსულები მთვრალები იყვენ. შევარდნენ ოთახში გონდაკარგულები, დედა მივარდა ბავშის ლოგინს ღრიალით: „მიშველე, მამა, ბავშს მოჰკიდე ხელი!“

მამამ ჩაიკრა ბავში, კარებში გამოვარდა, ქუჩა აავსო ყვირილით. მთვრალები გაიქცენ.

კლარა იატაკზე ეგდო გულწასული.

ლეონტი კაჩერგას მიკრული ჰყავდა მკერდთან სახე დატანჯული, გაცივებული მკვდარი ბავში...

ცხედარი ბალიშზე დაასვენა, შვილი მოაბრუნა, ლოგინზე მიაწვინა.

ბალიშიდან აიღო შვილი-შვილის გაცივებული და გამხდარი ცხედარი. მუნჯივით ატირდა და მიუტანა დედას ბავში.

არაფერი თქვა, არც საყვედური, არც მწუხარება.

დედაც არ კიოდა, ბავშს თვალები დაუკოცნა:

„მამა! მალე ალექსანდრეს ბაღში კიდევ გაჰყიდიან ფერად ბუშტებს. მე ვერ ვიყიდი მათ!.. ვისთვის?..“

მეორე დილით ლეონტი კაჩერგამ მხარზე გაიდვა თეთრი კუბო.

არც მღვდელი იყო, არც ბაღდახინი. მამას უკან მისდევდა კლარა. სხვა არავინ. ავლაბრის სასაფლაოზე კაჩერგამ გათხარა მიწა და დამარხა იქ შვილი-შვილი, უკანასკნელი სიმდიდრე.

პირველ მაისს გავიარე იმ ქუჩით, სადაც ყოველთვის იდგა მათხოვარი ლეონტი კაჩერგა.

იმის ნაცვლად დამხვდა უცნობი მათხოვარი და გამაჩერა.

„მე თქვენ გიცნობთ, მე კაჩერგას მეგობარი ვარ. ჩემი შვილი კამოს სასწავლებელში სწავლობს. კაჩერგა მტკვარში გადავარდნილა და ბარათი დაუტოვებია თქვენთვის, ინებეთ, მე დღეიდან აქ დავდგები, უბედურის სამაგიეროთ“.

ბარათში ძლივს წავიკითხე: „ბატონო მწერალო, ჩემს ნაცვლად მიხედეთ ამ ბარათის მომტანს და მის ქალს.

თქვენი მადლიერი ლ. კაჩერგა“.

მივაშურე კაჩერგას ბინას, – ოთახში არავინ იყო.

ეზოს ბოლოში, მტკვრის ნაპირას, მიწაზე იჯდა კლარა, მას ამშვიდებდა ვიღაც მსუქანი კაცი. ორ ნავზე იდგენ მებადურები და ჩანგლებს ისვრიდენ წყალში: გვამს ეძებდენ.


ქუჩები ხალხით იყო სავსე.

შორიდან მოისმოდა ორკესტრის საგმირო მარში.

სიცხე იდგა.

ციციანოვის დაღმართზე ქალაქისაკენ მოდიოდა წითელ წვერებიანი მალაკანი და მოჰქონდა წითელი, მწვანე და ცისფერი ბუშტები.

1924 წ. ჟურნ. „მნათობი“. № 3



“ფერადი ბუშტები”
1927 წ. გამოცემა

პირველთქმა

საქართველოს მგოსნებს,

ყველა მეოცნებეს,

ქართველ ხალხს!

ისმინეთ ყველამ ჩვენი ქადაგება!

მრავალის სასიკვდილოთ გავჩნდით ჩვენ ბინძურ მზით გამთბარ ქვეყანაში, სადაც ხალხმა დაჰკარგა შვენება სითამამისა. საქართველოს ღანდურ არსებას მოვევლინეთ ჩვენ ახალი სხივ-მოსილობით და ოცნება დაკარგულ ხალხს ვასწავლით განწმენდილ გზას მომავლის ცისფერ ტაძრისაკენ. საყვარელმა ნიმფებმა ასწიეს ფარდა ჩვენი სცენისა, და ვგალობთ ოქროთი შემოსილი განახლების აქტიორები უსხივო ხალხის წინაშე. პირველთქმა ჩვენი არის შხამური, იგი ადუღებულ ფოლადივით დასწვავს თქვენს გულს, უწმინდესი ხელოვანის მტერნო, თქვენ, ვისაც არა გწამთ ხელოვანის მეფობა და მისი მაღალი ტახტის წინაშე არ აღიარებთ სამუდამო ქვეშევრდომობას. ჩვენი ამაყი ოცნება გადასცილდა ყოველ საზღვარს და იქ, სადაც ჩვენ, უკვდავი ძმები, შევიკრიბეთ ახალი სილამაზის სადიდებლათ, – ვხედავთ როგორ ახალისებს ჩვენს რაინდულ არსებას ყოველი წუთი აღტაცებულ სიცოცხლისა. დრო, როგორც გული შეყვარებულ დედოფლისა, ისე ფარავდა ჩვენ ნათელს იდუმალებას, მაგრამ მოფრინდა სურვილი ოქროს ფრთებით და აიტაცა ცაში ჩვენი სიმღერა, რომელიც ამიერიდან იქნება მარადი ისე როგორც ჩვენი ქვეყანა. საქართველოს ხალხო, დავიწყებულო, მაგრამ დიდებით დაგვირგვინების ღირსნო!

ისმინე ჩვენი ქადაგება:

ღამური გზებით მოვდიოდით ჩვენ, რომ დაგვენთო მზეკოცონი, მდუმარებით დამშვიდებულ ქვეყნისთვის. ჩვენ შევხვდით შენ უკვდავ კერპებს, მაგრამ სიამაყის ცეცხლით ანთებულებს არ გვსურდა მათთვის ლოცვების შეწირვა. გვწამდა: სასიხარულო განახლება არის ჩვენში და ჩვენს იქით. ავედით მთაზე და არც ერთ ძმას არ დაუკვნესია დაღლილობით. ჩვენ გვაოცებდა ჩვენი თვალები: მათი ელვარება სწვავდა ცივ სიბნელეს. და როდესაც აენთო ლალისფერ ცეცხლის კოცონი, ამაღლდა ერთი ჩვენ შორის, და ცეცხლის ფრთებს გაატანა ცაში შემდეგი აღსარება:

ჩვენ ვადიდებთ სიტყვას ახალს, მკაცრს და ისეთ გაბედულს როგორც მეფური ხელის გაფრენა გაგიჟებულ დირიჟორისა. უდიდესი თვისება არსებობისა არის სიამაყე – ამაღლდეს ერი ჩვენი და თვითშეყვარებით აოცებდეს ქვეყნიერებას. ხალხი, რომელიც უარყოფს დიდების სურვილს, ჰგავს ავათმყოფს, რომელმაც იგრძნო კოცნა სიკვდილისა და კიდევ ელის სიცოცხლეში დაბრუნებას. ჩვენ ვკლავთ შიშს თავის ბნელ მანტიაში და ვუმღერით რაინდობას, სიჭაბუკეს და ალურ სიხარულს. შეუძლებელი აღარ არის. ისმინეთ ხმა ერთსული და დაინახეთ მდუმარე კარები, რომელიც ჰფარავდა ჩვენი ქვეყნის ბედნიერებას: ატირდენ ცეცხლის ხმით დასერილი მისი რკინის ძარღვები და აჰა დაჰკოცნა ჩვენი სახე ცისფრად მორთულმა ბედნიერებამ. შიშის სამყარო სიბნელეა – ჩვენ ნათელში ვცხოვრობთ. ვცხოვრობთ ნათელში და სიმთვრალეში. გვწამს ყოველგვარი ორგია. ვადიდებთ დამსხვრევის მშვენიერებას. უარვყოფთ წარსულს, როგორც მზით განათებულს, ისე ღამეში შეწუხებულს. წარსულის ოქროს გვირგვინებს გამოვსტაცეთ ძვირფასი მარგალიტები და გადვისროლეთ დავიწყების ზღვაში.

ძლიერება ხალხის სულს და ავათმყოფ სხეულს!

ყოველი სიმშვიდე, სიჩუმე და მთვარის სინაზით გაშუქებული მშვენიერება დავივიწყეთ ჩვენ, – მღელვარების, ხმიერობის და სიჩქარის მადიდებლებმა. ვისაც სურს მან უმღეროს გაზაფხულის ყვავილებს, მთვარეს და საღამოს მყუდროებას, დამშვიდებულს და ტკბილ სიყვარულს, ტყის იდუმალებას და ფრინველთა გალობას. ჩვენ გვინდა, რომ საქართველო გადიქცეს უსაზღვრო, მეოცნებე

ქალაქად, სადაც ცოცხალი ქუჩების ხმაურობა შესცვლის ყვავილოვანი ველების ზურმუხტობას.

იმ ტაძარს, რომელშიდაც ხალხი უკანასკნელ ცოცხალ ძალას ნისლიან ლოცვაში კლავდა, ჩვენ ვუცქერთ როგორც ბოროტების სახლს. ჩვენ მოელვარე ხელებში ამაყობენ სხივოსანი პატრუქები და წითელი თვალებით ეძებენ ტაძრის დასაწყისს, რომ თავის კოცნით ერთხელ აამღერონ სასიკვიდლო სიმღერით ბინძური კედლები. ისმინოს ხალხმა და დასტოვოს საყვარელი სახლი დასვენებისა. პატრუქის ნათელ თვალებს უხარია ნახვა ტაძრის დასაწყისისა...

ჩვენ გვსურს შევქმნათ გაუგებარი და საოცარი სიტყვები, ჩვენ სიმღერებში თქვენ დაინახავთ მრავალფერებს რომელთა ხალისიანი ცეკვა გააგიჟებს თქვენ მიძინებულ თვალთა ცქერას. ყოველი სიტყვა ჩვენი ლექსისა ამაყობს თავის სიცოცხლით ისე, როგორც ჩვენ ამიერიდან ვიამაყებთ ჩვენი „პირველთქმით“, ჩვენი გაბედული აღსარებით.

საქართველოს შემდეგ უწმინდესი ქვეყანა არის პარიზი. ადიდე ხალხო ეს ჩვენი მრისხანე ქალაქი, სადაც გიჟური გატაცებით ჯამბაზობდენ ჩვენი ლოთი ძმები – ვერლენი და ბოდლერი, მალარმე, სიტყვების მესაიდუმლე და არტურ რემბო, სიამაყით მთვრალი, დაწყეველილი ჭაბუკი. ჩვენი პოეზია გამთბარია მახვილი ინტუიციის ალურობით. – შეითვისეთ: უარყოფის სილამაზე, გმირული სიჩქარე, განათებულ სიმაღლის სიყვარული, მღელვარების სიდიადე, დამსხვრევის იდუმალება. გიყვარდეთ მეხური მისტერიები, ცეცხლის მოკიდება მისი, რაც წარსულმა გაადიდა, გაულიმეთ სიკვდილის ძახილს, დაივიწყეთ სნეულნი და მახინჯნი, უარყავით ლმობიერება და ქალური სინაზე. გიყვარდეთ ქალი ვნებიანათ და დაუზოგავათ ამრავლეთ ხალხი. ცეცხლი, ცეცხლი ყველაფერს, რაც შობს მწუხარებას და დაღლილობას. უკვადავების სახელით მოგმართავთ, ხალხო: იწამეთ ჩვენი გზა თავისუფალ მომავლისა. ყველას ესმოდეს: ჩვენ თვით დავამსხვრევთ ჩვენს თავზე მოელვარე გვირგვინებს, როდესაც ვიხილავთ, რომ პირველი ნაპერწკალი ჩვენი კოცონისა მოკვდა სამუდამოთ. ჩვენ ფარული თრთოლვით უარვყოფთ საყვარელი დიდების ტახტს, როდესაც დავინახავთ, რომ სხვა მაღლობზე გაიხარა ახალმა განახლების კოცონმა. საქართველოს ფირუზ ხელებს გადავეცით ჩვენი აღსარება, ჩვენი წმინდა პირველთქმა. ჩვენ არ ვშორდებით კოცონს. მოდით და ისმინეთ სხვა ქადაგება, მაღე იქნება მეორე დღესასწაული. ვიწვევთ ყველას, ვინც გაბედავს და ბინძური ხელით შეეხება ჩვენ ცისფერ ქადაგებას. ჩვენი ძლიერება უკვდავია, და მიტომ არ ვღელავთ პასუხის მოლოდინში!“

მოვისმინეთ უკვდავი სიტყვები ამაღლებულ ძმისა და დავინახეთ, რომ მტრედისფერ ცაზე წითლად აიბეჭდა მისი აღსარება. მაგრამ, შორიდან, სიბნელიდან მოფრინდენ ქარის ლურჯი მწერები და ჩვენს კოცონში გადმოისროლეს სიტყვები. ჩვენი აღსარების მოსასმენად მოსულიყვენ საცოდავი მომღერლები ავათმყოფ ჩანგებით, ყვითელი მასწავლებლები ღმერთის ქადაგების და პატიოსნებისა, და მრავალი სხვა მახინჯი და დაბრმავებული, როგორც ქურდები და მათხოვრები, ისე შემალულიყვენ შორეულ ბუჩქებში და სწყევლიდენ ჩვენ დღესასწაულს. იმ დროს ერთმა ჩვენგანმა, მთელის თავის სიძლიერით დაიძახა: „არული, არული თქვენ, საცოდავო საჭურისებო, და ხმა დაკარგულო მომღერალნო, დაჰშორდით ჩვენს გზას და გადიკარგეთ უთვალო უფსკრულში“,

„არული“ – გაისმა ჩვენი საერთო ძახილი. შიშმა შემორკალა მათი უწმინდური გული და გადასცივდენ უიმედო მტრები ჩვენით გამზადებულ ხრამებში. აღმოსავლეთით მოგვესმა სხვა ხმა. ჩვენსკენ მოდიოდა საქართველოს ახალგაზდობა და გალობდა სიმღერას შეერთებისას... შეეერთდით და ერთხმად საქართველოს მომავლის მტრებს შევძახეთ, „არული, არული, არული“. გათენდა... ჩვენი სახეები გადაჰკოცნა ცისფრად შემოსილმა ბედნიერებამ.

ჩვენ მზად ვიყავით მრისხანე ბრძოლისთვის.

1916 წ. ჟურნ. „ცისფერი ყანწები“, № 1




პირველი რიგში: ტიტე მარგველაშვილი, გრიგოლ დიასამიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ელენა ცვეტკოვსკაია, სანდრო ყანჩელი, თამარ ყანჩელი, სპირიდონ ქედია, მინადორა ჯვიცარიძე, ისიდორე ჯვიცარიძე;

მეორე რიგში: როსებ ამირეჯიბი, კონსტანტინ ბაღმონტი, პაოლო იაშვილი, იასონ ნიკოლაიშვილი, ივანე ყიფიანი, პეტრე ქავთარაძე;

მესამე რიგში: იუზა ზარდალიშვილი, აღი არსენიშვილი, ია ეკალაძე, გალაკტიონ ტაბიძე

ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან. ქუთაისი, 1915 წ. (სემ 11083-ი)



ქუთაისი, წითელი ხიდი, 2023 წ.

ვაოლო იაშვილი, 1915 წ.



ჯიბრაილ იაშვილის სახლი ქუთაისში პაოლო იაშვილის ქუჩაზე 2023 წ.



სადარბაზოს მოხატულობა
მერცხალი ყოველ წელს იკეთებს ბუდეს იაშვილების ყოფილი სახლის სადარბაზოში

„ამ სახლში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა
ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე,
ცისკრისკაცთა ორდენის დაძმობილებული და ძმათაგანი,
პაოლო (პავლე) იაშვილი
1892–1937 წლები.
აქედან სახლში ძისაგან მიღებულ ცნობით
ეკუთვნოდა ფეხბურთელი „ოქროს ვეფხვი“ (1913 წელი)
და „ცისკრის კანწები“ (1916 წელი).“




ხხედან: პაოლო იაშვილი, დავით სუდიაშვილი, ბესარიონ დომინაძე
უკანა რიგში დგას ტიციან ტაბიძე. თბილისი, 1919 წ.






ქუთაისში ჯიბო იაშვილის ყოფილი სახლის გადარჩენილი მემორიალური რელიკვიები: ბუხარი, ხის ჯარები და დატუნის სახელურები ყანწის სიმბოლური გამოსახულებით

"ცისფერყანწელთა" პერიოდიკა



1910–1920-იანი წლები



პოეტი საქართველოში

თუ საქართველოს პოეტების ქვეყანა ერქვა, რამდენი იყო ნამდვილი პოეტი? იყო შაირი, სიმღერა, ლექსიც ძვირად, პოეზია ლანდათ გაჩნდებოდა – ხან როგორც ფრინველი წვრილ ძვლიანი, ხან ჭაბუკი დერიდახოლებში განთიადის ფონზე და უფრო ხშირად ქალი ტრაურში ფერად საფლავზე დაყუდებული, სუსტი ტირილით, თვალთ ამომშრალი. საფლავში საქართველო ესვენა და მთელი უკანასკნელი ლიტერატურა ამოიწურა სიტყვებში, „არ მომკვდარა მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს". ბევრი ქართული ლექსი ან პოეტი მიაწევს მეოცე საუკუნის ნახევრამდის? ბარათაშვილის „მერანი" უკვე დაიღალა ორმოცდა ათი წლის ჭენებით, ახლა ის ბებერი, ტყავ გამხმარი, და ფერდებ ჩაცვინილი ჭაკი ცხენია, და ვიღას გააკვირებს? მისი უნაგირი ჩიმჩმა დახრა, და მხედარიც ხერხემალ მოღუნული უკანასკნელ დასვენებას ელის. „ქართვლის დედას" ძუძუები დაუშრა, ისინი ჰკიდიან გალურჯებულ გულისტყავზე, როგორც ორი რკინის ლაფათქა, და ბავშვებს ეშინიათ მათი მოფერებაც-კი. საიდუმლო ბარათს ჩვენი საუკუნე აღარ უპასუხებს, და აღმართ-აღმართ სიარული ისე ნელი იყო, რომ მწვერვალამდის ვერ მიაღწია, მეოთხედ გზაზე სიბერე დაეწია პატიოსან მოგზაურს და ტკბილად დაიძინა მამა დავითზე. მამადავითი პატარა მთაა შედარებით გიმალაებთან, ძლიერი იყო ჯიშიანი ხარის ღრიალი თერგის ხევებში, გრიგოლ ორბელიანის აბღავლება ჯერ კიდევ აზანზარებს ყურებს, ღრმა და დიდებულია დარიალის ხეობა, მაგრამ იქ ცხოვრება სამუდამოდ მოსაწყენი. ჩვენ საუკუნეს შერჩება ბახტრიონის დევი, გველის მჭამელი ვაჟა ფშაველა, დაუბერებელი მოახლე ლაშარის გიორგის და დიდ ხანს აფეთებს თავისი ველური აბჯარის ხმაურობით, პოეზიის წვრილ ფეხა წუკალებს. ქართველმა ხალხმა არ იცის არც ღრმა სიყვარული, არც ღრმა სიძულვილი. პირველიც და მეორეც მასში თეატრალურია, ეს ინტელექტის სისუსტის ბრალია: უფრო კი ანალიზის უქონლობის.

ამიტომ ჩვენში პრობლემა მეტად იშვიათია საზოგადო, პოლიტიკურ და უფრო კი ესთეტიურ სფეროში. რელიგია კი ჩვენ საუკუნეებში არასდროს არ ყოფილა საგნად ღრმა გამოკვლევისა. ფილოსოფიაზე ხომ სულ მეტია ლაპარაკი. ყველაზე ძვირფასი და აუცილებელი საკითხი პატარა ერისთვის – ეროვნული თავისუფლების პრინციპები, ჩვენში განვითარდენ „არა საკუთარი, ნაციონალური სტიქიის გამომჟღავნებით, არამედ სხვა პატარა ერების პოლიტიკურ და ნაციონალურ პლატფორმების მიბაძვით. პარიზის ეროვნულ ნიადაგზე შეკავშირებულ ქართველებს („თავისუფალი საქართველო" 1904–1908 წლებში) არ ჰქონიათ საკუთარი ეროვნული პრობლემა, მათ შეითვისეს დამზადებული პროგრამა პოლონეთის, ირლანდიის და რუსეთის და სხვა ნაციონალისტურ და ზომიერ სოციალისტურ პარტიების. მე ვამბობ რომ ჩვენში არ იყო მედგარი ეროვნული სტიქია, ამიტომ არ იყო არც ერთი სერიოზული აჯანყება თუ არ მივიღებთ მხედველობაში თეთრხელა თავადების შეთქმულებას, ყოველად უნიადაგოს, უმასსოთ, სუსტს და წუთიერს. მაშინ როდესაც პოლონეთი და ირლანდია სისხლით დაიცალა ნაციონალურ რევოლუციაში.

ჩვენში არ არის არც ღრმა სიძულვილი, არც ღრმა სიყვარული, აქედან ანალიტური აზრის უქონლობა, მაშასადამე აშკარაა დებულება, რომ საქართველოში კრიტიკა არ არსებობს, დიდი ადგილი აქვს დათმობილი ხათრს.

ყველა ეს ფუქსავატობა საშინელის თავზარით დაატყდა ქართულ ლიტერატურას. მიიყვანა იგი უკანასკნელ დამბლამდის, და კიდევ ბევრი დროა საჭირო რომ გაიკურნოს საუკუნის სენი, უდარდელობა და სიყალბე.

ქართველ პოეტისთვის საამაყოთ დარჩება ის ფაქტი, რომ საუკუნოების განმავლობაში ჩვენში არსებობდა რუსთაველის კულტი, თუნდაც ის ულამაზესი ლეგენდა, რომ საუკეთესო მზითვი

საქართველოში „ვეფხის ტყაოსანი“ იყო. მაგრამ, ეს კულტიც, სამწუხაროდ მაშინ გადაგვარდა, როდესაც პოეზიას ყველაზე უფრო ეჭირებოდა პრესტიჟი და სიმაღლე.

სასიხარულოა, რომ ილია ჭავჭავაძე სიკვდილამდის დევის ფეხებზე იდგა, მაგრამ განა პოეზიის სისხლით იყო სავსე ეს ფეხები? ილიას უშველა დიდმა ჭკუამ და გრანდიოზულმა ნებამ, არა პოეტის სახელმა მისცა მას ნახევარი საუკუნის დიქტატორობა საქართველოში. მისი კარიერა დასრულდა მითი, რომ სახელმწიფო საბჭოს წევრობა მიიღო, და ჩვენში ხომ პრისტავების დიდ პატივისცემაში იყვენ. საგურამო საქართველოს ვეიმარი იქნებოდა, რომ ილია მართლა ნამდვილი ოლიმპიელი ყოფილიყო.

თითქოს აკაკი უყვარდა უსაზღვროთ ქართველ ხალხს. მისი იუბილე დიონისის დღესასწაულს ჰგავდა, და მისი გასვენება ვიქტორია დედოფალის გასვენებას. მაგრამ მოიგონეთ მისი ცხოვრება, მისი პენსიის ოდისეები, ქუჩური დახასიათება მისი „ფუქსავატური ცხოვრების“, მე ვიყავი მოწმე რომ ერთხელ აკაკის ქუთაისის კლუბში რვა ქართველი სამ მანეთს არ ენდო, და რომ ათ მანეთად მას საჩხერიდან ქუთაისში საღამოებზე იწვევდნენ. აკაკისავით ვერავინ მოიგებს ქართველ კაცის გულს, მაგრამ ნახეთ რა ფასი აქვს ამ გულის მოგებას.

მაგრამ ყველაზე გულშემზარავი ბედი იყო ვაჟა-ფშაველასი, ერთმა ჭკვიანმა ქართველმა სთქვა, რომ ახალი აღმოსავლეთი გამართლებულია ვაჟა-ფშაველათი. ვაჟა-ფშაველაზე ძლიერ პოეტური სტიქია არ ახსოვს საქართველოს. ვაჟამ პირველმა მისცა იმედი ქართულ სიტყვას. მას ჰქონდა ღმერთების ენა და ჰომეროსის ნოყიერება. მაგრამ არწივად წოდებული საქართველოში დადიოდა როგორც „ჩხიკვი ზაქარა“ თვალჩამოხეული, ყველის სუნით გაჟღენთილი, დაკონკილ ჩოხით, ფრჩხილებში მიწა გამოგლესილი, ნარმის საცვლებში, დასული სოფლის მეწვრილმანის ვაჭრობამდის, მიუღებელი, უგვირგვინო. ის ჭლექიანი დააკვდა საავადმყოფოს ლოგინს, ისე ვით უბინაო და ქუჩის მათხოვარი.

ვერავინ შეება ქართული სიტყვის უღელს ისე, რომ გადაეცილებინა იგი სამშობლოს საზღვრებს, და მიეთრია რომელიმე ევროპის ქალაქის მოედნამდის.

ყველა მიასვენეს მეფურ დიდებით ძმათ სასაფლაომდის, დაამშვენეს საფლავები ფერადი ყვავილებით და მუხის ჯვრებით, და ახლა მწარე ბალახა და მოლოქა გადაეფარა მათ საფლავებს. მოხუცი ეკლესიის დარაჯი ჰპატრონობს მათ და მოწყენის დროს მარგლავს დავიწყებულ საფლავებს.

პარიზში კი თითქმის ყოველ დღე ფრანგი მოქალაქე შევა უწმინდეს პანთეონში და ქუდ მოხდილი ამოიოხრებს დიდებულ საფლავების წინ.

თანამედროვე პოეტის ბედი და...

წერილი დაუსრულებელია. გაზ. „ბახტრიონი“, № 1, 1922 წ.

ყანწელები 1942 წელში

1942 წელს ყანწელებიდან მხოლოდ ათი კაცი იყო ცოცხალი, დანარჩენები დაიხოცნენ და მათ შესახებ იხილეთ მონოგრაფია ახალგაზრდა ესპანელ კრიტიკოსის ხოზე-სიერო ნევადის, რომელიც დაიღუპა 1939 წელს უდიდეს ატლანტიურ გემის „პლანეტის" კატასტროფის დროს. ხოზე-სიერო ნევადა ჩამოვიდა საქართველოში 1937 წელს, როდესაც თბილისში ყანწელებმა გამართეს პირველი კონგრესი პოეტების. ახალგაზრდა ესპანელი კრიტიკოსი მაშინ დაესწრო კონგრესს სათათბირო ხმით და რადგან მას შთამომავლობა ჰქონდა ქართული (მისი დედა ამილახვარის ქალი იყო, შემთხვევით მოხვედრილი სულთან მაჰომედ X ჰარამხანაში, საიდანაც იგი გაიტაცა ხოზე-სიერო ნევადის მამამ, რომელმაც გამოიგონა საშუალება ადამიანის სიბრმავისაგან მორჩენისა), გადასწყვიტა საქართველოში დარჩენა და განსაკუთრებით მისი პოეზიის შესწავლა. ქართული მან კარგათ იცოდა და ქართველ საზოგადოებას ახსოვს მისი ცნობილი მონოგრაფია ვაჟა-ფშაველას შესახებ, რომელიც დაიბეჭდა ამ რამოდენიმე წლის წინათ ფრანგულ ჟურნალში „Mercure de France"-ში.

ეს პირველი

ათი ყანწელის გვარი იცის საქართველომ: გრიგოლ რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, სანდრო ცირეკიძე, ალი არსენიშვილი, ნიკოლოზ მიწიშვილი, გიორგი ლეონიძე, შალვა აფხაიძე და პაოლო იაშვილი.

ეხლა როდესაც შენელდა ყანწელების ომი, მე როგორც ერთმა მეომარმა, მინდა მოვიგონო შარშანდელი წელი ჩვენი ორდენისა.

მე სრულებით არ მსურს დავსწერო მიმოხილვა ქართულ ლიტერატურის წარსულ წელში, მსურს მხოლოდ გამოვაჩინო პირველ დღიდან ჩვენი ორდენის დაარსებისა, ჩვენი ინტიმური ცხოვრება. აქამდის ბევრი ჩვენს გარეშე მყოფი ცდილობდა ჩვენი ცხოვრების შესახებ ყალბი ცნობები მიეწოდებია საქართველოს ერისთვის, რომელსაც ღირსეულად მეთაურობს პრეზიდენტი გიორგი ლაშარელი, პიროვნება რომელსაც აქვს უახლოესი კავშირი ყანწელების ორდენთან.

მეორე

1942 წლის ახალ წელიწადს ჩვენ ვხვდებოდით ქართველ პოეტების კვარტალში, რომელიც გავაშენეთ ისე, როგორც შორეულ წარსულში ქართველმა კეთილშობილმა მუშებმა გააშენეს „ნაძალადევი". ეს „კვარტალი" მდებარეობს (ვსწერ მომავლის ეტნოგრაფისთვის) მტკვრის მარჯვენა მხარეს და დაშორებულია ნახევარი ვერსით მცხეთის სადგურს. 1942 წელს ჩვენ ვხვდებოდით პოეტების კვარტალში, კაფეში რომელსაც სახელწოდება ჰქონდა „ცისფერი ყანწები". ჩვენი სუფრა იყო სავსე ყვავილებით, ლექსებით და ყურძნით. იმ წელში გამოიგონეს ფრანგ მევენახეებმა საშუალება ყურძნის მტევნისგან დათრობისა, და ყველა კაფეს სტუმრებს უკვირდათ, რომ ჩვენ ყურძნის მარცვლიდან ვთვრებოდით ისევე, როგორც სტუმრები ღვინით სავსე ყანწებიდან (სხვათა შორის იმ წელს პირველათ გამოჩნდა ცისფერი ღვინო, მანამდის კი მხოლოდ თეთრი და წითელი ღვინო არსებობდა).

მესამე

ჩვენს სუფრაზე ვისხედით ათივე ყანწელი და ათი ყანწელის უმცროსი შვილები, ცოლები და უფროსი შვილები მარხულობდენ იმ ღამეს, ლოცულობდენ ცოდვილ ყანწელების სულის შესანდობარად (ეს იყო, საქართველოს ახსოვს, ჩვენი ტრადიცია).

როდესაც სტუმრები გამოითხოვდენ „ყანწელებს“ ლექსის სათქმელად, ჩვენ ნაცვლად ლექსებს ამბობდენ ჩვენი შვილები. მე მახსოვს იმ ღამეს ყველაზე კოხტად, და გაგიჟებით მამის ლექსი სთქვა ვალერიან გაფრინდაშვილის უმცროსმა ვაჟმა ვალერიან მეორემ. ამის შემდეგ ჩვენი შვილები ამბობდენ: მამები დაიღალენ, მათ ლექსები მოეწყინათ. წავიდეთ „გიპერბოლის“ ოთახში დავიჩოქოთ და ვილოცოთ ჩვენი უფროსი დის ალკა რობაქიძის სულის მოსახსენებლად.

ჩვენ დავრჩით მარტო. ჩვენი შვილები ალკას სულისთვის ლოცულობდენ. და როდესაც მათ მუხლ მოდრეკილი ლოცვა გაათავეს, მოვიდა ყანწელების უფროსი ქალი ტანიტ ტაბიძე და სთქვა: ყანწელების ოჯახური ლოცვა გათავდა: ბავშებო! თქვენი დედებისგან დავალებული მაქვს, რომ სახლებში დაბრუნდეთ. ჩვენ მადლობა უთხარით ღამაზ თვალება ტანიტს, და ბავშები დედებთან გავისტუმრეთ (მეორე დღეს გაეიგეთ რომ ჩვენი ბავშები უშიშრად სახლში დაბრუნებულიყვენ).

მეოთხე

რადიო-ტელეფონით ვაცნობეთ ოჯახებს: ჩვენ სახლში არ დავბრუნდებით.

მეხუთე

ღამე გავატარეთ აბასთუმნიდან მომავალ ტივებზე: ტივები იყვენ უკანასკნელი ნაშთნი ძველ, ბარბაროსულ საქართველოსი, რომელსაც კიდევ სწამდა ილიას და აკაკის პოეზია.



„ცისფერი ყანწები“ პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი. მხატვარი: ჯირიც ზდანევიჩი. ჟურნ. „გრდემლი“, 1923, № 7



მეგობრული შარჟი პაოლო იაშვილზე. ავტ. ოსკარ შმერლინგი.
ჟურნ. "ეშმაკის მათრახი", 1916 წ. № 12

მეტივეები იყვენ უკანასკნელი ჩოხოსნები და ამბობდენ: სამწუხაროა რომ საქართველოში სონეტი აღარ არსებობსო.

მეექვსე

ორ იანვარს ცნობა გვეწვია დაღალულებს: ავად არის გრიგოლ რობაქიძე:

თბილისის გეროლდები ავტომობილზე აცხადებდენ: ავად არის გრიგოლ რობაქიძე.

რობაქიძის ბინის კარებთან იდგა ვაჟი რობაქიძე, უფროსი შვილი პოეტის და მთვარეულად უძახოდა უზღვაოდ მოგროვილ ხალხს:

ოთახი რომელშიდაც სწევს მამა ჩემი პატარაა, დაიტევს მხოლოდ ათ მის ამხანაგს და რესპუბლიკის პრეზიდენტს. ექიმებმა სთქვეს, რომ მდგომარეობა საშიში არ არისო. დამშვიდდით მოქალაქენო.

როდესაც ჩვენ გამოვჩნდით ხალხმა დაიძახა:

გზა პოეტების ორდენს

გზა რჩეულებს

გაუმარჯოს ორდენს.

ჩვენ დავაფასეთ აღტაცება მოქალაქეთა და რობაქიძის დარბაზობის შემდეგ.

პაოლო იაშვილმა ავადმყოფ პოეტის სახელით ხალხს განუცხადა:

მოქალაქენო დაიშალეთ! ქართული პოეზია ჯერ კიდევ ცოცხალია. ილოცეთ პოეზიისთვის.

საქართველოს პრეზიდენტმა გამოაცხადა ერთი კვირის სიჩუმე პოეტის გადარჩენისთვის. ქართულ პოეზიისთვის ყველაფერი კარგათ დასრულდა.

მეშვიდე

2 აპრილს იუბილე ტიციან ტაბიძის. საფრანგეთის პოეტებმა ამ დღისათვის ჩამოსულებმა მიართვეს პოეტს თასი: სავსე ნაღველით და მორიელის მანეკენი:

იუბილარმა სთქვა საპასუხოთ: მადლობელი ვარ გაგებისთვის – და შეისვა მხარზე ცოცხალი მორიელი.

ხალხი დაიშალა და ამბობდა: ტაბიძე მიუხედავად ჭაღარისა მაინც საოცარია.

პოეტის პატივსაცემათ გამართულ ბანკეტზე ნინო მაყაშვილმა სთქვა თავის სიტყვაში:

თქვენისა და ჩემი პოეტის სიცოცხლე ბრწყინავს ისე როგორც გედი ძველ მალარმის. მოხარული ვარ რომ მე ტიციან ტაბიძესთან ვიყავი თქვენთან ერთად.

ბანკეტი ამით დასრულდა.

მერვე

ვალერიან გაფრინდაშვილმა წარსულ წელს მცხეთის სასაფლაოზე ააშენა წნელის კარავი, როგორც მოგონება ძველი პატრიოტული რომანტიზმისა. ის აქ ხშირად იძინებდა და მისი ჭაღარა თმები ბრწყინავდენ როგორც წაქცეულ თაფლის სანთლები. ჩვენ ვეწვიეთ მას ერთ ღამეს. ეს იყო 28 აპრილი.

მან სთქვა ჩუმად: ამ კარავში მიტომ ვარ რომ ვერიდები თანამედროვეს და შეგნებულ სიგიჟეს. როდესაც გათენდა, ჩვენ გავიგეთ, რომ კარავში დადგმულ ტახტის ქვეშ უკვე გათხრილიიყო საფლავი პოეტის გასვენებისთვის.

ჩვენ ვერ აუკრძალეთ პოეტს სიკვდილისთვის მომზადება. მითუმეტეს როდესაც დავინახეთ რომ საფლავის იატაკი და კედლები მოფენილიყვენ გაფრინდაშვილის წიგნებით და ლექსებით. ჩვენ გვიხაროდა რომ გაფრინდაშვილს სურდა საკუთარ პოეზიასთან მოსვენება. ჩვენ გამოვეთხოვეთ და ხელზე ვაკოცეთ როგორც უსპეტაკესს.

გაფრინდაშვილის კარავი მომავალ პოეტებისთვის იქნება როგორც სიონი ქართველ ქრისტიანებისთვის.

მეცხრე

7 მაისს ყველა თბილისის მებაღეებმა უარი სთქვეს ყვავილების გაყიდვაზე. ყვავილები შეისყიდა პოეტების ორდენის ხაზინადარმა გრიგოლ რობაქიძემ, რადგან იმ დღეს გარდაიცვალა კოლაუ ნადირაძის უფროსი ქალი და ყველა მაისის ყვავილები თბილისში ამ საფლავისთვის დაბანდ-

და. კოლაუ ნადირაძე სტიროდა და ცხენების ნაცვლად თვითონ იყო გაბმული ბალდახინში. ჩვენ ვსთქვით სიტყვები და მამა-პოეტი დაჩოქებული მოისმენდა.

მან სთქვა: ლექსების გარდა მე მყვანდა ორი ობოლი ბავშვი: ერთი მოკვდა და მეორეს თქვენ მოუარეთ:

ამის შემდეგ პოეტმა მოიწყინა და კვებავდა თავის შემოსავლიდან ქუჩის ძაღლებს, ისევე როგორც ერთ დროს პარიზის ინვალიდები მტრედებსა და ბელურებს კვებავდენ ლიუქსემბურგის და ტიულერის ბაღებში.

მეათე

სანდრო ცირეკიძეს წარსულ წელში ჭლექი აღარ აწუხებდა, მაგრამ დარდობდა თავის ჭლექიან ლექსებზე.

მან მიიღო ნობელის პრემია ზავის და მშვიდობის ქადაგებისთვის. პრემიის დიდი თანხა მან დაურიგა ქუთაისის მათხოვრებს და ეხლაც განაგრძობს ყანწელების სტამბის უფროსობას და დაუღალავად სცემს ჩვენს წიგნებს. ასოთამწყობებმა ქრისტეს და შარლ ბოდლერის ნაცვლად მისი სურათი დაკიდეს სტამბის კუთხეში. ცირეკიძეს ჩვენ გაზაფხულზე ვკოცნით, რადგან ის ყოველ ყვავილზე ნაზია, და ბოტანიკაც მოიგებდა, რომ ერთ ხორციელ ყვავილად სანდრო ცირეკიძე ყოფილიყო ბუნებაში გაჩენილი.

მეთერთმეტე

შარშან ალი არსენიშვილმა მიიღო აკადემიკოსობა საფრანგეთის და რუსულ პოეზიის გამოკვლევისთვის. მისი დისერტაცია პოეტების ორდენის შესახებ წარდგენილია საპატიო ლეგიონის მისაღებად. ალი არსენიშვილმა მიიღო კათოლიკობა და საქართველოში ის მხოლოდ სტუმრად ჩამოდის. ის სცხოვრობს პირინეებში, უხუცეს ფრანცის ჟამესთან და უკანასკნელის შვილებს ასწავლის ქართველ პოეტების ორდენის ისტორიას. წარსული წელი არსენიშვილმა საქართველოში გაატარა და ამით აიხსნება ჩვენი ორდენის უთვალავი დღესასწაულები.

მეთორმეტე

ნიკოლოზ მიწიშვილი მიტომ გვიყვარს წელს განსაკუთრებულად, რომ ის მხოლოდ შარშან დაბრუნდა საქართველოში, და მოიარა მთელი ქვეყნიერება შეიძლება ითქვას მთელი პლანეტა, როგორც პროპაგანდისტმა ჩვენი ორდენისამ. მისი მოხსენებები პარიზში, ლონდონში, პეტერბურგში, ნიუ-იორკში, რომში, პეკინში, ტოკიოში და სხვა უდიდეს ქალაქებში, დღესაც ხმარობენ როგორც საოცრებას მსოფლიოს ახალ ესთეთიკისა.

მიწიშვილი დაბრუნდა ხუთი წლის წვერებით და პირველ შეხვედრის დროს მოგვეჩვენა უკეთილშობილესი პროფილი იმერეთის გლეხების და ყველა დიდს მსოფლიოს პოეტების, რომელნიც წვერებს ატარებდენ. დღეს როდესაც ჩვენ იჭვი გვეპარება ჩვენს მომავალ შემოქმედებაში, ის გვამხნევებს და გვეუბნება: ნუ შეშინდით. მთელი ევროპა და მსოფლიო ჩვენთან არის და მათი თავდები არის ჩემი პატიოსანი სიტყვაო. ამ მოკლე ხანში ნიკოლოზ მიწიშვილი პეკინში მიემგზავრება, რადგან იქ საცოლოდ დაუნიშნავს ჩინეთის პრეზიდენტის ქალი.

მეცამეტე

წარსულ წელს ცისფერ ყანწელების ორდენთან დაკავშირებული არის უდიდესი პოლიტიკური აქტი საქართველოსი.

პოეტმა გიორგი ლეონიძემ კახეთის თავადების დახმარებით მოინდომა საქართველოში გადატრიალების მოხდენა და თავის თავის სრულიად საქართველოს მეფედ გამოცხადება. ის თეთრ ცხენზე თითქმის მოუახლოვდა თბილისს. მას წინ უძღოდა ორი დროშა: ლაშარის გიორგის და ვაჟა-ფშაველასი. ყანწელების სასახლეს მოაწყდენ თბილისის ქარხნის მუშები და მოითხოვდენ: პოეტებო გადაარჩინეთ საქართველო უბედურებას. დაარწმუნეთ თქვენი ძმა, რომ მისი პოეტის სახელი სრულებით არ უნდა ეძებდეს უფრო მეტ ამაღლებას.

ლეონიძესთან ჩვენ წავედით სათათბიროთ. იგი დათანხმდა და როდესაც ჩვენ მასთან ერთად ეტლებით შემოვედით თბილისში ხალხი იძახოდა: გაუმარჯოს პოეზიას და სიძველით დამწვარ პოეტს.

ლეონიძე ახლაც ოცნებობს წარსულზე, მაგრამ ჩვენ მას შევიქცევთ და დავავიწყებიებთ თეიმურაზის გვირგვინს.

მეთოთხმეტე

შალვა აფხაიძე თბილისში ძვირად ჩამოდის. ფეხით ივლის საქართველოს, ეძებს ძველ ეკლესიებში ქართველ მადონებს, და კედლებზე სტოვებს წმინდა სონეტებს. ჯერ მისი წიგნი არ გამოსულა. ქართული პოეზიის მოყვარულნი მის ლექსებს ნახულობენ ნახევრად დანგრეულ ეკლესიების კედლებზე. წარსული წელი მან თბილიში გაატარა და სამჯერ მოგვიწვია სიონის გალავანში სადილზე. აფხაიძე დიდი მეგობარია სრულიად საქართველოს კათალიკოზის. უკანასკნელი, აფხაიძის გავლენით, სიონში ლოცვის დროს ახსენებს ჩვენს სახელებს და ხალხს ალოცებს ჩვენი ჯანმრთელობისთვის.

ძვირფასები

არ დაგვტოვა ცეცხლიანმა არჩილ მიქაძემ. თბილისის ოსტატებმა დურგლებმა და ზეინკლებმა შავ ნაბადას მთაზე აუშენეს მას უდიდესი ბიბლიოთეკა, იქ იყო მხოლოდ ორი განყოფილება წიგნების: პოეზია და რევოლიუცია. მთელს საქართველოში მხოლოდ არჩილ მიქაძეს ჰქონდა პირველი ნომერი „ყანწების" რვეულისა. ბიბლიოთეკის ზემო სართულში აღტაცებულმა რევოლიუციონერმა გამართა ლადო გუდიაშვილის სამხატვრო ქარხანა. გუდიაშვილმა დაასრულა ბახტრიონის ტაძარი. ათი წელიწადი მხატვარმა ამ ტაძარს შესწირა. უკანასკნელი წლები განუწყვეტლად ლოთობს. მის სურათებში უძვირფასესია საიდუმლო სერობა პოეტების. ქრისტე-რემბო, იუდა-ლიტერატურა.

გაზ. „ბარრიკადი", № 5, 1922 წ.

„ვეფხის ტყაოსანი“ და პონსტანტინე ბალმონტი

არ არის ისეთი ქვეყანა რომელიც როგორც მთლიანი არსება, დაინტერესებული იყოს ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბლით. არ არის არამც თუ ერი, საზოგადოების ნაწილიც, რომელშიაც საქართველო თავის მრავალ საჭირბოროტო თავგადასავლით, იწვევდეს მხურვალე თანაგრძნობას. სომხებისთვისაც, ყველა ერზე ჩვენს მახლობელ ერისათვის, გამოურკვეველია საქართველოს სახე, თითქმის უცხოა ქართველების სურვილნი და მისწრაფებანი. რუსებზე არაფერს ვიტყვი. კმარა ის, რომ ამ ერის მოწინავე ელემენტებმაც უვიცობა და უგულობა გამოიჩინეს ჩვენი ქვეყნის არსებობის გადამწყვეტ საკითხებში. ეს მოვლენა თავის თავად ცხად ჰყოფს მეგობრული დამოკიდებულების ღირებულებას. სამაგიეროდ ჩვენს ქვეყანას იმდენი კერძო მეგობარი ჰყავს, რამდენიც შეიძლება არცერთ პატარა ეროვნებას არ ჰყვანდეს. ჩვენი ქვეყნის გარეგანი სილამაზე, ერის ძველთაძველი თავისებური ზნე ჩვეულებანი და სხვა მრავალი კეთილთვისება ჩვენი ხალხისა, ბევრ უცხოელს გვიმეგობრებს და მე დიდად მოხარული ვარ, რომ შემთხვევა მეძლევა, გავაცნო მკითხველებს ერთი ამათგანი.

კონსტანტინე ბალმონტი, გამოჩენილი რუსი მგოსანი დიდი სიყვარულით და გატაცებით ეკიდება ჩვენს ქვეყანას.

საქართველოს სილამაზისა და ქართველი ხალხის დამახასიათებელ თვისებათა გარდა, ბალმონტს აინტერესებს ჩვენი ენა და პოეზია.

შემთხვევით, ოლივერ უორდროპის მეოხებით მას წაუკითხავს ინგლისურ ენაზე თარგმნილი „ვეფხის ტყაოსანი“ და ისე გატაცებულა უკვდავი პოემით, რომ გადაუწყვეტია მისი რუსულად თარგმნა. ამ მიზნით იგი აპირებს საქართველოში მოსვლას, ენის შესწავლას და მცოდნე პირთა დახმარებით თარგმნას.

ეს ზამთარი ბალმონტმა პარიზში გაატარა და მე შემთხვევა მეძლეოდა, ხშირად შევხვედროდი მას. ქართულმა ენამ მასზე და მის მახლობლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. პირველ გაცნობისას, ბალმონტს არაფერი არ უთქვამს ჩემთვის „ვეფხის ტყაოსნის“ გადათარგმნის შესახებ, მაგრამ შემდეგში, როდესაც მისსივე თხოვნით მე წავუკითხე მას ადგილები პოემიდან და გადავუთარგმნე ქართულად რამდენიმე მისგანვე არჩეული სიტყვები, მან მრავალ სტუმრებთან აღტაცებით წარმოსთქვა:

„მრავალი ქვეყანა მინახავს, ასეთიც კი, სადაც ხალხი პირველყოფილ მდგომარეობაშია და საქართველოში, რომელიც ისე ახლოს არის და რომელიც სიყრმიდან მიყვარდა და მიყვარს, ჯერ არ ვყოფილვარ. ეგებ რაღაც ძალა განგებ მაგვიანებდა, რომ ყველა ნახულ სილამაზის შემდეგ, მენახა მხარე, რომლის სილამაზე, ხალხი და დიდი რუსთაველი ტკბილი სიზმრის მშვენიერი დასასრული ყოფილიყო“.

თუ როგორ უცქერის ბალმონტი საქართველოს, სჩანს შემდეგ სტრიქონებიდან, რომელნიც მან ერთ ნაჩუქარ წიგნს დააწერა: „საჩუქრად მისგან, ვისაც უყვარს მატყვეველებელი მარგალიტი კავკასიისა, აყვავებული საქართველო“.

როდესაც მე ბალმონტს ვუთხარი, რომ მას ჩვენში იცნობენ და მისი ლექსებიც ითარგმნება ქართულად, მან კიდევ ზედმეტი საშვალება მომცა მეფიქრა, რომ მისთვის საქართველოს ნახვა დიდი სანეტარო განცდა იქნება.

„ვერ წარმოიდგენთ, – მითხრა ერთხელ მან, როგორის ნეტარებით ველი იმ წუთს, როდესაც პირველად დავინახავ თქვენს სამშობლოს“.

ერთ დღეს კ. ბალმონტთან მისვლისას, მისმა მეუღლემ მითხრა: „ბალმონტის და ჩვენი ფიქრი ეხლა სულ საქართველოსკენ არის. მან უკვე გადაწყვიტა თქვენში წასვლა, მაგრამ მე და ჩემ



გაღაატიონ ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, კონსტანტინ ბალმონტი, პოლაუ ნაღირაძე... ქუთაისი, 1915 წ. (სრმ 10060-ი)

ქალს ძლიერ დაგეწყდა გული, რომ ასე უეცარ გადაწყვეტით საშვალება არ მოგვეცა ჩვენც წავყოლოდით მასო". მართლაც ბალმონტმა აღფრთოვანებით მითხრა, რომ სულ ცოტა ხანში იგი წავა საქართველოში.

თბილისში ბალმონტი იქნება დაახლოებით 14 აპრილს: აქ ის წაიკითხავს მეტად საინტერესო ლექციას „ოკიანეთს" – პოლინეზიაში მოგზაურობის დროს შეგროვილ შთაბეჭდილებას გაუზიარებს მსმენელებს. თბილისით იგი დაამთავრებს თავის ლექციების ტურნეს რუსეთის დიდ ქალაქებში. უკანასკნელად ჩვენი ქალაქი მან განგებ აირჩია, რომ მეტი შეძლება ჰქონოდა აქ დარჩენისა, თუმცა ჯერჯერობით მას საშვალება აქვს დარჩეს მხოლოდ რამდენიმე დღეს. ენის შესასწავლად და „ვეფხის ტყაოსნის" სათარგმნელად იგი შემდეგ ჩამობრუნდება.

ეჭვი არ არის ქართული საზოგადოება ჩვეულებრივის სტუმარმოყვარეობით დაუხვდება ჩვენი ქვეყნის მეგობარს და არ გაუქარწყლებს იმ მშვენიერ წარმოდგენას, რომელითაც იგი ჩვენთან მოდის.

ვსარგებლობ შემთხვევით და ვუგზავნი „თემს" ბალმონტის რამდენიმე ლექსის თარგმანს.

გაზ. „თემი", № 114, 1913 წ.

ბალმონტი ჩვენ შორის

სულ მალე გვეწვევა კონსტანტინე ბალმონტი. ჩვენი შორეული მეგობარი იქნება ჩვენ შორის. ცეცხლისა და მზის მადიდებელს შეუყვარდა ჩვენი „აყვავებული“ ქვეყანა.

მან სთქვა:

„როცა ქმნიდა ის. ამ ქვეყნის მბრძანებელი
და რომ დაღგა წამზე ცურფა წამი...
მაშინ შექმნა ნათელმა შემომქმედმა
დიდება და შვენება საქართველოსი – მყინვარი

და კიდევ:

„ზევით თოვლი. ძირს კი ჰყვავის ყვავილნარი.
შენ გსურს ღმერთი? ამოქროდი. ის აქ არი

ამგვარია მის სიმღერაში სილამაზე ჩვენი ქვეყნისა...

ბალმონტმა თითქმის შემოიარა მთელი ჩრდილოეთი, ის იყო დაშორებულ მექსიკაში და პოლინეზიაში, მან ნახა ინდოეთის იდუმალი სილამაზე, მას შეუყვარდა მზიური ესპანელები. ბოლოს ის იყო საქართველოში, ჩვენს თბილისში, სადაც მას ჭეშმარიტი ქართველური შეხვედრა გაუმართეს. აი რა სთქვა ბალმონტმა საქართველოდან დაბრუნებულმა: „ქართველები სცხოვრობენ გრძნეულ სილამაზეში და არსად არ არის ხალხი ისეთი კეთილი და მოყვარული, როგორც საქართველოში, გასაკვირია მათი გრძნობელობა, ეს ხალხი მეტად ბევრის ღირსია“.

ბევრმა დიდმა უცხოელმა, ჩვენში მოსულმა, მით უმეტეს მოსულმა ბალმონტის ქვეყნიდან, ვერ იგრძნო, ვერ მიხვდა ყოველივე იმას, რაც ჩვენ გვინდა და რისი ღირსნი ვართ. ბალმონტი კი ჩვენი მეგობარია ყოველთვის და ყველაფერში. დღეს-ხვალ ის ჩამოვა თბილისს და შემდეგ ეწვევა ჩვენს ქალაქს.

კეთილი და მოყვარული ქუთაისლები კიდევ ერთხელ გამოიჩენენ ლამაზ გრძნობებს და შესაფერ ყვავილებს შესთავაზებენ მთელ საქართველოს ღირსეულ მეგობარს.

მოსვლა მისი, ვინც ღრმად იგრძნო საოცნებო რუსთაველი, ერთგვარი დღესასწაულია, იყოს ეს დღესასწაული გულწრფელი, მხიარული და ხალისიანი!

გაზ. „სამშობლო“, № 187, 1915 წ.



Бальмонтъ.

Люблю содружныхъ Руставели
Гаприндашвили и Яшвили.

შარჟი: პაოლო იაშვილი, ვაჟკრიან გაფრინდაშვილი და კონსტანტინე ბალმონტი შოთა რუსთაველთან.
ავტორი ოსკარ მმერლინგი. ჟურნ. "ეშმაკის მათრახი", 1916 წ. № 12

კონსტანტინე ბალმონტის ქალიშვილის ნ.კ. ბრუნი-ბალმონტის მოგონებიდან: 1913 წელს პაოლო იაშვილი ცხოვრობდა პარიზში და ხშირად დადიოდა ჩვენთან ბალმონტის სანახავად. მან ერთხელ მამას მიუტანა არაჩვეულებრივი წიგნი ტისმენნაია კოჟა და ძველი გრავიურებით.

შესანიშნავად მახსოვს ნატიფი, ლამაზი, ელეგანტური პაოლო. მახსოვს მისი საუბრები მამასთან, ბალმონტის აღტაცებული ტონი და საუბრები რუსთაველზე, როცა ამ ქართულენოვანი წიგნის ილუსტრაციებს ვათვალიერებდი. მახსოვს პაოლოს მანერა ლექსების კითხვის დროს და მისი და მისი მეგობრების საუბრები ჩემთვის უცხო ენაზე.

იაკობ ნიკოლაძე

(იუბილესთვის)

იაკობ ნიკოლაძეს იუბილე არა ჰგავს ჩვენში გახშირებულ ხათრით და მოვალეობით გამართულ იუბილეებს. ეს არის დაფასება ნიჭის, არტისციზმის შემოქმედების, მთელი ერის მასშტაბით. ეს არის იმავე დროს დღესასწაული ქართულ ქანდაკების, რომელიც იაკობ ნიკოლაძით იწყება საქართველოში. მაშინ როდესაც მწერლობა მხატვრობის და რამოდენიმეთ თეატრის ტრადიცია ძლიერი იყო, ჩვენ მეოცე საუკუნემდის არა გვქონია არც ერთი ოპერა და არც ერთი ქანდაკების ძეგლი. უსათუოდ ოპერის ისტორია იწყება „აბესალომ და ეთერით“, ისე როგორც ძეგლი ილია ჭავჭავაძისთვის არის პირველი მაგალითი ქართულ შემოქმედების, თანამედროვე, ევროპიულ გაგებით. ამისათვის ეძლევა ნიკოლაძის იუბილეს ორნაირი შინაარსი.

როდენის არჩეულ მოწაფეს, საქართველოში არ დახვდა პირობები, თავის ნიჭის და ცოდნით დიდათ გაღრმავებისათვის, მასაც ეწვია ბედი ყველა ნიჭიერ ქართველის. პირველად ხმაურით და ენტუსიაზმით შეხვედრა, მაგრამ მიღებისა და დაფასების მეორე დღესვე, გულ გრილად და ფუქსავატურად მოპყრობა. ჩვენდა საბედნიეროდ ჩვენ პოეტებს ეს საყვედური არ გვეთქმის. დიდის სიყვარულით, პატივისცემით და ღირსეულ დაფასებით ვხვდებოდით ჩვენ ი. ნიკოლაძეს ყოველთვის. დაუვიწყარია ჩვენთვის მასთან მეგობრობა, მისი ჭკუამახვილობა და მისი არსტისტული პათოსი.

მიუხედავათ ბევრი საყვედურისა, რომლითაც პირველი ქართველი მოქანდაკე იგონებდა თავის გაგიჟებამდის საყვარელ სამშობლოს, არასოდეს არ ჰქონია სურვილი დეზერტირობის, თუმცა შეიძლება იმავე პარიზში მას გაჩენოდა მეტი თაყვანისმცემელი და დამფასებელი, ყოველ შემთხვევაში პარიზში იგი ნახავდა მხატვრულ ცხოვრების პირობებს, რაც მას თბილისში ყოველთვის აკლდა.

ნახევარი საუკუნე თავის შემოქმედებისა, ძვირფასმა არტისტმა, უკვე დაასრულა. საჭიროა მისი გადახალისება. მას, როგორც შეიძლება არც ერთს ახალგაზდას, სჭირდება ყურადღება, მოფერება და ევროპა. ის ბავშობიდან ნატრობდა რუსთაველისთვის ძეგლის აგებას, საჭიროა განახლება, რომ ეს ოცნება გამართლდეს, და მართლა საოცნებოდ გახადოს თბილისი, რომელსაც რუსთაველის ძეგლი აკლია, როგორც თავისუფლება. ამ ბედნიერების იმედი აქვს ჩვენს იუბილიარს. მაგრამ ეს სანატრელი დღეც რომ არ დადგეს იაკობ ნიკოლაძეს არ დაივიწყებს ქართველი ერი, და ქართულ ქანდაკების ისტორიაში მის სახელს მოიგონებენ ისე, როგორც თანამედროვე კულტურა იგონებს გუტემბერგს, სტამბის გამომგონებელს.

გაზ. „ბახტრიონი“, № 22, 1922 წ.

პარმელი – მართალი

1915 წელს შემოდგომაზე ჩემთან მოვიდა ბავში, რომელმაც დამიტოვა რვეული ლექსების და თითქმის ვერაფერი ვერ მითხრა. ის იყო როგორც ნიბლია. გადავიკითხე ლექსები და იმ ღამესვე წავედი ვალერიან გაფრინდაშვილთან. ბავშურ შთაგონებაში, ჩვენ დავინახეთ მომავალი ძმა ჩვენს ორდენში შალვა კარმელი. იმ დღიდან ჩვენ ძმები ვიყავით. როდესაც ქუთაისი მთელის შემადგენლობით, ხევდა ცისფერი ყანწების პირველ რვეულს, შალვა კარმელი მას გულთან ატარებდა, და ის გახდა წევრი ჩვენი ღამეების, და ჩვენი მარტოობის. ის მუდამ სუსტი და გაფითრებული იყო. ჩვენ მას ვეფერებოდით, ვაიმედებდით, თუმცა გვეშინოდა, მითუმეტს მაშინ, როდესაც ის ყოველთვის ჩუმი, ცრემლებით გვეტყოდა თავის დების სიკვდილის ამბავს. ეს ორი კუბო, მან შემდეგში გააზღაპრა ვარდის სურნელებით დაწერილ ლექსებში.

შალვა კარმელი ჩუქურთმების ოსტატი იყო პოეზიაში. ყველა მისი ლექსი ამოჭრილი იყო მარმარილოზე თუ სპილენძზე. მას როგორც მთვარეულს იტაცებდა რითმა, და ლექსის გამართულობით, ის ყოველთვის საკვირველი იყო. ის რითმაზე ფიქრობდა ისევე, როგორც თავის ტუბერკულოზზე. მისი ლექსი ხშირად გაუგებარი იყო, მაგრამ არასოდეს არ იყო გაუგებარი მისი რითმა. ყველაზე დიდი სიხარული ცხოვრებისა იყო მისი წიგნი ლექსების „ბაბილონი“. ეს წიგნი იყო მისთვის იმედი, ამ წიგნით გრძნობდა ის სიცოცხლეს, თუმც იცოდა რომ მისი ფილტვები ჭკნებოდენ და იცოდა რას ნიშნავდა ხშირი სისხლი მის ბავშურ პირზე.

შარშან აღდგომას, მან ყოველთვის სიცხიანი ხელით მომიტანა სიონიდან სანთელი, და აღდგომის სუფრაზე ის რძის მეტს ვერაფერს სვამდა.

უკანასკნელ თვეში ჩვენ უკვე დავრწმუნდით, რომ შალვა კარმელი ქუთაისიდან ვეღარ დაგვიბრუნდებოდა.

პირველი ტრაური ყანწელების. ჩვენ წავიღებთ ქუთაისში პირველ გვირგვინს პოეტების ორდენის სახელით. ყველაზე უნცროსი ძმა.

ყველაზე უნცროსი ძმა. ყველაზე უფრო ჩუმი და გაფითრებული. დავკარგეთ ქუთაისში უბედური დურგალის ფიცრულ ქოხში. ამ ქოხიდან ხუთშაბათს გამოვიტანთ მეოთხე კუბოს ამონყვეტილ შვილებისას.

გაზ. „რუბიკონი“, № 3, 1923 წ.

ქუთაისში

(შალვა კარმელის დასაფლავება)

ორშაბათს საღამოს ხუთ საათზე ქუთაისში, კარმელის დასაფლავებაზე გაემგზავრენ სრ. საქ. ახალი მწერლობის კავშირის საბჭოს წევრნი: პავლე ინგოროყვა, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი და რაჟდენ გვეტაძე. ცოტაოდენი კრიზისი ბილეთების აღებაში და საბჭო მოეწყო განსაკუთრებულ ვაგონის კუპეში. გუნება მეტად სევდიანი, საუბარში ყოველ წუთში ისმის საყვარელი სახელი შალვა კარმელისა. უმეტესობას ჩვენ შორის ქუთაისი არ უნახავს უკანასკნელ 5 წელინადში. ჩვენი გიდი ვალერიან გაფრინდაშვილია. ის გვამზადებს ქუთაისისთვის. ლაპარაკობს ჩვეულებრივ ირონიით, და ხანდახან ის თუ დაარღვევს დაღალულს და მოწყენილ გუნებას. ხშირად მოდიან უცნობები. უმეტესად სტუდენტები. ლაპარაკობენ სამძიმარის კილოთი შალვა კარმელის შესახებ. ყველა იგონებს მას წმინდანიანის მოგონებით. დატანჯული თვალებით გვისმენს ორი გლეხი, ყოფილი ჯარისკაცები, ინვალიდები. ორივეს მოწყვეტილი აქვთ მარჯვენა ხელები. ირკვევა, რომ ორივე უბილეთოა. კანონის ღირსეული დარაჯი „რევიზორი" – წინადადებას აძლევს მათ გადაიხადონ ჯარიმა სამი მილიონი. უფულობა არ სჯერა რევიზორს, მცხეთაში სიცივე და თოვლია, და ინვალიდებს დასტოვებენ სადგურზე:

„მშვიდობა ყველას ვინც ზამთარში დარჩება გარეთ"

ღამით თორმეტ საათზე ყველას სძინავს. მხოლოდ ჩვენ კუპეში ისმის ლექსები და სახელები რუსთაველის, პუშკინის და ლაფორგის. უკანასკნელის ლექსებს ჭიანურის ხმით ატირებს ტიციან ტაბიძე, პავლე ინგოროყვა და პაოლო იაშვილი. იგონებენ პუშკინის „19 ოქტომბერს" პაოლო იაშვილი „რუბიკონის" რედაქციიდან იღებს შეკვეთას ამ ლექსის ქართულად თარგმნისათვის. იქვე შემუშავდა თარგმანის გეგმა. ამ ლექსში პუშკინი იგონებს თავის სოფელში მარტოდ დარჩენილ ოცდაათ ლიცეის ამხანაგს:


Кому-же из нас под старость в день лицея,

Торжествовать придётся одному?

ყოველს დაწყებულ ლექსს ჩამოგვართმევს და აწეულის ხმით დაასრულებს ვალერიან გაფრინდაშვილი. მხოლოდ სდუმს მეტად დაღალული და გაფითრებული რაჟდენ გვეტაძე. მისი მწუხარება განსაკუთრებულია. შალვა კარმელში ჩვენ დავკარგეთ ძმა, რაჟდენ გვეტაძემ კი ტყუპი.

დრო მიდის ჩქარა. არასოდეს არ ვიცით რომელ სადგურზე ვჩერდებით. არც ვკითხულობთ. ხანდახან ფანჯარაში შემოანათებს თოვლი, მთვარით კიდევ უფრო გათეთრებული. დილის ექვს საათზე ჩავედით ქუთაისში. სადგურზე მხოლოდ გაუკრეჭელი უფროსი და სიცივისაგან და შიმშილით გალურჯებული ჩამოხეული ტვირთის გადამტანი მუშები. ერთი რუსი ხუმრობით აძლევს მუშას წინადადებას, რომ ზურგით წაიყვანოს გორაზე ოციათას მანეთად. მუშტარი ვერც ერთმა მუშამ ვერ იშოვა. ეტლები არ არიან. კიდევ სიბნელეა და ქუჩებში აქა იქ მოსჩანან ანთებული უბრალო სანთლები. ქუჩები ორმოებით არის სავსე. ტალახი როგორც სოფლის ორღობეში. ქვაფენილებზე გადამწვარი ბალახია ამოსული. მთელს ქალაქში ათი სახლი თუა განათებული. დაგვეტყო დაღლილობა. დავბინავდით ვალერიან გაფრინდაშვილთან.


ქუჩებში გაკრულია განცხადებები: ახალი მწერლობის საბჭოს დადგენილებით შალვა კარმელის დასაფლავება გადადებულია ხუთშაბათ 1 თებერვლისათვის საღამოს ოთხს საათზე. ყვავილებით გავეშურეთ მწვანე ყვავილასაკენ. იქ პავლე გოგიაშვილის სახლში ასვენია შალვა კარმელი. დაბ-



შაღვა ჯარმელი

ალი, სუფთა ფიცრული ოდა. ეზო და ოთახები სავსეა ხალხით, ახალგაზრდობით. გაისმა შესაზარი კივილი უბედური დედის: გულისდამწველი სიტყვები ადუღებენ ჩვენს ცრემლებს. „ჩემო უგვირგვინო შვილო, იცოდენ შენმა ამხანაგებმა, რომ დედაშენი არ არის დამნაშავე შენს სიკვდილში. ერთი თვეა ჩემს თვალებს ძილი არ მიკარებია. ოცდაოთხს წელიწადში შენ დაასრულე პოეტობა, სტუდენტობა, სიცოცხლე და სიკვდილი. რამდენი ხანია შენს გონებას არ უფიქრია, შენს ხელს კალამი არ აუღია. მითხარით ხალხო რითი ვკლავ ჩემს შვილებს, ეს ხომ მეოთხე კუბოა ჩემი შვილებისო" ყველა ტირის დაუზოგავ ცრემლებით. კუბოს აკვდება კარმელის ორი პატარა ძმა, ორივე ფერმკრთალი. იწყება პანაშვიდი. ისმიან ღვთაებრივი სიტყვები სახარებისა. ქალების გალობა და საკმეველი, დედის ტირილი, ბავშვების ქვითინი, ამხანაგების ჩუმი გარინდება – ყველაფერი შეუწყვეტელი ჟრუანტელია. დამშრალნი, ჩუმად ვტოვებთ განწირულ სახლს.

საფიჩხიის სასაფლაოზე გაჭრილია საფლავი, მაგრამ საბჭო ადგენს, რომ იქ არ არის სასურველი ჩვენი წევრის დამარხვა. გავიგეთ, რომ ბაგრატის ტაძრის გალავანში დასაფლავებისათვის, საჭიროა ნებართვა ეთნოგრაფიულ საზოგადოებისა. საღამოს 9 საათზე მივდივართ ამ საზოგადოების რწმუნებულთან ტრ. ჯაფარიძესთან. თანხმობა მიღებულია. მეორე დღეს დასაფლავებაა და საჭიროა ეხლავე ამორჩევა სამარის ადგილისა. ღამის თერთმეტ საათზე მივდივართ ბაგრატის მთაზე. წვიმა, სიცივე, თოვლი, ტალახი. გალავანი დაკეტილია, სასაფლაო თოვლით დაფარული. ჩამოდის ფეხშიშველი გალავანის დარაჯი გრიგოლი ბერი. შემოღობილ ფარგალში, რომელიც ეკუთვნის ეთნოგრაფიულ საზოგადოებას, დასაფლავებული არიან გიორგი ზდანოვიჩი და კირილე ლორთქიფანიძე. ადგილი პატარაა. პირდაპირ არის ჩვენთვის მისაღები სასაფლაოს ნაწილი, მაგრამ იქ არიან საფლავები, რომელნიც უნდა მოყვნენ პანთეონის ფარგალში. სასწრაფო თათბირმა გადასწყვიტა შალვა კარმელის დასაფლავება მოხდეს ქალაქის ცენტრში, მთავარანგელოზის გალავანში. ვბრუნდებით იქ, ვარჩევთ ადგილს.



ქუთაისი, 1923 წ.

მეორე დღეს, ხუთშაბათს მთელი ქალაქი მიეშურება მიცვალებულის ბინისაკენ. 4 საათზე გუნდმა იგალობა უკანასკნელი სულთათანა. იქვე ეთხოვებიან უტკბილეს სიტყვებით ძვირფას მეგობარს კარმელის ბავშვობის ამხანაგები. თითქმის მთელი ქუთაისი აცილებს ცხედარს საფლავამდის.

ჩვენი დადგენილებით მხოლოდ ერთი გვირგვინია წარწერით: შალვა კარმელს სრულიად საქართველოს ახალი მწერლობის კავშირი და ცისფერი ყანწები.

პირველი სიტყვა პავლე ინგოროყვასი კავშირის სახელით. ინგოროყვას სიტყვა არის სავსე კეთილშობილურ სიამაყით და კარმელისადმი უტკბილეს სიყვარულით.


ყანწების სახელით ლაპარაკობს პაოლო იაშვილი: „ცისფერ ყანწებს“ პირველად წაექცა თავი, ყანწებიდან პირველად დაილია შესანდობარი ყველაზე უმცროს ძმის მოსახსენებლად. ჩვენს ორდენს გამოაკლდა გიორგის კავალერი. კარმელს უყვარდა თქმა: „გადმოკიდულა ციდან სემირამიდის ბაღი“, ეხლა კი ჩაეკიდება სამარეში კარმელის უკანასკნელი ბაღი – მისი კუბო.

საქართველოს ხელოვანთა მთავარი კომიტეტის სახელით ლაპარაკობს თავმჯდომარის მოადგილე ტიციან ტაბიძე. არის სხვა სიტყვებიც. აუარებელი ხალხის ცრემლით სავსე თვალები მისჩერებია კუბოს, რომელიც ნელი-ნელ ეშვება სამარეში. ამინდი მეტად ცუდია, სამარე აივსო მიწით და ყვავილებით დაიფარა. პარასკევს უკანასკნელი საღამო ვალერიან გაფრინდაშვილის სახლში. ჩვენთან არის ქუთაისში ობლად დარჩენილი კოლაუ ნადირაძე. შემოდის, გვიკითხავს თავის ლექსს კარმელის ხსოვნისთვის. მწერალი ილია ჭყონია თბილი სიტყვებით ლაპარაკობს ახალ მწერლობაზე, გადმოგვცემს მოყვარული წარწერით თავის წიგნს, ტკბილად გვიამბობს მამია გურიელის და ძველი მწერლობის შესახებ.

ღრმა თოვლი ეფინება ქუთაისს. ჩვენ უკვე ვაგონში ვართ. ვეთხოვებით კოლაუ ნადირაძეს. გულდაწყვეტილი და ცრემლიანი გვშორდება იგი, და „თავშიშველი და ზვიადი“ იკარგება ქუთაისის თოვლში. მატარებელში ცივა და ბნელა. მწუხარედ ვბრუნდებით თბილისში.

გაზ. „რუბიკონი“ № 4, 1923 წ.

[სიტყვა თქმული შალვა კარმელის საღამოზე]



ათი ერიაღა წეიიწაღია.
რაც ჩვენი ძმობა ერძეიღება მტკიცე:
და თითქოს ჩემთვის ისევ ცხაღია
რომ ქუთაისის ბაღში ღაღიან
ერთად კარმეიი ღა ცირეკაძე.

პ. იაშვიიი, 1926 წ.

(ფრაგმენტი)

კვირას, 4 თებერვალს ხელოვანთა სასახლეში შესდგა მორიგი საჯარო სხდომა სრულიად საქართველოს ახალ მწერლობის კავშირის. სხდომა შეწირული იყო ახლად გარდაცვალებულ პოეტის შალვა კარმელის ხსოვნისათვის. განსვენებული ითვლებოდა ახალ მწერლობის კავშირის და საბჭოს წევრად. საჯარო სხდომას თავმჯდომარეობდა ტიციან ტაბიძე.

...შ. კარმელს თავიდან ეტყობოდა სინაზე და კეთილშობილება. და აგრეთვე გამტანობა და განწირვა პოეზიისათვის. ეს პირველი შემთხვევაა, როცა „ცისფერი ყანწების" ორდენს მოაკლდა თავისი წევრი. ჩვენ აქამდი არ ვიცოდით მისტიური შიში სიკვდილის და ამის შემდეგ ყოველთვის იქნება მოგონება ამ განწირულ ბავშვის, რომელიც ჩვენ თვალწინ ებრძოდა სიკვდილს და ამ აგონიის დროს მაინც ყველაზე უფრო ფიქრობდა პოეზიაზე.

კარმელის ლექსი მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ყრმა იყო, აღბეჭდილია ნიჭით და პოეტური მიღწევებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ კარმელი თუმცა, საქართველოს გარეთ არსად ყოფილა, მაინც იცნობდა თანამედროვე ლექსის ტექნიკას და აგრეთვე თავის ასაკისათვის იყო მეტად კულტურული. ეს კულტურა საზოგადოთ აკლია დღეს ქართველ პოეტების უმრავლესობას და არავითარი ბოდიშის მოხდა მათ არ უშველის...

გაზ. „რუბიკონი" № 4, 1923 წ.



ქართველი მწერლების ჯგუფი მარცხნიდან პირველი რიგში: ნიკო შიუკაშვილი, გიორგი დეონიძე, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გუნია, ნიკოლოზ მიწიშვილი, შალვა დადიანი, პაოლო იაშვილი, შალვა ქარმელი, გრიგოლ ზოდელი, დუტუ მეგრელი, კონსტანტინე გამსახურდია მე-2 რიგში: გაბრიელ ტაბიძე, მ. ჰატარიძე, რაჟდენ გვეტაძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, კოტე მაყაშვილი, აღექსანდრე აბაშელი. 1922 წ.


ძვირფასო ნიკა და ძმაო კოლაუ!

შალვას სიკვდილმა სრულებით არია ჩვენი დღეები: ასეთი მწუხარება ჯერ არ გვახსოვს მეგობრის დაკარგვით. ოთხშაბათს დილით ჩამოვალთ მე, პავლე ინგოროყვა, ტიციანი, ვალერიანი და რაჟდენ გვეტაძე. გთხოვთ, გადასდოთ გასვენება ხუთშაბათისათვის.

სრ. საქარ. ახალი მწერლობის და კავშირის სახელით და ცისფერი ყანწელების დავალებით გთხოვთ, შეუკვეთოთ ორი გვირგვინი ცოცხალი ყვავილებისა. ფასს ჩვენ გადავიხდით. ვეცდებით აგრეთვე, ლენტები წარწერებით აქედან ჩამოვიტანოთ. დარწმუნებული ვართ გასვენებას მოაწყობთ ისე, როგორც ჩვენს ძვირფას შალვას შეეფერება.

თქვენი მარად პაოლო იაშვილი

[თბილისი, 20-30 იანვარი, 1923]



პაოლო იაშვილის წერილი ნიკო ღორთქიფანიძეს და კოლაუ ნადირაძეს (ხელმ 28731-726)

ნიკო ფიროსმანიშვილი

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ტფილისის სარდაფების არაყში ჩამხჩვალ მხატვარ ნიკო ფიროსმანიშვილზე წიგნი, რომლის მსგავსი ჯერ არ ღირსებია არც ერთ დიდს ქართველს.

ეს წიგნი სამაგიეროა იმ ძეგლის, რომელიც აქამდის უნდა დადგომოდა ფიროსმანის საფლავს, მაგრამ ეს საფლავი ჩვენ არ ვიცით, თუმცა მხატვარი მოკვდა ჩვენს დროსა და ჩვენი თვალის წინ.

ამ დანაშაულისა და სირცხვილისაგან შესანიშნავად გამოცემული წიგნი სახელგამისა ნაწილობრივათ მაინც დაგვიხსნის. ტფილისში გამოცემულ წიგნთა შორის, ნიკო ფიროსმანიშვილი საუკეთესოა.

მის საქიმპოდ ვერ გამოდგება ქართველიშვილის „ვეფხისტყაოსანი" ყოვლად უშნო და უნიჭო ილუსტრაციებით და მითუმეტეს გედევანის ილია ჭავჭავაძე, რომელიც უგემურობის შედეგია. ამ წიგნებს მიტომ ვახსენებ, რომ მათ ჰქონდათ საგამომცემლო პრეტენზიები.

წიგნი ნიკო ფიროსმანზე პირველი ქართული „ლეიპციგი"-ს მაგალითია.

ვიქონიოთ იმედი, რომ ეს არა უკანასკნელი წიგნია ქართულ ენაზე და ამიტომ მომავლისთვის სახელმძღვანელოდ დაწვრილებით შევეხოთ მას.

ყდა (თეთრი ვარიანტი) შესანიშნავია. შეიძლება შავი არშია შეგვეცვალა მუქი წაბლის ფერით და ასეთიე ფერით დაგვებეჭდა ლათინური წარწერა.


გვერდები შინასათაურების, როგორც სტამბის, ისე ფერების შერჩევით უდაოთ მისაღებია. ამ თვალისთვის საამურ გვერდებს არ შეეფერება და წიგნის დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ჭუჭყიანი ბალახის ფერი ფონი ფიროსმანის ორივე ფოტოგრაფიულ პორტრეტისა. თუ ტფილისში სხვა ქაღალდი არ მოიპოებოდა, ისევ სჯობდა თეთრი ცარციანი ბრწყინვალე ქაღალდისთვის მიგვემართა, მაგრამ ქაღალდი უნდა ყოფილიყო ცარციანი, ორთავე მხრით და არა ისეთი, როგორიც აქვს ფონათ ი. ნიკოლაძის მიერ შესრულებულ ფიროსმანის სურათს. გამოცემის დიდი მიღწევაა ტექსტში მოთავსებული თაური და ბოლო სამკაულები როგორც ფერის არჩევით, ისე მხატვრული შესრულებით. მათი სტილიზაცია ფიროსმანის შემოქმედების მიხედვით ეკუთვნის კირილე ზდანევიჩს.

ტკივილივით საწყენია მე-11 გვერდზე მოთავსებული მხატვრის სურათი „შინაური არიფანა". ეს სურათი თავის თავად ცუდათ არის დახატული და მისი ლიტოგრაფიული ანაბეჭდი სურათის დასამარებაა. არ ვარგა შავი და წითელი მკვდარი ფერები, არც ცა, რომელიც სტოვებს ცემენტის სიმაგრის შთაბეჭდილებას. სურათი თავის ფერების შეხამებით ჰგავს პროვინციულ ცირკის აფიშას, აჭრელებულს, უხეშს. დიდხანს მისი ცქერა თვალების ტკივილს იწვევს.

სამაგიეროთ თვალს დიდხანს ვერ მოაშორებთ მეორე ფერადს, გვერდი 54: მებადური (რადგან სურათზე ბადე არა სჩანს, წარწერათ სჯობდა „მეთევზე კლდეში"). ფიროსმანის შთამაგონებელი მწვანე და ყვითელი ფერი აქ დედანის სიცოცხლით არის გადმოცემული.

საუკეთესო ადგილი მთელს წიგნში არის 129 გვერდზე მოთავსებული Nature morte.

მკითხველი ალბათ ხვდება, რომ ჯერჯერობით მე ვეხები მხოლოდ წიგნის ტეხნიკურ მხარეს და ვარჩევ ყველა სურათებში ამ Nature morte-ს არა მარტო მიტომ, რომ ის თავის თავად მხატვრული შედევრია, – მიტომაც, რომ ლიტოგრაფიულად ყველა ფერად სურათზე უფრო ბუნებრივად არის შესრულებული. მის შემდეგ კარგია „ქალო ქართლის სოფელში", თუმცა აღსანიშნავია ერთი ნაკლი: სურათის ყველა პერსონაჟებს (ორი მეხრე, ქალი, გამნიავებელი, ბავში, ძაღლი) თვალების მაგიერ შავი წითელ ხაზებ შემოვლებული წერტილები უჩანსთ და მკაფიოდ არ არის გამოცემული ხაზობრივი ნიუანსები. გადამეტებით მკვეთრი, ღია ფერებია მოცემული სურათში „გოგოს საფრენი ბუშტი უჭირავს ხელში" (გვ. 132). მართალია რეპროდუქცია უახლოვდება დედანს, მაგრამ



ᲨᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ

№1

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ
1926

ნიკო ფიროსმანიშვილი

„გოგოში“იმდენათ ელემენტარულია ფერების შეფარდება და სურათი იმდენათ აპრიალებულია ლურჯი, ყვითელი და წითელი ფერებით, რომ იმის ნაცვლად სჯობდა მოგვეთავსებია რომელიმე სხვა ფერადი ანაბეჭდი, თუნდაც მეორე Nature morte (გვ. 88) ან სააღდგომო ბატკანის ორთავე ვარიანტი, ან რაც უფრო დამახასიათებელია ფიროსმანის კოლორიტისათვის, „ორთაჭალის ტურფები“. ამ სურათზე ერთფერიან საღებავითაც შესრულებული ყვავილები და ჩიტები ჰქმნიან უმაღლეს მხატვრულ ჰარმონიის გუნებას. როგორც მახსოვს, სურათი ზდანევიჩების კოლექციაში მთლიანი ტილო უნდა იყოს და გასაკვირია, რად იყო საჭირო მათი შუაში გაჭრა, გაცალკევება?

ჩემის აზრით წიგნში არ უნდა მოთავსებულიყო მხატვრული უვარგისობის მიზეზით ერისთავის „სამშობლოს“ ილუსტრაცია და „გიორგი სააკაძე“, რომელიც იმდენათ სუსტი ნახატია, რომ სიყალბის შთაბეჭდილებას სტოვებს.

ამ წმინდა ტეხნიკურ შენიშვნების შემდეგ, სადაც აღნიშნულია რამოდენიმე ნაკლი, რომელთა გამოსწორება შეიძლება ფიროსმანის მეორე გამოცემის დროს, სასიხარულოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ მოგვცა წიგნი, რომელიც საქართველოს სინამდვილეში საორიენტაციოდ დარჩება ყველა მხატვრულ გამოცემისათვის. კარგი ქაღალდი, ბრწყინვალე და მდიდარი საილუსტრაციო საღებავი კლიშეებისათვის, სურათების კარგათ დარჩევა, სავსებითი კათალოგი ფიროსმანის სურათების, ტექსტებში მოცემული ბიოგრაფია და ფიროსმანის შემოქმედების სრული დახასიათება, თითქმის უმნიშვნელო კორრექტურული შეცდომები, და საერთოდ გულწრფელად და სიყვარულით გაწეული შრომა წიგნის გამოცემისათვის. ყველაფერი ეს მისალოცია როგორც სახელგამისათვის, ისე – ქართველ, რუს და ფრანგი წიგნის წამკითხველთათვის.

ტიციან ტაბიძის წერილი ფიროსმანზე თითქმის მონოგრაფიაა მხატვრის ცხოვრების და შემოქმედების. ავტორმა ზომით პატარა წერილში მოათავსა ყველაფერი, რაც დღემდე ცნობილია ფიროსმანის ცხოვრების შესახებ. ყოველი ცნობა, რაც ახლად აღმოჩნდება დაკარგულ მხატვრის შესახებ, მხოლოდ დამატება იქნება ტიციან ტაბიძის მიერ დამუშავებულ მასალებისა.

შთაგონებით ჯვარ-ცმულ, წმინდა, ნათელ არტისტის პორტრეტია გრიგოლ რობაქიძის წერილი ნიკო ფიროსმანზე. წერილი ბოლომდის აღტაცების პათოსით არის დაწერილი. ფიროსმანი პრიმიტივისტი, მართალი გულის მხატვარი, შეყვარებული მიწას, ბოგემა, რომელიც ჩამწყვდეული იყო სარდაფებში, მაგრამ რომლის გენიალურმა თვალმა ყველაფერი ნახა და ჩვენც შეგვინახა ტემპერამენტი თავის დროის საქართველოსი.

გრიგოლ რობაქიძის სინაზე და სიყვარული „საწყალი ნიკალასადმი" უსაზღვროა. წერილის ბოლოში ავტორი ეხება ფიროსმანს, როგორც ყვავილების და ცხოველების მოყვარულს. აქ ფიროსმანი ჰგავს ვაჟა-ფშაველა – რობაქიძის მინდიას.

გერონტი ქიქოძე ჩვენს მხატვრულ კრიტიკაში ცნობილი და მიღებული ავტორიტეტია. ამიტომ მის წერილს ფიროსმანზე და მისგან ფიროსმანის მიღებას დიდი მნიშვნელობა აქვს. შეიძლება ტექსტების დანარჩენ ოთხს ავტორს (გრ. რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, კ. ზდანევიჩი, კ. ჩერნიავსკი) ვინმემ მიკერძოება დასწამოს, რადგან ზოგი მათგანი არიან ფაქტიურად და ზოგიც მხატვრულად აღმომჩენნი ფიროსმანის. მათ ოთხივეს აერთებს აგრეთვე ერთგვარი სკოლური და გემოვნების სიმპატიები.

გერონტი ქიქოძე კი საგანს უნდა შეეხოს, და ეხება კიდეც, აკადემიური მიუდგომლობით. მისი წერილის პირველი ნაწილი ქართული მხატვრობის მოკლე საერთო ანალიზია. თვითონ ფიროსმანზე ის ცოტას ლაპარაკობს, ლაპარაკობს თავდაჭერილად, მაგრამ მაინც იღებს ფიროსმანს, როგორც დიდ მხატვარს. ავტორი თითქოს უსაყვედურებს მხატვარს უკულტურობას – (ასეთია მისი აზრი ვაჟა-ფშაველაზე) – მაგრამ ეს თითქოს არც მოეთხოვება ფიროსმანს, რომელიც ხატავს უბრალოდ, ძალდაუტანებლად ისე, როგორც ჩვენ ვსუნთქავთ ან დავდივართ, რაიმე ელემენტარულ ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს ვაკმაყოფილებთ. გ. ქიქოძის თქმით, ფიროსმანი უძლიერეს მხატვრულ ეფექტს უმარტივესი საშუალებით აღწევს.

გ. ქიქოძემ, თავის წერილში აღნიშნა ერთი მომენტი ფიროსმანის შემოქმედებაში, რაც სხვას არავის დაუნახავს: რომ ფიროსმანიშვილმა ქართველი ადამიანი დაიჭირა იმ მომენტში, როცა ის ყველაზე უფრო ქართველია და ყველაზე უფრო ადამიანი, როცა ის არ ჰგავს არც რუსს, არც სპარსელს, არც სხვა მეზობელს, რომელსაც მრავალ საუკუნეების განმავლობაში მასზე გავლენა მოუხდენია.

კირილე ზდანევიჩის წერილში უმთავრესად ბიოგრაფიული მასალებია მოცემული და ამ მასალაში მთავარი ადგილი დათმობილი აქვს ილია ზდანევიჩის დღიურს, რომელიც ფიროსმანს გაცნობს და მასთან საუბარს ეხება. მკითხველისთვის ალბათ ახალი ამბავი არ არის, რომ ფიროსმანი აღმოაჩინეს ძმებმა ზდანევიჩებმა და მხატვარმა ლე-დანტიუმ.

კირილე ზდანევიჩი, ეს ცოცხალი მოწმე ფიროსმანის ცხოვრებისა, დიდათ გატაცებული იყო მხატვარის პიროვნებით, და მისი დღიური მთავარი მასალაა მხატვარის დასახასიათებლად. როდესაც მას ვკითხულობ, სირცხვილი მწვავს, რომ აღმოჩენილი დიდი მხატვარი და ადამიანი არ შევინახეთ და ისევ დავკარგეთ. ფიროსმანი ცხოვრობდა ღარიბათ, ჭუჭყიანათ და ჩვენ მას ვერიდებოდით, როგორც კეთროვანს.

ილია ზდანევიჩის დღიურში მე მივაქციე ყურადღება ერთს ფაქტიურ შეცდომას: სურათში „სამი თავადი მოლზე" ზდანევიჩის აზრით დახატულია ვიღაც თავადი გულბატოვი და მისი ბიძაშვილები თ-დი ჭავჭავაძეები. ჩემ მიერ შეკრებილი ცნობებით ჭავჭავაძეებს გულბატოვი (საზოგადოთ არსებობს თუ არა ასეთი გვარი?) ნათესავათ არ ჰყოლიათ. ჩემის აზრით ამ სურათზე დახატულია ცნობილი გულბაათ ჭავჭავაძე თავის ბიძაშვილებით. საჭიროა შეცდომის გასწორება.



ფიროსმანი პარიზში. ილიკო გუდიაშვილი 1969 წ.

უკანასკნელი წერილი ფრანგულ ენაზე ეკუთვნის კოლაუ ჩერნიავსკის, რომელიც ფრანგ მკითხველისათვის კარგი სახელმძღვანელო იქნება ფიროსმანის გასაცნობად.

მე ამ წერილში აღარა მაქვს საშუალება ვილაპარაკო ფიროსმანზე, როგორც მხატვარზე. ჩემი გატაცება მხატვრით და მისდამი სიყვარული მავალებს ჩვენ ჟურნალში ვსთქვა ჩემი სიტყვა.

ის ძეგლი, რომელიც ფიროსმანს სახელმწიფო გამომცემლობამ სამაგალითო წიგნის გამოცემით დაუდგა, არ არის საკმარისი.

საჭიროა მოინახოს ფიროსმანის საფლავი.

საჭიროა ძეგლი მარმარილოსი, – ახალი მხატვრობის წინამორბედის უკვდავებისთვის.

ფიროსმანის საფლავის ნახვა ევალება ყოველ ჩვენთაგანს. რომელს ერგება ბედნიერება ფიროსმანის ახლად აღმოჩენისა?

ჟურნ. „ქართული მწერლობა". № 1, 1926 წ.



პაოლო იაშვილი

ქართული სალიტერატურო ენის დაცვისათვის

პაოლო იაშვილის წარმოთქმული სიტყვა ქართველ საბჭოთა მწერალთა კავშირის სხდომაზე. (სტენოგრაფიული ჩანაწერი)

პ. იაშვილი: მე არ მომისმენია თავიდან ბოლომდე ამხ. მ. ტოროშელიძის მოხსენება, მაგრამ მე მგონია ქართველი მწერლისათვის არ არის ძნელი ლაპარაკი ქართული ენის შესახებ, მით უმეტეს, რომ მე მგონია ყოველი მწერალი დღიდან თავისი შემოქმედებითი ცხოვრების დაწყებისა უნდა ფიქრობდეს უმთავრესად ენაზე.

ყოველი დიდი მწერლისთვის, მე არ ვლაპარაკობ აქ საშუალო მწერალზე. ყოველი დიდი მწერლისთვის, ყოველი დიდი ნიჭით აღჭურვილ მწერლისათვის ენაზე ფიქრი, გამორკვევა ენის პრობლემისა არის ერთი უმთავრესი მთელ მის შემოქმედებაში. ავიღოთ, ფრანგული პროზა. დამეთანხმებით, რომ პროზის მხრივ საფრანგეთი არის ყველაზე მოწინავე, ყველაზე წარჩინებული ქვეყანა. უდავო არის, რომ ფრანგული პროზა არის უძლიერესი პროზა, რომელზედაც ისწავლა ისეთმა დიდმა ბელეტრისტმა, როგორიც იყო ლევ ტოლსტოი.

აქ, ამ დარბაზში გახსოვთ გორკის მოხსენება. თქვენ გახსოვთ ეს უზარმაზარი მწერალი როგორის მოწაფური თავმდაბლობით ლაპარაკობდა დიდი ფრანგული პროზის შესახებ და თავის თავს ასახელებდა, როგორც მორჩილ მოწაფედ სტენდალის, ბალზაკის... ამ უდიდესმა მწერლებმა, როგორიც იყვნენ ბალზაკი, სტენდალი, მთელი თავიანთი ცხოვრება გადააქციეს ტრაგედიად, იმიტომ რომ მათ ეგონათ ვერ დაიპყრეს თავისი სამშობლო ენა. ენის დაპყრობა მწერლის მიერ ეს არის ის უდიდესი იდეალი, რისკენაც მიისწრაფვის ყოველი ხელოვანი.

ამხანაგებო, რა არის მთავარი ღერძი კამათისა. ინიციატივა, როგორც წესი ეკუთვნის მაქსიმ გორკის. რა იყო მთავარი მიზანი გორკის გამოსვლისა. მან ცოტა უკან დაახევინა გაამაყებულ მწერლებს. უთხრა ვისშევსკის, რომ შენ არ ხარ გოგოლი... შენ უნდა ისწავლო რუსული ენა და მაშინ შეგიძლია ისეთი ტონით ლაპარაკი, როგორითაც შენ გამოდიხარ. ნუ დავივიწყებთ, რომ რუსული ენის გარშემო უდიდესი მუშაობაა ჩატარებული რუსეთში. ჩვენში კი ქართული ენის გარშემო ხდება ნამდვილი საბოტაჟი. რას აკეთებს ის ხალხი, რომელსაც მინდობილი აქვს ზრუნვა ამის გარშემო. ყოველ წელს ისმის საკითხი ენის შესახებ, მაგრამ არსებითად რა კეთდება? კომისია, რომელიც არის არჩეული არაფერს აკეთებს. მწერლებმა უნდა ავიღოთ ერთხელ და სამუდამოდ ინიციატივა ჩვენს თავზე. განა ასეთ კრებებზე გამოირკვევა ენის საკითხი?

ვწუხვარ, რომ აქ ბევრია მოსული იმისთვის, რომ სეირს უყუროს. გამსახურდიას ან რომელიმე მწერლის დავასა და ჩხუბს...

კ. გამსახურდია: მე არავის ვეჩხუბები.

პ. იაშვილი: მე არავითარი განზრახვა არ მაქვს ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო და ამ მიზნით არ მითქვამს.

ბ. ჟღენტი: „პერესტროიკა“ მოხდა, არა?

პ. იაშვილი: ყოველ შემთხვევაში, არა თქვენი გავლენით, არამედ დროის გავლენით. რაზეა, ამხანაგებო, კამათი? ჯერ უნდა ვთქვა გუშინდელი ინციდენტის შესახებ. მე ვფიქრობ, რომ ამხანაგი ჯავახიშვილი არ მოიქცა მართებულად, როდესაც ჩვენი გაზეთის ერთი სარდაფი მოანდომა ერთი კარგი, ნიჭიერი მწერლის, პოეტის გარჩევას და გამოიტანა ყველა მისი ნაკლი. მე მგონი, ყოველი მწერალი მართალი იქნება, როცა აქ გამოიტანს საკუთარ შეცდომებს.

აქ ამბობენ, რომ ხალხური ენა არის მთავარი დასაყრდენი ქართული სალიტერატურო ენისა. სოფლურ ენას ჩვენ ვერ დავეყრდნობით. მაგალითად, როგორ უნდა აღვწეროთ ავტომობილის მოტორი. მე მაგნიტოგორსკში ვიყავი და ერთი წელიწადი უნდა დარჩე იქ, რომ შეისწავლო ეს ტერმინები, რომელიც თან ახლავს ამ გიგანტს და შემდეგ თანდათან მიაწოდო მკითხველს ეს ტერმინები, რომ ერთბაშად არ დააფეთო.

მე ვიყავი სამი თვის წინათ ქუთაისში. შეველი ყავახანაში. ყავახანის გამგე არის ბერძენი. სანოვაგე არის ჩალაგებული ყუთებში. ზედ აწერია, თუ რა სანოვაგე დევს ამ ყუთებში და აი, ზედ ქართულად აწერია, უზარმაზარი ასოებით: „პიროგი“, „პრიანიკი“, „პირაჟკი“, „პონჩიკი“, „ბუბლიკი“...

მე მეწყინა და ვუთხარი გამგეს: როგორ შეიძლება, წაშალეთ. მან მიპასუხა: ჩემი შვილისგან გამიგონია, რომ თქვენ ხართ მწერალიო. მომიტანა ფანქარი და მითხრა, დამიწერეთო, როგორ უნდა ქართულადო. ოცი წუთი მოვუნდი და ვერც ერთი ტერმინი ვერ მივეცი. ამხანაგ მიხეილ ჯავახიშვილს თავისი თავი ქართული ენის კარგ მცოდნედ მიაჩნია და ვთხოვ, ერთ საათში მოგვცეს პასუხი, აქ როგორი ტერმინები შემოვიღოთ.

(ამხ. პ. იაშვილი გადასცემს ამხ. ჯავახიშვილს ბარათს, სადაც ჩამოწერილია სანოვაგის სახელები).

მ. ჯავახიშვილი: მე გადავცემ ამას ამხანაგ ვუკოლ ბერიძეს.

ვ. ბერიძე: დიდი სიამოვნებით მოგცემთ პასუხს. მხოლოდ იკადრეთ ჩვენთან მოსვლა.

პ. იაშვილი: ანდა ვთქვათ, წახდა მანქანა. თქვენ ვერც კი აღწერთ, რა წაუხდა მანქანას. ვიცით ვინმემ ტერმინები? არავინ. და გამოვდივართ და ვწერთ დიდ ფელეტონებს და ვიძახით, რომ ტიციან ტაბიძეს შეცდომები აქვსო. მე კი რამდენიმე შეცდომა გამეპარაო.

მ. ჯავახიშვილი: როგორ მათანაბრებთ ენის ცოდნის მხრივ ტ. ტაბიძესთან!

პ.იაშვილი: მე არ გათანაბრებთ. ისტორია იტყვის, რომელი იყო კარგი. არ შეიძლება ითქვას, რომ ე. ნინოშვილს ქონდეს კარგი ენა, მაგრამ მოხდა ისე, რომ ის დამკვიდრდა მწერლობაში და მას ვერავინ ამოაგდებს. ეს, იმიტომ, რომ გარდა ენისა, ლიტერატურას აქვს სხვა რამ ბუნება, რომელიც თამაშობს დიდ როლს. ენა უდიდესი იდეალი არის. განა გოგოლი არ იყო უდიდესი მწერალი? მაგრამ გოგოლმა დაწვა ორი ტომი თავის ნაწერებისა, რადგან მას უკიჟინებდნენ რუსული ენის უცოდინრობას და აი, ამხანაგებო, რას ვაკეთებთ ჩვენ ენის გარეშე. როგორ მუშაობას ვატარებთ ჩვენ? იყო ერთი შემთხვევა მაინც, მწერალთა კავშირში რომ ვინმეს მიეტანა თავისი ნაწარმოები, მოეწვია ოცი ამხანაგი, რომელთაც ცოდნა თუ არა, ინტუიცია მაინც აქვთ და გაერჩია ენის მხრივ თავისი ნაწარმოები. არც ერთი ასეთი შემთხვევა არ ყოფილა. ქართველ მწერალს ზნეთ სჭირს მეტად დიდი სიამაყე და მას ჰგონია, რომ რაც მე დავწერე, ეს არის იდეალური. ხშირია შემთხვევა მეც დამმართვია, როცა ლექსი ნახევრად არის დაწერილი. მირბის მწერალი რედაქციაში და ეუბნება: ხვალ მოგიტან მაშინ, როცა ლევ ტოლსტოიმ შვიდჯერ გადაწერა თავისი „ომი და ზავი“.

საჭიროა მეტად ავტორიტეტული ორგანოს შექმნა, რომელიც მოსპობს ენის გარშემო ანარქიზმს საქართველოში, რადგან რამდენიც ავტორია, იმდენი საკუთარი გაგება აქვს ქართული ენისა. ჩვენ უნდა მივიღოთ ზომები, რომ ხელისუფლებამ, რომელიც მილიონებს ხარჯავს კულტურის ფრონტზე, შექმნას ერთი ავტორიტეტული ორგანო, რომელიც შემოიკრებს თავის გარშემო ყველას, ვინც იბრძვის ენის სიწმინდისათვის. გარდა ამისა, მე ვიცი, რომ ზოგიერთი ჩვენი გაზეთი

ასი ათას მანეთ მოგებას აძლევს სახელმწიფოს. რად უნდა სახელმწიფოს ეს მოგება. უკეთესია ამ თანხებით დარაზმოს ქართული ენის მცოდნენი. მე ვიცი შესანიშნავი მცოდნეები, რომლებიც ენის ამ გაჭირვების დროს თითქმის ნახევრად მშიერები დაიარებიან. ამ ხალხს ...

დ. დემეტრაძე: ენა გაღატაკებული არ არის.

პ. იაშვილი: ამხანაგო დათიკო, ნუ გგონიათ, რომ მე ვამტკიცებდე, თითქოს უკანასკნელ დროს ენა გაღატაკდა, მაგრამ იმის მტკიცება, რომ თითქოს მას არა აქვს სარეველა, არც ეს შეიძლება და განა არ შეუძლია ამხანაგ გერონტი ქიქოძეს ეს სარეველა ოდნავ მაინც შეალამაზოს?

მ. ტოროშელიძე: ყველა ისე ალამაზებდეს, როგორც ის.

პ. იაშვილი: მე უნდა ვთქვა აშკარად, ავიღოთ მისი თარგმანი „ტრისტან და იზოლდა". ამხანაგი გერონტი ქიქოძე ძალიან თავმდაბალი კაცია და არასოდეს არ იტყვის იმას, რომ მე საუკეთესო მცოდნე ვარო. გერონტი ქიქოძე ოთხი წელიწადი მუშაობდა ამ პატარა რომანზე. არ დარჩენილა არც ერთი ქართველი მწერალი, რომელთანაც არ მისულიყო და ამხანაგურად არ ეთხოვა რჩევა... და აი, ასეთი მუშაობით მან მოგვცა ნამდვილი შედევრი პროზისა. ყოველმა მწერალმა რომ ასე იმუშაოს, რა თქმა უნდა, დიდად გაუმჯობესდება ენა, მაგრამ თქვენ იცით, ამხანაგო მალაქია, რომ ყოფითი პირობები არ იძლევა საშუალებას ოთხი წელიწადი იშრომოს ერთ ნაწარმოებზე და ხალხს უხდება გაცილებით მეტი შეცდომების დაშვება, ვიდრე გერონტი ქიქოძემ დაუშვა.

რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა მეტროპოლიის შესახებ ენაში. არ არის მართალი, რომ თითქოს რუსეთში მოსკოვური ენა არის დამკვიდრებული. პირიქით, მოსკოვის ზოგიერთი ტერმინის შესახებ დიდი ოპოზიცია არის გამართული. მე შემთხვევით წავაწყდი „ივერიაში" ერთი წერილის ასეთ აბზაცს: „თვით ქართულის სალიტერატურო ენისათვის სასარგებლო იქნება დავუკვირდეთ ჩვენი ტომის ხალხთა კილოებს და შევავსოთ ლექსიკური ნაკლი ენის შესახებ და თუ ავიღებთ მაშინდელ ივერიას, ჩვენ ნაკლებ შეცდომებს ვნახავთ. იმიტომ რომ ილია თავიდან ბოლომდე ასწორებდა მთელ გაზეთს.


(ახნაზაროვის რეპლიკა)

პ. იაშვილი: ამხანაგო ჩიორა, შეიძლება თქვენც ასწორებთ, მაგრამ თქვენც ილიამ შეგასწავლათ როგორ უნდა ენაზე ზრუნვა. მაშასადამე, შეუძლებელია არ უარვყოთ ჯავახიშვილის დებულება, რომ შეუძლებელია სინთეზის ძებნაო. გვაქვს მაგალითები, როცა შემოსულმა ტერმინმა გაამდიდრა ქართული ენა. ჩვენ ვამბობთ „დოღი", მაგრამ ჩვენ გვაქვს შესანიშნავი მეგრული სიტყვა „მარულა", რომელიც შესანიშნავად გამოითქმის. მე გატაცებული მონადირე ვარ და ვერას გზით ვერ ვისწავლე, რომ ყოველ ფრინველს აქვს საკუთარი სახელი. ყველა იძახის „კუროპატკა", მაგრამ ჩვენ ვნახეთ კაცი, რომელმაც გვითხრა, რომ მას ჰქვია კვათარი.

ამხანაგებო, რაც ჩაწერილი მქონდა, ყველაფერზე მოგახსენეთ და სჯობია, ამით დავასრულო ჩემი სიტყვა.

29 აპრილი, 1934 წ.

ისტორია



თარგმანი რუსულიდან ორდენოსანი პოეტის **პავლე იაშვილისა**

ალექსანდრ პუშკინი

საქართველოს მთებზე

საქართველოს მთებს ღამის ბინდი შემოჰფენია,
ხმაურობს ხევი არაგვის ხმაზე.
ჩემი მოწყენაც იოცია — ის ნათელია
შენის მშვენებით და შუქით სავსე.

აღსავსე შენით, მხოლოდ შენით მშვიდობა დაჲგვა
და აღარავინ მიღვიძებს დარდებს.
და ისევ იწვის ჩემი გული და უყვარს, რაჲგან
არ შეუძლია რომ არ უყვარდეს.

ზღვისაღმი

მშვიდობით, ჩემო ლაღო სტიქია!
უკანასკნელად ჩემ თვალთა წინა
შენი ზვირთები ცისფრად მიჰქრიან,
შენც მეიღური მშვენებით ბრწყინავ.

როგორც მეგობრის ჩემი სახელი
მისი ვეღრება და ჩემი კვნესა,
შენი ხმაური, შენი ძახილი
გამოთხოვების წუთებში შესმა:

ჩემი წაღიღის და სუღის ზღვარო!
შენს ნაპირებთან ღხენად მოსუღი,
ვიყავი მარტო, უმეგობარო
ერთი სურვილით გარემოცუღი.

მიყვარდა სმენა ნამღვიღ ხმებისა,
უფსკრუღის ბგერა, ჟღერის ზმანება,
შენი სიწყნარე დაბინღებისას
და შემღეგ ისევ ატორტმანება.

მორჩიღი ნავი მებაღურისა
შენ ააცურე წყნარ ნეტარებით,
მას იმედი აქვს ჩემ საღგურისა:
მაგრამ შენ ქარმა გაგაგუღისა
და იძირება გემთა ჯარები.

ვერ დავალწიე აქამდე თავი
ჩვენი მაბეზარ მიწის ნაპირებს,
ჩაკვდა სურვილი მოსაღოცავი,
და შენს ტაღღებში პოეტის ნავი
ვერსად გაპარვას ვერ დააპირებს.

მეღობი, მიხმე... ამაო ნებით,
ჩემი სურვილი ჩაგკაცი დარდში
და შერკინული ძიერი ვნებით
ისევ ნაპირის ამარა დავრჩი.

არ ღირს წუხილად. სად ნახავს ბინას
ჩემი უდარდეც მგზავრობის აფრა?
შენს უდაბნოში მეღობა წინათ
ერთი საგანი ქცეული ზღაპრად.

კიდე — ეს დიდების ურჩი საკანი
სადაც სიცივის სიო დგებოდა,
რადგან ამ ქვეყნად პირველთაგანი
ნაპოლეონი ნელა კვდებოდა.

მან განისვენა წვაღებით... მაგრამ
მაღე მეორე მისივე კვაღად,
როგორც გრიგალის ხმაური გაქრა
ფიქრის ქურუში გამოგვეცალა.

თავისუფლებით დატირებული
მოკვდა მეორე გვირგვინოსანი,
ამაღე შენი ცაღლის კრებული
ის იყო, ზღვაო, შენი მგოსანი.

მას შერჩა შენი დიდების ღაღი,
შენ იყავ იმის გულში მდგომელი,
შენსავით ქუში, ძიერი, ღაღი,
შენსავით მუდამ დაუდგრომელი.

დაობდა მიწა... რა ვქნა, თუ ძნელად
მე ზღვაში ღელო გამიცანია.
ბედის სასწორზე ერთი ვართ ყველა.
სად სიკეთეა, იქ უკვე მცველად
ან განათლება, ან ცირანია.

მშვიდობით ზღვაო. ვიხარო უნდა
რომ ბედმა შენთვის მეხოტბედ დამსვა.
და ოღონდ. ოღონდ მესმოდეს მუდამ
შენი გუგუნი საღამოს ჟამსა.

მდუმარ უდაბნოს და მწვანე ტყეებს
მე შეუერთებ ნაჩუქარ ხენას.
შენს მყუდრო უბეს. შენს მაღაღ კლდეებს.
სინათლეს. ჩეროს. ცაღლების ენას.

ღრუბელი

ნაბოლარა ღრუბელი ხარ გადაფანტული ქარის.
შენზედ მეტი ღია ცაზე ღრუბელი არ არის.
შენ ერთი ხარ რომ გაჰფინე დაღვრემილი ჩერო.
შენა ხარ რომ გააშწარე ეს ღღე სასიძღერო.

ამას წინად შენით იყო. ცა რომ შეირკალა
ელვა თავის მრისხანებით შენ შემოგეძალა.
მაღლა ცაში ხმაურობდი მეხით და სიმძიმით.
და მწყურვალე მიწა მორწყე გახშირებული წვიმით.

ახლა კმარა. გაღიმალე. ღარი შეიცვალა
ყველგან გრილა. მეხმა სხვაგან გადიტანა ძალა.
ქარმა ნაზად დაირბინა ხის ფოთლები წმინდა.
და ახლა შენ გერეკება დამშვიდებული ციდან.

დავეხეტები ქუჩის ხმაურში

დავეხეტები ქუჩის ხმაურში
თუ ეკლესიის მესმის ღოცვები,
ან ყმაწვილ კაცთა აურზაურში
ვარ ანთებული ჩემი ოცნებით.

მე ვამბობ, წელთა გრიგალი მოდის
და თუმცა ირგვლივ ხაღხი ბევრია,
ყველას დაგვფარავს სამარის ღოდი
და აღბაღ უკვე ვიხმეს ჯერია.

დავაკვირდები ახოვან მუხას,
ეს პატრიარქი ტყეების ღღესაც
ჩემს საუკუნეს გაუძღებს მწუხარს,
როგორც გაუძლო ჩემს წინაპრებსა.

თუ ბავშს ვეხები გამოსარჩღებით
მისთვის მშვიდობის თქმა დამჭირდება:
ვეტყვი — მივდივარ, შენ კი დარჩები,
მე გახრწნა მელის, შენ კი დიდება.

როცა ღღე მიდის და წელიც გადის
ჩემი ფიქრებიც მათთან დადიან,
და სასიკვდილოდ მოსული ვადის
მე გამოცნობა დროში მწადია.

სად მომეწევა სიკვდილი ბნელი
ომში თუ გზაში, თუ წყალთა შინა,
თუ მეზობელად ქცეული ველი
ცივი ცხედარის გახდება ბინა.

ხომ სულ ერთია, უგრძნობელ სხეულს
სამარის ჭია სად შეესია,
მაგრამ მე მაინც მიწას შეჩვეულს
რომ მიმაბარონ უმჯობესია.

დაე, ცხოვრება სამარის კართან
გადაიშალოს ცოცხალ ვარდებად,
სადაც გულცივი ბუნების კალთა
უკვდავის ეშხით აელვარდება.

კავკასიონი

მე გადავცქერი კავკასიონს, და ვდგევარ საშიშ
ნაპრალის პირად – მყინვარების და თოვლის ზევით:
გადაღმა კლდეზე წამოფრინდა არწივი რხევით
მე გამისწორდა და უძრავად ვღვარებს ცაში.

ვხედავ ასტეხა ნიაღვარმა თავის ზვირთები,
და პირველ ზვავთა მოძრაობას მე ვაკვირდები.
ქვევით ღრუბლები თითქოს არსად მიიჩქარიან,
მათ ჩანჩქერები ხღეჩავენ და სცვივიან ხრამში;

შიშველი მთები ჩასდგომიან ერთმანეთს მხარში;
სულ ძირს კი ხავსი, ხრიოკი და ეკაინარია;
და სადაც მუხნარს არე მწვანეთ დაუბურია,
ჩიტების სტვენა და ირმების თქარათქური.

მთებში კი როგორც ბუდეებში, მრავალი ორბის
სახლები სჩანან... კაცთებს ცხვარი შემოსევია.
ნათელ მიდამოს აგერ უკვე მწყემსიც სწვევია,
ჩრდილიან ხევში ანყვეტილი არაგვი მორბის.

ბედკრულ ცხენოსანს მოუნახავს კლდეში კარავი,
განგაშებს თერგი გუდზვიადი და შემზარავი.
თამაშობს, ღმუის – როგორც მხეცი, რომელიც ბორგავს
თუ შეიყნოსა გაღიაში საძიძგნი ღეში;

ველარ ეტევა თავის ვიწრო საბყრობილეში
და მშიერ ზვირთით გარინდებულ ნაპირებს ღოკავს.
ამაოდ. მისთვის აღარც საზრდო, შველაც როდია,
მისთვის კლდეები შემზღუდველი კაღაპოტია.

ასე სიდაღეს სულს უხუთავს კანონი ავი,
ასე უფლების ქვეშ სწუხდება ველური ცომი,
ასევე ბრაზობს ღელე კავკასი მღუმარედ მდგომი,
ასე სურს უცხო ძაღებისგან დაიხსნას თავი.

ნუ იმღერ ჩემთან დამახო ქალო

ნუ იმღერ ჩემთან დამახო ქალო
შენ საქართველოს სევდიან ხმახე,
მე მაგონდება, როცა შენ ჰგალობ,
სხვა ცხოვრება და სხვა სიდამახე.

რა ვქნა თუ შენი სასტიკი ქნარი
ერთს მოგონებას შორეულს არხევს,
მე ვხედავ ღამეს, ვეღებს და მთვარით
ანთებულ ქალის წამებულ სახეს.

ძვირფას ჩვენებას, საბედისწეროს
ვივიწყებ როცა გიყურებ თვალში,
და როცა ჰგალობ — იმისი ჩერო
წარმომიდგება უეცრად მაშინ.

ნუ იმღერ ჩემთან დამახო ქალო,
შენ საქართველოს სევდიან ხმახე,
მე მაგონდება, როცა შენ ჰგალობ,
სხვა ცხოვრება და სხვა სიდამახე.

ძეგლი

მე დავდგი ძეგლი
ჰორაციუსი
ძეგლი აგიგე ხელთუქმნელი, მარად უკვდავი,
მას მიანწყდება ხაიხის დენა ახალ-ახალი.
მიემართება ზეცისაკენ უდრეკი თავით,
აღექსანდრეუღ სვეტზე მაღალი.

არა, მთლიანად არ მოვკვდები, ჩანგს ჩემი სული
შერჩეს, აცილდეს გახრწნილების დაღის დაჩენა,
მე მაღიდებენ, სანამ ქვეყნად როგორც სულდგმული
ერთი პოეტი მაინც დარჩება.

ჩემი სახელით აივსება დიდი რუსეთი,
ყოველი ერი შემინახავს დამახსოვრებით,
სლავთა შემკვიდრე და ფინელი, და ტუნგუსელი,
კალმიკი ტრამაც ველთა მცხოვრები.

მოყვარულ ხალხში არ მოკვდება ჩემი სუფევა
რადგან სიკეთეს უგალობდა ჩემი ჩანგური,
რადგან ვადიდე ჩვენს სასტიკ დროს თავისუფლება
და შევივედრომე ყველა ჩაგრული.

დაემორჩილე, ჩემო მუზა, მაღალ განგებას,
ნუ შიშობ წყენას, ნურც მოელი გვირგვინს ანთებით,
გულცივად შეხვდი ყოველ ქებას, ყოველ ძაგებას
და რეგვენ კაცს ნუ ეკამათები.



მე თქვენ მიყვარდით: და ვინ იცის. ეს გრძნობა დიდი
იქნებ ჩემს სულში ჩარჩენილა. ვით ნათლის სვეტი.
მაგრამ მე თქვენი შეშფოთება არ მინდა მითი.
და თქვენი გულის დაღონებაც არ მინდა მეტი.
მე თქვენ მიყვარდით უიმედოდ. უხმოდ. უთქმელად.
ხან მოკრძალებით. ხანაც ვიყავ იქვით ფარული.
მე თქვენ მიყვარდით ისე ნაზად. ისე გულწრფელად.
რომ ღმერთმა მოგცეთ ასეთივე სხვა სიყვარული.

ვლადიმერ მაიაკოვსკი

პოეტებისთვის

(ეს ტექსტი თანაბრად სასარგებლოა როგორც
რედაქტორისთვის, ისე პოეტებისთვის)

ყველა ამხანაგს ხელობით:
ჩემი ზრები
„ღაღადით გულთა დაწვის შესახებ"
რა უნდა იყოს
პოეზია?
იოდი საქმე,
ან მასხრობა.
ეს მასხრობა კი მე მბურძგლავს
ცანში.

გონების თვალი გადავავლე ფეიერვაციას
და ცკივიდისგან მინდა ჩხუბი, მინდა ღმუილი.
ამ მიწა წყალზე
ოცი ათასი პოეტია ზერგ მოღუნული,
დამჭდარ ცხოვრებით
ჩამომხმარნი,
როგორც ჩაიჩი.
გადამშეულან.
და ნიდაყვებ
გამოხეულნი
მაინც ღღე და ღამ
სწვავენ

და
სწვავენ
თავის „ღალატით
უღამნაშავო, საცოდავ გულებს.
დასწერა.
მორჩა.
ეკითხებით —
— დასწვი თუ არა?
დავწვი!
გულიც და მთელი სხეული,
მაგრამ მიხვდება განა ჯოვი ამ პოეტების.
რომ გული
იწვის
მაგრამ იწვის ივი სირცხვილით?
გასინჯეთ:
ვინმე აყდაყუდა
(განა ცოცაა რუსეთში სიტყვა).
როგორც
ქინძისთავს სოველ სიღიდან
მოათრევს
რაღაც სისუღეღეს.
უფრო იოღად
რომ სჭირდება გაშაირება.
მაგრამ ენაში ბევრი არის განა მიქარვა.
რო მოძვრებოდეს
თავათ ყურში
ვერცხლის ზარებათ?!
მონახა სიტყვა...
ვარცხნის, ღოკავს.
რომ იქნეს სახე „კლასიკური
და „პოეტური!"
დავარცხნეს სიტყვა...
და მაინც
ისევ
წუწუნობენ:

ავ რედაქტორებს უყვართ ჰიმბი.
აი ეცადეთ.
ჰიმბში
შეტენოთ სხვაგვარი
რომელიმე სიტყვა.
მაგალითად,
„ძუძუთი გამომზრდელი
სხეულ
და როგორც შეეფერებათ
ოფლით ავსებენ ქალაქის
ფურცლებს...
და მხოლოდ
ვიწროთ,
ის, როგორც მუცლის ქვია,
გაიქიმება ბაცარა ღვინო,
სხვა აღგილი
კი დაიქირეს
მძიმეებმა
და წერტილებმა.
და გამოვიდა
„ძვირფასი" ენა:
ნაკუწ-ნაკუწად გადაქცეული.
ამის დამწერზე დახარჯულია
სულ უიმედოთ
სწავლის ფულები...
რედაქციაში
პოეტების ბანდა ცრიალობს,
სანუკვარ რედაქტორს
დაემართა
ქრონიკული ნაღვლის ჩაქცევა.
ჰფანტავენ ბანდებს,
აჯახებენ კარებს,
დარაჯი
ბღავის: „წუნკლებო რას დაგვესიეთ...

პოეტები კი — ანგელოზები —
ჩუმათ არიან...
თუ რედაქტორი ამ დროს ერთი წუთი
ჩაფიქრდა
უცბად აჩეჩებს მას პოეტი
ღექსს:
შარშანწინდელ
„მაისის სიოს"
აწყობილია
წვრილი პეტიტით
მე მეტრანპაჟი
სიცილით კვდება,
ამ მიქარვას რომ ჰკრავს,
და
ღექსებით
ავსებს გაზეთის სიცარიელეს,
შემდეგ კი ჩხუბობს
ჭამაგირის მომატებისთვის
ასოთ ამწყობი.
ეს ამბავიც გასაგებია:
აწყობს და თანაც იგრიხება.
ეს ხაიხი მართლა
საცოდავია:
მე ერთი რჩევა
მაქვს მოგონილი,
(რჩევა ზაფხულზე გამოღგება განსაკუთრებით
როცა კითხულობს ღექსებს
„ნები სიამტკბილობით)
ასეთნაირი პოეზია
არ მეზიზღება
სროულებით არა.
გაზაფხულზე
ჩემ გულსაც ატკბობს მეიანქოლია.
მაგრამ ხელსაქმე ძირს!

როგორც ოსცაცი ღვქსის ხელობის
(ამაში ეჭვი ნუ გეპარებათ)
მე თქვენ გასწავლით
სასარგებლო
და ძვირფას წამალს:
(ჩემი ზომებით
პოეტებს სცვლიან
დარაკები რედაქციისა).
წამალი.
(სულ ჩემს წესდებას
შვიდი აქვს მუხლი)
1) უნდა აიღოთ კლასიკოსები
შეკუმშოთ კარგათ
და დაკეპოთ წვრილი ხორცივით.
2) მიმოაბნიეთ ეს მასალა
მაგრამ საცერზე.
3) გაღგით საცერი სუფთა ჰაერზე
მაგრამ ეცადეთ რომ ბუზები არ დაესიოს.
4) გაშრობის შემდეგ
გაღარჩევა
გვჭირდება ფრთხილად.
5) გაღარჩეული უნდა ჩავყაროთ
სულ ჩვეულებრივ
ყავის საფქვავში.
6) შემდეგ
საფქვავის ქვეშ
გავაფინოთ
ბუზის საჭერი წებოქაღალდი.
7) ახლა ცხადია
ჩვენი მიზანი
დაატრიალეთ საფქვავის ცარი.
მაგრამ ეცადეთ არ შეჯგუფდეს
თქვენი რითმები.
(გული „მიჰყვეს სული

ვარდს დარდი სცვიდეს
სუფთად დამშვიდ,
და ჯვარედინათ)
რაც გადარჩება
იქვე მზათ არის:
ამოიღეთ
წასაკითხავად,
სასიმღერათ,
საგაიობელათ,
მაგრამ უსაქმო მეიანქოლიას
თუ გვსურს
მგოსნები ჩამოაშოროთ,
რომ უშედეგოთ არ
გაფუჭდეს ბევრი ქაღალდი,
უნდა წავართვათ
ღუნაჩარსკის
ყველა მგოსანი
და გადეცეცხოთ
ჯანმრთელობის კომისარიატს.

საუბარი ფინინსპექტორთან პოეზიის შესახებ

მოქალაქე ფინინსპექტორო!
ბოდიში თქვენთან.
გმაღლობთ...
ნუ სწუხართ.
ნუ ირჯებით
მოვიცდი ზეზე.
ზრდილობიანად,
ერთ საქმეზე
მოვსთქვარ კენცად.
რას იტყვით ნეცა,
დიდს შრომაში,
პოეტის გზებზე.
ვის დუქნები აქვს,
ვის მამული,
გაშრიცი მწვანედ.
და იმათ შორის
მეც დამედო
გაღასახადი.
ექვს თვეში ჩემგან
თქვენ მოითხოვთ
ღღეს ხუთას მანეთს
და ოცდა ხუთსაც.
რაღგან დამრჩა
რაღაც ქალაღდი.
პოეტის შრომა,
ყოველ შრომის,
ნათესავია.

აბა, შეხედეთ
რა დავკარგე,
რაღა დამრჩება.
შრომის დაზგაზე
გასავაიც უამრავია.
და მასაღაზე
კიღევ მეტი
სხვაც მეხარჯება.
თქვენ, რა თქმა უნდა,
კარგად იცით
„რითმების" მარცვლა,
სტრიქონის ბოლოს,
ვთქვათ, დავსწერეთ
ჩვენ სიტყვა „მამა
შემდეგ სტრიქონში,
ამ სიტყვის ნაცვლად,
იმავე წყობით
ჩვენ უნდა ჩავდგათ
სხვა რაიმე
ვთქვათ: „ჩარი-რამა
თქვენებურ წესით,
რითმა — იგივ
თამასუქია.
სტრიქონის შემდეგ დახსნა! —
აი, განკარგულება.
წვრილმან სიტყვებში,
მისთვის შრომა,
არც მსუბუქია.
თუ ეს მარაგი
საღაროში
არ გეგულება.
სტრიქონში სიტყვას,
ჩასვამ შრომის
გაფაციცებით.

ის კი არ ჩაღის.
ძაღას აცვან,
და ივიც ცყღება.
ფინინსპექტორო.
დამიჯერეთ,
ღმერთს გეფიცებით.
პოეტისათვის
სიცყვა ძვირობს
და ძვირიც ჯღება.
ჩვენებურ წესით,
რითმა ივივ —
კასრია ღიღი
ავსიღი ნაღმით...
სცრიქონი კი
ვიწრო მიღია
იფეთქებს მიღი,
და სცრიქონიც
ზეცისკენ მიღის.
ქაღაქიც ცაში.
ცაებებაღ
ავარღნიღია.
ისეთ რითმების
გამონახვა
იოღაღ ვინ თქვა,
რომ მისი ბასრი
ისრისაგან
არ იყო შვეღა?
იქნებ ხუთიოღ
არ ნახეღი
ახაღი რითმა
შემთხვევით შერჩა
გაღაკარგეც
ვენესუეღას.
და ციებაში.

ცხელებაში
ჩავარდი კაცი.
აქეთ ავანსი.
აქეთ ვაიი.
ყველა გამწარებს
ახლა ჩააგდეთ
ანგარიშში
მგზავრობის ფასიც.
პოეზია ხომ
მგზავრობაა
უხიდავ მხარეს.
პოეზია ხომ —
ეს იგივე ძებნაა რაღის
წიაური შრომა
და მისხაი.
მხოლოდ ნადავი.
ერთად ერთ სიტყვის
მოძებნაში.
ამაოდ ვაიის.
ათას ტონებად დავროვილი
სიტყვის მადანი
და ამ სიტყვების
დამდაგველი
აიი მკაცრია.
იქვე ნელ სიტყვას
მოველება
ფერფლი უღვი
ამ სიტყვებს
ციდის მოძრაობით
აუტაცია.
მიდიონ წრობით
უამრავი
კაცთა გუნები.
ბევრი ეკუთვნის

პოეტების
სხვანაირ ნაწილს.
მარჯვე, მოვა და
გაწაფული
ჯამბაზის მზვავსაც,
დახელოვნებული
მოძრაობით
სტრიქონს აგაცდის,
თავის თავს ჰპარავს,
უფრო ხშირად,
მოჰპარავს სხვასაც.
რად უნდა სენას
საშკაული,
ზეცას რომ ერთვის?
მისთვის რომ რითმა
სტყორცნო.
ბგერა ზე აიცაცო!
პოეტის სიტყვა,
აღდგომაა ნამღვილი შენთვის
და უკვდავებაც
მოქადაქეც!
უწყების კაცო!
ასი წლის შემდეგ
და მიანათებს
მაშინ ეს დღე
ფინინსპექტორებს,
სასწაულებით,
ეღვარებით —
და მეღნის სუნით
ბიღეთი
უკვდავების გზებით სავაღი.
მაგრამ პოეტის
ძაღა განა
მარტო აქ არი.

რომ თქვენის ხსოვნით
მომავალი.
მან შეარხია!
არა! დღესაც ხომ
პოეტის რითმა
მაგარი
სინაზე.
ხიშტი.
მოწოდება
და მათრახია.

კონსტანტინ ბალმონტი

ორი ფრინველი
(აღი სამყაროსი)

ვიყავით თოფით მშობლიურ ცბაზე
და ორი ჩიტის ავიღე კვაღი.
ცურფაა ჩიტი გაკრუელი ცაზე.
ცურფაა კვნესით ძირს მომავალი.
ავი სურვილის მონად გამხდარმა,
დამაზი ჩიტი ცყვიით გავგმირე
და მოჰკლა გული ხმამ საოცარმა
და კიდევ სროლა ვერ დავაბირე.
მაგრამ სხვა ჩიტი, იმ ჩიტის ცოლი,
საოცარ ჯაღათს არ დაერიდა,
გააბო ფრთებით ცის მწვანე ზოლი,
ჰკიოდა მწარედ ცივ ჰაერიდან.
მომგვარა სევდა ფრინველის წყღულმა
და ორჯერ მსურდა მისი სიკვდილი,
და ჩიტის გულმა, კივილით თქმულმა,
მე შემიჩერა ხელი ანწვდილი.
და როცა მკვდარის მეზარემ ჩვილმა
პასუხი ცოლის ვერ მოისმინა,
ქარის მშვენებამ, სამხრეთის შვილმა
გულიდან სისხლი გადმოიღინა.
იკივლა ერთი მან საოცარი
და ცურფა, თეთრი ფრთები დაკეცა.
თავისუფაღი, ნათელი, მკვდარი,
მკვდარი საყვარლის გვერდით დაეცა.

ყოფნის ანდერძი

მე შევეკითხე თავისუფალ ქარს:
რა ვქნა, რომ ვიყო ქაბუკი მარად.
პასუხი მომცა თამაშით ქარმა:
„იყავ ვით კვამლი ჰაეროვანი,
გაღიქეც ქარად!"

ძიერ ზღვას ვკითხე: რაში არსებობს
ყოფნის ანდერძი — ის დიდებული?
პასუხი იყო ხმიერი ზღვისა:
„როგორც მე, ისე შეუჩერებლად
გიმღერდეს გული

მაღალ მზეს ვკითხე: როგორ გაღვიქცე
რიყვარაუზე უფრო ნათლიერ ძაღად?
არ მიპასუხა მზემ არაფერი,
მაგრამ გულმა კი ეს გაიგონა:
„გაღიქეც აღად

საქართველო

ო, მაკოცე: მოდი მკოცნე. მკოცნე მაღე.
შენი კოცნა ჩემთვის არის ნეცარება.
შავ თვალით ცქერა არი აღის სიმხურვაღე.
ეგ რაშის და არჩვის ვეფხის სუღის გზნება,
და ასეღო. ხმა გრძნეული მოწკრიაღე.
ყვეღაფერში მოსჩანს ძაღა და ღიღება.
როცა ჰქმინდა ის ამ ქვეყნის ბრძანებელი,
და რომ დაღგა ყვეღა წამზე ცუროფა წამი,
მან მოღუნა კიდე ვით სუსტი, წვრიღი წკნელი
და მყინვარი ზეასცყორცნა ცას თამამი,
ზევით თოვღი, ძირს კი ჰყვავის ყვავიღნარი.
შენ ვსურს ღმერთი? ამოქროღი. ის აქ არი.
ოღონდ ქროღვით მთების არწივს დაეღარე.
ხრამის ზევით სიმაღღეა მოეღვარე.
ოდნავ თეთრად იანდება იქ ცაძარი.
იქ გრძნეუღობს კვღავ ყურანის სიცყვა ბრძნეული
უშორესი და სცყორცნიღი ცათ რომ არი.
როცა ვეღებს დასცრიაღებს თავზე რუღი,
სახე უჩანს აქ მზის სხივსა მომღიმარეს
დგას მყინვარი. ქვეშ ნათეღას — ცკნბიღ მძინარეს
უგავს სახე საქართველოს, წმინდა მხარეს,
რომეღმაც სხვებს, ძირს — ბარის ხაღხსა შესწირა
თავის მთების სიდიადე ამაყური,
რომ ცხოვრება მათი ღიდი, უდაბნური
და კეთიღი, იყოს ქვეყვით გადაშღიღი.
და ეს მთები იყოს ხაზი განაპირა,
რომ გრეხიღი თეთრი ცაში ცანს იცანდეს,
და მის ქვეყვით უსახური ყვეღი სჩანდეს.

იგრძნოს ყველამ: წმინდა გველი სულ სხვა არი
და სხვა არის შავი გველი. მიმბარავი.
ნუ იქნება ძიევით სავსე ჯადოქარი.
მწველი კოცნაში, ბნელ ღაღატის დამფარავი.
— საქართველო! სცოცხლობს, სცოცხლობს, ცოცხალია.
მღერის თერგი, და არაგვიც ამას მღერის.
მე ეს მესმის, და მეც მჯერა. მართალია.
და მაშ რისთვის, ვით ბაღახი ბინძურ მტკვრის,
ვისიც გულში სცოცხლობს მხოლოდ გრძნობა მტერის,
ჰბედავს კიდევ მოსვლას წმინდა ქვეყანაში,
საღაც ხალხი სცხოვრობს მზიურ ოცნებაში.
ვინც ცაძარში შედის, იმას ეს ახსოვდეს:
ფრთხილად როცა სიცამაზე შურს ითხოვდეს.
გაიგონეთ კრუღვით თქმული ჩემი დუქსი:
უმაღლესსა ყურადღება უმაღლესი.
თორემ თუ დღეს სძინავს მყინვარს ასულს ცაში,
ძლიერ ხშირად იცის ხოლმე ელვა-მეხით
თავის უკვდავ ნაპრალებზე მან თამაში.
და პირველად აქ რაინდებს წმინდა ჯვრისა
უმღერიათ, რომ უმიზნოდ მეხსა საშიშს
არ უპყრია თეთრი ქუდი მყინვარისა.

ვაბიფი

წეროები

შეაჩერეთ ოდნავ მაინც ფრთები ცაში;
სიცყვა მაქვს და მიცრომ გიმზერთ, წეროებო.
რომელ მხრიდან მოფრენიხართ აგრე დასცად,
იქნებ მეცყვით ამის მიზეზს, წეროებო!

თქვენ ბაღდადის მხარე გიცქერთ ნეცარ თვაღით,
ეღის, როცა ცას გახახავთ სწორი კვაღით,
მწყობრად მოდით, ფრთების ღერო ერთი ცაღი
არ დაეცეს ქვევით ქიმზე, წეროებო!

მოგწყდი საცრფოს, დაცვირთული შავ წამებით,
პეპეღა ვარ — იმას ვეძებ გაწამებით,
იქნებ ნახეთ იქ შავთვაღას წამწამები,
თქვენი გაშღიდ ფრთების სიგრძე, წეროებო!

შემიყვარდა თაფღისფერი თვაღთა აღი,
მეშინია მათ არ ეცეს ავი თვაღი,
ფრთხიდად, თორემ თუ შეგავლებთ თვაღს აღაღი,
დაგერღვევათ ეგ სიმცკიცე, წეროებო!

თქვენი ნაზი საგაღობღით დაცკბა ზენა,
აღსდგა სუღი, დამიბრუნდა ისევ ღხენა.
ვაგიფის გუღს უნდა მუდამ თქვენთან ფრენა —
ცაში ვერცხდად მოგიზგიზე, წეროებო!

მარლ ბოდლერი

სალამოს ჰარმონია

აგერ დაიგა დრო, როცა რხევით საკუთარ ღერზე
ყვავია ფოთოლი იორთქლება ვით საკმეველი:
ჰაერში ხმები, ნარდიონი გაურკვეველი;
სევდის ვაისი და მიბნედილი ცრიალი სერზე!

ყვავია ფოთოლი იორთქლება ვით საკმეველი.
თრთის ქიანური როგორც გული სულ მომიზეზე:
სევდის ვაისი და მიბნედილი ცრიალი სერზე:
ცა მოწყენილი და ძვირფასი ვით ღიდი ველი.

თრთის ქიანური, როგორც გული სულ მომიზეზე:
უნაზეს გულსა ეზარება უფსკრული ბნელი:
ცა მოწყენილი და ძვირფასი ვით ღიდი ველი,
მზე ჩაღის სისხლში, და მაგრდება ის სისხლი მზეზე.

უნაზეს გულსა ეზარება უფსკრული ბნელი.
ნათელ წარსულსაც გაიცაცებს ცრიალი სერზე!
მზე ჩაღის სისხლში და მაგრდება ის სისხლი მზეზე...
ელავს ბარძიმათ შენზე ფიქრი უკანასკნელი.

არტურ რემბო

მთვრალი ხომალდი

როცა უვნებო მდინარეებს გადავდიოდი
აღარ მათრევდენ, ამას ვგრძნობდი, მძიმე გიდები:
იღებდენ მიზნათ მათ მყვირალა წითელკანები,
და ტოტვეც ცანებს მიაკრავდენ ფერად სვეტებზე.

მე არ ვზრუნავდი არავითარ ეკიპაჟებზე:
მიმქონდა ქერი, ფლამანდიის ინგლისის ბამბა,
როცა გიდებთან ერთად გაჰქრა დიდი ხმაური,
მდინარეები მე მაძლევდნენ მგზავრობის ნებას.

ცოფიან წყალთა ავ ზრიალში, მე იმ ზამთარში,
რომელიც იყო ყრუ ვით ტვინი პატარა ბავშის —
მივქროდი!.. მიწა, კუნძულები დაშორებული
აღარა გრძნობდენ აურზაურს გაჩირაღდნებულს.

ქარმა დაილია ჩემი ზღვაზე გამოფხიზება.
ნაფოტზე მჩაიტე ათი ღამე ტალღებზე ვხტოდი,
რომელთაც ჰქვიათ მარად მსხვერპლთა მავნორებელნი
და არ მწყდებოდა გული კანდრის სუღელ თვალებზე.

როგორც ტკბილია მწიფე ვაშლის წვენი ბავშვთათვის,
ისე მატკბობდა მწვანე წყალით ტანის ავსება.
მან ჩამომრეცხა სქელი, ღურჯი ღვინის წვეთები,
ჩამომაცალა მინარწყევი, საქე გასტეხა.

და იმის შემდეგ მე ჩავეშვი ზღვის პოემაში,
რომელიც არის განიერი და დავარსკვლული,
რომელიც ყლაპავს მწვანე ლაჟვარდს, რომელიც ხშირად
ჩაფიქრებულად იძირება მკრთალი მცურავი.

საცა უეცრად ცისფერობა შეიღებება...
ქერა ღრის შუქში გაგიჟება და ნელი რიცმი,
უფრო მაგარი აღკოჰოლზე, ლირებზე ფართო,

საცა დუღდება სიყვარულის მწარე ამბოხი.
ვიცი ცის ეცვა და ქარცეცხლი, ვიცი გრაგანი,
აფეთქებული დიდა თითქოს გუნდი მტრედების.
საღამოები... მე მინახავს ხანდისხან ისიც,
რაც აღამიანს ესიზმროდა თითქოს ნახუდად.

ვნახე გასვრილი მზე მისტიურ საშინელებით,
იისფერ სხივის ხმელ ჩონჩხებით რომ ანათებდა,
ცაღლებს, რომ ჰგავდენ აქტიორებს უძველეს დრამის,
რომელნიც ფართოთ აგორებდენ ფარდების ცახცახს.

მწვანე ღამისთვის ვოცნებობდი, სხიოსან თოვლით
კოცნებს ველოდი ზღვის თვალებს რომ ეშურებიან.
მე ვოცნებობდი სხვა წვენების აღუღებაზე
ხმიან ფოსფორის ყვითლად-ცისფრად გაღვიძებისთვის.

ვაკვირდებოდი როცა ცაღლა მოხეთქილ კლდეებს
მიაბლავდებდა ვით საძროხე ისტერიული.
და არ ვფიქრობდი რომ მფრინავი ფეხი მარიის
საღავეს მოსდევს დაუსვრეტელ ოკეანეებს.

მე ვაწყდებოდი — თქვენ ეს იცით? უღრან ფიორიდებს,
აფთრების თვალთა ფერებს ვრევდი ცისარტყელებში,
რომელნიც იყვნენ აღვირებათ გადაქიმული
ზღვების კიდიდან რუს და მწვანე ფერის ჯოგებზე.

ვნახე ქაობის ამაქრება, უსახღვრო ცბორი,
რომლის ღაქაშიც ღმე ბა მთელი ღებიაფანი,
გაჩუმების დროს გადმოვარდნა ნიაღვარების,
და უფსკრულებში სივრცის ავი გადახეთქება.

ველცხლის მზეები: მყინვარები, საღაფის წყაღნი.
და გახირება სახიზღარი სროტის ფსკერებზე.
საღაც გველები დაძიძგული ბაღლინჯოებით
შავი სურნელით მახინჯ ხეებს ეხეტებიან.

მე მსურს ვაჩვენო ბავშებს ზღვათა მოვარაყება,
ოქროს თევზები, მომღერალი ოქროს თევზები...
მე გამგზავრებას მიიღებენ ყვითელ ქაფები

უცხო ქარები მამზადებდენ მე გასაფრენად.
ხშირად ცანჯული პოეტისებით ზღვა დაღაღული.
რომლის ქვითინი აცკბიღებდა ჩემს ქანაობას,
ყვითელ იაყუჩა ღამის ვარდებს მე მთავაზობდა.
და მე ვრჩებოდი როგორც ქაღი დაჩოქებული.

როცა ხომაღდთან გროვდებოდა ბევრი ნაგავი
და განავაღი თეთრთვაღა და მკივან ჩიტების.
მაშინ ჩემს ღარტყებს ეტმასნოდენ თავის მკვდეღები
და მიდიოდენ სამუდამოთ დასაძინებღად.

და მე ხომაღდი, საშინეღად გზა დაბურდული,
გაღაგდებული უფრინველო ეთერში ქარით,
რომლის გაბერიღ ჩონჩხს ნაპირზე ვერ გაათრევენ
მონიტორები და განზეის მენაოსნები.

თავისუფაღი. აყვანიღი იისფერ ნისღით
მე გამრღვეველი ნათეღ ზეცის, როგორც კედეღის.
რომეღსაც დააქვს სანუწკარი პოეტებისთვის,
სირსვიღი მზისა ქაფიანი დუჟი დაუვარდის.

მე ეღექტრონის სინათღისგან გამოქცეული,
გიჟი ფიცარი შემორტყმული ბეგემოტებით,
როცა ივღისი კეტის დარტყმით ცას აიძუღებს,
რომ ჩამოინგრეს მოვარვარე თავის ძაბრებით.

რომეღსაც თრთოღვით მოესმოდა შორი ქიხვინი,
როცა სქეღ მაღმტრამს ამაკებდა გიბობოტამი;
უძრავ სივრცეში ხეტიაღას — მე მეცოდება
ეკროპა თავის შეღობიღი ნავთსაღგურებით.

ბევრი მინახავს დავარსკეული არქიპეღაგი,
მათი გიჟი ცა გახსნიღია მოცურავისთვის:
იქნებ აქ გძინავს, ჩათრეული ხარ ამ ბნეღეთში,
მომაგღის ღონე: მიღიონი ოქროს ჩიტების.

ბევრი ვიტირე ქეშმარიტად! სუღს მწუხრი ჰბოტნის,
ყოვეღი მთვარე სასტიკია, ყვეღა მზე მწარე!
ბასრ სიყვარუღის ჯაღოსნობით ვარ გავსებული,


ო, დაიღეწოს ჩემი ანძა, ჩავძირო ზღვაში!
მე თუ ევროპის წყაღი მინდა: მსურს მხოლოდ ფშანი,
ცივი ან შავი. რომელშიაც სურნელე საღამოს,
ბატარა ბავში, მოხრიდი და კაეშნით სავსე,
სათამაშო ნავს გადაეშვებს, როგორც ბებერას.

ზღვებო! დათენთიღს თქვენს წიაღში, არა მაქვს ღონე,
რომ შევაჩერო რბენა ბამბით სავსე გემების,
დროშების, ცეცხლთა ვიგრძნო ძაღა და მგზავრად დავრჩე
როს პონტონების სამინელი მზერა მანათებს.

SENSATION

ღერჯ საღამოთი, ზაფხულობით წავაღ ფარეღად.
საღაც ყანაა და ბაღახით ავსიღი ვეღი;
ფეხებთან ვიგრძნობ, რომ ბაღახი მთღად დაცვარეღა
და შევცურღები ქარში ზვავი და თავშიშვეღი.

ხმას არ გავიღებ... არ ვიფიქრებ... მაგრამ ძიერი
ვნებით მევსება სიყვარეღის უბე და კაღთა:
და მივაე, როგორც დამშეეღი ბოჰემიეღი,
და ბედნიერი ბუნებასთან, ისე ვით ქაღთან.



ჟიტომირი ქართ–ად

პაოლო ჩემო!

ორმოცდასამმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც უკანასკნელად გნახე და შენს კუბოს ნებადართველად შორიახლოს მივყვებოდი შორეულ, მივიწყებულ სასაფლაოსაკენ...

სამოცდაოთხმა გაიარა, რაც ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის მერხზე ვისხედით და ჩვენი ძმობის, ჩვენი განუყრელ მეგობრობის აკვანი დაირწა!

თუ არ ვცდები, პოეზიისა და მშვენიერების ღვთაების წინაშე ჩვენი მუხლების მოხრაც მაშინ დაიწყო!..

ღმერთო, რაოდენი წელი გასულა, თანაც როგორი სისწრაფით, როგორი შეუბრალებლობით, როგორი სიმკაცრით ასამარებდნენ ეს წლები ყოველივეს, რაც ახარებდა, რაც ბედნიერების შუქით მოსავდა ჩვენი ახალგაზრდობის ყოველ დღეს, ყოველ წუთს!.. და, აი, მე კიდევ ცოცხალი ვარ, მარტოდ შთენილი, პირისპირ მდგომი ჩემდამი უკვე მტრულად განწყობილ ცხოვრებისადმი!

არავის ვუსურვებ ამის განცდას, არავის!!

მაგრამ, სრული უიმედობისა და დამარცხების დროსაც ადამიანისათვის განგებას თითქოს მოუნახავს რაღაც მწვავე, რაღაც მწარე შერიგების გრძნობა, რასაც განიცდის სნეულებასთან ბრძოლით დაღლილი სიკვდილის, როგორც მხსნელის, მოახლოების დროს!..

შენ სულ სხვა ადამიანი იყავი საყვარელო, განუმეორებელო, პაოლო!

მირონცხებულ, ჭეშმარიტ პოეტად იყავ მოვლინებული, მაგრამ არ დაგცალდა ერის წინაშე ვალის მოხდა, იმ ღვთაებრივ ვალის, რაზედაც ოცნებობდი შენ და შენთან ერთად შენი განუყრელი ძმები!

შენ მხოლოდ საკუთარი სისხლისა და ტკივილის დაქცევით მოიხადე ეს ვალი და დაიცავი, როგორც ვაჟკაცმა და ნამდვილმა რაინდმა შენი პატიოსნება, შენი ღირსება!

მე მწამს, რომ ჩვენი ქვეყნის ღირსების დაცვასაც შეიცავს შენი სიკვდილი!!

განა ჩვენს ერს არა სჩვევია რჩეულ შვილთა პატიოსნებისა და ღირსების თავდადებით, თავგანწირულად დაცვა?!

ის რაც იყო და რამაც წაუშლელი სისხლიანი კვალი დასტოვა, დღეს, უმნიშვნელო წარსულის, სხვათაშორის მოსაგონებელ საგნად იქცა ლაზღანდარაობისა, ჩლუნგგონებრივ ლაყბობის დროს, ყოველგვარ სინდისის ქენჯნის ოდნავი ნიშნის გარეშე. იმ ადამიანთა შორის, რომელნიც, თავიანთ დიდებაში ღრმად დარწმუნებულნი, ამაყად დასეირნობენ, როგორც ფარშავანგები გაზაფხულზე, სისხლითა და ძვლებით გაპოხილ ჩვენს მშობლიურ მიწაზე, და ჯერ კიდევ არ წარმოუდგენიათ საბრალო არარაობა თვისი!!

მშვიდობა მათ!! როდის არ ჰყოლია ჩვენს სამშობლოს ასეთი ვაჟბატონები?!

მაგრამ, რაც სისხლით დაიწერა, მას არ მოელის წაშლა!

ხელებს, უდანაშაულო სისხლით გათქერილს, წყალი ვერ დაბანს!

პაოლო, ჩემო წამებულო ძმაო, რა ვქნა! ისევ და ისევ ცოცხლდება ჩემში ჩვენი წარსული, ჩვენი იმედები, ჩვენი ცრემლები, ჩვენი დასამარებული, ვინ იცის, ეგებ სამარადისოდ, კუბოს კარამდე მიტანილი რწმენა!..



პაოლო იაშვილი და კოლაუ ნადირაძე. 1932 წ.

ის არგვეთის ღამეები, სადაც შენი განსვენებული დედა, ქალბატონი ბაბილინა, და ბრწყინვალე მამა, ბატონი ჯიბრაელი, მშობლიურ ალერსით გვხვდებოდნენ და გვეფერებოდნენ! თვალწინ მიდგას შენი უნცროსი ძმა „ჭუნია“ ზღაპრული აღნაგობისა და სიძლიერის, კიდევ ნორჩი ვაჟი, ასეთი საშინელი სიკვდილით 1924 წელს, ზესტაფონის მახლობლად, ეაგონებში დაღუპული!

მეხსიერებაში კი, განუწყვეტლივ გუგუნი გააქვს შენს უკვდავ სტრიქონებს: საბედისწეროს –

„მაგრამ, ვინ იცის, რა ცეცხლშია გამოხვეული
ეს ჩემი ცვინი დასაცევი, ცვინი ვერანი!“

და მეორე – საგალობელი:

„ნუ გეშინია, ჩემო კარგო, თმაში ქაღარა
ეს სინათლეა სიყვარულის, რომ შეშაცებია!!!“

მარად შენი კოლაუ ნადირაძე

26. XI. 1980

P. S. ამ გაზაფხულზე ისევ მოგიტან შენ საყვარელ ბროწეულის ყვავილს! შენს საფლავზე!..

კ. ნ.

(დაცულია პ. იაშვილის საოჯახო არქივში)

დებედაჩაის ღამე

პაოლო იაშვილი და მე თბილისში, ჯაფარიძის ქუჩაზე, ერთ სახლში ვცხოვრობდით. კარის მეზობლები ვიყავით. ერთმანეთს ყოველდღე ვხვდებოდით და საღამოს ჟამს ბაღში გასვლა და იქ საუბარი გვიყვარდა.

სახლის უკან პატარა მყუდრო ბაღი იყო გაშენებული, მეორე სართულის გასწვრივ. საკმაოდ დიდი კნაბის ხეები ფართო ჩრდილს აფენდნენ. დილით მწუხრში ბაღიდან შაშვების გალობა მოისმოდა და წვიმის შემდეგ ჩვენი ბინების ღია სარკმლებში სველი მიწის, მჭკნარი ფოთლებისა და ყვავილების სურნელება შემოდიოდა.

მოსკოვიდან ჩემდამი მოწერილ ერთ-ერთ ბარათში პაოლო მწერდა:

თუ ცოცხალია შაშვების დასტა
და დარჩა ბაღში მათი საკვები,
თუ ჩემს მეღვას დაეტყო გაზრდა
და ისევ არის ჩემი საქები?!

გვიან ღამით, როცა ყველას ეძინა, ჩვენ ორნი ვისხედით ბაღში. ვიგონებდით გიმნაზიაში ერთად გატარებულ წლებს, ჩვენს სიჭაბუკეს, პირველ სიყვარულს, პირველი დაბეჭდილი ლექსით გახარებას. რამდენიმე მეგობარი უკვე ცოცხალი აღარ გვყავდა. შემოდგომის დღეები თანდათან ჩვენც გვიახლოვდებოდნენ, ფოთლები ცვენას იწყებდნენ...

სახეზე პირველი ნაოჭები, თმაში შემოპარული ვერცხლი, სევდიანი გამოხედვა, ოდნავ მოღლილი ნაბიჯი... და ყოველივე ამის დაგვირგვინება ბეთჰოვენისებური ტრაგიზმით წარმოშობილ ლექსებში: „პოეზია“, „ლირიკული მისამართები“.

მაგრამ ვინ იცის. რა ცეცხლშია გამოხვეული
ეს ჩემი ცვინი დასაქცევი. ცვინი ვერანი...

წვიმების შრიალით, მოწეული ხილის სურნელებით და მთვარიანი ღამეებით დასეირნობდა ნოემბერი თბილისის ქუჩებში. ჰაერი ზოგჯერ უძრავი იყო და სამხრეთით გადახრილი მზე ირიბულად აფრქვევდა ოქროს. ჩამუქებული ცა ლურჯ ხავერდივით ზეგადაკროდა თბილისს. ცასავით ლურჯი მტკვარი ჩუმად მოედინებოდა და მტრედები ფრთების ტკაცუნით დანავარდობდნენ ქალაქის ზემოთ. რძისფერ ბურუსში გახვეულნი ოდნავ მოჩანდა მამადავითი, ნარიყალა, მეტეხი.

ქუჩები მოფენილიყო მეწამული და ბაჯაღლოსფერი ფოთლებით, რომელთა შორის ყველაზე უფრო გამოირჩეოდნენ ფართო თათებით გაშლილი ჭადრის ფოთლები. ბუნება, განაბული და განაზებული, თითქოს მოელოდა ზამთარს, რომლის მოახლოებული სუნთქვა იგრძნობოდა ღამის ჰაერში.

– ხვალ სანადიროდ წასვლას ვაპირებთ. უშენოდ წასვლა არ მინდა. – მითხრა პაოლომ, – წამოხვალ?

– რატომ მაინცდამაინც ხვალ?

– ხვალ შაბათია. კვირას ვინადირებთ და კვირასვე შინ დავბრუნდებით. რაიმე საქმე ხომ არ გაბრკოლებს? – ირონიულად მკითხა და ხელი მხრებზე მომხვია.

– სად მივდივართ, ვინ იქნება ჩვენს გარდა?

– სადახლოსაკენ მივდივართ. მოდიან ჩემი სიმამრი გიორგი ილიჩი, ძაღლების ცნობილი მწვრთნელი ორბელიანი, მელიქიშვილი და ჩვენი პაჭუ ჟორდანია. ყველას ამათ შენ კარგად იცნობ. შესანიშნავი მსროლელი, რომელიც როგორც მოგეხსენება, თოფს სახლებსაც კი არ აცილებს.

– მოვდივარ!

– ღამეს ნაცნობ თათრის ოჯახში გავათევთ. კარგად მოგვასვენებს და დროსაც კარგად გავატარებთ.

– ერთი რამ მაშინებს...

– რა გაშინებს?

– პაჭუ ჟორდანიას და შენი ჩასვლა თუ შეიტყვეს, კაკბებს და კურდღლებს ვეღარ ვიხილავთ თვალით, დაფრთხებიან, გადაიხვეწებიან...

პაოლოს გაეცინა:

– მით უფრო, – მიპასუხა მან, – თუ თვალი ისეთ სნაიპერს მოჰკრეს, როგორიც შენ ხარ...

მზე უკვე ჩასული იყო, როცა სადახლოს ჩავედით და ერთი თათრის კარმიდამოს მივუახლოვდით. შუახნის გამხდარი და სათნო სახის კაცი ღიმილით შემოგვეგება და სახლში შეგვიპატიჟა. გადავეცით მისთვის წამოღებული საჩუქრები – კარგი თამბაქო და ჩაი. ნასიამოვნებმა მასპინძელმა მადლობა ქართულად გადაგვიხადა, ძაღლები ჩამოგვართვა და სავახშმოდ მიგვიპატიჟა.

ნავახშმევს იუსუფმა დიდ ოთახში მიგვიწვია, სადაც ჩვენთვის იატაკზე, რომელიც ჭილოფით იყო მოფენილი, უკვე ფართოდ გაეშალათ ლოგინი.

არაჩვეულებრივ მშვიდი და თბილი ღამე იყო. ვარსკვლავებით მორთულ ცაზე ამოწვდილ ხმალივით ხშირად გაიელვებდნენ ხოლმე მეტეორიტები და დებედაჩაის შორი შხუილი ეალერსებოდა სმენას. ჰაერი გაჟღენთილი იყო ყველასათვის ნაცნობი, რაღაც უხილავი კალიებისა და მწერების განუწყვეტელი რუალით, რომელიც მჭვრეტელი ადამიანის სულში გამოუთქმელ მარადისობაზე მეტყველ გრძნობას ბადებს.

ჩვენი ოთახის კარი პირდაპირ აღმოსავლეთისაკენ იღებოდა. იგი ნახევრად მიხურული დავტოვეთ, რათა ალიონის პირველი სხივები არ აგვცდენოდა. მე და პაოლო გვერდიგვერდ ვიწექით, დაღლილებს მალე ჩაგვეძინა იმ აბნეული და ტბილი ძილით, რომელიც მხოლოდ მონადირეებს და მთასვლელებს ჩვევიათ. ჯერ კიდევ ძლიერ ადრე იყო, როცა გამომელვიძა. აივანზე გავედი, მთვარე უკვე ჩასული იყო. იქანკლედი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ჰაეროვან ფრთასავით იყო გაშლილი. წვრილი და დიდი ვარსკვლავების სიმრავლით ავსებული ცის აუზი თრთოდა, სუნთქავდა და თითქოს აპირებდა მთელი თავისი სიდიადით და მარად გამოუცნობი საიდუმლოებით დაშვებულიყო ძირს და ნუგეშის მოსანიჭებლად შეხებოდა ადამიანთა იმედებით, ცოდვებით, სევდებით და სიკვდილთან ბრძოლით დაღლილ მიძინებულ დედამიწას... უცნაურმა გრძნობამ დამიმონა, დამათრო, დამაწვინა და ისევ ძილში გამრია.

კარის გაღების ჭრიალმა მე და პაოლო ერთად გამოგვაღვიძა. ორთავ გულაღმა მწოლიარე აღმოვჩნდით და ორივემ ერთდროულად გავახილეთ თვალი. აღმოსავლეთის ჯერ კიდევ მკრთალ, მაგრამ უკვე ვარდისფრად ალეწილ ფონზე, რომელიც კარის ვიწრო ჩარჩოში იყო ჩასმული, როგორც ჯადოსნურ მხატვრის სურათი, იდგა გოგონა. იგი 14-15 წლისა იქნებოდა, მეტის არა, ფეხშიშველა, მსუბუქ კაბაში, რომელიც ნაზად ეკვროდა მის უნაკლო ქალწულ ტანს, იგი იდგა გაღიმებული ჩვენს წინ, როგორც მომხიბლავი მოჩვენება, როგორც ოცნება ხორცშესხმული; ჯერ კიდევ არვისგან ხილული. ორთავემ თვალებში ხელი ამოვისვით, ერთმანეთს გადავხედეთ, ხელზე პაოლოს ჟრუანტელი ვიგრძენი... არასოდეს არც მანამდე, არც შემდეგ არ მიხილავს ასეთი

სრულყოფილი მშვენიერება. ეს იყო გასაოცარი შერწყმა ჯერ კიდევ არასრული გაფურჩქვნისა, ნაკვთების სინატიფისა, უმანკოებისა. მისი ნორჩი სხეული, მისი სინაზე უცნაურად ემთხვეოდა და უერთდებოდა ჯერ კიდევ მთვლემარე ბუნების მშვენიერებას, ვარდისფრად მსუნთქავ ჰაერს.

ყოველივე ეს რამდენიმე წუთს გრძელდებოდა. შემდეგ მოჩვენება გაქრა. გოგონამ კარი ფართოდ გააღო, ფეხით შეასწორა კარი ან აკეცილი ჭილოფი, კვლავ გაგვიღიმა, შებრუნდა და აივანზე, სადღაც მახლობლად, ისევ ჭილოფზე მინვა.

ერთხანს ამ სურათით თითქოს გაქვავებულნი უძრავად ვიწექით, ხმას არ ვიღებდით, ჩვენს ამხანაგებს ჯერ კიდევ ეძინათ. უეცრად, სანოლიდან ელვასავით წამოიჭრა პაოლო, დადგა გაღებული კარის ზღურბლზე და აღტკინებული ხმით დასძახა მძინარე მონადირეთა ბანაკს:

ამხანაგებო, უკვე გათენდა!..

იმ დღეს კარგად ვინადირეთ, პაოლომ ოთხი კაკაბი და ორი კურდღელი მოკლა. მე – ორი კაკბით მეტი. დანარჩენების ნადავლი უფრო ცუდი აღმოჩნდა. აღმართში სიარული უჭირდათ პაოლოს სიმამრს და ორბელიანს. ბევრსაც აცილებდნენ – განსაკუთრებით კაკბებს. სხვებზე უკეთ შედეგს მაინც გამოცდილმა ძველმა მონადირემ მელიქიშვილმა მიაღწია – სამი კურდღელი და ორი კაკაბი მოკლა. მთელი დღის განმავლობაში პაოლო მეტწილად დუმდა და შეკითხვებზე პასუხს ძუნწად იძლეოდა. მე კარგად ვიცოდი, თუ რას ნიშნავდა მისი აბნეულობა და დუმილი, ამიტომ არ ვაწუხებდი შეკითხვებით და საუბრით.

თბილისში გვიან ღამით ჩამოვედით. გამარჯვებულნი შინ შევედით. ჩვენი „ტროფეები" მეზობლების დასანახად აივნის ბოძებზე ჩამოვკიდეთ, რათა თავიდან აგვეცილებინა მათი შაბლონური დაცინვები და შეკითხვები.

მეორე დღეს, ღამით, გულმკერდგაღეღილი, თმებაბურდული პაოლო შემოიჭრა ჩემს ოთახში და თავისი მშვენიერი „დებედაჩაის ღამე" წამიკითხა, რომლის მუსიკა, ამის მსგავსი ლექსი ჩვენ, ვგონებ, არც მოგვეპოვება, აი ეს ლექსიც:

საცსე მნათობმა.
როგორც გართობა.
ისე გასცრობა
ვარსკვლავთ ჩქერები
და შუაღამის მყუდრო მხატვრობა
გაახაიისა ვერცხლის ფერებით.

ნელი შერხევა
იწყეს ვერხვებმა.
შუქს ეხერხება მათთან თამაში.
დიდი სიჩუმე უხმო მეხებად
ჩაბუდებულა კიდის აკიდამაში.
სივრცე მეღვარი
გახდა ნეტარი

მესამეც არი —
ჰყივის მამაღი.
და სიდამაზის სუეით შემთბარი,
ჯერ გართუღია ძიღში ცრამაღი.
ღიდამ ზეციდან სხივი შეგვძინა
და ჩაეცინა
თითქოს ქვეყანას,
როს ჩემს მაგიერ ცკბიღად ეძინა
მონაღირეთა დაღაღუე ბანაკს.
ფიქრში წასუეი,
შემოგარსუეი
მოვსწყდი სასთუმაღს
სხივივით ჩქარი.
ვხედავ. მასპინძეც თურქის ასუღმა
უკვე განთიაღს გაუღო კარი.
შემომაცქერდა. გუღი აძგერდა,
როგორც ასკერთა ბრძოღაში მიწა,
შებრუნდა. როგორც თევზი. ფაცერთან
და მოშრიაღე ქიღოფზე მიწვა.

რა მექნა განა?
მთეღი ქვეყანა
უღხინეს ნანას
წარმოაღგენდა...
და გაღავძახე მძინარე ბანაკს. —
— ამხანაგებო, უკვე გათენდა!

ოცდათვრამეტმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც შენ აღარა ხარ, რაც შენი ხმა არ მომესმის და ვეღარა გხედავ! ჩემო უძვირფასესო, განუმეორებელო, ჩემო უსაყვარლესო პოეტო და ადამიანო!

ჩვენ არ ვშობილვართ ერთი დედისგან, მაგრამ, ჩვენ, ალბათ, ერთდროულად გავახილეთ თვალი, რათა ერთნაირად დაგვენახა, ერთნაირად გვეგრძნო ეს განგების ნაბოძები, დიადი სამშობლო. ალბათ, აგრეთვე ერთდროულად აძგერდა, ცემა დაიწყო ჩვენმა გულმაც, რათა შეძლებოდა მათ, რომ მის მცირე მოცულობაში დატეულიყო ჩვენი ქვეყნისა და ერისადმი ჩვენი სიყვარული და რწმენა – უსაზღვრო და უწმინდესი!

ჩვენ ხომ ფიცი დავდეთ შემოდგომის წვიმიან ღამით, ქუთაისში, ბალახვანის ქუჩის ერთ მყუდრო სადარბაზოში, კუბოს კარამდე მიგვეტანა შეუბღალავად ეს სიყვარული და პირნათლად

შევხვედროდით ბედსა და სიკვდილს! ეს ფიცი შენ და ტიციანმა უკვე შეასრულეთ! ახლა ჯერი უკვე ჩემზეა!

პაოლო იაშვილი! ეს პაოლო, ვინც ასე ღირსეულად, ასე რაინდულად და ვაჟკაცურად ატარებდა ადამიანის ბრწყინვალე სახელწოდებას, ვინც ადუღაბებდა ჩვენს ძმობას, ჩვენს მაღალ მეგობრულ გრძნობებს, ვინც ასე დაჰხაროდა ჩვენს პოეტურ მიღწევებს, და განიცდიდა მათ აღტაცებით, როგორც საკუთარ მონაპოვარს! დიახ, ეს ასე იყო. ასეთებს ვიცნობდი მე მათ, აქ არავითარ გადამეტებას არა აქვს ადგილი!

ვზივარ ჩემს ოთახში განვლილი ოთხმოცდაათი წლის სიმძიმით ოდნავ დაღლილი და ვფიქრობ იმაზე, თუ რარიგ ადვილი ყოფილა, რარიგ შესაძლებელი, შეინარჩუნო ხელშეუხებლივ ადამიანობა, გახადო იგი სათაყვანებელ საგნად და შეეწირო შენს ხალხს შენი სინდისით, შენი უანგარო სიყვარულით და პოეტური შთაგონებით გამთბარი!..

პაოლო, ჩემი პაოლო! ის ხომ უნაზეს და უწმინდეს განცდათა მომღერალი იყო! ეს ხომ მან უმღერა თავის სატრფოს:

ნუ გეშინია. ჩემო კარგო. თმაში ქაღარა –
ეს სინათლეა. სიყვარულს რომ შემატებია!

ამგვარ პოეტურ სიღრმეს მხოლოდ მაღალი რანგის პოეტები აღწევენ! ამგვარ სიყვარულს, მხოლოდ რჩეულნი განიცდიან ჩვენს ცოდვილ დედამიწაზე, მაგრამ პოულობენ კი ისინი თანაგრძნობას?! ნიკოლოზ ბარათაშვილის შემდეგ მე არ მეგულება პოეტი, რომელსაც შესძლებოდეს ასეთ სიმაღლეზე ასვლა ქალისადმი ტრფიალში, ვიმედოვნებ, რომ კადნიერებად არ მიიჩნევენ ამას თანამედროვე პოეტები.

შეუძლებელია დავივიწყოთ, თუ როგორ ტკივილს განიცდიდა პაოლო, როცა სიკვდილმა უდროოდ მოკვეთა ჩვენს წრეში ორი მოსიყვარულე: – შალვა კარმელი და სანდრო ცირეკიძე, რარიგ მწვავედ გადაიტანა მათი დაღუპვა, როგორი სიყვარულით დაიტირა ისინი!

მაგონდება პაოლოს ერთი უცნაური თვისება: ჩვენთან, უახლოეს მეგობრებთან შეხვედრის დროს, იგი ხშირად გვკოცნიდა ხელზე. უხერხულ მდგომარეობაში ვვარდებოდით ხოლმე. ის კი ღიმილით გვეუბნებოდა: „გაიხსენეთ, როცა შექსპირი ხვდებოდა თავის უსაყვარლეს მეგობარს დელვიგს, მას ხშირად ხელზე ჰკოცნიდა“ არ ვიცი, რამდენად შეიცავს ეს ისტორიულ სინამდვილეს, მაგრამ ეს უკვე არ იწვევს ჩემში გაკვირვებას: დიდბუნებოვან ადამიანს, ვფიქრობ, ეს არ ამცირებს, პირიქით, ამშვენებს კიდეც, თუმცა ცნობილ კრიტიკოსს ბრანდესს რატომღაც ვერ წარმოედგინა, თუ როგორ შეეძლო „ჰამლეტისა“ და „მეფე ლირის“ ავტორს მეგობრული ურთიერთობა ჰქონოდა ვილაც სტრატფორდელ ყასაბთან? მიკვირს, განა ეს სტრატფორდელი ყასაბი მისი ბავშვობის მეგობარი არ იყო? მან ხომ მასთან თავისი ბავშვობა გაატარა? და რომ დიდი ხნის განშორების შემდეგ შექსპირს მოფერებით მისთვის ხელზე ეკოცნა, განა ეს დაამცირებდა მას?

საკუთარი ლექსების წიგნი პაოლოს სიცოცხლეში არ გამოუცია, რა იყო ამის მიზეზი? უპირველეს ყოვლისა, მისი მკაცრი, დახვეწილი გემოვნება და დიდი მოთხოვნილება, რომელსაც ის უყენებდა პოეტურ ქმნილებას და, განსაკუთრებით, საკუთარ შემოქმედებას, შემდეგ ამისა, ნაწილობრივ მისი დაუდევრობა. საჭიროა გავითვალისწინოთ ისიც, რომ პაოლო დიდ ენერგიას ხარჯავდა ყოველდღიურ ცხოვრებასთან ბრძოლაში, რათა ოჯახი შეენახა. მე არაერთხელ მინახავს „პოეზიის“, „წერილი დედას“, „დებედეჩაის ღამისა“ და „ლირიკული მისამართების“ ავტორი ძალზე დაღლილი, დაქანცული ამ ბრძოლით... მოსკოვიდან გამოგზავნილ წერილში პაოლო მწერდა:



პაოლო იაშვილი და ვიქტორ აგიევსკი ნადირობისას. 1930 წ.

ძმაო, მომწერე ისეთი რამე.
ჰქონდეს ჩვენს ბაღში საუბრის ფასი:
ჩემს საღეგრძეიოს თუ ისევ სვამენ.
ჯერ თუ მთელია საჩემო თასი.
თუ გამოაკდა ვინმე ჩვენს ცამეტს
და პოეტების დაინგრა დასი?

საყვარელო პაოლო, ჩვენი საუბარი სამარადისოდ შეწყვეტილია. პოეტების დასი დაინგრა, აღარ არსებობს; იგი ჟამთა არაკანონზომიერმა სვლამ შეიწირა, მხოლოდ, სავალალოდ, მე და სერგო დავრჩით. სხვებმა დატოვეს ჩვენი ძმური მაგიდა, მათი სკამები ცარიელია. მაგრამ, შენს სადღეგრძელოს ისევ სვამენ შენს მზიურ სამშობლოში, ჩემო ძვირფასო! ისევ ღვინით სავსეა საშენო თასი, პირამდე სავსეა იგი! მხოლოდ ეს თასი ახლა ჩემს ხელთ არის, ჩემო დაუვიწყარო ძმაო, და მას მე, შენთან შეფიცული ძმა, უკანასკნელ წვეთამდე შევსვამ!

მწუხარე, საბედისწერო დილით, თავდახრილი და მგლოვიარე შორიახლო მივყვებოდი პაოლოს ცხედარს სასაფლაოზე. ასევე თავდახრილი და თვალცრემლიანი მივდივარ გაზაფხულზე დიდუბის პანთეონში და ვტოვებ მის საფლავზე ბროწეულის ყვავილს, რომელიც მას ასე უყვარდა.

კოლაუ ნადირაძე

ლექსები იყო მათი საბზალი

(ფრაგმენტი მოგონებიდან)

პაოლოს ჩამოსვლას ყოველთვის დიდი გამოცოცხლება შემოჰქონდა ჩვენს შორის. მისი გამოჩენის პირველი წუთიდანვე იქმნებოდა ის უცნაური პოეტური ატმოსფერო, რომელიც მას ყველგან თან სდევდა, სადაც კი ფეხს შესდგამდა, ჩვენც არ გვაკლდა ენერგია, ათასგვარი ოცნებები გვიტრიალებდა თავში, გვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ უპაოლოდ მაინც დაფანტული ვიყავით. საკმაო იყო გამოჩენილიყო ის ჩვენს შორის, მთელი ეს ახალგაზრდული დაუდგრომელი ენერგია ამოძრავდებოდა და კალაპოტში დგებოდა.

პაოლო ჩვენი თანატოლი იყო, მახლობელი მეგობარი. მაგრამ მას ყოველთვის ჩვენს თავზე მაღლა ვაყენებდით. მომხიბლავი გარეგნობის ვაჟკაცს, შთაგონებული ლამაზი სახით, სიცოცხლის ხალისი შემოჰქონდა ჩვენში. პაოლო შესანიშნავად კითხულობდა ლექსს. ის მკვეთრად გამოირჩეოდა იმათგან, ვინც თვალების ბრიალითა და ხმის ჩახლეჩამდე ყვირილით ცდილობდა აუდიტორიის ხელში ჩაგდებას. სიცარიელეს ხომ ზედმეტი ხმაური უყვარს. პაოლოს კითხვაში ლექსს მეტი ღირსება ენიჭებოდა ყოველთვის... ძლიერი, გულიდან ამოსული ხმა ლექსის მუსიკალურ თანხლებას წარმოადგენდა. ლექსი, როცა მისგან გესმოდათ, აჩენდა თავის ნამდვილ ბუნებას, თავის მხატვრულ სიმდიდრეს.

გავუზიარეთ პაოლოს ჩვენი ოცნება და მან მაშინვე რეალური პერსპექტივა დაგვისახა: გადაწყდა მოგვეწყო ვახშმიანი საღამო. ამისათვის შევარჩიეთ საზაფხულო რესტორანი – ბაღი, რომელიც სასტუმროს ეკრა. შევიმუშავეთ პროგრამა: სიმღერა, მოცეკვავენი ესტრადაზე, ვახშამი.

როცა აფიშის შედგენა დავამთავრეთ, ვიფიქრეთ: ხალხის მოსაზიდავად კიდევ რაღაც იყო საჭირო.

პაოლომ შემოგვთავაზა:

– ბოლოს აფიშაზე დავბეჭდოთ დიდი ასოებით: „დასასრულ ქაიანური!“

ერთმანეთს გადავხედეთ, რას ნიშნავდა „ქაიანური“, რა უნდა ყოფილიყო, – არავინ ვიცოდით.

ჩვენს შორის სანდრო ცირეკიძე ლექსიკონების საუკეთესო მცოდნე იყო. მან მხრები აიჩეჩა და ჩაიბუბუნა:

– არსად არ შემხვედრია ასეთი სიტყვა... არ გამიგონია...

კოლაუ ნადირაძისათვის პაოლო ისეთი ავტორიტეტია, რომ სახეზე ვამჩნევ, მზადაა საყვედური გვითხრას: „რატომ ხართ ასე გაოცებული და დაეჭვებული ამ სიტყვით? რადგან პაოლომ თქვა, მაშ თამამად შეგვიძლია მივიღოთ!“

ვალერიან გაფრინდაშვილს მოეწონა თვითონ სიტყვა, მისი ჟღერადობა, რამდენიმეჯერ გაიმეორა თავისთვის და ბოლოს, იკითხა:

– რა არის, რას ნიშნავს ქაიანური?

ყველა დაინტერესებული ვართ და გავისუსეთ პასუხის მოლოდინში.

პაოლომ ჯერ სერიოზული გამომეტყველება მიიღო, თვალი გადმოგვავლო და მერე თქვა:

– რამ შეგაშინათ? სიმართლე გითხრათ, არც მე ვიცი რას ნიშნავს, მაგრამ მაინც დავწეროთ, ის საღამო რაიმე აპოთეოზით დავასრულოთ და ქაიანურიც ის იქნება. ჯერ კიდევ რამდენიმე დღე დარჩა და მანამდე მოვიფიქრებთ რამეს.

დავთანხმდით და ჩავწერეთ.



ქუთაისი, თეთრი ხიდი

– ქაიანური! – უეცრად ხმამაღლა იცინის კოლაუ, – ბრწყინვალე აზრია!.. აგერ ნახავთ, სწორედ ქაიანური იქნება დიდებული რაღაც! ეგ რომ არა, პროგრამა სუსტი იქნებოდა!

ასეა თუ ისე, ქაიანურმა რეალური სახე მიიღო და ჩვენ უკვე გვჯერა რომ საღამო შინაარსიანი იქნება.

მესამე დღეს ქუჩაში გაკრული იყო სტამბაში დაბეჭდილი აფიშები, მაგრამ ის გეეცოტავა და არც გარეგნულად მოგეწონა. პაოლომ ითავა ამ საქმის გამოსწორება: დახატა ფერადებით ფარშავანგები, რაღაც ქიმერები, ნიღბები. ეს აფიშებიც გაიკრა, და მათ დიდი ყურადღება მიაქციეს. მსგავსი რამ ქუთათურებს ჯერ არ ენახათ, ცნობისმოყვარენი ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და კითხულობდნენ ამ უცნაურ აფიშებს.

დანიშნულ საღამოს იმდენი ხალხი მიაწყდა ბაღს, რომ უადგილობის გამო ბევრი გაბრუნდა, სასულე ორკესტრი ვაგნერს აგრიალებდა, ესტრადიდან სიმღერა ისმოდა, მაგრამ მაგიდების გარშემო შემომსხდარნი ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ყოველივე ამას. ქუთათურები ლხინში იყვნენ ჩაბმულნი. ლხინში ჩაება ქალაქის თავიც, რომელიც სხდომის შემდეგ მოგვიანოდ მოვიდა ამალის თანხლებით. როცა მან ერთხელ თვალი მომკრა მკითხა:

– ქაიანური უკვე იყო?

და თითქოს ეს კითხვა გაიგონესო გარშემო, ერთბაშად რამდენიმე ხმა გაისმა:

– ქაიანური! ქაიანური!

ჩვენ ეს გადავიწყებულიც გვქონდა. ისინი კი, ვისაც თურმე ეს სიტყვა აწვალებდა, ელოდნენ და მოითხოვდნენ.

და უეცრად ქაიანურიც მოვიდა!

ბაღის ჭიშკართან ეტლი გაჩერდა. იმ ღამით მეეტლეს, როგორც ჩანს მუშტარი არ ჰყავდა და განათებული ბაღის წინ შეაჩერა თავისი გაძვალტყავებული ცხენები.

პაოლომ ხელი მიაშვირა მათ:

– გამოახსნევინეთ მეეტლეს ერთი ცხენი, მიშოვეთ ტოგა და ჩირაღდანი!..

მეეტლე ჯერ ჯანჯლობდა, უარზე იყო, მაგრამ უქმად და უიმედოდ დგომას ამჯობინა ესარგებლა უჩვეულო შემთხვევით. დათანხმდა, მაგრამ საგრძნობი თანხა კი მოგვთხოვა. მეტი ძალა არ იყო, იძულებული ვიყავით მიგვეცა.

ვიშოვეთ ტოგაც: რესტორნის მოიჯარადრეს, როგორც იქნა, გამოვართვით გრძელი სუფრა.

– ოღონდ იცოდეთ, – გაგვაფრთხილა მან, – ეგ სუფრა ჰოლანდიიდან არის ჩამოტანილი, ძალიან დიდი ფასი აქვს, არ გაიხეს, არ გაფუჭდეს თორემ...

ვიშოვეთ ჩირაღდანიც: იმავე მოიჯარადრეს გამოვართვით ტომარა, ნავთით გავუღენთეთ და ჯოხზე მივაკარით.

ამასობაში პაოლო იაშვილმა და კოლაუ ნადირაძემ დაწერეს გრძელი ლექსი, სადაც მოხსენებული იყო ყველა ის პოპულარული პიროვნება, რომელიც საღამოს ესწრებოდა.

ჩაქრა ბაღში ელექტრონი, დაბნელდა. უეცრად ხალხმა დაინახა: ბაღში შემოვიდა ცხენი, რომლის ზურგზე იდგა თეთრ მოსასხამში გახვეული კაცი. ეს იყო პაოლო. თავზე ეხურა ფოთლებისაგან გაკეთებული გვირგვინი. მივუნათეთ ჩირაღდანი და პაოლომ ლექსის კითხვა დაიწყო. მისი ძლიერი ხმა მთელ ბაღში მკაფიოდ ისმოდა. მთვრალებს, ალბათ არც კი ესმოდათ შინაარსი, მაგრამ როგორც კი რომელიმე ნაცნობის გვარს ყურს მოჰკრავდნენ, ხარხარს იწყებდნენ.

ორიოდე ტაეპი დარჩა წასაკითხავი, როცა ცხენმა, რომელიც აქამდე თავჩაქინდრული მორჩილად იდგა, კინაღამ უბედურება დაატრიალა: სრულიად მოულოდნელად ტლინკები აჰყარა, შეტრიალდა დაფეთებული და გაიქცა. პაოლომ ძლივს მოასწო გადმოხტომა და დიდი წვალების შემდეგ გადაიძრო ტოგად გაკეთებული სუფრა, რომელიც ფეხებზე შემოხვეოდა.

– ქაიანური! ქაიანური! – მისძახოდა ხალხი ცხენს.

როცა პაოლო განვათავისუფლეთ მოსასხამისაგან, დავინახეთ, რომ სუფრა ერთ ადგილას დამწვარი იყო ჩირაღდნისგან.

ჩვენი ნაოცნებარი „ფერადი ნიღაბი" არ გახსნილა... არ ვიცი რატომ მაგრამ ასე კი მოხდა, რომ ჩვენ არაფერი არ გვერგო. მთელი შემოსავალი რესტორნის პატრონმა თავისთვის დაიტოვა.

ესეც ქაიანური იყო!

...ტიციანი და პაოლო უცბადვე დაუახლოვდნენ ერთმანეთს და მათი მეგობრობა სამუდამოდ განმტკიცდა. სიამის ტყუპები – ასე ეძახდნენ ისინი ერთმანეთს. ამ ორმა ახალგაზრდა პოეტმა სული შთაბერეს ერთმანეთს, ისინი ავსებდნენ ერთიმეორეს. ორი პოეტის დაახლოებას იშვიათად თუ გაუკეთებია ლიტერატურის განვითარებისათვის იმდენი, რამდენიც ტიციანისა და პაოლოს მეგობრობამ შესძლო. ხელიხელჩაკიდებულნი, ისინი შეეჭიდნენ გამეფებულ რუტინას და ახლის დამკვიდრებისათვის ბრძოლა გააჩაღეს.

ამ ბრძოლაში ისინი მარტონი არ იყვნენ. ტიციანმა და პაოლომ თავის გარშემო შემოიკრიბეს მათივე ასაკის პოეტები – ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, გიორგი ლეონიძე, შალვა აფხაიძე, რაჟდენ გვეტაძე, ნიკოლო მიწიშვილი, შალვა კარმელი, სანდრო ცირეკიძე, დიდი მომავლის მქონე პროზაიკოსი. ჯერ კიდევ ჭაბუკურ წლებში ტუბერკულიოზით გარდაცვლილი ცირეკიძის სახელი ახლა მრავლისათვის უცნობია. სანდრო ცირეკიძე, ერთადერთი წიგნის, „მთვარეულების" ავტორი, უსამართლოდ დავიწყებულია დღეს.

ტიციანისა და პაოლოს გარშემო შემოკრებილ ახალგაზრდა პოეტებს ერთმანეთის უდიდესი პატივისცემა და დიდი სიყვარული ჰქონდათ. ამ წრეში მართლაც გულწრფელი მეგობრული ატმოსფერო იყო. თითოეული მათგანის შემოქმედებითი გამარჯვება მიჩნეული იყო ყველას გამარჯვებად, საერთო მიღწევად.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ მეგობრები ერთმანეთს ყველაფერს უწონებდნენ და უკრიტიკოდ იღებდნენ. პირიქით, არავის იმდენ მოთხოვნას არ უყენებდნენ, როგორც ერთმანეთს. ისინი ერთმანეთს ზრდიდნენ.

ტიციანისა და მისი მეგობრების გაბედული სტრიქონები, ქართული ვერსიფიკაციის გამდიდრება, ის ახალი განცდები, რომლებიც არ შეიძლებოდა ახალი დროის ვითარებაში არ გამომჟღავნებულიყო, ის გარემოება, რომ მათ გააფართოვეს პოეზიის ცნება, მიჩნეული იყო უცხოეთიდან სიმბოლიზმის ჩვენში გადმონერგვად. ის ეგრეთ წოდებული კრიტიკოსები, რომლებიც ფრანგული სიმბოლიზმის გადმონერგვაში „ბრალს სდებდნენ" ყანწელებს, – მათი წარმოდგენით, სიმბოლიზმი ხომ საგინებელი სიტყვა იყო, – იმის ბაიბურშიც არ იყვნენ, თუ რას წარმოადგენდა სიმბოლიზმი და ვინ იყვნენ სიმბოლისტები. ისინი იმგვარ უვიცობას იჩენდნენ, რომ ედგარ პოს და სიული პრიუდომსაც სიმბოლისტებად ნათლავდნენ.

...პაოლო, ტიციანი, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, შალვა აფხაიძე, ნიკოლო მიწიშვილი, შალვა კარმელი, რაჟდენ გვეტაძე ერთმანეთს ენაცვლებიან და წისქვილში მათი ხმა დიდხანს ისმის.

ამ უჩვეულო ამბავმა გარეთ მყოფი გლეხების ყურადღება მიიქცია. ისინი ჯერ კარებთან შეჯგუფულნი დგანან. შემდეგ თითოოროლად შემოდიან და მალე წისქვილი ხალხით ივსება. სოფლელებისათვის ბევრი რამ ალბათ, გაუგებარი იყო, მაგრამ მაინც ყურადღებით და კმაყოფილებით უსმენენ. ეს უჩვეულო სანახობა ისე იტაცებს მათ, რომ ერთმა გლეხმა ნეშოთი თავდაცმული დოქი შემოიტანა. მენისქვილეს ჭიქა აღმოაჩნდა და სადღეგრძელოებიც ითქვა. გლეხების პატივსაცემად ჩვენმა პოეტებმა კიდევ წაიკითხეს ლექსები. და აი, მოულოდნელად, ერთი კომიკური უხერხულობა შეიქმნა: პაოლომ წაიკითხა თავისი „წერილი დედას". გლეხებს ესმით სიტყვები „ბზის განიავება კალო და კევრი, სოფლის სიწმინდე, მართალი ბათმანი"... ეს სტრიქონები ადვილად აღწევს მათ გონებამდე. ცხადად ჩანს, რომ იწონებენ, ერთმანეთს კმაყოფილებით გადახედეს. პაოლოსაც სიმპატიით შესცქერიან, მაგრამ უეცრად ესმით სტრიქონები: „...და დავიკუნტები ქალაქის ქუჩებში მე, სალახანა". შემდეგ კიდევ: „როცა მე ქურდები მეგობრად მრაცხავენ"... და ბოლოს: „დედა, ინახულე შენ წმინდა ხახული! წადი ფეხშიშველი, ქალაქში, დაკარგულ შვილისთვის ღამე გაათიე..."

ეს სიტყვები გლეხებმა, როგორც ჩანს, თავისებურად გაიგეს. გაიგეს ისე, როგორც აღსარება და სინანული. აქამდე თუ გახარებული თვალით შესცქეროდნენ, ახლა დაეჭვებით და ერთგვარი შეცოდებით შეჰყურებენ... ასეთი ლამაზი ვაჟკაცი, კარგად ჩაცმული და, თურმე, ყოფილი ქურდი... უეცრად ტიციანის სიცილი გვესმის... მენისქვილეს მისთვის ეკითხნა: – დიდი ხანია, რაც ის ყმაწვილი საპატიმროდან გამოუშვეს? მაშინვე პაოლოს გააგებინა, რაც მოხდა. ჩვენი ალიბის დასადგენად საჭირო გახდა განმარტების მიცემა, რაც მეურმეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს.

დაღლილებმა, ბოლოს, ტომრებზე მოვიკალათეთ და წავთვლიმეთ. ცისკარზე კი დავტოვეთ იქაურობა.

...პაოლო მაშინ უცოლო იყო. მარტო ცხოვრობდა ახლანდელ ენგელსის ქუჩაზე. ამ ოთახის ფანჯრები მაჩაბელის ქუჩას გადმოჰყურებენ. ძალიან დიდი ოთახი იყო. ძალიან დიდი ჩანდა უფრო იმიტომ რომ ცარიელი იყო. ერთი მაგიდა, ერთი რბილი ტახტი და ორი სკამი. მეტი არაფერი. მაგიდაზე ეყარა ლექსების ხელნაწერები, კონვერტში ჩადებული გაუგზავნელი წერილები, რამდენიმე ყელსახვევი და სამიოდე წიგნი. წიგნებიდან მახსოვს რემბოს ლექსების ფრანგული გამოცემა. ფანჯარასთან კუთხეში მიყუდებული იყო კირილე ზდანევიჩის მიერ დახატული პაოლოს უზარმაზარი პორტრეტი. ამ სურათზე პაოლოს ხელში ეჭირა ზეკით ამართული დიდი ცისფერი ყანწი.

პაოლოს ბრაზს გვრიდა ხოლმე ეს სურათი: – ცოდვილიანი ვარო! – ამბობდა. ესროდა ხან წიგნს, ხან ფეხსაცმელს. ერთ დღეს კი ისე გახელდა, რომ დანით აკუწა. გადარჩა მხოლოდ სახე, რომელიც ტიციანმა წაიღო.

პაოლოს ოთახში ყველაზე იშვიათად თვითონ პაოლო იყო. კარები მუდამ ღია ჰქონდა – ქურდი რომ შესულიყო, მოსაპარავად მაინც ვერაფერს იპოვიდა. ვინც იმერეთიდან ჩამოდიოდა, უპირველეს ყოვლისა პაოლოს მიაკითხავდა და თუმცა მასპინძელს ვერ ნახულობდა, თავისუფლად იკალათებდა მის ოთახში. ხშირად, როცა პაოლო ღამით შინ დაბრუნებულა, დაუნახავს: რამდენიმე კაცს იატაკზე ქვეშსაგები გაუშლია და არხეინად სძინავს. ამას ისე იყო შეჩვეული, რომ ყურადღებას აღარ აქცევდა.

ამ ოთახში პაოლოს ერთი ისეთი ამბავი გადახდა, რაც დაახლოებით მარკ ტვენის მოთხრობის ნევრასტენიით შეპყრობილ გმირს: პირველ სართულზე, პაოლოს ოთახის ქვეშ, ცხოვრობდა მოხუცი, წინათ გამგე და ზედამხედველი იმ სახლისა, სადაც ამჟამად სასტუმრო „თბილისია" მგონი ახლობელი ნათესავიც იყო ამ შენობის ყოფილი პატრონისა. ოდესღაც შეძლებული, ახლა კი განადგურებული და გაბითურებული. საოცრად ნერვიული კაცი იყო. ვერაფრით შერიგებოდა იმ ამბავს, რომ სახლი მაშინდელმა ხელისუფლებამ ზღაპრულად იაფ ფასებში ხელთ იგდო და დაეპატრონა.

მოხუცს თავისი მწუხარება ვერ მოენელებია, ნიადაგ ოხრავდა. ამას კიდევ ის ერთვოდა, რომ ზედა სართულის მობინადრე გულს უწყალებდა. მოვიდოდა პაოლო შინ გათენებისას, გაიხდიდა ერთ ფეხსაცმელს და დაუდევრად დაახეთქებდა იატაკზე. სანამ მეორეს გაიძრობდა, პაპიროსს მოსწევდა, ზოზინობდა და, აგერ როდის, მეორე ფეხსაცმელსაც დააგდებდა.

პირველი დახეთქების შემდეგ გამოღვიძებულ ნერვიულ მოხუცს აღარ ეძინა და მოუთმენლად ელოდებოდა, თუ როდის გაიგონებდა მეორე ფეხსაცმელის ბრახუნს. მას უფრო ამ მოლოდინის წუთები ტანჯავდა.

ერთ დღეს მოხუცი ავიდა პაოლოსთან და სთხოვა:

– თქვენი ჭირიმე, ან ნუ დაახეთქებთ, ან ორივე ერთად გაიხადეთ, რომ ლოდინი არ დამჭირდეს.

პაოლომ მოუბოდიშა და სიტყვა მისცა, რომ ამიერიდან აღარ შეაწუხებდა.

გვიან იყო, როცა ერთხელ პაოლო ოთახში დაბრუნდა. მივიდა საწოლამდე, გახდა დაიწყო და უცაბედად, ცალი ფეხსაცმელი ისევ დაახეთქა. მაშინვე მოაგონდა ქვედა სართულის მდგმურისათვის მიცემული დაპირება და მეორე ფეხსაცმელი უკვე ფრთხილად გაიძრო და ძალიან ფრთხილად დადო იატაკზე. დაიძინა კიდევაც, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ გაიღვიძა და რას ხედავს, თავზე დადგომია მოხუცი, რომელსაც ხელში ანთებული სანთელი უჭირავს.

– რა მოხდა? – შეკრთა პაოლო.

– აგერ ნახევარი საათია ველოდები, როდის გაიძრობთ მეორეს. თქვენი ჭირიმე, გაიხადეთ, მოთმინება აღარ მყოფნის... ისედაც უძილობა მაქვს, სანამ გიცადოთ?

...ალბათ, გაგონილი გაქვთ, რა შეუდარებელი ექსპრომტები იცოდა პაოლო იაშვილმა, ამაში მართლაც ბადალი არ ჰყავდა. თვითონ პაოლო არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა ამ ექსპრომტებს, არასოდეს არ ჩაუწერია და ერთი-ორის გარდა, არაფერი დარჩა მათგან. შემთხვევით გადარჩა, მაგალითად, ის შესანიშნავი ლექსი, რომელიც საახალწლოდ დაწერა და მიუძღვნა სარდაფში მყოფ ეთიმ გურჯს, ეს ლექსი რომ პაოლოს ერთ-ერთ მეგობარს არ შეენახა, ისევე უცნობი და დაკარგული იქნებოდა, როგორც სხვა მრავალი.



სანდრო შანშიაშვილი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი მეგობრებთან, 1920-იანი წლები

პაოლოს ქართული და რუსული ექსპრომტები რომ ვისმე ჩაეწერა, საკმაოდ მოზრდილი ტომი გამოვიდოდა. საკვირველად დაუზოგველი მფანტველი იყო მარგალიტებისა!

თავის სიცოცხლეში პაოლო იაშვილს საკუთარი ლექსების წიგნი არ გამოუცია. ამის მიზეზი ორი რამ იყო: დიდი სიმკაცრით ეპყრობოდა თავის შემოქმედებას და, გარდა ამისა, ვერც მოუყრია და თავს ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილ ლექსებს, ვინაიდან ხელნაწერებს არ იტოვებდა, დაბეჭდილებს კი არ ინახავდა და არც ახსოვდა, თუ სად რა გამოაქვეყნა.

ერთი ასეთი მივიწყებული ლექსი-ექსპრომტი ჩემთან ინახება. ლექსი მიძღვნილია კოლაუ ნადირაძისადმი და სათაურის ნაცვლად მოთავსებულია პაოლოს მიერ ფანქრით დახატული ნადირაძის პორტრეტი. პოეტი ხომ მშვენივრად ხატავდა და როცა გიმნაზიის დამთავრების შემდეგ პარიზში გაემგზავრა, განზრახვა ჰქონდა იქ მხატვრობაში დაოსტატებულიყო.

სერგო კლდიაშვილი

„თხზულებათა კრებული“, ტ. 4. თბილისი, 1978 წ.

პაოლო იაშვილი

პაოლო იაშვილს პირველად პარიზში შევხვდი. 1913 წლის ზამთრისა და 1914 წლის გაზაფხულის თვეები პარიზის არტისტული ბოჰემისა და სტუდენტობის სამფლობელოში – ლათინურ უბანში გავატარე; პაოლო იაშვილიც ამავე უბანში ცხოვრობდა. მას ოთახი პანთეონის მახლობლად ეჭირა ესტრაპადის ქუჩაზე. ამ ქუჩის სახელწოდება, უეჭველია, იქიდან წარმოდგება, რომ აქ წინა საუკუნეებში წამების იარაღი ესტრაპადი იდგმებოდა. ეს იარაღი უცნობი იყო ძველ საქართველოში, ხოლო რუსები მას დიბას უწოდებდნენ. წარმოიდგინეთ ძალიან მაღალი სახრჩობელა; ზედა კადონზე რკინის რგოლი იყო მიმაგრებული, მასში გრძელი თოკი იყო გაყრილი. ამ თოკის ერთი თავი მობმული ჰქონდა ხელფეხშეკრულ დამნაშავეს, ხოლო მეორე თავი ჯალათს ეჭირა ხელში. ის თავის მსხვერპლს რამდენჯერმე სულ მაღლა სწევდა, ხოლო შემდეგ თოკს ხელს უშვებდა, რაც მიწაზე მის დანარცხებას და ტანჯვით სიკვდილს იწვევდა.

პაოლო იაშვილს და მე, ჩვენს ქართველ მეგობრებთან ერთად, ბევრი მხიარული საღამო გაგვიტარებია ამ მჭმუნვარე სახელწოდების ქუჩაზე.

პაოლო იაშვილი კარგი კულინარი იყო, მაგრამ საყასბოში ცხენის ხორცს ვერ არჩევდა ძროხის ხორცისაგან. რაც შეეხება იაფფასიანი ღვინის ან შამპანიურის ყიდვას, მას დიდი დეგუსტატორის ნიჭი არ სჭირდებოდა.

სხვათა შორის, ხშირად მოგვიგონებია ფრანსუა ვიიონის ლექსები, სადაც ეს ყველა მოხეტიალე და მოუსვენარი პოეტის წინაპარი გონებამახვილურად დასცინის ჯალათებს და მათ მიერ აღმართულ სახრჩობელებს. პაოლო იაშვილს უყვარდა, აგრეთვე, პოლ ვერლენის ძეგლის გვერდით ჯდომა ლუქსემბურგის ბაღში და შადრევნის აუზში მობანავე ბეღურების ცქერა; რაღაცას ნათესაურს პოულობდა ამ ბავშვივით გულუბრყვილო, მაგრამ ბიწიერ პოეტსა და უწყინარ ფრინველს შორის: „ბოროტი ქარი მატარებს აქეთ და იქით მკვდარ ფოთოლივით“.

ამ შეხვედრების დროს პაოლო იაშვილი თავისი გულთბილობისა და ხელგაშლილობის წყალობით ადვილად ხიბლავდა და იზიდავდა ადამიანებს, თვით ისეთებს, რომელთა ენა მან კარგად არ იცოდა. მან პარიზში რამდენიმე ფრანგი მხატვარი და პოეტი გაიცნო, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და გავლენიანი იყო გიიომ აპოლინერი, რომელიც სიმბოლიზმიდან ფუტურიზმამდე გადავიდა, ხოლო, ბოლოს, მგონია, სიურრეალისტებს დაუახლოვდა.

მაგრამ იმდროინდელი პარიზელი დეკადენტი და სიმბოლისტი პოეტების ფიქრთა მფლობელად უფრო შარლ ბოდლერი ჩაითვლებოდა, ვიდრე სხვა ვინმე. როგორც პეტრარკამ თავისი ლაურასადმი მიძღვნილი სონეტებით ჰუმანიზმისა და რენესანსის ეპოქა გახსნა პოეზიის დარგში, ისე უსირცხვილო მულატ ქალზე, „შავ ვენერაზე“, კატორღელივით მიჯაჭვულმა ბოდლერმა თავისი „ბოროტების ყვავილებით“ დეკადენსის ეპოქა ასახა ევროპული პოეზიის განვითარებაში. მის პატარა პროზაულ პოემებში, მის ლირიკულ ლექსებში, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი ფორმის მხრივ კლასიკურად სრულყოფილ სონეტებს უჭირავთ, ინდივიდუალიზმის ღრმა კრიზისი იგრძნობა. თუმცა შარლ ბოდლერი 1848 წლის თებერვალში და ივნისში ბარიკადებზე მუშათა კლასის მხარეზე იბრძოდა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ის ბოლომდე არტისტული ბოჰემის, დენდიზმისა და სატანიზმის მოციქული დარჩა. და, შეიძლება ითქვას, რომ ის ყველაზე დამახასიათებელი ფიგურაა ჯოჯოხეთის ცეცხლით განათებულ პარნასზე. „ჩემი სული გაბზარულია და, როდესაც დაჯავრიანების წუთებში მას სურს თავისი სიმღერებით ღამეების ცივი ჰაერი აავსოს, მისი ჩახლეჩილი ხმა ემსგავსება იმ დაჭრილი მეომრის ხრიალს, რომელიც სისხლის ტბის პირას დავიწყებიათ მიცვალებულთა დიდ გროვაში და კვდება საშინელ კრუნჩხვაში“. ეს სიტყვები ამ-



გერონტი ქიქოძე და პაოლო იაშვილი. 1936 წ.

თავრებს ბოდლერის სონეტს – „გაბზარულ ზარს", რომელიც საუცხოო იდილიური სურათით იწყება: ზამთრის ღამეში ანთებული ბუხრის წინ მჯდომარე, შორეულ მოგონებებში წასულ ადამიანს მწუხრის ზარების რეკა ესმის, ისინი ხალისიანად მღერიან ნისლიან სივრცეებში. რა კონტრასტია, ზემომოყვანილ ტრაგიკულ სტრიქონებთან და რა სულიერ გათიშვას მოწმობს ეს ლექსი!

პაოლო იაშვილს ბოდლერის სონეტებიდან ყველაზე მეტად მისი „დაწყევლილი პოეტის დასაფლავება" უყვარდა: „იმ საათში, როდესაც უბიწო ვარსკვლავები თავიანთ დამძიმებულ თვალებს დახუჭავენ, ობობა თქვენს საფლავზე სუდარის ქსოვას დაიწყებს, ხოლო გველი თავის წინწილებს გამოჩეკავს; მთელი წლის განმავლობაში თქვენს შეჩვენებულ თავზე მგლები და მშიერი კუდიანები იყმუვლებენ"

მაგრამ, უნდა ითქვას, რომ არც პაოლო იაშვილის გარეგნობაში, არც მის სულში არაფერი იყო დეკადენტური: გეგონებოდათ, ის სიმბოლისტური და დეკადენტური პოეზიის სკოლას უფრო თავით მიემხრო, ვიდრე გულითო. ეს იყო ლამაზი, მაღალი, გრუზათმიანი, შავგვრემანი ჭაბუკი, მას ნარკოტიკები სჭირდებოდა, რათა რეალური სამყაროდან მაცდური მოჩვენებების სამყაროში გადასულიყო. პაოლო იაშვილი ნამდვილი ახლადმოვლენილი ავთანდილი იყო თავისი მეგობრებისათვის.

მახსოვს, როგორ იდგა ერთხელ ქუჩაში, სახლის კედელს ზურგმიყრდნობილი, ხალათის ჯიბიდან მუჭა-მუჭა ახლად მიღებულს ქაღალდის ფულს იღებდა და თავის მეგობრებს აძლევდა დაუთვლელად.

მას ძალიან სუსტი წარმოდგენა ჰქონდა ორმაგ ბუხჰალტერიაზე, და მისი გასავალი ყოველთვის სჭარბობდა მის შემოსავალს. მას ეადვილებოდა ფულის შოვნა, მაგრამ კიდევ უფრო ეადვილებოდა ფულის დახარჯვა. უფრო ის ახსოვდა, ვისგან ისესხა, ვიდრე ის, ვის ასესხა; განებივრებული იყო შეძლებული მამის მიერ, რომელსაც ის სუფრაზე ხშირად გულს უჩუყებდა: შენს ხუთ ვაჟიშვილში მე იმით გამოვირჩევი, რომ მსხვერპლად შესაწირავ მოზვერს ვგავარო.

როდესაც პაოლო იაშვილი უცხოეთიდან სამშობლოში დაბრუნდა და „ცისფერი ყანწების“ ჯგუფი დააარსა, მან უწინარეს ყოვლისა, ძველი პოეტური თაობის ცენტრალურ ფიგურას – აკაკი წერეთელს შეუტია. ეს გასაგები იყო ახალი ჯგუფის ინტერესების თვალსაზრისით, მაგრამ ძნელი ასახსნელი იყო პაოლო იაშვილის ადამიანური და პოეტური ბუნების თვალსაზრისით: ის უფრო აკაკი წერეთლის ანდერძის დამცველად გამოდგებოდა, ვიდრე მის დამრღვეველად. პაოლო იაშვილის საუკეთესო ლექსებს გამჭვირვალობა და სიმსუბუქე ახასიათებდა, ის საუცხოოდ ფლობდა ქართულ ენას. თვით მისი სამშობლო – სოფელი არგვეთი მხოლოდ რამდენიმე კილომეტრით იყო დაშორებული აკაკი წარეთლის სხვიტორს. თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში პაოლო იაშვილმა მშვენივრად გადმოთარგმნა პუშკინის რამდენიმე ლირიკული შედევრი, ერთაქტიანი ტრაგედიები და მოთხრობა „ნასროლი“.

პაოლო იაშვილი ძველი დროის რაფსოდებს და ტრუბადურებს ჰგავდა: მისი პოეტური ნიჭის დაფასება არ შეიძლება მარტოოდენ მისი დაბეჭდილი ლექსების მიხედვით. ეს იყო იმპროვიზაციის ჯადოქარი, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, აუდიტორიის სმენას ხიბლავდა. მას ვერავინ შეედრებოდა დიდ სადღესასწაულო სუფრაზე, მისი სიტყვები შინაარსიანი და გონებახვილი იყო ერთსა და იმავე დროს, აქ ის თითქოს თავის თავს სჭარბობდა.

როდესაც 1921 წლის 25 თებერვალს თბილისში წითელი არმიის ნაწილები შემოვიდნენ, პაოლო იაშვილმა მათ იმპროვიზებული სიტყვით მიმართა თვითმმართველობიდან. დიდი ყურადღება დაიმსახურა, აგრეთვე, მისმა სიტყვებმა, წარმოთქმულმა კრემლის პოლიტიკურ ბანკეტებზე. მაგრამ მან შედარებით ისეთი მცირე ლიტერატურული მემკვიდრეობა დატოვა, რომ, ვინც მას პირადად არ იცნობდა, გაუჭირდება, ის გამოჩენილ პოეტად სცნოს.

თავისი თვითმკვლელობის წინ პაოლო იაშვილი აღიარებდა, ჩემი უბედურების ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ბავშვობიდანვე არ შემაჩვიეს სისტემატურ მუშაობასო. პაოლო იაშვილისათვის ძნელი აღმოჩნდა უშუალო გადასვლა ძველი საზოგადოებიდან (სადაც შრომა ზოგიერთ წრეში ათვალისწუნებული იყო) ახალ საზოგადოებაში, სადაც შრომა ყველასათვის საპატიო ვალდებულებადაა აღიარებული. ერთ ლექსში, რომელიც უფრო თვითშეგონებას წარმოადგენდა, ვიდრე მორალის ქადაგებას, ის ამბობდა:

ვინც გაიცაცა ახალ თაობამ.
გადაქცეულან რკინის კაცებად.
ნუთუ პოეტებს გვეპატიება
ახნაურული გაზარმაცება?

პაოლო იაშვილის გონებრივი ინტერესების არე შემოფარგლული არ იყო მარტოოდენ ლიტერატურით, ხოლო მისი მეგობრების წრე სცილდებოდა „ცისფერი ყანწელების“ ასოციაციას. ის რომ მხატვრის გზას გაჰყოლოდა, შეიძლება გამოჩენილი ოსტატი გამხდარიყო. მან დაუდევარი კალმით ძალიან კარგად გადმოგვცა თავისი მეგობრების – ტიციან ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, კოლაუ ნადირაძის პროფილები; მაგრამ მათ გვერდით დახატული ავტოპორტრეტი მას ნაკლებ ჰგავს.

ერთხელ, შემოდგომაზე პაოლო იაშვილი და მე ტყის ქათამზე ვნადირობდით წიწამურის ტყეში, იმ ადგილის მახლობლად, სადაც ამჟამად ილია ჭავჭავაძის ობელისკია ამართული. მშრალი დარი იდგა და ჩვენმა ინგლისურმა სეტერმა ვერც ერთი ტყის ქათამი ვერ წამოაფრინა. შუადღისას დაქანცულობა ვიგრძენით. ერთი ხის ძირში ჩამოვჯექით, პატარა ველის პირას, და თავის გასართობად ორ-სამჯერ თოფი ვესროლეთ ბუჩქზე მიმაგრებულ თამბაქოს კოლოფს. ორიოდე წუთის შემდეგ დავინახეთ, რომ ტყის სიღრმიდან ორი თოფმომარჯვებული კაცი გვიახლოვდებოდა ფეხაკრეფით. როდესაც ჩვენთან მოვიდნენ, გვითხრეს, ველზე მორბენალმა ძაღლმა გადაგარჩინათ, შორიდანვე რომ არ დაგვენახა ის, უსათუოდ დაგხოცავდითო. წინა დღით თურმე ყაჩაღებს წიწამურის გზაზე მიმავალი მეურმეები გაეძარცვათ და მცხეთის მილიციას ტყეში საგანგებო დარაჯები დაეყენებინათ. პაოლო იაშვილი შემდეგ ხშირად გულწრფელ სინანულს გამოთქვამდა, რომ ის როყიო ტყვიის მსხვერპლი არ გახდა ილია ჭავჭავაძის მკელელობის ადგილას.

ეს ადამიანი, რომელსაც ყველაზე მეტად ჭაღებით განათებული დარბაზები, ტაშებით ახმაურებული აუდიტორია, ბრწყინვალე ბანკეტები და არტისტული ყავახანები უყვარდა, თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წელს ძალიან განმარტოვდა. 1937 წლის ზაფხულში ის ხშირად თავისი ბინის ლოჯიაში ჯდებოდა ჯაფარიძის ქუჩაზე და სევდიანად გასცქეროდა მახათას მთას. ხანდახან ბოტანიკურ ბაღში ადიოდა და ცდილობდა აფორიაქებული სული დაეშოშმინებინა თითქმის დამშრალი ჩანჩქერის პირას.

მას ცხანჯავდა მარცოობა. მას აწუხებდნენ მეეაიეები:
მაგრამ ყოველდღე ჩემთან მოდიან
და აღწერების მოაქვთ ორდერი...
რა მაქვს ქონება? ცოდი და შვიდი.
ძაღდი და ცოტა ხელნაწერები.

...ცხელი 1937 წლის 22 ივლისს საღამოს, სანამ იგი მწერალთა კავშირის მეორე სართულზე ავიდოდა, რათა იქ ჟაკანის ტყვიით თავის ქალა აეფეთქებინა, სხდომათა დარბაზში შევიდა, უკანასკნელი რიგის სკამზე დაჯდა, რამდენიმე გონებახვილი რეპლიკა მიაწოდა ერთ თავის მეგობარ მწერალს, ხოლო როდესაც ამ უკანასკნელმა მას პაპიროსი სთხოვა, მან ღიმილით უპასუხა, კიდევ რამდენ ხანს აპირებ ჩემს ხარჯზე ცხოვრებასო.

გერონტი ქიქოძე

ჟურნალი „მნათობი“, 1958 წ. № 8

გელიტა ჩოლოყაშვილის მოგონება

რეზო თაბუკაშვილის და მედეა ჯაფარიძის პარიზში ჩაწერილი ინტერვიუდან.
იბეჭდება შემოკლებებით (თარგმანი რუსულიდან).

პაოლო იაშვილი ტფილისში გავიცანი. 1919 წლის დასაწყისში იყო ასეთი კაფე გალავინსკზე – „ფანტასტიკური დუქანი“. იქ იკრიბებოდნენ პოეტები, მხატვრები... ძირითადად პოეტები, რომლებიც ლექსებს კითხულობდნენ. მათ შორის „ცისფერყანწელები“... ერთხელ მოაწყვეს საღამო და ჩვენც მიგვიწვიეს. ყველა ქართველი მკითხველისთვის ჯერ კიდევ უცნობ ნაწარმოებს კითხულობდა... ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ამ პოეტთაგან ერთ-ერთი პარიზში ნამყოფი იყო... პაოლო ნამყოფია პარიზში? ესე იგი ის პაოლო იყო... იმ საღამოს, კარგად მახსოვს, პაოლომ წაიკითხა თავისი „წითელი ხარი“.

მალე იტალიაში გავემგზავრე. თერთმეტი თვე დავყავი იქ და როცა ტფილისში დავბრუნდი, პაოლოს და ტიციანს ისევ შევხვდი. ჩემთან მოვიდნენ... საერთოდ, ისინი ბევრს სვამდნენ. განსაკუთრებით ტავერნებში... ხმაურობდნენ და ყვიროდნენ კიდეც... მაგრამ ჩემთან ვიზიტების დროს, ძირითადად, პოეზიას კითხულობდნენ ან სხვა პოეტების ლექსებზე საუბრობდნენ... კარგად მახსოვს, როგორი იყო მაშინდელი პაოლო... როგორი იყო გატაცებული ბალმონტის ერთი ლექსით: „ცამეტი წელი“...

ზამთარი იდგა. იმ პერიოდში ტფილისში ცუდად ათბობდნენ. პოეზიის საღამოზე შეშის ღუმელის გარშემო ვისხედით, შეფუთულები... იმ დღეს ოცდაათამდე ადამიანი იყო და ყველამ წაიკითხა ლექსი. თითოეულმა ორი მაინც. 60 ლექსი ხომ ეს ძალიან ბევრია. ეს ჩემთვის პოეზიის მეტისმეტად დიდი დოზა იყო, მაგრამ ბოლომდე გმირულად გავუძელი... ყველანი ვისხედით რაღაც თბილებით შემოხვეულები და მაინც სიცივისგან ვკანკალებდით... აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ მიუხედავად სიცივისა, მიუხედავად შიმშილისა და საერთოდ, ყველაფრის მიუხედავად, პოეზიით ვიყავით სავსენი...

იმ დროს ტფილისის ინტელექტუალური ცხოვრება არაჩვეულებრივად ინტენსიურად მიმდინარეობდა... წმინდა ხელოვნება, ზემოდან ზეგავლენის გარეშე... ეს გახლდათ პოეზიისთვის და ხელოვნებისთვის უჩვეულოდ საინტერესო პერიოდი, რადგან ადამიანები აკეთებდნენ და ქმნიდნენ იმას, რაც თავად მოსწონდათ. რისი შესრულებაც თავად სურდათ...

მერე, როდესაც ბოლშევიკები მოვიდნენ, პაოლო და ტიციანი ძალიან დამეხმარნენ. აუცილებელი იყო რაღაც რესურსი, რომ ადამიანებს გვეცხოვრა. მხოლოდ მათ, ვინც ოფიციალურად რაიმე სამსახურში იყვნენ, აძლევდნენ სურსათის რაღაც კონკრეტულ დოზას. პაოლომ და ტიციანმა გადაწყვიტეს, რომ მე ჩავეწერეთ კინემატოგრაფისტთა სექციაში. თავად კი მწერალთა სახლში გაფორმდნენ. ყველა ცხოვრობდა ყოფილი სარაჯიევის სახლში, რომელიც მერე ხოშტარიამ იყიდა მისგან. მახსოვს, იქ ყველგან ცხოველები ჩანდა (იგულისხმება ცხოველების ფიტულები. ნ. ხ.): ვეფხვები, ლომები, დათვები... მთელი სახლი თითქოს სამხეცე იყო... ამ შენობაში განლაგდა მწერალთა კავშირიც და კინოს განყოფილებაც. მე იქ არავის ვიცნობდი. პაოლოსთან და ტიციანთან ერთად წავედი. უცბად დამინახა ვიღაც „ამხანაგმა“ და ძალიან შეშინდა: „არა, არა!... კარგით, გრიმს გავუკეთებ, მაგრამ რა ვუყო ხელებს?!“... მე სრულიად შეუფერებელი აღმოვჩნდი იმ მუშურ-გლეხური ფილმებისთვის, რასაც მაშინდელ კინოსტუდიაში იღებდნენ. პაოლომ და ტიციანმა დიდი გაჭირვებით დაარწმუნეს, რათა სექციაში მივეღეთ და მიმიღეს კიდეც... და ამ გზით მოვიპოვე საარსებო საშუალება. ასე რომ, ამ მხრივ, მათ გადამარჩინეს.

პაოლოს ქორწილში ვიყავი. ცოლად შეირთო სერებრიაკოვა. ძალიან ლამაზი, ულამაზესი... მშვენიერ იას მოგაგონებდათ, თავისი ცისფერი თვალებით და პაოლო უგონოდ იყო მასში შეყვარებული...

იმ პერიოდში ტფილისში ძალიან ძნელი იყო ფეხსაცმლის შოვნა. ქორწილში პატარძალს ყავისფერი, ზამშის ფეხსაცმელი ეცვა. პაოლომ თითქოს, უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა: გახადა ფეხზე მეუღლეს მისი სადღეგრძელო ფეხსაცმელში ჩასხმული ღვინით შესვა. მახსოვს, პატარძალი შეწუხდა, რადგამ ამით ფეხსაცმელი ფუჭდებოდა...

ეს გახლდათ ექსცენტრიული ეპიზოდი, მაგრამ ვფიქრობ, არა დროული...

მელიტა ჩოლოყაშვილი

„რეზო თაბუკაშვილი“, თბილისი, 2013



ლადო გუდიაშვილი
(LADO GOUDIACHVILI)
(ჩინური ტუშით 1919)

პაოლო იაშვილი
(PAOLO IACHVILI)

ასო ლასი როიალზე

ლეილას თვალები ელავენ ბნელიდან,
დედოფალს ახლავან მხევლები მცველებათ;
ყვავილიც მწველია ლეილას ხელიდან,
დალალნი დაშლილან მღელვარე გველებათ.

ასული მთვრალია ძველი სურნელებით,
დედოფლის ალერსი მწველია, ძნელია!
ლეილა ლოკულობს დაღალულ ხელებით
ქალები გალობით ალიონს ელიან.

კრებულიდან "ფანტასტიკური დუქანი" ("Фантастический кабачек") რედ. სოფია მეღნიაოვა. თბილისი, 1919 წ. გამოსცა "41°"-მა

პაოლო იაშვილი

(ფრაგმენტი მოგონებიდან)

იყო 1915 წელი. პეტროგრადის უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი. მოვიდა ცნობა: ქუთაისში ახალი ლიტერატურული ჟურნალი „ცისფერი ყანწები“ გამოვიდაო. ჩვენ, სტუდენტებმა, რომლებიც ლიტერატურით ვიყავით დაინტერესებულნი, ჟურნალის შინაარსისა არაფერი ვიცოდით. გავიგეთ იმ აურზაურის შესახებ, რაც ჟურნალმა გამოიწვია ქუთაისის საზოგადოებაში. ეს ცნობები გაზვიადებულად გვეჩვენებოდა. ამბობდნენ ჟურნალის მონაწილეთა რაღაც სკანდალურ გამოსვლებზე, მათ ბოჰემურ განწყობილებებზე. პოეზიის ასპარეზზე გამოსულ პოეტებს უფრო კაფეების ცხოვრებას უკავშირებდნენ. ამბობდნენ, განსაკუთრებული მტრული განწყობილებით ახალ ქროლვას პოეზიაში შეხვდა ქუთაისელი მანდილოსნების ნაწილიო, რომელსაც მაშინ კატო მიქელაძე ხელმძღვანელობდა (კ. მიქელაძე „ცისფერყანწელთა“ მოწინააღმდეგე დარჩა ბოლომდე, მაგრამ მისი გამოსვლები „ცისფერყანწელებში“ უფრო ირონიულ ღიმილს იწვევდა). როგორც გადმოგვცემდნენ, ახალ სიტყვას პოეზიაში მოსარჩლეც გამოუჩნდა. ეს იყო ცნობილი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე. მან ინტუიციით იგრძნო ახალგაზრდა პოეტებში ახალი სიოს ქროლვა, მოწონებით შეხვდა მათ გამოსვლას და კარგი მომავალი უწინასწარმეტყველა.

ჩვენც, პოეზიის მოყვარულნი, გულდასმით ვადევნებდით თვალყურს პროცესს, რომელიც ქართული ლიტერატურის განვითარებას ახასიათებდა. ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს გატაცებულნი ვიყავით ახალგაზრდა პოეტების ლექსებით, რომლებიც უფრო ხშირად „ცნობის ფურცელის“ კვირეულ დამატებებში ქვეყნდებოდა. გულის ფანცქალით ველოდით ხოლმე ამ დამატებებს იმ იმედით, რომ წავიკითხავდით სანდრო შანშიაშვილის, ი. გრიშაშვილის, გ. ტაბიძის, ა. აბაშელის და სხვათა ლექსებს. კარგად მახსოვს, მაგალითად, რა გაცხოველებული ინტერესი გამოიწვია ჩვენს ლიტერატურულ წრეში ა. აბაშელის ლექსმა სათაურით „სსს...შშშ“. აღფრთოვანებული ვიყავით ი. გრიშაშვილის პოეზიით. მის ლექსებს გატაცებით ვკითხულობდით ჟურნალ-გაზეთებში, – სულგანაბული ვისმენდით როგორ კითხულობდნენ მათ სცენიდან. მეხსიერებაში შემომრჩა შაქრო გომელაური, რომელიც ქუთაისის თეატრის სცენაზე კითხულობდა ლექსს „ზღაპარი ჰამაკში“. სცენაზე მართლაც გააბამდა ჰამაკს, რომელშიც ქალი იწვა. შაქრო ჰამაკს აქანავებდა და თან ლექსს ამბობდა, რაც დამსწრე საზოგადოებაზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. ჩვენ, მოწაფეებს ვერც კი წარმოგვედგინა მაშინ თუ შეიძლებოდა ს. შანშიაშვილისა და ი. გრიშაშვილის გვერდით გავლა, თუ მოგვეცემოდა მათთან შეხვედრის ბედნიერება. მოწიწებითა და კრძალვით, მორიდებით ვეკიდებოდით მათ სახელებს, საყვარელ სახელებს.

პეტროგრადში ყოფნისას დახარბებით ვკითხულობდით ა. ბლოკის, კ. ბალმონტის, მ. ვოლოშინის, ვ. ბრიუსოვის და სხვათა ლექსებს. ასე რომ ჩვენ ერთგვარად მომზადებულნი შევხვდით მშობლიურ ქვეყანაში ახალი პოეტური სკოლის აღმოცენებას. ისიც უნდა დავურთო, რომ მოწაფეობისას ჩვენი ლიტერატურული წრე სცემდა ხელნაწერ ჟურნალს „ჩონგურის“ სახელწოდებით. მასში მოთავსებულ ჩვენს მასალებს ახალი პოეზიის, განსაკუთრებით ი. გრიშაშვილის ლექსების გავლენა ემჩნეოდა. თუ მეხსიერება არ მღალატობს, ი. გრიშაშვილი ქუთაისში ყოფნისას ამ წრის მონაწილეებსაც შეხვდა.

„ცისფერი ყანწების“ გამოსვლას დაუფარავი სიხარულით შევხვდით. იმ წლებში ჩემი უახლოესი ბავშვობის მეგობარი სანდრო ცირეკიძე პეტროგრადში აღარ იმყოფებოდა. ქალაქის ნისლმა და ტენიანმა ჰავამ მასზე ცუდად იმოქმედა. ფილტვები დაუზიანა, სისხლი ანთხევინა და იგი იძულებული გახდა ექიმების რჩევით დაეტოვებინა პეტროგრადი, გადასულიყო კიევის უნივერსიტეტში. მეორე ჩემი სიყრმის მეგობარი გიორგი ჟღენტი, ბესო ჟღენტის უფროსი ძმა, პეტროგრადის ჰავამ

თითქმის ერთ თვეში გამოასალმა სიცოცხლეს. ასე ჩამომაშორა ორი ძმასავით საყვარელი მეგობარი პეტროგრადმა. და რა კარგი მომავალი იყო ორივეს წინაშე! გიორგი იყო მეტად ნიჭიერი ახალგაზრდა, ლიტერატურის შესანიშნავი მცოდნე, იშვიათი მჭევრმეტყველი, რომელიც არა მარტო ამხანაგების, არამედ პედაგოგთა პერსონალის დიდ ყურადღებას იქცევდა. მასზე დიდ იმედს ამყარებდნენ.

ასეთივე ერუდირებული, მახვილი ნიჭისა და დახვეწილი გემოვნების პატრონი იყო სანდრო ცირეკიძე, რომელიც ადრევე ტუბერკულოზმა იმსხვერპლა. მან მოასწრო დაემსახურებინა „ცისფერყანწელთა“ ახლო ყურადღება. სანდრო ცირეკიძე დიდი ენთუზიასტი იყო ახალი სკოლისა ჩვენში. მას ჰქონდა თავისი „თეორია“. რომანს, როგორც ჟანრს, უკვე მოძველებულად თვლიდა და ამტკიცებდა, პროზაული ნაწარმოები სათაურამდე დავაო. დიდ მნიშვნელობას აძლევდა ნაწარმოების სათაურის მოძებნას, სათაურში ხედავდა იგი მთელი ნაწარმოების გასაღებს. ს. ცირეკიძეს თავისი თეორია შემოქმედებითაც უნდოდა განემტკიცებინა: აქვეყნებდა პატარა მინიატურებს, რომლებიც რაღაც თავისებური სტილით იპყრობდნენ ყურადღებას, ჰქონდა კრიტიკული აზროვნების კარგი უნარი. დარწმუნებული ვარ, იგი დასძლევდა შინაგან ტკივილებს, შემოქმედებით კრიზისს, და ჩვენი ახალი ლიტერატურის განვითარებაში თავის საპატიო წვლილს შეიტანდა, რომ სიკვდილი არ წამოწეოდა უდროოდ. ამის თქმის საბაბს მაძლევს წერილები, რომლებსაც ვღებულობდი მისგან ქუთაისიდან. ამ წერილებში ის მიესალმებოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას და იმედს გამოთქვამდა, რომ მუშაობის ფართო ასპარეზი გაეშლებოდა. ჭლექით დაავადებული, ლიტერატურით მსუნთქავი ახალგაზრდა მწერალი, საოცრად პრინციპული და ენერგიული იყო. მისი ინიციატივითა და რედაქტორობით გამოიცა მაშინ ქუთაისში „შვილდოსანის“ რამდენიმე ნომერი. ავადმყოფი იკლებდა ყველაფერს და საკუთარი სახსრებით მოაწყო გამომცემლობა „კირჩხიბის“ სახელწოდებით. ჟურნალის გარდა გამოსცა ახალი პოეზიის ანთოლოგია, მალარმეს ლექსების თარგმანები, მაშინდელი ქუთაისი, რომელსაც ბრიუგეს ვადარებდით, და მალარმე! ფართო გეგმები ჰქონდა მოღვაწეობისა სანდროს, რომლებიც თან წაიღო საფლავში. უნდა ითქვას, რომ მას დიდი თხოვნითა და მუდარით უხდებოდა ჟურნალისათვის მასალის მიღება თბილისელი ამხანაგებისაგან. ამას ცხადჰყოფს მისი წერილი ჯგუფის ერთ წევრთან: „მართალია „შვილდოსანს“ ნაკლი უფრო აქვს, მაგრამ ერთი ღირსებაცა აქვს უეჭველად. ცისფერყანწელებს (და მათ ეპიგონებს) გაჩუმება აღარ შეფერის. დროა საქართველოში პოეტის სახელის პრეტენდენტი თუნდაც „შვილდოსანის“ პრიმიტიულ სასწორზე აიწონოს... კიდევ უფრო საჭიროა დადებითი მუშაობა და თეორეტიული კვლევა და პოპულარიზაცია. ბევრი მტერი გავიჩინეთ... შეცდომები მეტი დავუშვით. თბილისელი მეგობრები იმოდენად არ გვეხმარებიან (ვერ მოიცალეს) და სამმა კაცმა ყველაფერი ვერ შევძელით. შეიძლება მეოთხე ნომერი აღარ გამოვიდეს, რადგან მასალები არ მოგვაწოდეს. სწორედ აქაა ჩემი თხოვნა...“

ყოველივე ეს მოვიგონე ერთად-ერთი მიზნით: ახალი ჟურნალის გამოსვლას ჩვენ შევხვდით სიხარულით, ინტერესით, ყურადღებით.

მალარმეს ლექსების გამოცემაში დიდი დახმარება გაგვიწია ელო ნაზარიშვილმა, რომელმაც მშვენივრად იცოდა ფრანგული და გვიკეთებდა ბწკარედებს. ელო ნაზარიშვილი, ცნობილი ექიმის ნაზაროვის ქალიშვილი, ახლო მონაწილეობას იღებდა ჩვენს წრეში, იყო რომანტიკულად განწყობილი ქალი და ჩვენი კარგი ამხანაგი.

...სანდრო ცირეკიძე, ისე როგორც საერთოდ „ცისფერყანწელები“, ყურადღებას აქცევდნენ არა იმას, თუ რომელ პოლიტიკურ ფრთას ეკუთვნოდა ესა თუ ის ავტორი, არამედ მისი ნაწარმოების ხარისხს, თუ რა იყო ნოვატორული მის ნაწარმოებში. ამიტომ სარგებლობდნენ მათ შორის დიდი სიყვარულით გ. ქუჩიშვილი და ნოე ჩხიკვაძე.

მე პირადად არ ვიცნობდი ჟურნალში არც ერთ მონაწილეს. გულწრფელად უნდა ვაღიარო: არც ვაპირებდი ლიტერატურაში მუშაობას, თუმცა ძლიერ ვიყავი გატაცებული სიმბოლისტების პოეზიით, განსაკუთრებით ბლოკით.

ეს იყო 1917 წელი. რევოლუციის წელი, როცა პეტროგრადიდან ქუთაისს დავბრუნდი და აქ გავიცანი პირველ ხანებში პაოლო იაშვილი, სერგო კლდიაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, რაჟდენ გვეტაძე, ძმები ჯაფარიძეები და ნიკ. ნადირაძე, ხოლო შემდეგ, როცა თბილისში გადმოვედი, დავუახლოვდი ტიციან ტაბიძეს, გიორგი ლეონიძეს, ალი არსენიშვილს და სხვ.

მე მინდა ამ წერილში ვილაპარაკო პაოლო იაშვილზე, რომელმაც გაცნობისთანავე მიიპყრო ჩემი ყურადღება და წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს იყო მაშინდელი ქუთაისის ბოჰემის კოლორიტული წარმომადგენელი. პაოლოს, რომელსაც პარიზის სკოლა ჰქონდა გავლილი, ბოჰემური ცხოვრება ესთეტიკურ ფენომენამდე ჰქონდა აყვანილი. მართალი რომ ითქვას, მას ყველაზე ნაკლებად ახასიათებდა, გიორგი ლეონიძის შემდეგ, დეკადენტური პოეზიის თვისებები: მისტიციზმი, ბუნდოვანება, ირეალური სამყაროს ხილვები. მისი პოეზია, პირველ ხანებშიც კი უფრო ნათელი და გამჭვირვალე იყო. ერთ-ერთი ლექსი, რომლითაც პოეტმა ბრძოლა გამოუცხადა ტრადიციულ, დაკანონებულ სახელებს, იყო:

პაოლო იაშვილს მომენწყინა ყვითელი დანცე.
ვაქებდი შექსპირს. მაგრამ ფარდა შექსპირს უარი.
რა ქნა. რომ ჩემთვის ბეთჰოვენი მხოლოდ ყრუ არი
და რომ წარსულმა ვერ გაიმომცა მე ანდამანტი.

ამ ლექსმა გამოიწვია მაშინდელ საზოგადოებაში მითქმა-მოთქმა. შეხეთ: შექსპირსა და დანტეს უარყოფსო, ბეთჰოვენი მისთვის არაფერიაო. ამ ლექსმა გახადა მაშინ ეს დიდი ტემპერამენტის მქონე პოეტი ოდიოზურ ფიგურად. მისი გაბედული, ეფექტიანი გამოსვლები, შუშხუნა და ახლებურად მჟღერი სიტყვები პოეზიაზე, მანიფესტი, რომლის მთავარი ავტორი ის იყო – საზოგადოების ერთ ნაწილში აღშფოთებასაც იწვევდა. მაგონდება ასეთი შემთხვევა: გელათში მოვაწყეთ ექსკურსია. ჩვენს წრეში იყვნენ ლიტერატურის მოყვარული ქალიშვილები. როცა სადგურზე უკანასკნელებმა პაოლო იაშვილი და ნ. ნადირაძე დაინახეს – აგვიჯანყდნენ, წამოსვლაზე უარი განაცხადეს. მაშინ პაოლო და კოლაუ იძულებული გახდნენ ცალკე წამოსულიყვნენ, მაგრამ საკმარისი იყო რამდენიმე წუთს ერთად ვმსხდარიყავით გელათის ზღაპრულ ეზოში, რომ „შეურაცხყოფილნი“ მოიხიბლნენ პაოლოს საუბრით, მისი ექსპრომტებით, გელათის ძეგლის ჩანახატებით და იქედან უკვე პაოლოსთან დამეგობრებულები დაბრუნდნენ.

ვფიქრობ, რომ თავისი ბუნებით პაოლო ტრადიციების დიდი პატივისმცემელი იყო. მისი უარყოფა დანტესი და შექსპირისა ერთგვარი ნიღაბი იყო. ყურადღებამისაქცევია ის გარემოება, რომ მას გატაცებით უყვარდა და აღმერთებდა პუშკინს, რუსული კლასიკური პოეზიის ამ მშვენებას. სიმბოლისტებიდან ის არჩევდა ვალერი ბრიუსოვს, ვერჰარნს, და განსაკუთრებით არტურ რემბოს, იმ პოეტებს, რომელთა პოეზიაში მეტი სინათლე და კლასიკური ფორმა იყო დაცული. მან თარგმნა, ვთქვათ, არა ვერლენი, თუმცა ფრანგული კარგად იცოდა, ან თუნდაც ბლოკი, არამედ პუშკინი. მისი პოეტური სიმპათიები სადღაც მაინც კლასიკური ქართული პოეზიისაკენ იხრებოდა. მინდა ასეთი შემთხვევა გავიხსენო.

ჩვენს წრეს მაშინ წესად ჰქონდა შემოღებული კვირაში ერთხელ მორიგეობით რომელიმე წევრთან შეკრებილიყავით. იყო გაუთავებელი საუბარი პოეზიაზე, ახალი ლექსების კითხვა, სიხარული და მეგობრული გულის გახსნა ერთმანეთისათვის. არასდროს დამავიწყდება, მაგალითად,

ერთი საღამო. ტიციანთან ვიყავით. ზამთარი იყო. თოვლი ბარდნიდა. გაღულუნებულ ბუხარს ვუსხედით. სერგო კლდიაშვილი თავის მოთხრობას კითხულობდა. ეს იყო მისი „ფერფლი“ სულგანაბული ვუსმენდით. გატაცება ისახებოდა განსაკუთრებით ტიციანის ცისფერ თვალებში. თითქმის ამ ქვეყნად აღარ იყო. გაათავა სერგომ კითხვა და დიდხანს ხმა ვეღარ დავძარით. პირველი ტიციანი გამოერკვა, სიხარულით მიულოცა სერგოს, მას მიჰყვა ნინო ტაბიძე. ასეთი შთაგონებული საღამოები მრავალი იყო ჩვენს ცხოვრებაში.

ერთხელ ჩემთან შევიკრიბენით. ყველანი იყვნენ. საუბრის დროს ერთ-ერთმა თავი გაუყადრა ილიას. პაოლომ კარგად იცოდა თავისი ფასი. ის იყო „ცისფერი ყანწების“ გამომცემი, ამ ახალი სკოლის ხელმძღვანელი და ამ ადგილს არც არავის უთმობდა. ჯერ მოთმინებით უსმინა თავის თავში შეყვარებულს, შემდეგ მოთმინებიდან გამოვიდა და ისეთი მკვახე პასუხი გასცა, რომ აიძულა ამდგარიყო და წასულიყო. იძულებული გავხდი, როგორც იმ დღის მასპინძელი, დავდევნებოდი და რუსთაველის პროსპექტიდან დამებრუნებინა. პაოლოს განსაკუთრებით უყვარდა აკაკი, მისი პოეზიის დიდი პატივისმცემელი იყო და ვერ იტანდა მის მიმბაძველებს, უნიჭო ეპიგონებს.

პაოლო ნამდვილი ბუნტარული ხასიათისა იყო, ამასთანავე იშვიათი მჭევრმეტყველი და იმპროვიზატორი. სამწუხაროა, რომ მისი ექსპრომტები და ეპიგრამები შადრევანივით რომ ჩქეფდა, არ ჩაიწერა თავის დროზე და დაიკარგა. ჩვენ, მისმა მეგობრებმა, ვერ გავუწიეთ ისეთი მეგობრობა, როგორიც ვთქვათ, ნიკა აგიაშვილმა გაუწია შესანიშნავ პოეტს ლადო ასათიანს და მრავალი რამ შემოინახა მისი ნათქვამიდან. პაოლოს ექსპრომტები და ეპიგრამები დროის დამახასიათებელნი და მეტად მჩქეფარენი იყვნენ.

რევოლუციის პირველი წლები იყო. ქუთაისში ვცხოვრობდი. პირველ ხანებში იქ სრული ანარქია იყო. წესრიგს სტუდენტები, მოწინავე მუშები და ინტელიგენციის წარმომადგენლები იცავდნენ. საშინელი ხასიათი მიიღო სპეკულაციამ, საჭირო იყო მის წინააღმდეგ ბრძოლა. პაოლომაც ამ ბრძოლის თავისებური ფორმა გამონახა. მახსენდება ქუთაისის ბულვარი, ქუჩები, რომლებიც მას არტყია გარს. შუა





ძველი ქუთაისის ბულვარი

ქუჩაში ჩამდგარან პაოლო იაშვილი, კოლაუ ნადირაძე, სერგო კლდიაშვილი და მოდიან ყვირილით: ჰკათ ბურჟუებს, ჰკათ სპეკულანტებს! ჯგუფს ვუერთდებით ჩვენც. იგი იზრდება და კარგ ძალად იქცევა. ნამდვილი ჩხუბის თავი იყო კოლაუ ნადირაძე. ამ გამოსვლებმა ისეთი ხასიათი მიიღო, რომ ადგილობრივმა სპეკულანტებმა – ვაჭრებმა, როგორც მახსოვს, იჩივლეს კიდევაც: დებოშებს გვიწყობენ და გვემუქრებიანო.

განსაკუთრებული იერიში მიჰქონდა პაოლოს მაშინ რატომღაც „არშინ მალალანის“ წინააღმდეგ. ესეც ქუთაისში მოხდა. რომელიღაც დასი ჩამოვიდა და აღნიშნული ოპერეტა დაიდგა ქუთაისის თეატრში. პაოლოსაგან მივიღეთ ნიშანი მოგვეწყო თეატრში ობსტრუქცია. შევიარაღდით მყრალი სითხით. ერთ-ერთს (არ მახსოვს ვის) დაევალა ელექტრომავთულების გადაჭრა. დავიკავეთ ჩვენ-ჩვენი ადგილები თეატრის ქანდარაზე. დაიწყო წარმოდგენა. უეცრად ჩაქრა სინათლე. ვისარგებლეთ შემთხვევით და მყრალი სითხე მოვასხით თეატრში. შეიქნა აურ-ზაური. სპექტაკლი ჩაიშალა. ვაჭრების ჩივილს ეს სკანდალიც დაემატა და ქალაქის მესვეურებმა დაადგინეს ჩვენი ქალაქიდან გამოსახლება. გადასასახლებელთა ჯგუფში ელო ნაზარიშვილიც იყო. საქმეში ჩაერია ზოგიერთი უფროსი მეგობარი და გაძევებას გადავრჩით. სერგო კლდიაშვილი იმ წლებში მოუსვენარი და მაშინდელი საზოგადოებრივი წესრიგის ცნობილი მტერი იყო კოლაუ ნადირაძესთან ერთად, მრავალჯერ ამოუყვია თავი მილიციაში. რამდენჯერ მიგვიმართავს დავით კლდიაშვილის ავტორიტეტისათვის, მაგრამ დავითს ცივი უარით გამოვუსტუმრებივართ: „ეგდოს იქ, ჭკუას ისწავლის“, – გვეტყოდა ღიმილით. ამ რეპრესიების მიზეზი იგივე „ჰკათ სპეკულანტებს“ იყო. სპეკულანტები თავისუფლად ფარფაშობდნენ, კონტრაბანდისტები თურქული ლირებით იტენიდნენ ჯიბეებს, სერგოს კი ერთხანს მილიციაში აყურყუტებდნენ.

ჩვენი საყვარელი შესაკრები ადგილი ქუთაისის ცენტრი იყო, მაგრამ არა ბულვარი. რატომღაც ამოჩემებული გვქონდა ე. წ. „სობორო“, რომელიც ახალი თეატრის გვერდით მდებარეობდა. ტაძარში შესასვლელ საფეხურებზე გვიყვარდა ჩამოჯდომა და... ღამის თევა. რა იყო საუბრის თემა? პოეზია. დირიჟორობას საუბარში ყოველთვის პაოლო სწევდა. მას მხარს არ უგდებდა კოლაუ ნადირაძე, რომელიც ყოველთვის დენდივით იყო გამოწყობილი ახალ კოსტუმში, ჰქონდა ისეთი ჰალსტუხი, რომლის მსგავსი არავის არ გააჩნდა ქუთაისში და ყველას თვალს სჭირდა.


პაოლო ღრმა გულის პატრიოტი იყო. იცოდა სიყვარული და მეგობრობის უღელის გაწევა. ძმასავით უყვარდა ტიციანი. მათ სიამის ტყუპებს ვეძახდით. მის გულში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი კოლაუ ნადირაძეს, ვალ. გაფრინდაშვილს და ალი არსენიშვილს. სწორედ ამ სიყვარულით, ამ მეგობრული სითბოთი არის გაჟღენთილი მისი ლექსები, რომლებიც ტიციანს, კოლაუს და ალის უძღვნა.

საცარი იყო ალი არსენიშვილი. ისეთ განათლებულს, პოეზიის მცოდნეს, განსაკუთრებით რუსულისას, იშვიათად შევხვედრივარ. ჰქონდა დახვეწილი გემოვნება. რუსი სიმბოლისტების და განსაკუთრებით ბლოკის ლექსები ზეპირად იცოდა. ცნობილია მისი წერილი ა. ბლოკთან და უკანასკნელის პასუხი. საათობით შეეძლო ესაუბრა პოეზიაზე და როგორი საუბარი იცოდა! ჰქონდა საოცარი ასოციაციური აზროვნების უნარი. და კრიტიკული აზროვნების ასეთმა მცოდნე და ნიჭიერმა წარმომადგენელმა ცოტა რამ დატოვა. თავისი აზრების ქაღალდზე გადატანა არც ისე კარგად ეხერხებოდა. თუ საუბარში მისი ყოველი ფრაზა სიტყვის ჭეშმარიტ ოსტატს შეშურდებოდა – ასეთი როდი იყო თავის მცირერიცხოვან სტატიებში. ამ მხრივ ის წააგავდა შესანიშნავ მოქანდაკეს ი. ნიკოლაძეს – საუბრის დიდ ოსტატს.

მახსოვს ქუთაისის ხავერდოვანი ღამე, ცა, ვარსკვლავებით მოჭედილი. ჰქროდა ზენა ქარი თბილი და ყვავილთა სურნელებით დაჟღენთილი. თეატრის წინ მდებარე კაფე დახურული იყო. პაოლო, რომელიც ასე შესტრფოდა გაზაფხულს, მზეს, სილამაზეს – კაფედან გამოვიდა, მას მიჰყვებოდნენ ვალ. გაფრინდაშვილი, სანდრო ცირეკიძე, რაჟდენ გვეტაძე, სერგო კლდიაშვილი, კოლაუ ნადირაძე, შალვა კარმელი – გამხდარი და მკრთალი სახის მქონე. გვიან იყო. ქუჩებში ვინმე დაგვიანებულის ფეხის ხმა თუ ისმოდა და ხეების შრიალი. პაოლო კი ტრიოლეტებისა და სონეტის ფორმას ასხამდა ქება-დიდებას.



ქუთაისის სობორო



რიონისპირი



ვაღერიან გაფრინაშვიღი, პაოღო იაშვიღი, ნიკოღო მიწიშვიღი, კოღაუ ნაღირაძე, ივანე ყიფიანი, რაჟღენ გვეტაძე. 1932 წ.

სონეტი ტევადი ფორმაა. მას პოეტი თავის განკარგულებაში ჰყავს – ამბობდა პაოლო, გინდა თუ არა თოთხმეტ სტრიქონში უნდა ჩაეტიო. სონეტი იწერებოდა ჩვენამდეც, მაგრამ მე მხედველობაში მაქვს სწორი სონეტი, რომლის კატრენებში ოთხ-ოთხი სტრიქონი ერთმანეთს ერითმება, ხოლო ტერცინებში უფრო ჯვარედინი რითმებია, საერთოდ კი ამ შემთხვევაში პოეტს მეტი თავისუფლება ენიჭება. თქმულის საილუსტრაციოდ ი. გრიშაშვილის სონეტები მოჰყავდა. მის როლს ლექსის რეფორმაში დადებით შეფასებას აძლევდა, თუმცა სონეტების ფორმის დარღვევას უკიჟინებდა ზოგიერთ შემთხვევაში. სონეტს უხდება არა ათმარცვლოვანი, არამედ თოთხმეტმარცვლოვანი ლექსიო. ამიტომ პაოლოს მოსწონდა ი. გრიშაშვილის თოთხმეტმარცვლოვანი ლექსით სწორად დაწერილი სონეტი. ალბათ, მხედველობაში ჰქონდა ი. გრიშაშვილის 1910 წელს დაწერილი სამი სონეტი, რომელთაგან ორი ათმარცვლოვანია, ერთი კი თოთხმეტმარცვლოვანი და სონეტის ყველა პირობას აკმაყოფილებს.

ეკლესიაში შესასვლელ კიბეზე შედგა და მისთვის ჩვეულებრივი ტემპერამენტით წაიკითხა „სონეტი ელლის“. ეს სონეტი გამოირჩევა მზის სურნელებით, გაზაფხულის ელვარებით. მე ახლაც მომწონს იგი, განსაკუთრებით ის ადგილი, სადაც პოეტი მიმართავს ბაღებს:

ჩემო ბაღებო. აყვავიღდით. იმხიარულეთ!
გაზაფხულის ღღე. შეხვედრის ღღე ხომ დაგვიბრუნდა?

პაოლოს გულში მზე დუღდა, ბობოქრობდა და თავის შუქით გვანათებდა, გვათბობდა. საოცარი მეგობრობა იცოდა, არაფერს დაზოგავდა, რომ დახმარების ხელი გაეწოდებინა მეგობრისათვის, თბილი სიტყვა ეთქვა, მხნეობა მიეცა; ფული დაგვჭირდებოდა – თუ ჰქონდა მოგცემდა, არ მოგთხოვდა დაბრუნებას, არც თვითონ აბრუნებდა ნასესხებს – არ ახსოვდა. ასეთი იყო არა მარტო „ცისფერყანწელთა“ მიმართ. არა! მის პოეტურ ტალანტს ყოველთვის უხაროდა ახალი პოეტური ნიჭის გამოჩენა და მასთან ახლო კავშირის დამყარებაც იცოდა. ჯერ კიდევ თავის პოეზიის გარიჟრაჟზე დაწერა სონეტი, რომელიც ვალ. გაფრინდაშვილს მიუძღვნა და რომელშიც მან მაშინდელი ორთოდოქსი სიმბოლისტის სურათი დახატა:

გული აღტაცებული სერს. მგოსანო. მარად იქროლო.
ჩემი სონეტი შენ – ძვირფასო ძმაო და ცოლო.

ამ აღტაცებულ გულს პატივსა ვცემდით, მისი ცეცხლით ვსუნთქავდით. საოცარი ფანტაზიის პატრონი იყო. რატომღაც უყვარდა ჭკუაშერეკილებთან და მათხოვრებთან საუბარი ან მათზე ლაპარაკი. იცოდა, რომ ერთ-ერთ მეგობარს, ვალ. გაფრინდაშვილს არ სიამოვნებდა ეს და განგებ ჩამოუგდებდა ხოლმე მას საუბარს რომელიმე გიჟის მიერ ვითომდა ჩადენილ ამბებზე; ამით აღიზიანებდა მის ნერვებს, გამოყავდა წონასწორობიდან, შემდეგ კი იმდენ ალერსს მიაფრქვევდა, რომ მოყოლილს დავიწყებას ვაძლევდით. ვალერიანის ტუჩებს, მთელ სახეს საოცარი ღიმილი გადაეფინებოდა. ისეთი ღიმილი მე იშვიათად დამინახავს ვინმეს სახეზე; ამ ღიმილში ისახებოდა მთელი მისი მდიდარი სული, მისი შინაგანი სინაზე; ეს ღიმილი ყოველთვის რაღაც იდუმალებით იყო მოცული, ჯიოკონდას ღიმილს მოაგავდა თითქოს. თითონ ვალერიანს საოცრად უყვარდა ჯიოკონდას სურათი, დიდხანს შეეძლო ელაპარაკნა მის გამოუცნობ გამომეტყველებაზე, მის თითქოსდა ირონიულ ღიმილზე. ყველას ახსოვს ვალ. გაფრინდაშვილის განრისხება, როცა ვიღაცამ თავისი ქუდი ჩამოდვა მწერალთა კავშირის მისაღებ დარბაზში მდებარე ჯიოკონდას ქანდაკებაზე. ვალერიანმა ეს მკრეხელობად მიიჩნია და სასტიკად გაკიცხა უღირსი საქციელის ჩამდენი.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ პაოლოს. როგორც ვთქვით, ის ამოიჩემებდა ხოლმე რომელიმე საღამოს და გამართულ სერობაზე თხოვდა ყველას მოჰყევით რამე საშინელი, ვის რა შემთხვევია ცხოვრებაშიო. ასეთი საღამოები ჰოფმანის საღამოებს წააგავდა. ერთ-ერთი ასეთი საღამო თბილისში გავატარეთ – უკვე გვიან. ეს იყო გ. ლეონიძესთან, როცა ის ცხოვრობდა ენგელსის ქუჩაზე, ერთ დიდ ოთახში, რომელიც ქუჩაში გამოდიოდა. ყველა იქ დამსწრე მოჰყვა რაღაც შემაძრწუნებელს, საშინელს. არ ვიცი მოყოლილი ამბები ფანტაზიის ნაყოფი იყო, თუ მართლაც ჰქონდა მათ ადგილი სინამდვილეში. მახსოვს, ყველას ყალყზე გვედგა თმები, ყველანი შიშით ვიყავით დამუხტული და ნერვებდაჭიმულები ვისხედით. გვიან დავიშალეთით. ცოტა დაშორებით გ. ლეონიძის ბინიდან, რომელიღაც სახლის შესასვლელიდან რამდენიმე კაცს რაღაც მოჰქონდა, დავინახეთ, კუბოს წააგავდა. სად მიჰქონდათ, რა მიჰქონდათ – არაფერი ვიცი. ამ შემთხვევამ დაძაბული მდგომარეობიდან გამოგვიყვანა. ავუჩქარეთ ნაბიჯს და თითქმის სირბილით დავიშალეთით. შემდეგ გვახელებდა პაოლო: „ეს ოინი მე მოგიწყვეთო“. მართლა ასე იყო? არ ვიცი. ნამდვილი ის არის, რომ პაოლო მისტიფიკაციების დიდი ოსტატი იყო...

...პაოლო თავისი ბუნებით ნამდვილი ეპიკურეელი იყო. მისი ახოვანება, მისი ბრიალა თვალები უფრო ჰედონისტური განწყობილების გამომხატველი იყო, ვიდრე მოშვებული, მიბნედილი, დაღვრემილი განწყობილებისა, თუმცა სევდა რაღაც მოუხელაზე მისთვის უცხო როდი იყო. მან მშვენივრად გამოხატა თავისი თავი სონეტში „ავტოპორტრეტი“, ამ ლექსში ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ პაოლოს სურათს როგორც ფიზიკურს, ისე სულიერს. „ამპარტავანი და ყოველთვის პირგაპარსული“ „ლამაზ რითმისთვის ერთი წუთით ჩაფიქრებული“ – მართლაც ასეთად გვესახებოდა

ის. არც ამ სტრიქონში – „მათრობს ხაშხაშის სურნელება ძველი სპარსული“ – არის მოგონილი რამ. სულ მცირე ხნით მან თავის თავზე სცადა ოპიუმის გამანადგურებელი ძალა. ცდა გამოწვეული იყო უფრო ცნობისმოყვარეობით, სურვილით თავის თავზე შეემოწმებინა ის ზეგავლენა, რასაც ოპიუმს მიაწერდნენ. ეს იყო პირველ ხანებში, როგორც ვთქვით, როცა „საქართველოში არ იწამეს მისი დენდობა“, როცა პაოლო ეფექტური გამოსვლებითაც გახმაურდა და თავისი ბუნტარული, ფეთქებადი ლექსებითაც. ზემოთ აღვნიშნე, რომ პაოლო ბუნებით, შინაგანი ხედვით და განცდით სრულიად არ უარყოფდა დიდ ტრადიციას ქართული პოეზიისა. შექსპირისა და დანტეს უარყოფა – ეს იყო არტისტული ჟესტი, ერთგვარი ნიღაბი და, ვიმეორებთ ხერხი, გამოყენებული იმისათვის, რათა შებრძოლებოდა მუზეუმების მტვერს, მოწოლილ ისტორიზმს. იქ, სადღაც გულის სიღრმეში, ქვეცნობიერ სამყაროში კი იგი „ალავერდს გადადიოდა რუსთაველთან“ და პოლონელ ხალხს ასე მიმართავდა:

ამაყო ძმებო! საღამი წმინდა
საღამი გრძნეული რუსთაველისა.

...1917 წელსვე დაწერა მან ღირსშესანიშნავი ლექსი „წითელი ხარი“. მაშინაც ვწერდი და ახლაც მგონია, რომ ამ ლექსში პაოლომ გამოხატა თავისი პოლიტიკური მაქსიმალიზმი. ამას არც ფარავდა. ამ ლექსში მთავარია საზოგადოებრივი პერსპექტივა, რომელსაც პაოლო ითვალისწინებდა, განიცდიდა. საერთოდ ის იყო მეტად დაუდეგარი. ძლიერი ემოციების მქონე. მშფოთვარე, მაშინდელი დაჭაობებული სინამდვილის მოძულე და ახალი ჰორიზონტების მაძიებელი ადამიანი. ის ხომ ქუთაისის გიმნაზიიდან გარიცხეს და მგლის ბილეთი მისცეს, შემდეგ იძულებული გახდა ანაპის გიმნაზიაში განეგრძო სწავლა.


ეს შეშფოთება სულისა, ეს მოლანდება ახალისა, რაც არ ქონდა ჯერ ნათლად წარმოდგენილი, გამოხატა მან ლექსში „წითელი ხარი“. ლექსს ახასიათებს ენერგიული და დინამიკური რიტმი, რითმები, რაც მას მეტად მუსიკალურს ხდის. ლექსი დატვირთულია თუმცა ბუნდოვანი, მაგრამ საკმაოდ გაბედული სახეებით, მისი ლექსიკაც ახლებურად ჟღერს. ლექსში იგრძნობა მოლოდინი, რომელიღაც ცეცხლის, მზის ნაპერწკალთა, გახურებულ ჰაერისა, რომელსაც ნაკვერცხლები სცვივა, იგრძნობა დაუსრულებელი ლტოლვა მზისაკენ. ეს მზიური განწყობილება აძლევს ლექსს თავისებურ შნოსა და იერს. და თითქოს თვითონ იწოდა მზის ნაპერწკლებით, როცა მას კითხულობდა:

გაგიჟდება აღით მხარე. ცისკენ მიჰქრის კვნესით ხარი.
მიწა რქებით მონათხარი ნაკვერცხლებად სცვივა ჰაერს.
ხარის ღანდი გაჩნდა ცეცხლში ზღვა აღარ ჩანს ოქროს მტვერში.
მიწის სუნთქვა აქ ფრთებს ვერ შლის.
ვერ შლის სურვილს ათასნაირს.

რას გულისხმობდა ის ამ წითელ ხარში, რომლის რქებით მონათხარი მიწა ნაკვერცხლებად სცვივა ჰაერს? მთავარია აქ საერთო განწყობილება. ყოველ შემთხვევაში ლექსში რომ არის მინიშნება რაღაც შეურიგებლობაზე არსებულ სინამდვილესთან – ეს, ვფიქრობ, ცხადი უნდა იყოს.

პაოლო იაშვილს ჰქონდა ადრე დიდი და მწვავე შინაგანი ტკივილები, ვიტყოდი – დიდი სევდაც. ეს იცის ყველამ, ვინც მას პირადად იცნობდა და უფრო ახლო იდგა მასთან, როგორიც იყვნენ ტიციან ტაბიძე და ნიკ. ნადირაძე. ამ ტკივილს, ამ სევდას ასაზრდოებდა მისი მკვეთრად გამოხატული პატრიოტული განწყობილება, მისი ხალხის ტრაგიკული წარსული. ის სიტყვით როდი

იყო პატრიოტი. თავისი უანგარო სიყვარული სამშობლოსადმი პოეტმა დაამტკიცა რევოლუციის პირველ წლებშივე, როცა თურქეთის მაშინდელმა მესვეურებმა ისარგებლეს შინაგანი არევ-დარევით და ჩვენს ქვეყანას შემოესივნენ ახალციხის მხარედან. პაოლო და ტიციანი ჩადგნენ იმ მებრძოლთა რიგებში, რომლებიც სისხლით იცავდნენ თავის ქვეყანას შემოსეული მტრებისაგან.



"დუეტი ნარიყალაზე", ე. გუდიაშვილი (სემ 1752-გრ)


პაოლოს მრავალი ლექსი, თუ ყველა არა, ბიოგრაფიული ხასიათისაა, მათში სინამდვილეში მომხდარი ამბები არის აყვანილი პოეზიის დონეზე. ასეთია თუნდაც მისი ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი, რომელიც ალი არსენიშვილს მიეძღვნა. მაშინ ეს ლექსი დიდ მოწონებას იმსახურებდა, ყოველ შემთხვევაში, მის მეგობრებს შორის მაინც. მაშინ ცოტა ლექსი თუ დაბეჭდილა გაზეთში, რომ ის წინასწარ არ ყოფილიყოს წაკითხული ავტორის მიერ მეგობრების წრეში. იმართებოდა ლექსებით ფარიკაობა, რომლის უფრო ხშირი მონაწილენიც იყვნენ: პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, გ. ლეონიძე, ნიკ. ნადირაძე და ვალ. გაფრინდაშვილი. ამ ლექსების ჭახა-ჭუხი ისმოდა არა მხოლოდ ჩვენს ოთახებში, – უფრო ხშირად ქუჩებში, ქიმერიონში, განსაკუთრებით კი რუსთაველის პროსპექტზე – განთიადისას, როცა ლექსების მუსიკა უერთდებოდა ბელურების დილის ჟივჟივს. თითქოს ახლაც ჩამესმის ყურში პაოლოს მკაფიო კითხვა თავისი ლექსისა:

ფანტავდა კვაღსა მატარებელი.
აყვავებული ცყემლის რტოებად:
შენი სიტყვები უდარებელი
უკან მისდევდა ქარს ღევკოებად
და ტოგა მოხსნიღს მაინც დაგშვენდა
შენ რეტიანი ღექსით ბარბაცი.
და მოდიოდი ძვირფასო, ჩვენთან,
ვით ღოენგრინი და ჯარისკაცი.

ამ ლექსის ბიოგრაფია თვით ავტორს აქვს მოცემული შემდეგ წამძღვარებულ სტრიქონებში: ვაგონი, ცხენებით ხუთი გუსარი. აწყურისაკენ. პაოლო და ტიციანი ცხენოსანთა რაზმში იყვნენ და მონაწილეობას იღებდნენ აწყურთან ბრძოლაში.

პაოლო როდი იყო გამოთიშული საზოგადოებრივ ცხოვრებას, მაშინაც კი, როცა ის, ასე ვთქვათ, წმინდად იცავდა დეკადენტური პოეზიის პოზიციებს, იცავდა როგორც ლექსებით, ისე საჯარო გამოსვლებით. პაოლოს პატრიოტულად აჟღერებული ლექსი „დაცემულ ბათომს" იყო გამოხმაურება იმ ტრაგიკულ მოვლენებისა, რომელთა ზეგავლენას მაშინ ჩვენი ქვეყანა განიცდიდა. ასკერების მოწოლის შედეგად დაეცა ბათუმი. მინდა ამასთან დაკავშირებით მოვიგონო ერთი ეპიზოდი. ეს იყო მგონი 1918 წელი. ბათუმს საშიშროება მოელოდა. საჭირო იყო მისი დაცვა, ამ დაცვაში მაშინ ქუთაისში მცხოვრებმა პატრიოტულად განწყობილმა, მაგრამ საომრად სრულიად მოუმზადებელმა ახალგაზრდობამაც მივიღეთ მონაწილეობა. ჩვენ რაზმს მეთაურობდა ჩვენი სასიქადულო მწერალი დავით კლდიაშვილი. რაზმი იდგა ხულოსთან. თუ მეხსიერება არ მღალატობს, სწორედ ეს მომენტი აქვს აღბეჭდილი მხატვარ კროტკოვს სურათზე (ის იყო ჩვენი ხატვის მასწავლებელი რეალურ სასწავლებელში – კაცი ფრიად განათლებული და ახალგაზრდობის მოყვარული), რომელიც მან დ. კლდიაშვილის იუბილეს მიუძღვნა. დავითი გახარებული იყო ახალგაზრდობის პატრიოტული აღგზნებით, მაგრამ, როგორც მხედარმა, ისიც კარგად იცოდა, თუ რისი მაქნისი ვიყავით. მალე ჩვენი რაზმი შეცვალა ჯარის პატარა ნაწილმა, მაგრამ ფაქტი ის იყო, რომ ბათუმი დაეცა. ამ ტრაგიკულ ამბავს პაოლო გამოეხმაურა დასახელებული შესანიშნავი ლექსით; საყურადღებოა, რომ პაოლოს არც ამ ლექსში ღალატობდა ოპტიმიზმი, რწმენა, მზიური მღელვარება:

ბრძანება ისმის და სმენა ჩქარა.
გაშაღეთ მზეზე კრიაღა ხმენი
ან დავიბრუნოთ ჩვენი აჭარა.
ანდა ბათომთან დავცტოვოთ ძვლები.
აღრე სულთანი ნუ გაიხარებს.
აღმოსავლეთის აღრეა ცაში. –
ჩვენ დავიბრუნებთ ბათომის კარებს.
მწარე იქნება ჩვენი რევანში.



საკრებულო დარბაზი.

ბათომის ქართველთა ეროვნულ საბჭოს და ქ. შ. წ.
ქ. გ. საზოგად. მეთაურის ვანყოფილების მიერ

სამშაბათს, 11/24 იანვარს 1920 წელს გაიმართება მე XXVII ტრადიციული

ქართული საღამო

პროგრამა

განყოფილება I.

სურათი საქართველოს ბუნებიდან ეროვნული პოეზიით.

განყოფილება II.

ა) ქართული სიმღერები—შესრულებენ დები თარხნიშვილები თავიანთი გუნდით.

ბ) ქართულ ლექსებს წაიკითხავს პოეტი პაოლო იაშვილი

განყოფილება III.

ა) რომანსები და არიები—შეასრულებს საქართვ. სახელმწ. თეატრის მომღერალი ივ. სარაჯიშვილი

ბ) სცენები—წაიკითხავს თავადი

გ) რომანსები და არიები—შეასრულებს საქართვ. სახელმწ. თეატრის მომღერალი ალ. ინაშვილი

განყოფილება IV.

ა) ქართული ლექსები—წაიკითხავს პოეტი ი. გრიშაშვილი

ბ) დუეტი ოპერიდან „ბოჰემაში" და ეთერი, შეასრულებენ ი. სარაჯიშვილი და ალ. ინაშვილი

განყოფილება V.

ცეკვა. დეკლამაცია, სიმღერა და ცეკვები.

დასასრულს ქეიფი დარბაზში

რაიონის დირექციისაგან.

საღამოს დასაწყისი სრულ 7 საათზე

საღამოს გამგე გრ. ელიავა

"ქართული საღამო",
ორგანიზებული "ბათომის ქართველთა
ეროვნული საბჭოს მიერ"

II განყოფიერება: "ქართულ ლექსებს
წაიკითხავს პოეტი პაოლო იაშვილი",

1920 წ.

ასეთი ღია ფერებით არის შესრულებული ფინალი ლექსისა. პოეტის წინათგრძნობამ ხორცი შეისხა. 1921 წელს, ბათუმში შემოსულმა წითელმა ლაშქარმა ქართველ მებრძოლებთან ერთად ბათუმი მშობლიურ სხეულს საბოლოოდ შეუხორცეს. და რა კარგი ახალგაზრდობა გამოეთხოვა იმ დღეებში მშობლიურ მზეს, ლაჟვარდებს, შავი ზღვის მშფოთვარე ტალღებს ანაკლიისა და სხვა ფორტებზე...

ამავე სამწუხარო, სამგლოვიარო ამბავს გამოეხმაურა ტიციან ტაბიძე ლექსით „ორი აპრილი“, რომელშიც პოეტის უფრო ქვითინი ისმის, ვიდრე იმედის ნაპერწკალი:

ბათომი მისცეს და ორპირზე მოდის თათარი.
აცმის ყვავიდით სისხლიანი სტირის აპრიდი.
ყვითელ საცურნის უბედობით ავად გამხდარი.
პოეტის სულიც საქართველოს კუშად დახრიდა...

უკანასკნელი აკორდი კი ამ ლექსისა ასე ჟღერს:

საკუთარ თავის და ქალდეას ახალ შერცხვენის
ცანჯული ფიქრით სამუდამოდ მოვიქანცები.
ახ, მეგობრებო, ჩემი სული ქვარცდია სხვენის.
ცრემლით სავსეა ჩემი წიდი ჩვენი ყანწების.

ჩვენ ისე გვხიბლავს ანტიკური ლიტერატურა, როგორც აღორძინების ლიტერატურა თუ ხელოვნება, ჩვენს სულს ისევე ახარებს, ამაღლებს და წმენდს ნალექისაგან ლაურას, ბეატრიჩეს, ნესტანის თუ ოფელიას სახეები, როგორც ნატაშა როსტოვასი, ტატიანა ლარინასა თუ ნაზიბროლასი. სილამაზის ეს ზეიმი არის კაცობრიობის ბედნიერება და მისი უკვდავებაც. ის, რაც კარგი და მომხიბლავი, ლამაზი და სულის შემძრავი იყო ახლო წარსულში, ახლაც ისეთივე ჩანს. მე მხედველობაში მაქვს პაოლოს შემოქმედების ერთ-ერთი გვირგვინი – „წერილი დედას“, რომელსაც შემორჩენილი აქვს პირვანდელი პოეტური სიცხოველეც და პირველი სიყვარულის ძალაც.

შემდეგში დიდმა რუსმა პოეტმა ს. ესენინმა შექმნა აგრეთვე შესანიშნავი ლექსი იმავე სათაურით „წერილი დედას“ და თავის დროზე გახმაურებული ლექსები „ხულიგანი“ და „ხულიგნის აღსარება“ ესენინმა არაფერი იცოდა, ცხადია პაოლოს დასახელებულ ლექსზე. განწყობილებები და იდეებიც ხშირად თითქოს ატმოსფერულად ვრცელდება. თუმცა აღებულ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს არა მხოლოდ სათაურების დამთხვევასთან, არამედ ერთგვარ სევდიან განწყობილებასთანაც, რაც გამოწვეულია ოცნებით სოფელზე, სოფლის სიწმინდეზე, რაც გამოწვეული იყო ქალაქის აურზაურის გაელენით შექმნილი სულიერი დეპრესიით; გამოწვეული იყო იმ მარტოობით, რასაც განიცდიდა ქალაქში მოხვედრილი პოეტი. ჩვენ ხშირად ვთხოვდით ავტორს წაეკითხა ეს ლექსი და ისიც სიამოვნებით გვისრულებდა თხოვნას, თვითონ უყვარდა იგი, მისი ლირიკული გული ამ ლექსში ფეთქდა უფრო თავისუფლად და კითხვისას მის ხმას ეტყობოდა საოცარი სირბილე და ამასთან ერთად სულიერი მღელვარება.

ჰა! კინტოს პროფილი,
საეჭვო ცარნები,
დავიკუნტები
ქალაქის ქუჩებში მე – საიახანა.

კინტოსა და ყარაჩოხელის მოტრფიალე არასდროს არ ყოფილა არც პაოლო და არც მისი ჯგუფის სხვა წევრები. მისი გემოვნება ასეთ ტიპს ვერ ურიგდებოდა, სალახანას კი თავის თავს უწოდებდა მწარე ირონიით. სოფლის სიწმინდეს მოწყვეტილი, იგი თითქოს ქალაქში ვერ პოულობდა საყრდენს. რა თქმა უნდა, მის შთაგონებაზე ამ შემთხვევაში გავლენას ახდენდა არა ქუთაისის შედარებით იდილიური ცხოვრება. არა! მის პოეტურ ფანტაზიას არ ასვენებდა, ალბათ, პარიზში მიღებული კოშმარული ჩვენებები, მათხოვრები, რომლებიც სენის „ხიდებს ქვეშ მარსელიეზით ხვდებოდნენ დილას“, არ ასვენებდა „ევროპის ქაოსი“, „სისხლი“, „დანგრეული რეიმსი“, „რეინის ირგვლივ თაობათა გადაშენება“, რომელთაც ის გამოექცა და აქ დაიტირა „სოფლის სიწმინდე, მართალი ბათმანი“, როცა მას ქალაქში აწუხებდა „ყველა ყელსახვევი, შავი ხელთათმანი“.

მახსოვს, მაშინ, სერგო კლდიაშვილს ცრემლიც კი მოსდიოდა, როცა ჩვენ ვისმენდით ამ ლექსის ბოლო სტრიქონებს:

დედა! ინახულე
შენ წმინდა სახელი!
წადი ფეხშიშველი.
ქალაქში დაკარგულ შვილისთვის ღამე გაათიე.
ღმერთო! აპატიე —
მე თუ ვერ მიშველი —
დედას, რომ დავინთო ჩემ სიგრძე სანთელი,
მისთვის, რომ ჩემს გულში
დაყუჩდეს გრიგალი და კორიანტელი.

ჩვენ ვხედავდით თითქოს პაოლოს გაშიშვლებულ მფეთქავ გულს, რომელიც ნატრობდა მასში დატრიალებულ „გრიგალისა და კორიანტელის დაყუჩებას“.

ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ პაოლოს ჰქონდა დეკადენტური ლექსები და მან ამ ლექსებით მიიპყრო ყურადღება, რადგანაც სწორედ ისინი იჭრებოდნენ დისონანსად საზოგადოების მაშინდელ ესთეტიკურ შეხედულებებში. ამ საზოგადოებას ეხამუშებოდა ისეთი სიტყვა პოეზიაში, რაც არ ემთხვეოდა დაკანონებულ ტრადიციებს, ეხამუშებოდა ის სიახლე, რომელიც არღვევდა ლექსის დაკანონებულ ფორმას და გამომსახველობით საშუალებებს. როცა ახლა ვაფასებთ იმ წლებს, მშფოთვარე, მღელვარე წლებს, ვაფასებთ ისტორიული პოზიციიდან, არ შეიძლება უარვყოთ წვლილი, რომელიც დასახელებულმა ჯგუფმა ქართული პოეზიის განვითარებაში შეიტანა. მაგრამ არ შეიძლება მივაფუჩეჩოთ ის საშიშროებაც, რომელიც მათ შემოქმედებას ემუქრებოდა.

...საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე ხანებში, 1921 წელს, თვით მწერალთა შორის მოხდა განხეთქილება, დაარსდა ახალი მწერლობის კავშირი; ინიციატორები იყვნენ ისევ და ისევ პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე და პავლე ინგოროყვა. ახალი მწერლობის კავშირის დაარსება თავისთავად კარგად გამოხატავდა ტენდენციას, რომელიც „ცისფერყანწელთა“ პოზიციას განსაზღვრავდა. მართალია, კავშირს დიდხანს არ უარსებია. კოტე მაყაშვილის თაოსნობით და ავტორიტეტით ისევ მოხდა ლიტერატურული ძალების კონსოლიდაცია. დამახასიათებელია, რომ ახალი მწერლობის კავშირის თავმჯდომარედ იმავე პაოლოს რჩევით არჩეულ იქნა მაშინ უკვე სახელმოხვეჭილი ახალგაზრდა მეცნიერი და დახვეწილი გემოვნებით აღჭურვილი პავლე ინგოროყვა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პაოლო იყო დიდი პატივისმცემელი პავლე ინგოროყვასი, უყვარდა ის, როგორც ახალი პოეზიის ერთ-ერთი მებაირახტრე. ეს თავისი სიყვარული და ღრმა

პატივისცემა მან გამოხატა ლექსით, რომელიც პავლე ინგოროყვას მიუძღვნა. მახსოვს მწერლების სასახლე. ზამთარი. ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა. ოქროს ნაპერწკლები ბღუჯა-ბღუჯა ცვიოდა. ბუხარს შემოსხდომილთ აქ წაგვიკითხა პაოლომ ეს ლექსი. და იმ ნაპერწკლებივით ელავდა ლექსი, რომელსაც ავტორი დიდი შთაგონებით კითხულობდა:

გაღამეცებით. ცანჯუღ ღღეებით
წარსული ჰკივის უკუღმართული.
ჩვენ კი უტკბიღეს სამოთხეებით
გვინდა გავმართოთ მხარე ქართული.
მიწა მსუქანი სისხლის დაღევით
შენ შეგვათვისე — იმედიანი
და გულში გივლის მკივან აღივით
შენ რუსთაველის მერიდიანი.

ლექსი თავდება ასე:

ძმავ ინგორუყო! პოეტო აღრე
და მერე დარდო წარსული დიდების.
გულს პოეზია იქვებით ანგრევს
და გულს — დაპყრობა პირამიდების.

ჩვენ, მსმენელებს, ლექსი მოგვეწონა, რამდენადაც მასში დაჭერილია პავლე ინგოროყვას სულიერი სამყარო. იგი ჩვენთვისაც იყო „პოეტი ადრე და მერე დარდი წარსულ დიდების“.

„პოეტი ადრე და მერე დარდი წარსულ დიდების“. ზემოთ აღვნიშნე თუ რა დიდ ყურადღებას აქცევდნენ მაშინ „ცისფერყანწელთა“ ჯგუფის წევრები ლექსის ისეთ სამკაულს, ისეთ მაორგანიზებელ ძალას, როგორიცაა რითმა. პაოლომ ვალერიან გაფრინდაშვილისადმი მიძღვნილ ერთერთ ლექსში ასეთი რითმა გამოიყენა: დერიდახოლებს – გადააყოლებს. აი მთელი ეს სტროფი:

გაახელ თვაღებს. მორცხვად იტყვი: ახ უკაცრავად!
ჩამოხსნი ფრთხიღად თეთრ ნაბაღს და დერიდახოღებს.
და თუ დაკოცნი იმის თითებს დაუკაწრავად. —
ათ კოცნას თვაღი ათ მარგაღიტს გადააყოღებს.

მე ახლაც არ ვიცი კარგად რას ნიშნავს „დერიდახოლებს“. მაგრამ მაშინ თვითონ პაოლოც და ჩვენც ფრიად გახარებულნი ვიყავით ახალი რითმის აღმოჩენით.

ასევე გახმაურდა მაშინ მისი ლექსი „როგორც აფრის ტკაცუნი“, რომელიც ემყარებოდა, შეიძლება ითქვას, კარგად მოძებნილ რითმებს: ტკაცუნი – ვაჟკაცური, დასტური – ალადასტური და კეთილშობილურ სურვილს:

მინდა მიწას მარჩენაღს
ჰქონდეს მშვიდი ძიღი:

ჰგავდეს ვაჟის გაჩენა
მზის ამოსვლას ღიღის.

და რამდენი ლაპარაკი იყო ჩვენს შორის ვალ. გაფრინდაშვილის მიერ პირველად გამოყენებულ რითმაზე: რაინდს – მაინც. ეს აღმოჩენას უდრიდა. შემდეგ ამ რითმამ ხელიდან ხელში გადასვლა დაიწყო.

პაოლო ზემო იმერეთიდან იყო. მისი მშობლიური სოფელია არგვეთი. ის ყოველთვის გატაცებით ლაპარაკობდა იმერეთზე, მის დაუვიწყარ პეიზაჟებზე, მოხუცებზე თეთრი წვერებით, რომლებიც ძველი ეკლესიების კედლებზე დახატულ მოციქულებს მოაგონებდნენ. უყვარდა ნიკო ლორთქიფანიძისა და დავით კლდიაშვილის იმერეთი, მშობლიური სოფელი და ქუთაისი, სადაც მან ახალი პოეზიის კარი შეაღო. და რა გულწრფელად უმღერა მან აკაკის ქუთაისს, არგვეთს, ნიკ. ლორთქიფანიძესა და დ. კლდიაშვილს! პაოლო ყოველთვის მოწიწებით და სიყვარულით გაიხსენებდა ხოლმე ნ. ლორთქიფანიძის სახელს, მეგობრობდა მას. მეგობრებითურთ ეწვია დავით კლდიაშვილს სიმონეთში. ეს წვეულება ცოცხლად აქვს აწერილი სერგო კლდიაშვილს თავის მოგონებებში მამაზე და მე მინდა კიდევ გავახსენო მკითხველს გემოვნებით დაწერილი ლექსი პაოლოსი ნიკო ლორთქიფანიძეზე, რომელშიც ასე მოხდენილად, არტისტულად აქვს დახატული ავტორს მწერლის პორტრეტი, – მისი პოეტური სული, ადამიანური კეთილშობილება, მისი იშვიათი პროფილი...

ხარ მოეცვარე. ვით საცევარი.
ემორჩილები მზეს და იაღონს.
მომეცი ნება როგორც მწევარი
ღექსი გაჩუქო ბუნებით ბაცონს.

ლექსი მართლაც მწევარივით არის მოქნილი და გრაციოზულიც. დავით კლდიაშვილის სამყარო კი მოათავსა სულ ორ სტროფში, რომელთა წაკითხვისას არ შეიძლება არ წარმოგიდგეთ მის შემოქმედებაში გაცოცხლებული იმერეთი.

შენში გაცოცხლდა იმერეთი თავის მაქრებით,
მე ვუმზერ ბოსტნებს, ვიწრო შარებს, შუშის ბოგირებს,
აგერ ირიხე მეწვრილმანეს აცდენს ვაჭრობით,
მღვდელი ზოსიმე დამშეული ჯორს მოაბოგინებს.
თაგდა და კაღო. გაღესილი ჩქარი ნამგალი,
ღობეში ღორი უღღიანი ღრიალებს მწარედ,
და სოლომონი. გაცრეცილი მხნე მაჭანკალი,
ჭიშკართან ყვირის „მაინძელო. გამოდი გარეთ

ლექსში ყურადღებას იქცევს ყოველი დეტალი, ყოველი სიტყვიერი საღებავი, რომელიც იმერეთის სურათს ცოცხლად აღადგენს.

პაოლოში სიმბოლისტ პოეტებიდან ყველაზე მეტ ინტერესს იწვევდა არტურ რემბო. უფრო ხშირად მასზე ჰქონდა საუბარი. თარგმნა მისი „მთვრალი ხომალდი", რომელსაც ხშირად იტყოდა



პაოლო იაშვილი წარმოსთქვამს სიტყვას მწერალთა კავშირის აივნიდან
დავით კლდიაშვილის დაკრძალვის დღეს. 1931 წ.

ხოლმე ზეპირად. რემბოს მიუძღვნა აგრეთვე ლექსი, რომელშიაც მან გამოხატა დამოკიდებულება კაპიტალისტურ ევროპასთან, თავისი პროტესტი, მართალია, არა მებრძოლი, მაგრამ მაინც შენიღბული პროტესტი. ეს ლექსი დათარიღებულია 1920 წლით და იგი თავდება ასეთი სტროფით:

ცირიცის დროა! და ქვეყანა მოდის ლაჩრობით.
ძველი ევროპის სქელი ფაშვი დღეს იფატრება.
გაძარჯვებული ხეტიალით. ჩხუბით. ვაჭრობით.
არტურ მართალი! გვინდა შენთან დაბინაურება.

უეჭველია, პაოლო უფრო რემბოსთან პოულობდა სულიერ ნათესაობას. ისეთივე ბობოქარი, დაუდეგარი და მეოცნებე პროტესტანტი იყო. მასავით უყვარდა „ხეტიალი“, თითქოს და პრაქტიკული საქმიანობა. პაოლო სრულიად არ წააგავდა ხასიათით ტიციანს: ისინი ერთმანეთს ავსებდნენ. ტიციანს ერთი წუთით არ შეეძლო ეცხოვრა პოეზიის ატმოსფეროს გარეშე, პოეზია და საერთოდ ლიტერატურა წარმოადგენდა მის ჟანგბადს, იმით სუნთქავდა, იმით ცხოვრობდა. ყველგან და ყოველ დროს ლიტერატურის საკითხებზე შეეძლო ესაუბრა. მის რკალში იყო მოქცეული და იყო მეტად ერუდირებული. ახლა, როცა მისი სტატიებისა და ლექსების წიგნები გამოვიდა, ტიციანი კიდევ უფრო გაიზარდა მკითხველთა თვალში, მას მეტი მიმდევრები და თაყვანისმცემლები აღმოუჩნდა, მისი რომელიღაც სულიერი ტკივილი, მისი ემოციები უფრო მომხიბლავნი აღმოჩნდა. გერონტი ქიქოძემ წაიკითხა სტატიების ეს წიგნი და გახარებულმა მითხა: ტიციანი რომ შესანიშ-

ნავი პოეტი იყო ვიცოდი, მაგრამ რა მოაზროვნე ყოფილა, რა ფაქიზი გემოვნება ჰქონია, რამდენი რამ სცოდნიაო! შეიძლება ითქვას, ტიციანს წუთიც არ ჰქონია ცხოვრებაში, რომ არ ყოფილიყოს შთაგონებული პოეზიით, ორფეოსის ხმით. პაოლო კი... მისი სურათი ზედმიწევნით სიზუსტით არის დახატული ირ. აბაშიძის ცნობილ ლექსში, პაოლო იაშვილს რომ მიუძღვნა. მას შეეძლო თვეობით გაშორებოდა თბილისს, წასულიყო სანადიროდ, მეგობრებში გაეტარებინა დრო. როგორც ვთქვით, ნამდვილი ეპიკურეელი იყო. რა სიმართლეა სიტყვებში, რომლებითაც ირ. აბაშიძე მიმართავს ტრაგიკულად დაღუპულ პაოლოს: „წლობით შეგეძლო გემიჯნურა, გეგრძნო, გელოთა, მუდამ ზეიმად, მუდამ ლხინად გამზადებული, ძმობის შემკვრელი, სუფრის თავი, ბეჭის დამჭრელი, გადაყოლილი მრუდს თუ მართალს... ჰაი, დედასა! ასე გიცნობდა, თუ გიცნობდა, სადმე ქართველი“. პაოლო მართლაც „ამქვეყნიური ნექტრით იყო დამთვრალი“. დიდ დროს ფლანგავდა, რამდენი შთაგონებული წუთი გაუშვა ხელიდან, რამდენი ოცნება დარჩა ხორცშეუსხმელი. დარდიმანდი და ოქროპირი, მომლხენი, რომელიც მოხდენილ სიტყვებს უხვად ფანტავდა, შეუდარებელი თამადა, სუფრის მშვენება – ასეთი იყო პაოლო ცხოვრებაში. მისი ექსპრომტები, ქართულად და რუსულად თქმულნი, სუფრაზე გაოცებას იწვევდნენ დამსწრეთა შორის, ასეთ ბრწყინვალეს, მაგრამ წარმავალ დიდებაში ეხარჯებოდა ძვირფასი დრო და იქნება ესეც არის იმის მიზეზი, რომ მოცულობით არც თუ ისე დიდი პოეტური მემკვიდრეობა დატოვა.

პაოლოს ყავდა შესანიშნავი ძმები. მათ შორის ერთი უფროსი, მიშა, პროფესიით ექიმი, იმპერიალისტური ომის დროს ფრონტზე ნამყოფი. მეტად ხუმარა იყო, იცოდა ამბის შესანიშნავად მოყოლა. როცა ის ჰყვებოდა რაიმე სახუმარო ამბავს, სუფრა სიცილისაგან ზანზარებდა, თვითონ პაოლო, თუმცა მას მრავალჯერ ჰქონდა მოსმენილი მიშას მიერ ნაამბობი, მაინც პანივით ხარხარებდა. ცოტას შევსწრებივარ ისეთ სუფრას პაოლოსთან, რომ იქ არ ყოფილიყო ზორბა, გულკეთილი, გულუხვი მიშა, და თავისი ენამოსწრებული ოხუნჯობით დამსწრეთა შორის მხიარულების ცეცხლი არ გაეჩაღებინოს. პაოლოსაც მეტად უყვარდა მიშა, და კიდევაც დაუთმო მას კუთვნილი ადგილი თავის მზიურ ლექსში „სამასი არგვეთელი“. სათაურიც რომ შესანიშნავი მისცა ამ ლექსს! ასოციაციით გვაგონებს სამას არაგველს. ამით პოეტმა სამას არგვეთელს იგივე ფუნქცია დააკისრა შრომის ფრონტზე, რაც სამასმა არაგველმა შეასრულა კრწანისის ველზე – ჩვენი ხალხის ცხოვრების ყველაზე უფრო ტრაგიკულ ჟამს. ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ პაოლოს ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული ვლ. ჯიქიასთან, რომელიც მაშინ, როგორც ინჟინერი, რიონჰესის მშენებლობას ხელმძღვანელობდა. ჯიქია იყო მეტად პატრიოტულად განწყობილი ადამიანი, ოცნებობდა თავისი ქვეყნის აყვავებაზე. დიდ გეგმებს სახავდა. ჩვენი ქვეყნის წელში გამართვის საწინდარს ხედავდა უფრო ინდუსტრიალიზაციაში, ვიდრე ფორთოხლებისა და მანდარინების გაშენაბაში. ეს იყო მისი პირადული აზრი, რომელიც გამიზიარა, როგორც ძველ პეტროგრადელ მეგობარს, ქუთაისში ყოფნისას. ასფალტით ფარავდა ქუთაის-წყალტუბოს გზატკეცილს, ასეთივე გეგმა ჰქონდა ქუთაის-გელათის მიმართ. აი, ეს ვალოდია ჯიქია არის ასე ცოცხლად წარმოდგენილი იმავე ლექსში „სამას არგვეთელს“. ასე რომ ეს ლექსიც ბიოგრაფიული ხასიათისაა. პაოლომ მაშინ მართლაც იდვა თავზე ჩამოეყვანა რიონჰესის მშენებლობაზე „სამასი არგვეთელი“. მას ხშირად იტაცებდა ასეთი პრაქტიკული საქმიანობა, რაც იძულებულს ხდიდა დავიწყებისათვის მიეცა შემოქმედებითი მუშაობა. თუმცა სიმართლე მოითხოვს ითქვას, რომ თავისი შთაგონება მან უფრო დაძაბა სიცოცხლის უკანასკნელ წლებში – 1933, 1934, 1935 და 1936 წლებში, თითქოს ტრაგიკული დღის მოახლოებას გრძნობდა. და თავის პრაქტიკულ საქმიანობას, რაც პატრიოტული განწყობილებით იყო მხოლოდ ნაკარნახევი, თავის შემოქმედებაშიც ასახავდა. ასეთია მისი მთელი რიგი ლექსებისა, სადაც მან ასახა როგორც კოლხიდის დაშრობის, ისე სამგორის მშენებლობის პროცესები. თითქოსდა პროზაული ამბები მას მაღალ მხატვრულ დონეზე აჰყავდა. არა მხოლოდ იმერული ნატურმორტები არის ჯადოსნური ფუნჯით დახატული („ხომ გახსოვს ტყემალში ფარგა და კორკლიანი კიტრები“), არამედ ასე თამაშობს ავტორის პოეტური ფანტაზია:

ხეები ჯარად მიდიან.
შორს — თოვლის მთები
ღგანან — ოცნებით.
თითქოს ჰაერში ჰკიდია
მიცკაიის პირსახოცები.

ასეთ პლასტიკურ სახეში აქვს წარმოდგენილი პოეტს თოვლიანი მთები.

ანდა:

მთვარე კი თეთრი ბატივით
ცაში ვარსკვლავებს კენკავდა.

ასეთ კონკრეტულ სახეში არის წარმოსახული მთვარის მოძრაობა ცაზე (ვარსკვლავები ხომ მართლაც ნაკლებად ჩანან მთვარის შუქში); ან რა უბრალო, ძალდაუტანებელ და პოეტურ დიალოგში (ჯიქიასა და ავტორს შორის) არის ასახული დიდი პრობლემა, მშენებლობის სამუშაო ძალით უზრუნველყოფის პრობლემა. და რა სულიერი სიმშვიდე, ბუნებასთან შერწყმის სურათია გაშლილი ლექსში, რომელიც მშობლიურ სოფელში ყოფნისას მიღებული შთაბეჭდილებებით არის ნაკარნახევი. თუმცა ამ ლექსში უკვე იგრძნობა ის სევდა, მსუსხავი სევდა, რამაც თავისი გამოსავალი ჰპოვა მის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში „წერილი კოლაუ ნადირაძეს", „ზემოურ სოფელში" პაოლომ მისთვის ჩვეული ელვარე საღებავებით დახატა რთველის ცოცხალი სურათები, მარანი, რომლის „ყავრის ჭერში ოქროს დანა გაურჭვია დილის მზესა". საკმარისია მარტო ერთი სტროფი მოვიყვანოთ ამ ლექსიდან, რომ წარმოვიდგინოთ შემოდგომის მომხიბვლელი, კონკრეტული, ხილვადი, რეალური სურათი:

მზეა. ქარიც... ფიცხი ჩაღა
ნაფუძარში აიმაღა.
მიეხვეცა ყანის ღობეს:
ავსებული კოგით ქაღა.
და მწყემსები ხმა წკრიალა
გვრიტს ესვრიან ფიღთა თოფებს.

ან ავიღოთ მისი „არგვეთის ღამეები", რომელშიც ასეთი ცოცხალი საღებავებით და მეტაფორული სახეებით არის დახატული არგვეთის ღამის ცა:

ცაზე ვერცხლის მერცხლები
სხედან ღურჯ ბუღეებში.
მთვარე ცივად ეცემა
შქერის ცყეში გაშართულ ტოტების ბაღეებში.
მთვარე — თეთრი ხოხობი
გაეხირა ტოტებში...

უკანასკნელი ორი სტრიქონი, მაინც იმდენად ცხოველმყოფელი აღმოჩნდა, რომ ოდნავი ცვლილებებით სხვა ლექსებშიც მოიპოვა ბინა.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ 1922, 1923, 1924, 1925 და შემდეგ წლებში, ვიდრე 1934 წლამდე, პაოლოს შემოქმედებითი მუშაობის ინტენსიობა შენელებული ჩანს. პირველი წლები როგორც პაოლოს, ისე სხვა „ცისფერყანწელთა" მუშაობა, როგორც ვთქვით დაპირობებული იყო ახალი გზების ძიებით, სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე გადასვლისათვის წარმოებული ბრძოლით. „რუბიკონისა" და „ბახტრიონის" ფურცლებზე, რომელთაც გიორგი ლეონიძე რედაქტორობდა, ხდებოდა ამ გზების მოსინჯვა, იდეოლოგიური შეიარაღება. თვითონ ჯგუფის შიგნით არ იყო ყველაფერი დალაგებული. მიმდინარეობდა შინაგანი ბრძოლა, რაც ხშირად მწვავე ხასიათს ღებულობდა.

1922–1923 წლებში შექმნილი მცირერიცხოვანი ლექსებიდან მინდა გამოვყო ლექსები „ლილი მეუნარგიას" და „ოვანეს თუმანიანს"

პირველმა ლექსმა ყურადღება მიიპყრო თავისი სინაზით, გულწრფელობით, ბუნებრიობით. ლილი – იონა მეუნარგიას ქალიშვილი – ტუბერკულოზით გარდაიცვალა. ლილი პატარა ანგელოზივით ყავდა პაოლოს წარმოდგენილი. მისმა სიკვდილმა ის მეტად შეაწუხა, სულიერი წონასწორობა დაუკარგა. მოწყენილი დადიოდა, გული ტკიოდა და ეს ტკივილი ლექსში ჩააქსოვა:

პატარა ბაიშს დაეცა ცრემლი.
პატარა ფიღტვებს მიეპარა ქიქქი და ხვეღა.
ჩამოწყდი როგორც ყვავიღი ცყეშღის
შენ რომ იყავი იღუმაღი და ქიანქვეღა.
შენ ბავშვობიდან გეღოდნენ ცაში.
ჩვენც მოგეღოდით. გაწშორება უფრო ძნეღია.
მაგრამ მე მჯერა თავის საბანში
შენ მიგიღებენ ბეატრიჩე და ოფეღია.

ასე გაჟღენთა პოეტმა ლექსი ცრემლით და გარდაცვლილს ბეატრიჩესთან და ოფელიასთან, ქალის ამ უკვდავ სახეებთან მიუჩინა ბინა.

ახლო კავშირი ჰქონდა დამყარებული პაოლოს, ტიციანს, ვალერიანს, გოგლას, კოლაუს და სხვებს დიდ სომეხ მწერალთან, ოვანეს თუმანიანთან. საერთოდ პაოლო, ტიციანი და გოგლა იმ ხანებში იყვნენ მეგობრობის ნამდვილი მინდიები. ცნობილია მათი მეგობრული ურთიერთობა ნ. ტიხონოვთან, ბ. პასტერნაკთან, პ. ანტოკოლსკისთან, ს. ესენინთან და სხვებთან. ეს მეგობრობა გამოჩენილ რუს პოეტებთან შემდეგში სხვებმა განაგრძეს, რამაც დიდი საქმე შეასრულა. როგორც ცნობილია ნ. ტიხონოვმა, ბ. პასტერნაკმა, პ. ანტოკოლსკიმ დიდი ამაგი დასდვეს ქართულ პოეზიას, მისი საუკეთესო ნიმუშები რუსულ ენაზე თარგმნეს და მკითხველთა ფართო ფენების საკუთრებად აქციეს. ეს იყო თავდადებული შრომის ნაყოფი.

...დიდი პატივისცემით სარგებლობდა, როგორც ვთქვით, ოვანეს თუმანიანი საერთოდ „ცისფერყანწელების" და პირველ რიგში პაოლოსა და ტიციანის მხრივ. მახსოვს სადილი, რომელიც ოვანეს თუმანიანმა გამართა და რომელზედაც თითქმის ყველა „ცისფერყანწელი" იყო მიწვეული. ო. თუმანიანი ცხოვრობდა დავითაშვილის ქუჩაზე. ჰქონდა ნამდვილი ლუკულის სუფრა, რომ იტყვიან ჩიტის რძე არ აკლდა. და იყო სიტყვები... სიტყვები ძმობაზე, ისტორიულ მეგობრობაზე



პაოლო იაშვილი ამიერკავკასიის მწერალთა შეკრებაზე, 1929 წ.

სომეხ და ქართველ ხალხებს შორის. ბევრი რამ ითქვა იმ დამლუპველ, გამთიშველ პოლიტიკაზე, რომელსაც საქართველოში მენშევიკური ხელისუფლება, ხოლო სომხეთში დაშნაკები ატარებდნენ და რომელიც სამარცხვინო ომით დაგვირგვინდა. სიტყვებს სცვლიდა ლექსები და ისევ ფიცი ძმობაზე... დიდი პოეტისა და მოქალაქის სიკვდილს მიუძღვნა პაოლომ 1923 წელს თავისი ლექსი. საერთოდ მისი ყოველი ლექსი იყო ნაყოფი სიყვარულის, გატაცების, ღრმა პატივისცემის. ასეთი იყო ეს ლექსიც:

როგორც მაღალი თაფლის სანთელი.
აენთე ღარიბ სომხეთის მთაზე.
და ძმობის კვალი შენგან ნათელი,
საასპარეზოდ შემოგვეთავაზე.

ცნობილია, აგრეთვე, ტიციან ტაბიძის ლექსი „ახდა ოცნება პოეტებისა“, რომელიც მან ოვანეს თუმანიანს მიუძღვნა.

პაოლო, როგორც ვთქვით, ფართო დიაპაზონის მოქალაქე იყო. უშუალო მონაწილეობას იღებდა ყოველ ახალ წამოწყებაში, ხალხის კულტურის განვითარებაში. მშვენივრად იცოდა ფერწერითი მხატვრობა. მხატვართა შორის მისი დიდი სიყვარულით სარგებლობდა ფიროსმანი, ლადო გუდიაშვილი, შალვა ქიქოძე. საერთოდ ეს მხატვრები იდგენ მაშინაც „ცისფერყანწელთა“ ყურ-

ადღების ცენტრში. მათი მხატვრული ნაწარმოებები იწვევდნენ აღტაცებას. გიორგი ლეონიძე მასალებს აგროვებდა ფიროსმანზე. კახეთში წასულ შალვა დადიანს სთხოვა მოეწოდებინა იქიდან ცნობები ფიროსმანზე, თუკი ასეთს წააწყდებოდა. თუ მეხსიერება არ მღალატობს, შალვა დადიანმა კიდევაც მომწერა წერილი ფიროსმანზე, რომელიც არ მახსოვს „ბახტრიონში“ თუ „რუბიკონში“ დაიბეჭდა.

პაოლო იყო დიდი მოყვარული სცენისა. მგონი ქუთაისში, როგორც სცენისმოყვარემ, კიდევაც მიიღო მონაწილეობა „ღალატში“, რომელიც ვიღაცის დახმარების მიზნით დაიდგა. თბილისში იგი ახლო მონაწილეობას იღებდა თეატრალურ ცხოვრებაში. ცნობილია მისი როლი ახალი საბჭოთა ქართული თეატრის შექმნაში, მისი აღტაცებული სიტყვა, რომლითაც ის მიესალმა კოტე მარჯანიშვილს 1922 წ. 23 ნოემბერს „ცხვრის წყაროს“ პირველი წარმოდგენის დროს. პაოლო გვერდში ამოუდგა კ. მარჯანიშვილს და მასთან ერთად ჩაება ბრძოლაში ქართული თეატრის აღორძინებისათვის, ქართული საბჭოთა თეატრის დამკვიდრებისათვის. პიტნავას პატარა დუქანი იყო მაშინ ჩვენი შესაკრები ადგილი. ამ დუქნის ხშირი სტუმრები ვიყავით როგორც ჩვენ, ისე მსახიობები, (ვეჩე ჯიქია, მიშა ლორთქიფანიძე, უშ. ჩხეიძე, აკ. ვასაძე და სხვ.), კოტე მარჯანიშვილი, შალვა დადიანი და სუმბათაშვილ-იუჟინიც კი, როცა ის თბილისს ეწვია. აქ სუფრაზე შლიდა და აწყობდა დიდი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი თავის მომავალ დადგმების გეგმებს, სთხოვდა მწერლებს პიესებს – ორიგინალურს, ვინაიდანო, ამბობდა, ეროვნული რეპერტუარის გარეშე ნაციონალური თეატრი არ შეიქმნებაო. ახლო კავშირი იყო გაბმული თეატრის მუშაკთა და მწერლებს შორის. კოტე მარჯანიშვილის ყოველი სპექტაკლი ეს იყო დღესასწაული, საზეიმო სანახაობა. პაოლოც, რომელიც საზეიმო განწყობილების იშვიათი გამომხატველი იყო, სახეგაბრწყინებული ესწრებოდა კოტეს სპექტაკლებს. შემდეგში როგორღაც ურთიერთობა კოტე მარჯანიშვილსა და პაოლოს შორის ოდნავ გაცივდა. თუ წინათ მჭიდრო კავშირი დამყარებული იყო არა მხოლოდ თეატრის კედლებს შიგნით, არამედ ყოველდღიურ ყოფაში, შემდეგში ეს კავშირი შენელდა. არა მგონია თითქოს ამის მიზეზი ყოფილიყოს ორ თეატრს შორის გაჩაღებული გამწვავებული ბრძოლა, რაც ხშირად სცილდებოდა შემოქმედებით საკითხებს და სულ სხვა სფეროში გადადიოდა. ყოველ შემთხვევაში პაოლო ბოლომდე დარჩა დიდი დამფასებელი კოტე მარჯანიშვილის ღვაწლისა, როგორც ახალი ქართული თეატრის ფუძემდებლისა, დარჩა მისი რეჟისორული შთაგონების ჭეშმარიტი პატივმცემელი. ამის დამადასტურებელია ის პატარა ლექსი, რომელიც მიუძღვნა პოეტმა დიდ რეჟისორს და რომელიც დათარიღებულია 1934 წლით:

როცა ცხენები. ყინვის მკვესავი.
მიჰქროდნენ თოვლზე მკერდებმიშრიდი.
უეცრად შემხვდა ღამის მზესავით
ნამდვილი კოტე მარჯანიშვილი.
საყვედურისთვის არ იყო მოცლა.
არც ვიგონებდით დამღაღავ ჭორებს.
და ქართველურმა მხურვალე კოცნამ
გაღაგვაჭქედა ერთი მეორეს.

როგორც ვხედავთ, ამ ლექსიდანაც კარგად ჩანს, რომ მათ შორის იყო რაღაც გაუგებრობა, დაირღვა მჭიდრო კავშირი რომ არსებობდა წინათ. ლექსში ლაპარაკია „დამღალავ ჭორებზე“, „ნამდვილ კოტე მარჯანიშვილზე“ და სხვ. ამ მხრივ ეს ლექსი ფრიად მნიშვნელოვანია, ვინაიდან მასში რაღაც ნართაულით, მაგრამ მაინც არის ასახული გარკვეული საფეხური, ჩვენი საზოგა-

დოებრივი ცხოვრების ერთი კუთხე. რომ მათ შორის მოხდა რაღაც გათიშვა და ლექსი ამ მხრივ სინამდვილეს გამოხატავს – ამას ადასტურებს პაოლოს კერძო წერილი; რომლითაც მას კ. მარჯანიშვილისათვის მიუმართავს და რომელიც ამჟამად რუსთაველის სახ. თეატრის მუზეუმში ინახება ხელნაწერის სახით.

ადრე პაოლო ბოჰემური ცხოვრების ერთი კოლორიტული წარმომადგენელი იყო. როგორც ვთქვით, ბოჰემა მისთვის მდიდარი სულის გამომზეურების ერთი საშუალება იყო მხოლოდ. მისი პოეტური უცნაურობანი, მისი შეუზღუდავი ფანტაზია აქ პოულობდა გამოსავალს... და ადვილად პოულობდა საერთო ენას ბოჰემის ნიჭიერ წარმომადგენლებთან, ისეთ პოეტებთან, რომელთა შთაგონებას ნაწილობრივ მაინც ბოჰემა ასაზრდოებდა. ერთი ასეთი დიდად ნიჭიერი პოეტი იყო ეთიმ გურჯი. ის გავიცანით ოცდახუთიან წლებში. მახსოვს ვერის ბაღი, სადაც საცურავი აუზია მოწყობილი. იქ იყო რესტორანი, ეთიმ გურჯი მისი ხშირი სტუმარი იყო. შემდეგ იქვე ცხოვრობდა ერთ-ერთ პატარა ოთახში. პაოლო მასთან შეხვედრისას თავის სტიქიაში გრძნობდა თავს. თვითონ ეთიმი იყო მეტად მოკრძალებული, ჩუმი, თავმდაბალი, ძალიან პატარა წარმოდგენისა საკუთარ თავზე. ერთი ღამე, როგორც იტყვიან, ამ ბაღში დავამსხვრიეთ და გარიჟრაჟს, მტკვრის ტალღების შრიალს საარის დუდუნით შევხვდით. ეს იყო ეთიმის ნაცნობი, მისი ნიჭის პატივისმცემელ მედუდუკეთა დასი – მზის პირველ სხივებს რომ ასეთი ტკბილი ხმების აჟღერებით შეხვდა. ცხოველი ნიავით დარხეულ ასეთ გარიჟრაჟს უხდებოდა ექსპრომტი, რომელიც პაოლომ ეთიმს მიუძღვნა. პაოლო ხომ ექსპრომტების ღმერთი იყო. ის არც წერდა თავის ექსპრომტებს, იქვე ქმნიდა და ზეპირად ამბობდა. და განა ბევრ მოფიქრებულ, თავზე დათენებული ღამის მანძილზე შექმნილ ლექსს შეუძლია გაუტოლდეს მათ თავისი ღრმა განცდით, სინამდვილის მოსწრებული ასახვით, ფრთიანი თქმებით, თვით ობიექტის შინაგანი ცხოვრების თუ მისი შემოქმედების ნიშანდობლივი თვისების გადმოცემით?

მესმის მისი ცრემლიანი ღაღადი:
– დასაწერად არ მაქვს სუფთა ქაღალდი.
ვერ მაჩუქა საქართველომ კალამი,
რომ დავსწერო მისთვის გულის სალამი.
მე არა მაქვს საკუთარი ბინაო,
მე წუხელი ქვაზე დამეძინაო.
მაგრამ მშვენიის სითბო რუსთაველისო
აღბათ ახლაც მონატრებით გელისო.

ეთიმის ნამდვილი ბუნება არის გადმოცემული ამ ლექსში – პოეტურად, სიწრფელით, მოხდენილად მონახული თქმებით. ეთიმი შემდეგში, მგონი 1928 წელს, უფრო ახლოს გამაცნო ი. გრიშაშვილმა. მაშინ ვხელმძღვანელობდი გამომცემლობა „შრომას“. გამოვეცი ი. გრიშაშვილის მიერ რედაქტირებული ეთიმის ლექსების პატარა კრებული. ოთახში ძალით შემომყავდა. ერიდებოდა თავისი განუყრელი ნაბადითა და ნაბდის ქუდით შემოსვლა. არც ჰონორარის მიღება უნდოდა. ასეთი თავმდაბალი კაცი, ისიც პოეტი, არ შემხვედრია!

...პაოლო საოცარი გამომგონებელი იყო. მისი ფანტაზია ყოველთვის ინტენსიურად მუშაობდა. რას არ გამოიგონებდა, ვისი თავგადასავალი არ იცოდა! ამბებს იშვიათი გატაცებით ჰყვებოდა. არ შეიძლება მსმენელის ყურადღება არ დაეპყრო. კვაჭის ტიპის შექმნაში პაოლომ, ალი არსენიშვილმა და ტიციანმა საკმაო დახმარება აღმოუჩინეს ჩვენს გამოჩენილ მწერალს მიხ. ჯავახიშვილს – ასეთი ამბების მოყოლით.

ჩვენ ყოველთვის გვაოცებდა პაოლოს შემოქმედებითი „გარდაქმნა“, გვაოცებდა მისი ლექსები, რომლებიც ელენე დარიანის ფსევდონიმით ქვეყნდებოდა. რამდენი წმინდა ქალური განცდა, ხილვა, სინაზე შექონდა მათში! ამ ლექსებში ის ასახავდა როგორც ვნებიანი ქალის შინაგან სამყაროს, ისე ქალის უმანკო სწრაფვებსაც და ოცნებასაც.

ოცდახუთიანი წლები პაოლოსათვის ნაკლებად ნაყოფიერი იყო. საერთოდ ამ წლებში „ცისფერყანწელთა“ ჯგუფი მწვავე შინაგან კრიზისს განიცდიდა. ეს კრიზისი საკმაო ხანს გაგრძელდა. ჯგუფის ახალი წევრები დაჟინებით მოითხოვდნენ სრულ გარდაქმნას, დამოუკიდებლად გამოსვლას, ჟურნალის ან კრებულის გამოცემას. ხშირად ვიკრიბებოდით და ამ საკითხზე ვახდენდით აზრთა გაცვლა-გამოცვლას. რამდენჯერმე კიდევაც იქნა მიღებული დადგენილება ცალკე კრებულის გამოცემის თაობაზე. მასალების შეგროვებაც დავიწყეთ. ამ მასალებიდან არქივში მხოლოდ ნიკ. ნადირაძის პატარა ლექსი („ფუგას“ სახელწოდებით) და ლადო გუდიაშვილის სურათების ფოტოები შემომრჩა. კრებულის გამოცემა არ მოხერხდა. პირადად პაოლო, ჯგუფის ხელმძღვანელი, არ იჩენდა მაინც და მაინც დიდ პათოსს კრებულის ცალკე გამოსვლის გამო. ის თავისი მხატვრული ალღოთი გრძნობდა, რომ ამის დრო უკვე წასული იყო. პირდაპირ ამბობდა შეკრებებზე: ჩვენ ერთხელ უკვე მოვახდინეთ გარდატეხა პოეზიაში, მოვახდინეთ ერთგვარი რევოლუცია და მიამიტობა იქნება ჩვენის მხრივ ახლა მეორე რევოლუციის მოხდენის ცდას შევუდგეთო. ამისათვის სხვები არიან მოწოდებულნიო. ამ შინაგანმა ბრძოლამ, ახალი გზის ძიებამ კარგა ხანს გასტანა.რომ ჯგუფის შიგნით უკმაყოფილონიც იყვნენ, ამის დამადასტურებელია ის რეცენზია, რომელიც არ მახსოვს რომელ წელში დაწერა ჩვენმა მეგობარმა რაჟდენ გვეტაძემ გაზეთ „ბარიკადის“ (№4) შესახებ. ამ რეცენზიაში სრულიათ გაქიაქებული იყო ის მასალა, რომელიც „ბარიკადის“ აღნიშნულ ნომერში გამოქვეყნდა. ამ რეცენზიას ავტორი ასე ათავებს: „საერთოდ „ბარიკადი“ გადამღერებულია და მის ფურცლებს საკმევლის სუნი უდის“. რაჟდენი მაშინ განაწყენებული იყო და ეს წყენა



აშკარად, საჯაროდ აგრძნობინა თავის ყოფილ მეგობრებს. იქნება პაოლო მართალიც იყო, როცა არ იბრძოდა მაინც და მაინც ახალი ჟურნალის გამოცემისათვის. მასალაც არაფერი მოუცია. მინდა მკითხველს გავაცნო ორი დოკუმენტი, რომელიც ხელთ შემომრჩა და ამ ჯგუფის შინაგან მერყეობაზე და ახალი გზის ძიებაზე მიგვითითებს. ერთი დაწერილია ჩემს მიერ. აი რა წერია ამ დადგენილებაში, რომელიც ერთ-ერთ სხდომაზე მიგვიღია უკვე 30-იან წლებში:

„შედგა ლიტერატურული დაჯგუფების „ცისფერი ყანწების“ საერთო კრება, რომელზედაც განხილულ იქნა ჯგუფის წარსული და მომავალი მუშაობის ძირითადი საკითხები. კრებაზე მიღებული იქნა შემდეგი დადგენილება:

1. საჭიროდ იქნეს ცნობილი ჯგუფის ლიტერატურული და ორგანიზაციული პრაქტიკის ძირითადი გადასინჯვა – რეკონსტრუქციული პერიოდის მოთხოვნილებათა შესაბამისად.

2. შეცვლილი იქნეს ჯგუფის სახელწოდება, რომელიც არ გამოხატავს თანამედროვე ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების იმ გაგებას, რომელიც ამჟამად ახასიათებს ჯგუფში შემავალ წევრებს.

3. ა. წ. (ეს წელი არ მახსოვს) ნოემბრისათვის გამოცემულ იქნას ჯგუფის ლიტერატურული კრებული, რომელშიაც მოთავს-



ქართული კულტურის მოღვაწეთა შეხვედრა სტალინთან, 1936 წ.
ჯგუფში: პაოლო იაშვილი, იაკობ ნიკოლაძე, ნატო ვაჩნაძე, ელენე ახვლედიანი, აკაკი ხორავა, მიხეილ ჯავახიშვილი, სტალინი, მიხაილ კალინინი, კლიმენტ ვოროშილოვი, ვიაჩესლავ მოლოტოვი, სერგო ორჯონიკიძე, დავრენტი ბერია, ნესტორ დაკობა, ანასტას მიკოიანი

დება ჯგუფის წევრთა შემოქმედებითი ნიმუშები, აგებული ახალი, სოციალისტური ცხოვრების თემატიკაზე და რომლებშიც, კერძოდ, სავსებით ჩამოყალიბებული იქნება ის ლიტერატურული პრინციპები, რომელნიც საფუძვლად დაედება ჯგუფის მომავალ მუშაობას და რომელნიც ძირითადად შემდეგში გამოიხატება:

დაადგა რა უყოყმანოდ საბჭოთა ნიადაგზე 1924 წელს გამოქვეყნებულ დეკლარაციაში, ჯგუფი ამ გზას, როგორც შემოქმედებით, ისე პრაქტიკული საქმიანობით შემდეგში შეურყევლად ატარებდა და და მიდიოდა თანამგზავრული ლიტერატურის გზით. დღეს, რეკონსტრუქციულ პირობებში, როცა წარმოებს კაპიტალიზმის ნაშთის, კულაკობის ლიკვიდაცია, მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე და ამასთან დაკავშირებით კლასობრივი ბრძოლა ჩვენში მეტად გამწვავდა, ჯგუფი საჭიროდ და აუცილებლად თვლის ძველი გზის რევიზიას, ვინაიდან თანამგზავრობა უკვე აღარ გამოხატავს მასში შემავალი წევრების იდეური და შემოქმედებითი საქმიანობის არსს. ალიარებს რა შეცდომებს წვრილბურჟუაზიულ გადახრების პერიოდში, ჯგუფი შეეცდება მომავალში ამ შეცდომების აღმოფხვრას პროლეტარული ლიტერატურის დახმარებით, ამხანაგური ზეგავლენით, რათა გახდეს მისი მოკავშირე თავისი შემოქმედებით.

ორი სამყაროს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, კაპიტალიზის ნაშთებსა და სოციალიზმის სისტემებს შორის გამძაფრებულ ბრძოლაში მთელი ჩვენი ძალღონით და შეგნებით ვდგევართ უკანასკნელის, მუშათა კლასის მოწინავე პოზიციაზე, კაპიტალიზმის მესაფლავის პროლეტარიატის საამაყო ბარიკადებზე"

ასეთი კრებული, როგორც ცნობილია, არ გამოცემულა. ჩანდა, რომ შინაგანი კრიზისი ძლიერდებოდა, ცხოვრება უკვე აღარ მოითხოვდა ჯგუფის ცალკე ორგანოთი გამოსვლას. ამას კარგად გრძნობდა პაოლო. მან უფრო კარგად აუღო ალღო სინამდვილეს და ჯგუფის ცალკე გამოსვლას გულგრილად უყურებდა, უაზრობადაც თვლიდა. მართლაც ის თავიდან ბოლომდე მართალი იყო.

გაშლილი სოციალისტური მშენებლობა იმ ხანებში მოითხოვდა შემოქმედებითი ძალების კონსოლიდაციას და არა ჯგუფების პოზიციების გაძლიერებას. უნაყოფო შინაგანი ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვა პაოლოსა და ტიციანის ხაზმა (ტიციანი ძირითადში მას ემხრობოდა). ერთ-ერთ კრებაზე მიღებულ იქნა დადგენილება ჯგუფის ლიკვიდაციის შესახებ.

აი ეს დადგენილებაც, რომელიც დაწერილია ალი არსენიშვილის ხელით. „ლიტერატურული ჯგუფი აღიარებს, რა:

1. რომ მისი სახელწოდება და ლიტერატურული პრაქტიკა (პირველი პერიოდი – 1916–1923) აღნიშნავდა ობიექტურად წვრილბურჟუაზიულ ნაციონალისტურ ბაზაზე აღმოცენებულ ესთეტიკურ-ინდივიდუალისტურ იდეოლოგიის გამოვლინებას,

2. რომ საქართველოს ოქტომბრის მიერ შექმნილმა და შემდეგ გაღრმავებულმა გიგანტურმა სოციალურმა გარდაქმნამ ჯგუფის მერმინდელ პრაქტიკას ნაწილობრივ მისცა ახალი შინაარსი,

3. რომ თანამედროვე რეკონსტრუქციის პერიოდის შინაარსის მისაწვდომად და მისი ანარეკლის მოსაცემად საჭიროა სხვა შემოქმედებითი მეთოდები, რომელიც იჭედება მოწინავე რევოლუციონურ ლიტერატურის მთლიან ფრონტზე და რომ მომავლის დაუფლებისათვის „ცისფერი ყანწების" განვლილი იდეოლოგიურ-მხატვრული გზები დაძველებული და უვარგისია,

ა დ გ ე ნ ს

„გაუქმებულ იქნას „ცისფერი ყანწების" ლიტერატურული ჯგუფის არსებობა, რათა სრული საშუალება მიეცეს მის მონაწილეებს მეტის ტემპებით განაგრძონ თავისი ფსიქო-იდეოლოგიური გარდაქმნა დამკვრელი ეპოქის პერიოდში უშუალოდ ჩაბმისათვის"

ეს დადგენილება, თუ არ ვცდები, მიღებულ იქნა 1931–32 წლებში, ამით ფიქსირებულ იქნა საქმის ნამდვილი მდგომარეობა: „ცისფერყანწელების" ჯგუფი აღარ იყო, აღარ იყო ის შინაგანი ამხანაგური დისციპლინა, ის ურთიერთგაგება, რაც წინა ხანებში არსებობდა და რაც იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა ამ ხანებში. ფაქტიურად პაოლო მოწყდა ამ ჯგუფს. მას შეეძლო დიდი ხნით გასცლოდა თბილისს; გატაცებული მონადირე იყო. უყვარდა ნანადირევით გამასპინძლება.

...პაოლო იაშვილის ლექსი „დებედაჩაის ღამე" შთაგონებულია აგრეთვე ღამით, რომელიც მან ნიკ. ნადირაძესთან ერთად ნადირობაში გაატარა. ოღონდ ამ ლექსში პოეტი გატაცებულია არა იმდენად მონადირის ღამის აღწერით, რამდენადაც თავისი ლირიკული მღელვარების გადმოცემით. ეს ღამე მისთვის აღსანიშნავია იმით, რომ მან თვალი მოკრა თურქი მასპინძლის ასულს, რომელმაც „უკვე განთიადს გაუღო კარი", პოეტი განაგრძობს:

შემომაცქერდა.
ვეღი აძგერდა.
როგორც ასკერთა
ბრძოლაში მიწა.
შებრუნდა, როგორც თევზი საცერთან
და მოშრიალდე ქიდობზე მიწვა.

ამ ლექსში, გარდა ლირიკული მღელვარებისა, განწყობილებას ქმნის ლექსის მელოდიურობა, რაც მიყოლებულ ოთხ რითმას ემყარება: შემომაცქერდა – აძგერდა, ასკერთა – საცერთან.

აღსანიშნავია ლექსები, რომლებშიც პაოლომ გამოხატა თავისი გაგება პოეზიისა, გვაუწყა თუ რას განიცდის პოეტი შემოქმედების დროს, თუ როგორ მიმდინარეობს ეს მეტად რთული პროცესი. ეს ლექსებია: „პოეზია", „პოეზიის ინჟინრებს", „პოეტის საქმე" პოეტი სრულიად არ იზიარებს იმ აზრს, თითქოს ლექსი იყოს შედეგი იოლი შემოქმედებითი პროცესისა, რომელიც უმტკივნეულოდ მიმდინარეობს. არა! ლექსი არის შედეგი დაძაბული შემოქმედებისა, რომელსაც თან ახლავს სიტყვასთან ბრძოლით გამოწვეული ტანჯვა, ძიება, სულიერი შფოთვა, იმედის გა-



ბრწყინება და მისი ჩაქრობა, მიზნის მიღწევა – შექმნა ლექსისა, რაც დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას იწვევს და რომელიც „დარჩება წმინდა, როგორც პეპელა“ ავტორისათვის „არ არის ტანჯვა უფრო უზარმაზარი, როგორც პოეტის შთაგონებით დასნეულება“, იმიტომ, რომ მასთან დაკავშირებულია შთაგონების ცეცხლში გახვევა. პაოლოს გაგებით, პოეტს იმდენი თვალი უნდა ჰქონდეს, რომ ყველა ნახოს, იმდენი გული, რომ ყველა იგრძნოს. ლექსის შექმნა მისთვის ერთი წლის სიცოცხლეს უდრის:

რამდენი ლექსი დაიწერა, იმდენი წელი
ჩამოეწერა ჩემს ცხოვრებას ვით ადამიანს.

ასეთ ძნელ, რთულ და მტკივნეულ პროცესად ესახება პოეტს შემოქმედებითი პროცესი. როცა სიტყვა კვიატი შეახურებს და „სისხლი, აზრი, სული“ იქცევიან „იმის მონებად“. ეს პროცესი, ეს ჭიდილი სიტყვასთან ალბათ განცდილი აქვს ყველა ჭეშმარიტ პოეტს.

...უკანასკნელ წლებში შექმნა პაოლომ ერთი თავისი საუკეთესო ლექსთაგანი – „ლირიკული მისამართიდან“, რომელიც დღეს კიდევ მეტი ძალით ელავს.

მოუსვენრობა ვერაფერმა ვეღარ გახარა.
გამოჩნდი იმ დროს. იქვები რომ მებადებიან.
ნუ გეშინია. ჩემო კარგო. თმაში ჭაღარა –
ეს სინათლეა. სიყვარულს რომ შემატებია.

ეს ლექსი დღეს ყველამ იცის. ეს არის ჰიმნი, რომელიც ასე შთაგონებულად უმღერა სიყვარულს, სიმღერა შესანიშნავ, დაუვიწყარ მეტაფორაში გაშლილი.

არ შეიძლება ნაიშალოს მეხსიერებიდან პაოლო, რომელმაც პირველად წაგვიკითხა თავისი „თბილისი“, ერთ-ერთი შესანიშნავი ლექსი მათ შორის, რომლებიც ჩვენს დედაქალაქზე არის დაწერილი. ამ ლექსსაც ავტორი საოცარი შთაგონებით კითხულობდა, უყვარდა და გრძნობდა მის მხატვრულ სინატიფეს, ძალას:

ჩემო ქაიაქო! არ დამაკლდი
შენ სიხარულის მზისგან ფერიდი.
თავზე გადგია. როგორც კანკელი.
ცა მოეცვარე და აყლერიდი.

რომ იტყვიან, გაგიჟებით უყვარდა თბილისი, მას პოეზიის ქალაქს უწოდებდა და ეს კიდევაც თქვა ამ ლექსში: „დიდი სატახტო ხარ პოეტებისო“.

...ამ ხანებში პაოლოს რაღაც სევდა შემოაწვა, მარტოობა იგრძნო. პირველ ხანებში არავინ იცოდა რა აწუხებდა, რა შინაგან ტკივილს განიცდიდა. მის მზიურ გულს რომ სევდა ღრღნიდა, რაღაც აწვალებდა, ამას ნათელყოფს მისი საუკეთესო ლექსი, ვიტყოდი ერთ-ერთი შედევრი მისი

შემოქმედებისა. ეს არის ლექსი „წერილი კოლაუ ნადირაძეს", ლექსი მეტად ავტობიოგრაფიული ხასიათისა, ლექსი, რომელიც პაოლოს გვიხატავს არა როგორც დარდიმანდს, თითქოს და უდარდელს, არამედ როგორც ტრაგიკულ პიროვნებას. ეს ლექსი გაისმის როგორც ლირიკული აღსარება, როგორც ქვითინი ადამიანისა, რომელსაც მარტოობაში ეხუთება სული. ლექსი ამჟღავნებს, რომ პოეტს რაღაც გაორება უგრძვნია. ავტორი ჩივის, რომ მას „მოუძებნეს მკერდი ქორებმა", რომ „გულში გრძნობს იმათ ნისკარტს წვეტიანს", სიცივემ „ოთახის კარი ჩააკეტია". არა! ამ სტროფის მოყოლით გადმოცემა არ შეიძლება. ის მთლიანად უნდა გავახსენოთ მკითხველს:

ქართუელად ვთარგმნი პუშკინის ამბავს
ახლა კერშია მისი „ციგნები
მაგრამ სიჩუმე საუბარს აბამს:
„მარცო ხარ, მარცო, მარცოც იქნები!"
ვკითხულობ შოთას, ვაჟას და საბას
და ვერ მშვეიან მათი წიგნებიც.
ვწვები... თავამდე ვიხურავ საბანს
მესმის „მარცო ხარ, მარცოც იქნები!"

ვერც შოთას, ვერც ვაჟას, ვერც საბას წიგნები ვეღარ შველიან, ის წიგნები, რომელთა წაკითხვისას წინათ ის ყოველთვის სულიერ შვებას განიცდიდა. სასოწარკვეთილი ის თავის თავს ემალება თითქოს „თავამდე იხურავს საბანს", მაგრამ თავის თავთან დარჩენილი ის უფრო მწვავედ გრძნობს მარტოობის სიცივეს. ის იგონებს რომანტიკულ საუბრებს მწერალთა კავშირის ბაღში, რომელთა მსგავსი, როგორც ჩანს უკანასკნელ ხანებში აღარ ჰქონდა. თხოვს თავის უახლოეს მეგობარს ნიკ. ნადირაძეს აცნობოს: „ჩემს სადღეგრძელოს თუ ისევ სვამენო". როგორც ჩანს, მას დარდად წაჰყვა თან ჯგუფის მდგომარეობა, აწუხებდა ფიქრი იმაზე, ხომ არ დაინგრა პოეტების დასიო: ჩვენს ცამეტს ვინმე ხომ არ გამოაკლდაო. ამ ცამეტში იყვნენ: პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, რაჟდენ გვეტაძე, ნიკ. მიწიშვილი, ა. არსენიშვილი, ივ. ყიფიანი, გ. ლეონიძე, სერგო კლდიაშვილი, ნიკ. ნადირაძე, მე და სხ. როცა აღნიშნული ლექსი დაიწერა (1934 წ.) ყველანი ცოცხლები იყვნენ. დღეს კი პირველ შვიდს ჩვენი მწერლობა აღარ ითვლის თავის რიგებში. პოეტი იგონებს შაშვებსაც კი, რომლებიც ხსენებულ ბაღში ჭახჭახებდნენ და დარდს მისცემია: მათი საკენკი თუ დარჩა ბაღშიო. პოეტი თხოვს თავის მეგობარს, რომელიც მაშინ მის გვერდით ცხოვრობდა ჯაფარიძის ქუჩაზე, მაცნობე:

თუ ჩემს მედეას დაეცყო გაზრდა
და ისევ არის ჩემი საქები,
თუ შენ და ნინა ხშირად ხართ მასთან,
არ ივიწყებენ ამხანაგები,
თუ ზაფხულამდე უჩემოდ გასცანს,
ისევ ვუყვარვარ თუ ვეძაგები.

სამი წლის შემდეგ მან უკანასკნელი წერილი თავის მედეას გაუგზავნა და მისი სიყვარულით, უკურნებელი დარდით გაშორდა ამ ქვეყანას. შეუძლებელია ამ ლექსის დამშვიდებით წაკითხვა, შეუძლებელია მან ყოველი მკითხველი არ შეაჟრჟოლოს, არ დააფიქროს – მის გულში მღელვარება არ აღძრას, იმდენად ადამიანური, ემოციური და ლირიკული სითბოთია იგი გაჟღენთილი.

აღნიშნულ ლექსში საბაც არის მოხსენებული. პაოლო საბას დიდი თაყვანისმცემელი იყო. წელი არ მახსოვს. მოსკოვში ვიყავით: პაოლო, ტიციანი, გოგლა და მე. პაოლომ დაიჩემა: ვსეს-ვიატსკოეში წავიდეთო. ყველანი წავედით. იქ გაგვაცნო პაოლომ თავისი მიზანი. იქნება საბას საფლავი ვიპოვოთ და მშობლიურ მიწაში ჩავასვენოთ. დიდხანს ვეძებეთ. პაოლომ სულ ერთიანად დაიკაწრა ხელები ძეძვებში: იქნებ საფლავის ქვა ვიპოვოო. მაშინ ცდა უშედეგო აღმოჩნდა. საყურადღებოა თვითონ ფაქტი: უნდოდა პაოლოს სანუკვარი საფლავის აღმოჩენა და საბას ნეშტის გადმოსვენება ჩვენში.

მახსოვს ერთ-ერთი უკანასკნელი შეხვედრა პაოლოსთან, როცა ის თავის სტიქიაში გრძნობდა თავს, როცა ის ჩვეულებრივი ხალისით, სიცოცხლისმოყვარეობით, გონებამახვილობით, მჭერმეტყველობით ანცვიფრებდა ყველას. ეს იყო გიორგი ლეონიძესთან, როცა პაოლო დაბრუნდა მოსკოვიდან, სადაც ის ქართველ დელეგაციასთან ერთად სტალინს შეხვდა. სუფრას, რომელიც გულუხვმა და სტუმართმოყვარე მასპინძელმა გააწყო, უსხდნენ: ჩვენი ჯგუფის თითქმის ყველა წევრი, არჩილ მიქაძე, მასხიობი შურა თოიძე, ს. ესენინის მეუღლე (ლ. ტოლსტოის შვილიშვილი) და სხვები. სუფრა გ. ლეონიძემ ს. ესენინის მეუღლის საპატივცემლოდ გააწყო. თამადად, ცხადია, პაოლო იქნა არჩეული. ჩვენ მას პაოლოს ვეძახდით. ეს სწყინდა – პავლე დამიძახეთო. იმ ღამეს მართლაც რომ იშვიათი თამადა იყო. მისი სიტყვები მაშხალებივით ჰყრიდა ჩინჩხლებს. ის რაღაც ექსტაზში იყო შესული. სტალინის სადღეგრძელო თქვა. რამდენი სიტყვა მომისმენია მის შესახებ, მაგრამ ასეთი – არასოდეს. ეს იყო სიტყვა აღფრთოვანებული, აღტაცებული, ხატოვანი. მეტად ემოციური, ღრმა შინაარსიანი. შემდეგ ასეთი პაოლო აღარ მინახავს. ის თანდათან მოიცვა რაღაც დარდმა. მის სახეზე იშვიათად თუ მოვკრავდით თვალს იმ ღიმილს, რომელიც ასე ამშვენებდა. თითქოს ჩაქრა მასში სიცოცხლის უნარი, პოეზიის ეროსი. ვთხოვდით გამოეცა თავისი ლექსების წიგნი. ამ მხრივ ის მეტად დიდ მოთხოვნილებებს უყენებდა თავის თავს. დიდ პასუხისმგებლობას გრძნობდა, წინააღმდეგი იყო წიგნის გამოცემისა. თვითონ ამას ვერც მოახერხებდა: არც იცოდა სად და როდის დაიბეჭდა მისი ლექსები. ამ მხრივ მას ნამდვილად პოეტური დაუდევრობა ახასიათებდა. შემდეგ შალვა დემეტრაძეს თხოვა მოეყარა თავი მისი ლექსებისათვის. შალვამ ეს თხოვნა სიყვარულით შეუსრულა. პაოლომ გადახედა შეკრებილ ლექსებს, მათში შესწორებები შეიტანა, მაგრამ შემდეგში მის მიერვე შესწორებული ეს ცალი დაიკარგა. კარგა დრომ განვლო... შალვა დემეტრაძემ დასაფასებელი შრომა გასწია, ისევ შეკრიბა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში გაბნეული ლექსები, რომლებიც კიდევაც გამოსცა გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“.

უნდა ითქვას, რომ პაოლოს გაცილებით მეტი სახელი ჰქონდა სიცოცხლეში. შეიძლება ამ სახელს ზრდიდა თითონ მისი პიროვნება – მეტად კოლორიტული, მეტად თვალსაჩინო, მეტად ბობოქარი. რაღაც ფანტასტიკური და მართლაც პოეტური ბიოგრაფიის მქონე. შეიძლება! ყოველ შემთხვევაში უნდა ითქვას, რომ ჩვენს წინ მდებარე მისი ლექსების წიგნში იგრძნობა მაღალი სულიერი კულტურა, მხურვალე გულის ფეთქვა, მხატვრული სიფაქიზე და გამჭვირვალობა და ის ადამიანური სითბო, სიკეთე, რაც პაოლოს თვისება იყო და რისი ფლობაც საერთოდ ადამიანის ბედნიერებას წარმოადგენს. მის ორიგინალურ შემოქმედებით მემკვიდრეობას კიდევ უფრო ამდიდრებს „ბადალ, თანატოლ პწკარებით“ ქართულად თქმული პუშკინი, საბავშვო ლექსები. მინდა ვირწმუნო, რომ მშობლიური ხალხი იამაყებს მისი „მდიდარი წიგნითა“, რომ ის ტკბილად დახურავს ამ წიგნს „როგორც ძილისთვის თვალებს“. პაოლო იაშვილი ეს იშვიათი მოვლენაა ახალ ქართულ პოეზიაში, მართლაც რომ:

დაჯდა. დაწერა. დახატა
და მოკვდა. როგორც მშრომელი.

შალვა აფხაიძე, ჟურნ. „მნათობი“, 1960 წ. № 11

ჩვენი მზიური პაოლო

ნაღმიანი სიტყვის პოეტი, გაბედული მხატვარი, ვაჟკაცური ხმის პატრონი, პატრიოტი, დაუდგრომელი, ლაღი, გულითადი, მეგობრობაშიც გულუხვი, ოპტიმისტი, სიცოცხლის სტიქიით აღსავსე, ამხანაგებისთვის და სხვებისთვისაც „გაჭირვების ტალკვესი“, ახოვანი, ლამაზი, შავგვრემანი, ბრინჯაოსავით ჩამოსხმული, რიხიანი, ალერსიანი. ადამიანი, რომელსაც უყვარდა სიცოცხლე, სიხარული, სამშობლო, ბავშვები...

პაოლოს პოეზია დიდია ისევე, როგორც მისი ღვაწლი, – ახალი ქართული პოეზიის რეფორმატორისა. იგი იყო ნოვატორი, ქართული პოეზიის გამამდიდრებელი ახალი მეტრებით, სმენით შეყვარებული რითმაზე, ფაქიზი ოსტატი.

პაოლოს პოეზია, როგორც ამბობდა ერთი რუსი პოეტი, „ემყარება შეგრძნებათა ზუსტ მონაცემებსა და მოწმობას. ეს უკიდურესად შემოქმედებითი პოეზიაა. იგი არ არის გადატვირთული მასში მჭიდროდ ჩაქსოვილი ეფექტებით. მასში ბევრი სივრცე და ჰაერია. იგი მოძრაობს და სუნთქავს“

უპირველესად, პაოლო იაშვილი ვაჟკაცური ხმისათვის მებრძოლი იყო პოეზიაში. პაოლო უგულებელყოფდა „წვრილ ხმას“ და ქართულ ლექსში მაჟორს – ენერგიას და დიდ ენთუზიაზმს მოითხოვდა. „საჭიროა თერგის ღრიალი და არა წყაროს რაკრაკი – ამბობდა იგი, – საჭიროა გრიგალი და არა სიოს სიამოვნება, საჭიროა სიცოცხლე და არა საფლავებზე ტირილი!“

„აზრი, რომელიც რკინით და თუჯით არ გაიჭედება, ის არ იქნება მარადიული და საერთო“ „უდიდესი მიზანი და ოცნება ქართველი პოეტისა უნდა იყოს ის, რომ მან სავსემ და დამძიმებულმა ერის ყველა ხმები ისტორიის რაინდული ეპოპეებით გააგონოს მთელ ქვეყნიერებას. „ყურისმგლეჯელი გრიალი“ – აცხადებდა პაოლო იაშვილი 1922 წელს ჩემს გაზეთ „ბახტრიონში“ (№19).

პაოლო ერთგული დამფასებელთაგანი იყო ვაჟას პოეზიისა. „ჩვენს საუკუნეს შერჩება ბახტრიონის დევი, გველისმჭამელი ვაჟა-ფშაველა, დაუბერებელი მოახლე ლაშარის გიორგის და დიდხანს დაგვაფეთებს თავისი ვაჟკაცური აბჯრის ხმაურით“

„ვაჟა-ფშაველაზე ძლიერი პოეტური სტიქია არ ახსოვს საქართველოს. ვაჟამ პირველმა მისცა იმედი ქართულ სიტყვას; მას ჰქონდა ღმერთების ენა და ჰომეროსის ნოყიერება“

პაოლომ იცოდა სიტყვის არჩევანი და ზედმიწევნილი, ზუსტი სიტყვის პოვნის სიხარული, პაოლოს უყვარდა მაგარი სიტყვა, მოფართქალე და ხმოვანი, ფერადული და მზიური. პოეტს იგი უწოდებდა „ოქროების მმართველს“, რადგანაც სიტყვა მისთვის ნამდვილი „ოქრო“ იყო.

მას არაერთი თავისი სიტყვა შემოუტანია ლექსში. მე მახსოვს, მაგალითად, მისი „მოერთბაშე“, „დერიდახოლი“, რაც მისი განმარტებით ნიშნავდა „ჯავშანს“.

დიდ შემოქმედებასთან ერთად, უსათუოდ აღსანიშნავია პაოლოს ნიჭიერი მთარგმნელობაც. განსაკუთრებით მახსოვს, თუ როგორ სთარგმნიდა ფრანგი პოეტის არტურ რემბოს „მთვრალ ხომალდს“, რომელმაც ჩვენი საერთო აღტაცება გამოიწვია. მთელი თარგმანი ზეპირად იცოდა. ასევე მომწონდა პაოლოს მიერ თარგმნილი ბოდლერის „საღამოს ჰარმონია“, განსაკუთრებით მისი უკანასკნელი სტრიქონები:

..მზე ჩაწვა სისხლში
და მაგრდება ის სისხლი მზეზე.
ეღვრეს ბარძიმით
შენზე ფიქრი უკანასკნელი



გაზეთ "ბახტრიონის" რედაქცია, 1924 წ. (სემ 5780-დ)
სხედან: ვასიე ბარნოვი, გიორგი ლეონიძე, იაკობ ნიკოლაძე, თამარ აბაკელია
დგანან: კირიე ზდანევიჩი, ვალერიან გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე

პაოლომ დიდი შემოქმედებითი სითამამით და თავდადებით თარგმნა პუშკინი. პუშკინის რუსულ ტომს პირდაპირ უბით დაატარებდა, არასდროს არ გვინახავს პაოლო ისეთი მშრომელი, როგორც პუშკინის თარგმანის დროს. მას დავიწყებული ჰქონდა ყოველი საქმე, ხშირად წვერის მოპარსვისთვისაც კი არ ეცალა. მან საქმე ბოლომდის მიიყვანა და ამ მხრივაც სასახელო ნაღვაწი დაგვიტოვა. პაოლოს აგრეთვე დიდოსტატობით აქვს ნათარგმნი მაიაკოვსკი, ბალმონტი, უაილდი, ვერხარნი და სხვ.

1921 წელს, ჩემს ქორწილში, პაოლო მეჯვარედ მყავდა და არა მარტო მაშინ, ის ყოველთვის იყო მეთაური ჩემი მეგობრობისა, სიხარულისა, პოეზიისა.

პაოლო არაერთხელ ყოფილა ჩემთან, პატარძეულში, იორზე, სანადიროდ, სათევზაოდ. 1926 წ. მარტში მე დავპატიჟე პაოლო, ტიციანი, სანდრო შანშიაშვილი და სხვა ამხანაგები ჩემს დედულეთში – ნინოწმინდაში, V საუკუნის ტაძრის ეზოში გაიმართა დიდი ღრეობა სიმღერით, ცეკვა-თამაშით. შუა ნადიმის დროს პაოლო ავარდა თორმეტი საჟენი სიმაღლის სამრეკლოზე და იქიდან დაიწყო ლექსების კითხვა. შემდეგ მე და ტიციანი გამოგვიწვია გუმბათიდან და ჩვენც იქიდან ვკითხულობდით ჩვენს ლექსებს. ეს იყო პაოლოს საოცარი რეჟისურა, განუმეორებელი სურათი. ეს დაუვიწყარი საღამო, დაუვიწყებელ მეგობრებთან გატარებული, შთაბეჭდილი მაქვს ჩემს ლექსში „ნინოწმინდის ღამე".

1934 წელს ტიციანი მწერდა მოსკოვიდან, „პაოლოს შენს მეტი საქართველოში არავინ ენატრებაო". ეს სიყვარულით ნათქვამი სიტყვა დაფუძნებული იყო ჩემსა და პაოლოს მუდმივ მეგობრობაზე. არასოდეს არ დამავიწყდება, როცა ავად გავხდი ბრუცელოზით და სამი თვის წოლის შემდეგ ამხანაგებმა უკვე ჩემი მორჩენის იმედი დაკარგეს, პაოლომ მკითხა ჩემი უკანასკნელი სურვილი, თუ რა მესიამოვნებოდა და თავისი ხელით შემიწვა სუკის მწვადი და ასევე გამომიწურა ნაყიდი ყურძნიდან მაჭარი, რასაკვირველია, საიდუმლოდ ექიმებისაგან, რომელთაგან მხოლოდ ბულიონის ნება მქონდა დართული. როცა ტიციანს ჰკითხეს, გოგლა როგორ არისო, მან შეიტყო რა ეს ამბავი, სთქვა თურმე – ძალიან კარგად არის, დუდუკი-ღა აკლიაო! (მწვადზე და მაჭარზე). ის დღე იყო და ის! პაოლოს ხელი ბედნიერი გამოდგა, იმ დღიდან მორჩენაზე წავედი. ამის მერე პაოლო მოსკოვს წავიდა და იქაც აწუხებდა ჩემი ავადმყოფობა. მოსკოვიდან მწერდა: „ყოველდღე ველი შენგან დეპეშას. ძლიერ მაღონებს შენი ავადმყოფობა. სჩანს კარგა ხარ, თორემ რამეს მომწერდი... უთუოდ მიდეპეშე შენი მდგომარეობა".

ასეთი ძმობა იცოდა პაოლომ!

მოსკოვიდან ხშირად მომდიოდა მისი ბარათები: „თბილისი მენატრება და თქვენი ნახვისთვის დამშეული ვარ".

ერთგან მწერდა: „ნუ დამარიდებ ფერუმარილებს, მომწერე, ისტორიაში ჩავარდები". სხვა წერილში: „მართლა, დამკარგე, როგორც ჩერქეზმა ისარი. ბარათების წერა არ გიყვარს. მაგრამ ჩემთვის გაიმეტებდი, მეგონა, ორ სიტყვას, საბას საფლავივით ჯერ დაკარგული არა ვარ, ჯერ კიდევ მისამართით ვცხოვრობ".

რატომ ლაპარაკობს საბას საფლავზე? ესეც დამახასიათებელია მისი მეგობრობისა და მისი ყოველნაირი ინტერესისათვის. მაშინ მე ვეძებდი სულხან-საბა ორბელიანის საფლავს და მოსკოვში მიმავალ პაოლოსაც დავავალე, უსათუოდ შეეხედა მოსკოვის ქართულ ტაძარში, „ვსესვიატსკოეში" („სვენწკაში"), ე. ი. პაოლოს არქეოლოგის როლი დავაკისრე და იგიც დიდი ენთუზიაზმით შეუდგა საბას საფლავის ძებნას.

პაოლო მოსკოვიდან მატყობინებდა: „გწერთ ვსესვიატსკოეს ეკლესიიდან, მე, თამარა და შალვა აფხაიძე. ყველაფერი მოვიარე, რა თქმა უნდა, საბას ძეგლი (საფლავი, გ. ლ.) აღმოჩენილი არ არის და როგორც ჩანს, არასოდეს აღმოჩნდება. 1905 წელში მიწა ამოუთხრიათ, ბევრი ჩონჩხი უნახავთ და მათ შორის უთუოდ საბაც იყო. არქივი არ არის, მღვდელი ბოგოსლოვსკი ამბობს – ბევრი ზომები მივიღე, მაგრამ ვერაფერი ვნახეო".

„ეს წუთია გავთხარეთ დამიწებული საფლავი ვახუშტის, ვახტანგის შვილისა. დიდი წარწერა აქვს, ხვალ მოვალ გადასაწერათ".

პაოლო ყველას უყვარდა...

ხომ გახსოვთ ბალმონტის:

Люблю содружных Руставели

Гаприндашвили и Яшвили...

ანდრეი ბელი სწერდა, რომ პაოლო „Дышет жизнью от взрыва сердечности". ტიხონოვს, პასტერნაკს, ზაბოლოცკის, ანტოკოლსკის იგი ყოველთვის დიდი გულითადობით უხსენებიათ ტიციანთან ერთად. ილია ერენბურგი წერს მათზე:

„О том, что они были прекрасными поэтами, можно теперь прочитать в любом справочнике. Мне хочется добавить, что они были настоящими людьми… Стихи у Паоло были живые, умные, крепкие."

მე მახსოვს, რა ძმური სიყვარულით შეხვდნენ ერთმანეთს პაოლო და მაიაკოვსკი თბილისში. პაოლოს არ შორდებოდა თბილისში მყოფი ესენინი.

სომეხთა დიდი პოეტი ოვანეს თუმანიანი მოხიბლული იყო პაოლოთი... და ხომ პაოლოს იდეალიც იყო „იცხოვროს ყველამ სიხალისით და სიყვარულით".

მაქსიმ გორკი, რომლის ოჯახშიც, 1934 წელს, მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობის დროს, პაოლო თამადად იყო, აღტაცებული ყურს უგდებდა მის ჭკვიანურ სადღეგრძელოებს. პაოლო ხომ იმავე დროს იყო კარგი ორატორი და ბრწყინვალე იმპროვიზატორი!

და თვით საქართველოში: რომელი ერთი ჩამოვთვალო შეყვარებული პაოლოზე. გინდ ისეთი დიდოსტატები, როგორიც: პავლე ინგოროყვა, იაკობ ნიკოლაძე, კოტე მარჯანიშვილი, ლადო გუდიაშვილი; და როგორ შეიძლებოდა პაოლო არ გყვარებოდა! პაოლო კაცთმოყვარე იყო, მან ნაზი სიყვარული იცოდა, მაგრამ თვითონაც ითხოვდა ყურადღებას. ამიტომ იყო რომ მოსკოვიდან იჭვნეულად კითხულობს: კოლაუ ნადირაძისადმი მიძღვნილ ლექსში:

ჩემს საღღეგრძეღოს ისევ თუ სვამენ,
ჯერ თუ მთეღია საჩემო თასი!

ელვარე, თვალისმომჭრელი იყო არა მარტო პაოლოს პოეზია, არამედ მისი ნათელი, ლამაზი და ვაჟკაცური პიროვნება – გვირგვინი და მშვენება ჩვენი ძმობისა, ჩვენი პოეტური საღამოების, შეყრილობის, მეჯლისების თუ ამხანაგური სერობების. პაოლოს სხვა ეშხი შემოჰქონდა და უპაოლობა ყოველთვის შეგვემჩნეოდა ხოლმე. როცა პაოლო შეიგვიანებდა და მერე უეცრად შემოვიდოდა, შემოანათებდა, მაშინვე ვიგრძნობდით, რომ შეივსო დარბაზი, რომ გამოჩნდა „ლხინის თავი". პაოლო და ტიციანი ხომ უცვლელი თამადები იყვნენ.

პირადად ჩემთვის პაოლოს პოეტურ პიროვნებასთან დაკავშირებულია ჩემი ცხოვრების, ჩემი სიჭაბუკის ოქროს დღეები. პაოლოს მიმართ, ისე როგორც ტიციანისადმი, მე მქონდა სიყვარული უმცროსი ძმისა უფროსი ძმისადმი და მათაც უფროსი ძმის სიყვარულით ვუყვარდი. პაოლო ჩემზე უფროსი იყო 6 წლით, ხოლო ტიციანი 5 წლით.

პაოლოს გაგიჟებით უყვარდა ბავშვები. თავის მედეას პირდაპირ აღმერთებდა, დიდი სინაზით უყვარდა ტიციანის ქალიშვილი ტანიტა, რომელსაც საგანგებოდ ლექსი მიუძღვნა. ასევე ჩემს ქალიშვილებს ნესტანს და თინათინს არაერთი ექსპრომტი დაუწერა, ხშირად სასეირნოდაც დაჰყავდა რუსთაველის პროსპექტზე.

აი, პაოლოს ერთი ექსპრომტი, რომელიც ჩემს ქალიშვილებს მიუძღვნა:

ნესტანს და თინათინს

მამა თქვენი ღექსების სარღაღია
პოეტია, ოქროების მმართველი.
და სინდისით ისეთი მართაღია,
როგორც ომში გაკვეთიღი ქართველი.
ძვეღებურად მუდამ გუღ გაწიღია,

არი ძველი. ახალ კაცებს არა ჰგავს.
მისი ღერბი — მისი ორი შვილია
ჯანსაღი და მაგარ ჯიშის ბარაქა.
გაიზარდეთ! იყოს თქვენი მხლებელი
ყვავილები საქართველოს მიწისა.
კვირაობით ხაიხის გამხარებლებო
ასულებო, პოეტ ლეონიძისა!

თუმცა პაოლოს არასდროს არ სტოვებდა შთაგონება და ოსტატობა, მაინც ზოგჯერ გამიგონია, რატომ პაოლომ უფრო ხელბარაქიანი პოეტური მემკვიდრეობა არ დაგვიტოვაო. მათ ავიწყდებათ, რომ პაოლომ ბევრი დაწერა, ბევრი თარგმნა, რომ მრავალი მისი იმპროვოზაციები დაკარგულია, რომ მან დიდი დრო მოანდომა ლექსის ახალ ფორმაზე მუშაობას, ჯვაროსნულ ბრძოლებს პოეზიის დასაცავად ლიტერატურულ მოწინააღმდეგეებთან. კიდევ უნდა დავურთო ალექსანდრე ბლოკის ნათქვამი:

„Художнику трудно преодолеть многое, что нехудожнику легко."

კიდევ ერთი გარემოება:

პაოლო დიდად ჰუმანური, კეთილი ადამიანი იყო და ამიტომაც იგი ხშირად ჰფანტავდა თავის მდიდარ შთაგონებას. ის „ჩუმი წუთი" შემოქმედებისა, თავის თავთან გასაუბრებისა, პაოლოს მეტად მცირე ჰქონდა ცხოვრებაში.

„ლამაზ რითმისთვის ერთი წუთით ჩაფიქრებული" პაოლო თავის პოეტურ დროს და ენერგიას სხვისი გულისათვის ძალაუნებრივ ხარჯავდა ათას წვრილმანებში. ყველას მზრუნველი, შუამავალი და მოფუსფუსე, ყველა საქმეებზე მორბენალი და შუამდგომელი ხშირად თვეობით ვერ ეკარებოდა თავის საწერ მაგიდას. შემოტევები კი ძალზე შეუბრალებელი და მომაბეზრებელი იყო უფრო ხშირად ისეთი ადამიანებისაგან, რომელთაც წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ მწერლობაზე, მითუმეტეს პაოლოს პოეზიაზე. პაოლოს კეთილშობილებას ისინი ბოროტად იყენებდნენ.

და ბოლოს, პაოლო იაშვილი დიდი საზოგადო მოღვაწე იყო. შეიძლება ბევრმა არც იცის მისი დიდი ამაგი სამგორზე, რიონჰესზე, კოლხეთზე, ჭიათურაზე და სხვ.

ლექსად იქცევა, რაც გამიტაცებს,
მე ვხედავ ხაიხის შეტევას გმირულს.

იგი ამ შეტევის ერთი აგზნებული, ყოველდღიური მონაწილეთაგანი იყო.

პაოლო იაშვილი პირველად ვნახე თბილისში 1917 წლის პირველ თვეებში. ქუთაისში უკვე გამოსული იყო „ცისფერი ყანწები" და ახლა, მისი მონაწილენი თბილისს სწვეოდნენ დასაპყრობად.

მახსოვს მათი პირველი საღამო კონსერვატორიის დარბაზში. საღამოს მეთაურობდა ჭაბუკი, ქართულ ქულაჯაში გამოწყობილ ორატორს წყლის მაგიერ ღვინით სავსე გრაფინი ედგა, რომელსაც ხანდახან მიმართავდა ხოლმე სიტყვის დროს.

ჩვენს წინ იდგა ლამაზი, შავგვრემანი, რიხიანი ვაჟკაცი, ახალი ესთეტიკის მქადაგებელი, რომელიც გაბედულობით იპყრობდა დარბაზს. ეს იყო პაოლო იაშვილი. ტიციან ტაბიძე მაშინ მოსკოვში იყო. საღამოზე განსაკუთრებით დამამახსოვრდნენ ვალერიან გაფრინდაშვილი და კოლაუ ნადირაძე.

მე მაშინ ახლად გამოცემული მქონდა ჩემი ლიტერატურული ალმანახი „საფირონი“, და ცხადია, დაინტერესებული ვიყავი ახალი ამხანაგების გაცნობით. კარგად არ მახსოვს ჩვენი შეხვედრა, მაგრამ ამ საღამოს ახლო ხანებში კი უნდა მომხდარიყო. შესაძლოა იმავე ღამითაც. მალე ჩვენი მეგობრობა ძმობად იქცა და ეს ძმობა არასოდეს არ შენელებულა, არ დარღვეულა.

აღარ გვყავს ჩვენი სხივოსანი, ჩვენი ნაღდი პაოლო! „დაგვაკლდა სათვალავში“ ელვარე პოეტი...

პაოლოს მიერ ნათარგმნი პუშკინის სიტყვებით ვფიქრობ ახლა პაოლოზე:

გაკვირვებით ვინძლო სათვალავში გამოწვევაზე...
ვისი პასუხი ვერ მიიღეთ ძმების ძახილზე.
ვინ არ მოვიდა, ვინ დასტოვა თქვენი კრებული!

მაგრამ ისევ ბრწყინვალებს დღეს პაოლოს ლექსი, მისი მჩქეფარე ვაჟკაცური ხმა. პაოლო იაშვილი დღესაც მხარში უდგას ქართულ პოეზიას და ჩვენთან ერთად თავისი დევური ღონით ეწევა ჭაპანს.

დღეს მისმა სიტყვამ ორკეცი ფრთები შეისხა სიცოცხლისა და ისეთივე „ვაჟკაცური გაქროლებით“ თავს ევლება ყოველდღიურად მშობლიურ მიწის ზურმუხტსა და მის იისფერ ტატნობს.

თქვენ შორის ძმებო, არჩეული წიდი მრგებია.
რომ საიმედოდ გავჩნდე ხოდმე უეცარ ზარშიც.
რაღვან სიახლე, რაღვანაც მზე. — ღექსის გერბია.
რაღვან ვერ ვითმენ და ნახშირშიც დავაცან ზარნიშს!
პოეტის დაკარგვა ძაღიან აღვიღია. ხოღო პოვნა ძნეღია შეცად.

გიორგი ლეონიძე

პაოლო იაშვილი, საიუბილეო-საარქივო გამოცემა ორ წიგნად, 2002 წ.
ტ. II

"შენ გაიბრწყინებ, შეგეცოდება
უბედო გვარი მაყაშვილების..."

პაოლო იაშვილი

მარო მაყაშვილის დღიურიდან

ფრაგმენტები

„...პირველად ქართულ წარმოდგენაზედ სდგამდნენ „მარგარიტა გოტიეს", ნუცა ჩხეიძის გასტროლები იყო... ვიყავით: მე, ქეთო, ღამბაშიძეები, მგალობლიანი და რუსია... ვიყიდეთ იაფფასიანი ბილეთები, იარუსში. გოგამ და პატემ ჩვეულებრივ ჩაუჩარეს ფული და ისე შემოვიდნენ... პირველი მოქმედება რომ გათავდა, დავსეირნობდით... უცბათ... ოჰ, სისხლი ამივარდა თავში, მივარდი ქეთოს. ჩვენ წინ გაიარა პაულო იაშვილმა. მასთან ჩემი შორეული ნათესავი იყო. მე დავუკარი თავი. პაულომ შეამჩნია, რომ მე და ქეთო ხან ავუვლიდით, ხან ჩავუვლიდით და ისე მიყურებდა, რომ ძალიან გამიკვირდა. ესე ყოველ ანტრაქტზედ. მეოთხედ რომ გამოვედით კორიდორებში, ყველანი ერთად ვსეირნობდით. ბოლოს ერთ კუთხეში დავდექით. ჩვენ პირდაპირ დადგნენ პაულო, ტიტე ტაბიძე და ორი პოეტი, არ ვიცი მათი გვარი, და ჩვეულებრივ მათთან ნინა მაყაშვილი. მე ვდგევარ და ვწითლდები. ყველანი მე მიყურებენ. გოგა აქეთ, რუსია და ქეთო აქეთ. ელიჩქამ ხომ გამიწყალა გული: „ოჰ, მარო, ნუ ღელავ, ნუ წითლდები" მერე ისე ხმამაღლივ იძახდნენ, რომ იმათ ესმოდათ. მერე ჩაჩუმდნენ. პაულო ჰკითხამს ჩემზედ, ვინ არის ესო, ნინა მაყაშვილმა: ეს კოტე მაყაშვილის ქალიაო. „კოტესი?" გაუკვრდათ და ყველანი მობრუდნენ, პაულომაც. მე გავწითლდი, მოვავლე ხელი ქეთოს და გავიქეცით. წარმოდგენა რომ დამთავრდა, საშინელი წვიმა მოვიდა. თეატრის კარებებში ყველა ვიდექით. უცბათ ვიღაცის ძალა ვიგრძენ, მივიხედე და ჩემს პირდაპირ პაულო სდგას და მიყურებს. მე გოგას ამოვეფარე. უცბათ დააბნელეს ისე, რომ სულ არავის ვხედავდით და მერე გაანათეს. ჩემ გვერდით ის იდგა. ჩვენ არ დავუცადეთ, მანამ წვიმა სულ არ გადაიღებდა და წამოვედით. ძალიან მხიარულად მოვდიოდით. 2 საათი იყო ღამისა, ესე გვიან გათავდა წარმოდგენა... 3 საათზე სახლში მივედით. დიდხანს ვერ დავიძინე. მისი თვალები წინ მედგა. მერე მთელი ღამე თეატრი მესიზმრებოდა...

გუშინ საღამოთი „ორდას" და „საბანეევას" კონცერტზედ ვიყავით. შესანიშნავი იყო. კიბეზე ჩამოსვლას ვაპირებდით, უცბათ შევეტაკე პაულო იაშვილს. ძალიან, ძალიან გამიკვირდა და თანაც გული ამიკანკალდა. იმან მიცნო და მე რომ შევკრთი, შენიშნა და გაიღიმა. როცა ჩავიდა, ჩვენც უკან წავყევით. შევედა კომისრის ლოჟაში. ჩვენ პირდაპირ დავდექით და ვუყურებდით და გვიყურებდა. ვიცინოდით და იცინოდა. ბედმა გამიღიმა მაშინ... ამ საღამოს პირველად აწეულ თმით ვიყავი...

გავიცანით მე და ქეთომ პაულო იაშვილი. ძალიან სასიამოვნოა. პირველად მომწონდა. ახლა თანდათან არა. მე სახით ვამბობ... მხიარულია. ყოველთვის სახაზინო თეატრში ვხვდებით. ის მონაწილეობას იღებს ჩვენს დიდ საღამოზე, რომელსაც ვმართავთ 22 თებერვალს. არტისტებთან დავრბივართ, ვთხოვთ, რომ მონაწილეობა მიიღონ... დრო არა გვაქვს.

23 თებერვალი, 1919 წ.





...გუშინ სასწავლებელში გვქონდა დიდი საღამო-ბალი. ჯერ მანამ ეს გაიმართებოდა დიდ ფუსფუსში ვიყავით, ვლელავდით და გვეშინოდა, რომ ცუდათ ჩაივლისო. მაგრამ ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა. 7 საათზე ხალხმა დაიწყო თავის მოყრა. სანამ კონცერტი დაიწყებოდა, რაღაც უცხო ხალხი იყო, მოსწავლეები და წვრილფეხობა. სასიამოვნო არ იყო. თამარა ილინიშნამ მე, ქეთო და ვავა საჩაიეს ოთახში დაგვაყენა. ბუფეტი შესანიშნავი იყო. ბევრი რამის გემოც ვნახეთ. 9 საათზე არტისტებიც მოვიდნენ: ვანო სარაჯიშვილი, ინაშვილი, სპიტკო. გავიცანით ინაშვილი. წინად უფრო მომწონდა, როცა ახლო გავიცანი არ მომეწონა. რას ნიშნავს ახლო? აი, როცა დაველაპარაკე ახლო ვნახე მისი სახე. შორიდან უკეთესია. თავისი სურათები გვაჩვენა დემონში გადაღებული. პირველმა სპიტკომ იმღერა, რადგანაც კომერციულ სასწავლებლის საღამოზედაც იყო მიწვეული. სწორედ იმ საღამოს თითქო ჯიბრზე კომერსანტებმაც გამართეს ბალი. კონკურენცია იყო ჩვენ და მათ შორის. საკონცერტო განყოფილება ძალიან კარგი იყო. 12 საათზე ცეკვა გაიმართა. ბევრი ვითამაშე, ძალიან დავიღალე კიდეც, თვალები მიჭრელდებოდა, როცა მაგდენ თავებს ვხედავდით. კორიდორებში გამოვედით დასასვენებლად. მერე გოგა, მე, ქეთო, გუგული და ბევრი სხვა ჩვენი ჯგუფისა შევედით პატარა სასტუმრო ოთახში და ცალკე ცეკვა გავმართეთ. იქვე როიალი იდგა, გუგული მამაცაშვილი უკრავდა. ჩვენ კი ყველაფერს ვცეკვავდით, ტანგოსაც კი. მერე ჩაჩნური მათამაშეს, ყველას ძალიან მოეწონა. მუსიკა მშვენიერი იყო. ხალხი ძალიან ბევრი იყო და კინაღამ ჩხუბი არ მოუვიდათ ზოგიერთ სამხედრო პირებს, მაგრამ გააშველეს. 11 საათზე პაულო იაშვილი მოვიდა. მივესალმეთ და ყვავილები მივეცით. შემდეგ კოპალიც მოვიდა და ვახშმისთვის სულ კარგი ხალხი დარჩა. 1 საათზე თუ 11/2 ს-ზე ვახშამზე დასხდნენ. პაულო ტოლუმბაშათ იყო. აუქციონზე შამპანური ორ ათასად გაჰყიდა. ძალიან ყვიროდა და დაიღალა. ესტრადაზე მე და ქეთო აგვიყვანა და იქ გვეჭირა ბოთლი. სხვები ფულს აგროვებდნენ. კაბარეს

დროს პაულომ და კოპალმა ლექსები წაიკითხეს. სახაზინო თეატრიდან მოიპატიჟეს მოცეკვავეები და მომღერლები. ძალიან კარგი იყო. ჩემ მაგიდიდან ბლომად ავიღე ფული. ძალიან ბევრნი მოვიდნენ კომერციულ სასწავლებლის საღამოდან ჩვენ ვახშამზე. 4 საათზე ხალხი წავიდ-წამოვიდა. თამარ ილინიშნამ ძლივს გააბრძანა ზოგიერთი მთვრალი სამხედრო პირი. მერე დავრჩით მე, ელო, ტასო, ნიცა, ბეჟანიშვილი და რცხილაძე თითქმის მთელი მე-6 კლასი, ზოგიერთნი მე-6-დან, პაულო, ლელი, კოპალი, ყველა მასწავლებლები, დირექტორი, გამგე თავის მახლობლებით, 8 აფიცრებამდინ, სუნანა, მედია, აფხაზი ნიკუშა და სხვ. გავმართეთ ცეკვა. მუსიკა წავიდა და როიალზე უკრავდით. აქ უფრო კარგად გავატარეთ დრო. მე პირველად ვიყავი საღამოზე და ისე ნასიამოვნები არასოდეს არ დავრჩენილვარ. მათამაშეს ჩაჩნური. პაულო და კოპალი არ მშორდებოდნენ. იცინოდნენ და მიხაროდა, რომ ჩემ მიერ დაპატიჟებულნი კარგად ატარებდნენ დროს. 5 საათზე ვახშამი გაგვიშალეს. ერთი უშველებელი საერთო მაგიდა. ქეთო 4 საათზე წავიდა. მეც მეუბნებოდა, მაგრამ ამხანაგებმა დამარჩინეს. ჩვენი გერმანულ ენის მასწავლებელი ძალზე დაითვრა და ყველას ქათინაურებს ეუბნებოდა. საცინელი იყო სიმთვრალეში და ცეკვაში. ბ-ნი ლეოც ჩამოვდა ზუგდიდიდან ჩვენ საღამოზე. ძალიან გაგვეხარდა და ისიც გახარებული იყო. როცა ცოტა გადაჰკრა, აღარ გვშორდებოდა, გვეხუმრებოდა და ოხუნჯობდა. ვახშმის დროს დირექტორმა მოგვილოცა ჩვენ და გვისურვა ბედნიერება. მან სთქვა: მე მინდა, რომ თქვენ ცხოვრებაში თქვენი აზრით და ჭკუით იყოთ და არავის, არავის არ მიბაძოთ, მაგაზე საშინელება არაფერი არ არის. მერე პაულომ და კოპალმა დალიეს, ალავერდი ჩემთან იყო. დაუკრეს ჩაჩნური, ვიცოდი, რომ მათამაშებდნენ, გავიქეცი და დავიმალე სხვა ოთახში. ყველანი გამომეკიდნენ „კნიაჟნა!", „კნიაჟნა!" სულ ერთია, არ დაგანებებთ თავსო, მანამ არ ითამაშებთ. რა მექნა, მეც დავსთანხმდი. ტასო და რცხილაძე აქ ძალიან დათვრნენ. თასო ძლივს იჯდა სკამზე. ხან მე დამადებდა მხარზე თავს, ხან ელოს. მეც სანაძლეოზე ვჭყიპავდი. რცხილაძე ხომ კინაღამ მოკვდა. სულ გასულელდა და რაღაცეებს ბუტბუტებდა. ოჰ, რამდენი ვიცინეთ.

8 საათზე სახლში დავაპირეთ წამოსვლა. არ გვიშვებდნენ, მაგრამ მაინც წავედით. მე-6 კლასი და დანარჩენები წინ წავიდნენ. ვაჟები, მე, სუნანა და მედია ერთად გამოვედით. აი აქ იყო, რაც იყო. სახლამდინ არ მომიკუმშია პირი, გიჟივით ვიცინოდით. სასწავლებლიდან რომ გამოვედით, პაულომ მოტეხა დიდი ტოტი ერთი ხისა, შუა ქუჩაში დადგა და ყვირილი დაიწყო, გაიღვიძე, მინისტრო ევგენი გეგეჭკორო! გეგეჭკორი იქვე სდგას (ცხოვრობს). ქუჩაში ვინც კი არ შეხვდებოდა ხელს ართმევდა, ქუდს უხდიდა და ჰკოცნიდა კიდეც. ერთი „ტაჩკა" დაინახა, შიგ ჩაჯდა და ყვირის მცხეთაში მივდივარო, იმ დღეს კურთხევა იყო კათალიკოსის ლეონიდის. იქიდან ჩამოაბრძანეს, ისე ვხმაურობდით, რომ ყველა ფანჯრებში იყურებოდა ღამის საცვლებში. პაულო და კოპალი ქუდს უხდიდნენ და კოცნას უგზავნიდნენ. პირველნი სირცხვილისაგან იმალებოდნენ. შეგვხვდა ერთი დროგი ჭარხლით. პაულომ მისცა მედროგეს 5 მან. და 4 დიდი ჭარხალი ამოაცალა და გადმოგვიგდო, ერთი საჩაიეში შეიტანა და უთხრა, სადილისთვის ჭარხლის სუფი გამიკეთეთო. მეორე მუშას ჩაუჩხირა პირში. ორი ვირი მოდიოდა, ზედ შეაჯდა და გარეკა. ტრამვაი გაივლიდა და თავს უკრავდნენ ყვირილით: „Здравствуй, душечка. Оля, Маруся, Таня!.." კოპალი და ერთი ავიატორი ციციშვილიც აჰყვა. როცა სახაზინო თეატრს მიუახლოვდით მუსიკის ხმა მოგვესმა. დავინახეთ ქართული ჯარი ქართული დროშით მიმავალი მცხეთაში. კოპალმა და პაულომ ორი უშველებელი თაიგული იები გვიყიდეს. მე და სუნანას ყველაზე დიდები მოგვცეს. დავდექით შუა გზაში და ჯარი რომ მოგვიახლოვდა, ყველას დაურიგეთ პატარ-პატარა თაიგულები და მერე თავზე ვაშას ძახილით გადავაყარეთ. ჯარი შედგა და ქართული სიმღერა დასძახეს. პაულომ ექსპრომტები უთხრა. მერე ჯარს უკანმარშით გავყევით. ხალხი გვიყურებდა და უკან მოგვდევდა ცქერით. ყველა ფანჯრებიდან გვიცქერდნენ. 9 საათი იყო. ხალხი ძალიან ბევრი იყო. დავეწიეთ დანარჩენ მონაფეებს და ყველა ერთად წავედით. ვიცინოდით გიჟებივით. ერთ დუქანთან დავდექით. პაულომ, ციციშვილმა და კოპალმა დაინახეს ერთი მზარეული, რომელიც ფანჯარაში იდგა. რკინის

ღობე ჰქონდა გაკეთებული. როგორც ნადირის, ისე ბრაზება დაიწყეს, თითს აჩვენებდნენ. ელრიჭებოდნენ. იმანაც ველარ მოითმინა და წყალი შეასხა. ერთი თათრის დუქანში შევიდა პაულო, აიღო დიდი ვაშლი და მთელ ქუჩაში მიყვირის, მარო მაყაშვილის ქალო, ვაშლი, ვაშლი დაიჭირეო და გადმომიგდო. მე ძლივს დავიჭირე. მერე აიღო რაღაცა და მეუბნება, რა მაქვსო თქვენთვის, რაო! მე მივედი და ხახვი ჩამიდო ხელში.

ჩაგვაცივდნენ მცხეთაში უნდა წამოხვიდეთო თქვენ და სუნანაო ავტომობილით. ძალიან ბევრი გვთხოვეს, კინაღამ ძალით არ ჩაგვსვეს, მაგრამ ჩვენ გავექეცით. 2 საათზე მეტს მოვდიოდით ინსტიტუტიდან. გამოვეთხოვე მათ. კოპალმა და პაულომ დიდის ამბით ხელზე მაკოცეს და 101/2 ს.-ზე სახლში მოვედი, ძალიან შეშინებული იყო დედა, ეგონა რომ იქ დავრჩი ღამე, რადგანაც წვიმა იყო. მერე ხან რა მოუვიდა ფიქრად, ხან რა. მე ძალიან დაღლილი მივედი, დავლიე ჩაი და დავიძინე მაგრად სადილობამდის. საღამოთი სტუმრები მოვიდნენ და მოდუნებული, გამოჩერჩეტებული ვიყავი. დამცინოდნენ. რამეს მეუბნებოდნენ, მე სხვას ვპასუხობდი.

Общественная жизнь – это зал, а семья это те камни, из которых сложен этот зал . მე თანახმა ვარ გარინ მიხაილოვსკის ამ აზრის.

1919 წ. 23 თებერვალი.

მარო მაყაშვილი, დღიური. თბილისი, 2014 წ.

სლმ. 28977-1-ხ.



ჩვენი ავთანდილი

მოგონება პაოლო იაშვილზე

არის ერთი ძველი ქართული ანდაზა: ჩიტი სადაც დაიბადება, იმის ბაღდადიც იქ არისო. ჩემი ბაღდადი თელავი იყო, მე აქ გავიზარდე, სკოლაც აქ დავამთავრე – ვსწავლობდი წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელში, ვცხოვრობდი ამავე სასწავლებლის პანსიონში. იმ წლებიდანვე სამუდამოდ აღიბეჭდა ხსოვნაში განუმეორებელი სილამაზე თელავისა და ალაზნის ველისა, რომელსაც ქალაქი გადასცქერის; ეს ველი მართლაც წალკოტსა ჰგავს; მდინარის მარჯვენა ნაპირი მთლიანად დაფარულია ბაღებით, მათს იქით უღრანი ტყეები იწყება, იმ ტყეში ხეთა შორის ვერცხლივით ლაპლაპებს ალაზანი, და კიდევ იქით – მარადი თოვლით მოსილი კავკასიონის მწვერვალებია. განსაცვიფრებელია ფერთა თამაში ამ ველზე – წვიმის შემდეგ კავკასიონის თეთრ მწვერვალებს ლურჯი თუ იისფერი ედებოდათ და ეს ფერისცვალება საოცრად ეხმიანებოდა ალაზნის ველის სიმწვანეს, ჰქმნიდა რაღაც სიზმარეულ სანახაობას.

უფრო საოცარი იყო ალაზნის ველი. როცა მას ნისლი ეფარა – ილუზია ისეთი იყო, თითქოს რომელილაც ფანტასტიკურ ზღვას გასცქეროდი, მერე აიყრებოდა ნისლი და გამობრწყინდებოდა ალაზნის ველი – სავსე ყვავილებით, ფერებით, ახმაურებული ფრინველებით, ქვეყანას ჟრიამულით რომ ავსებდნენ.

მე და ჩემი ამხანაგები მაშინ ახალგაზრდები ვიყავით და ყოველივე ეს ჩვენთვის მომხიბვლელი პოეზია იყო; ალაზნის ველს ისე გავცქეროდით, თითქოს ვკითხულობდით ილიას ლექსებს, სადაც ყვარლის მთები და აქაური ლურჯი ციაგი ესოდენ ჯადოსნური და მკვეთრი ფერებით არის გადახატული; გავცქეროდით ამ საოცარ ცასა თუ მიწას და ვიხსენებდით ვახტანგ ორბელიანის სტრიქონებს: „აღარ მეღირსა, მშვენიერო ჩემო კახეთო, რომ გომბორის მთით შენს მშვენებას კვლავ გადმოვხედო, დავეშვა დაბლა, შენს ფერდობებს ჩამოვუარო და იმათ ჩრდილში განვისვენო და განვიხარო“.

ყოველივე ეს იმიტომ გავიხსენე, რომ აღმენიშნა – ჩვენ მაშინვე პოეზიის სამყაროში ვცხოვრობდით, თითქოს ჰაერში მიმოფრქვეული იყო ეს ეშხი და მადლი პოეტური სიტყვისა და გასაგებია, რომ პირადად მე გაფაციცებით ვადევნებდი თვალს რა ხდებოდა იმ დროის ქართულ პოეზიაში. მძიმე დრო იყო, პირველი მსოფლიო ომის ბოლო წლები, ქვეყანას უჭირდა და გვიჭირდა ჩვენც, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, ახალგაზრდულ ასაკს თავისი გააქვს – ძნელია მას გზა გადაუკეტო სილამაზის სამყაროსაკენ; ჩვენც ეს სამყარო პოეზიის სფეროში გვეგულებოდა.

ჩვენს პანსიონს მშვენიერი აივანი ჰქონდა. მახსოვს, ერთხელ ვზივარ ამ აივანზე და გაზეთ „კავკაზს“ ვათვალიერებ; ახალ ამბავთა შორის ჩემი ყურადღება ერთმა ცნობამ მიიპყრო – გაზეთი იუწყებოდა, რომ ქუთაისში გამოვიდა ახალი ჟურნალი „ცისფერი ყანწები“ ახლაც არ ვიცი და ვერ ამიხსნია რატომ ამაღელვა ამ ამბავმა – გამაოცა ჯერ ჟურნალის სათაურმა და საშინლად დამაინტერესა; გადავწყვიტე აუცილებლად მეშოვნა და წამეკითხა იგი, მაგრამ დიდხანს ვერ მოვახერხე ეს – პანსიონიდან ჩვენ გარეთ არ გვიშვებდნენ.

მაგრამ ზოგი ჭირი მარგებელიაო, რომ ამბობენ, მეც ისე დამემართა. იმ ხანებში ავად გავხდი და ჩვენი კლასის დამრიგებელმა („კლასნაია დამამ“ – როგორც მაშინ ეძახდნენ) მარია ვასილიევნა იპოლიტოვამ ექიმთან წამიყვანა. თელაველი ექიმი ბაბო ტყავაძე ულამაზესი ქალი იყო, გრძელ ნაწნავებს ატარებდა და მთელ კახეთში განთქმული ჰქონდა სახელი, როგორც შესანიშნავ მკურნალს. აი, მივედით მასთან, მსინჯავს ბაბო; ამ დროს უცებ მის საწერ მაგიდაზე ჟურნალ „ცისფერ ყანწებს“ მოკარი თვალი. წამოვხტი და ჟურნალს ვეცი; ბაბოს ეწყინა და გამიწყრა.



გიორგი ღეონიძე, თამარ ოქრომჭედლიშვილი-იაშვილი, ნინო მაყაშვილი-ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ეფემია გედევანიშვილი-ღეონიძე. 1925 წ.

მე კი სიხარულისაგან აღარაფერი მახსოვს და ექიმს ვეხვეწები:

– ქალბატონო ბაბო, ოღონდ ეს ჟურნალი მათხოვეთ...

ექიმი მოლბა და ჟურნალი გადმომაწოდა. მარია ვასილიევნამ ჩამომართვა და საგულდაგულოდ დაუწყო ფურცვლა, მაგრამ როცა დაინახა, რომ ქართული ჟურნალი იყო, ტყავაძეს კითხვაზე გადახედა – შეიძლება თუ არა დავრთო ნება წაიკითხოსო, იმანაც გაუცინა და უთხრა:

– დაე იკითხოს, მარია ვასილიევნა! ახალგაზრდა პოეტების ლექსებია მასში სიყვარულზე, სიცოცხლეზე...

„სიყვარულის“ ხსენებაზე „კლასნაია დამა“, ცოტა არ იყოს, შეშფოთდა, მაგრამ მაინც ხელი ჩაიქნია, – ოღონდ გამაფრთხილა – ჟურნალი დროზე დაუბრუნე პატრონს და სხვას ნუ წააკითხებო!

წამოვიღე „ცისფერი ყანწები“, მთელი ღამე ვიკითხე, ძილი დამეკარგა, ვკითხულობდი და ისევ ვუბრუნდებოდი წაკითხულს; აი მაშინ, შორიდან პირველად გავეცანი დაუვიწყარ პაოლოს, ჩემს ტიციანს; მათს ნაწერებში ბევრი რამ ჯერ კიდევ არ მესმოდა, მაგრამ უცნაური ძალით მიზიდავდა და ვნატრობდი მენახა ეს ახალგაზრდა პოეტები, რომელნიც ამდენ რამეს ჰპირდებოდნენ მკითხველს.

დავამთავრე თუ არა თელავის სასწავლებელი, თბილისისაკენ გამოვეშურე. ერთხელ მე და ჩემმა მეგობარმა ქალმა თამარ ანდრონიკაშვილმა რუსთაველის პროსპექტზე აფიშაზე წავიკითხეთ, რომ იგორ სევერიანინის საღამო ეწყობოდა. მაშინვე ვიყიდეთ ბილეთები, სევერიანინის ლექსები – ჩვენთვის ახალი ხილი იყო, მით უმეტეს, რომ პირველსავე ლექსს, რომელიც მან იმ საღამოს

წაიკითხა ეწოდებოდა „ანანასი შამპანიურით“. ლექსები მუსიკალური იყო, პოეტიც მათ რაღაც წამღერებით კითხულობდა, მაგრამ არც ჩემზე და არც თამარზე იმ საღამოს დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. ლექსები მეტისმეტად მსუბუქი იყო, თითქოს ზედმეტად გალაქული თუ გაპრიალებული, ზედაპირზე მოსრიალე. იმავე ხანებში ვერტინსკის კონცერტს დავესწარით – მომღერალი პიეროს კოსტუმით გამოვიდა სცენაზე, სახეზე პუდრი უხვად შეეყარა და ხშირი, შავი თმებიც შუაზე გაყოფილი ჰქონდა. აღარც ეს მოგვეწონა, ყველაფერი ეს არ ჰგავდა ნამდვილ, დიდ ხელოვნებას, იგრძნობოდა რაღაც გადაჭარბებული პრანჭიობა, სურვილი იმისა, რომ რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, პოეტიც და მომღერალიც ცდილობდნენ დამსწრეთათვის თავი მოეწონებინათ და გრძნობდით, რომ ყოველი მათი ჟესტი თუ მოძრაობა ტაშისაკენ იყო გამიზნული. ამიტომ აღარ იგრძნობოდა ის გულწრფელობა და უშუალობა, რომელიც ესოდენ აუცილებელია ჭეშმარიტი ხელოვნებისათვის.

ბოლოს, როგორც იყო, მოვხვდი ლიტერატურულ საღამოზე, რომელიც ცისფერყანწელებმა მოაწყეს. ეს იყო კონსერვატორიის დარბაზში. მე და თამარი მოუთმენლად მოველოდით ფარდის ახდას; დაიწყო საღამოც: სცენაზე, მაგიდასთან სხედან პოეტები და ყველას წინ წითელი ღვინით სავსე ჭიქა უდგას. შუაში ზის პაოლო იაშვილი, წითელი ქულაჯა აცვია; ყველას თვალსა სტაცებს მისი ვაჟკაცური შესახედაობა და ცეცხლოვანი თვალები. მის გვერდით იჯდა ვალერიან გაფრინდაშვილი, ხუჭუჭა თმით და ჭკვიანი, თითქოს გამომცდელი გამოხედვით; აქვე იყო ლელი ჯაფარიძე – მას ცისფერი ხალათი ეცვა და ბანტი ეკეთა, რაც იმდროინდელი მოდის მეტად გაბედული დარღვევა თუ უკუგდება იყო; აქვე იყო შალვა კარმელი, ფერმიხდილი ჭაბუკი, ნაღვლიანი თვალებით. ტიციანი საღამოს არ ესწრებოდა, ის იმ ხანებში მოსკოვში იყო წასული.

საღამო გახსნა პაოლო იაშვილმა; მანვე პირველმა დაიწყო ლექსების კითხვა; კითხულობდა შესანიშნავად, დიდი ტემპერამენტით და კითხვის დროს პირდაპირ პლასტიკურად გამოიკვეთებოდა რიტმი ლექსისა. როცა ის კითხულობდა ლექსს „ფარშავანგები ქალაქში“, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს დარბაზში შემოფრინდნენ ვეება ფრინველები და ნელად არხევდნენ თავიანთ ფრთებს ჩვენს ზემოთ. ვალერიანმა წაიკითხა ლექსები ოფელიაზე, შემდეგ ლელი ჯაფარიძე წამღერებით კითხულობდა თავის ლექსს „მატარებლიდან“:

რიითნი,
სვირი.
აჯამეთი.
აუ. ყვირიდა!
ნუ თუ ამ ქალმა ჩემი ვუღი ააგვირიდა!

და შემდეგ რიხიანად დაამთავრა:

დინ. დარი – დან
დინ. რეზე – დან
ო. ჩქარა. მემანქანე. ნუ გვიანდები!
ფიქრიან ტყეში მაშინებენ ავი ღანდები.

დარბაზში მყოფთაგან ბევრი აღშფოთებით ხვდებოდა ამ ლექსებს, იყო წამოძახილები, მწარე რეპლიკები, მაგრამ პოეტებს ეს არ აღელვებდათ – ბევრ თანამგრძნობელსაც ხედავდნენ დარბაზში; ჩვენ, ახალგაზრდები, მათს მხარეს ვიყავით და ეს ამხნევებდა ყოველ მათგანს.

მე და თამარი საამოდ აღელვებულნი და მოხიბლულნი დავბრუნდით იმ ღამით შინ. უცნაური გრძნობა გვქონდა: სულ გვეშინოდა, რომ ვიღაც გაჰფანტავდა ამ საოცარ განცდას, რომელმაც სულში გაიღვიძა. მშვენიერი თბილისური ღამე იყო, მთვარიანი, ვარსკვლავებით მოჭედილი. ჩვენ იმ ღამეს ველარ დავიძინეთ.

მალე გავეცანი ცისფერყანწელებს და დავუმეგობრდი მათ. პაოლომ ერთხელ მითხრა, რომ ჩემთვისა და ტიციანისათვის ის ნამდვილი ავთანდილი იქნებოდა, მისებრ მეგობრობას გაგვიწევდა; და მართლაც, როგორც მკითხველი შემდგომში დაინახავს, ეს ასეც იყო; ამ შესანიშნავ ქართველ ვაჟკაცზე ზედგამოჭრილი იყო ავთანდილის სიტყვები:

მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვკრეფ კიცრად ბერად.
ვის სიკვდიდი მოყვრისათვის, თამაშად და მიჩანს მღერად.

ვიდრე უშუალოდ პაოლოს ავთანდილობაზე გადავიდოდე, მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა მის პირველ ლექსებზე, იმ შთაბეჭდილებაზე, რომელიც ამ ლექსებმა მოახდინეს. მინდა თავიდანვე აღვნიშნო, რომ პაოლო თითონ პოეზია იყო, მუდამ მფეთქავი, გაღვიძებული, მჩქეფარე და დაუცხრომელი. მისი ლირიკა – ხმიერი, ვაჟკაცური და მღელვარეა, პოეტის სიტყვითვე რომ ვთქვათ, მისი ლექსი იწყება ისე, თითქოს ბაღში ქარიშხალი ამოვარდაო („ბაღის ამბავი"); „როგორც აფრის ტკაცუნი, მოვარდნილი ზღვიდან, ისეთი ვაჟკაცური გაქროლება მინდა", ამბობს ის მეორე ლექსში და თქვენ მის პოეზიაში გესმით ეს ქარიშხლისებური ხმაური, დაუცხრომელი და ძლიერი მაჯისცემა. პაოლო იაშვილი, როგორც ცნობილია, პარიზში ყოფნის წლებშივე გაიტაცა სიმბოლიზმმა და სამშობლოში დაბრუნებისთანავე სათავეში ჩაუდგა „ცისფერ ყანწებს", მაგრამ აქ ერთი რამ მინდა ვთქვა: სიმბოლიზმი, თავისი ესთეტიკური მრწამსის მიხედვით, ღამის ფერების და მწუხრის, მიბნედილი საგალობლების განწყობილებებს მოითხოვდა, პაოლოს ლექსი კი მზითა და თვალისმომჭრელი სინათლით, მხიარული ფერების ბრწყინვით იყო სავსე; სიმბოლიზმი სიკვდილსა და მიღმა სამყაროს შესტრფოდა, პაოლოს ლექსის ყოველი სტრიქონი კი გაღვიძებულ სიცოცხლესა და მის ქორფა ყლორტებს შეჰხაროდა; სიმბოლიზმი ამაოთა ამაოებად თვლიდა ამ ქვეყნიურ ცხოვრებას და პოეტისაგან პასიურ ჭვრეტას მოითხოვდა; პაოლო კი მუდამ საქვეყნო საქმით იყო გართული, მუდამ მოწინავე მოქალაქე იყო; სიმბოლიზმი პესიმიზმსა და სევდას მოითხოვდა, პაოლო კი სიხარულის, იმედის, სიყვარულის პოეტი იყო, ლაღი ოპტიმიზმის მახარობელი იყო, მხნე, ვაჟკაცური სულის ადამიანი; და განა ცხადი არ არის, რომ ასეთი ვნებიანი სიყვარული ბუნებისა და სიცოცხლისადმი საფუძველშივე უპირისპირდება ყოველივე იმას, რასაც სიმბოლიზმის ესთეტიკა მოითხოვდა! სწორედ იმ ხანებში, როცა პაოლო იაშვილი „ცისფერი ყანწების" მანიფესტს წერდა, დაიბეჭდა მისი ლექსი „სონეტი ელლის", რომელშიაც ვკითხულობთ:

ყვავიდებია ჩემს გარშემო! მაისი მინდა.
ჩემო ბაღებო, აყვავიდდით, იმხიარულეთ!
გაზაფხულის ღღე, შეხვედრის ღღე ხომ დაგვიბრუნდა!
იცხოვროს ყველამ სიხაბისით და სიყვარულით
და ამ ბუნების მე მანამდე ვარ გადამკიდე.
სანამ იმედი დამპირდება, რომ ვნახავ კიდევ!

სადაური სიმბოლიზმია ეს! პირიქით, ესაა ის ჯანსაღი და წრფელი, სიხარულისა და სიმხნევის მომნიჭებელი, მომხიბვლელი ლირიზმი, რომელიც ქართულ პოეზიაში მეცხრამეტე საუკუნის კლასიკოსებმა დაამკვიდრეს. ამიტომ სავსებით მართალი იყო გერონტი ქიქოძე, როცა აღნიშნავდა:

„არც პაოლო იაშვილის გარეგნობაში, არც მის სულში არაფერი იყო დეკადენტური; გეგონებოდათ, ის სიმბოლისტური და დეკადენტური პოეზიის სკოლას უფრო თავით მიემხრო, ვიდრე გულით."

პაოლო, როგორც პოეტი და როგორც ადამიანი, მუდამ მთლიანი იყო, მუდამ მოზეიმე სიცოცხლით სავსე, სიხარულისა და აღტაცების მომგვრელი ყველასათვის.

რევოლუციის წინა წლები იყო.

იმდროინდელი თბილისის ბაზართა შორის ყველაზე აჭრელებული, მოხმაურე და მრავალფეროვანი შაითან-ბაზარი იყო. რა ხალხს არ შეხვდებოდით აქ, საიდან სად ჩამოსულებს, რა ეგზოტიკურ საქონელს თუ ხილს არ წააწყდებოდით! აქ უღმერთოდ არეულიყვნენ ერთი-მეორეში ევროპაც და აზიაც, დასავლეთიც და აღმოსავლეთიც... ეს ჭრელი, მოზიმზიმე ბაზარი მუდამ თეატრივით უცხო და საინტერესო სანახავი იყო. ჩვენი პოეტებიც ხშირად მიდიოდნენ იქ და მეც მივყავდით.


იმ დღეს, როცა ტიციანმა და პაოლომ შაითან-ბაზარში წამიყვანეს, აქლემების ქარავანი ჩამოეყვანათ თბილისში, არ მახსოვს, რა ტვირთით. დიდხანს დავყოვნდით იქაურობის თვალიერებაში; პაოლო სულ გვაჩქარებდა – წავიდეთო, ბოლოს ტიციანს უთხრა, თუ სად იქნებოდა და დაგვცილდა. ჩვენ კიდევ კარგა ხანს ვიარეთ ბაზარში, ტიციანმა განჯიდან ჩამოტანილი ვეება ბროწეულები იყიდა და მერე მითხრა, ჩვენც დროა წავიდეთ, ამხანაგები გვიცდიანო. წამოვედით და კაფე „ინტერნაციონალში" შევედით. იმავე წუთს შემოგვესმა წამოძახილები: „პიერო და კოლომბინა მოვიდნენო". ვერ გავიგე, რაში იყო საქმე და ვერ მივხვდი, რატომ მოგვნათლეს ამ სახელებით. უცებ პაოლო წამოდგა, ესტრადაზე ავიდა და ეს სტრიქონები წაიკითხა:

მოხეტიალე პიერო
სნეული აგვიტირდება.
და ნუგეშს სამაგიეროს.
ვერავინ ვერ დაჰპირდება.

საღმე შაითან-ბაზარში.
მოსძებნის მყუდრო ბინასა.
შეიყვანს. როგორც ცაძარში.
ფერწასულ კოლომბინასა.

წაიკითხა თუ არა, ეს ექსპრომტი პაოლომ მე გადმომცა. ლექსი პაპიროსის კოლოფზე იყო დაწერილი. თურმე ჩვენს მოსვლამდე ეთქვა იქ მყოფთათვის – ტიციანი და ნინო ვერაფრით ვერ მოვაშორე შაითან-ბაზარსო და ეს ექსპრომტიც იმ ამბის გამოძახილი იყო.

ამ ექსპრომტის ქვეტექსტი რომ უფრო გასაგები იყოს დღევანდელი მკითხველისათვის, აქ კიდევ ერთი რამ უნდა აღვნიშნო: საერთოდ, მკითხველს შემჩნეული ექნება, რომ ჩვენი პოეტების იმდროინდელ ლექსებში მეტად ხშირად ისმის ეს სახელები: არლეკინი, პიერო, კოლომბინა, პულჩინელო და ა. შ. ეს დამახასიათებელი იყო არა მარტო ქართული, არამედ რუსული სიმბოლიზმისათვისაც. გაიხსენეთ ალ. ბლოკის „ორეული" („აჰა, შენ ჩემი სიმღერა, კოლომბინა"); ტიციან ტაბიძის „ქალდეას ბალაგანშიც", „პიეროშიც" და სხვა ლექსებშიც ხშირად ისმის ეს სახელები;



შაითან-ბაზარი, ა. ჯრიუჩონოხოს ლიტაფები წიგნიდან "1918".

ამაზეა აგებული პაოლოს ექსპრომტიც, რომელიც ზემოთ მოვიყვანე. ამიტომ ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა იმაზე, თუ საიდან გაჩნდა ეს სახელები ქართულ პოეზიაში. მით უმეტეს ამას აქვს ერთგვარი მნიშვნელობა ქართველი სიმბოლისტების ლიტერატურული მრწამსის დასახასიათებლად, და, მაშასადამე, მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის; კოლომბინა, არლეკინი, პიერო – ძველი ფრანგული და იტალიური ხალხური „ნიღბების კომედიის" („კომედია დელ არტე") ტრადიციული პერსონაჟები იყო; ეს იყო ხალხური სანყისები იტალიის გვიანი აღორძინების თეატრში, რომელიც შეიცავდა ნიღბებს, აქტიორულ იმპროვიზაციას, ბუფონადას და ყოველივე ამას ჰქონდა ფოლკლორული ფესვები; ერთი სიტყვით, ეს იყო რაღაც ჩვენებური ბერიკაობისა თუ ყეენობის მსგავსი სანახაობა. ჩვეულებრივ კომედიურ სიტუაციებში არლეკინი – ენამწარე დამცინავი და მოხეტიალეა, გონებამახვილობით აღსავსე, პიერო – მისი დანავსული და კვიმატიანი თანამგზავრი და განუშორებელი ამხანაგი, კოლომბინა კი – პიეროს ცოლია. ყველა ისინი, როგორც ხალხური პერსონაჟები, დაკავშირებულნი იყვნენ ხალხურ დღეობებთან, ბაზრობებთან, ზეიმებთან და ერთგვარად გამოხატავდნენ პროტესტს ყოველგვარი ოფიციალურის, კლასიკურის, დამკვიდრებულისა და საერთო გემოვნებით დაკანონებულის წინააღმდეგ. მე მგონია, სწორედ ამიტომ მოხდა, რომ სიმბოლისტებმა, რომლებიც აცხადებდნენ ძველი გემოვნების ნორმებს ვარლვევთო, ხელი ჩასჭიდეს სწორედ ამ პროტესტანტებს, რომლებიც მასხარად იგდებდნენ ზვიად და ამაყ ძველ სამყაროს. საერთოდ-კი, ესეც გატაცება იყო დასავლური სახეებით და ნიღბებით, რომელიც ესოდენ დამახასიათებელი იყო ჩვენი ყანწელების შემოქმედებისათვის პირველ ხანებში, და მთელი ამბავიც, რომელიც ზემოთ მოვიყვანე, იმას მოწმობს, რომ პაოლოს და ტიციანს სურდათ ყოფაშიც გადაეტანათ თავიანთი ლიტერატურული გატაცებანი.

საერთოდ, პაოლო იყო განსაცვიფრებელი იმპროვიზატორი და ბრწყინვალე ოსტატი ექსპრომტისა. ექსპრომტებს ის წარმოსთქვამდა როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე. პირველი ომის ბოლო წლებში თბილისში გახსნილი იყო ერთი საჩაიე, რომლის მთელი შემოსავალი გადადებული იყო ფრონტზე დაჭრილი ქართველი ჯარისკაცების სასარგებლოდ. აქ, ამ საჩაიეში, თავს იყრიდა მთელი ჩვენი ინტელიგენცია, აქ მოდიოდა მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე, მხატვრები – ლადო გუდიაშვილი, დიტო შევარდნაძე, დავით კაკაბაძე, რეჟისორები – სანდრო ახმეტელი და ალ. წუწუნავა, ახალგაზრდა მსახიობები – ვერიკო ანჯაფარიძე, თამარ ჭავჭავაძე და მრავალი სხვები. და, რა თქმა უნდა, ქართველი პოეტები მუდამ აქ იყვნენ. კვირის ყოველი დღე განაწილებული იყო და ყოველ დღეს თავისი მორიგე დიასახლისი ჰყავდა. ამ მორიგე დიასახლისთა შორის იყო მომხიბვლელი ქალი ქეთუსია მესხიშვილი. სახელგანთქმული ქართველი იურისტის – შალვა მესხიშვილის ცოლი. ქეთუსიას მორიგეობის დღე ხუთშაბათი იყო. ამიტომ პაოლო მას „ხუთშაბათის დედოფალს“ ეძახდა. პაოლოს საერთოდ ქეთუსია ძლიერ მოსწონდა. და აი, ერთ დღეს მას ასეთი ექსპრომტი მიუძღვნა:

Переменчива судьба
И изменив этот свет.
Вы теперь жена министра
Я влюбленный в Вас поэт.

Я забыл, забыл ненастье,
Улыбается серьга,
Четверги дают мне счастье,
Вы царица четверга.

მომდევნო ორ ხუთშაბათს ქეთუსია ავად იყო და საჩაიემ უდიასახლისოდ ძლიერ მოიწყინა. როცა ქეთუსია დაბრუნდა, პაოლომ კვლავ ახალი ექსპრომტი უძღვნა:

Два четверга ходил без цели
И одиноким проходил,
И только где-то тихо пели
Благоухания кадил.

И только раз мельком с трамвая,
Улыбку бросили Вы мне
И даже нежность горностая
Ко мне ласкалась в тишине.

პაოლოს ეს ექსპრომტები არსად გამოქვეყნებული არ არის, ისინი ერთგვარად შუქს ჰფენენ იმდროინდელ ლიტერატურულ ატმოსფეროს, თუ ყოფას და, მე მგონია, ამიტომ ინტერესს მოკლებული არ უნდა იყვნენ.

ფუტურიზმიც იმ არეულ-დარეულ დროს, რევოლუციის წინა წლებში წარმოიშვა. რუსთაველის პროსპექტზე ფუტურისტმა ძმებმა ილია და კირილე ზდანევიჩებმა გახსნეს ე. წ. „ფანტასტიკური კაბაჩოკი“. აქ ეწყობოდა ლიტერატურული საღამოები, რომლებსაც, ქართველ და რუს პოეტებსა და მხატვრებს გარდა, ხშირად ესწრებოდნენ ახალგაზრდა რევოლუციონერები – ბესო ლომინაძე და არჩილ მიქაძე; აქვე ხშირად ნახავდით ფუტურისტ კრუჩიონიხს, რომელიც თავის „ორიგინალურ მსოფლმხედველობას“ იმით გამოხატავდა, რომ წაბლს მაკრატლით ფცქვნიდა და,

ამას გარდა, ფერადი ქაღალდებისა და ჩითების ნაჭრების კოლექციას ადგენდა, თან ამტკიცებდა – პოეზიაში ამ გზით ახალი ჰორიზონტების გახსნა შეიძლებაო. აქვე ხშირად დაინახავდით ახალგაზრდა ვერიკო ანჯაფარიძეს, რომელსაც მწვანე კოფთა ეცვა და ქუდზეც კაკადუს მწვანე ფრთა ეკეთა. აქვე იყვნენ იმდროინდელი პოეტი ქალები – ტატიანა ვეჩორკა და ნინა ლაზარევა; საღამოების განუყრელი სტუმარი იყო სომეხი მწერალი ყარა-დერვიში, რომელიც თავის ლექსებს თავისივე ფულით ბეჭდავდა და გასავრცელებლად აძლევდა ვიღაც სათვალეებიან კაცს, რომელსაც ავლაბრის პულჩინელოს ეძახდა. თვითონ ყარა-დერვიში საოცრად კარგი ადამიანი იყო, ძალზე გულუბრყვილო და ყველას მოყვარული. მას ძლიერ უნდოდა, რომ მისთვის ფუტურისტი დაეძახნათ, თუმცა ამ მიმართულებასთან მაინც და მაინც ბევრი არაფერი ჰქონდა საერთო, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ერთხელ, როცა საღამოზე ილია ზდანევიჩი არ გამოცხადდა, სხდომა ყარა-დერვიშმა გახსნა და განაცხადა, რომ აქ წარმოგზავნილია ვირების ქარავნის მიერ. ასეთი ექსცენტრიკული გამოსვლები მაშინ, ასე ვთქვათ, მოდაში იყო და ამიტომ არავის უკვირდა.

„ფანტასტიკურ კაბაჩოკში“ ერთი საღამო ველემირ ხლებნიკოვის შემოქმედებას მიეძღვნა; კითხულობდნენ მის „ზაუმურ“ ლექსებს. გამოვიდა პაოლოც, წაიკითხა ყოვლად უცნაური რამ, ზაუმზე ყურმიჩვეულებსაც რომ გაუკვირდათ; პაოლომ განაცხადა, რომ ეს არის ხლებნიკოვის დაუბეჭდავი ლექსი; საოცარი წარმატება ხვდა, ტაშით აიკლეს იქაურობა; ჩვენ კი სიცილით ვკვდებოდით, ვინაიდან ვიცოდით, რომ ეს იყო პაოლოს მორიგი მისტიფიკაცია; „ხლებნიკოვის ლექსი“ მან ჩვენს თვალწინ დაწერა. მახსოვს, იმავე საღამოს, ვრცელი სიტყვით გამოვიდა ბესო ლომინაძე – დიდხანს ილაპარაკა ლიტერატურულ დეკადანსზე, აღნიშნა, რომ „ზაუმურ პოეზიას“ ჩვენში არავითარი ნიადაგი არა აქვს; იქ დამსწრეთაგან ბესოს ბევრი შეეკამათა და საღამო კინაღამ ჩხუბით დამთავრდა.

დაახლოებით იმავე ხანებში ახალგაზრდა მწერალმა ქალმა ანა ანტონოვსკაიამ (შემდგომში ცნობილი რომანის „გიორგი სააკაძის“ ავტორი) თბილისში დააარსა ჟურნალი „არს“ („ხელოვნება“). აქ იბეჭდებოდა სერგეი გოროდეცკის, ტატიანა ვეჩორკას, ნინა ლაზარევას, ტიციანის, პაოლოს ლექსები; რედაქციაშივე ეწყობოდა საინტერესო ლიტერატურული საღამოები: კითხულობდნენ და იხილავდნენ ლექსებს; ამ ჟურნალში დაიბეჭდა პაოლოს ლექსი, ჩემდამი მოძღვნილი. ლექსი რუსულ ენაზე სერგეი გოროდეცკიმ თარგმნა:

С нами тайно сродилась сестра Коломбина,
Зажигает за нас свечи в Ванском соборе,
Алый цвет оплетает нас, как паутина,
С нами тайно сродилась сестра Коломбина.
Мы боимся увидеть сестру нашу в горе,
Черным цветом покрылась нашей скорби долина,
За нее зажигаем мы свечи в соборе.

ეს ლექსი პაოლომ კონსერვატორიაში მოწყობილ საღამოზე წაიკითხა; საღამოს შემდეგ ქუჩაზე გამოვედით. ფული არავის ჰქონდა, მაშასადამე, ვერსად ვერ წავიდოდით. მაშინ პაოლომ იყიდა თონის ცხელი პური და კიტრის მწნილი; რუსთაველის პროსპექტზე სუფრის მაგიერ გაზეთი გაშალა, დავსხედით და ვახშმობა დავიწყეთ. პოეტები კითხულობდნენ თავიანთ ლექსებს და თვრებოდნენ ულვინოდ. გამვლელნი ჩერდებოდნენ, უსმენდნენ ლექსებს, ხან თავიანთ შენიშვნებს გამოსთქვამდნენ, გვიანობამდე ვისხედით ასე – ესეც პაოლოს მონადინება იყო – ლექსი ქუჩებზე და მოედნებზე უნდა გავიტანოთ, აუდიტორიაც უფრო ფართო გვინდა, მარტო დაკეტილი დარბაზები აღარა გვყოფნისო.



"ქიმერიონი", ს. სუდეიკინის მოხატულობა აღმოსავლეთ კედელზე. ნამუშევარი შემორჩენილია საარქივო ფოტოზე

როგორც მოგეხსენებათ, სამოქალაქო ომის წლებში, ცხოვრების პირობები მეტად მძიმე იყო; განსაკუთრებით გაგვიჭირდა ცხოვრება 1918-1919 წლებში. ყოველივე ამან ძალზე ცუდი ზეგავლენა მოახდინა ჩემს ჯანმრთელობაზე – ჭლექით გავხდი ავად, პაოლო, რომელსაც ესოდენ ნაზი და რაინდული სიყვარულით უყვარდა ტიციანი, სულ იმას ცდილობდა ენუგეშებინა თავისი მეგობარი, ეუბნებოდა, რომ ეს საშიში არ არის, რომ ყველაფერი კარგად და ბედნიერად დამთავრდება; გარდა ამისა, რას არ აკეთებდა პაოლო, რომ ჩემი მდგომარეობა შეემსუბუქებინა – ყოველ დღე ყვავილებით ავსებდა ჩემს ოთახს. როცა მწარე წამლის დალევა გამიჭირდებოდა, სვამდა წამალს ჩემთან ერთად და ყველაფერს აკეთებდა, რომ ჩემი ხვედრი შეემსუბუქებინა.

იმ ხანებში, როგორც იყო, მოახერხეს და აბასთუმანში სამკურნალოდ გამგზავნეს. ტიციანი და პაოლო თან წამომყვნენ. ხაშურში პაოლო მატარებლიდან ჩამოვიდა და გვითხრა, ხვალ დილით აბასთუმანში ვიქნებიო. მართლაც, ის დანიშნულ დროს ამოვიდა და თან ვალერიან გაფრინდაშვილიც ამოიყვანა. საღამოთი ოთახში, სადაც ისინი დაბინავდნენ, თავი მოიყარეს იქ მყოფმა ავადმყოფებმა. პოეტებმა დაიწყეს ლექსების კითხვა, და ამ იმპროვიზებულმა ლიტერატურულმა საღამომ ავადმყოფებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.




ჩემი მდგომარეობა მძიმე იყო. იმ ხანებში ამას ისიც დაერთო, რომ თავი მოიკლა ჩემმა ძმამ, რომელიც ძლიერ მიყვარდა. პაოლომ იცოდა, რომ ამ ამბის გაგება ჩემთვის მომაკვდინებელი დარტყმა იქნებოდა. ამიტომ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ეს ამბავი არ შემეტყო. როცა ჩემს ძმას თბილისიდან თელავში მიასვენებდნენ, თურმე პაოლო გავიდა სადგურზე, ინახულა დედაჩემი და ანუგეშა მწუხარე ქალი, თუკი მისთვის რაიმე ნუგეშისცემა შეიძლებოდა. პაოლომ უთხრა დედაჩემს – მე შენი შვილი ვარ, შენი ნინოს ძმა ვარ და მუდამ შენიანთა შორის მიგულეო. დედა სადგურზე ატირებული ყო, ჩაეხუტებინა გულში პაოლო და ცრემლი დაეფრქვია ამ კეთილშობილი ჭაბუკის მკერდზე. დიდი და კეთილი გული ჰქონდა პაოლოს, უძირო იყო მისი სული, სავსე მოძმის, ადამიანის სიყვარულით.

ადამიანებისადმი სიყვარულში მან არ იცოდა ზომა: დაივიწყებდა თავის თავს, დაივიწყებდა ყველაფერს, ოღონდ განსაცდელსა თუ გაჭირვებაში მყოფისათვის ხელი გაეწვდინა, ცრემლი შეეშრო. მახსოვს, გადმოხვეწილი სომეხი გოგონები – ატლასა და აშხენა; პაოლო უკანასკნელ კაპიკებს არ იშურებდა მათთვის, და ისინიც, როგორც მშობელ მამას, თუ უფროს ძმას, გვერდიდან აღარ შორდებოდნენ.

ამრიგად, პაოლო მთლიანი იყო, როგორც პოეტი და როგორც ადამიანი. მაღალი ჰუმანიზმი, სიყვარული უბრალო ადამიანისადმი, რომლითაც გამსჭვალულია მთელი მისი შემოქმედება, ამავე დროს მისი ცხოვრების ნორმა იყო. პაოლო იაშვილს აქვს ერთი მშვენიერი მოთხრობა „ფერადი ბუშტები". მასში აღწერილნი არიან ე. წ. ფრესკის ადამიანები, პარიზისა და თბილისის მათხოვრები; საოცარი ჩაწვდომით და გულისშემძრავად გადმოსცა აქ მწერალმა ტრაგედია ადამიანებისა, რომლებიც ცხოვრებას გაურიყავს და შეუბრალებლად გაუსრესია ფეხქვეშ; ამ დაჩაგრულთა, დამდაბლებულთა და შეურაცყოფილთა გულისტკივილი, მათი დარდი და ნაღველი აქ ძლიერი საღებავებით არის გადმოცემული და მთელ მოთხრობაში ჟღერს მძაფრი ტრაგიკული პათოსი. ეცნობით მოთხრობის გმირის ლეონტი კაჩერგას საშინელ სიდუხჭირეს, მისი შვილიშვილის პატარა ბავშვის ავადმყოფობისა და სიკვდილის ამბავს და თქვენ ხედავთ მთელ ეპოქას, დაფუძნებულს უსამართლობაზე, სადაც ადამიანი ადამიანისათვის მგელი იყო.

სხვათა შორის, უნდა აღვნიშნო, რომ ეს დოკუმენტური მოთხრობაა, ლეონტი კაჩერგა თბილისელი მათხოვარი იყო და, როცა მასთან შეხვედრისას ფული არ აღმოაჩნდებოდა, პაოლო საშინლად იტანჯებოდა.



კაფე "ქიმერიონის" ინტერიერი

მახსოვს, ერთხელ მეფის ნაცვლის სასახლესთან (ახლანდელი პიონერთა სასახლე) მივდიოდით. ჩვენს წინ კაჩერგა გამოჩნდა. პაოლო აღელდა, ფული არავის არ ჰქონდა. მაგრამ პოეტმა უცებ იპოვა გამოსავალი, წუთიერი დაფიქრების შემდეგ მოიხადა ქუდი, გაუწოდა გამვლელებს და დაიწყო ძახილი: „გაიკითხეთ საწყალი ქართველი პოეტი" პაოლოს ყველა იცნობდა, გამვლელები იღიმებოდნენ და ფულს ქუდში უყრიდნენ. ოცი წუთის შემდეგ ქუდი სავსე იყო ფულით. პაოლომ მთელი ეს თანხა მათხოვარს გადასცა. შემდეგ მან ბინაზეც ინახულა ეს მათხოვარი. ამ შთაბეჭდილებების შედეგად დაიწერა მისი „ფერადი ბუშტები"

პაოლოს ხშირად დავყავდით ამაღლების ქუჩაზე, სადაც ოვანეს თუმანიანი ცხოვრობდა. მიუახლოვდებოდა თუ არა სახლს, პაოლო იწყებდა ლექსების ხმამაღლა კითხვას, დაამთავრებდა და შესძახებდა – წმინდაო ოვანეს, გვეჩვენე, დაგვენახე! გაღიმებული ოვანესი გამოჩნდებოდა და შინ შეგვიყვანდა; იწყებოდა მეგობრული ლხინი, გაუთავებელი საუბარი პოეზიაზე, ხელოვნებაზე. ოვანესის ოთახში მუდამ საოცრად სასიამოვნო სურნელი იდგა – მას მუდამ ენთო მაყალი, ნაკვერცხლებზე იწვოდა რაღაც ქალალდი და სურნელსაც ის გამოსცემდა.

აბასთუმნიდან დაბრუნებისას გზაში ბევრი უსიამოვნება შემხვდა. უკვე ვთქვი, არეული დრო იყო და ვინ მოსთვლის, რას არ გადააწყდებოდა ადამიანი მოგზაურობის დროს. ახალქალაქში ვილაცეებმა ჩემოდნები წამართვეს: მერე იქ ერთი გავლენიანი ნაცნობი ვნახე, გვარად ზორიანი; ის დამეხმარა და ჩემოდნები დამიბრუნეს, მაგრამ როგორ წამოვსულიყავი, – არ ვიცოდი. ეზოვარ სადგურში და ვტირი, აღარ ვიცი, რა ვქნა. უცებ თვალი მოვკარი ვილაც ახოვან ოფიცერს, მოდის გაბდღვიალებული, თითქოს მზე თან მოჰყვებაო. მოდის და შორიდანვე მიცინის – დავაკვირდი, ეს ხომ პაოლოა, საიდან სადაო, ან ეს მუნდირი რა ამბავია – ვეკითხები, და ის კი რალაცას ხუმრობს. მან ჩამომაცილა თბილისში და აქედან თელავში წამიყვანა.

სიცილი, აღტაცებული შეძახილები. ნადიმს ერთი თავზე ხელაღებული ქართველი ოფიცერი ესწრებოდა, ის წამოხტა და პაოლოს ექსპრომტს უპასუხა:

Паоло, какие нежности,
При нашей бедности.

აქაოდა, რაცა გვაქვს, მოგვიცია, ამდენ რითმებს ნუღარ ხარჯავო. სიცილი მთელ დარბაზს მოედო და ყველაზე გულიანად თითონ პაოლოი ცინოდა.

ხუმრობა დაუძახეთ თქვენ ყოველივე ამას! შესანიშნავ ახალგაზრდებს თავისი ვაჟკაცური ხელი გაუწოდა პაოლომ და შორი მომავლის გზაც დაულოცა.

აქ ჩანდა ნამდვილი პაოლო, კაცი, რომელსაც ყველას სატკივარი სტკიოდა, ყველას საფიქრალი აწუხებდა.

ახლა ჩემი ქორწილის ამბები უნდა გიამბოთ, ვინაიდან პაოლოს ავთანდილობა აქ კიდევ ერთხელ გამოჩნდა.

აი, უკვე დანიშნულია ქორწილის დღე. სამწუხაროდ, ნეფე – ტიციანი მაინც და მაინც იმ დღეებში გახდა ცუდად. მთელი სამზადისი პაოლოს დააწვა მხრებზე, მთელი დღეობით დაჰქროდა ქალაქში, ყვავილებისათვის ბათუმშიაც კი წავიდა. შემდეგ თვითონვე შეადგინა საქორწილო სუფრის მენიუ, სტუმრები თვითონ მოიპატიჟა, „ქიმერიონის“ მზარეულებსა და ოფიციანტებს რჩევას აძლევდა, რა და როგორ გაემზადებინათ, ხარჯავდა თავის ფულს, და ეს გადაჭარბება არ გეგონოთ, თითონ კი საკამოდ ძველი, დაცრეცილი შარვალი ეცვა, მაგრამ ამას ყურადღებას არ აქცევდა და მდიდარი, გულუხვი კაცის პოზა ჰქონდა.

ერთი სიტყვით, ქორწილისათვის მზადება გახურებული იყო, მაგრამ აი უბედურება: არც პაოლოს, არც ტიციანს და არც მე საკუთარი ბინა არა გვქონდა. ამიტომ საქორწილო ნადიმის შემდეგ, დილით ქუჩაზე რომ გამოვედით, აღარც ვიცოდით, საით წავსულიყავით; უხერხულობას კიდევ ის იწვევდა, რომ მე ჩემი ნათესავებისათვისაც არ მითქვამს – ტიციანს ბინა არა აქვსმეთქი. ჩვენს მეგობართა შორის ბინა ჰქონდა მარტო ლელი ჯაფარიძეს, რომელიც ბროსეს ქუჩაზე ცხოვრობდა. მაგრამ იმ დილით, ქორწილის შემდეგ, ლელის ვიღაც ქალიშვილი გაეცილებინა სახლში, გზაში მოჰგონებოდა, რომ ჩვენ არსაით წაგვესვლებოდა, მიეტოვებინა ქალიშვილი შუა გზაზე და გამოქცეულიყო, რათა თავისთან წავეყვანეთ.





პირველი რიგში: პეტრე ქავთარაძე, ეფემია გედევანიშვილი-ლეონიძე;
მეორე რიგში: გერონტი ქიქოძე, ნინო მაყაშვილი-ტაბიძე, შალვა ქართველიშვილი,
ტასო ამირეჯიბი-ქიქოძე, გიორგი ლეონიძე;
მესამე რიგში: ანა ლორთქიფანიძე-ქავთარაძე, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე

მივედით ლელი ჯაფარიძის ბინაზე. წელან უკვე ვთქვი, ტიციანი შეუძლოდ იყო-მეთქი. გავუზომეთ სიცხე, ორმოცი გრადუსი ჰქონდა, ბოდავდა. ისევ პაოლო დატრიალდა, საავადმყოფოში წაიყვანა, ტიციანს ფილტვების ანთება აღმოაჩნდა.

ტიციანი კარგად რომ გახდა, პაოლომ მის გამოსაყვანად მთელ პოეტებს მოუყარა თავი. წავედით. ავადმყოფი კარგ გუნებაზე დაგვიხვდა; ვიქირავეთ ეტლი და მოვდივართ, არ ვიცით კი სად, – ბინა ისევ არა გვაქვს; პაოლოს სასტუმროში ნომერი დაუქირავებია და იმისი იმედი აქვს; თანაც ქალაქის თავისათვის შეუტყობინებია ჩვენი გაჭირვების ამბავი, და ისიც დაჰპირებია – ეგებ რამე გიშველოთო. თითქოს ბედზე, საავადმყოფოდან წამოსულებს ქალაქის თავი შემოგვეყარა გზაზე, მან თავისი მანქანა გააჩერა, პაოლოს თვალი ჩაუკრა, ხოლო ტიციანს მიმართა:

– ბიჭო, გავიგე, ცოლი შეგირთავს და თურმე თავშესაფარი კი არსადა გაქვს. აჰა, გასაღები... შენს ბედზე, ვაჭართა კლუბი მივკეტე ახლახან, დაე, ეგ იყოს შენი ბინა!

წამოვედით, გახარებულებმა გავაღეთ დაკეტილი კლუბი, მაგრამ ახლა მისი მოწყობა არ გინდა! რა თქმა უნდა, ისევ პაოლო დატრიალდა და ჩვენი ბინა, იმ დროის კვალობაზე, შესანიშნავად მოაწყო.

გავიდა ათიოდე დღე და გადავწყვიტეთ სოფელში წავსულიყავით, ტიციანის დედასთან. გზად ქუთაისში შევუხვიეთ – ტიციანის დები და ძმები იქ ცხოვრობდნენ. სასტუმრო „ფრანციაში“ გავჩერდით. უცებ ხმაურით გაიღო კარი და პაოლო გამოჩნდა, თან უამრავი პოეტები ახლდნენ. თურმე იმავე ვაგონით ინკოგნიტოდ გამოგვყოლოდნენ, მაგრამ კუპედან არ გამოდიოდნენ, რომ არ დაგვენახა. პაოლომ აქაც თავისებური სიურპრიზი მოგვიწყო. მთელ დღეს ქალაქში დავდიოდით, ვეცნობოდით იქაურობას, საღამოთი კი ყველამ ჩვენს ნომერში მოიყარა თავი. პაოლომ რატომღაც სიტყვა „სიკვდილისა“ და „კუბოს“ ეტიმოლოგიის ირგვლივ დაიწყო ლაპარაკი. ხან ხუმრობდა, ხან სერიოზულ გამომეტყველებას იღებდა, ლაპარაკობდა სიტყვებს მაგიაზე, მილმა ქვეყანაზე... ამ დროს უეცრად მთელმა შენობამ ზანზარი დაიწყო, ხალხი სკამებიდან გადაცვივდნენ. პაოლომ დამტაცა ხელი და კართან მიმიყვანა, კოლაუ ნადირაძეს იატაკზე დაეჩოქა, თვალები ჭერისაკენ აღეპყრო და ჩურჩულებდა: „ავე მარია, ავე მარია...“ დილით კი გავიგეთ, რომ გორში საშინელი მიწისძვრა ყოფილიყო და მთელი ქალაქი დაექცია.

იმერეთიდან მალე ისევ თბილისში ჩამოვბრუნდით. ჩვენს ბინაზე ახლა გაუთავებელი სტუმრიანობა იყო. პაოლოს უფრო ხშირად ჩვენს სახლში ეძინა. მან მოხატა ჩვენი ბინა – ფრესკებივით ჩამოამწკრივა კედლებზე ტიციანის, ვალერიან გაფრინდაშვილის, თავისი პორტრეტი, მოჰქონდა მხატვართა ნამუშევრებიც – უკვე იმ დროიდან დავიწყეთ ჩვენი კოლექციის შედგენა.

პაოლომ იმ ხანებში ჩვენთან მოიყვანა ინჟინერი ავდეევი. მეტად საინტერესო კაცი იყო, პოეზიის დიდად მოყვარული. მას გამოცემული ჰქონდა წიგნი „მე მოვდივარ“. ამას გარდა, მისი აჩემებული ოცნება იყო გვალვის წინააღმდეგ ბრძოლა ვოლგის მიდამოებში; ჰქონდა რაღაც ნახაზები, რომელთა მიხედვით ვოლგისათვის მიმართულების შეცვლას აპირებდა. მისი წიგნი ნახაზებითურთ, აქამდე შემომრჩა.

1921 წლის 14 იანვარს დაიბადა ჩემი გოგონა. ქალაქში საშინელი სასურსათო კრიზისი იყო, რძე არ იშოვებოდა, რა თქმა უნდა, ისევ პაოლო იყო ჩვენი მშველელი.

თებერვლის დღეებში ჩვენ გადავწყვიტეთ სოფელში წავსულიყავით. სადგურზე რომ გავედით, უცნაური არეულობის მოწმენი შევიქენით. თურმე მენშევიკური მთავრობა სტოვებდა ქალაქს. პაოლომ რომ გაგვაცილა, იქვე, სადგურზევე შეადგინა სახელდახელო ჯგუფი, წაიყვანა ციხისაკენ და პოლიტიკური პატიმრები გამოუშვა. შემდეგ, როგორც ცნობილია, იგი პირველი შეეგება მეთერთმეტე არმიის პოლკებს, რომლებიც ქართველი მუშებისა და გლეხების დასახმარებლად მოდიოდნენ თბილისისაკენ.

მაგრამ დაუბრუნდეთ ისევ ჩვენს ამბავს. ტიციანმა სოფლამდე ჩამაცილა და თბილისს გამობრუნდა. სწორედ იმ ხანებში სოფელში მივიღე პაოლოს ლექსი, მიძღვნილი ჩემი პატარა გოგონასადმი; ლექსს სათაურად ჰქონდა: „ტიციანისა და ნინოს ჭინკას“. აი ეს ლექსიც:

თუ მარცოობა მეცად გვაწვაღებს
და როცა ღამე ცირის და ღეღავს,
ვიგონებთ ჭინკას პაცარა თვაღებს
და ვეხარბებით თავაღურ თეღავს.

ჩვენი იმედი და ჩვენი ბავშვი.
ისე მარტოა და ნათმენია.
თითქოს ზამბახი აგდია ნავში.
და თითქოს ზამბახს რაღაც სწყენია.

ჩვენ მოგონების გვაწუხებს სევდა.
კოცნა ღიღხანს არ მივვიცანია.
ჩვენ დავატყვევეთ თბილისში ღედა
და ქინკას სევდა ნამეცანია.

პოეტ ნათიას ქინკას თვალები.
უნდა დაკოცნოს პატარა ხელიც.
მზად მაქვს პატარა მარგალიტები
და ჩემს ინფანტას ყოველღღე ველი.

ტიციანმა სოფელში რომ მომინახულა, მითხრა – პაოლოს ერთი მშვენიერი ქალიშვილი შეჰყვარებია, და გიცდის, უნდა რომ შენც გაჩვენოს, რომ მის არჩევანს დასტური მისცეო.

და აი, ჩამოვედით თბილისში. მაჩაბლის ქუჩაზე, მწერალთა სახლის აივანზე ვდგავარ და კომპოზიტორ მელიტონ ბალანჩივაძეს ვესაუბრები. უცებ ვხედავ, მოდის პაოლო, ლამაზი, გაღიმებული, და მოჰყავს მშვენიერი ქალიშვილი, სულ ცისფრად ჩაცმული და როგორღაც ცისფრად გაბრწყინებული. საპატარძლო ძლიერ მომეწონა. ეს იყო თამარა სერებრიაკოვა, ცნობილი პროფესორის – ოქრომჭედლიშვილ-სერებრიაკოვის შვილიშვილი. პაოლომ სულ მალე დაიწერა ჯვარი თავის სატრფოზე.

ქორწილი თბილისში გადავიხადეთ და აქედან არგვეთში წავედით. აქ გავიცანით პაოლოს მამა, ახოვანი ლამაზი ვაჟკაცი, კეთილი, მომღიმარე თვალებით, დედა პოეტისა – ნაზი და ალერსიანი ადამიანი. აქვე იყვნენ პაოლოს ძმები, ერთი-მეორეზე ულამაზესი ვაჟკაცები, და პაშა, რძლები თათუშა და სახელგანთქმული ივლიტა, რომელიც პაოლოს გაგიჟებით უყვარდა. ივლიტა იმერული კერძების ჯადოქარი ოსტატი იყო და პაოლოც ხომ ამ სფეროშიც არავის ჩამოუვარდებოდა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აქ პაოლო თავის თავს ივლიტას მოწაფედ სთვლიდა.

დაუცხრომელი ადამიანი იყო პაოლო. ის მუდამ უაღრესად აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ის ახალი საზოგადოების მშენებლობაში მონაწილეობს არა მარტო ლექსით, არამედ საზოგადოებრივ ღვაწლითაც. ის იყო საბჭოთა საქართველოს პარლამენტის დეპუტატი – ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. 1928 წელს საქართველოს ცაკის სესია აჭარის დედაქალაქში გაიმართა და ამ ამბავს პოეტმა უძღვნა ლექსი „ერთი კვირა“, რომელშიც კარგად არის გამოხატული პოეტის როლი ახალი ცხოვრების მშენებლობის გზაზე. ამ ლექსში პოეტი ამბობდა:

რაღაც სითბოა გამჯდარი ცანში
და სიხარული ამიცანს რაღაც.
რომ ერთი კვირა აქარისცანში
მე არ მივლია უსაქმოდ აღად.

რომ ჩამოვედი საქმის კაცებთან
და მათთან ძმური გავწიე ჯაფა.
რომ ამ ღღეებში მე მიცაცებდა
მუშაობაში ხარივით ჩაბმა.

ის მართლაც ხარივით იყო ჩაბმული საქმეში. სამგორის მორწყვა, რიონჰესის აგება – ყველაფერი აინტერესებდა მას, ცდილობდა როგორც შეეძლო, ხელი შეეწყო ამ საქვეყნო საქმისათვის. ვალოდია ჯიქიას დავალებით ის დადიოდა სოფლიდან სოფლად, აგროვებდა მუშახელს, და აქაც ისეთივე ენთუზიასტი იყო, ისევე დაუცხრომელი, როგორც ლიტერატურულ შეკრებებზე.

პაოლო ლექსებში ხშირად უჩიოდა თავის სიზარმაცეს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მან გატაცებით იცოდა მუშაობა. იშვიათად მიუჯდებოდა საწერ მაგიდას, მაგრამ როცა მიუჯდებოდა, ხელებზე ცეცხლს წაიკიდებდა, მახსოვს როგორ მუშაობდა ის პუშკინის თარგმანებზე, ყოველ დღე მოდიოდა გახარებული ჩვენთან და გვიკითხავდა ქართულ პუშკინს. პაოლომ თავის თარგმანებში პუშკინის ლექსის მარტო აზრი და შინაარსი, მისი სიტყვის არა მარტო სემანტიკური, არამედ ფონეტიკური ჟღერადობაც დაიცვა. დედნის სტრიქონიც და თარგმანისაც ერთ უნისონში მოექცნენ. როცა პაოლომ მოსკოვში, რუსი მკითხველების წინაშე წაიკითხა თავისი თარგმანები, დამსწრენი სათაურის დაუსახელებლად, უთარგმნელად აჰყვნენ ლექსების რიტმს, მათ მუსიკით და ჟღერით იცნეს პუშკინი. რამდენადაც ვიცი, ეს იშვიათი შემთხვევაა თარგმნის ისტორიაში და ნიმუშია იმისა, თუ როგორ ღრმად უნდა ჩასწვდეს მთარგმნელი დედნის სულს, მის სიტყვას და მის მუსიკას. და ახლა თქვენ განსაჯეთ, რაოდენი შრომა უნდოდა ამას, რაოდენი ფიქრი, ძიება... კიდევ ერთი რამ არ მინდა გამომრჩეს. პაოლო იყო უნაზესი მამა და განუზომელი სიყვარულით უყვარდა თავისი მშვენიერი ქალიშვილი – მედეა. უკანასკნელი სტრიქონები – სწორედ მედეასადმი მიწერილი წერილი იყო, სავსე სიკვდილის დარდით და ენით გამოუთქმელი სიყვარულით. მაგრამ არა, არ მინდა ვილაპარაკო პაოლოს სიკვდილზე. არ შემიძლია. ის მუდამ ცოცხალივით დგას ჩემს თვალწინ, და ახლაც ასე მგონია, კვლავ შემოაღებს კარებს და გაიღიმებს იმ საოცარი მომხიბვლელი ღიმილით, რომელიც ასე უხდებოდა მის ვაჟკაცურ სახეს.

ნინო ტაბიძე
ჟურნალი „მნათობი“, № 8, 1964 წ.

Три Тени

(Фрагмент)

...Около 1930 года зимой в Москве посетил меня вместе со своею женою поэт Паоло Яшвили, блестящий светский человек, образованный, занимательный собеседник, европеец, красавец.

Вскоре в двух семьях, моей и другой дружественной, произошли перевороты, осложнения и перемены, душевно тяжелые для участников. Некоторое время мне и моей спутнице, впоследствии ставшей моей второй женою, негде было преклонить голову. Яшвили предложил нам пристанище у себя в Тифлисе.

Тогда Кавказ, Грузия, отдельные ее люди, ее народная жизнь явились для меня совершенным откровением. Все было ново, все удивляло. В глубине всех уличных пролетов Тифлиса нависавшие темные каменные громады. Вынесенная из дворов на улицу жизнь беднейшего населения, более смелая, менее прячущаяся, чем на севере, яркая, откровенная. Полная мистики и мессианизма символика народных преданий, располагающая к жизни воображением и, как в католической Польше, делающая каждого поэтом. Высокая культура передовой части общества, умственная жизнь, в такой степени в те годы уже редкая. Благоустроенные уголки Тифлиса, напоминавшие Петербург, гнутые в виде корзин и лир оконные решетки бельэтажей, красивые закоулки. Преследующая по пятам и везде настигающая дробь бубна, отбивающего ритм лезгинки. Козлиное блеяние волынки и каких-то других инструментов. Наступление южного городского вечера, полного звезд и запахов из садов, кондитерских и кофеен.

Паоло Яшвили — замечательный поэт послесимволистического времени. Его поэзия строится на точных данных и свидетельствах ощущения. Она сродни новейшей европейской прозе Белого, Гамсуна и Пруста и, как эта проза, свежа неожиданными и меткими наблюдениями. Это предельно творческая поэзия. Она не загромождена плотно напиханными в нее эффектами. В ней много простору и воздуху. Она движется и дышит.

Первая мировая война застала Яшвили в Париже студентом Сорбонны. Он кружным путем возвращался к себе на родину. На глухой норвежской станции Яшвили зазевался и не заметил, как ушел его поезд. Молодая норвежская чета, сельские хозяева, из глубины края на санях приехавшие на станцию за почтой, видели ротозейство жгучего южанина и его последствия. Они пожалели Яшвили и, неизвестно как объяснившись с ним, увезли к себе на ферму до следующего поезда, ожидавшегося только на другие сутки.

Яшвили чудно рассказывал. Он был прирожденный рассказчик приключений. С ним вечно происходили неожиданности в духе художественных новелл. Случайности так и льнули к нему, он имел на них дар, легкую руку.

Одаренность сквозила из него. Огнем души светились его глаза, огнем страстей были опалены его губы. Жаром испытанного было обожжено и вычернено его лицо, так что он казался старше своих лет, человеком потрепанным, пожившим.

В день нашего приезда он собрал своих друзей, членов группы, вожаком которой он состоял. Я не помню, кто пришел тогда. Наверное, присутствовал его сосед по дому, перворазрядный и неподдельный лирик Николай Надирадзе. И были Тициан Табидзе с женой.

Как сейчас вижу эту комнату. Да и как бы я ее забыл? Я тогда же, в тот же вечер, не ведая, какие ужасы ее ждут, осторожно, чтобы она не разбилась, опустил ее на дно души, вместе со всем тем страшным, что потом в ней и близ нее произошло.



საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობა, 1934 წ.
სხედან: პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ბორის პასტერნაკი

Зачем посланы были мне эти два человека? Как назвать наши отношения? Оба стали составною частью моего личного мира. Я ни одного не предпочитал другому, так они были нераздельны, так дополняли друг друга. Судьба обоих вместе с судьбой Цветаевой должна была стать самым большим моим горем.

Если Яшвили весь был во внешнем центробежном проявлении, Тициан Табидзе был устремлен внутрь и каждою своей строкой, и каждым шагом в глубину своей богатой, полной догадок и предчувствий души. Главное в его поэзии — чувство неисчерпанности лирической потенции, стоящее за каждым его стихотворением, перевес несказанного и того, что он еще скажет, над сказанным. Это присутствие незатронутых душевных запасов создает фон и второй план его стихов и придает им то особое настроение, которым они пронизаны и которое составляет их главную и горькую прелесть. Души в его стихах столько же, сколько ее было в нем самом, души сложной, затаенной, целиком направленной к добру и способной к ясновидению и самопожертвованию.

Когда я думаю о Яшвили, городские положения приходят в голову, комнаты, споры, общественные выступления, искрометное красноречие Яшвили на ночных многолюдных пирушках.

Мысль о Табидзе наводит на стихию природы, в воображении встают сельские местности, приволье цветущей равнины, волны моря.

Плывут облака, и в один ряд с ними в отдалении строятся горы. И с ними сливается плотная и приземистая фигура улыбающегося поэта. У него немного подрагивающая походка. Он трясется

всем телом, когда смеется. Вот он поднялся, стал боком к столу и постучал ножом о бокал, чтобы произнести речь. От привычки поднимать одно плечо выше другого он кажется немного кособоким.

Стоит дом в Коджорах на углу дорожного поворота. Дорога подымается вдоль его фасада, а потом, обогнув дом, идет мимо его задней стены. Всех идущих и едущих по дороге видно из дома дважды.

Это разгар времени, когда, по остроумному замечанию Белого, торжество материализма упразднило на свете материю. Нечего есть, не во что одеваться. Кругом ничего осязаемого, одни идеи. Если мы не погибаем, это заслуга тифлисских друзей чудотворцев, которые все время что-то достают и привозят и неизвестно подо что снабжают нас денежными ссудами от издательств.

Мы в сборе, делимся новостями, ужинаем, что-нибудь друг другу читаем. Веянье прохлады, точно пальчиками, быстро перебирает серебристою листвою тополя, белобархатною с изнанки. Воздух переполнен одуряющими ароматами юга. И как передок любой повозки на шкворне, ночь в высоте медленно поворачивает весь кузов своей звездной колымаги. А по дороге идут и едут арбы и машины, и каждого видно из дома дважды.

Или мы на Военно-Грузинской дороге, или в Боржоме, или в Абастумане. Или после поездок, красот, приключений и возлияний мы кто с чем, а я с подбитым от падения глазом в Бакурианах, в гостях у Леонидзе, самобытнейшего поэта, больше всех связанного с тайнами языка, на котором он пишет, и потому меньше всех поддающегося переводу.

Ночное пиршество на траве в лесу, красавица хозяйка, две маленьких очаровательных дочки. На другой день неожиданный приход мествире, бродячего народного импровизатора с волынкой и



პარაშუტისტი ნინა კამნევა, ჟან-რიშარ ბლოკი, ილია ერენბურგი, ბორის პასტერნაკი, პაოლო იაშვილი, ნიკოლაი ტიხონოვი, 1934 წ.

величание экспромтом всего стола подряд, гостя за гостем с подобающим каждому текстом и умением ухватиться за любой подвернувшийся повод для тоста, за мой подбитый глаз, например.

Или мы на море в Кобулетах, дожди и штормы, и в одной гостинице с нами Симон Чиковани, будущий мастер яркого живописного образа, тогда еще совсем юный. И над линией всех гор и горизонтов голова идущего рядом со мною улыбающегося поэта, и светлые признаки его непомерного дара, и тень грусти и судьбы на его улыбке и лице. И если я еще раз прощусь с ним теперь на этих страницах, пусть будет это в его лице прощанием со всеми остальными воспоминаниями.

Борис Пастернак

„Люди и положения" (Автобиографический очерк), Журн. „НОВЫЙ МИР". Москва, 1967 г.



კირიე ზდანევიჩი, "ფანტასტიკური დუქანი". 1910-იანი წლები.

Ветер с Кавказа

...За мною гоняются с требованием и с угрозой: извольте читать; знаю, что это значит: „Поэт к вам приехал!" Меня—не обманешь! Со страхом я высунул нос на веранду, чтоб видеть того бледнолицого юношу с вдавленной грудью, с покатым плечом, с лихорадочным блеском робеюще-дерзких зрачков и с толстейшею палкою свертка (им—бить меня); мне же навстречу с улыбкой поднялся высокий, спокойного вида с лицом загорелым брюнет, с умным острым лицом, в черной шляпе с полями, с усами подстриженными; и без свертка толстейшего; с тихим достоинством неторопливо и сдержанно он подошел; и немного конфузясь, представился мне:

— Я — Яшвили, — простите Борис Николаевич, может быть я — помешал вам, но я — на минуту: просили меня устроители лекций вот это письмо передать вам.

И — ласково он улыбнулся: конечно, — узнал его сразу; сказало мне имя: один из крупнейших художников слова, краса поэтической Грузии, старший средь братьев культурной семьи, о которой не раз слышал прежде: и от Городецкого, и от Есенина.

Я протянул ему руки:

— Сердечно рад вам: откровенно простите...

Тут, кажется, чистосердечно признался Паоло Яшвили о страхах меня обуявших при слове „поэт" Ну какой же Яшвили — „поэт"; он-поэт, без кавычек: Хотя по-грузински не знаю, однако, Паоло Яшвили читателю русскому дан в переводах, хотя и плохих; о нем писано много; недавно читал резюмэ его речи в тифлисской газете; читал о нём-тоже; большой человек, с кругозором широким, с отточенной мыслью, с культурою чувств, сквозь которую видится крепкая стать отчеканенной выдержки.

С первого слова Паоло Яшвили мне стал и понятен, и близок; казалось: года мы общались; он знал ведь по книгам меня; я — узнал его сразу.

— Я только проездом в местах этих: дачу ищу в Кобулетах себе; потому и решил к вам заехать, тем более, что упросили письмо передать; этим случаем пользуюсь, чтоб познакомиться с вами; Борис Николаевич, и я, и друзья мои литературные — с вами знакомы.

Я сам искал случая ближе узнать своих братьев грузинских по творчеству; я о них слышал давно; может быть, от Бальмонта ещё, когда он проповедывал всем Руставелли; я знал, что Тифлис есть культурнейший центр поэтический; помнится, что в 21-ом году ещё, после рассказов С. М. Городецкого, передававшего мне приглашенье приехать в Тифлис, — я тянулся душой к поэтической Грузии; но — являлась препона: мой путь протянулся на запад; свидание с „братьями" в сфере культуры искусств отложилось надолго.

— Ну — вот: мы и встретились.

Очень уютно с Паоло Яшвили покуривая, мы вспоминали знакомых; он с добродушною, тонкой улыбкою мне рисовал устремленья и быт поэтической Грузии; и мы говорили о том что в Тифлисе мы ближе узнаем друг друга.

— Борис Николаевич, мы „Голубые Роги", надеемся, что состоится не раз с вами встреча; позвольте пока передать вам привет от друзей моих, ваших читателей: от Тициана Табидзе, с которым давно мы работаем вместе, как и с Робакидзе.



პირველ რიგში: ჯოლაუ ნადირაძე, ლევდია აღექსეევა-ბუგაევა,
თამარ ოქრომჭედლიშვილი-იაშვილი, ნინო მაყაშვილი-ტაბიძე, ნიკოლო მიწიშვილი;
მეორე რიგში: ტიციან ტაბიძე, ანდრეი ბელი (ბორის ბუგაევ), პაოლო იაშვილი,
გრიგოლ რობაქიძე, სანდრო შანშიაშვილი. 1929 წ.

Яшвили — обедал у нас, день провел; атмосфера, которую он окружил нас, теплилась, когда он уехал: и жили слова о старинной грузинской культуре, а новой, о Пушкине, о символизме, о Гете; Яшвили в Париже живал до войны; был когда-то ценителем Артюра Рембо, Маллармэ, и других символистов: французских и русских; дивился, как знает он русскую литературу; его замечанья о Блоке, Бальмонте и Брюсове — тонки, отчетливы, трезвы; он много себе уяснил: в нём поэт и общественный деятель слиты; он, став на советской платформе, — живёт в современности, соединяя в себе революцию быта с кипением лучших порывов вчерашнего.

Посещенье — обрадовало: любовались Яшвили; простилися с мыслью, что скоро — увидимся; на прощанье сказал:

— Удивлю я товарищей, что Андрей Белый — веселый, здоровый и крепкий.

— А вы, ожидали, небось, встретить „мистика" — не без ехидства ему улыбнулся.

Яшвили сконфузился.

— Знаю, каким представляется Белый: больной, истеричный, с горячечным бредом, — не словом: что делать — каррикатура такая в десятках лет тенью за мною протянута; вы — не последний, не первый, увидев меня, удивляетесь: уж и создали „химеру"; посмотришь на собственный лик в „К р и в о м З е р к а л е" — плюнешь: такая там погань глядит на тебя.

— Да, признаться, — и мы, вас ценящие, все представляли заочно... — смущался Яшвили — немного...

И тут он запнулся.

— Гнилым? Что поделаешь: Белый — разложен помойкою; даже друзья моих книг на меня переносят порой припах вони, которой меня обливают...

Простилися.

...Провёл этот день с утра до-ночи с близкими братьями по устремлению культуры искусств; с Тицианом Табидзе и с бронзово-твёрдым и всё же сердечным Паоло Яшвили; он — бронзовый, вылитый из размышления, ставшего сердцем; Табидзе сердечный вулкан, бьющий пламенем в мысль, от чего расширяется сердце, — и вещие, мудрые мысли выкрикивает, ретушируемые Яшвили, которого острый рассудок утонченно преображает вулканы Табидзе в породы изваянных скал, в барельефы культуры: пыл первого голову рвет, расширяется — приобретает космический смысл, отчего стало б холодно, если б Паоло Яшвили потоки, взметенные к небу, сознанием не осадил в атмосферу земную, в которой вулкан вещих слов из беседы застольной тостов Табидзе, становится очеловеченным и оконкреченным.

День проведя с тем и этим мы поняли, что — двуединство они; оба — лидеры кружка поэтов; Паоло Яшвили есть „Л и д е р", дающий чеканную форму стремленьям; он — связывает их конкретно с советской действительностью; без него, может быть, тот кружок захлебнулся б в волне романтизма; и здесь вспоминаю невольно я Брюсова; тем, чем был Брюсов для нас, молодежи, в начале столетия, в первые годы его, — тем Яшвили мне видится для поэтической Грузии, — с тем, разумеется, ярким различьем, что годы — не те, что эпоха, в которой живем, развернула градацию школ: символизм-футуризм, „п л ю с" — гражданственность, „п л ю с" — мировая война, революция; то, чем когда-то возник „с и м в о л и з м", — было ярко подхвачено, применено и развернуто в ширях и в глубях своих; в это все излились темы нашего дня; это все сочеталося с древней грузинской поэзией (от Руставелли), явив широчайшую, вовсе не школьную и не партийную, форму, отчетливо переплетенную с лозунгами современной действительности.

В этой перечеканке, — я вижу Яшвили: Язон аргонавтов двадцатого века, поэтов Колхиды, встает.

Стоит остановиться на образе этом, и чувствую, как я — неправ: вся проблема культуры Яшвили, мудрейшая и революционно-ответственная, дышет жизнью от взрывов сердечности, влитой в него рядом с ним возникающим, мудро кипящим Таблидзе.

Два лидера!

Трогательно: целый день уверяли они, что действительный лидер кружка — не они: Робакидзе; как жаль, — что в Берлине он; если бы с ним познакомился, стало бы ясно, что сила-то — в нём. что ж, — не спорю: пусть так. Но какая прекрасная черточка: помнить отсутствующего и так постоянно вводить в обиход; к сожалению, — я с Робакидзе не встретился; но — мы знакомы; меня познакомили с ним два его верных друга; стоял между нами он; кстати, — отмечу, чем я восхищен в моих новых друзьях: ни ш т р и х а самомнения, самости, или желания первенствовать; постоянно Яшвили подчеркивает: „Я-то — что: Тициан, — вот в чем сила". Табидзе ж кивает: „Не я, а — Паоло". И оба твердят: „Робакидзе, — как жаль что разъехались с ним".

„Тициан" и „Паоло" — позвольте назвать вас так именно: знаю чрез вас его.

Вот — коллектив; крепко „м ы"; и мне стало понятно, что эти поэты сплетают свои устремленья вполне непредвзято с крестьянской поэзии Грузии; и — с Пролетарской; крестьянским поэтом знаком: с Леонидзе; он тоже в семье этой; эта семья — „в с е г р у з и н с к а я".

Грузия ею гордится.

Я тоже горжусь: оказавшись в Тифлисе, братался с семьей трудовой, с семьей творческой; мог поэт русский пожать братски руку, как р у с с к и й — г р у з и н а м; да — есть Ф е д е р а ц и я б р а т с к и х н а р о д о в; сквозь разность оттенков, наложенных прошлым на нас (направленческих, классовых), освещены мы не прошлым, а — будущим, формы кующим; и в нём, в этом будущем, — творческом и трудовом, мы большая семья.

Вот — Табидзе: с глазами огромными, широкотелый, сутулый, немного нелепый, как будто, протянутый в край горизонта, — все рвется вперед и не видит меня и товарища, нам подставляя плечо и оплескивая развеваемой ветре своей широчайшей рубашкою; это — иллюзия: видит — т а к о е в тебе, что руками разводишь: „ведь вот: ты годами с писателями говоришь и работаешь; им — невдомек, что живет в тебе; этот грузин, проведя с тобой день — р а з г л я д е л, угадал".

С удивленьем разглядываешь ты сутулую спину Табидзе, влекомую полным лицом, убегающим за убегающей думой; бежит к горизонту — не видит, не чувствует; и на тебя нуль — вниманья (в с е — видит, в с е — чувствует).

Это в н и м а н и е выявленное — есть Паоло Яшвили.

Его очень добрые, строгие очи, всегда чуть-чуть грустные, — видят: сворот, кто устал, сколько времени, можно ли здесь задержаться, куда надо двигаться; и отмечает Яшвили — всё это: все — ставит на место; ему горизонт как бы чужд (а Табидзе всегда к горизонту несется), но чужд потому, что — идет с горизонта; и знает его; может быть, ещё лучше, чем пылкий Табидзе: сама рассудительность, четкость, корректность, он в целом — какой-то сквозной транспарант широчайших прогнозов, орлиных, свершаемых — там, в одиночестве: истый Грузин — с головы и до ног европеец он; оригинально Европа подковывает металлический звон его строчек, в которых прекрасны — с о г л а с н ы е; эти согласные напоминают породы грузинских холмов, по его выражению — „ч у г у н н ы х".

Он видится — бронзовоогненным.

А у Табидзе в стихах поражают воздушно-звучащие, широко-вольные гласные волны; кричит он — на гласных; не земли а воздухи рвутся, когда декламирует он — сибиллическим голосом: сущий „в о с т о к", но — прекрасный „в о с т о к", у которого надо учиться.

Воздушный Табидзе: громами гремит, изливается ливнями.

Вот: ничего не умею прибавить; и стыдно, что так записал; если жалкие эти потуги на характеристику личностей, ещё вчера незнакомых, дойдут на них, то умоляю грузинских друзей — не сердиться; они же от „д о б р о г о" сердца; вполне без претензии писаны.

Андрей Белый

„Ветер с Кавказа". Впечатления. Москва, 1928 г.

რამდენიმე სიტყვა პაოლო იაშვილზე

ოვალური სახე ჰქონდა. მაყვლისფერი თვალები და გრუზა თმა ამშვენებდა. ეხურა ფარფლებიანი შლაპა, რომელიც იტალიელ მხატვარს ამსგავსებდა და დიდად უხდებოდა. მაღალი და ბრგე ვაჟკაცი იყო. ამ ლამაზი ქართველი კაცის ერთ-ერთი მთავარი ადამიანური თვისება ის გახლდათ, რომ მოუგერიებელი მომხიბლავობით იყო დაჯილდოვებული. თუ ვისმეს გულის დაპყრობას მოისურვებდა, ულამაზეს ქალზე იოლად აღწევდა – ხელს გადაგხვევდათ და თავისი მეგობრული სიმპათიის ჯადოსნურ ბადეში გაგხვევდათ.

პაოლო იაშვილის ადამიანური მომხიბვლელობის ტყვე მეც გავხდი და ახლაც ისევე მიყვარს, როგორც მის სიცოცხლეში.

თავისი მშვენიერი ქართულით ყველა ყანწელისაგან გამოირჩეოდა. პ. იაშვილის პოეტური მეტყველება თქმის რეალიზმითაა აღბეჭდილი: ქართული სასაუბრო მას არ შეუცვლია სიმბოლისტებისათვის დამახასიათებელი ფრაზის გადატანითი მნიშვნელობებით, იგი არასოდეს არ დასწერდა ვალერიან გაფრინდაშვილივით: მაღალ ქანდაკზე შემოჯდება თეთრი ყორანიო. ისეთ გამოთქმებს მიმართავდა, რომლებიც საგნებს იერს არ უცვლიან:

დედა. ინახუდე
შენ წმინდა ხახული.
წაღი ფეხშიშველი.
ქალაქში დაკარგუდ შვილისათვის ღამე გაათიე.

სანიმუშოდ მომაქვს აგრეთვე ორი სტროფი მისი შედევრიდან „პოეზია“:

არის მკვდეღობა. არის ომი. არის ხანძარი.
მიწისძვრა. ქირი. ცყეში ყოფნა მარად თუღებად.
მაგრამ არ არის ცანჯვა უფრო უზარმაზარი.
როგორც პოეტის შთაგონებით დასნეულება.

დაღის ქალაქში ბევრის მსგავსი ჩემი სხეული
და ხალხი ამბობს: „ეს კაცია დექსის მწერალი
მაგრამ ვინ იცის. რა ცეცხლშია გამოხვეული
ეს ჩემი ცვინი. დასაქცევი ცვინი ვერანი.

ქართულ პოეზიაში პაოლო იაშვილს ე. წ. პუშკინისეული სიცხადე ახასიათებდა. ამიტომაცაა მშვენიერი მისი თარგმანები რუსული გენიის ლექსებისა, მიუხედავად ზოგი მათგანის მთლად არასიზუსტისა და ხარვეზებისა. სამაგიეროდ ამ ლექსების რიტმი და ინტონაცია არავის გადმოუცია ისეთი არტისტიზმით, როგორც გადმოსცა იგი პაოლო იაშვილმა.



პირველი რიგში: ნიკოლო მიწიშვილი, თამარ ოქრომჭედლიშვილი-იაშვილი,
სანდრო შანშიაშვილი, მარო ჯასრაძე-შანშიაშვილი;
მეორე რიგში: ვალერიან გაფრინდაშვილი, ეფემია გედევანიშვილი-ლეონიძე,
გერონტი ქიქოძე, პაოლო იაშვილი, ნინო მაყაშვილი-ტაბიძე, ალი არსენიშვილი;
მესამე რიგში: რაჟდენ გვეტაძე, შალვა ათხაიძე, ტიციან ტაბიძე, ლეილი ჯაფარიძე,
გიორგი ლეონიძე. 1926 წ.

თანაც, როგორი აბსოლუტური სრულყოფილებით კითხულობდა იგი ზეპირად რუსი ავტორის ლირიკულ შედევრებს, ან საკუთარ ლექსებს! პ. იაშვილის დეკლამაცია სრულიად უნაკლო იყო, იგი ამოდიოდა ჩვენი პოეტური მეტყველების ბუნებიდან, მახვილთა ფაქიზი და სწორი განაწილებიდან, ხოლო ყოველ ფრაზას დარბაისლურად აბოლოებდა.

ქართველ პოეტთაგან მხოლოდ გ. ქუჩიშვილი ფლობდა ქართული ლექსთწყობის ამგვარ თავისებურებებს.

პ. იაშვილს პოეზიაში არ უყვარდა არაფერი ნაძიები, ყალბი, ბუნდოვანი და ტვინის დამღლელი.

მაგრამ არავის არაფერს უწუნებდა. ქილიკობა ან ქირდვა მის რაინდულ ბუნებას არ შეშვენოდა. მეტიც: ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქოს საკუთარი პოეზიაც ზედმეტ ტვირთად აწვა. რა თქმა უნდა, მისი სისადავე ამ სფეროში საკუთარ ღირსებათა მოჩვენებითს შენიღბვას მიაგავდა.

საერთოდ კი, პ. იაშვილი უწინარეს ყოვლისა ცხოვრების კაცად თვლიდა თავს. ამ თვისების გამოვლენა იყო მისი სიყვარული გართობებისადმი, რაინდული მეგობრობა ამხანაგებთან, მსმენელთან დატყვევება ენამახვილი და სხარტული გამოთქმებით, – აი რა იზიდავდა მას.

და ყველა საზოგადო თავშეკრებისას პ. იაშვილი ძალდაუტანებლად ბრწყინავდა თავისი ნიჭიერებითა და ენამზეობით.

და რამდენად გასაკვირია ყოველივე ეს იმ ადამიანისაგან, რომელმაც დასწერა საკუთარი ცხოვრების ტრაგიკული ფინალის შემცველი, შესანიშნავი „პოეზია", რომლის სტროფები ზემოთ მოვიტანეთ.

ლექსი კი დაწერილია ჯერ კიდევ 1926 წელს!

არ შევხვედრივარ მწერალს, რომელიც ეგზომ გულგრილი ყოფილიყო თავისი ლექსების შეკრებისა და ცალკე კრებულად გამოცემისადმი.

იყო მის ხასიათში რაღაც ტიუტჩევისეული – უკვე დაწერილისადმი გულისაყრისა და ზურგშექცევის.

ცალკე დაბეჭდილი თავისი ლექსები პ. იაშვილს მის სიცოცხლეში არ შეუნახავს.

მარტო ქართველ მწერალთა შორის როდი სარგებლობდა იგი უანგარო სიყვარულით. რომელიმე რუსი პოეტი ან მწერალი უწინარეს ყოვლისა პაოლო იაშვილთან პოულობდა საერთო ენას და სამუდამო მეგობრობით უკავშირდებოდა მას. ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი ამ ფაქტისა პ. იაშვილისა და გამოჩენილი რუსი სიმბოლისტის ანდრეი ბელის ურთიერთობა გახლავთ. არც ერთი ქართველი პოეტი არ ჰყვარებია „პეტერბურგის" ავტორს ისე ძმურად, როგორც პ. იაშვილი. ეს სიყვარული გამოსჭვივის ა. ბელის წიგნიდან „ქარი კავკასიიდან" (1929), რომელშიაც რუსი მწერალი 1927 წელს საქართველოში მოგზაურობისას მიღებულ შთაბეჭდილებებს აგვიწერს.

მოტანილ ფაქტს უნდა დავუმატო შემდეგი:

პ. იაშვილის ლექსების ქრონოლოგიიდან ჩანს, რომ ჩვენი პოეტი 1933 წელს მოსკოვში ყოფილა და იქ ისევ შეხვედრია ა. ბელის, რომელსაც მისთვის საჩუქრად მიუძღვნია რომან „მოსკოვის" მეორე ტომი „ნიღბები" („Маски") შემდეგი წარწერით:

Дорогому Паоло Яшвили
С горьячей любовью
и
С воспоминанием о
Днях проведенных в Грузии.
Автор
Москва. 11 мая 33 года.

ა. ბელის ეს ნაწარმოები ურთულესი ნიმუშია რუსული ბელეტრისტიკისა, იგი დაწერილია მეტრულ პროზად და ძნელად იკითხება. (რომანი გარჩეული გვაქვს ნარკვევში „ანდრეი ბელი". იხ. კრებული „წიგნები და ავტორები". 1941). „ეს ენის გასატეხი შენთვის მიბოძებია, მე მას ვერაფერი გავუგეო" – მითხრა პაოლომ. ა. ბელის რომანის ეგზემპლარი ახლაც ჩემთან ინახება.

პ. იაშვილს უსაზღვროდ უყვარდა პუშკინის პროზა, ლერმონტოვის „ტამანი", ტურგენევი... ამიტომაც არ გამკვირვებია, რომ ა. ბელის რომანის პირველი აბზაცებიც „ვერ დასძლია".

რამდენი დრო მიტარებია ტიციან ტაბიძესთან და მასთან ერთად.

გამთენიისას – ხაშის ან ფითის ძიებაში, რომ ყველაფერი ისევ შეზარხოშებით დამთავრებულიყო.

და პაოლო იაშვილი ანაზდათ წამოიწყებდა, მაგალითად, ელენე დარიანის ფსევდონიმით დაწერილ შესანიშნავ ლექსს „ანა ახმატოვასადმი".

შემდეგ მისი უსინდისო დევნის ხანა დაიწყო.

იმ საშინელ წვიმიან ღამეს, როცა პაოლო იაშვილმა ჯოჯოხეთური სასჯელი გამოუტანა თავის თავს მწერალთა კავშირის მეორე სართულზე (იქ არ ავსულვარ) – ყველას თავზარი დასცა მომხდარმა ამბავმა.

შემზარავად სასტიკი აღმოჩნდა თავის თავისადმი ეს ლამაზი და ნიჭიერი ქართველი, გულში რომ იხუტებდა სხვას და თვითონაც გულში ჩასახუტებელი კაცი რომ იყო!

ჭეშმარიტი ქართველის თავმოყვარეობამ უბიძგა პაოლო იაშვილს ფატალური ნაბიჯისადმი.

აკაკი გაწერელია

გაზ. „თბილისი", 1989 წ. მარტი.

ხელნაწერის სახით ინახება პ. იაშვილის ოჯახის არქივში



მარიამ ჯასრაძე-შანშიაშვილი, თამარ ოქრომჭედლიშვილი-იაშვილი,
ნინო მაყაშვილი-ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, 1926 წ.

პაოლო იაშვილი

როდესაც პაოლო იაშვილი და მისი მეგობრები მოვიდნენ ქართულ მწერლობაში, ყველაფერი ირგვლივ თითქოს ქარიშხლისწინა დაძაბული დუმილით, მომავალი რღვევისა და გარდატეხის მღელვარე წინათგრძნობით იყო გამსჭვალული.

ამ ახალგაზრდა პოეტებს, რომელთაც მანამდე გაუგონარი კადნიერებით ხელყვეს ქართული კლასიკური პოეზიის ტრადიციები და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს ყველა ადრე ეჭვმიუტანელი ავტორიტეტი, ამ ახალი ლიტერატურული სკოლის მესვეურებს, ახალგაზრდა თავმომწონე პოეტებს, რომელთაგან, უხუცესი ოცდახუთს არ იყო მიღწეული, მაშინ ყველაფერი ეჩვენებოდათ ძალზე ადვილად, უბრალოდ, იოლად მისაღწევად და ამავე დროს მათ წარმოდგენაში ყოველივე: ხელოვნება, გარემომცველი სინამდვილე, მთელი სამყარო აღბეჭდილი იყო რაღაც გამოუვალი, ტრაგიკული, საბედისწერო შინაგანი წინააღმდეგობის ნიშნით.

...რეაქციის წლებში „ცისფერყანწელებმა“ სცადეს, მათი აზრით, „მოძველებული“ იდეალებისათვის დაეპირისპირებინათ თავიანთი ახალი ესთეტიურ-მოდერნისტული რწმენა ან, უფრო სწორად, ურწმუნოება, სკეპსისი, უიმედობით, მარაზმით, სამყაროს „მთვრალი ქაოსით“ ტკბობის ფილოსოფია.

ისინი აღტაცებაში მოჰყავდა კოსმიური კატასტროფის, აპოკალიფსის ცხენების ავისმეტყველი ჭიხვინის წინათგრძნობას, ისინი თვრებოდნენ სიმახინჯით, მწუხარებით...

ეს იყო თითქოს შეშლილთა ნადიმი შავი ჭირის დროს.

რასაკვირველია, ისეთი პოეტებისათვის, როგორიც პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე და გიორგი ლეონიძე იყვნენ, – დეკადენტობა წარმოადგენდა თავისებურ თამაშს და ისინი იმ დროს პოპულარული ფრანგი მწერლის რემი დე გურმონის ცნობილი „ნიღაბთა წიგნის“ მიბაძვით ირჩევდნენ, რაც შეიძლება, უცნაურ ნიღბებს, რომლებსაც მათი ნამდვილი, ადამიანური სახე უნდა დაეფარა.

ქართველ მკითხველთა გაოცებულ აუდიტორიას ისინი მოევლინენ არლეკინებისა და პიეროების სამოსელში „უაილდის ყელსახვევებით“, შუა საუკუნეების ჯამბაზებივით ხელოვნურად გათეთრებული ღაწვებით.

ამ მკვდარი ნიღბების ქვეშ იმალებოდა სიცოცხლით სავსე, ცხოვრებას, მოქმედებას მოწყურებული, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, უაღრესად მგრძნობიარე და ნიჭიერი ადამიანების დაუხარჯავი ენერგია და ტემპერამენტი.

ახლა ჩვენ ვიცით, რომ საკმარისი იყო კონკრეტული გარეგანი ბიძგი, რომ მათ სამუდამოდ ჩამოეწმინდათ სახიდან მოდერნიზმის ეს ჭრელი ფერუმარილი და ქართულ პოეზიაში შესულიყვნენ თავიანთი უაღრესად წრფელი და თვითმყოფადი, ნამდვილად ორიგინალური ინდივიდუალობით...

...ეს უცნაური ნიღბები, ეს ხელოვნური, არაბუნებრივი გრიმასები, რაღაცნაირად, თუნდაც ძალზე მიახლოებით, ძალზე პირობითად, მაინც გამოხატავდნენ ნამდვილი პოეტების ნამდვილ ტკივილებს, მათ არაგამოგონილ, მწვავე, მტკივნეულ შინაგან დრამას, ნამდვილი სიყვარულისა და შთაგონების ნიჭს.

როდესაც პაოლო იაშვილი წერს:

გაგიჟება სჯობს, თუ გათავდა სიტყვის მარანი.
და თვალთა დათხრა, თუ მზეს ქებით ვეღარ შეხვდები.
ღექსო, გუდიდან ხორცად რომ ხარ გამონატანი.
თუ უნაპიროდ, სამუდამოდ არ გაჩაღდები.

არი მკვდერობა, არი ომი, არი ხანძარი.
მიწისძვრა, ჭირი, ცხელში ყოფნა მარად თუღებად.
მაგრამ არ არის ტანჯვა უფრო უზარმაზარი,
როგორც პოეტის შთაგონებით დასნეულება.

ამ სიტყვებს აღარ ესაჭიროება ზედმეტი მოწმობა მათში გამხელილი განცდის სიწრფელისა და სინამდვილის დასამტკიცებლად. ისინი თვითონ წარმოადგენენ ცოცხალ, ეჭვმიუტანელ, სისხლიან საბუთს, იმ, მართლაც, შეგნებული თვითმკვლელობის მსგავსი აქტისა, რომლის ფასად პოეტი, თუ ის ნამდვილი პოეტია, უკვდავებაზე, მარადიულ სიცოცხლეზე აცხადებს თავის კანონიერ უფლებას.

ეს სასტიკი ჭეშმარიტება განსაკუთრებით ზუსტად გამოხატავს იმ აშკარა არათანაბარ ზომიერებას, რომელიც არსებობს პაოლო იაშვილის შემოქმედებით პიროვნებასა და მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას შორის.

თავის თანამედროვეთა, თანამოკალმეთა – ყველა იმ ადამიანთა მოწმობით, ვისაც ერთხელ მაინც რგებია მასთან სიახლოვე, – პაოლო იაშვილი სიცოცხლეში უხვად, უსასყიდლოდ, უზომოდ აფრქვევდა თავის გარშემო ძვირფას რითმებს, კაშკაშა პოეტურ სახეებს, მომხიბვლელ ღიმილს, მეგობრულ სითბოს, რაინდულ გულისთქმას, გონებამახვილობისა და ენამჭევრობის ნამდვილ ფეიერვერკებს, იმ იშვიათ მადლს, რომლითაც ის ბუნებამ ასე მრავალმხრივ დააჯილდოვა.

პაოლო იაშვილი იყო ნამდვილი ავთანდილი, სიმღერის, სიყვარულის ჟინით შეპყრობილი მშვენიერი რაინდი, რომელიც თავის გარშემო შეუნელებელ აღტაცებას ბადებდა განუმეორებელი პოეტური ეშხით, მოხდენილობით, სილამაზის თანდაყოლილი უტყუარი გრძნობით.

ახალი დროის მსოფლიო მწერლობამ იცის მხოლოდ რამდენიმე მაგალითი იმ იშვიათი ნიჭისა, რომელსაც პოეტურ იმპროვიზაციას უწოდებენ. როგორც ცნობილია, თავის დროს ადამ მიცკევიჩს განცვიფრებაში მოჰყავდა პუშკინი და სხვა რუსი პოეტები თავისი გენიალური ექსპრომტებით, რომელთა ჩანერა, სამწუხაროდ, არავის მოფიქრებია. ჩვენს დროში, როდესაც შემოქმედების აქტი ისე მჭიდროდ დაუკავშირდა ლითონის კალმისტარს, რემინგტონს, სასტამბო დაზგას, პაოლო იაშვილი შუა საუკუნეების ბარდივით კვლავ განაგრძობდა შთაგონების წამიერი აფეთქებით ნაკარნახევ, თავისი უშუალობითა და სიმსუბუქით მომხიბვლელ, ლაღ და ძალდაუტანებელ სიმღერას.

ის იყო პოეტური იმპროვიზაციის შეუდარებელი ოსტატი ჩვენი დროის პროფესიონალ პოეტთა შორის და ამაზე აშკარად მეტყველებენ ის შემთხვევით შემორჩენილი, სამწუხაროდ, ძალზე მცირეოდენი ჩანაწერებიც, რომელთაც დღემდე მოაღწიეს.

აი ფრაგმენტები ერთ-ერთი ასეთი პოეტური ტოსტიდან, რომლითაც მან 1920 წელს მიმართა სტუდენტურ სერობაზე მის პატივსაცემად შეკრებილ რამდენიმე ახალგაზრდას:

სტუდენტთა ოთახში სანთლებად ვენთებით.
სცირიან. ღოთობენ ჩვენი სტუდენტები.
სტუდენტთა ოთახში ცხოვრობენ ტყუპებად.
ზოგი ყვითელია, ზოგი იღუპება...

პერი და ვაშლები. ქართული წიგნები.
გამხდარ მეგობრებთან დიდამდე ვიქნებით.
იცინეთ. იმღერეთ. ძმებო და კარგებო.
ღღეს თუ არ მოკვდებით. ხვალ დაიკარგებით.

ან კიდევ:

ღმერთო. დაეხმარე და დააბინავე!
ოთახში გვეწვევა ხელის დამკრეფელი
ქამვეთი. სიტყვები და მატარებელი.

პაოლო იაშვილის ზოგიერთ დასტამბულ ნაწარმოებშიც არის ნიშნები პოეტური იმპროვიზაციის უშუალო აღბეჭდვისა. მის ლექსებს იშვიათად აქვთ მყარი ლირიკული არქიტექტონიკა, ლირიკული თემის განვითარება აქ იშვიათად ემორჩილება რაიმე წინასწარგააზრებულ სქემას.

წმინდა შთაგონებას აქ დაკისრებული აქვს მაქსიმუმი, და იგი უტყუარი მეგზურივით მიუყვება პოეტს ზოგჯერ ძალზე რთული მეტაფორული ასოციაციების ტევრში და, რაც მთავარია, ძალიან ხშირად ინტუიციით აგნებს ყველაზე სწორ და ზუსტ გზებს.



პაოლო იაშვილი და თამარ ოქრომჭედლიშვილი,
სოხუმი, 1926 წ.

პაოლო იაშვილის ზოგიერთი ადრინდელი ლექსი ჰაერში გაქვავებულ შადრევანს მოგვაგონებს, და ჩვენ დღემდე განცვიფრებით შევცქერით სივრცეში აღბეჭდილ პოეტის სულის ამ ცოცხალ ფეთქვას.

მართალია, პაოლო იაშვილს სიმბოლისტურ პერიოდში დაწერილი აქვს არაერთი ლექსი ზუსტი ვერსიფიკაციული ფორმითაც, მაგრამ აქაც ეს მყარი, დაკანონებული ფორმები გაცოცხლებულია შინაგანი თრთოლვით, უხვად დაღვრილი ვნებით და სულის სიჩვილით...

ასეა დაწერილი, მაგალითად, მისი ცნობილი ტრიპტიხი, განსაკუთრებით კი ვერლენისადმი მიძღვნილი II სონეტი.

საჭიროა ითქვას, რომ თუმცა „ცისფერყანწელები", განსაკუთრებით თავიანთ ადრინდელ ლექსებში, თაყვანს სცემდნენ ოსკარ უაილდის ესთეტიზმს და პასიური მჭვრეტელობის, არტისტული დენდიზმის, ჩვეულებრივი, პროზაული სინამდვილისადმი გულგრილობის მანიფესტებით გამოდიოდნენ, მაგრამ ისინი სინამდვილეში არასოდეს არ ჩაკეტილან ე. წ. სპილოს ძვლის კოშკში, არ გამიჯნულან სავსებით და საბოლოოდ თავისი დროისაგან.

პაოლო იაშვილის სიმბოლისტურ ლირიკაში ჩვენ ვხვდებით უაღრესად მძაფრ, მკაფიო ანაბეჭდებს იმ საშინელებისა, იმ რეალური კოშმარებისა, რომლებიც ძველ სამყაროს მისი აღსასრულის ჟამს მოევლინენ. განსაკუთრებით შთამბეჭდავად არის გამოხატული ეპოქის ეს ტრაგიკული განცდა ვერჰარნისადმი მიძღვნილ სონეტში:

სახრჩობელები. კვამლი. სისხლი. სახე ქურდული.
მშიერთა ურდო. რკინის კვნესა. მზის დაბნელება...
ვერჰარნ! ვიხრჩობით ცეცხლის ზღვაში. რა გვეშველება!
ოცნება ოხრავს. ვით ფრინველი ფრთად ასუდრული.

პაოლო იაშვილმა თავისი თვალით ნახა არა მხოლოდ დეკადენტებისა და ესთეტების მექა – პარიზი – თავისი განთქმული არტისტული კაფეებით: „როტონდით“ და „კლოზერი დე ლილათი“, იგი პირისპირ აღმოჩნდა პირველი მსოფლიო ომის ხანძარში გახვეულ ევროპასთან. ეს შემზარავი სურათები სამუდამოდ აღიბეჭდნენ მის შეგნებაში და თავისებური ელფერი მისცეს მთელ მის ადრინდელ ლირიკას.


ლექსში „ევროპა“, რომელიც წარმოადგენს ნაწყვეტს პაოლო იაშვილის ლირიკული ავტობიოგრაფიიდან, იმპერიალისტური ომის კოშმარები, ეპოქალური ძვრები, „თაობათა გადაშენება“ განცდილია ღრმა შინაგანი დრამატიზმით. ამ ლექსს განსაკუთრებით განუმეორებელ ინტიმურ ელფერს აძლევს მისი უკანასკნელი სტროფი, სადაც ევროპის მთელი ეს სისხლიანი ქაოსი, ეს გრანდიოზული სასაკლაოს სურათი შევსებულია ერთი თითქოს უმნიშვნელო, წვრილმანი, მაგრამ ამავე დროს საოცრად ადამიანური, ცოცხალი შტრიხით.

გამოვექეცი ევროპის ქაოსს.
დანგრეულ რეიმსის ტაძარს.
უზარმაზარ ტანკების ქშენას.
რეინის ირგვლივ თაობათა გადაშენებას.
ვიღონებ მართლა ჟრუანტველით
ლამანშის სრუტეს.
იქ ჩაღებული ატლანტიკის ანთებულ გემებს.
შოტლანდიაში ვნახე თეთრი ძროხების ჯოგი
და გავიღიმე ვით ნახევრად გაგიჟებულმა.
გამოვექეცი ევროპის წარღვნას...
პარიზში დამრჩა ერთი საფრავი.
ლეგიონის ორდენის წევრი.
აღმოსავლეთში განთქმული ემირი.
და ქუთაისში გადამტანი რევოლუციის.
მკვდარი მარნასთან.
პერიაშვზე განსვენებული
ბუქუტა აბაშიძე.

პოეტების იმ თაობას, რომლის შეგნება ნამდვილად მოწამლული იყო არა მხოლოდ ბოდლერის „ბოროტების ყვავილების“ სურნელით, არამედ თავისი დროის „კვამლით, სისხლით და შხამითაც“, უკვე აღარ შეეძლო მიბრუნება კლასიკური პოეზიის ნათელ სახეებთან, რომანტიკულ იდილიებთან. იმ ძველ პოეტურ სამყაროსთან, რომელზეც გალაკტიონ ტაბიძე ამბობდა: „მოჰქონდათ წინათ პასტორალები...“

პაოლო იაშვილის ლექსი „წერილი დედას“, რომელიც ესენინის ცნობილ ლექსზე – „Письмо матери“ – ხუთი წლით ადრე არის დაწერილი, წარმოადგენს ძველ, იდილიურ საქართველოსთან გამოთხოვებას.

ძველი სამყარო: წინაპართა მყუდრო სამყოფელი, ქვიტკირის მარნები, ბზის განიავება, მართალი ბათმანი – აქ დანახულია ქალაქის მტვრიანი, ვნებით გახელებული ქუჩებიდან, სრულიად ახალი ფსიქოლოგიის, ახალი სულიერი წყობის ადამიანის თვალით.



პაოლო იაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, გიორგი ლეონიძე, ნიკოლო მიწიშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ილო მოსაშვილი

„ცისფერყანწელები“, პირველნი ქართულ მწერლობაში, შეეცადნენ პოეზიაში ე. წ. ურბანისტული მსოფლშეგრძნების შეტანას.

ამ თვალსაზრისით პაოლო იაშვილის ლექსი „ფარშავანგები ქალაქში“ წარმოადგენს თანამედროვე ქალაქის ერთ-ერთ პირველ ლირიკულ პეიზაჟს XX საუკუნის ქართულ პოეზიაში.

სიცხიანი ჰალუცინაციებით აბოდებული ქალაქი, სადაც ლურჯი ჰაერი დამსხვრეული შუშის მტვერივით ელავს, სადაც სნეული ძაღლები ქუჩებში ჰყრიან და თვალებახვეული ცხენები მკერდს იხევენ რკინის სვეტებზე, პაოლო იაშვილს წარმოუდგებოდა მისტიკურ კოცონად, რომელშიც უმწეო მშვენიერ ფრინველებთან ერთად სამუდამოდ იწვოდნენ პოეტის წმიდათაწმიდა ილუზიებიც, და ეს სისხლიანი სასაკლაო, როგორც მთვრალ ხარს, ისე იზიდავდა პოეტის შთაგონებას.

რასაკვირველია, ეს იყო სიმბოლისტის თვალით დანახული ქალაქი, უფრო ირეალური, ვიდრე ნამდვილი, მაგრამ ეს არ ყოფილა მხოლოდ და მხოლოდ ესთეტის მიერ შეთხზული ლამაზი ბუტაფორია.

ეს ლექსი დაწერილია ოცი წლის ჭაბუკის ხელით, და მასში, მიუხედავად დეკადენტის განურჩეველი, ინდიფერენტული პოზისა, ნამდვილად ისმის, თავგამეტებით კივის, მოწყალებას ითხოვს ქალაქის მტვერში წაქცეული ბავშვის ჭრილობა.

ცისფერყანწელები სინამდვილეში იყვნენ სწორედ ის გულჩვილი, გასული საუკუნის იდილიებზე გაზრდილი ბავშვები, რომლებიც ახალმა საუკუნემ დიდი ქალაქის ქუჩებში გამოჰყარა და რომელნიც ამაოდ ცდილობდნენ ჭრელი ქაღალდის ნიღბებში დაემალათ თავიანთი შიში და ძრწოლა ამ უცნობი სინამდვილის წინაშე.

ესენი იყვნენ ადრე დაბერებული, წამებული ბავშვები, რომლებიც სულის სიღრმეში ატარებდნენ სიყვარულის, ალერსის, სათნოების მწვავე მოთხოვნილებას.

შემთხვევით არ არის, რომ პაოლო იაშვილს ქართული სიმბოლიზმის წინამორბედთაგან ყველაზე მეტად ხიბლავდა არა „ოქროპირი" მალარმე და არც „დორიან გრეის პორტრეტის" არისტოკრატიული სნობიზმით გულშეჯავშნული ავტორი, არამედ „ღარიბი ვერლენი", სათნოების ამაოდ მაძიებელი, დიდი ქალაქის ჯუვარზე გაკრული გულუბრყვილო რაინდი.

ვერლენს ციოდა. დაღიოდა გაუბარსავი.
უნდოდა საწყაის ბედის კვაკი რომ შეეცვალა.
მას ღვთისმშობელი შეუყვარდა ობოლ დასავით.
და შვედა სთხოვა. როცა ღამის ჯვარზე ენთვალა.

კოლაუ ნადირაძისადმი მიძღვნილ ამ მშვენიერ ლექსში იგრძნობა ის არამოჩვენებითი, წრფელი თანაგრძნობა და სიბრალული შორეული თანამოძმისადმი, რაც ნამდვილად დიდბუნებოვანი შემოქმედის თვისებას შეადგენს.

ქართველი სიმბოლისტების მწვავე შინაგანი ტრაგედიის მიზეზი იყო ის, რომ ისინი სულიერად ძალზე შეუიარაღებელნი აღმოჩნდნენ თავისი დროის რთული და სასტიკი კონფლიქტების წინაშე.

მათ სურდათ ამ მახინჯ სინამდვილეზე მაღლა დამდგარიყვნენ, საბოლოოდ გაეწყვიტათ კავშირი მასთან და ამის გამო უნებურად მოსწყდნენ არა მხოლოდ თავის დროს, არამედ მყარ ეროვნულ ნიადაგსაც.

ისინი აღმოჩნდნენ ნამდვილი საყრდენი წერტილების გარეშე, რეალური მიზნების, პერსპექტივის, ჭეშმარიტი იდეალების გარეშე. მათ დაკარგეს მიწის, რეალობის გრძნობა, და მთვარეულებივით გაყვნენ იმ გზას, რომელიც უფსკრულის პირას მიდიოდა.

საჭირო იყო გარდამტეხი ისტორიული ძვრების ზემოქმედება, რომ მათ საბოლოოდ მიეგნოთ თავიანთი დაკარგული ფესვებისათვის, მტკიცედ დამდგარიყვნენ ეროვნულ ნიადაგზე. და ქართველი ხალხის ბედ-იღბალთან, მის სულიერ ცხოვრებასთან აღედგინათ კავშირი.

საბედნიეროდ, პაოლო იაშვილს, ისევე როგორც მის ყოფილ ლიტერატურულ თანამებრძოლთა უმრავლესობას, ეყო სულიერი სიმტკიცე და ნებისყოფა...

ეს გამოფხიზლების პროცესი არ ყოფილა უმტკივნეულო, რადგან იგი წარმოადგენდა არა სინამდვილესთან უბრალო შეგუების, ბიოლოგიური შეთვისების აქტს, არამედ მისი გაგების, მისი შინაგანი არსის განჭვრეტისა და რწმუნების გულწრფელ ცდას.

ეს იყო მათი სულიერი ძალების მკაცრი გამოცდა, და მათ შეძლეს დაემტკიცებინათ თავიანთი შინაგანი სიმრთელე და სიცოცხლისუნარიანობა, თავიანთი ერთგულება სიცოცხლისადმი, ქართული მიწისა და მზისადმი, საქართველოს აწმყოსა და მომავლისადმი.

აღსანიშნავია, რომ პაოლო იაშვილის შემოქმედებაში, ისევე როგორც ტიციან ტაბიძესთან, სიმბოლისტური გატაცებებისგან თავის დაღწევისა და მიწასთან დაბრუნების თემა დაკავშირებული იყო არა მხოლოდ მოქალაქეობრივი სიმამაცის, არამედ საერთოდ ადამიანური, მამაკაცური სიძლიერის, შეუპოვრობის, ვაჟკაცობის მოტივთან.

...პაოლო იაშვილსაც აღმოაჩნდა იმდენი სულიერი მხნეობა, რომ თავისი ახალი ლექსებისათვის შესაფერისი კილო მოეძებნა:

როგორც აფრის ტკაცუნი
მოვარდნილი ზღვიდან.
ისეთი ვაჟკაცური
გაქროლება მინდა.

ეს იყო გულწრფელი სურვილი, ამაღლებული, რაინდული ზრახვა პოეტისა, რომელმაც მთელი არსებით იგრძნო საკუთარი მოწოდებისა და საქმის განუყოფელი ერთიანობა ერის ცხოვრებასთან, მის სულიერ ყოფასთან და გულისთქმასთან.

გასინჯე ცეცხლის ღაღარში
სიმაგრე ღექსად თქმულისა!

...არც ერთ ქართველ საბჭოთა პოეტს არ რგებია იმდენი სიყვარული და აღტაცება, რომლითაც პაოლო იაშვილის პიროვნებისადმი იყვნენ გამსჭვალული XX საუკუნის მთელი რიგი გამოჩენილი მოღვაწენი და მხატვრები უცხოეთში, რუსეთში, უკრაინაში, სომხეთში.

1934 წელს, საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობაზე, რომელსაც მთელი მსოფლიოს მოწინავე ლიტერატორები ესწრებოდნენ, პაოლო იაშვილი გამოვიდა შესანიშნავი სიტყვით. ვინც ამ ყრილობის სტენოგრამას გაეცნობა, თვალნათლივ დაინახავს, რომ არცერთ გამოსვლას, თვით მოხსენებებსაც კი, არ გამოუწვევია იმდენი ტაში და აღტაცება, რაც პაოლო იაშვილის პატარა სიტყვას ხვდა წილად.

როდესაც ქართველი მკითხველი პაოლო იაშვილის სიკვდილის შემდეგ გამოცემულ წიგნს იღებს ხელში, არ შეიძლება მან არ იგრძნოს ნამდვილი პოეტის ელვარე შთაგონება, ძლიერი, მჩქეფარე ტემპერამენტი, მდიდარი და დახვეწილი პოეტური კულტურა და, რაც მთავარია, უაღრესად თვითმყოფადი ტალანტი, ის თანდაყოლილი მკაფიო ნიჭიერება, რომელიც იგრძნობა მის ლირიკულ ლექსებშიც, პატარა მოთხრობებშიც და თარგმანებშიც.

პაოლო იაშვილის მიერ თარგმნილი პუშკინი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შენაძენია თანამედროვე ქართული მწერლობისა. ეს არის ჭეშმარიტად პოეტური თარგმანის საინტერესო, ორიგინალური ნიმუში.

პაოლო იაშვილი მოწოდებით მხატვარი იყო. როგორც ცნობილია, ის სწორედ ამ მიზნით გაეგზავნა თავის დროს პარიზში, ლუვრთან არსებულ ხელოვნების ინსტიტუტში სასწავლებლად.

უფრო გვიან პოეზიით გატაცებამ მას თითქმის მთლიანად ააღებინა ხელი ფერწერაზე.

მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ თვით მის პოეტურ შემოქმედებაში არის ისეთი თვისებები, რომლებიც მხატვრის ნიჭზე, თავისებურ მხატვრულ ოსტატობაზე მეტყველებენ.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა მისი „ავტოპორტრეტი“, „ტრიპტიხი“, დავით კლდიაშვილისადმი, ნიკო ლორთქიფანიძისადმი, ვალერიან გაფრინდაშვილისადმი, ტიციან ტაბიძისადმი, გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნილი ლექსები.

ეს არის შესანიშნავი პოეტური პორტრეტები, რომლებშიც ზუსტი შტრიხებით, კოლორიტული დეტალებით, თვით პოეტური სტილის თავისებურებით გახსნილია თვითეული ამ პიროვნების ხასიათი და შინაგანი ბუნება.

აი, როგორი ცოცხალი, ზუსტი საღებავებით არის წარმოსახული პოეზიის ენაზე ნიკო ლორთქიფანიძის პორტრეტი:

ხარ მოეღვარე ვით სატევარი.
ემორჩილები მზეს და იადონს.
მომეცი ნება, როგორც მწევარი,
ღექსი გაჩუქო ბუნებით ბატონს.

გაგიძნელდება ქვეყნის დანდობა,
მაგრამ ხარ მუდამ კეთილშობილი.
მიმონებს შენი დარდიმანდობა
და იშვიათი ჩვენში პროფილი.

ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული სტილით არის დაწერილი პაოლო იაშვილის ლირიკული მიძღვნები „ცისფერყანწელებისადმი“.

აქ გამოკვეთილია არა მხოლოდ გარეგნული თვისებები პოეტის მეგობრებისა, არამედ მათი შემოქმედებითი ბუნებისათვის დამახასიათებელი ნიშნებიც.

ინდივიდუალური კოლორიტის შესაქმნელად პაოლო იაშვილი ხშირად მიმართავს თავისებურ პოეტურ იმიტაციას. ასე მაგალითად, ვალერიან გაფრინდაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი დაწერილია უაღრესად დახვეწილი, რაფინირებული სტილით.

აქ ზუსტად დაჭერილია „დაისების“ ავტორის თავისებური ინტონაცია, მისი მეტაფორისტიკის დამახასიათებელი ელფერი.

თვით პაოლო იაშვილი ყვებოდა, რომ ცისფერყანწელებმა როგორღაც გადაწყვიტეს, ვალერიან გაფრინდაშვილისათვის მისი დაბადების დღეს მიერთმიათ 25 ახალი რითმა.

ეს ლექსიც ამ მხრივ თითქოს ძვირფას საჩუქარს წარმოადგენს პოეტისათვის, რომელიც განსაკუთრებით ზრუნავდა რითმის სიახლეზე და კეთილხმოვანებაზე.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ლექსში პირველად იქნა ნახმარი თავისი დროისათვის უაღრესად ორიგინალური ქართული რითმა: „უკაცრავად – გაუკაწრავად“, რომელიც შემდეგ ზოგიერთმა სხვა პოეტებმაც გაიმეორეს.

აი, ორი სტროფი გაფრინდაშვილისადმი მიძღვნილი ლექსიდან:

როდესაც გძინავს დამძიმებული წვიმიან ღღეში,
შენ თმებს ვივარცხნის ოფელია სუსტი თითებით.
იმას გველები ჩააბარეს თეთრ საბოთხეში
და გულსაფარი მოუქარგეს მარგალიტებით.
გაახელ თვალებს, მორცხვად იტყვი: ახ, უკაცრავად!
ჩამოხსნი ფრთხილად თეთრ ნაბადს და დერიდახოცებს.
და თუ დაჰკოცნი იმის თითებს გაუკაწრავად,
ათ კოცნას თვალი ათ მარგალიტს გადააყოლებს.

სრულიად სხვა ინტონაციით, სხვა პოეტური ასოციაციებით, სხვა წყობით არის დაწერილი გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნილი ლექსი:

შენი ღექსი წითელ ძროხის ჯოგია.
შენი გული ყვითელ ოქროს მორგვია,
შენი სული აღდგომის ელოგია.
არ ამცილდეს შენთან ძმური ერთობა.
შენ ოცნებით თამარისკენ წახველი.
ჰგავხარ ღაშარს ანთებული სახეთი,
მოდი ვნახოთ შენი გარე კახეთი.
საღაც სიტყვა წარსულით გაერთობა.

პაოლო იაშვილის ორიგინალური პოეტური ტალანტი თავისებურად გამოვლინდა „დარიანული ლექსების“ ციკლში, რომელიც ლირიკული გარდასახვის იშვიათ მაგალითს წარმოადგენს უახლესი დროის ქართულ პოეზიაში.

პაოლო იაშვილმა შექმნა შესანიშნავი პოეტური მისტიფიკაცია, მომხიბლავი ლეგენდა ახალგაზრდა მეოცნებე ქართველ ქალზე. ნატიფი სახეებით გადმოსცა მისი ინტიმური სამყარო, მისი სულის ფარული თრთოლვა, მისი ვნებები, მისი სევდა და ოცნებები.

მართალია, ამ ციკლის ზოგიერთ ლექსს ატყვია მოდერნისტული განწყობილებების, თავისებური სტილიზაციის დაღი, მაგრამ უმრავლესობა ამ ლირიკული შედევრებისა დღემდე გვხიბლავს განცდის სიცხოველით და ბრწყინვალე პოეტური არტისტიზმით.

აქ გვხვდება ისეთი სტრიქონები, რომლებიც ლექსის მუსიკალური გააზრების, ევფონიის თვალსაზრისით, ნამდვილ მარგალიტებს წარმოადგენენ XX საუკუნის ქართულ ლირიკაში:

დაიტანჯა
        მაჯა
მარჯნის
        მძიმე
ჯაჭვის
        ცარებით,
ბევრი ცრემლი
        დამეხარჯა
ერთ ღამის ნეტარებით,
და ღიყაზე
        დარჩა
        ფარჩა
ცხელ პირის
        მიკარებით...

ჩემს დამცანჯველს
ღმერთი
დასჯის
ქაჯად
გადაგვარებით...

საოცარი სიზუსტით, შინაგანი კდემამოსილებით არის გამხელილი ამ ლექსებში ახალგაზრდა შეყვარებული ქალის განცდები, მისიგანწყობილების ცვალებადობა, მისი მარადქალური, მგრძნობიარე, ნაზი ბუნება.

აქ ყოველ ემოციურ გამმას აქვს თავისი მდიდარი შინაგანი ნიუანსები:

მომდურავ თავად მე ვიგონებ ნაზი ზმანებით.
წაიღო კოცნა და ნაწიღი ჩემი პერანგის.
ყველას გიყვარდათ — სიყვაროული მეც დამანებეთ.
მე მოვიცანე ეივარება ფერადი ჰანგის
და ჩემ ცეცქ ფეხებს ენატრება რკალი უზანგის.
არავის კოცნას არ ვიგონებ მე დანანებით...

განსაკუთრებით რბილი, შეკავებული ტკივილის გამომხატველი ნახევარტონებით არის დაწერილი ელენე დარიანის უკანასკნელი გამოსათხოვარი ლექსი:

უნდა აყვავდეს მაღე ქვიშნები.
უნდა ბაღახი დიდამ დათრთვიროს.
მე ამ ზაფხულზე დავინიშნები
და მივატოვებ ჩემს საქართველოს...

პაოლო იაშვილი იყო დაბადებით პოეტი, სიყრმითგანვე „პოეტური შთაგონებით დასნეულებული“, შემოქმედების ჟინით შეპყრობილი პიროვნება.

პოეტურ სიტყვასთან ჭიდილს მისთვის მოჰქონდა დიდი ბედნიერება.

და ამ სიხარულს იგი უხვად, ნამდვილი ქართული ხელგაშლილობით ხარჯავდა.

პოეტის ტვირთს იგი ატარებდა მომხიბლავი სიმსუბუქით, ლაღად, თითქოს სხვათა შორის, მაგრამ მისთვის უცხო არ ყოფილა სულიერი კრიზისის მძიმე წუთებიც, ის დიდი სატანჯველი, რომელიც მან თავის ცნობილ ლექსში „პოეზიაში“ გაანდო მკითხველს.

1918 წელს დაწერილ თავის ლირიკულ აღსარებაში პაოლო იაშვილი გვიყვება, როგორ იგრძნო მან პირველად პოეტის შთაგონებით დასნეულება:

თორმეტი წლიდან აღარ მაცილდნენ
ცხოვრებას დიდი ოქროს ჩიტები...

პოეტის ხვედრი მას მაშინ საბედისწერო ელფერში წარმოუდგებოდა:

ღმერთმა სივიჟე გარდმომივინა.
რაღგანაც ხშირად ვიყავ მშიერი.
ღეღა მიცვირებს მე ბაბილინა
და ჯიბრაქი მამა ძიერი.

პაოლო იაშვილის გვიანდელ ლექსებში ეს პირადი უბედურების, მიუსაფრობის, განწირულობის მოტივი თითქოს სამუდამოდ დაინთქა და განქარდა.

ცხოვრება მის თვალწინ გაიხსნა ახალი კუთხით და მისმა პოეტურმა შთაგონებამაც სრულიად სხვა, საღ, აუმღვრეველ წყაროს მიაგნო.

სამშობლოს გულთან მკერდით შედუღებულმა პოეტმა იგრძნო დიდი შვება, უმაღლესი სიხარული მიწაზე დაბრუნებული შემოქმედისა.

ლექსში – „მაგიდა – ჩემი პარნასი“ განუმეორებელი უშუალობით, სისადავით, ბრწყინვალე პოეტური ხატოვნებით არის გამხელილი ეს ნათელი გრძნობა:

თითქოს უბრაიდ მე ვწერდე წერილს.
გამიადვილდა უეცრად შრომა.
ციდან მოსმენილ შუადღის ჟღერის
მონად გამხდარა ლექსების ზომა.
მარცვლების ძებნას დაიწყებს ცერი.
აავსებს წერილს წუხანდელ ცის დარდი
და მღერის. მღერის კაიამის წვერი
კაიამის წვერი – ბუღბუღის ნისკარტი.

ჭეშმარიტი პოეტი თვითონ ქმნის თავის ბიოგრაფიას, შთამომავალთა მეხსიერებაში ის რჩება თავისი ლექსებით, მის მიერვე შექმნილი სახეებით გარშემორტყმული. დროს მიაქვს ცხოვრების წვრილმანები და ტოვებს მთავარს, არსებითს, იმას, რაც პოეტმა ქაღალდზე დაღვარა და სამუდამო სიცოცხლისათვის ჩაბერა სული.

მაგრამ პოეტის პირადი ბედ-ილბალი მაინც განსაკუთრებულ ელფერს სძენს მის შემოქმედებით პიროვნებას.

პაოლო იაშვილმა თავისი სიცოცხლე დაასრულა დრამატული ჟესტით.

გერონტი ქიქოძე თავის მოგონებაში წერს: „ეს ადამიანი, რომელსაც ყველაზე მეტად ჭაღებით განათებული დარბაზები, ტაშით ახმაურებული აუდიტორია, ბრწყინვალე ბანკეტები და არტისტული ყავახანები უყვარდა, თავის სიცოცხლის უკანასკნელ წელს ძალიან განმარტოვდა.

1937 წლის ზაფხულში ის ხშირად თავისი ბინის ლოჯიაში ჯდებოდა ჯაფარიძის ქუჩაზე და სევდიანად გასცქეროდა მახათას მთის გოლგოთას. ხანდახან ბოტანიკურ ბაღში ადიოდა და ცდილობდა აფორიაქებული სული დაეშოშმინებინა თითქმის დამშრალი ჩანჩქერების პირას.“

შეიძლება ითქვას, რომ ის, რაც თანამედროვეებმა, ახლობლებმა, პაოლო იაშვილს მხოლოდ მისთვის უკანასკნელ 1937 წელს შეამჩნიეს, სინამდვილეში გაცილებით ადრე დაგუბდა პოეტის სულში.

იმის გასაგებად, თუ რა ხდებოდა მის შეგნებაში იმ დროს, საკმარისია კოლაუ ნადირაძისადმი 1934 წელს მოსკოვიდან მოწერილი ლექსის წაკითხვა:

ქართუელად ვთარგმნი პუშკინის ამბავს,
ახლა ჯერშია მისი „ციგნები
მაგრამ სიჩუმე საუბარს აბამს:
„მარცო ხარ, მარცო: მარცოც იქნები!"
ვკითხულობ შოთას, ვაჟას და საბას
და ვერ მშვიდიან მათი წიგნებიც.
„ვწვები... თავამდე ვიხურავ საბანს,
მესმის: „მარცო ხარ, მარცო იქნები

„ფერად ბუშტებში" პაოლო იაშვილი სხვათა შორის იგონებს ერთ ნაწყვეტს არსენას ლექსიდან:

წუხელი სიზმარი ვნახე,
ინით ვიღებავდი წვერსა...

როგორც ცნობილია, ეს სტროფი ასეთი სიტყვებით მთავრდება:

ძაღით თუ არავინ მომკდა
ნებით გამოვიჭრი ყელსა!

პაოლო იაშვილს არავისთვის არ მოუხვევია თავს ის ჯოჯოხეთი, რომელსაც ის სულის სიღრმეში ატარებდა.

მარტოობის ჟამს მას, ალბათ, ხშირად აგონდებოდა თავისივე ძველი ლექსი:

ჩემო ქვეყანა, მეტად ძნელია
შენი დაკარგვა და დატოვება.
სოფლის ბავშვები აღარ მეღიან,
არ მეღის მუხა ათასრტოება...

პაოლო იაშვილი შთამომავალთა მეხსიერებაში დარჩება ქართული პოეზიის ნამდვილ რაინდად, თავისი წმინდა სახელით, მშვენიერი ლექსებით და ასევე ლამაზი, შეუბღალავი ბიოგრაფიით.

როგორც ამბობენ, პოეტის ღვაწლი, როგორც სიკეთე, სანთელსაკმელივით გზა-კვალს არ კარგავს. და ეს დიდი სინათლე მაინც მოვიდა ჩვენამდე, სამუდამოდ დაესაკუთრა ქართველი ადამიანის გულს.

პაოლო იაშვილის ლექსები იქცნენ ჩვენი ხალხის, დღევანდელი საქართველოს, თბილისის, მისი მიწისა და მზის განუყოფელ ნაწილად.

აღსრულდა პოეტის სურვილი და წინათგრძნობა:

მინდა ავვარდე მამადავითზე.
იქ აირჩიე, სეფო, ბინა შენ!
მინდა უეცრად მუხლზე დავეცე
ჩემი თბილისის და მზის წინაშე.
ჩემო ქალაქო! არ დამაკელი
შენ სიხარული მზისგან ფერილი.
თავზე გადგია, როგორც კანკელი,
ცა მოელვარე და აჟღერილი.
შენს აღაყაფთან მსურს დავადგო
ღექსები, როგორც სისხლის წვეთები,
მილიონ ხმებით სავსე ქალაქო,
დიდი სატახტო ხარ პოეტების!

გურამ ასათიანი, 1966 წ.

ხელნაწერი დაცულია სლმ ხელნაწერთა ფონდში, № 288770-7

პაოლოს მობრძანებისათვის

პაოლო! ეს სახელი ჩვენში არათუ იშვიათია, ის არის ერთი საქართველოში, ერთადერთი! და ის ეკუთვნის პაოლო იაშვილს. ხოლო თუ ვინაა პაოლო იაშვილი, ეს ბავშვმაც კი იცის ჩვენში; და არა მარტო ჩვენში, მთელ საბჭოთა კავშირში. და შეიძლება უფრო იქითაც, სადაც უყვართ ლექსი, პოეზია.

პაოლო იაშვილი ქართული საბჭოთა პოეზიის რაინდი იყო ნამდვილი, მისი დღესავით ნათელი, დახვეწილი ლექსით; სწორუპოვარი რაინდი. ჯენტლმენი ამ სიტყვის უმაღლესი და უკეთილშობილესი მნიშვნელობით, პოეზიაზე შეყვარებული და თავდადებულიც მისთვის.

პაოლოს მე ჯერ კიდევ ჩემი სტუდენტობის დროიდან ვიცნობდი როგორც ჩემი უმცროსი ძმის ვალერიანის თანაკლასელს ქუთაისის გიმნაზიიდან და მის განუყრელ მეგობარს; მაგრამ მხოლოდ გაგონებით, შორიდან. ახლოს კი 1914 წელს გავიცანი, როცა ის ახალი დაბრუნებული იყო ევროპიდან სულ ახალგაზრდა, სულ ჭაბუკი. თუმცა უკვე საკმაოდ ცნობილი ლიტერატორი, რადგან უკვე ჰქონდა გამოცემული მისი ნამდვილად შესანიშნავი და ნამდვილად ულამაზესი ჟურნალი „ოქროს ვერძი“.

ბრწყინვალე ახალგაზრდა იყო. მაღალი, ტანწერწეტი, გრუზა ქოჩრით და აზრიანი, გამომეტყველი შავი ბრიალა თვალებით; ლამაზი და მომხიბლავი; ყველასათვის საყვარელი და სანატრელი.

მე და გრიშას – ჩემს ძმას – ხომ მისი ნახვა და გაცნობა ჯერ კიდევ მოსკოვში გვენატრებოდა, სტუდენტებს; და ეს იმის შემდეგ, რაც მან თავის „ოქროს ვერძში“ დაბეჭდა ჩვენი „შოთა რუსთაველი“, რომელიც მანამდე გაზეთ „თემში“ იყო გამოქვეყნებული. და დაბეჭდა ბრწყინვალედ, სიყვარულით – პირველივე ნომრის პირველსავე ფურცელზე – თითქო იმისათვის, რომ შესაფერი ტონი მიეცა ჟურნალისათვის. ამით დაიწყო ჩვენი მეგობრობაც.

მაგრამ მეგობრობა მაკავშირებდა პაოლოსთან მე პოეზიის გარეშეც, მეგობრობა გულწრფელი და გულითადი; ის ლენას სიყრმის მეგობარი იყო, ჩემი მეუღლის, მოწაფეობის დროიდან, ძმასავით შეზრდილი მასთან, და როგორ შეიძლებოდა, რომ მეც ძმასავით არ მყვარებოდა ის ამის შემდეგ.

პაოლოს სახელმა ლიტერატურაში განსაკუთრებით მისი ფართოდ გახმაურებული „ცისფერი ყანწების“ შემდეგ „იფეთქა“. იფეთქა ნამდვილად!

მე მაშინ ფოთში ვმუშაობდი. პაოლო მეწვია იქ, ოჯახში, და გამახარა. გამახარა თავისი შთამბეჭდავი და მაღალი პოეზიით აღსავსე ლაპარაკით, ომახიანი და ვაჟკაცურით, როგორც ყოველთვის, და მთხოვა მისი მომავალი ჟურნალისათვის, რომელსაც მან უწოდა რომანტიკული სახელი „ცისფერი ყანწები“, გამეფორმებინა მხატვრულად გარეკანი.

ამნაირად ვეზიარე მე ჩემი მხატვრობით ცისფერყანწელთა ორდენს, პოეტების ორდენს კაცი, რომელსაც პოეზია თუმცა თავდავიწყებით მიყვარდა და მიყვარს დღესაც, მაგრამ ერთი დაბეჭდილი ლექსიც კი არ გამაჩნია „აქტივში“.

„ცისფერმა ყანწებმა“, – ევროპული სიმბოლიზმის ამ ქართულმა ვარიანტმა, – მაშინ ერთიანად ააფორიაქა ქუთაისი და გააწყრომა „ფილისტერები“, მაგრამ დღეს მისი ამბავი უკვე ტკბილად მოსაგონარი წარსულია მხოლოდ, თუმცა დიდად მნიშვნელოვანი მომენტიც ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

სამწუხაროდ, „ცისფერი ყანწები“ ორი ნომერი გამოვიდა სულ. ორად ორი. იღბლად მე ის ორივე შემრჩა. ანდა როგორ შეიძლებოდა არ შემრჩენოდა, როცა ის ორივე „პერსონალურია“



ქართველი მწერლების ჯგუფი ფუნიკულიორზე: ვაღერიან გაფრინდაშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, სანდრო შანშიაშვილი, პაოლო იაშვილი, სერგო კლდიაშვილი, ტიციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე

ჩემთვის: პირველს გარეკანზე სტამბურადა აქვს დაბეჭდილი „ლადო ჯაფარიძეს“, ხოლო მეორეს – ხელით: „ლადოს, ჩვენი ცისფერი სახლის ძვირფას ხუროთმოძღვარს. პაოლო იაშვილი“; და ეს ხომ ჩემთვის ყოველ ნაბეჭდზე ულამაზესია!

თვალწინ მიდგას დღესაც პოეზიის ის უბადლო ტრიბუნი, თავის განუყრელ მეგობარ ტიციანთან ერთად რომ ბრწყინავდა და ელვარებდა მოძმე ხალხთა პოეტებს შორის და აყვარებდა მათ ქართულ სიტყვას, ქართულ პოეზიას. ის დიდი ენთუზიასტი იყო ხალხთა მეგობრობის და პოეზიაც ხომ ამ მეგობრობის ერთი ქმედითი იარაღთაგანია.

პაოლო განუმეორებელი იყო ყველა თავისი კეთილშობილი თვისებებით. თავისი ნიჭით, თავისი რწმენით, ზრახვებით.

უბადლო, უტოლო, არაჩვეულებრივი.

ლადო ჯაფარიძე

ხელნაწერის სახით დაცულია პ. იაშვილის ოჯახის არქივში

მოგონება

...უდიდესი სიყვარული და მეგობრობა მაკავშირებდა „ცისფერყანწელებთან“: პაოლო იაშვილთან, ტიციან ტაბიძესთან, ვალერიან გაფრინდაშვილთან, კოლაუ ნადირაძესთან, ასევე ყოველ მათგანთან. ეს იყო ის პერიოდი, როცა ეს დიდებული პოეტები თავიანთ ნამდვილ სტიქიაში გრძნობდნენ თავს, როცა ყოველ მათ პოეტურ გამოვლენას, უაღრესი ფანტასტიკური იერი და ხასიათი ჰქონდა. ჩემს მეხსიერებაში წარუშლელია პაოლო იაშვილის სახე – მის სულში და გულში ხომ მზე დუღდა, საოცარი მეგობრობა იცოდა, არაფერს დაზოგავდა, მხოლოდ ადამიანს დახმარებოდა გასაჭირში, მხნეობა მიენიჭებია მისთვის, ყოველგვარი შურის გარეშე.

„ცისფერყანწელებს“ უხაროდათ ახალი ნიჭის დაბადება, მაღალი სულის მქონენი იყვნენ. მე მუდამ მაღელვებს და შემოქმედებით ძალას მანიჭებს მათი მოგონება. მუდამ მრვალფეროვანნი, მუდამ მოულოდნელნი, მუდამ საინტერესონი იყვნენ „ცისფერყანწელები“ პაოლოს მეთაურობით. არ შევხვედრივარ უფრო მომხიბვლელ ადამიანს, ვიდრე პაოლო იყო. მზით სავსე იყო მისი ხასიათი, მთელი მისი ბუნება. ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ბედმა მას შემახვედრა, მეტადრე ჩემი შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისში.

პაოლოს იმპროვიზაციის საოცარი ნიჭი ჰქონდა. პირდაპირ შედევრები იყო მისი ექსპრომტები და ეპიგრამები. რა სამწუხაროა, რომ მათი აღდგენა ახლა არ შეიძლება.

ძალიან უყვარდა თავისი სოფელი... ხშირად იგონებდა იქაურ დაუვიწყარ პეიზაჟებს და თეთრწვერა მოხუცებს, რომლებიც ძველი ეკლესიების კედლებზე დახატულ მოციქულებს მოაგონებდნენ. პაოლოს გასაოცარი გამომგონებლური ნიჭი ჰქონდა, ვისი თავგადასავალი არ იცოდა და ყოველივეს დიდი გატაცებით ჰყვებოდა, მის მოსმენას არაფერი სჯობდა.

1925 წელს ზოგი რამ შეიცვალა მწერლობაში, პაოლომ სთქვა, ჩვენ „ცისფერყანწელებმა" ერთხელ მოვახდინეთ პოეზიაში გარდატეხა, ახლა კი სიტყვა, უკვე ახალ თაობაზე არისო. ჩვენ ცამეტნი ვიყავით, სწერდა ერთ-ერთ თავის ლექსში პაოლო, რომელიც კოლაუ ნადირაძეს მიუძღვნა, მაგრამ ამ ცამეტი პოეტის რიცხვს, ვინც პირველი გამოაკლდა თვითონ პაოლო იყო. მადლობის გრძნობით ვკითხულობ მუდამ ირაკლი აბაშიძის ლექსს მისდამი მიძღვნილს. მასში მარტო ამ ლექსის ავტორის კი არა, ჩემიც და საერთოდ ალბათ, პაოლოს ყველა მეგობრის გულისტკივილია ჩაქსოვილი.

ტკივილთან ერთად მუდამ სიხარულით მავსებს პაოლოზე ფიქრი, თვალწინ მიდგას მისი ცეცხლით აღსავსე სახე, იშვიათი სილამაზის მქონე ღიმილი და ანთებული თვალები.

დიდი დანაკლისია ჩემთვის, რომ ჩემი ურთულესი ცხოვრების გზაზე, ჩემი საყვარელი, ძვირფასი და დაუვიწყარი პაოლო გვერდით არ მყავდა.

მუდამ შენი უერთგულესად მოსიყვარულე ლადო გუდიაშვილი

ლ. გუდიაშვილის მოგონება, მეუღლის, ნინო გუდიაშვილის ჩაწერილი.
ხელნაწერის სახით ინახება პ. იაშვილის საოჯახო არქივში



პაოლო იაშვილის პორტრეტი
დადო გუდიაშვილი

პაოლო!

ო, რამდენი მშობლიური მზრუნველობა მახსოვს ამ დიდებული ადამიანისგან. ძნელია ჩემთვის პაოლოსა და ტიციანის ერთმანეთის გარეშე მოგონება.

მე და ვლადიმერი (იგულისხმება მისი მეუღლე ვ. მაჭავარიანი. – ნ. ხ.) ცამეტისა და თოთხმეტი წლისანი დავმეგობრდით და იმთავითვე მახსოვს ამ ბრწყინვალე ინტელიგენტის ჩვენს მიმართ ყურადღება, ნამდვილი რაინდისა, როგორიც პაოლო იყო და მუდამ მკაფიოდ ვხედავ მას ცოცხალს, ახოვანს, შემართებულ ვაჟკაცს, გულისხმიერს. სად არ აღმოჩნდებოდა ხოლმე ჩემს გვერდით. მამობრივი ყურადღებით მიმიყვანდა სახლში, რასაკვირველია თუ მარტო ვიყავი დიდ საზოგადოებაში, როგორც მაგალითად მოსკოვს, 1936 წელს, პირველ საერთაშორისო კინოფესტივალზე, სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდენ ფესტივალის საზეიმო დახურვისას ჩემს გვერდით პაოლო და ტიციანი. არავის გამაკარეს, წამიყვანეს ვახშმად „მეტროპოლში“, მამობრივი ზრუნვით მომეპყრნენ, რომ სხვა არავის გაებედნა ჩემთან მოსვლა.

პაოლოს უყვარდა ჩემი ოჯახი, ხშირი სტუმარი იყო ჩვენი, რასაკვირველია ტიციანთან ერთად. რა დიდებუნებოვანი იყო, რა ინტელექტის მქონე პიროვნება. სუფრაზე იყო უბადლო. უამრავი ლექსი იცოდა ყველა დიდ პოეტისა, ქართველისა თუ რუსი პოეტის ან ევროპელი სიმბოლისტების. პაოლო, მიუხედევათ დიდი შემოქმედებითი ტემპერამენტისა, საოცრად დინჯი, სოლიდური და აუჩქარებელი ადამიანი იყო. მისი ბასრი ინტელექტის გაელვება, უზადო გემოვნებისა და სნაიპერული ზუსტი, საჭირო წერტილში გამიზნული სიტყვა, წარმოუდგენელ აღტაცებას იწვევდა. ეს იყო პაოლოს სტიქია. პოეზია, მისი აღქმა, უფრო მეტი მასზე ფიქრი, კამათი, ურთიერთობა, აღტაცება ნამდვილად კარგით, ახლით ან პირიქით დუმილი. არასოდეს მახსოვს პაოლოს მიერ ვინმეს უარყოფა. პაოლო დადუმდა – არ მოსწონს. პრინციპული იყო. ურთიერთობდა ადამიანთან, რომელიც მოსწონდა. ახირებულად სუფრაზედაც არ დაჯდებოდა. თუმცა სუფრასთან უყვარდა დისკუსია. ბევრს კითხულობდა, თარგმანებში ბევრს იწუნებდა რუსულიდან ქართულად ან პირუკუ.

საყვარელ ოჯახში, სადაც ხშირად გვპატიჟებდა, პაოლო შეუდარებელი იყო. ელვარებდა მისი მახვილი ჭკუა. მისი სადღეგრძელოები პოეზიასა და ხელოვნებას არ შორდებოდა. ეს იყო უშუალო, მართალი განცდა დიდი პოეზიისა, ლექსისა მისი არსისა და ფორმის. ბანალური, დრომოჭმული, მოარული გამორიცხული იყო. პაოლო ანთებული მახსოვს, ზეაწეული და ანკარა სულის მფლობელი, რაინდი – ადამიანი მართალი, დიდი ბუნების, მის ყოველ გამოვლინებაში. ძალზე დასანანია მისი ნაადრევი სიკვდილი, აგრეთვე დასანანია დიდი რაოდენობა მისი ლექსებისა დაკარგული უკვალოდ.


ალექსანდრა (შურა) თოიძე

24. XII. 1982

ხელნაწერის სახით ინახება პ. იაშვილის საოჯახო არქივში



პაოლო იაშვილის პორტრეტი, თემურ ყუბანეიშვილი



ფოტოზე მარცხნივ – პაოლო იაშვილი, მარჯვნივ – მიხეილ ჯავახიშვილი, 1936 წ.

მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება

...კარგად არ მახსოვს რა რიცხვი იყო, უთუოდ ივლისის შუა რიცხვები იქნებოდა, პაოლო იაშვილი ბერიამ რომ თავისთან დაიბარა. როგორც შემდეგ გამოირკვა, ბერიამ მას დაავალა მამას და ტიციანის წინააღმდეგ ცრუ ბრალდება დაეწერა, რომელსაც ისინი შემდგომ საბუთად გამოიყენებდნენ. მაშინ უთუოდ უკვე გადაწყვეტილი იყო ამ ორი მწერლის ბედი. პაოლო რომ ბერიასგან წამოსულა, გზადაგზა გადაწყვეტილება მიუღია. შინ გაუვლია, თავისი სანადირო თოფი აუღია და ცოლისთვის უთქვამს, მე სანადიროდ მივდივარო. ამ დროს კი მწერალთა კავშირში სხდომა მიმდინარეობდა, სადაც კვლავ ხალხის მოღალატე მწერლების საკითხს იხილავდნენ. პაოლომ გეზი მწერალთა კავშირისაკენ აიღო. სხდომა დაწყებული იყო, ის რომ დარბაზში შევიდა, მოუნახავს თავისუფალი ადგილი მამას გვერდით და სკამზე ჩამომჯდარა. მამას ჩუმად უკითხავს, — რა იყო, რა გითხრა ბერიამო? პაოლოს უპასუხია: — საიმისო არაფერი... ცოტა ხნის შემდეგ კი უთქვამს: მალე დაგიმტკიცებთ, არც ისეთი ცუდი კაცი ვარ, თქვენ რომ გგონიათო. მამა ვერ მიუხვდა პაოლოს ნათქვამს... ცოტა ხნის შემდეგ პაოლო ადგა და ოთახიდან გავიდა. მცირე ხნის შემდეგ, ზევითა სართულიდან საშინელი გრიალი და თოფის გასროლის ხმა გაისმა. კრება აიშალა და შეშინებული ხალხი ზევითა სართულისკენ გაიქცა, მამაც გაჰყვა მათ. სულისშემზარავი სურათი გადაეშალათ თვალწინ. ზემო სართულის პატარა დერფანში, იატაკზე, პაოლო იაშვილი სისხლში მოსვრილი იწვა! მან თავის თავს თვითონვე გამოუტანა განაჩენი. საჯიჯგნად თავი არავის არ მისცა. ტყუილად ხომ არ უთხრა მამას, მალე გაიგებთ, რომ მე არც ისეთი ცუდი კაცი ვარო. მან ვერ შესძლო თავისი მეგობრები სასიკვდილოდ გაეწირა და ისევე ვაჟკაცური სიკვდილი არჩია.



ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის კონგრესი, 1929 წ.

პირველ რიგში: არისტო ჭუმბაძე, იოსებ გრიშაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, სანდრო ეული, გრიგოლ რობაქიძე, ნიკოლო მიწიშვილი, პაოლო იაშვილი, გაიკაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე;
მეორე რიგში: მარტინ ვრასტან, გიორგი ლეონიძე, არაზი, დემნა შენგელაია, ბესარიონ ჭელიძე, კარლო კალაძე, იონა ვაკელი, ბენიტო ბუაჩიძე, სიდიბისტრო თოდრია, ვანო წულუკიძე, შაქრო ნავთიღელი;
მესამე რიგში: სიმონ ჩიქოვანი, პეტრე სამსონიძე, სანდრო შანშიაშვილი, შაღვა რადიანი, ვალერიან გაფრინდაშვილი, გიორგი ქუჩიშვილი

ხალხი შეძრწუნებული იდგა და ზევიდან დაჰყურებდა მას. სამარისებურ სიჩუმეში დემეტრაძის ხმა გაისმა: ამხანაგებო, ისეთი არაფერი მოხდა, წავიდეთ, კრება გავაგრძელოთ. მან არაფრად ჩააგდო პაოლოს თავგანწირვა, თითქოს ადამიანი კი არა, ჩიტი მომკვდარიყო. ხალხსაც მეტი გზა არა ჰქონდა, მაშინვე იქაურობას გაეცალნენ, დარბაზში ჩავიდნენ და კრება გააგრძელეს. არავითარი შებრალება, გამოხმაურება არ იყო. ხალხის გული და შეგრძნება გაქვავებული და უკვე გადაგვარებული იყო. ეს ამბავი 22 ივლისს მოხდა. მე ახალი ჩამოსული ვიყავი ლენინგრადიდან.

მამა შინ რომ დაბრუნდა, ძალზე ფერწასული იყო. კარებშივე შევატყვე, რომ რაღაც მოხდა. შეკითხვაზე, მოკლედ მიპასუხა — პაოლომ თავი მოიკლაო — და თავის ოთახში შევიდა. ამ ამბავმა თავზარი დაგვცა, მაგრამ მამას ვადროვეთ, რომ გონს მოსულიყო და შემდეგ თვითონვე მოეთხრო. სადილად რომ დავსხედით, ხმა არ ამოუღია. თავჩალუნული სადილობდა, ყელში ლუკმა არ გადასდიოდა; მაგრამ რას გავაწყობდით? ჩუმად ვისხედით...

ქეთევან ჯავახიშვილი, 1991 წ.



თამარ ოქრომჭედიშვილი და მედეა იამშვიდი

ეს ერთადერთი ბამოსავალი იყო...

ჩვენი ოჯახი მუდამ ღია იყო სტუმრისთვის, მოდიოდნენ ცისფერყანწელები, ჩვენი ოჯახის განუყრელი მეგობრები, ნათესავები და თავს იყრიდა უამრავი ხალხი. მათ იზიდავდათ მამას პიროვნება, მისი გულღია, პოეტური ბუნება, იგი ცნობილი მონადირე იყო, შესანიშნავი ხმა ჰქონდა... საყვარელ სტუმრებს განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად თავად უმზადებდა კერძებს შესაშური ოსტატობით. ექსპრომტების გამოთქმა ეხერხებოდა, ხატავდა მახვილგონიერულ კარიკატურებს, მუდამ მზად იყო ადამიანის დასახმარებლად — ყველა ამ თვისებას ჩვენს ოჯახში უამრავი სტუმარი მოჰყავდა.

მამა მუდამ ცხოვრების შუა გულში ტრიალებდა, არც ერთი მნიშვნელოვანი საქმე მის გარეშე არ დაიწყებოდა. იგი მონაწილეობდა კოლხეთის ჭაობის დაშრობაში, სამგორის მშენებლობაში, დობის მონასტრის გათხრებში და ყველგან უშურველად იხარჯებოდა. სწორედ ამის და „ქართული დაუდევრობის" გამოც მისი ლექსები სიცოცხლეში არ გამოცემულა. ალბათ, ხანდაზმულობის ჟამს აპირებდა მათ შეკრებას...

გულკეთილ და ხელგაშლილ პაოლოს განსაკუთრებით უყვარდა ბავშვები. მათთან ყოფნა ყველაფერს ერჩია, ბავშვებიც გულწრფელი სიყვარულით პასუხობდნენ. განსაკუთრებით „მეგობრობდნენ" მასთან: ტიციან ტაბიძის ქალიშვილი — ნიტა, მედეა ჯაფარიძე, გიორგი ლეონიძის ქალიშვილები, სალომე ყანჩელი და სხვები. მამას მეგობართაგან განსაკუთრებით მიყვარდა ტიციანი, გოგლა და კოლაუ.

მამაჩემი იშვიათად ჯდებოდა საწერად. იგი წერდა იქ და მაშინ, სადაც მუზა ეწვეოდა. განსაკუთრებით უყვარდა ძვირფასი ქაღალდი და კალამი, რაც გამოულევლად ჰქონდა. სხვა ყველაფერი შეეძლო უშურველად გაეჩუქებინა, ისე რომ თავად ხშირად არაფერს იტოვებდა.


მას უყვარდა პოეტური, ამაღლებული, განსაკუთრებული გარემოს შექმნა.

პაოლო იაშვილის მამა — ჯიბრაელ იაშვილი — პროვიზორი იყო, კიევში ჰქონდა დამთავრებული უმაღლესი სასწავლებელი. დედა — ბაბილინა მდივანი კეთილი და სათნო ქალი, დიასახლისი იყო. იგი ექვს შვილს ზრდიდა, ხუთ ვაჟს და ერთ ქალიშვილს... მათგან ერთი ვაჟი 1924 წელს დახვრიტეს. მეორე — 37-ში, მესამე — 1940 წელს გადაასახლეს.

რომანტიკული და მშვენიერია ჩემი მშობლების გაცნობის ისტორია, დედა — თამარ ოქრომჭედლიშვილი მამაზე ათიოდე წლით უმცროსი იყო. როცა მამა გაიცნო, მაშინ იგი ქალთა გიმნაზიის 16 წლის მოსწავლე გახლდათ. იმ დროისთვის ძალზე განვითარებული, მხატვრობითა და მუსიკით გატაცებული, პირველად საქველმოქმედო საღამოზე შეხვდნენ ერთმანეთს. დედა სხვა მშვენიერ გოგონებთან ერთად საღამოს დიასახლისი იყო და თურმე ერთხელ შემთხვევით დაეჯახა მაგიდასთან მჯდარ და გატაცებით მოსაუბრე პაოლოს...

როგორც ჩანს, მამას მოეწონა ნაზი, ფერიასავით მშვენიერი, ნორჩი ქალიშვილი, რომლის ოჯახსაც კარგად იცნობდა. არც დედა დარჩენილა გულგრილი ოცდაექვსი წლის წარმოსადეგი, რაინდული გარეგნობის პოეტის მიმართ და ეს იყო ფეხბედნიერი შეხვედრა...

დედაჩემის ბაბუა — ილია ოქრომჭედლიშვილი ცნობილი ქველმოქმედი იყო. ილია ჭავჭავაძესთან და ილია წინამძღვრიშვილთან მეგობრობდა. დიდი ღვაწლი მიუძღვის უნივერსიტეტის მშენებლობაში, მისი სტიპენდიით ბევრი ქართველი ხელმოკლე სტუდენტი სწავლობდა. მათ შორის მხატვარი გიგო გაბაშვილიც, რომელმაც მრავალი ცნობილი ტილო უსახსოვრა ჩვენს ოჯახს მადლიერების ნიშნად. ილია ოქრომჭედლიშვილი ენციკლოპედიაშია შეტანილი, იგი პირველი იყო მათ შორის, ვინც დიდუბის პანთეონში დაკრძალა მადლიერმა ქართველმა ხალხმა.



პაოლო იაშვილისადმი მიძღვნილი გამოფენა რეპრესირებულ მწერალთა მუზეუმში. მწერალთა სახლი, 2023 წ.

დედაჩემი დედისერთა იყო. ბაბუას განსაკუთრებით უყვარდა სიძე. მან ვერ გადაიტანა მამას თვითმკვლელობის ამბავი, ლოგინად ჩავარდა და რამდენიმე თვეში გარდაიცვალა კიდეც.

მამა ექსპრომტების ოსტატი იყო. მისი მახვილგონივრული სტრიქონები თბილისში ზეპირად დადიოდა. ახლაც მახსოვს მისი ექსპრომტი, რომელიც ერთ საღამოს ნატო ვაჩნაძეს მიუძღვნა და მაშინვე სიმღერად იქცა.

..ქალი დავინახე თვალში მომანათა.
მწუხარება მქონდა უცებ გამეფანტა.
ვინ არის ეს ქალი.
ვაჩნაძიანთ ნაცა.
ნეცავ რამ დაბადა. მშვენიერი ასე

ჩვენთან ყველაფერი პოეზიით სუნთქავდა. ულამაზესი საღამოები სავსე იყო განუმეორებელი იუმორით, ხალისით, დარდიმანდული ლხინით, საოცარი ლექსებით... მაგრამ აი, მოვიდა ავბედითი 1937 და ეს ჩემი მშვენიერი, უზრუნველი და ზღაპარივით კეთილი ბავშვობა ისე გაქრა, თითქოს ბოროტმა ჯადოქარმა კვართხი მოიქნიაო.

ერთბაშად შეიცვალა ყველაფერი ჩვენს ოჯახში. იკლო სტუმრებმა, არავის ეცალა საღიმილოდ და მოსალხენად. ყველა გაღიზიანებული, დაძაბული და შეშფოთებული იყო. თითქოს ვიღაცას ელოდნენ. ეს გრძნობა მეც გადმომედო, თუმცა მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი და ბევრი არაფერი გამეგებოდა.

თურმე, როგორც შემდეგ გავიგე, მამას სდევნიდნენ, ხალხის მტრად აცხადებდნენ, მის წინააღმდეგ კრებებს აწყობდნენ.

მამა რამდენჯერმე წაიყვანეს მანქანით დაკითხვაზე. ბოლოს ნატანჯი, ერთბაშად დაბერებული, იმედდაკარგული და სახეშეცვლილი დაბრუნდა. ასე მოვიდა ზაფხულის ის ავბედითი, უკანასკნელი ღამეც...

მახსოვს, მამა იმ ღამეს განსაკუთრებით ნერვიულობდა, ადგილს ვერ პოულობდა, ბოლთას სცემდა, ხშირად დამცქეროდა ლოგინში მწოლიარეს, ბინაში დავანებულ სიჩუმეში მისი ფეხის ხმა ავისმომასწავლებლად ყღერდა (მერე კი წერილში წერდა: „შენ დაგცქეროდი, მედეა და შენც ვერ გადამარჩინეო").

იმ დროს საშინელი გადაწყვეტილება მიიღო. ისიც აწუხებდა, რომ ცოლ-შვილი სოფელში დროულად ვერ გახიზნა. ჩვენი მომავალი აწუხებდა თავად დასაღუპად გამზადებულსა და განწირულს... მწერდა: გაიზრდები და მიხვდები, რომ ეს ნაბიჯი არ გადამედგა, შენ უფრო უბედური იქნებოდიო...

ოცდაორი ივლისი... საკუთარი თავისადმი განაჩენის აღსრულების დღეს ბებიასთან დაგვტოვა და წავიდა. მე თავად გამოგივლით და წაგიყვანთო...

როცა ჩვენ სახლში დავბრუნდით, სამი კაცი გამალებით ჩხრეკდა ჩვენს ბინას. ორი ქართველი იყო, ერთიც რუსი, რომლის სახე ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში და არასოდეს მავიწყდება. მათ ჩხრეკის ორდერი არ ჰქონდათ, მაგრამ ამას სულაც არ შეუშლია ხელი, რომ ჩემოდნებით მამის მთელი არქივი, მისი ხელნაწერები წაეღოთ... სამწუხაროდ, ის დღემდე ნაპოვნი არ არის...


მედეა იაშვილი

ეს თავგანწირვა და ნაბიჯი გმირობის ტოლფასი იყო. ამის გამო დედაჩემი სიკვდილამდე მისი შადლიერი იყო.

მწერალთა კავშირში იმ საბედისწერო გასროლის შესახებ მეორე დღეს დილით გავიგეთ. მამას იქ დილით მიუტანია თოფი. როგორც ჩანს, ყველაფერი გათვლილი და გაანგარიშებული ჰქონდა. ახლა ხშირად იბეჭდება ინფორმაციები ამ თვითმკვლელობის შესახებ. ტიციანმა ამ ნაბიჯს გმირობა უწოდა. მამასთვის ეს ერთადერთი გამოსავალი იყო ამ ცრუ და უსამართლო წუთისოფელში. მაშინ იგი ორმოცდასამი წლის იყო...

მედეა იაშვილი

ინახება პაოლო იაშვილის საოჯახო არქივში



პაოლო იაშვილის უკანასკნელი წერილი შვილს

არგვეთელთა მოგონებები

პაოლო იაშვილის სახელობის საშუალო სკოლის ყოფილმა მასწავლებელმა, პენსიონერმა თომა იაშვილმა 1964-1979 წლებში ჩაიწერა პაოლოს მშობლიურ სოფელში მოხუცი არგვეთელების მოგონებები.

ივლიტე ივანეს ასული დავაძე (პაოლოს გამზრდელი)

ბაბუაჩემი და იოსებ იაშვილი (პოეტის მამის — ჯიბოს ბიძაშვილი) დიდი მეგობრები იყვნენ. მშობლები ადრე გარდამეცვალა და 6 წლის ბაბაბუაჩემმა ჯიბოს ოჯახში მომიყვანა, საიდანაც გავთხოვდი სოფელ მერჯევში. ქმარ-შვილი მალე გარდამეცვალა და ისევ ჯიბოს ოჯახს დავუბრუნდი.

ჯიბო იაშვილს დამთავრებული ჰქონდა კიევის ფარმაცევტული ინსტიტუტი, იყო ულამაზესი ვაჟკაცი, ყველას ხელისგამწვდომი და დამხმარე, მას მხარს უმშვენებდა შესანიშნავი მეუღლე ბაბილინა ბარნაბის ასული მდივანი.

მე ამ ოჯახში გავიზარდე, ამ ოჯახმა მარგუნა ბედნიერი სიცოცხლე და მოხუცებულობა. ჯიბოს ჰყავდა რვა შვილი: ნინა, პეტრე, მიშა, პაშა, პაოლო, კონსტანტინე, ვასილი (ჭუნია), ივანე (ტუპია). პეტრე და ნინა ადრე გარდაიცვალნენ ყელჭირვებით. ჯიბოს აფთიაქი და სახლები ჰქონდა ჭიათურაში, ქუთაისში. ბოლოს აფთიაქრად მუშაობდა კორბოულში, საიდანაც გადმოვიდა არგვეთში და თავისი სახლი უფასოდ დაუთმო აფთიაქს.

ძალიან მიყვარდა და მიყვარს ჯიბოს შვილები, მაგრამ განსაკუთრებით პაოლო მყავდა ამორჩეული, ალბათ იმიტომაც, რომ მეტი ამაგი მქონდა მასზე. ჩემს ხელში გაიზარდა, დავაჟკაცდა, განათლება მიიღო, დაცოლშვილდა, დიდი საზოგადო მოღვაწე გახდა.

პაოლო ხშირად ჩამოდიოდა არგვეთში, ჩამოჰყავდა მეგობრები: ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, გრიგოლ ლაღიძე და სხვები. ტკბილად საუბრობდნენ, კითხულობდნენ ლექსებს, ოხუნჯობდნენ, ერთობოდნენ, ხან კი დაიკაპიწებდნენ მკლავებს და ვენახში ჩავიდოდნენ სამუშაოდ. როცა ცოლ-შვილს ჩამოიყვანდა პაოლო, აუცილებლად სოკოზე უნდა წავსულიყავით ტყეში.

მეუღლე თამარ სერებრიაკოვა, ქალიშვილი მედეა, პაოლო და მე წავიდოდით ნაურიებსა და დურევის ტყეში, თან საგზალს წავიღებდით. პაოლო სოკოს რომ იპოვიდა, ბავშვივით გამხიარულდებოდა, სიხარულით ერთი ხმამაღლა შეჰყვირებდა და მერე მოსწყვეტდა ხოლმე.

პაოლოს უყვარდა პურ-მარილი, დროსტარება, სუფრის მრავალფეროვნება; ჯერისწერის დროს გამაკეთებინა ლობიო და როცა იგი სუფრაზე მივიტანეთ, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ყველას ანოდებდა: ივლიტეს გაკეთებული გუფთალობიო მიირთვით, შესანიშნავიაო. ყველა დიდი მოწონებით მიირთმევდა ჩემს ნახელავ გუფთალობიოს.

პაოლო დიდი გულისხმიერი ადამიანი იყო ყველასთვის, და რაღა თქმა უნდა, ოჯახის წევრებისთვის. რაიმე რომ ატკივდებოდა ვისმეს, პაოლო ვერ მოისვენებდა, სულ მასთან იყო, სანამ ავადმყოფს ტკივილი არ გაუვლიდა.

ერთხელ გულმა შემომიტია, ცუდად გავხდი. მოითათბირეს ჯიბომ და პაოლომ და გადაწყვიტეს ჩემი ქობულეთში წასვლა. პაოლომ ჩამიყვანა ქობულეთში და სანამ არ მომარჩინა, სოფელში არ გამომიშვა.



ჯიბრაილ იაშვილის ოჯახი
სხედან: ივანე, ჯიბრაილ, ვასილ, ბაბილინა (მდივანი), კონსტანტინე იაშვილები;
დგანან: მიხეილ, პაოლო, პელაგია, მარიამ იაშვილები

პაოლოს უყვარდა ნადირობა. სოფელში რომ ჩამოვიდოდა, მოაგროვებდა მონადირეებს: მოსე ბერიძეს, კოლია მაჭავარიანს, მეთევზე გიგა აბაშიძეს და სანადიროდ მიჰყავდა.

ერთხელ, თბილისში ვიყავი. პაოლომ მოიტანა ირმის ხორცი, ძალიან მომეწონა მისი მწვადები. ხორცი ახლო მეზობლებსაც გაუგზავნეს. აი, ეს რქები მაშინდელია, ის კი არ მახსოვს კარგად, კახეთში ინადირეს, თუ ბორჯომის ხეობაში.

ვანო რაჟდენის ძე თოდაძე (80 წლის):

ჩვენ ახლოს ვცხოვრობდით ერთმანეთთან. ჩვენი ოჯახების ახლობლობის გამო მე მომწათლა ჯიბოს მეუღლემ, რომელიც შესანიშნავი მეოჯახე და აღმზრდელი იყო. წამოვიზარდე თუ არა, უკვე ახლო მეგობრობა მქონდა ჯიბოს შვილებთან.

ჯიბო იაშვილი თვითონ იყო დიდი მზრუნველი და მოამაგე ჩვენი ხალხისა. ულამაზესი ვაჟკაცი იყო, მხარბეჭიანი, საშუალოზე მაღალი ტანისა, მიმზიდველი თვალებით, მომხიბლავი საუბრით და რაღაც ზღაპრული გულკეთილობით იპყრობდა ადამიანებს.

მასთან ვიმუშავე 10 წელიწადი. იგი ყველასთვის ცნობილი პროვიზორი იყო.

ჯიბოსგან არ მახსოვს ერთი ცუდი სიტყვაც კი. ის ყველასთან ზრდილობიანი, თავმდაბალი და მამობრივი მზრუნველობის გამწევი იყო.

აფთიაქში მოსულ პირებს არიგებდა, როგორ უნდა მიეცათ წამლები ავადმყოფისთვის, ამხნევებდა მათ. ხშირად წამლის ფულსაც არ ახდევინებდა იმას, ვისაც შეატყობდა ოჯახურ ხელმოკლეობას. მახსოვს, შუაღამისას მოვიდა ერთი ავადმყოფის პატრონი. ჯიბოს არ დაზარებია, იმ წუთში წამოდგა, გავიდა აფთიაქში, მოუსმინა ავადმყოფის პატრონს (მას რეცეპტი არ ჰქონდა), თვითონ წავიდა, ნახა ავადმყოფი, მისცა წამლები და მოარჩინა.

ასეთი ამბების გახსენება მრავლად შეიძლება.

ჯიბო და მისი მეუღლე თვითონ იყვნენ შრომისმოყვარულნი.

ჯიბო სიხარულით შეხვდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას, მან დიდი ხნით ადრე, საბჭოების შექმნამდე, გაანთავისუფლა გლეხები ნადელისაგან. ხშირად უთქვამს: „მიწა უნდა ჰქონდეს მიწის მუშასო“.

თვითონ, მეუღლესთან ერთად, თოხით ხელში მუშაობდა საკარმიდამო ნაკვეთში, შრომა სათაკილო საქმედ არ მიაჩნდა. პირიქით, პატივს სცემდა, უყვარდა გამრჯე ადამიანი.

ასეთ ოჯახში აღზრდილი შვილები ნამდვილად კარგები უნდა ყოფილიყვნენ და სწორედ ასეთებიც იყვნენ. გვიყვარდა მათთან ყოფნა, განსაკუთრებით პაოლო რომ ჩამოვიდოდა, მეზობლები თავს მოვიყრიდით მასთან და ტკბილად ვსაუბრობდით, ვპურმარილობდით. მე თქვენ გეტყვით და, არ მიგიზიდავდათ პაოლოს საუბარი და თამადობა.

პაოლოც გადმოვიდოდა ჩვენთან, მოიკითხავდა ოჯახის წევრებს, დაასაჩუქრებდა ბავშვებს, მისცემდა ფოჩიან კანფეტებს და იყო ერთი სიხარული.

პაოლოს მოვიწვევდით ჩვენ ღარიბ პურმარილზე, ცხელი მჭადი და ჭყინტი ყველი, ტარხუნა და ჭინჭილით ცივი ღვინო, შემდეგ დედაკაცისგან შემოტანილი შემწვარი ვარია — კარგ გუნებაზე გვაყენებდა და ვმხიარულობდით.

პაოლო გვიყვებოდა ახალ-ახალ ამბებს, ახალი ცხოვრებისა და უკეთესი მომავლის შესახებ.

ხშირად ვმართავდით შაირობას და, როცა რომელიმე ჩვენთაგანი უკეთეს შაირს ვიტყოდით, პაოლოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.



ჯიბრაილ იაშვილი



გამზრდელი ივლიტე დავაძე, და პეტაგია, ძმა მიხეილი, კონსტანტინე ნათესავებთან ერთად



პაოლო იაშვილის სახლ-მუზეუმი სოფ. არგვეთში, 2023 წ.



პაოლო იაშვილი, მერი, ირაკლი და ვალიკო ერისთავები



ხედი იაშვილების სახლის აივნიდან, სოფ. არგვეთა.

გიორგი ივანეს ძე დავაძე (83 წლის):

მე ვცხოვრობდი სოფელ ეთოში, მაგრამ ჯიბო იაშვილის ოჯახს კარგად ვიცნობდი. ჩემი და, ივლიტე დავაძე, 6 წლიდან ჯიბოს ოჯახში იზრდებოდა და პაოლოს გამზრდელი იყო.

ახალგაზრდა პაოლოს ძალიან უყვარდა ნადირობა, გამომივლიდა ეთოში, იქიდან წამიყვანდა ფორხალოსა და ეწერებზე, ჰყავდა მონადირე ძაღლი გერა (მომცრო დეკეულის ხელა იყო). პაოლო კარგი მსროლელიც იყო, იშვიათად აცდენდა კურდღელსა და ფრინველს. მოსახლეობას გააცნო რიონჰესის მშენებლობისთვის მუშახელის საჭიროება და სხვებთან ერთად პაოლომ რიონჰესზე სამუშაოდ მეც წამიყვანა. ის ხშირად მოდიოდა ჩვენთან და გვიკითხავდა მოხსენებებს. მე ხშირად ვინახულებდი ხოლმე ჩემს დას ივლიტეს. წავიღებდი ხილს, ნაბლს, ჩურჩხელებს, რაც ძალიან ახარებდა ჯიბოს, იგი მომიჯდებოდა გვერდში და დამიწყებდა საუბარს ამ ქვეყნის ამბებზე.

სევასტი ნიკოს ძე მუკათარიძე (77 წლის):

1932 წლიდან ვმუშაობდი კოლმეურნეობაში ჯერ თავმჯდომარის მოადგილედ, შემდეგ თავმჯდომარედაც და ბევრი რამ ვიცი იაშვილების შესახებ.

ჯიბოს დიდი ამაგი მიუძღვის ჩვენი სოფლის საქიმო მომსახურებაში და ამიტომაც უყვარს იგი ჩვენს ხალხს.

პაოლო ხშირად იყო სოფელ არგვეთში. ვსაუბრობდით ჩვენი მუშაობის პირობებზე. მან პირველმა ჩამოიტანა არგვეთში რადიომიმღები. როგორც მახსოვს, ეს იქნებოდა 1927 წელს, მაშინდელ რევკომს აჩუქა საბეჭდი მანქანა, 1932 წელს გამოგვიგზავნა ინჟინერი და კლდის ძირიდან 3 კილომეტრის სიგრძეზე გამოიყვანა წყალსადენი.

ერთხელ პაოლო მოვიდა ჩვენთან და გვითხრა, რიონჰესის მშენებლობისთვის მუშახელი გვესაჭიროება და ველით თქვენს დახმარებასო. ჩვენ მოვიწვიეთ კრება. პაოლო ესაუბრებოდა მშრომელებს რიონჰესის ჰიდროელექტროსადგურის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ, რომ იგი დიდად შეუწყობდა ხელს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებას. ეუბნებოდა მათ, რომ ქუთაისის ახლო მდებარე სოფლების მოსახლეობა არაა გამოცდილი გვირაბის გაყვანაში და ამიტომ ჭიათურა-საჩხერის მუშებს სთხოვდა წასულიყვნენ მათთან სამუშაოდ, თანაც დაწვრილებით აცნობდა მათ მუშაობის პირობებს.

ასეთივე კრებები ჩატარდა სხვა სოფლებშიც. ხალხი სიხარულით შეხვდა ამ ამბავს. წასვლის სურვილი გამოთქვეს: ფარნაოზ კერესელიძემ, გიორგი დავაძემ, სეფო ტეფნაძემ, შალვა კერესელიძემ და სხვებმა.

იასონ იაშვილს დაევალა შეეგროვებინა ხალხი და ორგანიზებულად ჩაეყვანა რიონჰესის მშენებლობაზე.

ჩვენი დახმარების საპასუხოდ, რიონჰესის მშენებლობის უფროსმა ვლადიმერ ჯიქიამ საშუალო სკოლის აშენებისთვის გამოგვიგზავნა მშენებლობისთვის საჭირო მასალები.

ფარნაოზ მიხეილის ძე კერესელიძე (80 წლის):

ჩემთან ძალიან ახლოს იყო ჯიბო იაშვილის ოჯახი. ის ხომ ყველას დამრიგებელი, ყველას მამა და ექიმი გახლდათ. ჯიბოს ოჯახი მრავალრიცხოვანი იყო და ყველა წევრი მისი ოჯახისა დიდი სიყვარულით სარგებლობდა ჩვენს მეზობლობაში.

როგორც მახსოვს, 1932-33 წლები იქნებოდა, სოფელში ჩამოიარეს და კრებაზე მიგვიწვიეს. სიტყვით გამოვიდა პაოლო იაშვილი. მან გვაცნობა, ქუთაისში ვაშენებთ დიდ ელექტროსადგურს, რომლისთვისაც გვჭირდება გვირაბის გამყვანი მუშები და, თქვენ, როგორც გამოცდილი ხართ ამ საქმეში, გთხოვთ, წამოხვიდეთ სამუშაოდო. ბევრმა მაშინვე განაცხადა თანხმობა, მათ შორის მეც და წავედით. ჩემთან ერთად მუშაობდნენ: გიორგი დავაძე, სეფო ტეფნაძე, ნესტორ და ზაქარია ბუცხრიკიძეები, კონია ნაბოლიშვილი და სხვები.

პაოლო ხშირად კითხულობდა ჩვენი მუშაობისა და ცხოვრების ამბავს.

ერთხელ ხელზე ქვა დამეცა, ცერი დამიზიანდა და საღორიის საავადმყოფოში გამგზავნეს სამკურნალოდ. იმწუთშივე ჩემთან გაჩნდა პაოლო, პალატაში შემოვიდა, თეთრხალათიანების მთელი ჯგუფი შემოჰყვა. შეწუხებულმა გამომკითხა ყველაფერი, სანამ ექიმს არ გაახსნევინა შეხვეული და არ დარწმუნდა, რომ საშიში არაფერი იყო, ვერ დამშვიდდა.

სამაგიეროდ, რიონჰესელებმა დიდი დახმარება გაგვიწიეს, მათ გამოგვიგზავნეს ხე-ტყე, ცემენტი და სხვა მასალები არგვეთში საშუალო სკოლის ასაშენებლად.



პაოლო იაშვილი და მისი ძაღლი "სამგორი" მონადირეთა ჯგუფში



პაოლო იაშვილი ოჯახთან ერთად არგვეთის სახლის აივანზე

სოფიო მიხეილის ასული იაშვილი (90 წლის):

პაოლო იაშვილი ჩამოდიოდა თავის ამხანაგებთან ერთად და იმართებოდა ქეიფი ჯიბო იაშვილისას, სადაც მიწვეული იყვნენ ხოლმე პაოლოს მეზობლები და ნათესავებიც.

მეზობლებიც გადაიპატიჟებდნენ პაოლოს სტუმრებს. სანდრო იაშვილი ჩვენ კუთხეში განთქმული იყო თავისი პურ-მარილით და შესანიშნავი ბაღით. ერთხელ სანდრომ მიიწვია პაოლოს ამხანაგები, დაგვპატიჟეს ჩვენც. გაიმართა ქეიფი, ცეკვა-თამაში, მხიარულება, პოეტები ამბობდნენ ლექსებს, შაირებს, ეხუმრებოდნენ ყველას.

ქეიფის დასასრულს სანდროს პაოლომ მიმართა ლექსით:

ამ წასვლის დროს, ჩემო სანდრო,
თვალში ცრემლი მომერია.
მითხარ, მითხარ, გენაცვალე,
შენი ბაღი რომელია.

ვახტანგ კოტეტიშვილმა დაამთავრა:

ჩვენ მივდივართ, მეგობრებო,
ვეთხოვებით ძვირფას სანდროს,
მაგრამ რა ვქნათ, უნდა გავყოთ
მისი ბაღი ვაის ამ დროს!

სანდრომ სიცილით უპასუხა: „რა კარგი მახარობლები ხართ, თქვენგან მაგას მოველოდი, ჩემს ბაღში წილს რომ მიდებთ და გაყოფას მიწინასწარმეტყველებთო“

საშობაო არდადეგებზე ჯიბო იაშვილი ყველა შვილს მოუხმობდა ხოლმე, არდადეგებს ყოველთვის სოფლად ატარებდნენ ისინი. უყვარდათ თავიანთ ტოლ-ამხანაგებთან ერთად ყოფნა და დროსტარება. ერთხელ, იმხელა თოვლი იყო, რომ გაუჭირდათ საჩხერიდან ამოსვლა. გავიგეთ თუ არა ეს მდგომარეობა, ილო, ჩემი მეუღლე და სხვა მეზობლები გზას გაუდგნენ და მშვიდობით მოიყვანეს სახლში.

ჩვენი ოჯახები ძალიან ახლოს იყვნენ. პაოლო ყოველთვის დაუძახებდა ხოლმე ილოსაც, რომელსაც კარგად ეხერხებოდა ცეკვა-სიმღერა. პაოლოსაც ძალიან სიამოვნებდა ჩვენს კოპიტებში მოლხენა. პაოლოს ბიძა, ბიჭიკო მდივანი და ილო სულ ერთად იყვნენ, ხან ჩვენთან და ხან ჯიბოსთან.

„ჩვენი მზიური პაოლო“, თბილისი, მერანი, 1995



ᲞᲐᲝᲚᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲔᲑᲘ ᲐᲠᲒᲕᲔᲗᲨᲘ




ᲡᲐᲮᲚᲘ ᲐᲠᲒᲕᲔᲗᲨᲘ





ექსპოზიცია პაოლო იაშვილის სახლ-მუზეუმში, სოფ. არგვეთში

POÉSIES





მოგონება პაოლოზე

ქუთაისში ქალაქის თეატრის წინ (ასე უწოდებდნენ იმხანად ქუთაისის დრამატულ თეატრს) მირაქიშვილებს ჰქონდათ საკუთარი მაღაზია. ამ მაღაზიაში შეგეძლოთ შეგეძინათ ტილო, ჩარჩო, ფერადების ყუთი, მოლბერტი და სხვა სახატავი მასალები. მე მაშინ 15 წლისა, მხატვრობით ვიყავი გატაცებული, ვხატავდი კიდეც და ერთხელ, აი, ამ მაღაზიის გვერდით ჩემი ყურადღება მიიქცია ორიგინალურად გაფორმებულმა აფიშამ, აფიშაში გამოცხადებული იყო ცისფერყანწელთა საღამო.

როდესაც პირადად გავეცანი აფიშის ავტორს, მომხიბლა მისმა ახოვანებამ, ვაჟკაცურმა აგებულებამ. თავზე ფართო ფარფლებიანი ბელგიური ქუდი ეხურა, ლურჯი კოსტუმი ეცვა და ბროწეულისფერი ჰალსტუხი ეკეთა. უცებ გამოარჩევდით ამხანაგებში. მთელი გულისყურით ვაკვირდებდი ამ კაცს, ცხადია, ჩვენთვის, ყველასთვის ღვთაებრივი იყო აკაკი, რომლის ლექსებზეც ვიზრდებდით და ახლა, რაცა ამ საღამოს დავესწარი, მოვისმინე პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, გალაკტიონის ლექსები, ჩემდაუნებურად ამეკვიატნენ ეს სახეები, ჩემს ახალგაზრდულ, ჭაბუკურ ფიქრებში, ოცნებებში მათ დიდი ადგილი დაიჭირეს. რა თქმა უნდა, მე არ შემეძლო წარმომედგინა მაშინ, პაოლო იაშვილი და, საერთოდ, ცისფერყანწელები, რა უზარმაზარ როლს ითამაშებდნენ ქართული ლექსის განახლების საქმეში.

ახლაც სიხარულით ვიხსენებ, რა დიდ თანამეგობრობას გვიწევდნენ პაოლო და მისი მეგობრები ახალი თეატრის დამკვიდრების საქმეში, რა დიდ შემაერთებელ, შემადუღებელ ძალად იქცეოდნენ ისინი ყოველი ახლისა და მოწინავესი ჩვენს სამშობლოში, განსაკუთრებით, საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში. მე, ჯერ კიდევ ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის კედლებში მყოფ მოწაფეს, მიზიდავდა პაოლო იაშვილის, როგორც უშიშარი რაინდის პიროვნება, რომელიც არ უშინდებოდა არც ერთ დაბრკოლებას. ხშირად ვხედავდით მას მღელვარე ცხოვრების შუაგულში.

დაუვიწყარია მათ მიერ გამართული ლიტერატურული საღამოები ქუთაისში. სცენა უჩვეულოდ იყო მორთული. აქ ვერ ნახვდით დეკორაციებს. სცენაზე იდგა ერთი მაგიდა, რომელზედაც ეფარა ცისფერი სუფრა, ზედ მიმობნეული იყო ბროწეულის ყვავილები. ყველაფერი ეს განათებული იყო თაფლის სანთლით. მაგიდას უსხდნენ ვალერიან გაფრინდაშვილი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, შალვა აფხაიძე, სერგო კლდიაშვილი, გალაკტიონი, შალვა კარმელი, ალი არსენიშვილი, იყო ლექსების დაუსრულებელი კითხვა.

საღამოებს ძირითადად ახალგაზრდობა ესწრებოდა. როგორც ცნობილია, ცისფერყანწელებს უხდებოდათ ბრძოლა სხვადასხვა მიმართულებასთან, ამიტომ მათ მიერ მონყობილი ლიტერატურული საღამოები არ მთავრდებოდა ფარდის დახურვით, უჩვეულო იყო ამ სპექტაკლების დასასრულიც. ცხარე კამათი გრძელდებოდა ფოიეში, ქუჩაში...

ამ ლიტერატურულ საღამოებს დიდი სიცოცხლე და ინტერესი შემოჰქონდა მაშინდელი ქუთაისის ცხოვრებაში. პირველი იმპერიალისტური ომის ფონზე ასეთი გაცხოველებული ლიტერატურული ცხოვრება, როგორც მაშინ ქუთაისში შეინიშნებოდა, საკვირველი იყო. შეჯახებები ლიტერატურულ მიმართულებათა, მიმდინარეობათა შორის, რაც მაშინ ხდებოდა, აზრთა სიცხოველე, ცხოვრების ასეთი დუღილი თითქოს ოდნავ მაინც ფარავდა ომისგან მიყენებულ გაჭირვებას, სიძნელეებს. მთელი საქმის მოთავე პაოლო იყო. იგი ადამიანური თვისებებითაც მომხიბლავი კაცი გახლდათ. ის თითქოს ჩვენში ხედავდა რაღაც მომავალ, დასაყრდენ ძალას. არ თაკილობდა ჩვენთვისაც დაეთმო დრო, ყურადღება. პაოლოს ამ სიახლოვემ ჩვენდამი, ისეთი გრძნობა აღმიძრა, რომ გადაწყვეტილი მქონდა ყველა ჩემი პირადი გაჭირვების დროს მისთვის მიმემართა. ასევე

იყო თბილისშიც, დრამატულ სტუდიაში ყოფნის დროს. უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი, როცა პაოლო იაშვილი თბილისში ჩვენი სტუდიის ხელმძღვანელს გიორგი ჯაბადარს დაუმეგობრდა და ფრანგულიდან თარგმნა როსტანის პიესა „თეთრი ვახშამი". სპექტაკლში ემონაწილეობდით: ვერიკო ანჯაფარიძე, ალისა ქიქოძე და მე. ვერ გეტყვით, სპექტაკლი როგორი გამოვიდა, პიესა კი შესანიშნავი ენით იყო თარგმნილი. მანვე, სანდრო ახმეტელის თხოვნით, თარგმნა ოსკარ უალდის „სალომეა".

საგანგებოდ უნდა აღვნიშნო პაოლო იაშვილის სიახლოვე კოტე მარჯანიშვილთან. პაოლო და მისი მეგობრები იყვნენ სალიტერატურო ნაწილის წარმმართველნი თეატრში, ისინი იყვნენ ხშირად კოტეს მრჩევლები. აქვე მინდა დავძინო, რომ რასაც მაიაკოვსკი აკეთებდა მეიერჰოლდთან, იმასვე აკეთებდა პაოლო იაშვილი სანდრო ახმეტელსა და კოტე მარჯანიშვილს შორის მჭიდრო კონტაქტის დასამყარებლად... მე, პირადად, პაოლოსგან ვისწავლე როგორ უნდა მეგობრობა ხელოვნების მუშაკებს შორის. ცისფერყანწელებისგან შთაგონებული, პირველი ინიციატორი ვიყავი კორპორაცია „დურუჯის" დაარსებისა, რომლის მიზანი იყო: დაგვენერგა ქართულ თეატრში მაღალპროფესიული თეატრალური კულტურა. ამ საქმეში ჩვენი პირველი მოსარჩლე და დამხმარე პაოლო იაშვილი იყო... საერთოდ, მთელი ცისფერყანწელები, პაოლოს ხელმძღვანელობით.

თეატრში ჩემი ხელმძღვანელობის დროს უკვე ნათელი იყო მათი ლიტერატურული მიმართულება, ვხედავდი, რა დიდ როლს ასრულებდნენ ისინი ქართული პოეტური ფორმების განახლების, ამ მიმართებით დახავსებული ტრადიციის გადალახვის საქმეში, როცა მათ თავიანთი მცხუნვარე შემოქმედება ხალხის სამსახურში ჩააყენეს.

როგორც ჩვენ, „დურუჯელები", ასევე ცისფერყანწელებიც, დიდი ხანია გავცილდით საკუთარი სკოლის ფარგლებს, მალე სკოლებსა და კარჩაკეტილ დაჯგუფებებს ბოლო მოეღო და კიდევ უფრო შევკავშირდით.

პაოლო აქაც გზის გამკვლევი იყო.

აკაკი ვასაძე

(ჩაიწერა ციური ხეთერელმა 1977 წელს)

იმპროვიზაციის ჯადოქარი – პაოლო იაშვილი

გამორჩენილი ქართველი პოეტი პაოლო იაშვილი ბრწყინვალე იმპროვიზატორი იყო. მისი ექსპრომტები და მოსწრებული თქმები როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე მაყურებლებს იტაცებდა და აჯადოებდა. გერონტი ქიქოძის თქმით, პაოლო იაშვილი ძველი დროის რაფსოდებს და ტრუბადურებს ჰგავდა: მისი პოეტური ნიჭის დაფასება არ შეიძლება მარტოოდენ დაბეჭდილი ლექსების მიხედვით, ეს იყო იმპროვიზაციის ჯადოქარი, რომელიც უწინარეს ყოვლისა აუდიტორიის სმენას ხიბლავდა. მისი სიტყვები შინაარსიანი და გონებამახვილური იყო ერთსა და იმავე დროს, აქ ის თითქმის თავისთავს სჭარბობდა. ტიციან ტაბიძე იგონებს რამდენიმე შემთხვევას და დასძენს: განსაკუთრებით დამამახსოვრდა ოვანეს თუმანიანის იუბილეს დღე „ტარტოს“ დარბაზში, ხალხით გაჭედილი თეატრი. სიტყვა თქვა პაოლო იაშვილმა, და ეს სიტყვა ნათქვამი იყო ისეთი პათოსით, რომ თეატრი ზანზარებდა ტაშისცემით. ხოლო თბილისის კაფეში, რომელსაც ჯერ კიდევ „დარბაზი“ არ ერქვა, პირველად ჩვენ გავხსენით სეზონი პაოლო იაშვილის დირიჟორობით: ლექსებს, ქართველი პოეტების გარდა ამბობდნენ რუსი პოეტებიც: კ. ბალმონტი, ს. გორედეცკი, ი. ზდანევიჩი და სხვ. 1917 წლის პირველ იანვარს პოლონელთა კაფეში რუსულ ენაზე პაოლო იაშვილმა ექსპრომტად წარმოთქვა „უეცარი ლექსი – პოლონეთს“, რომლის ავტორისეული ქართული თარგმანი გაზეთ „საქართველოს“ სურათებიან დამატებაშია გამოქვეყნებული (იხ. გაზ. „საქართველო“ №6, დამატება №2, 1917 წ. თბილისი).

ქუთაისში კი 1916 წლის 6 იანვარს „სინათლის“ საღამოზე პაოლო იაშვილმა ი. გრიშაშვილს ექსპრომტად მიმართა შემდეგი სტრიქონებით:

შუაღამე გადაცურდა
და დრო დადგა ტურფა ძიძის.
მაგრამ მაინც ისევ გვსურდა
ჩვენ მოსმენა გრიშაშვიძის.
მაგრამ იგი გაუარდა
და არ ვიცით, რისთვის? რაზე?
აღბათ არვინ შეუყვარდა
ამ ნაღიმზე, ამ სუფრაზე.

იმავე ქალაქში მოწაფეთა მიერ გამართულ საღამო-ბალზე, სადაც მიღებული იყო ხოლმე ფოსტა, როგორც გართობის ერთ-ერთი სახე, ორ გიმნაზიელ ქალს ბაბო წერეთელს და ნინო რევაზიშვილს მიუწერიათ წერილი პაოლოსათვის. პირველად გაუგზავნიათ ნაწყვეტი რუსულად ბოდლერის ლექსიდან – „მოგზაურობა“. მიიღო თუ არა ლექსი, პოეტმა, გაგზავნილი წერილის მეორე გვერდზე წააწერა პასუხი:

Тебе моя любовь и вера,
О, сердце пламенем горит!
Ты мне прислала стих Бодлера
И это все мне говорит...

ამის შემდეგ გაუგზავნიათ ბესიკის ლექსი:

იაგუნდი მოცინარობს. მარგალიტი მიახეთო.
სათის ცბიდან ისარს ისვრის. ვის გაუვლის ახლოს გულთო.

და პოეტს იქვე უპასუხნია:

ასული. აღზრდილო ბესიკის ბაღში.
რა გვინდა მცვრიან. მძიმე ოთახში.
წავიდეთ. მოვძებნოთ ჩვენც მწვანე ბაღები.
იქ შენი სინაზით მე დავიდაღები;
იქ ერთად გვიყვარდეს ბესიკის შაირი.
მუდამ მოთამაშე. მუდამ სხვანაირი.

ლექსების პატარა წიგნების – „კაერთოთავასა“ და „დრუმოს“ ავტორს გ. საგანელს, პაოლო იაშვილმა შემდეგი სტრიქონები წაუწერა გასამხნევებლად:

ლექსის წერა შეგაყვარეს,
პოეზია გაფიცეს,
ღედას ვფიცავ, თუ არ კობღე
გაღაკციონ ცაბიძეს.

1929 წელს საქართველოს მეორედ ესტუმრა რუსი მწერალი ანდრეი ბელი. მას უყვარდა და დიდ პატივს სცემდა ქართველ მწერლებს. ამავე წლის 5 ივლისს ტიციანისა და ნინო ტაბიძის ოჯახში ვახშამი გაიმართა სტუმრის პატივსაცემად. ვახშამს სხვა ქართველ მწერლებთან ერთად მიხეილ ჯავახიშვილიც ესწრებოდა. ღამე კოკისპირული წვიმა წამოვიდა. ცუდი ამინდის მიუხედავად, მიხეილს შინ ეჩქარებოდა. იგი ელოდა მეუღლის მოლოგინებას და უთუოდ ვაჟიშვილს. ტიციანი ღვინოს აძალებდა და არ უშვებდა, ბოლოს მიხეილმა ხუმრობით მასპინძელს მონმობა მოსთხოვა, რითაც გაიადვილებდა შინ დაბრუნებას, და აი, პაოლო იაშვილმა დაუწერა ლექსად.

მოწმობა

ეძღევა ესე მოწმობის ცალი
„ჯაყოს ხიზნების“ და „კვაჭის“ ავტორს.
რომ ის დავცოველთ ვახშამზე ძალით
და ტიციანი მას ძალით ათრობს;

რომ დავამშვიდოთ იმისი ცოლი,
რომელიც ქმარს და ვაჟიშვილს ელის.
აღბათ იქნება არსენას ცოლი
და ნიჭით მსგავსი ანდრეი ბელის.

ამ რამდენიმე ხნის წინათ კორნეი ჩუკოვსკი იგონებდა: პაოლო იაშვილი მე გავიცანი მწერლების პირველ ყრილობაზე. მან ყურადღებით გადაფურცლა ჩემი „Чукоккала“ და ჩემდა განსაცვ-

იფრებლად შიგ სისწრაფით წერდა ექსპრომტს ქართულად. მე შეწუხებული მივჩერებოდი ჩემთვის გაუგებარ სრტიქონებს. შემამჩნია რა ეს, იმ წამსვე თარგმნა ის რუსულად:

Какое чудное соседство
Здесь Белый, Блок и Пастернак,
Я рядом занимаю место,
Как очерованный простак.
Перевожу вам эти строчки
На несравненный русский лад –
Поэт моей любимой дочки,
А для меня–весь Ленинград.

პოეტი სიმონ ჩიქოვანი ხშირად იგონებდა პ. იაშვილის ექსპრომტებს. ერთი მეც ჩავიწერე. 1923 წელს თბილისში, პიტნავას რესტორანში, სადილობის დროს, პაოლოს ხელის შესახოც ქაღალდზე დაუწერია ექსპრომტი, რომელიც ს. ჩიქოვანის მაგიდაზე მსხდომ პოეტებისათვის გაუგზავნია. იმ დროს „ცისფერყანწელებსა“ და „ფუტურისტებს“ შორის დიდი ბრძოლები მიმდინარეობდა.

აი, ეს ლექსიც.

ექსპრომტი ს. ჩიქოვანს
(ქართველ ფუტურისტებს)

უწინ ღეკები. შმაგი ქისტები
თავზე ესხმოდნენ კახეთის მდელოს.
ღღეს კი ქაბუკი ფუტურისტები
ანაღგურებენ ძველ საქართველოს.

მაგრამ დგებიან ჩვენ წინ კითხვები,
საღ არის ბრძოლის თავი და ბოლო?
პასუხად გვესმის ბენოს სიტყვები,
პოეზიაა მიმიკა მხოლოდ.

ამიტომ არ ვგხურს ვწეროთ ღექსები
და ვეშურებით პიტნავას ღუქანს,
სჯობს მწვადი, ღვინო. მწიფე ნესვები
გიჟმაჯ პაოლოს. ციციანს მსუქანს.

არჩევანია სახელოვანი,
ჩვენ კი სიცოცხლეს კიღევ ვეცღებით
და მიხარია, რომ ჩიქოვანი
მე მანაღგურებს მანიფესტებით.



ანრი ბარბიუსი, პაოლო იაშვილი და სიღვან თოდრია, 1927 წ.

შეიძლება ამ მცირედითაც დავკმაყოფილდეთ. სამწუხაროდ რამდენიმე პოეტური თქმა და ექსპრომტი დაკარგულია, ზოგიც – მივიწყებული. პოეტს ბევრი ექსპრომტი და სიტყვა უთქვამს დღესასწაულებზე, იუბილეებზე და ბანკეტებზე, რომლებსაც ლიტერატურული მნიშვნელობა ჰქონდათ და არცერთი მისი იმპროვიზაცია ჩაწერილი არ არის თუ შემთხვევით გამონაკლისს არ მივაწერთ ერთ მის ბრწყინვალე ლექსს „მაგიდა – ჩემი პარნასი“.

შალვა დემეტრაძე

დაცულია სლმ შალვა დემეტრაძის არქივში № 25979-6

ლიტერატურული ს...

27 მაისი, 1921 წ.

უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ს. კ-ის პლენუმის ...

ამხანაგ ლ. პ. ბერიას მოხ...



სანამ არ მოკვდება მის ნაშრომს...

„მაგრამ ქართველ მწერლებსა და ხელოვნების მუშაკთა შორის არიან ცალკეული პირები, რომლებმაც უნდა გადასინჯონ თავისი კაეშირი ქართველი ხალხის მტრებთან – აღნიაშვილთან, ლომინაძესთან, ჯიქიასთან, ელიავასთან და სხვებთან, სერიოზულად დაუფიქრდნენ ამას და გამოიტანონ თავისთვის ყველა საჭირო დასკვნა...

მაგალითად, პაველ იაშვილმა, რომელიც უკვე 40-ზე მეტი წლისაა, დროა ჭკუა ისწავლოს.

სიკეთე არ მოჰყვება მის ნაყარდს ლომინაძიდან ჯიქიასაკენ, ჯიქიადან აღნიაშვილისკენ, ღოღობერიძიდან ლომინაძისკენ და, ბოლოს, ელიავას კლანჭებში.

ზედმეტი იქნება სერიოზულად ჩაუფიქრდნენ თავის მოქმედებას აგრეთვე გამსახურდია, ჯ. ცახიშვილი, მიწიშვილი, შევარდნაძე და კიდევ ზოგიერთები.

...ჩემ მიერ ჩამოთვლილ მწერლებმა უნდა იცოდნენ, რომ მათი შემდგომი მოქმედება, ის გარეშოგება, თუ რა სწრაფად გარდაიქმნებიან და დაშგმობენ ისინი თავის წარსულ საქმეებსა და კავშირ-ურთიერთობას, განსაზღვრაეს ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულებას მათდამი.

ხმები ადგილიდან: მართალია.“

ლ. ბერიას მოხსენებიდან 1937 წ. 15 მაისს.
საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში პარტიის X ყრილობაზე.



დრო ჭკუა ისწავლოს!

ზარები ოცდაათიანი წლებიდან

(ფრაგმენტი)

...ბუნებით აქტიური, უსაზღვროდ ენერგიული რაინდი, პროგრესული ბუნების კაცი პაოლო იაშვილი, „Язон аргонавтов двадцатого века поэтов Колхиды“, იმ წლების ქართული ინტელიგენციის ერთ-ერთი სული და გული იყო. ამ ინტელიგენციაზე განუწყვეტლად მზრუნველი, იგი თებერვლის საქართველოში ასრულებდა დაახლოებით იმ შუამავლის როლს, როგორსაც ოქტომბრის რუსეთში ხელისუფლებასა და ინტელიგენციას შორის მაქსიმ გორკი. პაოლო იაშვილი არამარტო „ცისფერყანწელთა“ მეთაური იყო, ბევრი უბრალო ქართველიც ჰყავდა კმაყოფილი, დაუზარებლად იცოდა სირბილი მთავრობისა და ქალაქის ხელმძღვანელთა კაბინეტში ადამიანთა დასახმარებლად.

არა მარტო ქართველებს ეხმარებოდა. თბილისი სავსე იყო იმ წლებში რუსეთიდან დაძრული ინტელიგენციით, მწერლებით, მსახიობებით, მხატვრებით, მუსიკოსებით. ეს მაშინ, როცა ნიკოლოზ ბერდიაევის ოდესღაც თქმული სიტყვით „Традиционная история русской интеллигенции кончена“ და ალექსანდრე ბლოკის სტრიქონებით: „Мы дети страшных лет России забыть не всилах ничего“. ყველა მათი პატრონები თბილისში იყვნენ პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, პავლე ინგოროყვა და გიორგი ლეონიძე (პავლე ინგოროყვა მაშინ ყველაზე ახლოს პოეტებთან იყო – „ძმავ ინგორუყო, პოეტო ადრე...“).

...ოციან, ოცდაათიან წლებში ქართულ პოეტურ სამყაროში გალაკტიონ ტაბიძის „ლურჯა ცხენებთან“, „მერისა“ და „მესაფლავესთან“, იოსებ გრიშაშვილის ლექსებთან ერთად ხმამაღლა გაისმოდა პაოლო იაშვილის „დედა, ინახულე შენ წმინდა ხახული, წადი ფეხშიშველი, ქალაქში დაკარგულ შვილისთვის ღამე გაათიე“; ან, „იქ, სადაც სდუმან პირამიდები, შენ მომინდები, შენი თვალები, შენი მკლავები, შენი სინაზე“; ან, „ამპარტავანი და ყოველთვის პირგაპარსული, ბუნებით შავი, ხელოვნურად გათეთრებული...“ ან კიდევ, „გამოვექეცი ევროპის ქაოსს, სისხლს, დანგრეულ რეიმსის ტაძარს, უზარმაზარ ტანკების ქშენას...“; „გახდა პარიზი უსიცოცხლო და უსიმღერო...“; „ვიგონებ მართლა ჟრუანტელით ლამანშის სრუტეს, იქ ჩალაგებულ ატლანტიკის ანთებულ გემებს...“

უცხოეთიდან, პარიზიდან დაბრუნებულმა პაოლო იაშვილმა, საქართველოში მოიტანა სრულიად ახალი პოეტური სიტყვა, ევროპული მხატვრული მეტყველების დიდი გამოცდილება და როდესაც დღეს ლაპარაკობენ „ცისფერყანწელთა“ დიდ როლზე ქართული ლექსის განახლების საქმეში, აქ პირველობა, რასაკვირველია, პაოლო იაშვილს ეკუთვნის და ის იყო პირველი ინიციატორიც და მეთაურიც ქუთაისში ახალგაზრდა ლიტერატორთა ჯგუფის შეკავშირებისა, რომელთაც თავის თავს, როგორც ეს ცნობილია, „ცისფერყანწელები“ უწოდეს. ეს იყო „დაბადებით მეთაური“ და ამ მეთაურობას ის კი არ ეძებდა, ეს მეთაურობა მასთან თავად მიდიოდა.

ამავე დროს იგი მართლაც წარმოუდგენელ შთაბეჭდილებას ახდენდა თავისი იმპოზანტური აღნაგობით, სილამაზით, თავისი განუმეორებელი სიცილით, ალერსით, ზრდილობით, ექსპრომტებით. მთელ ქალაქში დადიოდა ქიმერიონში პაოლო იაშვილის მიერ წარმოთქმული „უეცარი ლექსები“ და ამის გამო ქიმერიონსაც დიდი შემოსავალი ჰქონდა. მახსოვს იმდროინდელი სიმღერა: „იაშვილი ლექსებს ამბობს, მაჩაბელი (ილო მაჩაბელი, ქიმერიონის არენდატორი) ჩვენ ტყავს გვაძრობს, ქიმერიონმა დამლუპა“-ო (ახლა ეს ქიმერიონი, უპირატესად ლადო გუდიაშვილის სამყარო, რომლის შესასვლელშიც დახატული იყო პოეტი პაოლო იაშვილი ყანწებით ხელში, დახურვის შემდეგ დიდხანს მნახველთათვის დაფარული, როგორც საზოგადოებამ იცის, აღდგენილია თავისი ცნობილი კედლის მხატვრობით).



საქართველოს დეეგაციის მიღება ჯრმელში. პ. იაშვილის გამოსვლა

...დაუვიწყარი რამ იყო რიონჰესის გახსნის დღე ქუთაისში. დღეც და ღამეც; რომლის პოეტური სიტყვით გადმოცემაც თავის დროზე მე ვცადე ლექსში „ჭომა" – როცა ქუთაისის „გრანდოტელში" „მესამე განყოფილების" შემდეგ ვლადიმერ ჯიქიამ გამთენიისას პოეტები გაგვაქანა ჭომაში და „ალავიძის დუქნის კარებთან მიწას დააკვდა ავტომობილი". პაოლო იაშვილმა რიონჰესის მშენებლობისადმი მიძღვნილი „სამასი არგვეთელი" „შეკვეთით" და „მივლინებით" დაწერა. ერთიც და მეორეც თავის თავს თვითონვე დაავალა; როცა რიონჰესის მშენებლობას მუშა ხელი შემოაკლდა, იგი წავიდა თავისსავე სოფელ არგვეთში, იქ შეაგროვა და თავის საყვარელ მეგობარს მიჰგვარა 300 არგვეთელი ჭაბუკი, როგორც 300 არაგველი.

ქართული მწერლობაც გატაცებით ჩაერთო ეპოქის ამ დიდ საერთაშორისო საქმეში, თავისი „ინტერნაციონალური მოვალეობის" შესრულების საქმეში. ჩვენ პატარა პოეტური კრებულიც კი გამოვეცით, მიძღვნილი ესპანეთისადმი. ამ კრებულის გამოცემა, მახსოვს, პაოლო იაშვილმა ითავა. მეც დამიკვეთა მან ლექსი და მეც დაუყოვნებლივ შევასრულე დავალება ლექსით – „ესპანეთის მებრძოლთ".



პაოლო იაშვილი საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობის დელეგატთა შორის, მოსკოვი, 1934 წ.

...ჩვენი სტუმრების, განსაკუთრებით ბორის პასტერნაკის პირველივე თარგმანების მეოხებით რამდენიმე ქართველი პოეტი, უფრო მეტად პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი უკვე ასე თუ ისე ცნობილნი იყვნენ სსრკ მწერალთა 1934 წლის პირველი ყრილობის მონაწილეთათვის (ზოგ ქართველ მწერალს, პოეტს, მოსკოვის ლიტერატორთა გარკვეულ წრეში უფრო ადრეც იცნობდნენ, როგორც ვთქვით, ესენინის ცნობილი ლექსით „Поэтам Грузии", ანდრეი ბელის წიგნიდან „Ветер с Кавказа" და რუს მწერალთა სხვა ქმნილებებიდან). ხოლო პაოლო იაშვილი, არა მარტო ცნობილი, აქაც, ამ მრავალრიცხოვანი და მრავალეროვანი ფორუმის მონაწილეთათვის ერთ-ერთი თვალსაჩინო და პატივსაცემი კაციც გახდა მას შემდეგ, რაც იგი ტრიბუნაზე დადგა ისააკ ბაბელის, ანდრე მალროს გამოსვლათა შორის და ეს ულამაზესი და წარმოსადეგი ვაჟკაცი ქართული ზრდილობით და ევროპული თავაზიანობით, გოლიათის ხმით, ტაშის გრიალში მიესალმა ყრილობის უცხოელ სტუმრებს, რაც მანამადე არავის მოფიქრებია. მერე თავისი გულითადი ღიმილით განაცხადა – „Со дня сотворения мира не было случая, чтобы столько писателей радовались вместе". მიხაროდა მეც, ყრილობაზე ერთ ყველაზე ახალგაზრდათაგანს, 24 წლის მონაწილეს, რომელიც ამ ფორუმის დელეგატად საქართველოს მწერალთა შეკრებაზე სწორედ პაოლო იაშვილმა, სწორედ ამ ორატორმა დამასახელა. დელეგაციის თბილისში დაბრუნებისთანავე ჩვენმა ლიტერატურულმა გაზეთმა გამოაქვეყნა პაოლო იაშვილის კარიკატურა დიდი ყანწით ხელში; ქვემოდ წარწერა ლექსად ჩემი იყო: „სტუმრებს მიუძღვნა პაოლომ სიტყვა, ურითმო შაირი: მობრძანდით, ყანწით დალიეთ ჩვენი საბჭოთა ჰაერი"

ეს პაოლოს არ სწყენია, პირიქით.

...მეტისმეტად ხმაურობ შვილო, პაოლო, მეტისმეტად – ასე წინასწარ უგრძნო გულმა პაოლოს მამას – ჯიბო იაშვილს, სწორედ იმავე წლებში ამ ქვეყნიდან წასვლის წინ, მომავალი უბედურება, ხმაურის, მით უფრო ზედმეტად ხმაურის უფლება კი რესპუბლიკაში ეკუთვნის მხოლოდ ქვეყნის თავკაცს – ესეც ოცდაათიანი წლების საზოგადოების მორალური კატეგორიიდან.




მიხეილ ჯაფარიძე აჯილდოვებს პაოლო იაშვილს ლენინის ორდენით, მოსკოვი, 1936 წ.

პაოლო იაშვილის მრავალრიცხოვან ნათესავთაგან დღეს თბილისს მხოლოდ რამდენიმეღა შემორჩა. მისი უსაყვარლესი ერთადერთი ქალიშვილი მედეა, ქართული ენციკლოპედიის თანამშრომელი მისი დაარსების დღიდან. დისწული, ცნობილი ქართველი მეღვინე ვახტანგ მოდებაძე, ძმისშვილები – ნოდარ, ოთარ და ნათელა იაშვილები. არა ასეთი ახლობელი, მაგრამ მისი ნათესავი ვიყავი მეც, ანუ ჩემი ნათესავიც იყო იგი დედაჩემის – მოდებაძის ქალის მხრიდან, პაოლოს და პაშა გახლდათ ბიცოლა ჩემი, მეუღლე პლატონ მოდებაძისა.

პოეტის თვითმკვლელობის შემდეგ ყველა მისი ახლო ნათესავი იყო დევნილი, ხოლო მათ შორის ძმისწულმა ნოდარ იაშვილმა 15 წელი გაატარა შორეულ ჩრდილოეთში გადასახლებაში. ჩემი სტუდენტობის დროს, ოციანი წლების ბოლოს, ერთხანს ბიცოლაჩემის ბინაშიც კი ვცხოვრობდი, ყოფილ გუნიბის ქუჩაზე, სადაც უფრო მეტად პაოლოს უმცროს ძმასთან ტუპია (ივანე) იაშვილთან ვმეგობრობდი, ამ მშვენიერი ვაჟკაცის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე. პაოლო იაშვილს ამ ოჯახში იშვიათი შემთხვევის გარდა, მე მხოლოდ საზოგადოებრივ შეკრებებზე, საქართველოს მწერალთა კავშირში და სხდომების შემდეგ „მესამე განყოფილებებზე“ ვხვდებოდი, ან რომელიმე შემოქმედებით მივლინებაში.

...მე ახლაც ვფიქრობ ხოლმე, როგორ იცხოვრებდა, რითი იარსებებდა იგი, წინ რომ ღვთისმიცემული ცხოვრების დიდი გზა ჰქონოდა. პრაქტიკული ცხოვრებისთვის ის სრულიად მოუმზადებელი იყო. ახალგაზრდობაში დიდხანს „ჯიბოს ჯიბით“ ცხოვრობდა, როგორც თვითონ ხუმრობდა ხოლმე (გერონტი ქიქოძე იგონებს – „განებივრებული იყო შეძლებული მამის მიერო“). თუმცა, ბევრი პოეტი მაშინ ასევე თავისი „ჯიბოების ჯიბეებით“ ცხოვრობდა, ან სადმე დაწესებულებაში ისხდნენ პატარა თანამდებობებზე (ტიციან ტაბიძე, მაგალითად, ყაზბეგის მუზეუმის დირექტორად ითვლებოდა თბილისიდან). დიდი თანამდებობისა და კარიერიზმის ავადმყოფობა 30-იანი წლებიდან შემოვიდა, „ნეპის“ გაუქმების შემდეგ.



პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, აღიო მაჭაშვილი, გიორგი ლეონიძე, იაკინთე ღლონტი, ნიკოლო მიწიშვილი. 1936 წ.

თუ ძველად მისივე „ცისფერყანწელი" მეგობრები, ახლა პაოლო იაშვილს უკვე მოძმე ხალხების პოეტები უძღვნიან ლექსებს და ისიც ასევე გულუხვად პასუხობს მათ, მათ შორის შესანიშნავ უკრაინელ პოეტს მიკოლა ბაჟანს. მონაწილეობს ქართული ლიტერატურის დღეებში ლენინგრადში, მინსკში, ბაქოში...

კიდევ უფრო აღზევდა მისი სახელი, რაც 1936 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 15 წლისთავზე რესპუბლიკის თავკაცმა იგი შეიყვანა ქართველი ხალხის წარმომადგენელთა დელეგაციაში, მოსკოვში სტალინთან წარსადგენად, საიდანაც იგი „შრომის წითელი დროშის ორდენით" დაბრუნდა (სხვათა შორის, დელეგაციაში არ იყო გალაკტიონ ტაბიძე, იგი ისე დააჯილდოვეს მაშინ ლენინის ორდენით).

იაშვილი სტალინს მეტად მოსწონებოდა; ადვილი წარმოსადგენია, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა თავის სტიქიაში იგი იმ შეხვედრაზე. სტალინმა გადაარქვა მაშინ სახელები ნატა ვაჩნაძეს და პაოლო იაშვილს და ქართულად უწოდა მათ ნატო და პავლე. არსებობს იმ შეხვედრის ჯგუფური ფოტოსურათიც პაოლოს დისწულის ვახტანგ მოდებაძის არქივში.

თითქოს ყველაფერი ბრწყინვალედ იყო.

შორს კი, შორს იძროდნენ შავი ღრუბლები, რომელთა მოახლოებამდე ერთი წელიც კი აღარ რჩებოდა.

„მეტისმეტად ხმაურობ შვილო, მეტისმეტად..."

...შეიქმნა შესაძლებლობა, რომ საჭიროების შემთხვევაში, თუ ისურვებდნენ, ნესტორ ლაკობას მსგავსად, იაშვილსაც და ახმეტელსაც (მით უფრო, რომ ისინი ერთმანეთის უახლოესი მეგობრებიც იყვნენ) შეეძლოთ უშუალოდ სტალინთან დაკავშირება საქართველოს თავკაცის გვერდის ავლით. აქ კი, აბა, შენ ვინღა ხარ, საქართველოს თავკაცო?

...თბილისში ინტელიგენციის წრეებში გახშირდა მითქმა-მოთქმა იმის თაობაზეც, რომ ბოლო დროს უკიდურესად გართულდა ურთიერთობა ორი კომუნისტის, რესპუბლიკის თავკაცსა და




ვლადიმერ ჯიქიას შორის. ისედაც დაძაბულ ძველ ურთიერთობას ახლა ზედ დაერთო ზოგიერთი სხვა მეტად პირადული მომენტიც. ამ გართულებას, რასაკვირველია, კარგი არაფერი მოჰქონდა არა მარტო ჯიქიასთვის, არამედ მისი ახლობელი ადამიანებისთვის და მათ შორის პირველ რიგში პაოლო იაშვილისა და ტიციან ტაბიძისათვის. როცა მით უფრო რესპუბლიკის თავკაცის ყურამდე მიაღწია პაოლო იაშვილის რუსულად თქმულმა პატარა ექსპრომტმაც „Была страна Иберия“ (რაც გადმოსცემდა რესპუბლიკის ახალი ხელმძღვანელის ზღვარგადასულ ამორალურ, ამურულ ცხოვრებას და რაზეც ბევრს ლაპარაკობდნენ მაშინდელ თბილისში. მე ჩემს ამ მოგონებაში ამაზე საუბარს გვერდს ავუვლი – იქნებ ბევრი რამ აქ ჭორის დონეზეც იყო), ისევე, როგორც სტალინის ყურამდე მიაღწია მანდელშტამის გამქიქებელმა ლექსმა. ქვეყნის თავკაცი, მას შემდეგ, რაც მან პაოლო იაშვილი მოსკოვში ქართული დელეგაციის შემადგენლობაში წაიყვანა, მას თავის კაცად თვლიდა, იაშვილი კი, აგერ, ისევ ძველი მეგობრების, ჯიქიას, ელიავას, უკვე ხალხის მტრად გამოცხადებული ვინმე ძველი კომუნისტის აღნიაშვილის ერთგული მეგობარი დარჩა (ჯიქიას იაშვილი მოსკოვშიც კი ჰყავდა წარგზავნილი რიონჰესის წარმომადგენლად თვეების მანძილზე).

შორეული შავი ღრუბელი სულ უფრო და უფრო ახლო მოიწევს პაოლო იაშვილის კუთვნილ ცის ნაჭერზე.

...თუმცა ყველა ფიქრობდა, რომ საშიშროება უფრო მეტად სხვა მწერლებს, მათ შორის, ვთქვათ, კონსტანტინე გამსახურდიას მოელოდა და ვის ეგონა, რომ ეს საშიშროება პირველ ყოვლისა პაოლო იაშვილს და მიხეილ ჯავახიშვილს მიადგებოდა კარზე.

...იმ ტრაგიკული წლის მაისის თვეში რესპუბლიკის ხელმძღვანელმა უმაღლეს ტრიბუნაზე თქვა – დროა გონს მოეგოს უკვე ორმოც წელს გადაცილებული პოეტი პაოლო იაშვილიო.

ჩანს, პოეტის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო და საქმეს ვეღარაფერს შველიდა პოეტის გამოსვლა (სხვა ქართველ ცნობილ მწერლებთან ერთად) მიტინგზე იმ ტრაგიკული წლის დასაწყისში, როცა ჯიქიაც, ელიავაც უკვე რეპრესირებულნი იყვნენ (იხ. ჟურნალი „მნათობი“, 1937 წლის №1-2). ვერც მისი ლექსი „ანდრე ჟიდს – მოღალატეს“, ფრანგი მწერლის, ანტიკომუნისტის, ანდრე ჟიდის წინააღმდეგ (კომუნიზმი და ანტიკომუნიზმი აქ უკვე აღარაფერ შუაში იყო).



ანდრე ჟიდი (ცენტრში) და პაოლო იაშვილი, 1936 წ.

ანდრე ჟიდი სწორედ ერთი წლით ადრე 1936 წლის ივლისში ჩამოვიდა საქართველოში. ეს მაშინ თბილისში სენსაცია გალხდათ; უცხოელი კაცი მაშინ ჩვენში საერთოდ უცხო ხილი იყო და უცებ ანდრე ჟიდი – უგამოჩენილესი წარმომადგენელი დასავლეთის სამყაროს მხატვრული სიტყვისა. რასაკვირველია, მისი მასპინძლობა და გიდობა პაოლო იაშვილს და ტიციან ტაბიძეს დაევალა თვითონ მთავრობის მიერ და მათაც მთელი საქართველო მოატარეს სასურველ უცხოელ სტუმარს; ამ მოგზაურობაზე მაშინ, მახსოვს, ბევრს ლაპარაკობდნენ თბილისში, მათ შორის ზოგ კომიკურ შემთხვევაზეც. მაგალითად, საუბრობდნენ თუ როგორ გაოცებულა უცხოელი სტუმარი თელავის სასტუმროში, როცა საწოლში ღამით რაღაც წითელმა მწერებმა დილამდე არ დააძინეს, დილით კი რამდენიმე ეგზემპლარი ქაღალდში შეუხვევია საფრანგეთში წასაღებად, იქ უნდა შეისწავლოთო.

ანდრე ჟიდს ამ თავის მოგზაურობაზე მალე პარიზში გამოუქვეყნებია დღიურები, სადაც საქართველოზე ბევრი რამ თავისი კრიტიკული შენიშვნაც უთქვამს: ეს წიგნი ჩვენამდე არ მოღწეულა და მასზე აქ ვერაფერს ვიტყვი. ვიტყვი მხოლოდ, რომ საქართველოს სტუმრის მიერ ჩვენი ქვეყნის ნაკლისა და „ჩრდილოვანი მხარეების" დანახვისათვის გაკიცხეს მისი მასპინძლები, გიდები პაოლო იაშვილი და განსაკუთრებით ტიციან ტაბიძე, რომელიც ჟიდს თავის დღიურებში მოწმედ დაუსახელებია. ერთი წლის შემდეგ კი მათ ეს მოწმეობა კიდევ უფრო საბედისწეროდ შემოუბრუნდათ.

...ხმამაღალი ლაპარაკიც კი აღარ ისმოდა საქართველოს მწერალთა სასახლესა და ეზოში; იყო საიდუმლოებით მოცული ჩურჩული. ახლა ჩურჩულებდნენ უფრო ნიკო ლორთქიფანიძეზე, რომელიც იმ წინა დღეს ბათუმში სასამართლო პროცესზე თავის მეგობრად და თანამებრძოლად დაესახელებინა ბრალდებულ გრიგოლ ლაღიძეს, მენშევიკების დროინდელ ქართველ მოღვაწეს. ნიკო ლორთქიფანიძეც იქვე უსიტყვოდ იდგა. პაოლო იაშვილი შუადღისას მოვიდა მწერალთა კავშირში. ხელში გაზეთებში შეხვეული თავისი დაშლილი თოფი ეჭირა, მისი ცნობილი ძვირფასი „ლებო" (ერთ დღეს რომ კინალამ სერგეი ესენინს აჩუქა, ის რომ თავმდაბლად არ შეჰპირებოდა, მოსკოვში



მაჩაბლის ქ. N°13, მწერალთა კავშირის ეზო

დაბრუნებისთანავე სწორედ ასეთ თოფს ვიყიდიო) – გასაყიდად წამოვიღე, მაგრამ მონადირეთა კავშირში კაპიკები მაძლიესო. მწერალთა კავშირის ბუფეტის გამგეს, რიფსიმეს, ვალი 7 მანეთი გადაუხადა და წავიდა. არავის მიუქცევია ყურადღება, რომ წასვლისას მას თოფი ხელში უკვე აღარ ეჭირა, სადღაც დატოვა და მწერალთა სასახლიდან იგი უკან უთოფოდ გაბრუნდა.

ამ საიდუმლო ჩურჩულში გაისმოდა სახელი პაოლო იაშვილისაც, რომელიც როგორც ყველამ იცოდა, იმ დღეებში არაერთხელ იყო გამოძახებული უმაღლეს დაწესებულებებში და იქიდან ყოველთვის უსაზღვროდ აღელვებული ბრუნდებოდა. არავინ იცოდა, რაზე იყო იქ საუბარი რეს-პუბლიკის ხელმძღვანელთან; საუბარი კი, როგორც ჩანდა, იყო უკიდურესად მკაცრი და კატეგო-რიული; ასე იკითხება ეს პაოლო იაშვილის უკანასკნელ, თვითმკვლელობის წინა დღით ცოლისა და შვილისადმი დატოვებულ წერილებშიც. უკვე ყველა გრძნობდა, რომ ვლადიმერ ჯიქიას და გიორგი ელიავას შემდეგ ჯერი პაოლო იაშვილზეც მოდგა, მაგრამ არავის მისი დახმარება არ შეე-ძლო და ამას, როგორც ზემოთ ვთქვით, ვერც ვერავინ მოინადინებდა. იგი ახლა მხოლოდ ბედის ანაბარა რჩებოდა ამ უსაზღვრო ცის ქვეშეთში.

...იმ საღამოს მწერალთა კავშირისკენ კრებაზე მიმავალს იგი თავისუფლების მოედანზე, კიროვის ქუჩის მოსახვევში შემხვდა, თავისი საყვარელი თეთრი „ტოლსტოვკით“ და „რაგოჟის“ ტუფლებით. მე იქით, ის აქეთ; შევჩერდით, ერთმანეთს მივესალმეთ – ცოტა რუსთაველზე გავლა მინდოდა მომესწროო, მითხრა (მე მაშინ მეგონა, კრების დაწყებამდე მოსწრებაზე მეუბნებოდა), შემობრუნდა და წამოვიდა. სახე უსაზღვროდ ჰქონდა შეცვლილი; არ გამკვირვებია. რაც მას იმ დღეებში მღელვარება შეხვდა. ისიც ვიცოდი, რომ იგი იმ წინა დღითაც იყო „გამოძახებული“. მერე უცებ მკლავში ხელი ჩამჭიდა და თავისი ბოხი ხმით მოულოდნელად მკითხა – გეშინია ჩემს გვერდით სიარულიო? მე გაკვირვებით შევხედე – არა, კი არ გეწყინოს, მაგრამ გუშინ ბაბოსთან რომ მიდიოდი, მე ფანჯარაზე ვიყავი გადმომდგარი, შენ არ მომესალმეო (პაოლოს გვერდით, ჯა-ფარიძის ქუჩაზე ჩემი და, ბაბო ცხოვრობდა, პაოლო №7, ბაბო №5 სახლში. მე უცოლშვილო კაცი ჩემს დასთან ხშირად ვსადილობდი). – პაოლო, გუშინ მე ბაბოსთან საერთოდ არ ვყოფილვარ, რას



ამბობ, რა შიშზე მეუბნები, აგერ ხომ გვერდით მოგყვები-მეთქი. – არა, მე ყველას დავუმტკიცებ, რომ ვაჟკაცი ვარო; ყველას დავუმტკიცებ... იმათაც, იმათაც... და მე მაშინ კარგად ვერ მივხვდი – ვის „იმათაც“, რესპუბლიკის თავკაცებს, რომლებსაც იგი იმ დღეებში იძულებით ხშირად ხვდებოდა, თუ უკვე რეპრესირებულ, უკვე დაღუპულ მის უახლოეს მეგობრებს – იგი თითქმის ძაგძაგებდა და არეულად ლაპარაკობდა, ამიტომაც ჩვენი საუბარი გზადაგზა ვერაფრით ვერ გაეგება, მეც ერთსა და იმავე ფრაზას ვიმეორებდი – პაოლო, შენს ვაჟკაცობას კიდევ მეტი მტკიცება რაღად უნდა-მეთქი. – არა, მე დავუმტკიცებ ყველას და „იმათაცო“... მერე გზად სხვა მწერლებიც შემოგვხვდნენ.

ჩვენ ერთად წავედით იმ საბედისწერო სხდომაზე.

მწერალთა კავშირში კრებაზე ცოტა დაგვიანებით მივედით. სხდომის დარბაზი მაინც და მაინც გადატენილი არ იყო. კრებას მხოლოდ მწერლები ესწრებოდნენ. იხილებოდა პოლიტიკური „სიფხიზლის“ საკითხი. სამარისებური სიჩუმით უსმენდნენ მწერლები ხელისუფლების წარმომადგენელს ტრიბუნაზე.

ერთხანს დარბაზში ნერვიულად იჯდა, მერე დარბაზიდან გავიდა. კრებაც დიდი ხნის დაწყებული არ იყო, რომ ამ სამარისებურ სიჩუმეში გაისმა ის ჯოჯოხეთური ქუხილი. ისეთი სიძლიერისა, როგორიც შემდეგ მე დიდ მსოფლიო ომში საჰაერო დაბომბვის დროს მსმენია ხოლმე, და რომლებიც მე თავის მხრივ იქ, ომში, ყოველთვის ამ გასროლას მაგონებდნენ. ეს იყო გასროლა მისი საამაყო „ლებოს“ ორივე ლულიდან, ჩვენი სასახლის მეორე სართულზე, იმ მისი საყვარელი თოფისა, რომელმაც, სამწუხაროდ, ახლაც ისევე როგორც ყოველთვის, არ უღალატა.

ყველანი თავგზააბნეული წამოვცვივდით, რა მოხდა? ვინ საით, ვინ საით. აფეთქება? მაგრამ სად? რისი? კედლებიც და ყველაფერიც თავის ადგილზეა. მაშ სად? და ამ დროს მეორე სართულიდან კიბეებზე ჩამორბის დამლაგებელი ქალი ანა, წივილ-კივილით – იაშვილი, იაშვილი!

სულ ხუთიოდე წუთში გაჩნდნენ ადმინისტრაციული დანესებულების წარმომადგენლები და სასახლის კარებიც დაიკეტა. ისევ სამარისებური სიჩუმე; ახლა უფრო მეტი. ახლა უფრო სამარისებური. მხოლოდ ერთხელ გაისმა მიხეილ ჯავახიშვილის დაგუბული ხმა:

– ნამდვილად ვაჟკაცი ყოფილა, გეთაყვათ! და მე მხოლოდ ახლა მოვედი აზრზე: რას ნიშნავდა მისი სიტყვები ნახევარი, სულ ნახევარი საათის წინ:

– მე დავუმტკიცებ ყველას, რომ ვაჟკაცი ვარო!

„შენ. შენ დაეცი იმ წეღს
როცა საქართველოზე
კაენის სურის აღზევებამ გაღისრიალა

ეს სტრიქონები ეკუთვნის იმ, ჯერ კიდევ მაშინ ახალგაზრდა კაცს, რომელიც, როგორც 1989 წლის აგვისტოს „სახალხო განათლებაში“ პედაგოგი თენგიზ მდივანი ერთ თავის მოგონებაში წერს: „იქვე კუთხეში იდგა და გულამოსკვნით ქვითინებდა“... და რომელიც ამ ქვითინმა თეიმონაც კინალამ განსაცდელში ჩააგდო, რომ არა მისი უახლოესი მეგობრები, მისი კეთილი „ცრუ მოწმეები“, პოეტი სიმონ ჩიქოვანი და ჟურნალისტი გიგლა მებუკე, და რომელიც, ალბათ, ბედისგან საბოლოოდ განწირული და მაშინ, მაინც და მაინც ანგარიშში ჩასაგდები კაცი არ იყო.

მაგრამ მე ჩემს მკითხველს ახლა კიდევ უფრო მძიმე სტრიქონები უნდა შევთავაზო: პაოლო იაშვილის უკანასკნელი წერილები ცოლ-შვილისადმი, დაწერილი იმ ტრაგიკული დღის წინა ღამეს, 22 ივლისს. ისინი პირველად დღეს იკვლევენ გზას მკითხველთა გულებისაკენ.

„ჩემო საყვარელო მედიკო!

ჩემო შვილო, ჩემო კარგო მამიკო, ჩემო სიხარულო და ბედნიერებავ! მედეა!

მაპატიე, გემუდარები, მაპატიე ეს უდიდესი დანაშაული შენს წინაშე, მთელი ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წინაშე. მთელი ღამე არ მიძინია, დაგჩერებოდი შენ მძინარეს, მაგრამ თავის მოკვლა უკვე გადაწყვეტილი მქონდა, და ვერც შენ გადამარჩინე.

არავის დააბრალო ჩემი სიკვდილი. გაიზრდები, დაუფქირდები ჩემს ბედს და დარწმუნდები, რომ ჩემი სიკვდილი სჯობდა, შენ უფრო უბედური იქნებოდი, რომ მე დღეს თავი არ მომეკლა. გიყვარდეს დედა და ყველა ჩემი ახლობლები, ისინი არ დაგტოვებენ არცერთი წუთით, და რამოდენიმედ მაინც გაგიადვილებენ ობლობას.

მეტის წერა აღარ შემიძლია.

მშვიდობით მამიკო. მედეა, მედეა, მშვიდობით.

ისწავლე, იშრომე, ყოველთვის მართალი სთქვი, ეცადე სასახელო ქალი გამოხვიდე, გიყვარდეს სამშობლო, მუდამ გახსოვდეს შენი ახლობლები და შენი მამა.

შენი უსაზღვროდ მოყვარული მამა

22. VII. 37

Дорогая, любимая Тамара,

Прощай. Перед смертью чувствую особую любовь к тебе. Рад твоим успехам в институте и уверен, что ты будешь полезным человеком для нашего общества. Береги здоровье, лечись. О Медее нечего тебе писать, я убежден что ты из нее сделаешь настоящего человека.

Причина моей смерти невозможность соединить имя поэта, с теми оскорблениями, которые мне нанесли люди, с которыми я дружил и которые действительно (я в этом плане убежден) оказались врагами грузинского народа.

Тебе будет очень трудно, но мужайся, я убежден, тебе помогут воспитать нашу дорогую и горячо любимую дочь, наше счастье и радость Медею.

Когда выйдешь замуж, старайся чтобы Медея неохладела к моим родным и близким.

Прости меня мои ошибки.

Я тебе все прощаю.

Целую крепко, крепко,

Твой искренный друг

П. Яшвили

Тбилиси, 22.VII.1937

Умираю с каким то светлым чувством, и поэтому верю, что ты и Медея перенесете горе. Ты кое-что заметила, но я тебя смог успокоить. Береги себя и Медею. Дружи с Пашей и моими братьями. Привет Н. Мих. и Георию Ильичу."

Паоло



პაოლო იაშვილის მეუღლე,
თამარ ოქრომჭედლიშვილი-სერებრიაკოვა



პაოლო იაშვილის ქალიშვილი,
მედეა იაშვილი

ამ წერილების წაკითხვის შემდეგ მკითხველს მეტად გაუჭირდება კვლავაც გაჰყვეს ჩემს მოგონებებს. მეც აქ დავამთავრებ... და დავამთავრებ იმით, რითაც დავიწყე წერილი პაოლო იაშვილზე. ოდესღაც, ჯერ კიდევ იმ ორმოცდაათიან წლებში, უდროოდ დაღუპული სამი ქართველი მწერლის რეაბილიტაციის დროს – „პაოლო იაშვილი, თითქოს რაღაც მოუცლელობის გამო, ჯერ კიდევ არ უშვებდა თავის ჭეშმარიტად ძლიერ ენერგიას მაღალი ძაბვის ხაზებში, ან მხედრის ენაზე რომ ვთქვათ, ცხენს სადავეს არ აძლევდა, თავს უჭერდა, თუ ხანდახან მიუშვებდა, ისიც საჩვენებლად, სალაღობოდ, მაყურებელთა საცქერლად და გასაკვირვებლად; მაშინვე კი იქვე ყალყზე შეაყენებდა – შემდეგაც მოვესწრებითო! თავდავიწყებულ პოეტურ მარტვილობას ერიდებოდა, ყოველდღიური ცხოვრება არ ეთმობოდა... პაოლო იაშვილის ლექსი საბადოდან ნიმუშად წამოღებულ ძვირფასი მადნის ნატეხს ჰგავდა, ან მარნიდან საჭაშნიკოდ მოტანილ ღვინოს“...

დაბის ქალაქში ბევრის მსგავსი ჩემი სხეული
და ხალხი ამბობს: „ეს კაცია დექსის მწერალი
მაგრამ ვინ იცის, რა ცეცხლშია გამოხვეული
ეს ჩემი ტვინი დასაქცევი, ტვინი ვერანი.

და ეს (ალბათ კოშმარულ სიზმარში ნახული) სტრიქონები აღმოხდა მას წინასწარ, ზუსტად ათი წლით ადრე, 1927 წელს.

ირაკლი აბაშიძე

ჟურნ. „მნათობი“, 1992 წ. №1

ჩანაწერები პაოლო იაშვილზე

(შემოკლებით)

ერთხელ სთქვა, როდესაც ჩემი პირველი ლექსები დაიბეჭდა: სიმონ ჩიქოვანს ყველაფერი აქვს როგორც პოეტს, შესანიშნავი სახეები და მხატვრობა, მხოლოდ რიტმის გრძნობა აკლია და ჯერ ვერ მიუკვლევია. მეორე, როდესაც მწერალთა სასახლეში „თეიმურაზ პირველის" პირველი ნაწილი წავიკითხე (პოეზიის სექციის სხდომაზე დაუბეჭდავი ლექსების კითხვა იყო, თავად საბავშო ლექსები „ნიტა კაპიტანი" და სხვა წაიკითხა) გადამეხვია და გადამკოცნა – შესანიშნავია, მაგრამ ამას არ დაგიბეჭდავენო. რატომ, მე ვუთხარი, ხანდახან ამოჩემებაც იცოდა, წყინდა. მოსკოვში ქართული პოეზიის საღამოები რომ იყო ძლიერ მებრძოდა. მაგრამ მერმე ისევ მირიგდებოდა. როდესაც ამუშავებდნენ, ბერიას გამოსვლაში ცუდად იყო მოხსენებული და ამის გამო ყველა დაესია, ვხედავდი ხარივით როგორ აბრიალებდა თვალებს და შემკრთალი იყო. ჩვენ ახალი წაჩხუბებული ვიყავით, ერთმანეთს ცივად ვხვდებოდით, მაგრამ იმ ღამეს საოცრად შევწუხდი და პაოლოს დასაცავად გამოვედი, რაც შეიძლებოდა, იმ პირობებში, შევუმსუბუქე დანაშაული, შევაქე ძლიერ და ვთქვი, რომ ძლიერი ტალანტის კაცია, ასე ნუ შეუჩნდებით და უფრო ამხანაგურად მოვეპყრათ მეთქი და სხვა. იგი თურმე არ მოელოდა ჩემს ასეთ გამოსვლას, ვალერიანს უთხრა, სიმონი ჩემი ძმა ყოფილაო. ვალერიანს საოცრად უყვარდა პაოლო და ძლიერ გახარებოდა – სიმონ, მადლობელი ვარო, მითხრა...

ვინ იყვნენ დარბაზში:

1. კონსტანტინე ლორთქიფანიძე
2. ნიკო ლორთქიფანიძე
3. გ. ბუხნიკაშვილი
4. ბესო ჟღენტი
5. დავით დემეტრაძე
6. ალ. ქუთათელი
7. ტიციან ტაბიძე
8. პ. საყვარელიძე
9. მიხ. ჯავახიშვილი
10. ვალერიან გაფრინდაშვილი
11. სერგო კლდიაშვილი
12. აკაკი ბელიაშვილი
13. ალ. [ ]
14. ალ. მაშაშვილი (?)
15. კარლო კალაძე
16. ალ. აბაშელი

მერმე მოვიდნენ: 17. ეული (გვიან მოვიდა)

18. ირაკლი (გვიან მოვიდა)
19. ირ. ქავჟარაძე




მწერალთა სახლის მეორე სართული
ადგილი, სადაც 1937 წ. 22 ივლისს პაოლო იაშვილმა სანადირო თოფით თავი მოიკლა

როდესაც დარბაზში პაოლო შემოვიდა, სხდომა უკვე დაწყებული იყო, აკაკი ბელიაშვილის წევრობის საკითხის განხილვა დაწყებული არ [იყო]. დარბაზში ჩამოთვლილი ხალხი იჯდა. შემოსვლით ვესტიბიულიდან შემოვიდა. კარებში ალ. ქუთათელი და კონსტანტინე ლორთქიფანიძე ისხდნენ. მე კი მარჯვნივ, შუა დარბაზში მეოთხე თუ მეხუთე რიგში ვიჯექი განაპირას, მეორე თუ მესამე სკამზე. როდესაც კარი გაიღო, მე შემოვბრუნდი და კარისაკენ გავიხედე. დილით პაოლო ორჯერ შემხვდა, ჩემი მეუღლის მამის, ნიკო ელიავას ამბავი მკითხა, ორჯერ, ძალიან ყურადღებით. მე არაფერი ვიცოდი, შემდეგ მე ამიხსნეს, პაოლოს საქმეები გამოკეთდა და იგი დღეს სოფელში მიემგზავრებაო. მე ყურადღება მივაქციე მის შემოსვლას დარბაზში. იგი ალ. ქუთათელთან დაჯდა. ერთი [ ] მასთან საუბრობდა, შემდეგ ადგა და წამოვიდა ჩემსკენ, ჩემს უკან სკამზე დაჯდა და საუბარი დამიწყო. ჯერ მკითხა ნიკოლოზ მიწიშვილის ამბავი ხომ არაფერი იცით, ამბობენ დახვრიტესო, მერმე მკითხა მარიკა ძალიან შეწუხებულიაო? მე ვუპასუხე ძალიან შეწუხებულიათქო. ნუთუ ნიკოს შესახებ ვერაფერი გაიგეთო. სუსანას არ შეუძლია რაიმე შეიტყოსო. მე ვუპასუხე ვინ რას ეტყვის, ახლა ვინ რას გაიგებს მეთქი. მე ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა ნიკოს შესახებ თითქო რაღაც იცოდა. მე ვკითხე, შენ ხომ არაფერი შეგიტყვიაო. არაო, მითხრა, რამე რომ ვიცოდე შენ გეტყოდიო. შემდეგ მე შევეკითხე (გახამებული უქამრო თეთრი ხალათი ეცვა) შენი საქმე გამოკეთებულა მეთქი, ხო, გამოირკვაო მითხრა. სოფელში არ წახვედი მეთქი, რა წამიყვანს ახლა სოფელშიო, თითქოს წყენით თქვა და მითხრა, პაპიროსი მომეციო. მაგრამ სანამ მე პაპიროსს ამოვიღებდი, მას ჯიბიდან თავად ამოელო და მოსწია. მითხრა, შენს მეუღლეს ჩემი გულითადი მოკითხვა გადაეცი და უთხარი, რომ მისი სევდა ჩემთვის გასაგებიაო. მე უცებ გამიკვირდა და გაკვირვებულმა შევხედე, მაგრამ მადლობა ვუთხარი. სიმონ მითხრა, შენ გულში წყენა გქონდა, მაგრამ იცოდე, რომ მე კეთილშობილი, პატიოსანი, ვაჟკაცი კაცი ვარ და ამას მალეც



დაგიმტკიცებო. მე კიდევ უფრო გამიკვირდა და გაკვირვებით შევხედე, ცოტათი დავიბენი კიდეც, არ ვიცოდი რა მეთქვა. პაოლო თან ლაპარაკობდა, თან... და ვერაფერი მოვახერხე, პაოლო გაგრძობდა, გეუბნები, რომ მალე დარწმუნდები ჩემს ვაჟკაცობაშიო, კიდევ განმეორებით დამაბარა ჩემს ცოლთან მოკითხვა და წამოდგა. მე ვუთხარი – მოიცადე, პაოლო, შენს მეზობელს მწერალთა კავშირიდან გარიცხვას უპირებენ და დავიცვათ მეთქი. ვინ ჩემ მეზობელსო, მკითხა. აკაკი ბელიაშვილს მეთქი. არ შემიძლია დარჩენაო, მითხრა, თუ მოვახერხე დავბრუნდებიო. მობრუნდა, წავიდა. მაგრამ არა იმ კარებში გავიდა, რომლიდანაც შემოვიდა, არამედ უკანა ბაღში გასასვლელი კარებისაკენ წავიდა. მე თვალი გავაყოლე და დავინახე როგორ გავიდა უკანა კარში, მაგრამ როგორ მობრუნდა მეორე სართულისაკენ არ შემიმჩნევია. კრება გაგრძელდა, ალბათ იმდენად უმნიშვნელო იყო რის შესახებაც დავით დემეტრაძე ლაპარაკობდა, რომ იგი უკვე მეორე დღესვე დავიწყებული მქონდა.

გავიდა ალბათ ხუთი თუ შვიდი წუთი და საშინელი ხმით დაიჭექა თოფმა, მაგრამ ის თოფის ხმას არ ჰგავდა, უფრო ყუმბარის გასკდომას ჰგავდა. უცებ, წამით საშინელი დუმილი ჩამოვარდა, ქუჩისკენ დარბაზის კარები ღია იყო და ვიღაცამ წამოიძახა მინა გასკდაო. ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა, თოფის გავარდნა, დუმილი და ჩემი გარეთ გავარდნა. რაღაც შემზარავმა ფიქრმა გამიელვა და როდესაც დარბაზიდან გამოსული ვიყავი ყველაფერი ნათლად წარმომიდგა. მე თითქო მივხვდი თუ რა მოხდა და ამ უჩვეულო ჩამოვარდნილ დუმილში გარეთ გავედი, კი არ გავედი, გარეთ გავვარდი. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ პაოლომ თავი მოიკლა, ე. ი. თვითმკვლელობა განიზრახა, მაგრამ დაიჭრა და არ მომკვდარა. ღმერთო შეგცოდე (ასე იტყვიან), მე არ მეგონა თუ იგი თავს გაიმეტებდა და ამიტომ ვიფიქრე, რომ იგი დაჭრილია, მაგრამ მკვდარი არ არის, თურმე საშინლად შემცდარი ვიყავი, ყველაფერი ეს ერთი თვალის დახამხამებაში მოხდა, ანი (ჩვენი დამლაგებელი ქალი) ჩამორბოდა კიბეზე და იძახდა, ვაიმე შვილო, ვაიმე შვილო, შე უბედურო! მივაძახე ანიჩკას, სულ მოკვდა? სულ მოკვდა შვილო, სულ მოკვდა, თავი გაპობილი აქვს და ტვინი დაქცეული. უკვე ამის მოსმენა ძნელი იყო, შევბრუნდი, რამდენიმე კაცი დარბაზიდან გამოსული იყო უკვე, მაგრამ უმრავლესობა ისევ დარბაზში იმყოფებოდა და თითქოს დარბაზიდან გამოსვლას ვერ ბედავდა. დარბაზში შევბრუნდი და პირველი ტიციან ტაბიძის თვალები შემომეგება, გაღებული და კითხვით სავსე. მე მივუახლოვდი ტაციანს და დაბალი ხმით ვუთხარი, პაოლომ სანადირო თოფით თავი მოიკლა თქო. ტიციანმა ერთი წამოიყვირა და ვაიმე პაოლო და იქვე ჩაჯდა, და ვაიმეს ძახილი განაგრძო უფრო დაბალი, მონოტონური [ხმით]. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა საკუთარმა ხმამ პირველი დაყვირებით შეაკრთო და ახლა დაბალი ხმით გლოვობსო თავის მეგობარს, თითქოს ერიდებოდა ამ დარბაზში შეკრებილი ხალხის და თავად მწერალთა შენობის. მეორე ოთახში, რომელსაც სალონს ეძახიან, დაბნეული, გონება დაკარგული იყო, იჯდა, საწერი მაგიდის ყუთებს აღებდა და ისევ ხურავდა. შესვლისთანავე მითხრა ვინმეს დაურეკეო, სიმონ. ვისთვის უნდა დამერეკა. მაგრამ უკვე დარეკილი იყო. შინსახკომი როდის გაჩნდა მე ვერ შევამჩნიე. ამ დროს მიხეილ ჯავახიშვილი შემოვიდა და დავით დემეტრაძეს მანქანა სთხოვა, გაწვიმდა და თეთრი კოსტიუმი დამისველდებაო. დავითი საშინლად გაბრაზდა და იყვირა – რა დროს კოსტიუმია, რა ხდება ვერ ხედავთო. მაგრამ დავითი ცდებოდა, მიხეილის დაბნეულობის შედეგი, თხოვნა – ეს იყო ერთგვარი დაბნეულობით გამოწვეული საუბარი. არავინ იცოდა რა ეთქვა. თავად დავითიც გაოგნებული [იყო] და პირში ენა ამორთმეული ჰქონდა. ჩვენმა საყვარელმა ნიკო ლორთქიფანიძემაც საკვირველი შეკითხვა მომცა, სიმონ, კრება გაგრძელდება თუ არაო. ნიკოს პაოლო საოცრად უყვარდა, ეს კარგად მაგონდება, ბევრჯელ ჰქონია ჩემთან პაოლოს შესახებ საუბარი, მაგრამ არც მწუხარების გამოხატვა შეიძლებოდა და არც ამ საკითხზე მსჯელობა. საიდანღაც გაჩნდა ირაკლი აბაშიძე, პაოლო მისი ნათესავიც იყო და ალბათ, საყვარელი პოეტიც, იგი ნეპელი იყო, მაგრამ პაოლო ძლიერ უყვარდა. მე არ ვიცი მან დაინახა თუ არა თავგაპობილი პაოლო, მაგრამ მე მაგონდება მისი დაწითლებული თვალები. რამდენიმე ამხანაგი აღშფოთდა, ირაკლის ნაცნობები, და საშინლად შეუტიეს. მე გავშორდი იქაურობას და გადავწყვიტე პაოლოსთვის დამეხედა. ეს ჩემთვის ძლიერ მძიმე გადასაწყვეტი იყო. მე ბავშობიდან მეშინოდა მიცვალებულის და არც [...] საყვარელი ბებიისთვის არ დამიხედია. მე საერთოდ მიცვალებული არასოდეს არ მინახავს, მაგრამ ეს შემთხვევა იმ წუთში ისტორიული მნიშვნელობის დღედ მივიჩნიე და გადავწყვიტე ზევით, ვეფხის ფიტულთან ჩაკეცილი პაოლო უშუალოდ მენახა და კიბის პირველ საფეხურებზე ავიწიე. ვიღაცამ საშინელი ღონიერი [...] მომიჭირა, და რაღაც მბრძანებლური [მოძრაობით] მომაბრუნა და დავინახე ჩემს წინ იდგა პოეტი ვალერიან გაფრინდაშვილი, პაოლოს უახლოესი მეგობარი და შეიძლება ითქვას ჩემი საყვარელი მეგობარი. მე ალბათ გაკვირვებით და წყენით შევხედე ვალერიან გაფრინდაშვილს, ხოლო ვალერიანმა ბრძანების კილოთი მითხრა რუსულად – Я тебе не пущу, ვალერიანს ენა საერთოდ ებორკებოდა და აღელვებულს, მითუმეტეს. მცირე სიჩუმის შემდეგ დაუმატა – Я тоже не пойду. Он в нашей памяти должен остаться каким мы его видели в жизни. მომკიდა ხელი და მწერალთა კავშირის ბაღში გამიყვანა. უკვე ივლისის



მწერალთა სახლის ინტერიერი. ასასვლელი კიბე მეორე სართულზე




მწერალთა სახლის ინტერიერი. პირველი სართული

ცხელი წვიმა ცრიდა და ჩვენ დავინამეთ ამ წვიმით. თითქოს დავცილდით, თითქო დავშორდით ყველას, ვიყავით ვალერიანი, მე და პაოლო იმ საღამოს ამ ქვეყანაზე. ბევრი ვიარეთ, მე გაღმა ვცხოვრობდი, ვალერიანმა [დამტოვეო], მაგრამ ვალერიანის მარტო დატოვება ქუჩაში შემეშინდა. და ისევ ამოვყევი [ ] იმელის შენობის პირდაპირ სადაც იგი ცხოვრობდა. შინ დავბრუნდი. ჩემი ცოლი და მისი მეგობარი ბარბარე ცქიტიშვილი შემეგებენ. მე უკვე არ შემეძლო მეტის მოთმენა და ჩუმად ავღრიალდი, სლუკუნი დავიწყე და გული ყელში მომებჯინა. როგორ წარმომედგინა პაოლოს სიკვდილი და ჩემს მახლობლად, ჩემგან ათი ნაბიჯის დაშორებით, როგორ დაიშალა ერთ წუთში ასე ლამაზად ანყობილი, მე მართალია არ დამინახავს უკვე სულს გაშორებული პაოლოს სხეული, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მქონდა თითქო დავხედე და ნათელი გონებით გატეხილი თავი ვიხილე და მისი კედელზე მიყრდნობილი ტანი ნათლად დავინახე.

სიმონ ჩიქოვანი

სლმ №272266-2, სიმონ ჩიქოვანის ავტოგრაფი
დაიბეჭდა „არილში“, 1995 წ.



საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის
გარიცხულ წევრთა სია
1938 წ. 9 აგვისტოსათვის

1. ჯავახიძეული, თბილელ სააბას-ძე, ოქტ. კ ს, 17 აგვ. 1937 წ.
2. ლინიშვილი, სიკოლოზ იოსების-ძე
3. იაშვილი, პაოლე ჯიბრაელის-ძე, კ 4, 28 ივლ. 1937 წ. –
4. ცაბაძე, ციცია იუსტინეს-ძე, კ 8, 8 სექტ. 1937 წ.
5. საყვარელიძე, პაოლე ილიების-ძე, კ 6, 8 სექტ. 1937წ.
6. ლეონტაძე, დავით გიორგის-ძე, 17 ოქტ., 1937წ.
7. ფუფუჩვა, ალექსანდრე იესეს-ძე კ. 10, 21 ოქტ. 1937წ.
8. კოტეტიშვილი ვახტანგ 1937წ. 28/XI
9. ბუშიშვილი, გიორგი ალექსის-ძე, კ 5, 17 1937წ.
10. წოლელიანი, ნოე /ქურციძე/ ოქტ. კ 4, 28 ივლ. 1937წ. – გარდაიცვალა
11. ბუაძიძე, ბესიკო ლიონელის-ძე, ოქტ. კ 2, 8 1937წ.
12. ცურტაველიძე, ალექსი გიორგის-ძე. 16 ოქტ. 1936წ.
13. ბიბილეიშვილი, ბაიათ ეფენდის-ძე, 1937წ.
14. გვასალია, ძმები ბესარიონის-ძე, 1936წ. 1/VII ლიკვიდირებულია
15. კალანდაძე, ნაჯიბ თოთაის-ძე, 1936წ.
16. შაქბენდერი, გიორგი ივანეს-ძე, ოქტ. კ 2, 3 ნოემბ. 1935წ.
17. ქიქოძე, პლატონ იოსების-ძე, ოქტ. კ 2, 3 ნოემბ. 1935 წ.
18. ფალავანდიშვილი ალექსანდრე. გარდაიცვალა
19. ბაანოვი, გიორგი დავითის-ძე 1938წ. 19/VIII
20. წულაძე /ფეტრე /ივანოსის-ძე/ /ივანოვიჩ/ 38 19/VIII
21. ღუნიაშვილი, ვალერიან 1938 28/IX
22. ლეონიძე, კარლო.
23. ჯაჯანაშვილი, ალ. 8.IX

ჟურნალის ამოყრილები.

24. ჩიაურელი დია /დავით ჩხეიძე/ 19 28/XI 37წ
25. ახალთახტი, ძაძია

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გარიცხულ წევრთა სია
1938 წ. 9 აგვისტოსთვის.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პაოლო იაშვილი კავშირიდან გარიცხეს
1937 წ. 28 ივლისს,
თვითმკვლელობიდან მეექვსე დღეს

ПРОТОКОЛ № 14

Бюро ЦК КП(б) Грузии

23 июля 19 47 г.

Индекс

О самоубийстве П.ЯШВИЛИ.

(т.Берия)

1. Констатировать, что самоубийство П.ЯШВИЛИ, разоблаченного как шпиона и врага народа, является провокационным выпадом против партии и Советской власти, а поэтому похоронить его как врага народа.

2. Поручить тов.БЕРИЯ проинформировать Президиум Союза Советских писателей Грузии о контрреволюционной шпионской и вредительской работе П.ЯШВИЛИ.

СЕКРЕТАРЬ ЦК КП(б)Гр.:

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ. სხდომის ოქმი №14.
პაოლო იაშვილის თვითმკვლელობა შეფასებულია, როგორც პროვოკაცია პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.
ციტატა ოქმიდან: "დასაფლავდეს, როგორც ბიჭების მტერი"



ამიერკავკასიის მწერალთა შეხვედრა. წინანდალი, 1929 წ.
მარცხნიდან პირველი რიგში: მე-5 სანდრო შანშიაშვილი, მე-11 ბესარიონ ჟღენტი;
მეორე რიგი: მე-5 გრიგოლ რობაქიძე, მე-8 შ. ელიავა;
მესამე რიგი: მე-5 შაღვა რადიანი, მე-10 ლეო ქიაჩელი, მე-12 ალექსანდრე აბაშელი,
მე-14 იაკინთო ღისაშვილი, მე-18 ჯარღო ჯაფაძე;
მეოთხე რიგი: მე-4 პლატონ კეშელავა, მე-5 იონა ვაკელი, მე-13 აღი არსენიშვილი,
მე-14 ჯოყაუ ნადირაძე, მე-15 ვალერიან გაფრინდაშვილი, მე-16 პაოლო იაშვილი,
მე-17 ტიციან ტაბიძე, მე-18 ბანო წულუკიძე

გიტა ფონ შტრახვიტცს.

(ფრაგმენტი შვეიცარიიდან ავსტრიაში გაგზავნილი წერილიდან. სავარაუდო პასუხია ავსტრიელი მეგობარი ქალის დაინტერესებაზე ნაცნობი მწერლების პიროვნულობის შესახებ. დათარიღებულია 1962 წლით).

„ილია ერენბურგი. ვიცნობდი პერსონალურად. როგორც ჟურნალისტი – ნიჭიერი, როგორც მწერალი – საშუალო, როგორც ადამიანი – არასაიმედო. ვიცნობდი აგრეთვე ოსიპ მანდელშტამს, იმასაც პირადად. სრულიად საწინააღმდეგო ერენბურგისგან – კეთილშობილი. როგორც ლირიკოსი – ძალიან ნიჭიერი. პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე – გამოჩენილი ლირიკოსები, ორივე რეჟიმის მსხვერპლნი, იყვნენ ჩემი ყველაზე ინტიმური მეგობრები. ჩემს რომანში „გრაალის თასი" პაოლო ოდილიანია, ტიციანი – ავალა"

ნ. ხოფერია, „სიყვარული მესამე ნაპირზე", თბილისი, 2008 წ.



გრ. რობაქიძის წერილიდან „სათავენი შემოქმედებისა“

„...ჩვენში გავრცელებულია აზრი: საქართველოში სიმბოლიზმი რუსეთიდან „შემოიტანესო“ და რუსეთში კი საფრანგეთიდანო. კეთილი და პატიოსანი. ანდრეი ბელი სიმბოლისტი იყო რუსეთში. აგერ მიდევს მისი რომანი: „პეტერბურგი“ მსგავსი ამ რომანისა არა თუ ფრანგულ სიმბოლისტურ ლიტერატურაში, მსოფლიო ლიტერატურაშიც არ მოიძებნება. ალექსანდრე ბლოკ სიმბოლისტად ითვლებოდა იმავე რუსეთში. მაგიდაზე მიდევს მისი პოემა „თორმეტი“ და შაირთა რეული „პრეკრასნაია დამა“. ეგებ ვინმემ მომინახოს ფრანგულ სიმბოლისტურ პოეზიაში მსგავსი რამ ამისა! ძებნა ამაოდ ჩაუვლის.

ეს რუსეთში. საქართველოში? ჩვენი ჟურნალის ამავე რეულში იბეჭდება შაირი პაოლო იაშვილისა „არგვეთის ღამეები“, შაირი ერთადერთი, რომელიც აღმოჩნდა ჩემს ქაღალდებში. ვინ მონახავს შაირს ამის მსგავსს რუსულ სიმბოლისტურ პოეზიაში? ვერავინ! შეიძლება ეს პაოლომ საფრანგეთიდან „შემოიტანა“ კონტრაბანდით? გადაფურცლეთ: ბოდლერი, რემბო, ვერლენი და სხვანი. თუ იხილავთ მათ შაირებში მსგავსი რაა, ნასახსაც პაოლოს შაირისა?! ერთ სტრიქონს, ერთ სახეს, ერთ ხვეულსაც ვერ მონახავთ. მეტს ვიტყვი კიდევ: მსოფლიო ლიტერატურაში მე არ მეგულება ერთი მგოსანიც კი, რომელსაც მთვარე არ აეხატოს. ამავე დროს არ მეგულება ერთი შაირიც კი მთვარისა, რომელსაც შეეძლოს პოეტური სახეობით გაეტოლოს პაოლოს შაირს. ეგებ ვინმემ მომიძებნოს ასეთი! ეს უკვე დაფასებაა და ეს კი სხვა საკითხია.

მაშ, რაშია საქმე? ჩვენში დღემდე ვერ განუსხვავებიათ „სიმბოლური“ „სიმბოლისტურიდან“ – სამწუხაროდ. პოეზია სიმბოლურია იმთავითვე: არასიმბოლური პოეზია ქვეყანაზე არ ყოფილა და არც იქნება [...]

ვაჟას პოეზია, როგორც ყოველი ნამდვილი პოეზია, „სიმბოლურია“, თუმცა, თითონ იგი „სიმბოლისტი“ არ ყოფილა. აქაა მოცემული სხვაობა სიმბოლურისა და სიმბოლისტურისა. როცა პოეზიაში სიმბოლო – ეს წყაროსთვალი შემოქმედებისა მიილევის, ამოშრეტის გზაზეა მიმდგარი რომელიმე ლიტერატურაში, მაშინ ვინმე მგზნებარე მგოსანი ცდილობს: „გააღვიძოს“ სიმბოლო, მისცეს მას სიცოცხლის ძალა, უკეთ: დაუბრუნოს მას იგი. „ცდილობს“ რასმე ნათქვამში თუ ნაწერში. „ცდა“ ყოველთვის „კურსივით“ გიხდება, ხაზგასმით. აი, ასეთი „ხაზგასმა' პოეზიაში მეთოდიურ გაყვანილი, ნიუანსს ავლებს „სიმბოლისტურს“, განსხვავებისათვის „სიმბოლურისაგან“, ამ შემთხვევაში, მოუძლურებისაგან და ამრიგად: ვითომ კიდეც „მოძველებულისაგან“. „სიახლე“ ძველს ყოველთვის ამ ფსიქოლოგიური მომენტით ეომება: თითქო უკანასკნელი სრულიად „არ ვარგოდეს“ ასე მოხდა საფრანგეთში, ასევე მოხდა რუსეთში, ასევეა საქართველოშიც. როცა ომი გათავდა, დააკვირდით ამას, „ახალის გამყვანნი“ მაინც და მაინც არ გამოდევნებიან „სიმბოლისტურობას“

მატიანესთვის: ქართველ სიმბოლისტთა ჯგუფი, „ცისფერ ყანწელებად“ ცნობილნი. თაოსანნი: პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, ჯგუფი აგებული, ვითარ „ორდერი“. ძმობა: პოეზიით წარმოშობილი, არა პირუკუ. უმაგალითო ამბავი მსოფლიო ლიტერატურაში – ქართველთ შეუძლიათ ამით კიდეც იამაყონ. ჯგუფმა გასძლო 20 წელი – ესეც გულისხმიერი ამბავი.

მე ვიყავ „ყანწელებთან“, როგორც მეგობარი უფროსი, დამხმარე და წამახალისებელი. ხაზს ვუსვამ: მხოლოდ. რისთვის? რათა აღვნიშნო, რომ ჩემს შემოქმედებაში გულვებულ „სიმბოლოსთან“

ერთად არის „მითოსიც“ გარდა ამისა, მე იმთავითვე ვიცოდი, რომ „ხაზგასმა“ ხელოვნებაში, რბილად რომ ვთქვათ, სახიფათო რამაა. აქ ერთი დეტალი მრავალმეტყველი. 1918 წელს გამოვაქვეყნე რუსულ ჟურნალში „APC“, ტფილისში, ვრცელი წერილი, სათაურით: „Грузинский модернизм“. დამავიწყდა ეგებ სახელდება „სიმბოლიზმი“ ან შემთხვევით არ ვიხმარე იგი? წარმოუდგენელია. „მოდერნიზმი“ განზრახ არის იქ ნახმარი, რათა ამ „ჩაწვეთებით“ მენიშნებინა, რომ „სიმბოლისტურს“ თან ახლავს საცდური დასაძლევი. ვფიქრობ, ბევრსაც დავეხმარე ამ „დაძლევაში“


წერილიდან „სხვადასხვა“

„...წინა რვეულში მოვათავსე შაირი პაოლო იაშვილისა „არგვეთის ღამეები“ მოვისმინოთ იგი ერთხელ კიდევ. დააკვირდით. მთვარიანი ღამე გასაოცარი ხელოვნებით არის აქ განფენილი. ხომ გინახავთ მთავრის შუქთა ტევრი, ხის ტოტებში ჩაფრქვეული? შაირში იგი შქერშია „გახირებული“ – იგი „თეთრ ხოხობად“ გეჩვენებათ. შემდეგ: ყველამ იცის, თუ როგორ უყეფს ძაღლი მთვარეს – ეს კოსმიური ამბავია. შაირში ძაღლი ღამეს ათევს ყეფაში – გზნებით: მთვარე ავსილია. ხანდახან ძაღლს მიეყვინთება, ხოლო მთვარე მას ძილშიაც არ ასვენებს – ისე ძლიერია მისი გავლენა. და აი, ჰბოდავს ძაღლი ძილში ხომ შეგიმჩნევიათ, თუ როგორ ამოიღმუილებს ხოლმე მიძინებული ძაღლი, თითქო სიზმარდამთხვეული! შემდეგ მთვარე „მთოვარეა“ – შაირში იგი შუქს ათოვებს ალვის ხეებს: ხედავთ მათ: მოცულთ „სირმიანი ნაბდებით“ იქვე მდინარეა – იქ კი ლივლივებენ შუქები, ვითარ „თეთრი ბატები“. მთელი არე თვლემს ბედნიერი – ვინ უნდა ეძებდეს ასეთ ბედნიერებას, თუ არა „უბადო“ ღამურა, რომელიც „ჰაერში დაფარფატობს უბედური“?! და ბოლოს განმცდელს ასეთი ღამისა სურვილი აღმოხდება: „ნეტა არვინ დაფანტოს ხმები იდუმალების“ – ისე ნეტარია უკანასკნელი. ხოლო ეს რაღაა: „ხმები“ და „იდუმალება“? ეს „სფეროთა მუსიკაა“. ხომ გსმენიათ იგი სწორედ იდუმალებაში? შაირში ეს მუსიკა „სალამურად“ ქცეულა. არ გესმით იგი?! აი, ეს ლირიული შედევრია. ხმა მომესმა: ეს შაირი „დეკადენტურად“ მიუჩნევიათ. ალბათ გასაოცარი ხატულობა, შაირში გადაყვანილი, „უხამსად“ მოეჩვენათ...“

წერილიდან „ისტორია ასე არ იწერება“

„...საზოგადოებას მაშინ რა „ეთეატრებოდა!“ ვიდექით თეატრის კრიზისის წინაშე. აქ საჭირო იყო მოგვენახა ისეთი რამ, რაც საზოგადოებას თეატრში მიიზიდავდა. აი, ასეთი რამის მონახვისთვის იყო გამართული „ის“ თათბირი. მახსოვს, ანთებული სიტყვა პაოლო იაშვილისა: „თავლა იყოს, ოღონდ თეატრი გვქონდეს!“ რა ძალას შეეძლო თეატრის გამოცხოველება? ამგვარ ძალად კოტე მარჯანიშვილი გვესახებოდა ყველას, მაგრამ როგორ შეხვდა კოტე ჩვენს გულის ნადებს? უნდა ითქვას: სიმართლე ჩემთვის ყველაფერია! იგი მეტია, ვიდრე ამ სიტყვის მთქმელი თვითონ, ბევრად მეტი და სიმართლე მავალებს, აღვნიშნო აქ ერთი ფაქტი. ხსენებულ თათბირს წინ უძღოდა თათბირი, ჩემ მიერ გამართული, თათბირი არა ფართო. მოვახსენეთ კოტეს სურვილი. იცით, რა თქვა კოტემ, რომელსაც თავისი თეტრი ჰქონდა ტფილისში, თეატრი რუსული? „ხელოვნება ინტერნაციონალურიაო!“ სახტად დავრჩით. გამოდიოდა: რუსული თეატრი იქნებოდა ტფილისში თუ ქართული, სულ ერთია, ხელოვნება იქნება!..

(ყოველ შემთხვევაში მარჯანიშვილის და ახმეტელის შეხლა-შემოხლაში იდეოლოგიურ მომენტს არ ჰქონია ადგილი.)



აღი არსენიშვილი, ჯოჯო ნადირაძე, ვალერიან გაფრინდაშვილი,
პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე

ერთი უდავო ფაქტი: დიდი უმრავლესობა ქართული საზოგადოებისა მარჯანიშვილის მხარეზე იყო. მეორე მხრით, ასეთი უდავო ფაქტი: მარჯანიშვილს მხარს უჭერდა დიდი უმრავლესობა კომუნისტებისა. საკუთრივ, მთელი კასტა „ჩეკისტებისა" მოდი და გაერკვიე აქ, ამ მართლაც ქართულ პარადოქსში! ამ უცნაურობაში დიდს როლს თამაშობდა როგორც რეჟისორული სახელი მარჯანიშვილისა, ისე მისი პიროვნული ხიბლი.

ცენტრალური კომიტეტი, რომლის სათავეში მ. კახიანი იდგა, ახმეტელს ემხრობოდა. კახიანისთვის „სახელი" მხოლოდ ეს იყო: მარქსი, ლენინი, სტალინი. [...]

დევნილი, თუ გნებავთ, ახმეტელი იყო: დევნილი უმრავლესობისგან ქართული საზოგადოებისა და ასევე უმრავლესობისაგან კომუნისტების. ჭორი ჭორს მოსდევდა, ინტრიგა ინტრიგას ემატებოდა. რა უნდოდათ მარჯანიშვილის მომხრეებს: არ მიეშვათ ახმეტელი მისი თეატრით რუსთაველის სახელობის თეატრში... ახმეტელის თეტრის ბედი ბეწვზე ეკიდა და აქ ერთი სცენა, ბევრისთვის უცნობი: მივსეირნობ რუსთაველის გამზირზე. ვუახლოვდები რუსთაველი თეატრს. ვხედავ თეატრი დამწუხრებულია, მთელი შემადგენლობა მისი. იქვე არიან პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე. „რა მოხდა?" მესმის ხმა გავრცელდა, კახიანმა დაუთმო „შემომსეველთო". მომმართა პაოლომ: „ახლავე ვინახულოთ კახიანი!" გავეშურეთ: პაოლო, ტიციანი და მე. აქ საჭიროა ვთქვა, მიუხედავად იმისა, რომ მარჯანიშვილისა და ახმეტელის შეხლა-შემოხლაში სიმართლეს პირველის მხარეზე ვერ ვხედავდით, შემარიგებელთა როლს ვთამაშობდით. მივედით კახიანთან. ველაპარაკეთ. მაშინ ჩვენს სიტყვას კიდევ უჭერდნენ ანგარიშს, განსაკუთრებით ჩემსას. ესეც უნდა ითქვას. ვერ ვიტყვი დანამდვილებით, რომ გასჭრა ჩვენმა სიტყვამ. ფაქტი კია: რუსთაველის თეტრი გადაურჩა განსაცდელს..."

გრიგოლ რობაქიძის იოსებ გრიშაშვილისადმი მიწერილი ბარათებიდან:

„მომწერე, სად არის პავლუშა იაშვილი. წავიდა საზღვრგარეთ თუ არა, ან რას აკეთებს..."

1913 წელი, 15 დეკემბერი

„პ. იაშვილი სად არის?"

1914 წელი, 28 იანვარი




რეპრესირებული მწერლებისადმი მიძღვნილი ექსპოზიცია მწერალთა სახლში, 2023 წ.

ფრაგმენტი წერილიდან ბერძენ მწერალ ნიკოს კაზანძაკისს

დათარიღებულია 1952 წლის 17 დეკემბრით

„თქვენ უკვე წარმოდგენილი გაქვთ, მე რა დღეში ვარ. რამდენიმეს კიდევ დავამატებ. ჩემი მშობლიური მიწა-წყლიდან სრულიად მოწყვეტილი ვარ. 1937 წლის შემდეგ ჩემი ახლობლების შესახებ აღარაფერი გამიგია. მხოლოდ 1939 წელს დედის გარდაცვალება შევიტყვე. ტერორმა დაქსაქსა ჩემი ახლო მეგობრები. პაოლო იაშვილმა, მზის პოეტმა, მზის ადამიანმა, ამავე დროს ჩემმა ძმამ და მეგობარმა, საბჭოეთის სატანური ატმოსფეროს ზეწოლის შედეგად თავი მოიკლა 1937 წელს. თქვენ იცნობდით მას. თქვენ იცნობდით ჩემს მეორე ძმას და მეგობარსაც ტიციან ტაბიძეს. იმავე წელს თურქმენეთში გადაასახლეს. არ ვიცი ცოცხალია თუ არა. რომანისტი მიხეილ ჯავახიშვილი, რომელთანაც ვმეგობრობდი – ისიც ნაცნობია თქვენთვის – ისიც დახვრიტეს. დახვრიტეს ასევე ჩემი სხვა მეგობარიც, პოეტი ნიკო მიწიშვილი. იმ გამარჯვებული თეატრის რეჟისორიც – სანდრო ახმეტელი. კმარა სახელები.

მე მოწყვეტილი ვარ, დიახ, განმარტოებული...“



გამოსათხოვარი წერილი

(გაზეთ „Berliner Börsen-Zeitung"-ის დამატება „Volk und Kultur". ფრაგმენტი. გამოყენებულია აკაკი ბაქრაძის მონოგრაფიაში „კარდუ")

ახლა ეს კაცი – ნიჭიერი პოეტი, ღმერთების საყვარელი, მეფე და მათხოვარი, მარადი ჭაბუკი, შვილი მზისა – ცოცხალი აღარ არის. როგორც ვარშავიდან შეგვატყობინეს, მას მყისვე მოუკლავს თავი, როცა მის დასაპატიმრებლად აგენტები მისულან. შეიძლებოდა კი, რომ იგი აღმდგარიყო ბოლშევიზმის წინააღმდეგ? თვითონ არ ყოფილა ბოლშევიკი, მაგრამ საბჭოების მიერ შექმნილი სინამდვილის ჩარჩოებში პატიოსნად მუშაობდა, განსაკუთრებით ბოლო წლებში დაწერილ ლექსებში ცდილობს კიდეც საბჭოურ მიზნებს შეეგუოს. ამ ლექსებს აკლიათ რაღაც, რაც ყველა მის ადრინდელ ლექსებშია. ძნელი მისახვედრი არ არის – რატომ. იქნებოდა იგი ახლა რაიმე შეთქმულების მონაწილე? ფიქრიც კი არ შეიძლება ამაზე, კლასობრივი ბრძოლა და მისი მსგავსი რამ ძალიან შორს იყო პ. იაშვილის ნატიფი არსებისაგან.

1924 წელს, საქართველოში დიდი აჯანყების დროს, დახვრიტეს მისი უმცროსი ძმა. დედას დაუმალეს ეს გამანადგურებელი ამბავი. იაშვილმა ითავა დაერწმუნებინა დედა: მას შვილი ცოცხალი ჰყავს, ირანშია გადახვეწილი და იქ ცხოვრობს. წლების მანძილზე, დახვრეტილი ძმის სახელით, იაშვილი წერილებს უგზავნიდა დედას. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ტანჯვა იმ კაცისა, რომელიც ცდილობს ძმის ხელწერას მიამსგავსოს თავისი, დედამ ტყუილში რომ არ დაიჭიროს.

თუ საწყალი მოხუცი ახლა ცოცხალია, გაიგებს, რომ მარტო ერთი შვილი არ დაუკარგავს.

ამ ადამიანის აღსასრული, რომელიც ეს-ეს იყო ორმოცს გადააბიჯა, შემაძრწუნებელია. სიტყვა ვერ მიპოვნია ტკივილის გამოსახატავად.

P.S. რა გზით გაიგო რობაქიძემ ასე დეტალურად იაშვილების ოჯახის ტრაგედია, არ არის ცნობილი. პაოლოს ძმის, ჭუნიას ისტორიას, როგორც მოვლენათა თვითმხილველი, შთამბეჭდავად გვიყვება თამარ იაშვილი- სერებრიაკოვა, ვისი მოგონებაც ადასტურებს გრიგოლ რობაქიძის გამოსათხოვარი წერილის ძალიან ემოციურ ეპიზოდს: ძმები იაშვილების დედას, ბაბილინას, წლების მანძილზე უმალავდნენ ჭუნიას ტრაგიკულ დაღუპვას და დედას პერიოდულად წერდა წერილებს პაოლო, საკუთარი ძმის სახელით... ეს გახლავთ კიდევ ერთი სახასიათო შტრიხი პაოლო იაშვილის დღემდე ბოლომდე დაუწერელი პორტრეტისთვის.



ვასიე (ჭუნია) იაშვიეი

1924 წელი

თამარ იაშვილის მოგონება

ჭუნიას ტრაგედიას მინდა დავუბრუნდე. 1924 წლის ზაფხულში მთხოვეს, მედეა სოფელში წამეყვანა. ის მაშინ მხოლოდ 3-5 თვის იყო და ამიტომ პატარა ბავშვთან ერთად, ასეთ სიცხეში მარტო წასვლას ვერ ვბედავდი და სწორადაც მოვიქეცი. საჩხერესთან და ჭიათურასთან მომხდარმა ტრაგედიამ კინაღამ ბოლომდე გაანადგურა ჯიბო იაშვილის ოჯახი. ჭუნიას, რომელიც მაშინ დააპატიმრეს, როგორც არეულობის მონაწილე, შემდგომ გაირკვა, რომ ის ხელმძღვანელობდა გარკვეულ ჯგუფს, რომელსაც უნდა დაეპყრო მნიშვნელოვანი ობიექტები ჭიათურაში. დაპატიმრება ემუქრებოდა მთელ ოჯახს, ჯიბოდან დაწყებული ყველას... რა თქმა უნდა პაოლოს... ისინი არ მალავდნენ თავიანთ დამოკიდებულებას და შეფასებებს არსებული ამბების მიმართ. ჭიათურაში და საჩხერეში ამ მასობრივი სისასტიკის ჟამს, პაოლო, ნათესავებთან ერთად ეძებდა ძმას. ჭიათურის მთავარი ჩეკისტი გალაკტიონ ვაშაძე დაპირდა, რომ დაკავებულ ჭუნიას გაუშვებდა. მან როგორც ჩანს, დავალება შეასრულა, მაგრამ ჭუნიამ ვერ მოასწრო ადგილიდან წასვლა და ვიღაცის ბრძანების თანახმად, ის ისევ დაიჭირეს და ხალხით გამოტენილი ვაგონებიდან ერთ-ერთში შეაგდეს. მატარებლთან ახლოს კონვოი არავის უშვებდა, მაგრამ პაოლო, ჯიბო, ძმები, ნათესავები და მეგობრები მაინც არ შორდებოდნენ იქაურობას. უკვე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა ვინ ვისიანი იყო, ვინ ვის განთავისუფლებას ცდილობდა... უმეტესობა ერთმანეთს იცნობდა, ახლობლობდა... ბოლოს ეს ყველაფერი საერთო ტრაგედიაში გადაიზარდა...


ხალხით სავსე ვაგონები კონვოიმ ზესტაფონამდე ჩააცილა. მიახლოების უფლებას არავის აძლევდნენ. პაოლო, ჯიბო და ძმები მაინც ისევ ცდილობდნენ, ვაგონებში ჭუნიას ძებნას აგრძელებდნენ...

იმ დღეებში არგვეთში ორჯერ ამოვიდნენ შეიარაღებული კაცები ჯიბოს და მისი შვილების დასაჭერად, რომლებიც არც იქ მალავდნენ თავიანთ ემოციებს... ისინი რაღაც სასწაულით გადარჩნენ მაშინ... ვფიქრობ, ჯიბოს ავტორიტეტმაც იმოქმედა იმერეთში... შეიძლება პაოლოს გავლენიანი ნაცნობებიც ჩაერივნენ... ან სულაც, ოჯახიდან ერთი მსხვერპლი იკმარეს მაშინ... თუმცა, ვერავითარმა ნაცნობობამ ვერ გადაარჩინა ჭუნია... ის, სხვებთან ერთად, ვაგონებში დახვრიტეს. ბაბილინას სიმართლე დაუმალეს. უთხრეს, რომ ჭუნია საქართველოდან გაიქცა. წლების მანძილზე არ ეუბნებოდნენ სიმართლეს და ამ უბედურ ადამიანს პაოლო დიდხანს წერდა წერილებს ძმის სახელით... ვითომ ჭუნია უცხოეთში იყო გახიზნული.

ჭუნიას ტრაგიკული სიკვდილის შესახებ ძალიან დიდხანს არაფერი იცოდნენ ამ ოჯახის სხვა ქალებმაც, რადგან მათაც დაუმალეს ეს სასტიკი სიმართლე.

(მოგონება ინახება მერაბ ნიჟარაძის ოჯახში)

„ფიზიკური გაჭლეტა და დასამარება –



საქართველოს გლეხებო!

თქვენებურათ გლეხურათ დაეხვდით თქვენ წინააღმდეგ ამხედრებულ მგლებს—თავადებს!!

გამორეკეთ, გამოსწმინდეთ სოფლებიდან, არსად დარჩეს მათი ჯილაგი და სინასლა სადმე სოფლათ!!

არც ერთი მათი სიტყვა, არც ერთი მათი ნათქვამი არ ჩაუშვათ ყურში, იცოდეთ, რომ ყოველიეე ეს თქვენ დ[illegible]
თქვენ დასამარცხებლათ, თქვენ დასამონავებლათ არის[illegible]
არ მიიკარონთ ახლოს არც ერთი მენშევიკი. ეს[illegible]
ლები მზოლოთ იმ მიზნითა და იმ განზრახვით მო[illegible]
რომ ტყვილ სიტყვებში გამოხვეული საწამლავი შ[illegible]
თქვენივე ხელით თქვენ კისერზე მონობის უღელი

თუ სადმე გამოჩნდენ ასეთები, მაშინათვე გად[illegible]
რობას!

საქართველოს საბჭოთა მთავრობა ერთხელ და[illegible]
შენდეს ჩვენს ქვეყანას მშრომელი ხალხის ძველი
ბისაგან, როგორც თავადაზნაურობისაგან, ისე მა[illegible]
ბოკაშირე მენშევიკებისაგან.

გაუმარჯოს საქართველოს

გაუმარჯოს საბჭოთა ხელ[illegible]

შავი სამარისაკენ თავალ[illegible]
კენ!

საქართველოს კომუნისტ[illegible]

ოქტომბერი არ იძინებს

4 სექტემბერს მუშათა დაშლა-ჭრილობა

მენშევიკები უნდა დაეხასიათოთ

მოახსენა რა ამხ. სოსიაშვილის მოხსენება მენშევიკების ყოველდღიური ავანტიურის შესახებ, ჭიაურელის საკავშირო კომიტეტის მდივანმა ამხ. ელიავამ შეაჯამა თანაშრომელთა საერთო აზრები ფიქრობს, რომ ეს ავანტიურა თავად-აზნაურულ ელემენტების სასიკვდილო ფართხალია—იმ ელემენტების, რომლებიც მიეკედლებენ მუშათა კლასის გაქცევლები—მენშევიკების ხელშეწყობით.

მენშევიკებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს თავიანთი ნათესაობა თავადებთან, აზნაურებთან და კაპიტალისტებთან.

დღე ცხოველ პროლეტარიატის და გლეხობის მკლავს ბედის დასაწყობ ისინი, ვისაც ოგი დღემდის არ ხოკადა...

მე შეიკები თვით ჩაიბარებენ იმ საფულეში, რომელსაც ისინი ეახრდენ საქართველოს მშრომელებს.

გაუმარჯოს შეურკეველ საქმეებს!

გაუმარჯოს მშრომელთა ორგანიზაციას—კომპარტიას!

გაზეთ "კომუნისტის" 1924 წ. სექტემბრის ნომრებიდან

— ეს პასუხი მშრომელთა დიქტატურის“



საბჭოთა საოკუპაციო ჯარი თბილისში, 1921 წ. 25 თებერვალი

პაოლო იაშვილი 1921 წლის 24 და 25 თებერვლის დღეებში

(მოგონებები მცირე კომენტარებით)

ამ პერიოდის პაოლო იაშვილის ბიოგრაფიულ დეტალებს ზოგჯერ მიზანდასახულად, ზოგჯერ კი შეცდომით, არასწორად წარმოაჩენენ, რომ თითქოსდა, პოეტი წითელი დროშის ფრიალით შეხვდა საქართველოს გასაბჭოებას.

ჩვენ მიერ ქვემოთ მოხმობილი დოკუმენტები ზუსტად ასახავენ ამ დროის ქრონიკას. შინაარსობრივად ერთმანეთს უკავშირდება ორი სამხედრო პირის: გენერალ გიორგი მაზნიაშვილის და ყოფილი ქართველი იუნკერის, გერმანიის ჯარის, ბერგმანის ბატალიონის ლეიტენანტის მიხელ დადიანის მემუარები. ამავე თემას ეხმაურება სანდრო ახმეტელის მეუღლის, მსახიობ თამარ წულუკიძის და მწერალ ლევან მეტრეველის მოგონებები. ლევან მეტრეველს, პაოლო იაშვილთან და ტიციან ტაბიძესთან ერთად, ასახელებს გიორგი მაზნიაშვილი. მათ გენერალმა თბილისში დარჩენა და ქალაქში პატრულირება სთხოვა (საბოლოოდ ტიციან ტაბიძეს ამ ღონისძიებაში მონაწილეობა არ მიუღია). იმავე ეპიზოდს აღწერს სულ სხვა პოლიტიკურ პოზიციაზე მყოფი, რევოლუციონერი გალაკტიონ ვაშაძე.

ასევე საგულისხმოა აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძის, იმ წელს კოჯორ-ტაბახმელასთან მოხალისე მებრძოლი სტუდენტის მოგონებაც: პაოლო იაშვილის როლი 25 თებერვლის სუსხიან დილას.

გიორგი მაზნიაშვილი (მთავარსარდალი, გენერალი. 1921 წლის თებერვალში მეთაურობდა სოღანლუღის სამხედრო ნაწილებს და მონაწილეობდა საბჭოთა არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში): „1921 წლის 24 თებერვალს, როდესაც ჩემი რაზმით რკინიგზის სადგურს დავუპირისპირდი,

სადგურის შესასვლელთან მრავალი ავტომობილი შევამჩნიე. იმ ფიქრით, რომ შეიძლება მენახა მთავარსარდალი ან მთავრობის რომელიმე წევრი და გამეგო დაწვრილებით უკან დახევის მიზეზი, სადგურისკენ გავუხვიე. დარბაზი გაჭედილი იყო ქალაქის მცხოვრებლებით. ყველა ჩქარობდა წასულიყო მატარებლით, რომლებიც ერთი მეორეზე მიდიოდნენ მცხეთისკენ. მგზავრებში შორს შევამჩნიე პოეტების ჯგუფი, რომელთა შორის იყვნენ: პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე და ვგონებ, ლევან მეტრეველი. ისინი ჩემთან მოვიდნენ და მკითხეს, როგორ მოქცეულიყვნენ. მთხოვდნენ, ამეხსნა მდგომარეობა.

მათ ვუპასუხე: ყმაწვილებო, არ ვიცი, რად აიღეს ხელი ტფილისის დაცვაზე და სად წავიდნენ მთავრობა და მთავარსარდალი. ალბათ, მათ ჰქონდათ სერიოზული მიზეზები... მაგრამ არ მესმის, თქვენ რად ტოვებთ დედაქალაქს. რამდენადაც გიცნობთ, თქვენ არც მეომრები ხართ და არც პოლიტიკოსები. მოქალაქის მოვალეობა გავალებთ, დარჩეთ ტფილისში, მიიღეთ ენერგიული ზომები მცხოვრებლების დასამშვიდებლად. ჩემი აზრით, თქვენ დაუყოვნებლივ უნდა წახვიდეთ მოწინააღმდეგეებთან, უნდა უთხრათ, რომ საქართველოს მთავრობამ და მისმა ჯარებმა დატოვეს ტფილისი და ითხოვოთ, მიიღონ ზომები ბოლშევიკების ჯარების შემოსვლის დროს ძალადობას და ძარცვა-გლეჯას არ მიჰყონ ხელი. ამით თქვენ ჩვენს დედაქალაქს დიდ სარგებლობას მოუტანთ, – ეს ვუთხარი და საჩქაროდ გავშორდი, რადგან ჩემს რაზმს უნდა დავწეოდი.

შემდეგში გავიგე, რომ ზოგიერთმა მათგანმა მიიღო ჩემი რჩევა და ბოლშევიკური ჯარების შემოსვლის დროს ტფილისში, რომ არ დაიწყო ძალმომრეობა და ძარცვა, ეს გარემოება, ჩემი აზრით, სხვათა შორის, უნდა მიეწეროს ჩვენი პოეტების ზემოხსენებული ჯგუფის უნარიანობას“.

გიორგი მაზნიაშვილი,
მოგონებები, 1990 წ. თბილისი



მიხეილ დადიანი (სამხედრო სკოლის სტუდენტი, 1921 წლის თებერვალში, სხვა იუნკერებთან ერთად იცავდა თბილისის მისადგომებს. 1921 წელს ოჯახთან (მამა – კოკი დადიანი, კოკი დადიანის მეუღლე მერი წერეთელი, და-ძმები – გიორგი, მია და სიმონიკა დადიანები), სამშობლო დატოვა. მშობლები და და-ძმები საფრანგეთში გაემგზავრნენ, ხოლო მიხეილი პოლონეთის ეროვნულ მოძრაობას შეუერთდა. მეორე მსოფლიო ომის დროს ბერგმანის ბატალიონს შეუერთდა. ომის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა, „ამერიკის ხმაში“ რადიოს ქართულ გადაცემებს რედაქტორობდა. გარდაიცვალა 1974 წელს. დაკრძალულია არლინგტონის სასაფლაოზე... მიხეილ დადიანის მიერ რემინგტონზე დაბეჭდილი მოგონებები, ავტორის ხელით ჩასწორებული, დისშვილმა, ბაბო დადიანის ქალიშვილმა, თათული ღვინიაშვილმა ვაშინგტონიდან ჩამოიტანა საქართველოში. მემუარებში პაოლო იაშვილის სახელი ერთ მონაკვეთში ჩნდება, 1921 წლის 24 თებერვლის აღწერისას):

„შიკრიკები ბრუნდებიან მძიმე ცნობით: „ყველაფერი დატოვებულია, ზურგში აღარავინ არის, ჩვენ დავმარცხდით“... თბილისი გავ-

იარეთ გათენებისას, როგორც უკანასკნელმა ნაწილმა. თბილისის ბრძოლა გათავდა. სამხედრო სკოლამ თავისი მოვალეობა შეასრულა უკანასკნელ წუთამდე... კობიაშვილისგან მივიღე შეტყობინება, რათა სასწრაფოდ წავსულიყავი სკოლაში და დაჭრილი იუნკრები სადგურზე წამეყვანა. იქნებ მატარებელი არის და მოახერხონ თბილისიდან გასვლა. შევატყობინე ჩემს დედინაცვალს და ბავშვებს ეს ვითარება... სასწრაფოდ ჩაიცვეს და ერთად გამოვედით სახლიდან. ქუჩები დაცარიელებული იყო. სასახლეს რომ მივუახლოვდი, დავინახე ავტომანქანა, რომელშიც ერთი კაცი იჯდა და ჩემოდნები ეწყო. მივხვდი, რომ სადგურისკენ მიდიოდა, გავაჩერე და შოფერს ვუთხარი: ქალი მოდის სამი ბავშვით და თუ შეიძლება, წაიყვანოთ-მეთქი. მანქანაში მჯდომმა შოფერს დაუყვირა: „გასწიე, კაცო, რას უგდებ მაგას ყურს!“ მე ვიშიშვლე ჩემი ნაგანი და შევყვირე: „აქვე გაგაცხებინებ სულს, თუ ესენი არ წაგიყვანია!“

ამ დროს ჩემს გვერდით გაჩნდა პაოლო იაშვილი, რომელიც სადღაც მიმავალი დაწევია ჩემს დედინაცვალს და ბავშვებს, დამინახა მე რევოლვერით და ჩემსკენ გამოქანდა... მოკლე საუბრის შემდეგ ჩასვა ჩემი დედინაცვალი და ბავშვები მანქანაში, რომელსაც მე მივყევი სამხედრო სკოლამდე... დაჭრილი იუნკრები უკვე ვიღაცას გაეფრთხილებინა... მეც სადგურისკენ გავწიე...“

(მიხ. დადიანი, იუნკერის მოგონებები. ინახება ბაბო დადიანის არქივში)

თამარ წულუკიძე (რუსთაველის თეატრის მსახიობი, სანდრო ახმეტელის მეუღლე, საბჭოთა პერიოდში რეპრესირებული): „ქალაქში არეულობა და განუკითხაობა სუფევდა. ხალხი პანიკამ მოიცვა. შიშით დამფრთხალი ადამიანები თბილისიდან გარბიან... რაზმს წინ მიუძღვოდა ფიცხ, შავრა ცხენზე ამხედრებული გოლიათური გარეგნობის ვაჟკაცი. შავი ნაბადი უდარდელად გვერდზე მოეგდო.... მას მოჰყვებოდა თორმეტამდე ცხენოსანი... ყველას მხარზე თოფი ჰქონდა გადაკიდული და მკვლავებზე წითელი სამაჯური... ძნელი არ იყო მიხვედრა, რომ ჩვენ გადავეყარეთ პატრულს, რომელიც ქუჩაში წესრიგს იცავდა. მაგრამ ვინ იყო ეს კაცი, რაზმის უფროსი? მე ხომ სადღაც მინახავს. ვცდილობ მოვიგონო და უცებ დედაჩემის ხმა მესმის: „ღმერთო ჩემო, უყურეთ, ეს ხომ პაოლო იაშვილია!“ დედა გაექანა ნაბდიანი მხედრისკენ. პაოლოს ეცვა ნახევრად სამხედრო, ნახევრად სამოქალაქო ტანსაცმელი: გალიფე, ჩექმები, მხრებზე ნაბადი, თავზე სვანური ნაბდის ქუდი, ზურგზე შაშხანა, ხოლო სახე – ძლიერი ნებისყოფით სავსე, მკაცრად გამოკვეთილი ნიკაპი, პატარა ულვაშები“...

(თ. წულუკიძე, „იყო ერთი პოეტი“, ჟურნალი „დროშა“, 1973, №5)

ლევან მეტრეველი (მწერალი, მემუარისტი, ავტორი წიგნისა „განთიადი 25 თებერვლისა საქართველოში“. აღწერს იმდღევანდელი თბილისის ყოფას. დემორალიზებული, დამარცხებული ჯარის მდგომარეობას, პანიკას ქუჩებში. თუ როგორ შექმნა პაოლო იაშვილთან და რამდენიმე ათეულ ადამიანთან ერთად ე.წ. წესრიგის დამცველი კომიტეტი): „თბილისში სრული განუკითხაობა, შიში და პანიკა სუფევდა. კოჯრის მისადგომებთან კანონადით დამფრთხალი ნახირი ქალაქის ქუჩებში უპატრონოდ, ზმუილით დაეხეტებოდა. აშკარა იყო მოროდიორობის საფრთხეც. სწორედ ასეთი „პროზაული“ ამბების წინააღმდეგ საბრძოლველად შექმნილ მოქალაქეთა ცხენოსან რაზმს მეთაურობდა ნაბადმოსხმული, სანადირო თოფით შეიარაღებული პაოლო.“

(ლ. მეტრეველი, „განთიადი 25 თებერვლისა საქართველოში“, 1931 წ.)



საბჭოთა საოკუპაციო ჯარის აღლუმი თბილისში, თავისუფლების მოედანზე, 1921 წ.

გალაკტიონ ვაშაძე (რევოლუციონერი, კომუნისტური პარტიის წევრი, 1917 წლიდან ბოლშევიკური კომიტეტის წევრი, 1920-1921 წლებში აზერბაიჯანის სსრ საგარეო ვაჭრობის კომისარიატის წარმომადგენელი თბილისში, 1921-1923 წლებში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. სამეულის გადაწყვეტილებით, დახვრიტეს 1938 წელს, ტროცკიზმის ბრალდებით): 1921 წლის 25 თებერვლის წინა ღამეს [...] ჩემთან მოვიდა ორი შეიარაღებული პირი და დამიწყეს გაღვიძება. პირველად კიდეც შემეშინდა, მაგრამ შემდეგ ვიცანი მათში ჩემი ორი საუკეთესო ამხანაგი (მგოსანი პაოლო იაშვილი და მეტრეველი) და ვკითხე, რაშია საქმე-თქო. „მენშევიკური მთავრობა გაიქცა, ბოლშევიკები შემოდიან, ქალაქში არავითარი ხელისუფლება არაა. გვთხოვეს, მივიღოთ სათანადო ზომები წესიერების და მშვიდობის დასაცავად ბოლშევიკების შემოსვლამდე“-ო, – მიპასუხეს. უპირველესად მე დავუწყე ძებნა ქალაქში დარჩენილ ამხანაგებს, რომლებიც დატუსაღებას გადარჩნენ, მაგრამ ვერვინ ვიპოვე... და ჩვენ სამმა გამოვაცხადეთ თავი ქალაქის დამცველ დროებით რევოლუციურ კომიტეტად. გამოვუშვით მოწოდება მცხოვრებლებისადმი და შეეუდექით შეიარაღებული დაცვის მოწყობას, მაგრამ ხელს გვიშლიდა ის გარემოება, რომ ქუჩები გაჭედილი იყო უკან დახეული მენშევიკების ჯარებით, რომლებიც ისე უწესრიგოდ მიდიოდნენ, რომ არ იცოდნენ სად წასულიყვნენ. როდესაც მე ვაჩერებდი ჯარისკაცებს და ვეკითხებოდი, სად მიდიხართ, სად არიან თქვენი ხელმძღვანელები-თქო, ყველა ერთსა და იმავე პასუხს მაძლევდა: „ხელმძღვანელებმა მიგვატოვეს და არ ვიცით სად მივდივართო“ ჯარების უკან დახევა გაგრძელდა დილის 8 საათამდე. ყოველ წუთში მოსალოდნელი იყო მძიმე ექსცესები უკან დახეული ჯარებისგან და საზოგადოების ნაძირალებისგან, მაგრამ კომიტეტმა წინდაწინვე მიიღო სათანადო ზომები და ასეთი შემთხვევა ძალიან ცოტა იყო [...] ასე მუშაობდა კომიტეტი დილის ათ საათამდე, როდესაც ხელისუფლება საბოლოოდ ჩაიბარა კომუნისტებისგან შემდგარმა ქალაქის რევკომმა.

(გ. ვაშაძე, „ჩემი მოგონებები“, რევოლუციის მატიანე, 1923წ. №3)

ალექსანდრე ბარამიძე (აკადემიკოსი, კოჯორ-ტაბახმელას ბრძოლების მონაწილე): „23 თუ 24 თებერვალს წითელმა არმიამ ძლიერი იერიშების შემდეგ გაარღვია ცენტრალური ფრონტი სოღანლუღთან. ზედმეტი მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად და დედაქალაქის დარბევისგან გადასარჩენად ჩვენმა სარდლობამ, მთავრობასთან შეთანხმებით, გადაწყვიტა თბილისის დატოვება, რაც უკვე ომის წაგებას ნიშნავდა. 25 თებერვლის სუსხიან დილით წითელი არმიის ნაწილები ქალაქში შემოვიდნენ. თბილისის აკლებისგან გადარჩენაში სამაგალითო როლი შეასრულა ქართველ მწერალთა პატარა ჯგუფმა, პოეტ პაოლო იაშვილის მეთაურობით“


(ალ. ბარამიძე, „მოწმისა და მონაწილის თვალით“, გაზ. „თბილისი“, №118)

მოგონებებიდან ნათლად ჩანს: პაოლო იაშვილი რკინიგზის სადგურში იდგა და თბილისიდან გამგზავრებას აპირებდა, მაგრამ გენერალ გიორგი მაზნიაშვილის წინადადებით, რომელმაც მაშინ თბილისის დამცველთა ცხენოსანი რაზმი შექმნა, პოეტი უკან დაბრუნდა. ეცადა გენერლის მითითებები შეესრულებინა: წასულიყო მოწინააღმდეგე მხარესთან და დიპლომატიურად ყველაფერი ეღონა, რათა ქალაქი არ დაერბიათ. ასევე დახმარებოდა თბილისის მოსახლეობას მოძალადეებისგან და მოროდიორებისგან თავდაცვაში, გამგზავრების ორგანიზებაში და სხვ. როგორც ჩანს, მან სამოქალაქო პირებისგან მოხალისეთა რაზმი შექმნა... პაოლო დღის და ღამის მანძილზე ქუჩაში მორიგეობდა და შეძლებისამებრ მდგომარეობას აკონტროლებდა. მკვლევარ ლალი ავალიანის შედგენილ პ. იაშვილის ბიოგრაფიაში ვკითხულობთ: „პაოლომ იცის, რომ მისი და ტიციანის გიმნაზიის მეგობრები, აწ ბოლშევიკები, მალე შემოვლენ ქალაქში რუსეთის გავეშებულ ჯართან ერთად და ამჯობინებს თეთრი დროშით გაეშურონ მათთან მოსალაპარაკებლად. ასეც ხდება“.

და ბოლოს, იაშვილების საოჯახო არქივში დაცული მასალები, რომელიც იგივე საკითხს, თუ სად იყო და რას აკეთებდა პაოლო იაშვილი 1921 წლის 24 და 25 თებერვალს, სხვა კუთხითაც მოჰფენს ნათელს: როგორ ეძებდა პაოლო კოჯორ-ტაბახმელას ფრონტზე დაჭრილ ძმას, იუნკერ კოწია იაშვილს; იუნკერ კოტე დგებუაძის წერილი დედისადმი, სადაც, საერთო სულისკვეთების აღწერასთან ერთად, კოწია იაშვილის ფეხში დაჭრასაც იტყობინება; აქვე პირველად იბეჭდება პაოლოს მეუღლის, თამარ იაშვილის ძალიან საგულისხმო მოგონებაც.

ოთარ იაშვილი, პაოლოს ძმისშვილი (ბიძების და ბიცოლების, მათ შორის, თამარ იაშვილის ნაამბობზე დაყრდნობით): ფეხში დაჭრილმა კოწიამ 24-25 თებერვლის ღამეს კოჯორ-ტაბახმელის მისადგომებთან ბრძოლის დროს გაიყვანა დაჭრილი მეგობარი (დამავიწყდა მისი გვარი) იმ ადგილიდან და რის ვაივაგლახით შესძლო ჩასულიყვნენ კავთისხევში (კასპის რაიონში), სადაც ისინი შეიკედლა ვინმე ტასო ჯაჯანაშვილმა ათიოდე დღით... ასე გადარჩა კოწია და მისი მეგობარი ბოლშევიკების ხელში ჩავარდნას, როცა დაჭრილები ბრძოლის ველს ტოვებდნენ, ჩვენი ჯარი უკვე უკან იხევდა კოჯრიდან და ტაბახმელიდან და მათ თვითონ მოუწიათ თავის გადარჩენა. ჯიბომ კოწია თავის დროზე იუნკერთა სკოლაში მიაბარა და ამიტომ იბრძოდა იუნკერი კოწია იაშვილი ტაბახმელაში. პაოლო 24-25 თებერვლის ღამეს, მხლებლებთან ერთად, ავიდა კოჯორში ბოლშევიკებთან მოსალაპარაკებლად, სადაც უპირველეს ყოვლისა, ეძებდა თავის დაჭრილ ძმას... მაგრამ ველარ ნახა კოწიას იმ ადგილიდან გაცლის გამო და მის საძებნელად, ამ შემთხვევაში,

ბოლშევიკებთან შეხვედრის მიზეზს იყენებდა. ის თეთრი ზეწარიც, რომელიც პაოლომ მამიდაჩემ პაშას გამოართვა, სწორედ კოჯორში ასასვლელად დასჭირდა სამშვიდობო თეთრი დროშის მაგივრად. პაოლო 2-ჯერ ავიდა კოჯორ-ტაბახმელაში კოწიას მოსაძებნად — ერთხელ 24-ში გვიან ღამე და მეორედ 25-ში დილით ადრე, რამოდენიმე ცხენოსანთან ერთად. ერთ-ერთი ჩვენებური იყო, მოყვარე საჩხერიდან. კოწიას იუნკერობას და ჭუნიას ამბავს, პაოლოს და მთლიანად ოჯახს ბოლომდე უხსენებდნენ, ამის შესახებ ხელისუფლებამ კარგათ იცოდა. კოტე ცინცაძე ძალიან კადნიერად დაემდურა პაოლოს ამის თაობაზე, რაზეც მან საკადრისი პასუხი გასცა და ამას უფლის და გავლენიანი მეგობრების წყალობით გადაურჩა. კოწია დახვრიტეს 1937 წლის მიწურულს, ბრალდებით, ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ წევრობა. სინამდვილეში კი პაოლოს გადააყოლეს. რეაბილიტირებულია 1956-ში.



კონსტანტინე (კოწია) იაშვილი და პაოლოს ქალიშვილი – მედეა



თამარ ოქრომჭედლიშვილი-სერებრიაკოვა

1921 წელს

(თარგმანი რუსულიდან)

ჯერ კიდევ ჩემს ქორწინებამდე, 1921 წლის ზაფხულის დასაწყისში, ტიციანისა და ნინოს თანდასწრებით, ერთად მოვიდნენ პაოლო და მამაჩემი. როგორც მახსოვს, მათ მიჰქონდათ მამას დაზიანებული თოფი (რომელიც მე უნებურად დამივარდა ქვებზე) იარაღის სახელოსნოში.

ლადო ჯაფარიძემ გაიხსენა, თუ როგორ შეხვდა პაოლოს იმ წლის 25 თებერვალს, დილით ადრე, ქალაქის ცენტრში, მხედრების ჯგუფთან ერთად, რომლებიც კოჯორში ასვლას აპირებდნენ ბოლშევიკებთან მოსალაპარაკებლად. საამისოდ მან პაშასგან აიღო თეთრი ზეწარი, როგორც ბაირაღი. სინამდვილეში, ამ საბაბით მას თავისი დაჭრილი ძმა, იუნკერი კოწია უნდა მოეძებნა. გაიგო რა მისი დაჭრის ამბავი, აღელვებისგან ადგილს ვეღარ პოულობდა.

პაოლო ქალაქში წესრიგის დასამყარებლად სასწრაფოდ შეკრებილი კომიტეტის წარმომადგენელი იყო. ამ კომიტეტისგან მას ჰქონდა მინიჭებული უფლებამოსილება, ეწარმოებინა მოლაპარაკებები ბოლშევიკებთან, ტფილისში შესაძლო ძარცვის და არეულობის აღსაკვეთად. კომიტეტი ასევე სთხოვდა ბოლშევიკებს, ქალაქში შეძლებისდაგვარად მშვიდობიანად შესულიყვნენ. ქართულ ჯარს უკვე დატოვებული ჰქონდა ქალაქი და დასაცავი იყო სამოქალაქო მოსახლეობა ბანდიტური ჯგუფების თავდასხმებისგან.

პაოლო იმ ადრიან დილით კოჯორში მიიჩქაროდა უწინარესად თავისი დაჭრილი ძმის სანახავად. შეხვდა რა მოედანზე ლადოს, აცნობა კოწიას დაჭრის ამბავი. პაოლო ლადოს კარგად იცნობდა და შესთავაზა ერთად წასულიყვნენ, მაგრამ ლადომ რაღაც მიზეზის გამო ვერ შეძლო. 25 თებერვალს პაოლოსთან შეხვედრის და კოწიას დაჭრის შესახებ ლადომ მეორე დღეს უამბო იმ დროს სოფლიდან ახლად ჩამოსულ ტიციანს, რომელსაც შემთხვევით შეხვდა. ტიციანმა სოფელში გააცილა ნინო ბავშვთან ერთად.

პაოლო შემდეგ იხსენებდა თუ რა მდგომარეობაში ეძებდა გამთენიისას დაჭრილ კოწიას კოჯორსა და ტაბახმელაში. კოწია ვერ იპოვეს. იმავე დილას, თანმხლებ პირებთან ერთად, უკან, ქალაქში ბრუნდებოდა და გზად გადაეყარა ორ მსუბუქად დაჭრილ მოხალისეს, რომლებიც ოქროყანაში გადამალეს, მემანქანესთან. ეს ოჯახი ამარაგებდა რძითა და მაწვნით პაოლოს ძმას, მიშას სოლოლაკში.

25 თებერვალს დილით წესრიგის დაცვის კომიტეტმა თავისი მოვალეობა გადააბარა დროებით რევკომს, ქალაქში ბოლშევიკების შემოსვლამდე დროებით მთავრობას. იმავე დღეს ბოლშევიკების არმია შევიდა ქალაქში.



სახლი თბილისში, სადაც პაოლო იამვილი ცხოვრობდა 1921-1937 წლებში.
პაოლო იამვილის (ყოფ. ჯაფარიძის ქ.) N°7

მოედანზე შეკრებილები, მათ შორის პაოლო და მათი დროებითი კომიტეტის წევრები (ამბობდნენ, რომ ხალხი ცოტა იყო. იქ იყვნენ ჩემი ნაცნობებიც) იყვნენ მოწმენი ბოლშევიკების შემოსვლისა, რომელთაც უკვე დროებითმა რევკომმა გადასცა ქალაქის მართვის ყველა უფლებამოსილება.

როგორც ყვებოდნენ პაოლო და მეტრეველი, მას შემდეგ, რაც ერევნის მოედანზე განლაგდა ბოლშევიკების ჯარი, ავიდნენ მიშასთან, სოლოლაკში, რათა ესადილათ და ცოტა დაესვენათ იმ მძიმე და უძილო ღამის შემდეგ.

კოწია კი ყვებოდა, რომ 25 თებერვლის ღამეს დაჭრილი ფეხით (ეს ჭრილობა სიცოცხლის ბოლომდე სტანჯავდა) დიდი გაჭირვებით ამოყვანა სანგრიდან თავისი დაჭრილი თანამებრძოლი (სახელი აღარ მახსოვს), სანახევროდ გულწასულ მდგომარეობაში. მალვით ძლივს გადაადგილდებოდნენ და რომელილაც მოშორებულ სოფელში იპოვეს თავშესაფარი (ოთარმა იცის სად და ვისთან).

მთელი დარჩენილი ცხოვრება პაოლოს უწევდა აეხსნა ბოლშევიკებისთვის და ყველა დანარჩენისთვის თუ რას აკეთებდა ის კოჯორსა და ტაბახმელაში თებერვლის იმ ღამეს. ახსენებდა დაჭრილ კოწიას, რომელიც როგორც იუნკერი იმ დღეებში ებრძოდა ბოლშევიკებს. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში სხვანაირად არ შეეძლო (თუმცა, მას და მის ოჯახს ყოველთვის ახსენებდნენ ამას. პაოლოს ჰქონდა სერიოზული კონფლიქტი კოტე ცინცაძესთან, რომელსაც არ აპატია შეურაცხყოფა ამის ნიადაგზე. ეს შეიძლებოდა პაოლოსთვის ცუდად დამთავრებულიყო. დაეხმარნენ გავლენიანი მეგობრები) და ყვებოდა მხოლოდ სამშვიდობო მისიის სახელით, რომელიც აღასრულა ქალაქში წესრიგის დაცვისთვის შექმნილი მოხალისეთა კომიტეტის მითითებით.

37 წელს მას მოუწია თავის მართლება მწერალთა კავშირის სხდომებზე. ყველას არწმუნებდა, რომ როდესაც მენშევიკურმა მთავრობამ დატოვა ქალაქი, სწორედ ის იყო, ვინც ინარჩუნებდა ტფილისში წესრიგს.

თამარ ოქრომჭედლიშვილი-სერებრიაკოვა

ბორის პასტერნაკი თამარ იაშვილს


„ჩემო საბრალო, ჩემო ძვირფასო, თამარ გიორგის ასულო, ეს რა მომხდარა! ჩემმა არსებობამ აზრი დაკარგა, სანუგეშებელი თავად შევიქენ... მოსვენებას არ მაძლევს იმაზე ფიქრი, რომ ველარასოდეს ვიხილავ მის საოცარ სახეს, მის მაღალ, ზეშთაგონებულ შუბლს, მოცინარ თვალებს. ველარასოდეს გავიგონებ მის მომხიბლავ ხმას, ჟღერადობაზეც რომ ეტყობოდა აზრით დატვირთულობა. ვტირი, ვბორგავ, მწუხარებისგან ადგილი ვერ მიპოვია...

მოგონებები გულს მისერავს. დანაკლისის შეგრძნებამ ლამის გამაგიჟოს. რა დავაშავე, ბედმა რისთვის დამსაჯა ამ სამარადისო განშორებით?

ახლა სულ სხვაგვარი აზრები გამიჩნდა პაოლოზე. ყოველთვის აღტაცებული ვიყავი მისი ნიჭით, მშვენიერების აღქმის უბადლო ალღოთი, რაც იშვიათია არა მარტო ქართულ, არა მარტო ჩვენ მთლიან, თანამედროვე მწერლობაში, არამედ ფასდაუდებელია ყველა დროისა და ყველა ქვეყნის ლიტერატურაში. იგი ყოველთვის მაცვიფრებდა. ბევრისთვის მიმიწერია, რა სიმაღლეზე ვაყენებდი მას.

...საოცარია, რა უხვად უწილადა საკუთარი სული ყველაფერს, რასაც შეეხო".

ბორის პასტერნაკი, 1937 წ.




პაოლო იაშვილის საფლავი
დიდუბის მწერალთა
და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით, 2010 წელს პაოლო იაშვილის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი შესრულდა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II წმინდა სამების საკათედრო ტაძარში, საკვირაო ქადაგებისას განაცხადა: „არიან ადამიანები, რომელთა ცხოვრებაც ეკუთვნის მთელ ერს. ესენი არიან რჩეული ადამიანები. მივიღეთ მხედველობაში ის, რომ მაშინ იყო რეპრესიები. მან გაიარა ბევრი წამება და ეწამა ვაჟკაცურად. მან თავი მოიკლა იმისთვის, რომ არ გაეცა საკუთარი მეგობრები. პაოლო იაშვილი იყო ერთ-ერთი საუკეთესო მწერალი, ერთ-ერთი უერთგულესი შვილი საქართველოსი. დღეს, ღვთის მადლითა და ლოცვით შესრულდება პირველი პანაშვიდი მისი სულისთვის. მინდა გამოვხატო სიხარული ამ გადაწყვეტილების შესახებ. ეს მისი მეორე შობაა. ღმერთმა შეუნდოს და აცხონოს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი უკვდავი სული".

მწვერვალი „პაოლო იაშვილი“

2002 წლის ოქტომბერში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ალპურმა ჯგუფმა „შხარა“ გუდამაყრის ხეობაში პაოლო იაშვილისადმი მიძღვნილი საშემოდგომო ალპინიადა მოაწყო. იდეა ეკუთვნოდა უნივერსიტეტის პროფესორს, ვლადიმერ ჯიქიას ქალიშვილს, მარინა ჯიქიას. ალპინიადას ხელმძღვანელობდა ცნობილი მთამსვლელი შოთა ელისაშვილი. მათ დაიპყრეს ერთ-ერთი უსახელო მწვერვალი (სიმაღლით 3,300 მ.) და პაოლო იაშვილის სახელი უწოდეს. მწვერვალის კალთებზე შეფენილი სტუდენტები დიდი ემოციებით კითხულობდნენ პაოლო იაშვილის ლექსებს.



გუდამაყრის ხეობაში სტუდენტთა მიერ ღიდზე ამოკვეთილი პაოლო იაშვილის სტრიქონები:
“როგორც აფრის ტაცუნი
მოვარდნილი ზღვიდან”...

იუნკერ კოლია (ნიკოლოზ) დგებუაძის წერილში პაოლოს დაჭრილი ძმა, კონია იაშვილია ნახსენები. ძმის საძებნელად პაოლო იაშვილი, 25 თებერვალს, ტაბახმელა-კოჯრის ფრონტზეც ადის. მის მიერ მოთხრობილი ამბავი თამარ იაშვილის და ოთარ იაშვილის მოგონებებს დამატებით დოკუმენტურობას სძენს.

იუნკერ კოლია (ნიკოლოზ) დგებუაძის წერილი დედას

ძვირფასო ბ. დედა!

ღმერთს ვთხოვ თქვენს კარგად ყოფნას, თქვენი ძვირფასი ქმარ-შვილით. როგორ ბრძანდებით ბ. დედა! ხომ კარგად, მე კარგად ვარ, ჩემი ჯავრი ნუ გექნებათ. მე დღეს ჩამოვედი პოზიციიდან, ხვალე ისევლე წავალ უკან. ჩამოვედი თავის მოსაპარსავად, ვიყავი დაჭრილი ცოტა, მაგრამ არასფერი მიშავს. ვიცი, რომ ახლა შეიშლებით ჭკუიდან. არ მინდოდა მომეწერა, მაგრამ გაზეთებში იქნება დაბეჭდილი და რომ არ მომეწერა, სულ შეიშლებოდით. ნუ შეგეშინდებათ.... კონია იაშვილი დაჭრეს ფეხში, მაგრამ არასფერი უჭირს. სულ დაჭრილები ვართ იუნკერები 27 კაცი. ამათ გარდა 2 იუნკერი მოკლეს და 2 ოფიცერიდან ერთი იუნკერი ახვლედიანი იყო. სხვები ყველა კარგად ვართ. იცოდეთ ჩემი ნუ გეშინიათ, ტყვილა შეიწუხებთ თავს. ჯავებე დადიანი კარგად არის, ისიც ჩვენთან არის პოზიციანად.

მოგიკითხათ ყველამ.

გკოცნით ყველას, თქვენი მორჩილი შვილი კ. დგებუაძე.

23.02.1921 წ. ღამის 10 საათი

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი ს გ ა ნ:

1921 წელთან დაკავშირებული პაოლო იაშვილის ზოგიერთი ლექსის პირველნაბეჭდი წყარო, დაწერისა და გამოქვეყნების თარიღები არ არის ზუსტად მითითებული. მაგალითად, შესასწორებელია ლექსის „ახალ საქართველოს“ ბიბლიოგრაფიული შენიშვნების ზოგიერთი მონაცემიც. მიჩნეულია, რომ ეს სტრიქონები შეიქმნა 1921 წელს, თებერვლის დღეებში. სინამდვილეში დაწერილია სხვა დროს და სხვა საბაბით. *„ლექსი 1922 წელს გამოქვეყნდა გაზეთში „ზარია ვოსტოკა“. სამეცნიერო კრიტიკულ ლიტერატურაში აღნიშნული ლექსი მიჩნეულია საბჭოთა საქართველოსადმი მიძღვნილ პირველ პოეტურ ნაწარმოებად, მაგრამ ლექსის შემოქმედებითი ისტორია პირველბეჭდური წყაროს მიკვლევამ სხვაგვარად წარმოადგინა. ლენინგრადში, პუშკინის სახლის ხელნაწერთა ფონდებში, დაცულია პ. იაშვილის იგივე ლექსის ავტოგრაფი, დაწერილი უფრო ადრე და მიძღვნილია პირველი მაისის დღესასწაულისადმი“* (ზაურ მეძველია, ცისკარი, 1985, №11).

ყველა გავრცელებულ არასწორ ინფორმაციაში დროს საბოლოოდ შეაქვს კორექტივები.



გიორგი და ნესტან ღეონიძეები, ეფემია გედევანიშვილი-ღეონიძე,
ჰაოღო და მელეა იაშვილები
1924 წ.



პაოლო იაშვილის პორტრეტი
მხატვარი ვერა ლებედევა, 1930-იანი წლები

„ძმაკაცობა“ – ერეკლე ბატონიშვილი

პაოლო იაშვილს

ჯადოქარობით ეზიარე ირანელ დავრიშს,
სავნებო ცეცხლით შეიზარდე მზის თაყვანება.
კაფეს ხმაურში გამოსქერი ღაღი ზმანება,
ნათაღი ღექსი უთავბაზე პარიზს და თავრიზს.

გიყვარს ტოროზა თავადობა ამაყი მთვარის,
თან გეხამება ჯამბაზური შენ გაქანება.
ხარ უცნაური, ქედმაღალი, ურჩი, თავნება,
გშვენის ყივილი და ნავარდი დაჭრილ კენცავრის.

პოეზიაში შემოიჭერ, როგორც ბანდიტი,
ერთი შეძახით შეარყიე მრავალი ტახტი,
უღარღო ხელით მოაბნიე თვალ-მარგალიტი.

შორს გაღისროლე მოელვარე მაგარი ღახტი.
მხოლოდ სიმთვრალე შაირისა გულით დაინდე.
მოწითურ რაშსა მიაქანებ თეთრი რაინდი.

1919 წ.

გრიგოლ რობაქიძე

პაოლო იაშვილს

ჩემი სონეტი მოეღოდა ეპიტაფიამას,
სიამის ტყუპი — სიამითაც ვიყოთ ტყუპები.
საქართველოს მზე გაანათებს სიცოცხლეს ღამეს,
მაშინაც, როცა პოეზიით დავიღუპებით.

სხვა მეგობარმა და პოეტმა გვადარა აღმასს,
ვიცი, გავტყდებით და არასდროს მოვიღუნებით,
ძველ პოეზიას კაღნიერად ვახურავთ ჩაღმას,
მაგრამ სავსეა სიყვარულით თვალის უპები.

წითელი მხარის გამძღებია მაგარი ჯიში
და იაღლზე შენ იქნები მუდამ წინამძღვრად.
ამიტომ არ აქვს არც ერთ ყანწელს აქამდე შიში.

რომ მოვეღებით საქართველოს ღექსის ნიაღვრად.
ყველას გვინდოდა ყოფიღიყავ ჩვენი ამარა,
მაგრამ ჩვენს ძმობას ღღეს გიბრძანებს შენი თამარი.

1921 წ.

ტიციან ტაბიძე

გრიგოლ რობაქიძეს, პაოლო იაშვილს

ყოველთვის, როცა მომენატრება
პოეზია და თქვენი ხსენება, —
დგება ზამთარი წინ ნააღრევი
და აღკას თეთრი გამოსვენება.

აღკას საფლავზე სხვა მაღრიგალი,
კვაღად ზამთარში რგვალი მაგიდა.
პრანეცარული მწვანე გრიგოლი
გაღმოღვარული მთავრის ბაკიდან.

გამოკვეთილი მთვარის ქვისაგან
მერიდიანზე რეკავს რეკვიემს —
„ვერვინ დაგვიხსნის დაღუპვისაგან
და შიში ფიქრებს დაგვარეკვიებს.

ქვეყანა იწვის, ქვეყანა კვდება,
მზეს ჭრილობები შემოესია.
უკანასკნელი ამბავი ხდება —
სივდება მიწა და პოეზია“

ცივ სასტუმროში სუქდება შიში,
ღმერთო ძლიერო და სასწაული —
გაღაარჩინე პოეტთა ჯიში...
დგება პაოლო.

1922 წ.

ნიკოლო მიწიშვილი

პაოლო იაშვილი და ციციან ცაბიძე

საღღაც ღუქანი საქვო ბინით,
შიგ პაგანინი ვაქროობს ფარეულად
თეთიყუშებით, შხამებით, ინით,
ასაღებს ნაცარს ფერეომარეულად.

ორი ქიმერა, ორი ბოგემა,
დიდით ჯაღოქარს ევაქრებიან.
მათ უცნაურის უხდათ მოგება.
ფრთხიდად სინჯავენ ნოხს ნაქრებიანს.


ბექდის თვალიდან ქაღი ციტკეული
მოევლინება ღვთის ანაბარებს.
სკრიპკის მაგიერ ცრუ გამყიდველი
ნიამორის შამხს მათ შეაპარებს.

ორ წითელ ვირთხას სწრაფ დაიბევებს.
იქ ციციანი კუნტი სხეულით.
ოქროს თაგვებით ივსებს ჯიბეებს
პაოლო – მუდამ თვალდახეული.

და ქანდრიბაზი ჰქმნის ინდოეთებს.
ასაღებს ჰაშიშს ქაიანურებ.
მაგრამ წასვლის დროს იქცრს პოეტებს
და ჩამოახრჩობს, ვით ქიანურებს.

1920 წ.

ვალერიან გაფრინდაშვილი



"ცისფერი ყანწების" მეორე ნომერი
ღადო გუდიაშვილის პაოლო იაშვილისგან, წარწერით:
"ღადოს, ჩვენი ცისფერი სახლის ძვირფას ხუროთმოძღვარს"


იოსებ გრიშაშვილს 1916 წ. თებერვალი

ძვირფასო სოსო!

გიგზავნი ცისფერ ყანწებს. გაბარებ ჩვენს ცისფრად მორთულ საყვარელს. 300 ცალი, ვფიქრობ, საკმაო იქნება, რადგან ფასი დიდი დავარქვით: დააფასოს ხალხმა ქართული შემოქმედება. ეცადე, რომ გამყიდველი დაითანხმო, ცხრა შაურად ცალი. თუ შეუძლებელი იქნეს, დაუთმე ორ აბაზათ, თუმცა ეს თითქმის ზარალი იქნება. ეცადე ყოველივეს, რომ ალმანახი გავრცელდეს. სთხოვე გრიგოლს, დასწეროს წერილი. ჩემი ლექსი ერთის მეტი არ მიდის. ადგილი ნ. ლორთქიფანიძეს დაუთმე. გთხოვ, რაც შეიძლება ადრე დაარიგო დასახელებული ეკზემპლიარები. გაუგზავნე დღესვე ყანწელებს და ყველას, ვისიც გვარები დაბეჭდილია. ამას მეტად გთხოვ. მადლობელი ვიქნებით, თუ სახალხოდან ვინმე წერილს უძღვნის ალმანახს. მეჩქარება და მეტს ვერას გწერ.

ფული შენ გამოართვი გამყიდველს და აიღე ყოველი, რაც დაგეხარჯოს. შეიძლება, მეც მალე ჩამოვიდე. ასე ჩემო კარგო.

შენი პ. იაშვილი



სხედან: მარცხნივ – იოსებ გრიშაშვილი,
მარჯვნივ – პაოლო იაშვილი, 1916 წ.

1916 წ. მარტი

ძვირფასო სოსო!

კითხულობ „ომის“ ამბებს. ქუთაისი აპირებს ჩვენ გაძევებას, მაგრამ რაინდული სული ჯერ კიდევ ცოცხალია ჩვენში. ჩამოვალ მად და ყველაფერს გეტყვი. მომწერე „ყანწების“ ამბავი და ყველაფერი, რაც იცი მათ შესახებ. გავიგე, რომ შენ სწუხარ ჩვენთან ერთობას. იცოდე, სოსო! თუ შენ ჩვენთან გრძნობ თავს ცუდათ, სხვაგან უფრო ცუდი იქნება შენი ყოფა, რადგან ისე ვერავინ დაგაფასებს, როგორც ჩვენ. მალე გამოვცემთ გაზეთს. დაბეჭდე ახალ ამბავში. „სახალხო“ დიდხანს იქნება მდუმარე. ველი წერილს.

შენი პაოლე



იოსებ გრიშაშვილი, პაოლო იაშვილი, მარიჯანი, შაღვა დადიანი

იოსებ გრიშაშვილს 1916 წ.


ძვირფასო სოსო!

შენი წერილი დღეს გადმომცეს. გმადლობ ფერად სიტყვებისთვის. ბევრი საოცრება დასწერეს ჩვენ წინააღმდეგ, უფრო მეტი სთქვეს და ამბობენ, მაგრამ უკვდავია ჩვენი სურვილი საქართველოს გაცოცხლებისა და გვწამს, რომ იგი გაცოცხლდება...

გრიგოლს გადაეცი, რომ ვცდილობ ლექციის მოწყობას. ყველა დღეები „ოპერეტას" აქვს დაჭერილი თეატრში, მაგრამ ვფიქრობ როგორმე ერთი დღის შოვას.

სოსო: თუ ძმა ხარ, ამ წერილის მიღებისთანავე გამომიგზავნე ალმანახის ფული, რადგან შაბათს ვალი მაქვს გასასტუმრებელი და ერთად ერთი შენი იმედი მაქვს. უსათუოდ მალე გამომიგზავნე. დღეს მივეცით თხოვნა გაზეთის შესახებ. სახელად „ფარშავანგი" დავარქვით.

იყავი მზიური.
შენი პაოლო.



ვალერიან გაფრინდაშვილს 1916 წ.

ჩემო ძვირფასო ვალერიან!

„შენი ხმა არა მსმენია, გასჭერ გამიშვი ნინაო“. რად დამივიწყე. შენ ძალიან მორიდებული კაცი ხარ, მაგრამ საჩემოდ მაინც მონახავ სიტყვებს – სიტყვების ოსტატი. მოსკოვში მარტოობა შენ გამოცდილი გაქვს, ამიტომ მწყინს შენი სიჩუმე. მე ჯერ დაბნეული ვარ, მაგრამ იმედი ბევრი მაქვს. რასაც ვფიქრობ, თუ მისი დაწერა შევძელი, ჩემი წამოსვლა არ გამტყუნდება. ფიქრი მარტოობაზე და თქვენ სიშორეზე, ძალიან მალონებს, მაგრამ გაჭირვების აღარ მეშინია, არც იმისი მეშინია, რომ საქართველოში ახლა მე „საწყალს“ მეძახიან. დამშვიდებისთვის მე ღმერთი არ მომაცლის, და სულ ერთია, რომელი ზღვა დამაღრჩობს. მოსკოვის სიზღაპრე ჯერჯერობით მე ვერ გავიგე, და ის ჩემთვის მხოლოდ ტერიტორია არი. პოეტებში და მწერლებში ჩვენებური ელვარება შევიტანე და ახლა ჩემთვის უფრო გასაგებია მაიაკოვსკის უპირატესობა. ყანწელებისთვის გასაკვირი არაფერია და ჩვენი ფასი შემდეგ გამომჟღავნდება. ტიციანს მოვწერე ამის შესახებ. ნუ დამივიწყებ ვალერიან, შენი ჩემთვის საყვარელი ღიმილი ღია ბარათშიდაც გამოჩნდება, და ყოველი სტრიქონი მდინარე რიონივით ამაღელვებს. „სვოდკები“ პოეზიის შესახებ ტიციანის სახელზე გამოიგზავნება, საერთო წასაკითხად. დიდი მოკითხვა ირას, შენ და ნანას გაკოცებთ.

შენი მოყვარული და მონატრული [პაოლო]

როგორ არი ალი, მომწერე ამის შესახებაც.



პაოლო იაშვილი, თამარ ოქრომჭედლიშვილი-იაშვილი, ნინა გეგიძე, 1921 წ.

კოტე მაყაშვილს 1921 წ.

უძვირფასესო კოტე!

დაგვალონა შენმა „შემთხვევამ" სადგურზე, მაგრამ რა არის ეს მცირე ეპიზოდი შედარებით იმასთან, რაც შენ შეგხვედრია და გადაგიტანია გმირულად ცხოვრებაში. შენი იმედი გვაქვს ჩვენ, შენ მოყვარულ ქართულ მწერლობას კი, იმედი გვაქვს, ვერაფერი ვერ შეაჩერებს და შეზღუდავს შენს უანგარო და წმიდა სამსახურს ქართული ხელოვნებისათვის. იმედი გვაქვს დაისვენებ სოფლად კარგად და დაგვიბრუნდები როგორც პოეტი, თავჯდომარე, ტენორი და მონადირე.

ფულმა გაგვტანჯა. მწერალთა კავშირისაგან ავილეთ მცირე სესხი. ჩვენ გიგზავნით ასი ათასს, სულ ეხლა ორასი გეგზავნება. გაძლევ სიტყვას, რომ ხუთს დღეში ამდენსაც მოგაწოდებთ და შემდეგაც ვეცდებით ჩვენი ქვეშევრდომი ყურადღება მივაპყრათ ჩვენს ღირსეულს პრეზიდენტს. დიდი მადლობელი ვარ ნაზი და მოყვარული ბარათისათვის. ჩემი ქორწილი პირველ ენკენისთვეს იქნება — ვიქნები ბედნიერი თუ იმ დღისათვის შენ განახავ ჩემს იმერულ ქორწილზე როგორც თამადას და უფროსს. ჩვენი ჯავრი და დარდი — ქართულ ხელოვნების ნუ გექნება. ყველანი დარაჯად ვართ შენი საყვარელი საქმისა. იყავი ბედნიერი, მხიარული და შთაგონებული, გელით დატვირთულს ლექსებით, სოფლის სიწმინდით და ენერგიით.

შენი მარად და მარადის იქით პაოლო იაშვილი

კოლაუ ნაჟირაძეს [illegible] 1926 წ.

ჩემო ძვირფასო კოლაუ!

შარუხის შეხედვამ გული ამიძგერა, მეგონა, ორივეს ერთად განახვედით.

ცოცხლად მიამბობთ, თქვენს მოგზაურობას რომელიც, როგორც ეტყობა შარშანდელ აბხაზეთის ტურნეს ემსგავსება.

*შენი ნინა სწერდა თამარს „**Коля прогорает медленно но верно**"-ო. ვატყობ, ჩემო კოლაუ, რომ შენ კომერციაში უბედო ხარ, მაგრამ ერთია სასიხარულო, რომ ასეთმა უილბლო ტურნეებმა, ლექსების დახვავება იცის. მე მიმყავს ჩვენები ბათომში, დავრჩები იქ ხუთი დღე, შემდეგ თბილისში. იქიდან ისევ ბათომში, შეიძლება აბხაზეთისკენ შეუურთდე თქვენს ტურნეს.*

სოფელში დავსწერე ლექსები, დავიწყე პიესა, ვიყავი წერის გუნებაზე, რაც ჩემთვის ძვირია.

როდის და სად განახავ? ვცდილობ შენთვის კარგს ოთახს. უსათუოდ მოვახერხებ.

ჭიათურაში ნახეთ კონია, რამეს დაგეხმარებათ. რომ ჩამოგესწროთ ჩემთვის „Окупил бы все расходы Ренессанса". გიგზავნი ერთს ლექსს, მხოლოდ მიტომ რომ მოულოდნელია:

მელორეს სიმღერა
უფალო! უსმინე შევარდენს,
მის ხელით გიგზავნი ბარათს,
მიშველე ღორებში ჩავარდნილს,
ღორებში დარჩენილს მარად.
როგორც რომ ბურვაკი პალოზე
მინდორში ბაწარით აბია,
მარტო ვარ, უფალო, დალოცე,
მელორე ცრემლებისყლაპია!
უფალო! მომეცი სამხარი
ძაღლივით ამოსულს ცაზე
და შენი პერანგი ნახმარი
ჩამაცვი ცოდვიან ტანზე.
მომეცი ბავშებში ჩარევის
და მათთან თამაშის ნება,
უფალო! შენს გარდა არავის
არა აქვს ამის უფლება.
ფიქრები სამწყესო ღორებზე,
ყოველდღე ცრემლებით მსჯიდა
უფალო! გალავნის ყორეზე
დამნიშნე ბელურა ჩიტად.
არ ვიცი, რამ მათქმევინა ეს ლექსი.



აბა, ასე ჩემო ძმაო და ძვირფასო პოეტო! დაახვავე ლექსები, კრებულს ვსცემ „უნდა ავარდე, მამა პარნასზე", უნდა ავტეხოთ „орудийная пальба стихов".

აბა, იყავი მზად! ნუ დაიგვიანებ თბილისისკენ. გაკოცებ. ვაბარებ შენს თავს შარუხას.

შენი მარად პაოლო




ირაკლი ანდრონიკაშვილი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ელეფთერ ანდრონიკაშვილი
1930-იანი წლები

ტიციან ტაბიძეს 1933 წ. სექტემბერი

ჩემო ძვირფასო ტიციან!

ვცხოვრობ ისევ ნაციონალში და აქვე დავრჩები. ჩემთან ხშირად არის თეო იანელი. ცოტა მოვასულიერე. ალბად მალე ჩამოვა და თქვენ დახმარებას ნუ დააკლებთ.


დღეს მივიღე შენი ბარათი დატენილი ტფილისის ამბებით და ვინატრე კიდევ ბევრი ასეთი ინ-ფორმაციის მიღება. რაც უფრო ხშირად ვარ მოსკოვში, უფრო მიძნელდება აქ ყოფნა და ამიტომ გეევედრებით ყველას, ნუ დამაკლებთ თქვენს ხმას. ბესოს, ლევანის და დათიკოს წასვლის შემ-დეგ სულ მარტო დავრჩი და სასტუმროში მიხდება ხშირად შეხვედრა საქართველოდან ჩამოსულ „Снабженц"-ებთან. ეს საინტერესო ხალხია მით — რომ ყველა ჟულიკებია სხვა და სხვა სტილის. ამას წინად შუა ღამისას მივდიოდი ტვერის ქუჩაზე და მოულოდნელად შემხვდა კოწია ლორთქი-ფანიძე. მთელი ქუჩა გააყრუა ბღავილით, ისე გაეხარდა — მეც გამეხარდა. ბევრი მთხოვა, წავყ-ოლოდი მას რაპელებთან — ქეიფში, მაგრამ სხვაგან მეჩქარებოდა, ვერ წავყევი და მგონი, კიდეც დამემდურა. რაპელებს, რა თქმა უნდა, მაგისთანა პოეტი სულ არა ჰყავთ. ვცხოვრობ მოწყენილად — ვაკვდები სამგორს და მხოლოდ ხანდახან გამკრავს ძველი სხივი მელექსეობის. ალბად მალე




გამოგიგზავნი 300 არგენთლის გაგრძელებას. აქ რადიოში წამაკითხეს რამოდენიმე ლექსი. სამასი არგენთელი მოსკოვის ქუჩებში თურმე „არული“-ვით ისმოდა, როგორც ამბობენ აქაური ქართველები. ვწუხვარ, რომ ვერ დავესწარი სტუმრებთან პურმარილს. პილნიაკი მალე ჩამოვა და მის რაუტებზე გაჩაღდება ალბად საქართველოს ეპოსი, მოყოლა ძალიან ტკბილად იცის ამბების და სადაც უნდა, ბევრსაც უმატებს. პასტერნაკი ჩემთვის ახლა ნამდვილი ობივატელი გახდა. დარბის განმანაწილებელში სანოვაგე კალათით და მთელი მისი პათოსი (მაინც ნამდვილი) სამზარეულოსა და ბავშვების ჟრიამულის ფონზე იშლება. სთარგმნის შენს ლექსებს და ხშირად ტელეფონით მთხოვს კორრექტივებს – შენი სტრიქონებისას. ამ დღეებში წამაკითხავს. მოგწერ ჩემს შთაბეჭდილებას. *Андрей Белый* არ მინახავს, ისევე როგორც გრიგოლისთვის წერილი არ მიმიწერია. სამწუხაროდ, ეს ნამდვილი ანალოგია არის. ჩემთან ხშირად არიან *Павленко, Всеволод Иванов, Леонов, Алеша* და ასეთი ხალხი. ყველა ლაპარაკობს *„Беломорский“* არხზე — მშენებლობაზე ლაპარაკი პატრიოტულ პათოსამდე აჰყავთ. *Павленко*, როგორც იცი, ჩვენი კომისარია. მე ამის წინააღმდეგ ძალიან ვიყავი, საზოგადოთ „კომისარების“ და ახლაც არ ვიცი კარგად, რას ნიშნავს ეს. ვიცი მხოლოდ, რომ რაღაც დამამცირებელი არის ჩვენთვის. ამ მცირე ბარათს პირველი ნომერი ჰქვია, და სულ მოკლე ხანში ათამდე შევასრულებ. სულ ვფიქრობ „ძმა ბიჭებში დაჩაგრულ“ რაჟდენზე — რა დიდი უბედურებაა, წერილიც ვერ მიმიწერია, და მგონი, დეპეშაც სულელური მივსწერე. თუ დროზე ჩამოვედი, სულ არ მოვშორდები, ძალიან მეცოდება და ზაზა თვალიდან არ მშორდება. აკოცე კიდევ ერთხელ ჩემს მაგიერ. მომწერეთ წერილები. მედეიას ნუ მიატოვებთ ყვავების ანაბარად. ბევრს გაკოცებთ ყველას და ყოველი თქვენი სტრიქონი სიმფონიად მიღირს.

შენი მარად ძმა პაოლო

13.IX.33.
მოსკოვი


ПАПКА
ДЛЯ
БУМАГ

ქალი — ისტორიული სუბიექტი და ისტორიული ობიექტი



10.

ჩემი სიმამაცის თვისებები.

ჩაფიქრდი სულიერი
ფიქრისას.
პატიოსნად სალაპარაკო ჭიათ
ჭიათ და ცუდიან ადამიანს (ტყუილით და ანაზღაურ)
ჭიათ შესაძლებლობ
ადამ ისეთნაირად ჩვენთან ტრიალ ტრაბახ.
ცუდიათ ადამიანი ცუდ პატივისცემ. ვინ ა ადგილ ვერტოფილ!
თავის ხასიათისაც ხედ ტანით ჩანაც სიმაგრეც. ეგ ქალი, ეგრე ტანით.
ეს ჩ ჭიათ ჩაფიქრით 1918წ. თებერვლ სიმკაცრით. (სკოლის)
სამშობიარო საბუთის ქალი ანგარიშით (ტანით) – ვინმე გადაიკეთ.
ცუდიათ ჩემით მიმართ ყოფილ ვინმეს თან. სადმე ვერაფერი ადამ – სულიერად ვინმეთი.
ცუდიათ ადამი მიმიტან.
ცუდიათ ადამი ჩაიტანეს.
ჭიათრისაც ცუდიათან ტრიალში.
ვინმესაც ვერაფერ ადამ ვინც ჩ ვერაფერ სულიერში.
ჩემი ადამიანები. ჭიათ ჩ ცუდიან ჩემი შიგნით.
სიტყვა ვინმეს.
ჩიათები ვერაფერ ტრიალში, ადამში.
ცუდიანით ადამი ტრიალში.
ვინმე ადამიანი. ჩემი თანა ანგარიშით ვერაფერ ვერაფერი.
ჭიათ ადგილიან ცუდი: ადამი ვერაფერ ვერაფერი
ვინმეც ცოდით. ტანისანით ვერაფერ ტრიალ.
ადამი ვინმეანი.
ეს ჩემიანი
~~ცუდი ადამიანის ტანისანით.~~
ტანი.
ვინმეანი.
ადგილიანი
ჭიათრისაც
ვინ. ადამი
ცუდიანი ადამში.

ჭაობი ჭალაში

თით ისე ძნელია ის
მეორე.

სიცოცხლე ჭკვა

ჭალაში ჭალაში ჭალაში ჭალაში
ჭალაში ჭალაში ჭალაში ჭალაში
ჭალაში ჭალაში ჭალაში ჭალაში
ჭალაში ჭალაში ჭალაში ჭალაში

ცუდ ტანისანით ჭიათ ადამიანი ვინმესაც
ადამ ვერაფერ ადამიანი. "ადამიანი ჭიათია".

ცუდ ტანისანით ჭიათ
ცუდის ნაცვლად
ცუდის ჭიათ ვინმესაც ადამ ტანით
ადამ ვინმე ვინმესაც, ჭიათ ვინმესაც
ვინ ჭიათრისაც ტანისანით
ადამ ვინ- ადამ ტრიალში.
„ვინმე ა ადგილ ადამიან!" – ადამ ჭიათ
– სიტყვა? – ეგ სიტყვა, ან ადამიანით!
[სიტყვაში ტანისანი ადამში. ადამ ადამ
ჭიათ, ტანისანი, ვინმესანი...
ჭიათან ადამიანის.
ადგილიანი ვინმე ტანისანით. – ჭ ა
ტანისანით ად ვინ ვინმეანით.
სად 1954წ. სიმაგრით ტანისანი ჭიათან
ჭიათ და ტანისანი სიმაგრით ვინმეანი,
ადამში ადგილიანი ტანისანი.

სერგო კლდიაშვილის დანაწერებები

ეს იყო 1980-იანი წლები... სერგო კლდიაშვილმა მისივე მოთხრობის პერსონაჟის – „ლანდების კოლექციონერის“ ხვედრი გაიზიარა: თვალისჩინდაკარგული მწერალი სამყაროს და ადამიანებს მხოლოდ მუქ ლანდებად ხედავდა. მეხსიერება კი პირიქით, გაუმძაფრდა. განსაკუთრებით დეტალურად ახსოვდა ბავშვობის და ახალგაზრდობის შთაბეჭდილებები. მერე თანდათან, თითქოს მთლიანად, იმ წარსულში გადასახლდა.

ბატონი სერგოს ხელნაწერებში აღმოჩნდა ე.წ. სია თუ გეგმა, პუნქტურად და თანმიმდევრობით ჩამოთვლა იმ ეპიზოდებისა, რაზეც გამუდმებით ფიქრობდა და რის შესახებაც განზრახული ჰქონდა, დაეწერა:

პიტნავას რესტორანი
ქიმერიონი
მაიაკოვსკის საღამოზე პაოლო
პაოლო და ტიციანი კლუბში
პაოლო პროსპექტზე
ალი არსენიშვილთან ბლოკის ლექსების კითხვა
ნიკო ლორთქიფანიძე ღამით გამოვიდა რუსთაველზე
მე და პაოლო ბათუმში, 1918 წელი. ნატანები. საზღვარი.
სამტრედიის სადგურზე მე და პაოლოს შეხვედრა ოფიცერ გიორგი ახვლედიანთან
ტიციანი და მე მოსკოვში, ყანწების გამოსვლის წინ
პასტერნაკი ტიციანთან ოქროყანაში
რაჟდენ გვეტაძე ქუთაისში, თბილისში
კოლია მიწიშვილი. ჩვენი ოთახი დამფუძნებელი კრების შენობაში.
პავლე ინგოროყვას სტატია „ახალი მწერლობის კავშირი“
გიორგი ლეონიძე: ფიროსმანის სურათების ძებნა
ლადო გუდიაშვილი
ნოე ჩხიკვაძე
ესენინი
ტინიანოვი თბილისში
კოლაუ ნადირაძე
კოლაუს ჯოხი გადაუვარდა თეთრ ხიდთან
თეთრ ხიდზე ვიწექით პაოლოს გასახლების გამო პროტესტის ნიშნად.


– პოეტმა არ უნდა იმსახუროს – ამბობს პაოლო. – მაგრამ რაჟდენი? – ეგ სხვაა. რაჟდენი ასოთამწყობია.

რუსთაველის პლენუმი თბილისში. აღარ არიან პაოლო, ტიციანი, მიწიშვილი.

პაოლოს თვითმკვლელობა.

უკანასკნელი ღამე ტიციანთან. მე არ წარმომედგინა თუ მას დააპატიმრებდნენ.

1954 წელს, როცა საქართველოს მწერალთა ყრილობაზე, პაოლოს და ტიციანის რეაბილიტაცია გამოცხადდა, დარბაზში უმეტესობა ტიროდა.



სერგო ქრიმაშვილის ხელნაწერი


სანამ ახალგაზრდა ვიყავი, მწერალი ჩემთვის არსებობდა მხოლოდ იმის მიხედვით, თუ რომელ ლიტერატურულ სკოლას ეკუთვნოდა. შემდეგ აზრი შევიცვალე. ლიტერატურული სკოლა მხოლოდ დღის საკითხია. მას უნდა მოუსმინო. ახლა მწამს მხოლოდ შემოქმედება. ყანწები ლიტერატურულ სკოლად არ მიმაჩნია. ვისაც არ უგრძვნია ასეთი მეგობრობა და სიხარული ერთმანეთის შემოქმედებით, ის ვერასოდეს გაიგებს ამას...




სერგო ჯედიაშვილი, გიორგი ლეონიძე, შალვა ათხაიძე, შალვა დადიანი,
ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი,
სოფ. სიმონეთი, 1930 წ.



იგივე ფოტო მოგვიანებით.
ფოტოს მეორე მხარეს სერგო ჯედიაშვილის წარწერაა: "პაოლო იაშვილი (ამოუცნობელი)"





კედის მხატვრობა "ქიმერიონში"



ჟან გუელსუ

სერგო კლდიაშვილის საოჯახო არქივშია პაოლო იაშვილის ცხოვრების შესახებ პოტენციური ტექსტების გეგმაც:

„პაოლო

თვითმკვლელობის წინა დღე და ის საღამო. ვალის გადახდა.

„ოქროს ვერძის" რედაქცია

წიფის გვირაბიდან გამქრალი მატარებელი. პაოლო, ვალერიანი და მე ვაგონში

ხალხის შეშფოთება: ნუ გეშინიათ, ყველაფერი კარგად იქნება. ამინ!..

კოლაუს ბაღი ქუთაისში.

პაოლო და ტიციანი. მე მთხოვეს მოგონება. რაზე უნდა შევჩერდე? ეს ჩემთვის ძალიან ძნელია, რადგან არცერთი დღე მათ გარეშე არ გამიტარებია...

იაშვილი ლექსებს ამბობს.
მაჩაბელი ჩვენ ცყავს გვაძრობს.
ჟანგუელსკუს ქირიმე!.."



ამ სალაღობო ლექსის სტრიქონების მოქმედი პირებია: პაოლო იაშვილი, ილია მაჩაბელი – რესტორან „ქიმერიონის“ გამგებელი და რუმინელი მევიოლინე, მუსიკოსი ჟანგულესკუ.

ტიციან ტაბიძის მოგონებიდან: „უცებ გამოჩნდა ილო მაჩაბელი. ბევრს მოიგებდა მაშინ თბილისის ოპერა და დრამა, რომ ი. მაჩაბელი ყოფილიყო ანტრეპრენიორი. მას აქვს გამბედაობა და არტისტისთვის საჭირო დიქტატორის ხელი“.

რუმინელი მევიოლინე ჟან გულესკუ, რომელიც კოლაუ ნადირაძის გადმოცემით, ვირტუოზულად უკრავდა და თავისი ხელოვნებით აღტაცებაში მოჰყავდა „ქიმერიონის“ სტუმრები, საქართველოს გასაბჭოების მერე, როცა ამ ატმოსფეროში ბევრი რამ შეიცვალა, გაუჩინარდა... დაახლოებით ათი წლის წინათ, როცა ქართული არისტოკრატიის ერთ-ერთი უკანასკნელი მოჰიკანის, ბაბო დადიანის დღიურს გამოსაცემად ვამზადებდით, ქალბატონ ბაბოს მოგონებაში ნავიკითხე, რომ ჟანგულესკუ 1921 წელს, კონსტანტინოპოლში უკრავდა, რუსი ემიგრანტების რესტორანში „Чёрная роза“. იმავე რესტორანში ნახავდით ქართული არისტოკრატიის წარმომადგენლებსაც. მათ შორის, მერი შერვაშიძეს, გიგუშა ერისთავს, საშა მხეიძეს... ისინი ყოველდღე პორტში შემოსულ უცხოურ გემებს ელოდებოდნენ... გემებით „ვესტა“ და „მარია“ კონსტანტინოპოლიდან ძირითადად მარსელში მიემგზავრებოდნენ... ისინი ფიქრობდნენ, დროებით, მაგრამ როგორც მერე აღმოჩნდა, „სამუდამოდ ევროპაში“...

ᲡᲐᲑᲔᲓᲘᲡᲬᲔᲠᲝ ᲓᲦᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

პაოლო იაშვილის თვითმკვლელობის ტრაგედიის, როგორც თვითმხილველის, აღწერას, ჩანს, სერგო კლდიაშვილი აუცილებლობად მიიჩნევდა და ეს ტექსტი, უკვე თვალისჩინდაკარგულმა, „ცისფერყანწელმა“ როგორღაც დაწერა. ქაღალდზე გამოსახულ სტრიქონებს უსინათლო მწერლის იძულება და მოქმედების სირთულე აჩნია. ცხადია, იმ უმძიმესი დღის ზუსტად და თანმიმდევრულად აღწერა პაოლოს ახალგაზრდობის მეგობრისთვის ღირსეული საქციელის ტოლფასი უნდა ყოფილიყო...

პაოლო იაშვილის უკანასკნელი დღე.

1937 წელი. ეს დღე უნდა გავიხსენო. მწერალთა კავშირში დაგვიბარეს. საღამოხანია. არც თუ ბევრნი ვართ. თავმჯდომარეობს კავშირის თავმჯდომარე შ. დემეტრაძე. აკაკი ბელიაშვილის საქმე უნდა გაირკვეს, ბრძანებაა. აკაკი ბელიაშვილს სადღაც ცუდად უხსენებია სტალინი. ბელიაშვილი შეშფოთებულია. თავმჯდომარემ სთხოვა, აღიაროს დანაშაული. ბრალდებული კატეგორიულად უარყოფს. დემეტრაძეს არ სჯერა და დაჟინებით მოითხოვს აღიარებას. დარბაზში სიჩუმეა. მხოლოდ ბელიაშვილის ხმა ისმის. აკაკი გამწარებულია და ცდილობს თავი დაიცვას.

მეოთხე თუ მეხუთე რიგში, გვერდიგვერდ ვზივართ: პაოლო იაშვილი, ალექსანდრე ქუთათელი და მე. პაოლო მიმართავს ქუთათელს, სიგარეტს სთხოვს. ქუთათელმა გაუწოდა და ჩუმად ეუბნება: სადამდე... პაოლო არაფერს პასუხობს. ბელიაშვილი ისევ და ისევ უარყოფს ბრალდებას, მაგრამ თავმჯდომარე არ ეშვება და ისევ კატეგორიულად მოითხოვს აღიაროს, გაიმეოროს, რა თქვა სტალინზე. ისევ და ისევ ნერვიული და გამწარებული ხმა ბელიაშვილისა. ბელიაშვილი მოითხოვს, თავმჯდომარემ გამოაცხადოს ის, ვისთანაც ულაპარაკია. დარბაზში ისევ სიჩუმეა. მხოლოდ ისევ და ისევ მოთხოვნა ისმის და ბელიაშვილის სასოწარკვეთილი ხმა. აკაკი სულ ერთსა და იმავეს მოითხოვს: სიცრუის მთქმელი ამხილოს დემეტრაძემ.

პაოლო ადგა, კარებისკენ წავიდა. ნელა მიაბიჯებდა და გავიდა. დარბაზში ისევ დემეტრაძის და ბელიაშვილის ხმა ისმის: გამოაცხადოს თავმჯდომარემ, ვინ არის ის, ვისთანაც უსაუბრია. დარბაზში ისევ სიჩუმეა. მხოლოდ ისევ და ისევ დემეტრაძის მუქარა ისმის და ბელიაშვილის სასოწარკვეთილი ხმა.

აღიარე! – ხმას უმატებს დემეტრაძე.


არაფერი მითქვამს და რა ვთქვა? ჭორი ვთქვა საკუთარ თავზე?

დარბაზში ისევ სიჩუმეა. ასე გაგრძელდა რამდენიმე წუთი.

უეცრად სროლის ძლიერი ხმა ისმის. ვინ გაისროლა?!.. რა მოხდა?!

ორიოდე წუთი და კივილი გაისმა. დარბაზიდან მხოლოდ ერთი კაცი, არ მინდა ვთქვა ვინ, გაიჭრა გასასვლელისაკენ. დარბაზში წამოდგნენ, მაგრამ არავინ გასულა. მოულოდნელად ის ახალგაზრდა, რომელიც რამდენიმე წუთის უკან გაიჭრა, შეშფოთებული შემობრუნდა დარბაზში და ყვირის: „თავი მოიკლა, პაოლომ თავი მოიკლა!“

რამდენიმე კაცი ამბის გასაგებად დარბაზიდან გავვარდით. საშინელება დავინახეთ: მეორე სართულზე, კედელთან ადამიანი იყო ჩამხობილივით [პაოლო]. გვერდით თოფი ეგდო. მემანქანეთა ოთახებიდან ტირილის ხმები ისმოდა. პაოლოს თავის ქალის უკანა ნაწილი იატაკზე ეგდო. სისხლი კედლებიდან მოწვეთავდა. პაოლოს თოფის ლულა პირში ჰქონდა გაჩხერილი. ზემოდან რომ ჩამოვედი, ტიციანი დავინახე. სახე დაფარული ჰქონდა ხელებით. დარბაზში მყოფნი ჩუმად ისხდნენ. ქუჩაში გასავლელი კარები დაკეტილი იყო. გასვლა ვერავის მოეხერხებინა. ქუჩაში მხოლოდ დემეტრაძე გავიდა.



სერგო ჯღიაშვილის ხელნაწერი: "პაოლო იაშვილის უკანასკნელი დღე"

ტელეფონით გაეგო დემეტრაძეს, რომ პირველი მდივანი ბერია პლეხანოვის პროსპექტზე მდებარე ბაღში, კონცერტზე იყო.

როგორც შემდეგ გავიგეთ, დემეტრაძე წასულიყო ბერიას სანახავად. დემეტრაძე შევიდა ბერიასთან ლოჟაში და მოახსენა პაოლოს თვითმკვლელობის ამბავი. ბერიამ მოისმინა და ცივად უთხრა: შენ რას ღელავ, მოიკლა და მოიკლა. რა მოხდა ასეთი. წადით.

გვიან ღამით გაგვიღეს კარი და გაგვიშვეს. ბერიასაგან დაბრუნებულმა დემეტრაძემ გაგვაფრთხილა, არსად გვეთქვა პაოლოს თვითმკვლელობის შესახებ. ამასთანავე წინადადება მოგვცა, ხვალ კავშირში მოვსულიყავით. დილაადრიან, ადრე, ვიდრე შენობა დახურული იქნება, უნდა მოხვიდეთო.

დავიშალენით. ხმაამოუღებლად გავეშურეთ სახლებისაკენ. არ მახსოვს, როგორ გავათენე ღამე.

მეორე დღეს მწერალთა კავშირში მოვიყარეთ თავი. პაოლოს გვამი შინ წაეღოთ...

თითქმის ყველანი მოსულიყვნენ. ჩურჩულებდნენ ჩუმად...

ვინ იყო დავით დემეტრაძე, რომელიც პრეზიდიუმის სხდომებზე სასტიკ, უნუგეშო მდგომარეობაში აყენებდა მწერლებს? მის მიერ ჩატარებული დაკითხვები და გამოტანილი ვერდიქტი უდანაშაულო მწერლებისათვის სასიკვდილო განაჩენს უდრიდა. მწერალთა კავშირში იგი პარტიის ცენტრალური კომიტეტის შტატიდან იყო მივლენილი, როგორც იდეური და უკომპრომისო მოღვაწე. მკვლევარ რევაზ კვერენჩხილაძის კრებულში „საბუთები ღაღადებენ" დავით დემეტრაძის ფოტოპორტრეტი სრულიად საპირისპიროდ, მოულოდნელ შთაბეჭდილებას ტოვებს: მისი მშვიდი, ოდნავ ნაღვლიანი სახე, გულუბრყვილოდ მომზირალი თვალები და მეოცნებე იერი ამგვარ კითხვას ბადებს: ნუთუ, სისასტიკე ასე შენიღბულია?.. არანაკლებ საგულისხმო აღმოჩნდა დავით დემეტრაძის შემდგომი ბედიც: ის, ალბათ, როგორც მრავლის მცოდნე და მოწმე, ხელისუფლებამ თავიდან მოიშორა და 1937 წლის 3 დეკემბერს შინსახკომის სამეულმა დახვრეტა მიუსაჯა. მალე, იმავე წლის 3 ოქტომბერს, დახვრიტეს მისი ტყუპისცალი ძმაც, რომელიც ასევე კომპარტიის თბილისის ცენტრალური კომიტეტის წევრი იყო.

სერგო კლდიაშვილის ნოსტალგიური, დაუმთავრებელი ჩანაწერი:

„...როგორ დაცარიელდა ჩემთვის გრიბოედოვის ქუჩა ტიციანის წაყვანის შემდგომ და ჯაფარიძის ქუჩა პაოლოს სიკვდილის მერე.

შემდეგ როგორ ვიტირე სიხარულისგან, როცა პირველივე გაზაფხულზე მათი აივნების წინ გაზრდილ ხეებზე კვირტები დავინახე...

– რა მოგივიდათ, – მომიახლოვდა გულისხმიერი გამვლელი.

– სიხარულისგან ვტირი, კეთილო ადამიანო, დიახ, სიხარულისგან. აყვავდნენ ის ხეები, მათ რომ უყვარდათ... დიახ, ყველაფერი არ დამთავრებულა..."


(ხელნაწერები დაცულია სერგო კლდიაშვილის ოჯახის არქივში)



ვაიერიან გაფრინდაშვიღი, მიხეიღ ჯავახიშვიღი, დავით დემეტრაძე, გერონტი ქიქოძე
დგანან: ირაკღი აბაშიძე, იღო მოსაშვიღი



ქართველი მწერლების ჯგუფი მწერალთა კავშირის ეზოში, 1938 წ.
ცენტრში სერგო კლდიაშვილი



სერგო კლდიაშვილის ხელნაწერი

პაოლო იაშვილი დამფუძნებელი პრების არჩევნებში

ხელნაწერი დოკუმენტი, რომელიც საქართველოს ეროვნულ არქივში ინახება, დაიწერა და გაფორმდა 1919 წლის საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების არჩევნებისთვის. ჯგუფი „ესთეტიური ლიგა პატრიოტებისა“ სარჩევნო სიაში ასე დაფიქსირდა: „ესთეტიური ლიგა, პატრიოტთა პარტია“ პარლამენტარიზმის ისტორიაში უცნობია ამგვარი სახელდების სხვა საარჩევნო სუბიექტი. მისი დამაარსებლები, მაშინაც კი საქართველოს მოსახლეობისთვის ცნობილი ადამიანები იყვნენ: 1. პაოლო იაშვილი, 2. იაკობ ნიკოლაძე, 3. პავლე ინგოროყვა, 4. ტიციან ტაბიძე, 5. ვლადიმერ (ლადო) გუდიაშვილი, 6. ალექსი (ალი) არსენიშვილი.

ხელნაწერ სიას ახლავს კანდიდატთა თანხმობა (ხელისმოწერით დადასტურებული) კენჭისყრაში მონაწილეობაზე.

ადვილი წარმოსადგენია პაოლო იაშვილის, იაკობ ნიკოლაძის, პავლე ინგოროყვას, ტიციან ტაბიძის, ლადო გუდიაშვილის და ალი არსენიშვილის მოტივაცია, უკვე პოლიტიკოსის რანგში, ხალხის და ქვეყნის სამსახურისთვის, მაგრამ საკითხავია, შეეძლოთ თუ არა მათ საკუთარი პოზიციის და გეგმების სრული რეალიზება და იყვნენ თუ არა სხვა პარტიებთან თანაბარი უფლებებით საკანდიდატო სიების განხილვისას და რაც მთავარია, ჰქონდათ თუ არა საზოგადოების მხარდაჭერა...

ცენტრალური საპარლამენტო კომისიის წინაშე, 1918 წლის 29 დეკემბერს, სიტყვით გამოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრი, სოციალ-დემოკრატი ნოე რამიშვილი და არჩევნების საუკეთესო დროდ 1919 წლის თებერვალი დაასახელა, რადგან იმავე წლის იანვარში იხსნებოდა ვერსალის კონფერენცია, სადაც საქართველო უნდა ეცნოთ, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა და სავარაუდოდ წარმოდგენილ ჩვენს დელეგაციას იურიდიული ლეგიტიმაცია სჭირდებოდა.

არჩევნებში მრავალი პარტია მონაწილეობდა. ისინი ასე დაინომრა: 1. სოციალ-დემოკრატიული პარტია, 2. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, 3. სოციალისტურ-რევოლუციური პარტია, 4. დაშნაკცუტუნის პარტია, 5. სოციალისტურ-ფედერაციული პარტია, 6. მუსულმანთა ეროვნული საბჭოს პარტია, 7. საქართველოს რადიკალურ-დემოკრატიული პარტია, 8. საქართველოს ეროვნული პარტია, 9. მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, 10. შოთა რუსთაველის ჯგუფის პარტია, 11. დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირი, 12. ბორჩალოს მაზრაში მცხოვრებ მუსლიმანთა კავშირი. მე-13 ნომრად რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია დასახელდა, ხოლო მე-14 ნომრად – ესთეტიური ლიგა, პატრიოტთა პარტია. არჩევნებში ასევე მონაწილეობდა საქართველოს ელინთა დემოკრატიული ჯგუფიც...

იმ პერიოდში ანუ 1919 წელს პაოლო იაშვილის ლიტერატურული და პიროვნული რეპუტაცია ჩამოყალიბებული გახლდათ: საზოგადოებისთვის ცნობილი პოეტი, პოპულარული ადამიანი, გარკვეულწილად სკანდალურიც... საფრანგეთიდან რამდენიმე წლის წინათ დაბრუნებულს, საკუთარი რედაქტორობით გამოცემული ჰქონდა ჟურნალი „ოქროს ვერძი“ (1913), სადაც ქართველ მწერალთა სხვადასხვა თაობის კონსოლიდაციას ცდილობდა და მოგვიანებით გამოსცა ჟურნალი „ცისფერი ყანწები“, სადაც ოდენ დეკლარაციულად, ემიჯნებოდა წარსულს, მხოლოდ მომავალზე ორიენტირებული. „პაოლო იაშვილს მომეწყინა ყვითელი დანტე,/ ვაქებდი შექსპირს, მაგრამ ფარდა, შექსპირს უარი/ რა ვქნა, რომ ჩემთვის ბეთხოვენი მხოლოდ ყრუ არის,/ და რომ წარსულმა ვერ გადმომცა მე ანდამატი“. ალბათ შეგვიძლია ისიც წარმოვიდგინოთ, რაოდენ სერიოზულ შთაბეჭდილებას დატოვებდა ამომრჩევლებში ამ სტრიქონების ავტორი საარჩევნო სუბიექტი.



1919 წ. დამფუძნებელი კრების სუბიექტის №14, „ესთეტიური ლიგა პატრიოტებისა“ საარჩევნო ბიულეტენი (ინახება ქ. ქუთაისში, ბ-ნ მერაბ ჯვიცარიძის კერძო კოლექციაში).

არჩევნების საბოლოო შედეგების მიხედვით, აშკარაა: იმდროინდელი ქართული საზოგადოება მოუმზადებელი აღმოჩნდა ელიარებინა და ნდობა გამოეცხადებინა ისეთი საარჩევნო სუბიექტისთვის, როგორიც გახლდათ „ესთეტიკური ლიგა პატრიოტებისა“. ამ ჯგუფის წევრები არ იყვნენ სათანადოდ აღქმულნი და დაფასებულნი. თექვსმეტი კანდიდატიდან პაოლო იაშვილის პარტიამ ყველაზე ნაკლები ხმა მიიღო.

ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა „სოციალ-დემოკრატიული პარტია“, 473 658 ხმით. კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი: დამფუძნებელი კრების არჩევნებამდე, 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია. ჩვენი სამშობლოს ნანატრი თავისუფლების ამ ფონზე, საქართველოში არსებულმა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ 839 ხმა მიიღო, ხოლო „ესთეტიკურმა ლიგამ, პატრიოტების პარტიამ“ – მხოლოდ 64... არადა, პაოლო იაშვილი დაახლოებით 250 000 ხმას მოელოდა და ამდენივე ბიულეტენის დაბეჭდვა მოინდომა. ალბათ ბევრი ფიქრის აღმძვრელია ეს ციფრები. უპირველესად იმდროინდელი საზოგადოების თუ მასების გემოვნების და „შორსმჭვრეტელობის“ გამომხატველი...

მცირე დარღვევებმა, როგორიც მუდამ და ყველგან ხდება, შედეგებზე არ იმოქმედა. როგორც მოგვიანებით დადგინდა და განიმარტა, 1919 წლის თებერვალში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, დამფუძნებელი კრება ნამდვილად იყო არჩეული საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრის შედეგად.

პაოლო იაშვილის, ლადო გუდიაშვილის, პავლე ინგოროყვას და ალი არსენიშვილის პარტია დამარცხდა ისე, როგორც მარცხდებოდა ესთეტიზმი და პატრიოტიზმი საქართველოში...

გამარჯვებულმა კი, მენშევიკ ნოე ჟორდანიას სოციალ-დემოკრატთა პარტიამ, რუსული სოციალიზმის და მუშათა კლასის დაცვა დაიწყო და სამოღვაწეო პრიორიტეტები განსაზღვრა. მთავრობის განკარგულებათა და კანონთა კრებულში რიგით პირველად ამგვარი პუნქტიც იკითხება: „კანონი სამეფო გვარეულობის წევრთა ქონების კონფისკაციისა. საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში მდებარე ყოველი ადგილ-მამული, რომელიც ეკუთვნოდა სამეფო საგვარეულოს წევრთ, როგორც დაბა-ქალაქში, აგრეთვე მათ გარეშე, ყოველგვარი შენობითა და სამეფო გვარეულობის წევრთა ყოველი მოძრავი ქონებით, გამოცხადდეს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონებად“

ხელს აწერენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

პაოლო იაშვილი – დამფუძნებელი კრების კომისიას:

„დამფუძნებელი კრების კომისიისადმი

„ესთეტიური ლიგა პატრიოტების“ ჯგუფის სახელით, გთხოვთ, დაბეჭდოთ 250 000 (ორას ორმოცდა ათი ათასი) ცალი ბიულეტენი მე-14 ნომრისთვის. 50 000 (ორმოცდა ათი ათასი) რუსულად, ხოლო 200 000 (ორასი ათასი) ქართულად. ადგილები, სადაც საჭიროა ბიულეტენების გაგზავნა, შემდეგ იქნება წარმოდგენილი.

ჯგუფის წარმომადგენელი პაოლო იაშვილი“

საარჩევნო სია „ესტეტიური დიგა პატრიოტებისა“:
1. პაოლო იაშვილი, 2. იაკობ ნიაღაძე, 3. პავლე ინგოროყვა, 4. ტიციან ტაბიძე,
5. ვლადიმერ გუდიაშვილი, 6. აღექსი არსენიშვილი. 1919 წ.
დადასტურებულია დიგის წევრთა ხელმოწერებით.
დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში

პაოლო იაშვილი – ეკატერინე გაბაშვილს

დიდად პატივცემულო ქ-ნ ეკატერინე!

მივიღე თქვენი ბარათი და დიდად შევწუხდი, რომ თქვენც ვერ აცდენილხართ იმ შევიწროებას, რომელსაც ამჟამად განიცდის ბევრი ჩვენი დამსახურებული მწერლები და მოღვაწენი. სახლის დაბრუნება უიმედო ფიქრია, რადგან ჯერჯერობით არავითარ გამონაკლისს არა აქვს ადგილი იმ მკაცრ გადაწყვეტილებებში, რომლებიც სახლის ჩამორთმევის მიმართულებით მიიღო ხელისუფლებამ. მე პირადად მივმართე ფ. მახარაძეს რამდენიმე მწერლის შესახებ და მან მწუხარებით გამომიცხადა, რომ სრულებით უძლურია რაიმე დახმარების აღმოჩენაში. მით უმეტეს, თქვენი სახლი 42 ოთახიანი ყოფილა და ვიმეორებ, ჯერჯერობით, მისი დაბრუნება დიდათ საძნელო და თითქმის შეუძლებელი იქნება. ყოველ შემთხვევაში მე თქვენი მდგომარეობა ავუხსნი ყველას, ვისთანაც მისაწვდომი მექნება და ცდას არ დავიშურებ. შეიძლება მოვახერხო ნაწილობრივ დაბრუნება. ფ. მახარაძე მოსკოვშია, ჩამოვა სამი კვირის შემდეგ. ჩამოსვლისთანავე ვინახულებ და შევეცდები. რაც შეეხება სახლის გადასახადებს, იმედი მაქვს, სრულებით მოვახსნევინებ. აგრეთვე მივიღებ ზომებს, რომ სამსახურში მოეწყონ თქვენი ოჯახის წევრები. იმედი მაქვს, რომ შევძლებ ცოტათი მაინც შევამსუბუქო თქვენი მძიმე ნივთიერი მდგომარეობა, რაც ძლიერ მაღონებს, როგორც თქვენი პიროვნებისა და შემოქმედების უდიდეს პატივისმცემელს და მოყვარულს.

მუდამ სიხარულით თქვენი ერთგული მოსამსახურე პაოლო იაშვილი

23.VIII.

ცნობილია პაოლო იაშვილის განსაკუთრებული უნარი: გულწრფელი ყურადღების გამოჩენა ადამიანთა მიმართ. ზოგჯერ შეუძლებლის შესაძლებლად გადაქცევის სურვილი მისი პიროვნული პორტრეტის გამორჩეული შტრიხია. მაგალითისთვის: „ცისფერყანწელთა“ თაყვანისმცემელმა, პოეტმა ნინო თარიშვილმა, თავის უკანასკნელ ინტერვიუში, რომელიც ჩვენ 1989 წელს ჩავიწერეთ, დიდი სიყვარულით და მადლიერებით მოიხსენია პაოლო იაშვილი და ეს ამბავიც გვიამბო: „1924 წელს უნივერსიტეტიდან გარიცხეს თავადიშვილები: ერეკლე აბაშიძე, მაგდა ამილახვარი და მეც მიმაყოლეს. მე თავადიშვილი არ ვარ, მაგრამ შენ ლექსისთვის გაგრიცხესო, – მითხრეს... ლექსის „არავინ მოდის“ შინაარსი, პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, იმ დროის განწყობილებას გამოხატავდა... გაიგო ეს პაოლო იაშვილმა, წამიყვანა განათლების კომისარიატში, მარიამ ორახელაშვილთან და დიდი მეცადინეობის მერე აღადგენინა ჩემი თავი“

პაოლო ზრუნავდა მწერალთა წიგნების პოპულარიზაციისთვის, მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისთვის... ცხადია, არა მარტო მეგობარი მწერლების...

ირაკლი აბაშიძე მოგონებათა წიგნში „ზარები ოცდაათიანი წლებიდან“ განმარტავს, რომ 1921 წელს სარაჯიშვილების (შემდგომ ხოშტარიას) სახლის ქართველი მწერლებისთვის გადაცემა მოხდა „ერთპიროვნულად პაოლო იაშვილის ძალისხმევით“.

ამავე შენობაშივე დასახლდნენ იმ პერიოდში უბინაოდ დარჩენილი მწერლებიც. მათ შორის, გალაკტიონ ტაბიძეც... გალაკტიონის უბის წიგნაკიდან: „მე დროებით ვცხოვრობ აქ. მიმიღეს სიმპატიურად“

ხელნაწერი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში

მწერალი ეკატერინე გაბაშვილი, რომელსაც 1911 წელს ქართულმა საზოგადოებამ დიდი პატივით გადაუხადა დაბადების 60 წლის იუბილე და სცენაზე აკაკი წერეთელთან ერთად გამოვიდა, პაოლოსთვის ნამდვილი პიეტეტის საგანი გახლდათ. ამავდროულად ეკატერინე გაბაშვილი ცნობილი პოლიტიკოსის და მემუარისტის, რეზო გაბაშვილის დედა გახლდათ და ლეგენდარული მარო მაყაშვილის ბებია... „ცისფერყანწელები“ ცდილობდნენ ამ ოჯახისადმი პატივისცემა გამოეხატათ ისე, როგორც არისტოკრატიის წარმავალი კლასი იმსახურებდა.

თვადაზნაურობა, როგორც კლასი, გაუქმებული ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, რა თქმა უნდა, 1921 წლის ანექსიის მერეც უმძიმეს მდგომარეობაში იყო. ამავე დროს წინაპართაგან მათთვის გადაცემული მემკვიდრეობა, ოფიციალური კანონით, ჩამორთმევას ექვემდებარებოდა.

პაოლო იაშვილი ცდილობდა შუამავლად დამდგარიყო ქართველი მწერლების, მხატვრების თუ მეცნიერების წარმომადგენლებსა და ხელისუფლებას შორის... ცდილობდა თავისი კონტაქტებით, დიპლომატიით, ავტორიტეტით... მტკივნეულად განიცდიდა, როცა რამეს ვერ ახერხებდა... და თავიდან ერთვებოდა ამ „ბრძოლაში“...

მხცოვანი მწერალი ეკატერინე გაბაშვილიც ცხადია, ამიტომაც მიმართავს დახმარებისთვის პაოლოს, რომლისგანაც გულწრფელ პასუხს ელის... საპასუხო მცდელობაც არ აყოვნებს და წერილის დასასრულს მინაწერიც: „მუდამ სიხარულით თქვენი ერთგული მოსამსახურე პაოლო იაშვილი“.



თბილისი, რუსთაველის გამზირი. 1921 წ.



პაოლო იაშვილი



ვლადიმერ ჯიქია

პაოლო იაშვილი და ვლადიმერ ჯიქიას საქმე


„ჯერ კიდევ გიმნაზიაში ჯიქია რაინდად მიგვაჩნდა. ის ძლიერი კაცი იყო“ (პაოლო იაშვილის გამოსვლიდან საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის 1937 წლის 27 მაისის სხდომაზე).

საგულისხმო დეტალი სანდრო ახმეტელის დაკითხვის ოქმიდან:

კითხვა: ჩამოთვალეთ ვლადიმერ ჯიქიას უახლოესი კავშირები თბილისში.

პასუხი: ვლადიმერ ჯიქიას ახლო მყოფი პიროვნებებიდან შემიძლია დავასახელო: პაოლო იაშვილი, ზოზო ნანეიშვილი, გიორგი ელიავა, კონსტანტინე გამსახურდია, ტიციან ტაბიძე... მამაკაცების მეგობრობას მათი ცოლები აძლიერებდნენ. ისინი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ერთმანეთთან...

დაკითხვა შედგა 1937 წლის 6 თებერვალს, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამხედრო კომისარიატში. საქმეს აწარმოებდა სახელმწიფო უშიშროების მაიორი მხეიძე.



პეტრე ოცხელი, "რიონჰესი"

ძნელია წარმოდგნა იმ ფსიქოლოგირი სტრესის, რასაც პატიმარი დაკითხვის დროს განიცდის ან რა ემოციური წინამძღვრები წარმართავს მის სახელდახელოდ ჩამოყალიბებულ პასუხებს, მაგრამ პატიმარი რომ აქ პირველ რიგში პაოლო იაშვილს ასახელებს, არ უნდა იყოს შემთხვევითი. ვლადიმერ ჯიქია და პაოლო იაშვილი მართლაც, უახლოესი ადამიანები იყვნენ, რომელთაც პირადი მეგობრობის გარდა საქმიანი კავშირებიც ჰქონდათ.


ვლადიმერ ჯიქია ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1913 წელს პეტერბურგში გაემგზავრა. ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე სწავლის პარალელურად ტექნოლოგიურ ინსტიტუტში ინჟინერ-ენერგეტიკოსის სპეციალობას ეუფლებოდა და საარტილერიო სასწაელებელში სამხედრო საქმეს. 24 წლის ვლადიმერ ჯიქია პეტროგრადის საოლქო სამხედრო სასწავლებლის კომისრად დაინიშნა, შემდგომ კი პეტროგრადის სამხედრო კომისრად. 1922 წელს აგზავნიან საქართველოში სამხედრო-საზღვაო საქმეთა კომისრად და ამიერკავკასიის სამხედრო სასწავლებლის უფროსად.

ჯიქიას უპირველესი სამხედრო იდეალი ქართული ჯარის ჩამოყალიბება გახლდათ, რაც სანდრო ახმეტელის დაკითხვაშიც გამჟღავნდა:

კითხვა: ატარებდა თუ არა ვლადიმერ ჯიქია თქვენს მიერ ჩამოთვლილი მეგობრების თანდასწრებით ანტისაბჭოთა საუბრებს?

პატიმარ სანდრო ახმეტელის პასუხი: ვლადიმერ ჯიქიას ხასიათის ძირითად თვისებად ვთვლი მის მაღალ პატრიოტიზმს, რასაც სავსებით ღიად და გაბედულად გამოხატავდა. იგი დაუფარავად საუბრობდა ქართული ეროვნული არმიის შექმნის აუცილებლობაზე.

ვლადიმერ (ვალოდია) ჯიქია საქართველოში რიონჰესისა და ხრამჰესის მშენებლობების ხელმძღვანელი გახდა და პაოლო იაშვილის ავტორიტეტს, ენერგიას და მეგობრული თავდადების უნარსაც იყენებს ამ საქმის წარმატებისთვის...



დავით ჯაჯაბაძე, "რიონჰესი", 1933 წ.

ირაკლი აბაშიძე იგონებს: „იმ წლებში ქუთაისში ორი დიდი ამბავი ხდებოდა: რიონჰესის მშენებლობა და კოტე მარჯანიშვილის თეატრის ახალი და ახალი სპექტაკლების ელვარება. ეს ორივე მოვლენა მთელ საქართველოს იზიდავდა. ქართველი მწერლებიც ქუთაისის ხშირი სტუმრები იყვნენ... ვლადიმერ ჯიქიას, პაოლო იაშვილის და ტიციანის მეგობრობამ განაპირობა მათი საბოლოო ბედ-იღბალიც. ისინი ერთად დაიღუპნენ"


საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სხდომები თუ პარტორგანიზაციის კრებები ხალხის მტრების სრულ „მხილებას" ისახავდა მიზნად.

1937 წლის 23 იანვრის კრების ოქმი, რომელიც ქართველ საბჭოთა მწერალთა პოზიციას „გამოხატავს", მხურვალედ ესალმება ლენინური პარტიის ბელადებს: „საბჭოთა მწერლობა მზად არის, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, რკინის კედლად შემოევლოს დიდ ბელადს, მის საუკეთესო თანამებრძოლებს!..." „ამავდროულად დამსწრეთ ერთდროულად მოითხოვეს ტროცკისტ-ზინოვიელთა ქართველი ნაძირალების, ჯაშუშთა და მოღალატეთა ბანდის: (ბ. მდივანი, მ. ოკუჯავა, ვ. ჯიქია, მ. ტოროშელიძე) გაცამტვერება"

1937 წელი, 6 ივნისი. საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომის ოქმიდან:

„ს. ეული: (პ. იაშვილს) დანაშაული ის არის, რომ თქვენ იცოდით რაღაც და არ გაამჟღავნეთ. შეიძლებოდა თუ არა, რომ საბჭოთა მწერალს, რომელსაც უმაღლესი ჯილდო აქვს მიღებული სახელმწიფოსგან, დახმარება არ გაეწია პარტიისთვის, რომ ეს მავნებლური კაცი ემხილებინა".


დასკვნები ერთმნიშვნელოვანი იყო: „იაშვილი ჩავარდა ხალხის მტრის კლანჭებში." მან ეს იცოდა და დაუმალა პარტიას... საბოლოოდ, იაშვილი თავად „აღმოჩნდა" „ხალხის მტერიც, პროვოკატორიც და მავნებელიც"...



პაოლო იაშვილის ხელნაწერი
ინახება ვ. ჯიქიას ოჯახის არქივში

1937 წლის 21 მაისის პარტორგანიზაციის კრების ოქმშიც არერთგზის მოხსენიებულია ვლადიმერ ჯიქიასა და „ცისფერყანწელების“ საეჭვო ალიანსი: „ყანწელები“ დაკავშირებულნი იყვნენ აღნიაშვილთან, ჯიქიასთან...“ „ყანწელების ჯგუფის განადგურება უსათუოდ საჭიროა!..“ „ყანწელები ყველგან ძვრებიან. საიუბილეო ღონისძიებებში, რედკოლეგიებში. საჭიროა დავუპირისპიროთ მათ მოქმედებას ჩვენი ორგანიზაციული მუშაობა!“

ვლადიმერ ჯიქიას უფროსი ქალიშვილის, ნანა ჯიქიას მონათხრობიდან: „რიონჰესის მშენებლობის პერიოდში მამა აქტიურად იყო ჩაბმული დაწყებული საქმის ყველა ეტაპზე. სამშენებლო მასალების მოსაპოვებლად თუ სხვა საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად პაოლო რამდენიმეჯერ გაემგზავრა მოსკოვში, სადაც ასევე შეხვედრები ჰქონდა საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისართან, სერგო ორჯონიკიძესთან და საქართველოს პარტიის კომიტეტის მდივანთან, ლევან ღოღობერიძესთან. იმ დროს პაოლო, ძალიან პოპულარული და ყველასთვის საყვარელი პოეტი იყო და ცდილობდა საკუთარი ავტორიტეტი და ფართო ნაცნობობა კარგი საქმეების რეალიზაციისთვის გამოეყენებინა. სხვადასხვა ფორმით ეხმარებოდა ჰესის მშენებლობასაც. როდესაც ჯიქიას მუშახელი დააკლდა, პაოლო დამხმარედ 300 არგვეთელი ვაჟკაცის (სამასი არაგველის ანალოგიით) ქუთაისში ჩაყვანას შეპირდა და შეასრულა კიდეც. ამ გახმაურებულ ფაქტს მიეძღვნა პაოლო იაშვილის ვრცელი ლექსი: „სამასი არგვეთელი“.



რიონჰესი, 1933 წ.

ტიციან ტაბიძე – პაოლო იაშვილს, 7 სექტემბერი, 1933 წელი. თბილისი.

„ვალოდია ჯიქიასგან იმ დღეებში არ ვიცი რაიმე ახალი. ისე ამას წინათ იყო თბილისში და ჩემთან შემოიარა. მთელი ღამე შენზე მელაპარაკებოდა. დაგვპატიჟა მე და ახმეტელი ქუთაისში, მაგრამ ჯერ ქუთაისში წასვლას ვერ ვახერხებთ. გიცდით, შენ ჩამოხვიდე. გახსნა მაინც ნოემბრამდე არ იქნება“

პაოლო იაშვილი – ტიციან ტაბიძეს, 13 სექტემბერი, 1933 წელი. მოსკოვი.

„ვცხოვრობ მოწყენილად. ვაკვდები სამგორს და მხოლოდ ხანდახან გამკრავს ძველი სხივი მელექსეობის. ალბათ მალე გამოგიგზავნი „სამასი არგვეთელის“ გაგრძელებას... აქ რადიოში წამაკითხეს რამდენიმე ლექსი. „300 არგვეთელი მოსკოვის ქუჩებში თურმე „არულივით“ ისმოდა, როგორც ამბობენ აქაური ქართველები“...

ჯიქიების საოჯახო არქივში პაოლო იაშვილის ვლადიმერ ჯიქიასადმი გაგზავნილი წერილის პატარა, გაცრეცილი ფრაგმენტია და სწორედ პოეტის მოსკოვურ ვოიაჟებს ეხება. იმ დროს, 1930-1934 წლებში, წერილის ერთ-ერთი პერსონაჟი, ლევან ღოღობერიძე სწავლობდა მოსკოვის ე.წ. წითელი პროფესურის ინსტიტუტში. ხელნაწერში მოხსენიებული „სერგო“ – ეს სერგო ორჯონიკიძეა, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარი, პოლიტბიუროს წევრი.

„დღეს სერგო წავიდა კისლოვოდსკში. ლევანი იყო მასთან და სერგომ კიდევ ერთხელ დაჰპირდა ამ საქმის მოგვარება. ჩემის ფიქრით, ლევანს უნდა დაავალო აქ სამგორის ოფიციალური მედროშეობა. ველი შენგან დასტურს ამ საკითხის შესახებ. შეიძლება ერთი კვირით ჩამოვიდე ტფილისში ჩემი საქმეების გამო“...



პაოლო იაშვილი თბილისის სადგურზე, 1936 წ.


პაოლოს ბიოგრაფიის, მისი ცხოვრების მთავარი მახასიათებელი ალბათ ის საოცარი ენერგიაა, რამაც განსაზღვრა „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებითი რენომეც, მათი პერიოდიკის გამოცემები თუ ათიანი წლების ლიტერატურული ბოჰემა და მერეც, იაშვილი მუდამ ავანგარდში, ლიდერულ როლშია... მას უკავშირდება თეატრშიც, კორპორაცია „დურუჯის“ კონფლიქტების მოგვარების მცდელობა (სხვათა შორის, დურუჯელთა შორის იყო ახალგაზრდობაშივე დაღუპული, ძალიან ნიჭიერი მსახიობი ვეჩე ჯიქიაც, ვლადიმერ ჯიქიას უმცროსი ძმა); აქტიურად მონაწილეობდა იმ დროს განხორციელებული ყველა ქართული საქმის დაწყებასა თუ დასრულებაში... სარაჯიშვილის ყოფილი სახლის გადაცემაც მწერლებისთვის პაოლოს დიდი მცდელობის შედეგია... თავის თავზე იღებდა უცხოელთა მასპინძლობას თუ სამშობლოს ნამდვილ ფასეულობათა პროპაგანდას საქართველოს ფარგლებს გარეთაც... მას ჰქონდა ცხოვრების უჩვეულოდ აჩქარებული რიტმი. თითქოს, ცდილობდა ყველაფერი იმაზე ჩქარა მოესწრო, ვიდრე შესაძლებელი იყო. პაოლო იაშვილის მუშაობა ენერგეტიკოს ვლადიმერ ჯიქიასთან, აქტიური ჩაბმა საქართველოს ენერგეტიკის მომავლისთვის, მისივე ხასიათიდან იყო გამომდინარე.

„დარდიმანდი და ოქროპირი, მომლხენი, რომელიც მოხდენილ სიტყვებს უხვად ფანტავდა, შეუდარებელი თამადა, სუფრის მშვენება – ასეთი იყო პაოლო ცხოვრებაში“ (შალვა აფხაიძე).

„ნაღმიანი სიტყვის პოეტი, გაბედული მხატვარი, ვაჟკაცური ხმის პატრონი, პატრიოტი, დაუდგრომელი, ლაღი, გულითადი, მეგობრობაშიც გულუხვი, ოპტიმისტი, სიცოცხლის სტიქიით აღსავსე, ამხანაგებისთვის და სხვებისთვისაც „გაჭირვების ტალკვესი“ (გიორგი ლეონიძე).

„მეტისმეტად ხმაურობ, შვილო, მეტისმეტად!“ (პაოლოს მამა ჯიბრაელ იაშვილი).

1937 წლის მაისში პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომებზე წარმოთქმული ლავრენტი ბერიას სიტყვების ციტირება განუწყვეტლივ ხდებოდა პრესაშიც, ზეპირ საუბრებშიც...



რიონჰესის მშენებლობა

„ქართველ მწერლებსა და ხელოვნების მუშაკთა შორის არიან ცალკეული პირები, რომლებმაც უნდა გადასინჯონ თავიანთი კავშირურთიერთობა ქართველი ხალხის მტრებთან: აღნიაშვილთან, ლომინაძესთან, ჯიქიასთან, ელიავასთან და სხვებთან... პავლე იაშვილმა, რომელიც უკვე ორმოცზე მეტი წლისაა, დროა ჭკუა ისწავლოს. სიკეთე არ მოჰყვება მის ნავარდს ლომინაძისაგან ჯიქიასკენ, ჯიქიასაგან აღნიაშვილისკენ, ღოღობერიძისაგან ლომინაძისკენ და ბოლოს, ელიავას კლანჭებში...“

იმ პერიოდში ვლადიმერ ჯიქია, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლევან ღოღობერიძე, ცნობილი ექიმი, ბაქტერიოლოგი გიორგი ელიავა და ცნობილი პარტიული მოღვაწე ბესარიონ ლომინაძე ბერიას მიერ შერისხულნი აღმოჩდნენ.

თუმცა, იქამდეც, პაოლო იაშვილი ეჭვმიტანილთა სიაში იყო შეტანილი. რეპრესიების წლების და რეპრესირებულთა ბიოგრაფიების ცნობილ მკვლევარს, რეზო კვერენჩხილაძეს მოხმობილი აქვს საბუთი უშიშროების არქივიდან (ფორმულარი №971-51), რომლის მიხედვითაც, პაოლო იაშვილზე თვალთვალი 1929 წლიდანაა დაწესებული. სპეციალური აგენტი, შერქმეული სახელით, „კრიტიკოსი“, პოეტის შესახებ სისტემატურად აწვდიდა ცნობებს შინსახკომს.

პაოლო თავის გამოსვლებში რამდენჯერმე შეეცადა სტალინის და ბერიას გაკვალულ რაღაც „ახალ გზაზე“ ეთქვა რამდენიმე სიტყვა, მაგრამ სრულიად უშედეგოდ... პარალელურად ვლადიმერ ჯიქიას ღვაწლსა და უნარიანობაზეც ჩამოაგდო სიტყვა... ასეთი პარალელები შეუთავსებელი გახლდათ.

სტალინზე წერა და სტალინის ციტირება, არა მარტო ქართულ მწერლობაში, მასიურად 1934 წლიდან დაიწყო. თითქმის არ დარჩენილა სიტყვის ოსტატი ამ თემაზე რეაგირების გარეშე. 1936

წლის გაზეთ „იზვესტიაში“ გამოქვეყნდა ეპოქის ე. წ. შემოქმედებითი სინდისის, უკომპრომისო, გაბედულ მწერლად აღიარებული ბორის პასტერნაკის ლექსიც სტალინზე:

„Судьба дала ему уделом
Предшествующего пробел.
Он — то что снилось самым смелым,
Но до него никто не смел“

ძნელია ამ სტრიქონებში ლექსის დიდოსტატის ხელწერა არ დაინახო... მაგრამ ასევე ძნელია გამოიცნო ეს გულწრფელობაა თუ ლიტერატურული კომპრომისი, რაც იმ წლებში სრულიად ტიპიური იყო. ეს დღევანდელი გადასახედიდან შესაძლოა, გაუგებრობადაც აღიქმება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩვენ იმ საშინელ ეპოქაში არ ვიმყოფებით.

„ოციანი წლების ბოლოსთვის, ოცდაათიანი წლების დასაწყისისთვის მწერლობის „პოლიტიზაცია“, შეიძლება ითქვას, უკვე დამთავრებული იყო“, – განმარტავს ირაკლი აბაშიძე მოგონებათა წიგნში „ზარები ოცდაათიანი წლებიდან“, – „არა მარტო დამთავრებული, არამედ შორს წასულიც, შიშველ პოლიტიკაში შეჭრილიც და ორგანიზაციულ კინკლაობაში გადასულიც... ოცდაათიანი წლები საქართველოს პოლიტიკურ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში სწორედ რომ საბედისწეროდ დაიწყო და წარიმართა. დიქტატურის გზაზე წასულმა ქვეყანამ ადგილებზეც ასევე დიქტატორები წამოსწია რესპუბლიკის სათავეში... ქართული მწერლობაც ჩაერთო „ინტერნაციონალური მოვალეობის“ შესრულების საქმეში... „ხალხის მტერი“ – ამ ძველი, ვერაგული იარლიყის ადამიანებზე მიწებება ჩვენში ოცდაათიანი წლებიდან დაიწყო...“ მიუხედავად პაოლო იაშვილის „აღიარებისა“, რომ მზად არის საბჭოთა ხელმძღვანელობის შენიშვნები გაითვალისწინოს, ოფიციალური პირების აგრესია მისდამი კიდევ უფრო იზრდებოდა. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სამდღიანი სხდომის დასასრულს კრების თავმჯდომარე დავით დემეტრაძე მუქარაზე გადავიდა: „ამხანაგების გამოსვლა დამაკმაყოფილებელი არ იყო და ჩვენ ვსვამთ საკითხს: „ან ამხანაგები ლაპარაკობენ ბოლომდე ან ვინც არ დააკმაყოფილებს ჩვენი აქტივის მოთხოვნებს, უნდა დავსვათ საკითხი მათი მწერალთა რიგებში დარჩენის შესახებ!..“

მწერალთა რიგებიდან გარიცხვა ფიზიკური განადგურების განაჩენის ტოლფასი გახლდათ.

პაოლო სხდომაზე რამდენჯერმე წამოდგა. ის ამბობდა: „მე პოლიტიკური დასკვნები უკვე გავაკეთე“... მაგრამ მის ვითომდა საბოდიშო სიტყვებს არ ენდობოდნენ. გაკიცხვის და დაგმობის სამი სხდომის შედეგი პარტიულ პრესაში ასე შეფასდა: „ყველასთვის ცხადი შეიქნა პ. იაშვილის სიტყვების შემდეგ, რომ მან უფრო მეტი იცის, ვიდრე ამბობს. პაოლო იაშვილი ცდილობს მწერალთა საზოგადოებას თავი დიდ საქმის კაცად მოაჩვენოს, რომელსაც თითქოს დასახმარებლად მიმართავდნენ ბ. ლომინაძე, ვ. ჯიქია და სხვები. მე ვიყავი ის, რომელმაც წესრიგი დავამყარე მენშევიკების გაქცევის შემდეგო... მე მივეშველე რიონჰესს, მუშახელი შევუგროვეო. მე დამაკისრეს მოსკოვში სამგორის პრობლემის პრაქტიკული მოგვარებაო. საკითხავია, რატომ მაინც და მაინც პ. იაშვილს მიმართავდნენ ხალხის დაუძინებელი მტრები?!“

„ხალხის დაუძინებელ მტრებში“ ვლადიმერ ჯიქიაც იგულისხმებოდა, რომელიც როგორც მეგობარს და საქმის კაცს, ბოლომდე ენდობოდა პაოლო იაშვილს.

პაოლო იაშვილის ვლადიმერ ჯიქიასადმი გაგზავნილი წერილის ფრაგმენტში მოხსენიებულია ლევან ღოღობერიძეც, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი. 1930–1934 წლებში, მაშინ, როცა მოსკოვში პაოლო იაშვილი ვლადიმერ ჯიქიას მშენებლობების საქმეებს აგვარებდა, ღოღობერიძე მოსკოვში იმაღლებდა პარტიულ კვალიფიკაციას. როგორც პაოლოს პირადი წერილებიდან ირკვევა, მათი ოჯახებიც კარგად იცნობდნენ ერთმანეთს.



მემორიალური მაგიდა ჯიქიების სახლში

პაოლოს ბარათიდან შვილს, მედეა იაშვილს: „ამ ბარათს მოგიტანს სალომე ყანჩელი, ჩემი მეგობარი, რომელიც ხშირად იყო ჩემთან და ძალიან კარგი ბავშვია. შენ მას უნდა დაუმეგობრდე. ჭკვიანი და ნიჭიერია. აქ არის ახლა ლანიკო ღოღობერიძე, ბიძია ლევანის ბავშვი. მე ის ძალიან მიყვარს და ხშირად ვართ ერთად. შენ ხომ იცი, მე ბავშვები ძალიან მიყვარს. ჭკვიანი და კარგი ბავშვები, მით უმეტეს... სალომე და ლანიკო რამოდენიმედ მიმსუბუქებდნენ აქ უშენობას“

პაოლო დიპლომატიური სვლებით, ალბათ უფრო დიპლომატიური სიტყვებით ცდილობდა, გავლენიანი სერგო ორჯონიკიძის დახმარებითაც, დროულად მოეგვარებინა სამგორთან და რიონჰესთან დაკავშირებული პრობლემები. სერგო ორჯონიკიძე, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარი, იმ წლებში პოლიტბიუროს წევრიც იყო. პაოლო სახალხო კომისართან მოლაპარაკების დეტალებს ჯიქიასთან განიხილავდა. რიონჰესის მშენებლობის წარმატებული ფინალი პაოლო იაშვილის დაუღალავ მცდელობებსაც უნდა მივაწეროთ.

ის ცნობილი ისტორია, რომელიც ჯიქიასა და ბერიას მოპირდაპირე აივნებზე გათამაშდა, სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ინტერპრეტაციით გამოქვეყნდა. ამიტომ დეტალების დაზუსტება ვლადიმერ ჯიქიას უფროს ქალიშვილს ნანა ჯიქიას ვთხოვეთ: „ეს იყო 1936 წლის 11 ნოემბერი. მოქმედების ადგილი – ჩვენი სახლის მესამე სართული. ყორღანოვის ქუჩა, ნომერი 11 (ამჟამად ქიაჩელის №11). იმ დღეებში მე ოთხი წელი მისრულდებოდა, ჩემს დას, მარინა ჯიქიას ორწელიწადნახევარი... რაღაც დეტალები ჩემმა ბავშვურმა მეხსიერებამაც დაიმახსოვრა. უფრო დაწვრილებით, მოგვიანებით, დედის მონათხრობიდან გავიგე... ჩვენი ბინის სასტუმრო ოთახში დიდი, მრგვალი მაგიდა იდგა, ზემოდან დაშვებული ნაჭრის ლამაზი, ხელნაკეთი ჭაღით. სანამ იმდღევანდელი სტუმრები: კონსტანტინე გამსახურდია, პაოლო იაშვილი, გოგი ელიავა და სანდრო ახმეტელი თავიანთ ადგილებს დაიკავებდნენ, მახსოვს, ძია გოგომ, ცნობილმა ექიმმა, ჩემი უმცროსი და მარინა ამ მაგიდაზე დააწვინა და პატარა ნემსი (აცრისთვის) გაუკეთა. მახსოვს, სტუმრები ბავშვებს განსაკუთრებული სითბოთი გვექცეოდნენ... იმ დღეს ჩვენი ოჯახის სტუმ-

რები, მამაჩემთან ერთად, მრგვალი მაგიდის გარშემო ისხდნენ. მერე წამოდგნენ და პაპიროსის მოსანევად აივანზე გავიდნენ. მოპირდაპირე სახლის აივანი ბერიას ეკუთვნოდა. ბევრს უნახავს იგი, იმ აივნიდან მომზირალი... ბერიას გვერდით ცხოვრობდა მისივე მოადგილე რაფავა, რომელიც მაშინ ჩვენთან მოვიდა (როგორც ჩანს, ბერიამ გამოაგზავნა). რაფავა მამას ესაუბრებოდა არა როგორც თანამდებობის პირი, არამედ როგორც მეგრელი მეგრელს. ამიტომაც მაშინ რაფავაც სტუმართა შორის აღმოჩნდა. იმ მომენტში ყველანი ისევ აივანზე იყვნენ გამოსულნი, როცა ბერიამ მოპირდაპირე აივნიდან ვლადიმერ ჯიქია თავისთან მიიპატიჟა.

– როგორ მოვიდე, სტუმრები მყავს და შენ თვითონ მოდიო, – უპასუხა მამამ. მაშინ ბერიამ ხელი ახმეტელისკენ გაიშვირა: „სადაც მაგ არის, იქ მე არ მოვალ!"

სანდრო ახმეტელი უეცრად აენთო და ბერიას ქიზიყურად, ხმამაღლა შეაგინა. ჩვენი სტუმრები აღელვებულნი იყვნენ. ახმეტელი არ ცხრებოდა. მაშინ კონსტანტინე გამსახურდიამ სცადა სიტუაციის განმუხტვა, თქვა: მთავრობის ხელმძღვანელზე არ ეგებისო ასეთი სიტყვების ხმარება... რაფავა მაშინვე წავიდა... დღემდე ხმები დადის, რომ სუფრის რომელიღაც წევრმა მიუტანა ბერიას ამბავი. დიახ, მიუტანა, მაგრამ არა ჩვენიანმა... ის იყო მაშინდელი შემოსწრებული სტუმარი, აქვსენტი (ჭიჭიკო) რაფავა, ამიერკავკასიის სფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე. მან ამით სამსახურეობრივი მოვალეობა შეასრულა. ყორღანოვის ქუჩის ეპიზოდი, როგორც მერე გაირკვა, იყო ერთ-ერთი ბრალდება, ახმეტელის დაპატიმრების საქმეში შეტანილი... ყველაფერი იცვლება ცხოვრებაში... როლებიც, ბედიც... აქვსენტი რაფავა, საბჭოთა კავშირის შსკის სამეულის წევრი, 1955 წელს გასამართლდა 58-1 და 58-8 მუხლებით და დახვრეტა მიესაჯა. რეაბილიტირებული არ არის... ჩვენი ოჯახის იმდღევანდელ სტუმართაგან დაიხვრიტა ვლადიმერ ჯიქია, ტიციან ტაბიძე, გიორგი ელიავა. მრავალი წლის მერე თვით რაფავაც... პაოლო იაშვილმა სასოწარკვეთილმა, პროტესტის ნიშნად თავი მოიკლა... ტიციან ტაბიძეს უთქვამს: „ვლადიმერ ჯიქიას ბიოგრაფია ჩვენი თაობის ბიოგრაფიაცაა..." ის მამას უახლოესი მეგობარი იყო და ამიტომაც შეეძლო ასე ეთქვა"

დრო გადის და დაკითხვებზე ნათქვამი სიტყვები განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს. ეპითეტები (ნაციონალისტი, დამოუკიდებლობის და ქართული ჯარის შექმნის მოსურნე...), რომლებიც ოცდაათიან წლებში უმძიმესი ბრალდების და დახვრეტის საბაბი შეიძლებოდა გამხდარიყო, დღეს დადებით კონტექსტში აღიქმება, მაგრამ მაშინ ადამიანის გაწირვას უდრიდა... მწერალი ლიდა გასვიანი მრავალდღიანი ძალადობრივი დაკითხვების შემდეგ, ფსიქოლოგიურად და მორალურად დათრგუნვილი, 1937 წლის 17 იანვარს შინსახკომის გამომძიებელს ჩვენებას აძლევს... უშიშროების კომიტეტის არქივიდან ეს დოკუმენტიც გაასაჯაროვა ბატონმა რევაზ კვერენჩხილაძემ:

„კითხვა: ვინ არის ჯიქია?

პასუხი: ერთ-ერთი ყველაზე აგრესიული ნაციონალისტი და მიაჩნია, რომ ქართველმა ნაციონალ-უკლონისტებმა გადამწყვეტი და შეურიგებელი ბრძოლა უნდა გააჩაღონ საქართველოდან წითელი არმიის გაყვანისათვის. ყველაზე უფრო უკიდურესად ნაციონალისტმა, ფაშისტური განწყობის მწერალმა გამსახურდიამ ჩემთან საუბარში აღტაცებით დაახასიათა ჯიქია. ის ამბობდა: „ჯიქია ნამდვილი ქართველი პატრიოტი და ნაციონალისტია. აი, როგორი ბელადები გვჭირდება ჩვენ!" გამსახურდია მეუბნებოდა, რომ ის ხშირად ხვდება ჯიქიას და რომ საქართველოზე მისი შეხედულებები სრულიად ემთხვევა. ამბობდა: „მე მასთან არავითარი უთანხმოება არ მაქვს"... ცნობილია ჩემთვის, რომ ჯიქია დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ქართველი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ელემენტების წრეში, რომლებიც ითვალისწინებენ მის პირად თვისებებს. ჯიქიას სახით თავის მომავალ ბელადს ხედავენ"

შესაძლოა სწორედ ეს ბოლო ფრაზა გახდა ხელისუფლებისთვის ვლადიმერ ჯიქიას უმკაცრესი დევნის მიზეზი. პიროვნებათა ლიდერული როლი მთავრობის მეთაურებისთვის არ იყო მისაღები: არც ვლადიმერ ჯიქიასი და არც პაოლო იაშვილის...

ნინო ხოფერია




თბილისი, 1930-იანი წლები

I რიგში: პანტელეიმონ ჩხიკვაძე, გიორგი ლეონიძე, პაოლო იაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, დემნა შენგელაია;

II რიგში: მიხეილ ჯავახიშვილი, მაღალია ტროშელიძე, მარიამ აღექსიძე-ტყემალაძე (მარიჯანი), (???), პ. საყვარელიძე, (?);

III რიგში: ირაკლი აბაშიძე, ტიციან ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, ლეო ქიაჩელი, გერონტი ქიქოძე, ბესარიონ ჟღენტი, სანდრო ეული, (?), სოლომონ თავაძე




პლატონ კეშელავას განმარტება, 1938 წ.

ცნობა

ა/წ. აპრილში, ჯერისიო, გამომიძახა სანჯრო ეულმა და მითხრა, რომ სასაბღის მეორე სართულში, კაბინეტის კედელზე სისხლი ყოფილა და მიმითითა ლაქებზე, რომლებიც იმავე აგებულას იყო ჯერ კიდევ 1923 წლიდან. მე, სანჯრო ეულის თქმით, შემჯედ მისი მოთხოვნით, ჩამოვარეცხინე მოსამსახურეებს. რომ საღებავის ლაქები სისხლის და მით უმეტეს, ჯაშუშ პაოლო იაშვილის სისხლია ითქვა, ამას უთუოდ პროვოკაციული აზრით იტყოდა ის, ვინც პირველად ეს თქვა, რადგან მართალია, პაოლო იაშვილმა იმავე ოთახში მოიკლა თავი, მაგრამ მეორე კუთხეში და კარგა 10 მეტრის დაშორებით. ესეც რომ არ იყოს, მე იაშვილის სისხლი იმავე ღამეს ჩამოვარეცხინე სპეციალურად გამოწვეულ სანიტრებს და არც ერთი ნამკეცი ლაქა არ შეიძლებოდა დარჩენილიყო, რადგან მე თვითონ თავზე ვადექი, რომ არავითარი ნიშანი აღარ დარჩენილიყო.

პლატონ კეშელავა
26.VIII.1938 წ.

ცნობა 1938 წლითაა დათარიღებული. ფაქტია, პაოლოს თვითმკვლელობიდან ერთი წლის შემდეგაც მწერალთა სასახლეში პანიკა და აჟიოტაჟი არ ჩამცხრალა და რაც მთავარია, შიში, რომ ვინმეს რამე არ დაბრალდეს... როგორც თავად წერენ, „ჯაშუშ პაოლო იაშვილის“ სისხლის გამო...



მწერალთა სახლის მეორე სართულზე ასასვლელი ხის კიბე

„ლიტერატურული საქართველოს“ 1988 წლის 25 აპრილის ნომერში დაიბეჭდა რეპრესიების ეპოქის საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის უცვლელი მდივნის, ყველა სხდომის ოქმის ავტორის, იროდიონ ქავჟარაძის მოგონება, სადაც 1937 წლის 22 ივლისის იმ საბედისწერო დღეზე საუბრობს და ამ ბარათის დამწერს, პლატონ კეშელავასაც ახსენებს: „კრება იყო ქვევით, პირველ სართულზე. მე და პლატონ კეშელავა ზევით ვისხედით, მეორე სართულზე, თავმჯდომარის მისაღებში. პაოლო გამოვიდა და რაღაც გვითხრა, გაგვეხუმრა, მერე ქვევით ჩავიდა. გერონტი ქიქოძე იგონებდა: იქაც ხუმრობდაო თურმე. ამოვიდა, რაღაც დამავალა. მხარზე ხელი დამკრა და კაბინეტში შევიდა. ცოტა ხანში თოფმა იქუხა. პლატონმა იყვირა: ვიღაცამ თავი მოიკლაო. ამოცვივდა ხალხი ქვემოდან. მე ის არ მინახავს. ვერ დავხედე. ვერ შევძელი. ბერიას ახარეს ეს ამბავი და იმან: „ტუდა ემუ ი დაროგაო“

პაოლოს გვამი მწერალთა სასახლიდან არამიანცის საავადმყოფოში გადაუსვენებიათ. ამ დროს ჭირისუფლები საავადმყოფოდან საავადმყოფოში დადიოდნენ, ეძებდნენ... დაკრძალვის შემდგომ, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე, პაოლო იაშვილის საფლავს მხოლოდ ნომერი გაუკეთეს, წარწერის ნაცვლად...

პოეტის მთელი არქივი უშიშროების თანამშრომლებმა იმ დღესვე გაიტანეს. აიკრძალა პაოლო იაშვილის ხსენება „ჯაშუშის“ ეპითეტის გარეშე. ამიტომაც ღელავდა მწერალთა სასახლის მნე-კომენდანტი პლატონ კეშელავა: ამბობენ „ჯაშუშ პაოლო იაშვილის სისხლიაო“, არადა „მე იაშვილის სისხლი იმ ღამესვე ჩამოვარეცხინე სპეციალურად გამოწვეულ სანიტრებს [...] რომ არავითარი ნიშანი არ დარჩენილიყო“...

მაგრამ ამ „სისხლმა“ და ამ სისხლის დატოვებულმა კვალმა მთელი ეპოქის ცნობიერება შეცვალა ისე, როგორც დამოკიდებულება წამებული პოეტისადმი.

იმედის ფანჯარა

1937 წელს ერთ-ერთ საჯარო კრებაზე ბერიამ განაცხადა: პოეტი პაოლო იაშვილი 42 წლის კაცია და ჭკუა ვერ ისწავლა... ყველა მიხვდა, რომ ეს იყო მუქარა. ხოლო ბერიას დამუქრებას რა მოყვებოდა, ეს ყველამ იცოდა.

პაოლო იაშვილი ვაჟკაცი კაცი იყო და არ დაუცადა მოსალოდნელ ხიფათს. დატენა თავისი სანადირო თოფი და მოვიდა მწერალთა კავშირში.

ეს ის დრო იყო, როცა საქართველოს ცაზე შავი ღრუბლები იყო დაწოლილი და ყოველდღე ისმოდა სისხლიანი ჭექა-ქუხილი. ამიტომ პაოლო იაშვილი მწერალთა კავშირში ცივად მიიღეს. იმ დღეს გამგეობის სხდომაც იყო მიწვეული.

პაოლო მიხვდა ყველაფერს: არც მისალმება, არც ღიმილი, არც ხელის გამოწოდება.

მიხვდა ყოველივე ამას პაოლო და გამოვიდა ფოიეში. ფოიეში იდგა მინაში ჩადგმული ვიტრინა; ვიტრინაში – ერთში – ლომის ფაფარაყრილი თავი იყო ჩადგმული, მეორეში ჭრელი ვეფხვის საშიში თავი. ორივე თავი ძალზე ლამაზი იყო და როგორც მწერლები, ისე მოსული ხალხი ხშირად ჩერდებოდნენ ვიტრინასთან და უღრანი ტყეების ამ ორ სისხლიან სილამაზეს უყურებდნენ.

პაოლო იაშვილი დადგა ლომისა და ვეფხვს შუა. გამოჰკრა ფეხი ჩახმახს და გაწვა იქვე, როგორც თვითონაც ლომი და ვეფხვი.

პაოლო იაშვილი ხომ გარეგნობით ლომსაც გავდა და ვეფხვსაც. დიდი ვაჟკაცური აღნაგობისა იყო. ქართული აღნაგობისა...

მოახსენეს ბერიას პაოლოს სიკვდილი. ბერიამ გასცა განკარგულება – იაშვილის დაკრძალვას დაესწროს მხოლოდ მისი ოჯახი. არც ერთი მწერალი და არც ერთი ნათესავი და საპატიოდ მოსული არ ვნახო იქ... გამოიძახა ერთი მეთვალყურე და დაავალა თავისი განკარგულების შესრულების მეთვალყურეობა.

და დაკრძალეს პაოლო იაშვილი როგორც უბირი ვინმე.

მეორე დღეს მეთვალყურე მოხსენებით წარუდგა ბერიას და უპატაკა თქვენი განკარგულება შესრულებულიაო.

– მაშასადამე დაკრძალეს როგორც მინდოდა, უკმაყოფილებით წარმოსთქვა ბერიამ და სათვალეები შეისწორა.

ქვეყანას, მოვლენებს და ადამიანებს ბერია სათვალეებიდან უმზერდა. სათვალეები კი ხშირად როდია მართალი. ალბათ იმიტომ გაიმეორა ბერიამ:

– მაშასადამე, დაკრძალეს როგორც ეკადრებოდა!

– არა, ამხანაგო ლავრენტი! – დასძინა მეთვალყურემ... – ერთი მწერალი მაინც დაესწრო.


– რაო? – შეიკრა წარბები ბერიამ, – ვინ გაბედა? ვინ იყო ის ერთი?

– ის ერთი იყო მწერალი კოლაუ ნადირაძე!

ბერიამ შეჰკრა მუშტი, დაარტყა მაგიდას და წამოიძახა ის, რაც მეორე დღეს ყუმბარასავით გახმაურდა ქალაქში.

– ყოჩაღ კოლაუ ნადირაძე! ვაჟკაცი ყოფილა! ხელი არ ახლოთ!

ჩვენ, მწერლებმა გავიგეთ ეს წამოძახილი. გაგვეხარდა ყველას, მაგრამ სიხარულის გამომჟღავნების შეგვეშინდა. ყველამ პირში წყალი დავიგუბეთ.



დრო იყო ისეთი: შიშისა და სიჩუმისა, ლაჩრობისა და თავის დაზღვევისა, დრო ქართული რაინდობის დაკარგვისა...

მაგრამ სწორედ ამ დროს გამოჩნდა ერთადერთი ქართველი მწერალი, რომელმაც შეინარჩუნა ქართველი ხალხის ხასიათი: იმედიანი გახედვა მომავლისკენ, მეგობრობისა და ადამიანური კეთილშობილებისაკენ.

იმედისაკენ!

მაშასადამე, ყველა კარები არაა დახშული მომავლისაკენ!..

იმ დღეს კოლაუ ნადირაძემ ქვეყნის მომავლისკენ იმედის ფანჯარა გააღო...

1937 წ. თბილისი

წერილი, რომელიც მწერალმა როდიონ ქორქიამ 1937 წელს დაწერა, ავტორს ათეული წლების მერეც საიდუმლოდ ჰქონდა შენახული... სხვათა შორის, პაოლო იაშვილის რეაბილიტაციის შემდგომაც... მიზეზი ალბათ მოუშორებელი, მუდამ თანამდევი შიშის გრძნობა გახლდათ.

და ის შინაგანი ცენზორი, რასაც იმ წლებგამოვლილი ადამიანები სიცოცხლის ბოლომდე ატარებდნენ... და მაინც, როგორი მრავლისმთქმელი ფაქტია ამ წერილის დაწერის დრო ანუ მწერალმა ვერ ჩაიკლა გულში, ვერ შეძლო 1937 წლის 22 ივლისის ტრაგედიას არ გამოხმაურებოდა და თუნდაც, ამგვარი დოკუმენტი შეექმნა არა აწმყოსთვის, არამედ მომავლისათვის.

ოთხმოციან წლებში ეს წერილი ქალბატონმა ნორამ, ბატონ კოლაუს მეუღლემ გამაცნო. მისთვის ის უკვე მოხუც როდიონ ქორქიას გაეგზავნა და დაახლოებით ასეთი შესავალი ჰქონდა: ბატონი როდიონი, როგორც წერდა, ძველი ოფიცერი, ვალდებული იყო ეს ამბავი კოლაუ ნადირაძის ოჯახის წევრებისთვის ეცნობებინა, რომელთაც ბუნებრივია, უნდა ეამაყათ ცისფერყანწელთა უკანასკნელი მოჰიკანის გამბედაობით და პიროვნულობით... საბოლოოდ ეს წერილი – „იმედის ფანჯარა“ კოლაუ ნადირაძის ოჯახმა, პოეტის არქივთან ერთად, ლიტერატურის მუზეუმს გადასცა და ამჟამად ხელნაწერთა ფონდშია დაცული, № 28732/9.

„ყველაზე იმედიანია პაოლო“

შალვა დემეტრაძე, პაოლო იაშვილის პირველი კრებულის შემდგენელი

ერთ დროს ახალგაზრდა პოეტი შალვა დემეტრაძე, „ცისფერყანწელთა“ „უიდეო და დეკადენტური“ (როგორც უწოდებდნენ) შემოქმედების თაყვანისმცემელი იყო და ცდილობდა კეთილი სიტყვა შეეწია ქართული ლიტერატურული მოდერნის (თუმცა, თავად ამ ტერმინით არ ოპერირებდა) წარმომადგენელთათვის. განსაკუთრებულ პატივისცემას გამოხატავდა პაოლო იაშვილის მიმართ. მისთვის ავტორიტეტული იყო თითოეული „ცისფერყანწელის“ აზრი, რაც ნაწილობრივ კოლაუ ნადირაძისადმი გაგზავნილ წერილშიც გამოხატა. შალვა დემეტრაძე შერისხულ „ყანწელებს“, ფრთხილი მინიშნებით, საკუთარ შემოქმედებით ნათლობასაც სთხოვს. ფრაგმენტები წერილიდან:

„სალამი კოლაუს!

...გიგზავნით ჩემს პატარა ნაშრომს, თან ვატან ჩემს გულსაც. მე ველი თქვენგან სწორ, ობიექტურ შეფასებას. მე ვიცი, რომ ბევრი გავლენაა, სისუსტეც, მაგრამ ინტერესმოკლებული არ იქნება, მით უმეტეს ახლა, როდესაც ბევრი მტერი გახვევიათ გარს... აღნიშნეთ ისიც, თუ გამოდგება ეს წიგნი დასაბეჭდად და თუ თქვენც სცნობთ საჭიროებად, რასაკვირველია, შეგიძლიათ შესწორებანიც შეიტანოთ ჩემთან ერთად. შეიძლება სულ არ გამოდგეს ეს წერილები, ნუ მოგერიდებათ... ამ წერილებმა ცოტათი მაინც თუ გაამართლეს, მერე დანარჩენ თქვენი ჯგუფის პოეტებზეც შევუდგები წერას. დღეს უნდა მიექცეს ყურადღება იმ შემთხვევას, თუ ვინ რას წერს თქვენზე, რომლებსაც მარტო თქვენი გინება აკერიათ პირზე. თუ თქვენი დახმარებაც იქნება, მე მზად ვარ, რომ თქვენთან დავრჩე უერთგულეს უმცროს ძმად. მე ძალიან დიდი იმედით ვარ აღჭურვილი თქვენდამი... მე დღეს მარტო ჩემთვის ვწერ ლექსებს... რომელი რედაქცია მოგაქცევს ყურადღებას ან რომელ პოეტს სცალია შენთვის. ეს ასე არ უნდა იყვეს. მგონია, თქვენთვის სასიხარულო იქნება, თუ თქვენი ჯგუფი ახალგაზრდა პოეტს გამოიყვანს იმ დროს მაინც, როცა გარშემორტყმული ხართ მტრებით. ეს ძალიან ძნელი ვალია, მაგრამ ამ შემთხვევაში ყველაზე იმედიანია პაოლო... სალამი ყველა იმ პოეტებს და განსაკუთრებით პაოლოს, ვინც მე გულწრფელად მივიღე“...

შალვა დემეტრაძე
11.4.30 წ.

გავა დრო, შალვა დემეტრაძე 1955 წელს პაოლო იაშვილის თხზულებათა პირველი შემდგენელი გახდება. რედაქტორია ირაკლი აბაშიძე. გამოცემულია რეპრესირებულთა რეაბილიტაციის შემდგომ, 1955 წელს, თბილისში, გამომცემლობა „სახელგამის“ მიერ.

მართალია, ეს კრებულიც ეპოქის თანამდევ შინაგან თუ გარეგან ცენზურას ითვალისწინებდა და ამ თვალსაზრისით, ზოგიერთი სტრიქონი აცდენილია დედნის სიზუსტეს, წიგნის გამოცემის ფაქტი მაინც პოზიტიურ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

წიგნის ამ ეგზემპლარმა, ტოტალიტარულ საბჭოთა ეპოქაშიც კი, ევროპაში, კერძოდ, ჰამბურგში ჩააღწია. „ნიკოლოზ ჯანელიძეს აკაკი გელოვანისაგან. 1989 წელი“, აწერია თავფურცელს. ნიკოლოზ ჯანელიძე ქართველი ემიგრანტია, რომელიც ცნობილია ანტისაბჭოთა პროპაგანდით და იმით, რომ მეორე მსოფლიო ომის წლებში რაიხის ქართული ჯარის ნაწილებში იყო გაერთიანებული. წიგნის რამდენიმე გვერდს ნ. ჯანელიძის ერთმნიშვნელოვანი, ზოგჯერ დილეტანტური ხელნაწერი რეპლიკები ახლავს: „არის ჩავარდნები, მაგრამ იგრძნობა, რომ პოეტია, რაღაც ტანჯავს, იწვის“... და იქვე, სხვა მწერლებთან პარალელებისთვის, პაოლოს რამდენიმე თანამედროვე სხვა ქართველ ავტორს ადარებს, რომლებიც ვფიქრობთ, უსაფუძვლოდ, „შერისხული“ ჰყავს...



პაოლო იაშვილის ლექსების პირველი კრებული, 1955 წ.

კრებულის ხელმოუწერელ წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ პაოლო იაშვილი ქართული საბჭოთა პოეზიის გამორჩენილი ოსტატია და ტექსტს ზუსტად ის პათოსი ახლავს, რაც იმ ეპოქაში დასტამბული წიგნისთვის „ლოკომოტივი“ უნდა გამხდარიყო: „საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ პაოლო იაშვილი თანდათან განთავისუფლდა „ცისფერყანწელური“ ტრადიციებისგან და დადგა ქართული რეალისტური მწერლობის მთავარ გზაზე – სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის, საბჭოთა ლიტერატურის მყარ პოზიციებზე. მან თავისი მაღალი ნიჭი მთლიანად ჩააყენა საბჭოთა სინამდვილის, საბჭოთა ხალხის სამსახურში“...

პაოლო იაშვილის მკვლევარი, ცნობილი ლიტერატურათმცოდნე ქალბატონი ლალი ავალიანი რამდენჯერმე შეხვედრია შალვა დემეტრაძეს. უსაუბრია კრებულზეც და ზოგადად პოეტის დამოკიდებულებაზე ლექსების დასტამბვისა თუ არქივის მდგომარეობის შესახებ და ასეთი საგულისხმო ინფორმაციებიც მიიღო: პაოლო იაშვილი „თავის ხელნაწერებს არც კი ინახავდა, იქვე ანადგურებდა. ახალგაზრდობაში რატომღაც არც უფიქრია წიგნის გამოცემა. მხოლოდ ოცდაათიანი წლების შუა წელს, როცა არც კი ახსოვდა, სად რა ჰქონდა გამოქვეყნებული, სრულიად ახალგაზრდა და მის მოთაყვანე შალვა დემეტრაძეს სთხოვა: მოძებნე ჩემი ლექსები და წიგნად გამოვცემო და წყაროებზეც მიუთითა. შალვა დემეტრაძემ სურვილი კი შეუსრულა, მაგრამ ავბედითი 1937 წელი კარზე იყო მომდგარი. რაც კი რამ ჰქონდა პაოლოს სახლში, ხელნაწერები თუ წერილები, იმასაც, იქვე ბერიას დამქაშებმა „მოუარეს“... პაოლოს ლიტერატურული მემკვიდრეობის უანგარო მეურვემ და მოამაგემ, შალვა დემეტრაძემ პირნათლად შეუსრულა პოეტს სურვილი, თუმცა, დიდი დაგვიანებით: პოეტის რეაბილიტაციის შემდეგ, სწორედ შალვა დემეტრაძემ შეადგინა რამდენიმე კრებული. მათ შორის, ყველაზე სრული – 1975 წელს (ლალი ავალიანი, პაოლო იაშვილი, მონოგრაფია, ესეები, 2017, თბილისი).



ილიას ნაშრომები ორ ტომად
ტომი პირველი

ქართული კულტურის დასაცავად

1921 წელს შედგენილი მიმართვა საქართველოს ხელოვანთა კრებისადმი, რაც ხელმომწერთა საერთო აზრს გამოხატავდა, დაწერილია გრიგოლ რობაქიძის ხელით, მისი გამორჩეული კალიგრაფიით. ჩასწორებებიც მისივეა, მაგრამ ტექსტს რობაქიძის ხელმოწერა არ ახლავს. ხელს აწერენ: კოტე მაყაშვილი, პაოლო იაშვილი, დიმიტრი შევარდნაძე, მოსე თოიძე, მელიტონ ბალანჩივაძე და კრების მდივანი თ. კეკელიძე-იანელი. ისინი არიან საქართველოს ხელოვანთა იმ დროებითი კომიტეტის წარმომადგენლები, რომელიც გასაბჭოების მესამე დღესვე, 27 თებერვალს ჩამოყალიბდა.

...დამოუკიდებლობის დაკარგვის, ოკუპაციის პირველი წელია. წარმოსადგენია, რა სულიერი დაძაბულობა და ძალიხმევა სჭირდებოდა ასეთი დოკუმენტის შექმნას სწორედ ამ კონკრეტული ადამიანების მიერ. თუნდაც, დროებითი კომიტეტის თავმჯდომარედ დასახელებული კოტე მაყაშვილისთვის, რომელსაც იმ დღეებში, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში, ტაბახმელას ფრონტზე, 19 წლის ქალიშვილი მარო მაყაშვილი მოუკლეს...


და მაინც, ისინი, ხელოვანთა დროებითი კომიტეტის მეშვეობით, მწერლების და ხელოვნების მოღვაწეების დაცვას და მათი პოზიციების გამყარებას ცდილობენ. ახერხებენ იმასაც, რომ საქართველოს მუზეუმებსა და თბილისის უნივერსიტეტს იქ დაბანაკებული რევოლუციური რაზმებისგან და წითელარმიელებისგან ათავისუფლებენ! სარაჯიშვილების ყოფილ სახლს მწერალთა სასახლედ აქცევენ...

საგულისხმოა ირაკლი აბაშიძის ჩანაწერი (წიგნიდან: „ზარები ოცდაათიანი წლებიდან"): „დღეს, და დიდი ხანია, არავინ იცის, რომ თბილისის ერთ-ერთი ულამაზესი შენობის, სარაჯიშვილების (შემდეგ ხოშტარიას) სახლის მწერალთა და ხელოვნების მუშაკთათვის საჩუქრად გადმოცემის საშვილიშვილო საქმეს საბჭოთა ხელისუფლების პირველივე დღეებშივე უმეთაურა პოეტმა პაოლო იაშვილმა. სწორედ პაოლო იაშვილმა საქართველოს ახალ მთავრობასთან მოლაპარაკების შემდეგ, 1921 წლის მარტშივე, ამცნო თბილისის ინტელიგენციას ხელისუფლების გადაწყვეტილება სარაჯიშვილ-ხოშტარიას სახლის „ხელოვანთა სასახლედ" გადმოცემის შესახებ"

გალაკტიონ ტაბიძეს ამ პერიოდის უბის წიგნაკში აქვს ასეთი ჩანაწერი: „მთავრობა დიდი ყურადღებით ეპყრობა ხელოვანთ... ტფილისი ცოტა გამოცვლილია. კომუნისტები რეპრესიებს არ ხმარობენ. ჩვენთვის მოუციათ დიდებული „ხელოვანთა სასახლე". მხოლოდ ძალიან მაფიქრებს, რომ ამ სასახლის ნომერი არის 13. მე დროებით ვცხოვრობ აქ. მიმიღეს სიმპატიურად..."

ეს მართლაც, ასე იყო: „ახალმა მთავრობამ" დასაწყისში მწერალთა და ხელოვანთა გულის მოგება სცადა, მაგრამ მერე რეპრესიების უმძიმესი პრესის ქვეშ ამყოფებდა. პარტიის იდეოლოგიურმა აპარტმა მათი გარდაქმნა, დაპატიმრება და დევნა დაიწყო.

ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელზედაც პაოლო იაშვილის ხელის მოწერაცაა, იქმნებოდა სწორედ იმ ეპოქის დასაწყისში, იმ არეულ დროებაში და ეს პიროვნებები დიდი ტაქტით, დიპლომატიით, კულტურის გადარჩენას და კოლეგების დახმარებას ცდილობდნენ.




მოხსენების ტექსტი, გრიგოლ რობაქიძის ხელნაწერი,
დაცულია საქართველოს გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურულ მუზეუმში

საქართველოს ხელოვანთა საერთო კრებას
საქ. ხელოვანთა დროებითი კომიტეტის მოხსენება

თბილისში მყოფ ქართველ ხელოვანთათვის ძნელი იყო ორგანიზაციული შეხვედრა თბილისში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას.

საქართველოს სოციალისტურ რევკომის დაარსების დღესვე გამოირკვა, რომ თბილისში დარჩენილიყო მცირე ნაწილი ქართველ ხელოვანთა, რადგან უკანასკნელნი, მდგომარეობის მიხედვით, იძულებულნი იყვნენ თან გაჰყოლოდნენ დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას და ჯარს. მიუხედავად ამისა, პირველ დღესვე შესდგა საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც მიიღო თავის თავზე მზრუნველობა ქართული ხელოვნებისათვის, რადგან წევრების წასვლის გამო, ფაქტიურად აღარ არსებობდა ყოფილი სახელოვნო ცენტრი. საინიციატივო ჯგუფმა შესძლო 27 თებერვალს



მწერალთა სასახლე, 1923 წ. (სრმ 5748-ი)
მარცხნიდან: ლეო ქიაჩელი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, მოსე თოიძე, ვარლამ რუხაძე, ჯოტე მაყაშვილი

თბილისში მყოფ ხელოვანთა საერთო კრების მოხდენა, რომელზედაც შედგა დროებითი მთავარი კომიტეტი საქართველოს ხელოვანთა შემდეგ პირთაგან: მწერალთა მხრივ, კოტე მაყაშვილი, გრ. რობაქიძე, პაოლო იაშვილი, მხატვართაგან: მ. თოიძე, დ. შევარდნაძე, მუსიკოსებისაგან: დ. არაყიშვილი, მ. ბალანჩივაძე, ოპერის და დრამის მსახიობთა მხრივ: გ. ღვინიაშვილი, გ. ზარდალიშვილი. მდივნად დანიშნულ იქნა თ. კეკელიძე-იანელი. პირველ დღესვე კავშირის მწერალთა სექციამ აიღო ორდერი სერგეევის ქუჩაზე არსებულ ხოშტარიას სახლზე, რომელსაც კომიტეტის დადგენილებით დაერქვა „ხელოვანთა სასახლე" მოახდინა აღწერა ამ შენობაში დარჩენილ ქონებისა. კომიტეტმა შესძლო გაბათილება ხუთი ორდერის, რომელნიც უკვე იყვნენ გაცემულნი ამ შენობის დასაკავებლად. ხელოვანთა სასახლეში მოწყობილი იქნა კანცელარია და შედგენილი მოსამსახურეთ შტატი, რომელთა რიცხვს შეადგენდნენ ხოშტარიას მოსამსახურენი.

27 თებერვალსვე კომიტეტს მოუვიდა ცნობა, რომ ხელოვანთა კომისარის მანდატი შემთხვევით მიუღია თბილისის პოლიტეხნიკუმის საქმეთა მმართველს არშაკ ბაბოვს, რომელსაც გაუცია უდიერი ბრძანება ქართული მუზეუმების და უნივერსიტეტის „მანჩაკელთა" რაზმების მიერ დაკავებისა, ხოლო უნივერსიტეტში ბაბოვს წითელი არმიელებიც კი მიეყვანა დასაბანაკებლად. საჩქაროდ გაგზავნილი იყო რევკომში კომიტეტის წევრი, რომლის პროტესტიც ბაბოვის შესახებ დაუყოვნებლივ იქნა დაკმაყოფილებული. ბაბოვი გამოწვეულ იქნა რევკომში, ჩამოერთვა მანდატი და მიეცა ოფიციალური გაფრთხილება, რომ ხელი აეღო სამუდამოდ საქართველოს ხელოვნების



მწერალთა სასახლე, 2023 წ.

საქმეებში ჩარევაზე. კომიტეტის წინადადებით, მუზეუმების გამგედ დაინიშნა ამხ. დიტო შევარდნაძე. არანაკლებ საფრთხეში ჩავარდა თეატრების საქმე. მიღებულ იქნა სასწრაფო ზომები მათ დასაცავად. თეატრის კომისრად დაინიშნა ნ. ქართველიშვილი. დრამის კომისრად ი. ზარდალიშვილი. სახალხო სახლში ყოფილი გამგე შ. ხიდირბეგიშვილი და მეორე ქართულ კლუბში დ. დუმბაძე. აგრეთვე ბევრ მუსიკალურ და სამხატვრო სასწავლებლების კომისარებად დაინიშნენ ხელოვანთა კომიტეტის მიერ წარდგენილი კანდიდატები. ამგვარად, შემთხვევითი ელემენტებისგან ხელში ჩაგდებას გადაურჩა სახელმწიფო კონსერვატორია, მუსიკალური სკოლა თავისი ფილიალებით, სამხატვრო სკოლა, საქართველოს მუზეუმი, ეროვნული გალერეა, საქართველოს ეთნოგრაფიული მუზეუმი, ეროვნული გალერეა, საეკლესიო მუზეუმი, წერაკითხვის საზოგადოების მუზეუმი, კერძო გალერეა თორომანოვისა, და სხვ. კომიტეტის მოთხოვნით, ყოფილი საადგილმამულო ბანკის შენობა დაეთმო სამუზეუმო ბიბლიოთეკას, მიუხედავად იმისა, რომ ორდერი ამ შენობაზე უკვე აღებული ჰქონდა საქართველოს უმაღლეს სამეურნეო საბჭოს. მწერალთა სასადილო „ქიმერიონი“ მზად იყო „ქიმერიონში“ ხელზე მოსამსახურეთა არტელისთვის გადასაცემად, მაგრამ კომიტეტის დაჟინებითი მოთხოვნილებით, გადმოცემულ იქნა ხელოვანთა კავშირისათვის. სასადილო უკვე მუშაობს და აკმაყოფილებს დაახლოებით 70 კავშირის წევრს დღეში. სურსათის შეძენის გასაადვილებლად, კომიტეტის დადგენილებით, „ქიმერიონში“ შემოერთებულ იქმნენ „გრუროსტას“ თანამშრომელნი. „გრუროსტას“ სამეურნეო განყოფილებას დაგროვილი აქვს სურსათი, და აგრეთვე დაგზავნილი ჰყავს აგენტები „ქიმერიონისთვის“ სანოვაგის შესაძენათ.

კომიტეტმა საჭიროდ ცნო, კავშირთა წევრებისთვის კომუნალურ მეურნეობის მოწყობა. ამის შესახებ შუამდგომლობა აღძრა რევკომის წინაშე და უკვე მიიღო პრინციპიალური თანხმობა რევკომის თავმჯდომარის ფ. მახარაძისგან, რათა ერისთავის მამული ს. ახალგორში გადმოცემულ იქნეს საქ. ხელოვანთა კავშირის წევრთათვის, უმთავრესად მხატვართათვის.

რადგან ბევრი წევრი ხელოვანთა კავშირისა უბინაოდ დარჩა, აღიძრა შუამდგომლობა რევკომის წინაშე, რათა მესამე საბინაო განყოფილების რაიონში, რეკვიზიციის წესით, დაცლილი იქნას ორი დიდი შენობა, დაახლოებით 50 ოთახით, რომ იქ მოწყობილ იქნეს ხელოვანთა საერთო ბინა. შუამდგომლობა შეწყნარებულ იქნა და უკვე მიღებულია ზომები შენობების გადმოსაცემად.

კომიტეტმა მოახდინა ქართველ ხელოვანთა რეგისტრაცია, ჩანიშნა ყველა წევრები მუშათა მაგიდაში, იღებს მათთვის ულუფას განსაკუთრებულს. აღმოუჩინა დახმარება ავანსების სახით გაჭირვებულ წევრებს და მათ ოჯახებს. აიღო მათი სახელით თავის თავზე მზრუნველობა რევკომის წინაშე და ოფიციალურ დაწესებულებათა წინაშე. მიიღო რევკომიდან სხვადასხვა ხარჯებისთვის სამი მილიონნახევარი მანეთი.

თბილისში ცენტრობეჭდვის მიერ ანგარიშზე აღებულ იქნა მთელი აქ დაგროვილი ქაღალდი, მაგრამ კომიტეტმა შესძლო თავის საჭიროებისათვის გადმოერიცხა მწერალთა კავშირის კუთვნილი ქაღალდი სამეურნეო ბანკში დაგირავებული.

კომიტეტის ინიციატივით რევკომმა გამოიტანა დადგენილებები, თავისუფლების მოედანზე რუსთაველის ძეგლის აღმართვისა. დაიჭირა მჭიდრო კავშირი თბილისში არსებულ მცირე ეროვნებათა ხელოვნების კავშირებთან. სომეხთა და რუსების მწერალთა კავშირებს დაუთმო თითო ოთახი ხელოვანთა სასახლეში და აიღო მათზე მზრუნველობა რევკომის წინაშე.

კომიტეტი ყოველთვის ცდილობდა ქართული ხელოვნების ინტერესების დაცვას. იყო შემთხვევა, როცა „ლიტაგიტის“ კრებაზე, რამოდენიმე ხელოვნების გარეშე მყოფმა პირმა, მოინდომა ხელოვნურად მწერალთა პროფესიონალურ კავშირის წევრთა გამრავლება, კავშირში ჟურნალისტების შემოყვანით და ამგვარად, ქართველ მწერალთ უმცირესობაში მოქცევა დაუპირა. დროებითი კომიტეტის წევრებმა დაშალეს ეს კრება.

ხელოვანთა კომიტეტმა აიღო თავის თავზე ინიციატივა, სახალხო განათლების კომისარიატთან, ხელოვნების განყოფილების დაარსებისა. შემდეგ გამოირკვა, რომ ამგვარი ინიციატივა ეკუთვნოდა თბილისის „რაბის“ და „ცეკას“. კომიტეტმა წარადგინა თავისი პროექტი და მიუხედავად ამისა, რომ წარდგენილი იყო სამი სხვა პროექტი, სახალხო განათლების კომისარიატთან არსებულმა კოლეგიამ მოიწონა და თითქმის უცვლელად დაამტკიცა კომიტეტის წარდგენილი პროექტი.

ამ მოხსენებაში არიან აღნიშნულნი მხოლოდ ის მთავარი მიღწევანი, რომელნიც შეძლებისადაგვარად შეასრულა დროებითმა კომიტეტმა, საერთო კრების დავალებით. დღევანდელი კრების წევრებს შეძლება აქვთ გაეცნონ კომიტეტის დეტალურ მუშაობას ოქმების წიგნის გადასინჯვით.


აქ არ არიან აღნიშნული პერსპექტივები მომავალი მუშაობისა, რადგანაც ეს არ შეადგენდა საგანს დღევანდელი კრებისას. დროებითი კომიტეტი მოვალედ ჩასთვლის თავის თავს გააცნოს დღევანდელ კრებაზე არჩეულ მთავარ კომიტეტს ყველა ის გეგმები, რომელნიც დრ. კომიტეტს საჭიროთ მიაჩნია ქართული ხელოვნების განვითარებისთვის.

დროებითი კომიტეტის თავმჯდომარე კ. მაყაშვილი

წევრნი: პაოლო იაშვილი, დ. შევარდნაძე, მოსე თოიძე,
მელიტონ ბალანჩივაძე. მდივანი თ. კეკელიძე-იანელი

დოკუმენტი საქართველოს გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში ინახება (სლმ. № 289885-22). ის ფაქტი, რომ გრიგოლ რობაქიძის ხელითაა დაწერილი და პაოლო იაშვილის ავტოგრაფი ახლავს, მათი საერთო მოღვაწეობის დასტურია გასაბჭოების შემდგომ საქართველოში.

მართალია, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მაშინდელი ენთუზიაზმი და მათ მიერვე შექმნილი შემოქმედებითი ატმოსფერო ძალიან დიდხანს ვერ გაგრძელდა და სამომავლო ილუზიებიც გაიფანტა, მაგრამ უკეთესის იმედი თუ აქტიურობის უნარი დიდხანს, იმ დღეებამდე გაჰყვა პაოლო იაშვილს, სანამ საბოლოოდ, ე.წ. მაღალი ტრიბუნებიდან დაიწყო მისი მწვავე კრიტიკა, ავისმომასწავებელი კომენტარებით.



ხელმოწერები დოკუმენტზე

პაოლო იაშვილის სამუზეუმო ინტერესები

დოკუმენტი, პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის და პავლე ინგოროყვას ხელმოწერებით, 1923 წლითაა დათარიღებული. ხელმომწერნი გამოჩენილი ექიმისა და საზოგადო მოღვაწის მიხეილ ალექსანდრეს ძე გედევანიშვილის (1862-1922) ქვრივს, ანასტასია გედევანიშვილს მიმართავენ. გედევანიშვილების ბინაში, ყორღანოვის (ამჟამად ქიაჩელის) 20-ში მომზადდა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის უნიკალური გამოცემა. ექიმმა გედევანიშვილმა საკუთარი ხარჯით უზრუნველყო კრებულის გამოსაცემად მომზადებაც და დასტამბვაც. ილუსტრაციები ეკუთვნის ცნობილ პოლონელ მხატვარს ჰენრიკ ჰრინევსკის. გედევანიშვილების ბინაში იკრიბებოდა, ხელნაწერებს თუ ფოტომასალას ახარისხებდა და აზუსტებდა კრებულის რედაქცია. მიხეილ გედევანიშვილის მითითებებით დაწერა გრიგოლ ყიფშიძემ ილიას ბიოგრაფია, წინასიტყვაობა. ამიტომ მათ ოჯახში ილია ჭავჭავაძესთან დაკავშირებულმა უამრავმა მასალამ მოიყარა თავი: ხელნაწერების, ფოტოების თუ დოკუმენტების სახით.




პავლე ინგოროყვას, ტიციან ტაბიძის და პაოლო იაშვილის მიმართვა დიმიტრი გედევანიშვილისადმი, 1923 წ.

მოგვიანებით მთელი ეს მასალა, რამდენიმე ყუთის სახით, ანასტასია გედევანიშვილმა და მისმა ვაჟმა, ცნობილმა ექიმმა, პროფესორმა დიმიტრი მიხეილის ძე გედევანიშვილმა გადასცეს ახლად დაარსებულ მწერალთა მუზეუმს. გედევანიშვილისეული არქივი მუზეუმის ფონდსაცავებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი, ფუნდამენტური ხასიათის შენატანი აღმოჩნდა.

სავარაუდოა, რომ 1923 წელს, როცა საქართველოს ახალი მწერალთა კავშირი გედევანიშვილისეული არქივით დაინტერესდა, პ. ინგოროყვას, პაოლო იაშვილს და ტიციან ტაბიძეს სწორედ მაშინ გაუჩნდათ ფიქრი თუ სურვილი, ეს განძი ოდესმე სამუზეუმო საკუთრება გამხდარიყო.

1932 წელს გიორგი ლეონიძემ, ლიტერატურის მუზეუმის ახლად დანიშნულმა დირექტორმა, დიმიტრი გედევანიშვილს სამადლობელი წერილი გაუგზავნა:



გიორგი ლეონიძის სამადლობელი წერილი დიმიტრი გედევანიშვილისადმი, 1932 წ.

ექიმ დიმ. გედევანიშვილს

პატივცემულო დიმიტრი მიხეილის ძევ,

საქ. მწერალთა მუზეუმი ულრმეს მადლობას გიცხადებთ თქვენი თანაგრძნობისთვის. თქვენს მიერ შემოწირული მუზეუმისადმი ძვირფასი კოლექცია, ილია ჭავჭავაძის წერილები, დოკუმენტები, ავტოგრაფები და სურათები არის ერთ-ერთი საფუძველთაგანი ჩვენი მუზეუმის განვითარებისა.

მწერალთა მუზეუმი კიდევ ერთხელ გიხდით უღრმეს მადლობას.
მწერალთა მუზეუმის დირექტორი გ. ლეონიძე
1932 წ. 18 დეკემბერი. № 142.

(ორივე დოკუმენტი ინახება მიხეილ გედევანიშვილის კერძო სახლ-მუზეუმის არქივში, ხოლო ასლი ლეონიძის სამადლობელი წერილისა ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდშია დაცული).

პაოლო იაშვილის დაინტერესება სამუზეუმო ფასეულობებით მის იძულებით პასუხებშიც გამოიხატა 1937 წელს, როცა საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის 6 ივნისის სხდომაზე ლევან აღნიაშვილთან საეჭვო ურთიერთობების ბრალდება წაუყენეს. ლევან აღნიაშვილი (1897-1937), რევოლუციური და პარტიული მოღვაწე, 1932-1935 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი იყო. პაოლომ კრებას აუხსნა, რომ აღნიაშვილთან, უნივერსიტეტის მიწვევით, მუშაობდა „ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე“.

„შემდეგ აღნიაშვილი მოხსნეს უნივერსიტეტიდან. მე განვაგრძობდი მუშაობას. დანიშნეს პ. ორაგველიძე. მან მოინდომა მწერალთა მუზეუმის გამოტანა და უნივერსიტეტის კორიდორში მოთავსება, სტუდენტებისგან შორს არისო. მე ვუპასუხე, რომ იგი არამარტო სტუდენტებისთვის არის დაარსებული და მისი იქიდან მოშლის სასტიკი წინააღმდეგი ვარ-მეთქი. რჩევა და თათბირი გადავიდა განკარგულებაში და ბრძანება გასცა: „დღესვე ჩამოიტანეთ მუზეუმის ქონებაო“. მე ვუპასუხე, რომ კარიდორში ვერ დავაწყობ ამ ძვირფას განძს ჩვენის კულტურისას და არ ვკისრულობ პასუხისმგებლობას, თუ რამე დაიკარგება-მეთქი. მეორე დღეს მან გამომიგზავნა ფურგონები, საბარგო მანქანები, მაგრამ მე არ მოვეშვი. წავედი მაშინვე ცეკაში თათარიშვილთან (აკაკი თათარიშვილი იმ პერიოდში სახკომსაბჭოს ხელოვნების საქმეთა კომიტეტს ხელმძღვანელობდა. – ნ. ხ.). *მოწვეულ იქნა კრება ორაგველიძის თანდასწრებით. ვილაპარაკეთ. მე მოურიდებლად დავარქვი ამ საქმეს ბარბაროსობა. გამოვთქვი ჩემი მოსაზრებანი და იმავე დღეს მწერალთა მუზეუმი გადაეცა გამსახკომს, ამხ. თათარაშვილის წინადადებით. მეორე დღეს რომ მივედი უნივერსიტეტში, დამხვდა ბრძანება ორაგველიძის ხელმოწერილი. თურმე მან მე მომხსნა თანამშრომლობიდან. ამნაირად მე წამოვედი უნივერსიტეტიდან“.*

(კრების სტენოგრაფული ანგარიში დაცულია ეროვნულ არქივში, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების ფონდში №8).

ზოგი რამ „მწერალთა მუზეუმის“ ისტორიიდან: მწერალთა მუზეუმის (ამჟამად საქართველოს გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმის) გახსნას საფუძვლად დაედო 1929 წელს, ალექსანდრე გრიბოედოვის დაღუპვიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა. ცნობილმა მეცნიერებმა, მუზეუმთმცოდნეებმა დავით არსენიშვილმა და ივანე ენიკოლოფოვმა შეაგროვეს მასალები, ჩაატარეს კვლევა და გადაწყვიტეს, რომ სწორედ იქ, მთაწმინდაზე დაეარსებინათ გრიბოედოვის სახელობის მუზეუმი. თუმცა, ამ ინიციატივამ პროფილი შეიცვალა და გაჩნდა აზრი ქართველ მწერალთა მუზეუმის დაარსების შესახებ. ლიტერატურის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლის,

ნინო ვადაჭკორიას გამოკვლევა სწორედ ამ ისტორიულ პროცესებს მოიცავს (ლიტერატურის მუზეუმი და ტიციან ტაბიძე, ჟურნ. „კრიტიკა“, 1987, №1).

სიძველეთა დაცვის და სამუზეუმო ფასეულობების გაფრთხილების იდეა იმ პერიოდში „ცისფერყანწელების“ ინტერესების საგანს შეადგენდა. „არასოდეს დაგვჭირვებია მუზეუმი ისე, როგორც ახლა, როდესაც ყოველდღე ნაირფერი უცხოელი მოდის ჩვენს გასაცნობად“ (ვ. გაფრინდაშვილი, „მეოცნებე ნიამორები“, 1919 წ. №10). მსგავსი ინიციატივები „ცისფერყანწელთა“ ორდენის წევრებს: ტიციან ტაბიძეს, პაოლო იაშვილს, სანდრო ცირეკიძეს და სხვებსაც ჰქონდათ.

„ტიციან ტაბიძეს გარკვეული ამაგი მიუძღვის ლიტერატურული მუზეუმის მოწყობაში. მუზეუმს დიდი დრო, სიყვარული და ენერგია შეალია გოგლამ (შალვა აფხაიძე, ადამიანები და წიგნები, თბ. 1964).

„თუ არ ვცდები, 1919 წელს ტიციან ტაბიძემ და სანდრო ცირეკიძემ დასვეს საკითხი ქართული ლიტერატურული მუზეუმის დაარსების შესახებ. სერიოზულად დავინტერესდით“ (კოლაუ ნადირაძე, მოგონებათა ფურცლები, ჟურნალი „დროშა“, 1979, №8).

გავყვეთ თარიღების ლოგიკას: იგივე 1919 წელს პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ლადო გუდიაშვილი, ალი არსენიშვილი და პავლე ინგოროყვა აარსებენ „ესთეტიურ ლიგას, პატრიოტთა კავშირი“ და დამფუძნებელი კრების არჩევნებში გამარჯვების შედეგად საქართველოს სიძველეების გადარჩენასაც აპირებენ.

1921 წელს, გასაბჭოების უმძიმეს და ქაოსურ პერიოდში, ოპერატიულად დაარსებული საქართველოს დროებითი კომიტეტის წევრებმა, ქართველმა მწერლებმა: კოტე მაყაშვილმა, პაოლო იაშვილმა, გრიგოლ რობაქიძემ შეძლეს და შემთხვევითი, კერძო პირებისაგან ხელში ჩაგდებას გადაარჩინეს: საქართველოს მუზეუმი, ეროვნული გალერეა, საქართველოს ეთნოგრაფიული მუზეუმი, საეკლესიო მუზეუმი, წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმი, სამუზეუმო ბიბლიოთეკა... (იხ. საქართველოს ხელოვანთა დროებითი კომიტეტის ანგარიში, სლმ №2898855-22).

1921 წელს ყალიბდება „ახალი მწერლების კავშირი“, პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის მონაწილეობით. 1923 წელს პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე და სხვები არჩეულნი არიან მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრებად და ამ ტრიბუნიდან შეძლებისდაგვარად ქმნიან ქართული კულტურის ფრონტს. იმავე 1923 წელს ინტერესდებიან ისინი ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობის გედევანიშვილისეული, უნიკალური არქივით და მის შესწავლას იწყებენ.


1927 წლიდან პაოლო იაშვილი საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრობის კანდიდატია და თბილისის საბჭოს წევრი. სავარაუდოა, რომ სწორედ პ. იაშვილის შუამდგომლობით, 1930 წელს ტიციან ტაბიძე მიმართავს თბილისის აღმასკომის კომუნალური მეურნეობის გამგეს „გრიბოედოვის მუზეუმის ქართველ მწერალთა მუზეუმად გარდაქმნის შესახებ“ (სლმ №20871). ტიციანის არგუმენტირებული განაცხადი დაკმაყოფილებულ იქნა.

„ახალი მწერლობის მიზანია სავსებით იყოს გამომსახველი ქართველი ერის ყველა მიღწევათა. [...] ერის გადამეტებული სიყვარული გვაბედვინებს ვთქვათ, რომ საქართველო დიდათ სცილდება იმ დაფასებას, რომელიც მას ისტორიულად ჰქონია. ჩვენი რწმენით, საქართველო შორდება გეოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ საზღვრებს და იზომება დიდი მასშტაბით. ახალი მწერლობის კავშირი არის ორგანიზაცია ისეთი ელემენტების, რომელთაც აქვთ ერთნაირი გაგება, როგორც საქართველოსი, ისე მისი კულტურის“ (პაოლო იაშვილი, „ლაშარის გერბით“, გაზ. „ლაშარი“, 1923წ. №1).

1930 წელს, ტიციან ტაბიძის თაოსნობით, საფუძველი ჩაეყარა მთაწმინდის ქართველ მწერალთა მუზეუმს, რომელსაც 1931 წლის მარტში სათავეში ჩაუდგა გიორგი ლეონიძე.

დაახლოებით 1932-35 წლებში, ლევან აღნიაშვილის რექტორობის დროს, პაოლო იაშვილი თბილისის სახელმწიფო უნუვერსიტეტშია მიწვეული „ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე“ სამუშაოდ. 1935 წლის ივნისიდან, როდესაც უნივერსიტეტის რექტორად „წითელი პროფესორი“, მარქსისტული თეორიისა და ისტორიის მკვლევარი კარლო ორაგველიძე დაინიშნა, ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი დოკუმენტის თანახმად, იწყება შეტევა მწერალთა მუზეუმზე, რასაც პაოლო რადიკალურად ეწინააღმდეგება. სხვანაირად როგორ უნდა აიხსნას: *„მან* (კ. ორაგველიძემ. – ნ. ხ.) *მოინდომა მწერალთა მუზეუმის უნივერსიტეტის კარიდორში მოთავსება... გააგ ზავნა ფურგონები და საბარგო მანქანები, „დღესვე ჩამოიტანეთო“*... ეს იმას ნიშნავს, რომ სამუზეუმო ექსპონატები უკვე ძალიან ბევრია, რომლის გადასაზიდად საჭიროა *„საბარგო მანქანები“, „ფურგონები“*... სიტყვა „ჩამოიტანეთ“ ნიშნავს ზემოდან ქვემოთ მიმართულებას, ალბათ, მთაწმინდიდან ჭავჭავაძის პროსპექტზე. 1935 წელს „მწერალთა მუზეუმი“ ჯერ კიდევ მთაწმინდაზეა. იგი საბოლოოდ, „ქვემოთ“, ჯორჯიაშვილის ქუჩაზე, დაფუძნდა 1938 წელს. ამ დროს არც პაოლო იაშვილი და არც ტიციან ტაბიძე უკვე ცოცხლები აღარ იყვნენ. სხვა „მწერალთა მუზეუმის“ არსებობა იმ წლებში ჩვენთვის ცნობილი არ არის... ამასვე მოწმობს საქართველოს სახელმწიფო გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმში დაცული, ტ. ტაბიძის მიერ ჩამოყალიბებული „მთაწმინდის მწერალთა მუზეუმის ქართული განყოფილების გეგმა“: „ასეთი მუზეუმი პირველია საქართველოში და აქ ხდება შეჯგუფება მთელი მწერლობისა და ქართული პრესის“ (ნ. ვადაჭკორია, ჟურნ. „კრიტიკა“, 1987, №1). ერთადერთი საეჭვო გარემოება „გამსახკომს“ გადაცემული „მწერალთა მუზეუმია“ ეს დოკუმენტი კი დღეს უკვე მიუწვდომელია. ტ. ტაბიძის მიერ შედგენილი „მთაწმინდის მწერალთა მუზეუმის ქართული განყოფილების გეგმის თანახმად“, „მუზეუმის ორგანიზაცია თავზე იდვა ტფილისის ქალაქის საბჭომ“. გავიხსენოთ, რომ პაოლო იაშვილი იქამდე არჩეული იყო თბილისის საბჭოს წევრად. ამიტომ მწერალთა კავშირთან არსებული მთაწმინდის მწერალთა მუზეუმისთვის თბილისის საბჭოს მეურვეობა არ უნდა იყოს შემთხვევითი.

მიხეილ გედევანიშვილის სახლ-მუზეუმსა და ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტებიდან გამომდინარე, შეიძლება პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძესთან და გიორგი ლეონიძესთან ერთად, მწერალთა მუზეუმის (შემდგომ ლიტერატურის მუზეუმის) ფონდების პირველ შემგროვებელთა შორის მოვიხსენიოთ. მეტიც, პაოლო იაშვილმა შემთხვევითი ადამიანების ხელყოფისა და განიავებისგან გადაარჩინა, როგორც თავად უწოდა, „ძვირფასი განძი“ – სამუზეუმო ექსპონატები. მათ შორის, ვვარაუდობთ, რომ ილია ჭავჭავაძის უნიკალური მემკვიდრეობაც, რომელიც გედევანიშვილებმა 1932 წელს გადასცეს ახლად დაარსებულ მთაწმინდის მწერალთა მუზეუმს.



„ჩვენ მოვისმინეთ თქვენი წყევლა, დავინახეთ, როგორ ანთებდნენ კოცონს ჩვენი მღელვარებით სავსე გულების დასაწვავად... არ ვიცით, რა არის თქვენი სახელი. არ ვიცით, სად არის თქვენი ხმალი. თქვენს მხეცურ ყვირილში გსურთ დაადუმოთ ჩვენი შეურყეველი ხმები, ჩვენი წმინდა ლოცვები, მაგრამ ვინც ეზიარა ხელოვნების უკვდავებას, მას ვერ შეაშინებს თქვენი ბოროტებით სავსე ზეიმობა. თქვენ გინდათ დასთესოთ მტრობა ჩვენს შორის და მოყვარულ ძმებში შეიტანოთ სიძულვილი, მაგრამ ის ვინც დაადგა ჩვენს გზას, მას ვერ ასცდება: გზა ერთია. შეიძლება იყოს მრავალი ტაძარი. გვწამს: მოვა წინასწარმეტყველი, რომლის სამლოცველოში შევალთ ყველა დროებით განშორებულნი... ჩვენს გარშემო კიდევ დიდხანს იქნება თქვენი საცოდავი ყვირილი... ყოველი მხრიდან უხმობთ სიკვდილს, რომ დაინახოთ თქვენი სისხლიანი თვალებით ჩვენი დაცემა... მაგრამ თუ უნდა მოვიდეს დრო ჩვენი სამუდამო დაძინებისა, ჩვენ ვიგრძნობთ დასასრულის სიახლოვეს და ვნახავთ თქვენგან განშორებულ ადგილს უკანასკნელი ლოცვების სათქმელად“...

პაოლო იაშვილი

ჟურნალი „ცისფერი ყანწები“, №2, 1916 წ.



ფრაგმენტები მწერალთა სხდომების დოკუმენტური ქრონიკიდან


საქართველოს საბჭოთა მწერლების პრეზიდიუმის სხდომათა ოქმების ჩანაწერები

1934 წელი, 19 აპრილი

შემოქმედებითი დისკუსია: „პოეზიის ფრონტი საქართველოში“

ბესარიონ ჟღენტის მოხსენებიდან: „ჩანს წმინდა ლირიკის ტენდენცია, რომელმაც თავი იჩინა ერთი წლის წინათ „მნათობში“, როცა გამოვიდნენ მთელი რიგი პოეტებისა: პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, გ. ლეონიძე და სხვ. თითქოს, 23 წლის აპრილის დადგენილებამ მოახდინა წმინდა ლირიკის ამინისტირება. მე არ გავაგრძელებ ამაზე ლაპარაკს, რადგან ის საკმაოდ გაკრიტიკებული იყო, მაგრამ დამახასიათებელია ამ ნიადაგზე წარმოშობილი მთელი ფაქტები. მაგალითად, პაოლო იაშვილის ლექსი „კალმის წვერი“, რომელიც დაიბეჭდა „იზვესტიაში“. ეს ერთგვარი შეხედულება არის პოეზიის რაობაზე. თუკი, მაგალითად, ილია ჭავჭავაძემ იცოდა, რომ ხმალი იმდენს ვერ იზამს, რასაც კალამი, პაოლო იაშვილი კალმის წვერს ბულბულის ნისკარტს ადარებს და ეს არის რაღაც სიმბოლო იმისი, რაც ტკბობისათვის მღერის. არ არის ორი აზრი იმის შესახებ, რომ პაოლო იაშვილი მეტად ნიჭიერი პოეტი არის. მისი უკანასკნელი ლექსი „სამი...“ უთუოდ შეიცავს პოეტურ პოტენციას, მაგრამ ცხადია, რომ ეს პოეტი არ მუშაობს ისე, როგორც პროფესიონალი მწერალი უნდა მუშაობდეს თავის დაზგასთან. საქმე იმაში კი არ არის, რომ ის მცირერიცხოვან პროდუქციას გვაძლევს, არამედ ის არ თვლის თავს ვალდებულად, რომ პასუხი გასცეს ჩვენი დროის მტკივნეულ პროცესებს. მის კონცეფციას პოეზიის ბულბულის ნისკარტად გაგებისა, რასაკვირველია, ჩვენ უნდა შევებრძოლოთ, როგორც ერთის მხრივ, იდეურ გადახვევას, მეორეს მხრივ, როგორც დაბალი ხარისხის განმაპირობებელს. ჩვენ არ შეგვიძლია ცალკე გამოვყოთ ხარისხის საკითხი და იდეურობის საკითხი. საცა დაბალია ხარისხი, იქ არის დაბალი იდეურობაც...

მე ვამბობ: წმინდა ლირიკა ზედმეტი არის არა იმიტომ, რომ ის არ ატარებს ჩვენს ხაზს, არამედ იმიტომ რომ ამ პრინციპით დაწერილი ლექსი მიდის დაბალ ხარისხამდე. იმიტომ რომ ამ პრინციპით დაწერილი არ შეიძლება იყოს თანამედროვე სოციალური ფუნქციის შემსრულებელი“.



1937 წლის 9 ივნისი

სანდრო ეულის გამოსვლიდან: „რომელ ჩვენგანს არა აქვს შეცდომა თავის ნაწერში ან თავის შემოქმედებაში, მაგრამ შეცდომაც არის და შეცდომაც. შეცდომა სისტემაში რომ გადადის, ის უკვე სხვანაირია. მაგ. ტროცკისტები რომ არიან, ცალკე აღებულნი, მათი შეცდომები შესაძლებელია არაფერი იყოს, მაგრამ როდესაც დაგროვდა, შემდეგ სისტემაში გადავიდა და ბოლოს დანაშაულად გადაიქცა...

დავით დემეტრაძე: არ არის სწორი. ეს შეცდომა კი არა, დივერსიაა.

სანდრო ეული: როდესაც ჩვენ ვარკვევთ ამ ამხანაგების შეცდომას, რომელთა შესახებ ამხ. ლ. ბერიამ ილაპარაკა და აქ ამხანაგებმა მოიყვანეს ცალკეული შეცდომები, როგორიც შესაძლოა ყოველ ჩვენგანს ჰქონდეს მეტ-ნაკლებად, მაგრამ იქ სხვა ამბავია: მაგ. პ. იაშვილის შესახებ გარკვეულად არის ლაპარაკი, რომ იაშვილი ჩავარდა ამ ხალხის მტრების კლანჭებში. ეს უბრალო ამბავი არ არის!"

1937 წლის 6 აპრილი

დავით დემეტრაძე: „პაოლო იაშვილმა ვერ გაიხსენა ის ამბავი, რომ მოსკოვში, ღოლობერიძის ბინაზე, იკრიბებოდა უკმაყოფილო ხალხი, კონტრრევოლუციურად განწყობილი ხალხი ჩვენი ხელისუფლებისადმი. თქვენ (მიმართავს პ. იაშვილს) იქ ქეიფებში ღებულობდით მონაწილეობას. იქ იყო სრული გახრწნილება, რომლის წუმპეში თქვენ ჩავარდით და ამის შესახებ ბოლომდე არ თქვით. ჩვენ უნდა მივიღოთ ზომები, რომ იაშვილმა გახსნას ეს ამბავი...

პირველ ყოვლისა, უნდა შეწყდეს კატეგორიულად ზოგიერთი მწერლის, რომელიც შეეხება პ. იაშვილს და ტ. ტაბიძეს, ერთგვარი მოღვაწეობა რუსეთში, რაც ამცირებს ჩვენს მთელ ორგანიზაციას, საბჭოთა მწერლების სახელს. კატეგორიულად ვაცხადებ: ეს ამბავი უნდა შევწყვიტოთ.

თქვენ რომ იყავით მოსკოვში, შეხვედრები გქონდათ მთელ რიგ პირებთან, ადგილი ჰქონდა დაუსრულებელ ბანკეტებს, საეჭვო ხალხის დაუსრულებლად რედაქციებში სიარულს. დაუსრულებელი ავანსები. არ დარჩა ერთი რედაქციაც კი ჩვენს ქართველ მწერლებს ავანსი რომ



რეპრესირებული მწერლებისადმი მიძღვნილი ექსპოზიცია მწერალთა სახლში, 2023 წ.

არ აელოთ. ეს საქმიანობა არცხვენს მწერლების და მთელი ჩვენი ორგანიზაციის სახელს. ამას კატეგორიულად უნდა მოეღოს ბოლო. აღარ შეიძლება განმეორდეს ეს ამბავი, რაღაც განუსაზღვრელი დიპლომატია. საკუთარი თავის პიროვნების ცენტრში დაყენება. სხვისი აბუჩად აგდება.

ეს დაუსრულებელი სიტყვები ბანკეტებზე ქმნის ერთგვარ ატმოსფეროს, რომელსაც ბოლო უნდა მოვუღოთ. სხვათაშორის, ეს ამბავი შესამჩნევი გახდა იქაური მწერალთა კავშირისთვის. საჭიროა ჩვენ დავიცვათ წმინდად ქართველი საბჭოთა მწერლის ღირსება!


1937 წლის 9 ივნისი

ბესარიონ ჟღენტი: ამხანაგებო, ჩვენ აქ, მწერალთა აკავშირის პრეზიდიუმში, ვიხილავთ მეტად საპასუხისმგებლო პოლიტიკურ საკითხს. ეს არის საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად წმინდაა იდეურად ჩვენი სამწერლო ორგანიზაციის რიგები. რამდენად მოახერხეს ხალხის თვალთმაქცებმა, ნიღაბამოფარებულმა მტრებმა ჩვენი რიგების იდეური შერყვნა ზოგიერთების გამოყენებით, თავიანთ მავნებლურ, კონტრრევოლუციურ, ანტისახალხო მუშაობაში.

იაშვილი უარყოფს კატეგორიულად, რომ მას ელიავას საქმე არ უკეთებია, მაგრამ იაშვილის დიდი პოლიტიკური დანაშაული ჩვენი მწერლობის წინაშე არის ის, რომ მან იცოდა ეს აუარებელი ფაქტები ხალხის მტრების შეკრებების შესახებ და ამას მხოლოდ დღეს ლაპარაკობს. თქვენ ლაპარაკობდით, რომ მოსკოვში იკრიბებოდნენ და შეთქმულებას აწყობდნენ.

პ. იაშვილი: მე შეთქმულება არ მიხსენებია.

ბ. ჟღენტი: რა თქმა უნდა, შეთქმულებაა. ცხადია, რომ საბჭოთა მწერალს ასეთი დამოკიდებულება არ შეეფერება.



1937 წლის 22 ივლისი

(მცირე კომენტარით)

ეს ის დღეა, როცა სასოწარკვეთილებამდე მისულმა პაოლო იაშვილმა მწერალთა კავშირში დემონსტრაციული თვითმკვლელობა ჩაიდინა. სხდომას კავშირის თავმჯდომარე დავით დემეტრაძე უძღვებოდა. პარტიის ცეკას სტაჟიანი ჩინოვნიკი შეუნიღბავი სიმკაცრით განიხილავდა პარტიული სიფხიზლისა და ბელადისადმი ერთგულების თემას და როგორც მიღებული იყო, ამგვარი სხდომების დამსწრეთა დიდი ნაწილი რომელიმე კონკრეტული მწერლის მთელი სიმკაცრით დადანაშაულებას მკაცრი, მამხილებელი რეპლიკებით ან სამარისებული დუმილით ხვდებოდა.

რა მოხდა ზუსტად იმ საბედისწერო 1937 წლის 22 ივლისის სხდომაზე? (არსებობს ამ დღის შესახებ სერგო კლდიაშვილის, სიმონ ჩიქოვანის და ირაკლი აბაშიძის ძალიან საგულისხმო, ემოციური მოგონებები). ოფიციალური ოქმის სტენოგრაფიული ჩანაწერი თითქმის ბოლომდე, დეტალურად აღნუსხავს იქ წარმოთქმულ სიტყვებს და საერთო პათოსს. არ არის მხოლოდ კრების ფინალი – პაოლოს თვითმკვლელობა. ეს ოქმი ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე ტიპიური დოკუმენტია. თუ წარმოსახვას დავძაბავთ, შეგვიძლია მიახლოებით მაინც წარმოვიდგინოთ, რას უსმენდა და როგორ უსმენდა ან საერთოდ, უსმენდა თუ არა, ამ დემაგოგიას პაოლო იაშვილი, რომელიც იმ დღეს თავისი დაძაბული ფიქრით და წინასწარი განზრახვით მივიდა მაჩაბლის ქუჩა №13-ში.

ამ სახლის აბრის დანახვაზე, თითქმის ყოველთვის, მახსენდება გალაკტიონ ტაბიძის გულუბრყვილო ჩანაწერი: „ძლიერ მაფიქრებს, რომ ამ სახლის ნომერი არის 13"

სხდომას ხსნის დავით დემეტრაძე და საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოფილი თავმჯდომარის, აკაკი თათარიშვილის მოღალატური საქმიანობის შესახებ აკეთებს განაცხადს: „თათარიშვილი გამომჟღავნებულ იქნა, როგორც ხალხის მტერი, დივერსანტი... დეზორგანიზაცია შეჰქონდა მუშაობაში. თათარიშვილის ბიუროკრატობა, უქნარობა და ცარიელი ლაყბობა იყო მტრის მავნებლურ-თვალთმაქცური ბრძოლის ფორმა".

მეორე საკითხი სრულიად განსაკუთრებულია, უდიდესი ცინიზმის შემცველი! ეს მისალმების დეპეშის შინაარსია, რომელიც შინსახკომში უნდა გაეგზავნათ, იმ ე.წ. ამხანაგებთან, ვისი „მეცადინეობის“ შედეგადაც იჭერდნენ, აპატიმრებდნენ, ასახლებდნენ და ხვრეტდნენ მწერლებს და არა მარტო მწერლებს.

მოწინავე საბჭოთა ქართული მწერლობა მთავრობის ჯილდოების მიღებას ულოცავდა ამხ. ეჟოვს და შინსახკომის მუშაკებს (ძნელია წარმოდგენა, ფიქრობდნენ ან გრძნობდნენ თუ არა, რომ ამ დოკუმენტზე ხელისმომწერთა დიდ ნაწილს, ტექსტის შემდგენელსაც და თავად კრების თავმჯდომარესაც, იგივე შინსახკომი უმოწყალოდ გაანადგურებდა)...

„საქართველოს საბჭოთა მწერლები მხურვალედ მოგესალმებით თქვენ, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის შვილს და ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლევამოსილების შეუდრეკელ გუშაგს. თქვენი დაჯილდოება ლენინის ორდენებით საუკეთესო გამოხატულებაა იმ უსაზღვრო სიყვარულისა, რომელიც დაიმსახურეთ თქვენ საბჭოთა კავშირის სისხლიანი აგენტების – ტროცკისტ-ბუხარინელ ბანდიტების, დივერსანტების და ჯაშუშების წინააღმდეგ.

საბჭოთა მწერლობა ურყევ რწმენას გამოთქვამს, რომ თქვენი ბოლშევიკური ხელმძღვანელობით, ჩვენი სახელოვანი შინსახკომი, რევოლუციის ეს გაშიშვლებული ხმალი, რომელიც ხელთ უპყრია ძლევამოსილ საბჭოთა ხალხს, საბოლოოდ გასწმენდს ჩვენი ბედნიერი სამშობლოს მიწა-წყალს სოციალიზმის მტრებისაგან, სამგზის წყეულ და საზიზღარ ფაშისტურ-ტროცკისტულ-ბუხარინულ ნაძირალებისგან.

სოციალიზმის მრავალმილიონიან ხალხთან ერთად, საქართველოს საბჭოთა მწერლობა მზად არის, უფრო მჭიდროდ დარაზმულმა ბოლშევიკური პარტიისა და ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ირგვლივ, მხატვრული სიტყვის იარაღით იბრძოლოს დიადი ქვეყნის, სოციალიზმის ამ მიუვალი ციხე-სიმაგრის შემდგომი განმტკიცებისთვის.

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძენ ბელადს და უსაყვარლეს მასწავლებელს, დიდ სტალინს! გაუმარჯოს პროლეტარული რევოლუციის ფოლადისებრ გუშაგს-შინსახკომს და მის სახელოვან ხელმძღვანელს ამხანაგ ეჟოვს!“...

სხდომის მესამე საკითხად მოისმინეს განცხადება მწერალ აკაკი ბელიაშვილის შესახებ, რომელმაც „მწერალთა კავშირს დაუმალა, რომ სახკინმრეწვიდან მოხსნილი იქნა პოლიტიკური მოტივით“.

აკაკი ბელიაშვილმა აღიარა, რომ სახკინმრეწში მუშაობის დროს მან, მართლაც, დაუშვა პოლიტიკური შეცდომა. თუ რა შეცდომაა აქ ნაგულისხმევი, ოქმში არ არის დაფიქსირებული.

შესაძლებელია მხოლოდ სერგო კლდიაშვილის უკანასკნელი მოგონებიდან გავიგოთ, რომ ბელიაშვილს ბრალდებოდა ბელადის აუგად მოხსენიება, რასაც ბრალდებული აღელვებით უარყოფდა და ითხოვდა იმ ადამიანის დასახელებას, ვინც ეს ცრუ ინფორმაცია სათანადო ორგანოებს მიაწოდა. დემეტრაძემ ბელიაშვილს რამდენჯერმე ხმამაღლა მიუთითა, ელიარებინა დანაშაული... სწორედ ამ დროს წამოდგა პაოლო იაშვილი, მძიმე ნაბიჯით ოთახის გასასვლელისკენ გაემართა და მეორე სართულისკენ აუყვა კიბეს...

და თუ რა მოხდა იქ, მეორე სართულზე, რასაკვირველია, ოქმში ერთი სიტყვითაც არ არის აღნიშნული... პოეტის საშინელი თვითმკვლელობის ტრაგედიას კვალიფიკაცია შემდგომ მიეცემა („პროვოკაციული აქტი“)... თოფის გასროლის მერე კრება აღარ გაგრძელებულა, მაგრამ ოქმში ამ კრების დასრულების შესახებ ფორმალურად წერია, რომ გარკვეული დადგენილება გამოიტანეს: **„ვინაიდან ბელიაშვილმა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმს, როდესაც საკითხი იდგა მისი წევრად მიღების შესახებ, დაუმალა, რომ სახკინმრეწვიდან მოხსნილი იქნა პოლიტიკური მოტივებით**

(„კონტრრევოლუციური ლაყბობა“ და სხვ.), გაუქმდეს პრეზიდიუმის წინა სხდომის დადგენილება აკაკი ბელიაშვილის მწერალთა კავშირის წევრად მიღების შესახებ.

სხდომის თამჯდომარე დავით დემეტრაძე, მდივანი ირ. ქავჟარაძე“.

ცხადია, 1937 წლის 22 ივლისის დღის მთავარი მოვლენა, პაოლო იაშვილის ტრაგედია საბოლოო დასკვნაში არც ერთი სიტყვით არ არის ნახსენები. კავშირის ხელმძღვანელობა ამ ფაქტის შეფასებისა და კლასიფიკაციის მიცემისთვის მითითებას „ზემოდან“ ელოდა და სათანადო დირექტივებით „აღჭურვილმა“ ექვსი დღის შემდეგ მოიწვია სხდომა.

1937 წელი, 28 ივლისი, ოქმი №4

მოისმინეს ინფორმაცია პ. იაშვილის მიერ ჩადენილი პროვოკაციული აქტის შესახებ.

ყველა ორატორი სასტიკად გმობდა და კიცხავდა პავლე იაშვილის მოღალატურ მუშაობას, საბჭოთა ხალხის მტრებთან უშუალო კავშირს და მავნე საქმიანობაში მონაწილეობას. ყველა ზიზღით და აღშფოთებით აღნიშნავდა პ. იაშვილის მიერ მწერალთა სასახლეში ჩადენილ პროვოკაციულ აქტს – თვითმკვლელობას.

დაადგინეს: საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, მწერალთა აქტივთან ერთად, რომელმაც მოისმინა ინფორმაცია პ. იაშვილის მიერ ჩადენილი პროვოკაციული აქტის შესახებ, აღნიშნავს: საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოფილი წევრი პავლე იაშვილი, მთელი რიგი წლების განმავლობაში, საბჭოთა მწერლის ნიღაბამოფარებული, თვალთმაქცურად აწარმოებდა მოღალატურ, ჯაშუშურ მუშაობას ქართველი მშრომელი ხალხისა და ჩვენი სოციალისტური სამშობლოს წინააღმდეგ. იგი იყო მჭიდროდ დაკავშირებული საბჭოთა ხალხის მოსისხლე მტრებთან, ტროცკისტ-ბუხარინელ ბანდიტებთან და უშუალოდ მონაწილეობდა მათ დივერსანტულ-მავნებლურ მუშაობაში სისხლიანი ფაშიზმის სასარგებლოდ.

როდესაც მისი მავნებლურ-მოღალატეობრივი მუშაობა ურყევი ფაქტებით საბოლოოდ გამომჟღავნებულ იქნა, მან მოინდომა გაქცეოდა საბჭოთა ხალხის რისხვას და პროლეტარულ მართლმსაჯულებას. მისი თვითმკვლელობა მწერალთა სასახლეში, მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომის მიმდინარეობის დროს, წარმოადგენს პროვოკატორულ აქტს, რომელიც ზიზღსა და აღშფოთებას იწვევს ყოველ პატიოსან საბჭოთა მწერლის შეგნებაში.

ქართველი საბჭოთა მწერლობა მთელი სიმკაცრით ჰკიცხავს და ჰგმობს პავლე იაშვილის მოღალატეურ მუშაობას და მის სახელს განუსაზღვრელი ზიზღით მოიხსენიებს სამშობლოს ყველა გარეწარ მოღალატეთა და გამყიდველთა სახელებთან ერთად.

საქართველოს საბჭოთა მწერლობა დაუნდობლად და გამანადგურებლად შეებრძოლება კლასობრივი მტრის უკანასკნელ ნამსხვრევებს ლიტერატურულ ფრონტზე და კიდევ მეტი ერთსულოვნებით დარაზმავს მთელ თავის შემოქმედებით ძალებს ლენინ-სტალინის დიადი პარტიის და სოციალისტური აღმშენებლობის ამოცანების გარშემო.

თავმჯდომარე დ. დემეტრაძე, მდივანი ირ. ქავჟარაძე

დარბაზი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, ერთხმად იღებს დადგენილებას. ხელმძღვანელობა შემდგომი სხდომისათვის ემზადება.

1937 წლის 17 აგვისტო

განიხილეს ინფორმაცია „გამჟღავნებული ხალხის მტრის მიხეილ ჯავახიშვილის“ შესახებ.

იმავე დღეს მიღებულ იქნა „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის აჭარის განყოფილების შუამდგომლობა: ხალხის მტერ მემედ აბაშიძის მწერალთა კავშირის რიგებიდან გარიცხვის შესახებ.

დაადგინეს: „ხალხის მტერი მემედ აბაშიძე გარიცხულ იქნას მწერალთა კავშირიდან“

1937 წლის 8 ოქტომბერი

სხდომის დასასრულს დაადგინეს: „ყოველგვარ ეჭვს გარეშეა ტ. ტაბიძის ახლო კავშირი ხალხის მტრებთან. ვინაიდან მას არაერთხელ მიეცა საშუალება ეღიარებინა თავისი დანაშაული, მაგრამ მან ეს არ ისურვა, ტიციან ტაბიძე გაირიცხოს საბჭოთა მწერალთა კავშირის რიგებიდან.

დადგენილება მიღებულია ერთხმად“.

1937 წლის 17 ოქტომბერი

მწერალთა სახლში, მაჩაბლის ქუჩაზე, №13 ისევ სხდომაა, ისევ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პდეზიდიუმის კრება... ოღონდ შეცვლილია მთავარი როლი. სხდომას არა დავით დემეტრაძე, არამედ სანდრო ეული თავმჯდომარეობს. თუმცა, დრამატურგია და ტერმინოლოგია არ იცვლება. უცვლელია მდივანიც – ირ. ქავჟარაძე, რომელიც სტენოგრაფიულ ჩანაწერს აკონტროლებს.

სხდომის დასაწყისში „მწერლობის ფრონტზე რევოლუციური სიფხიზლის“ დასტურად დეპეშას უგზავნიან ლავრენტი ბერიას: „ფაშიზმის სისხლიანი აგენტების, ტროცკისტ-ბუხარინ-გარეწართა ქართველმა ნაბოლარებმა სცადეს გამოეყენებინათ ქართული საბჭოთა მწერლობა თავის შავბნელი საქმეებისთვის. სცადეს შეებღალათ ლიტერატურული, იდეური სიფხიზლე. უსაზღვროა ჩვენი ზიზღი და გულისწყრომა საბჭოთა მწერლობაში მუხანათურად შემოპარული გარეწრებისადმი, რომლებიც საბჭოთა მწერლის მაღალი სახელწოდებით შენიღბულნი ეწეოდნენ მოღალატურ, ჯაშუშურ მუშაობას ჩვენი ხალხისა და სამშობლოს წინააღმდეგ.

სიტყვას ვიძლევით, რომ დაუნდობლად გამოვამჟღავნებთ და გავანადგურებთ კონტრრევოლუციის ნამსხვრევებს ჩვენს რიგებში, რის ნიღაბსაც არ უნდა ატარებდნენ ისინი“.

ამჟამად ამ ეპითეტების ადრესატი თვით დავით დემეტრაძეა, რომელიც წლების მანძილზე, ასეთივე ტერმინოლოგიით ანადგურებდა, სასოწარკვეთილებაში აგდებდა ქართველ მწერლებს და აუდიტორიას აიძულებდა კოლეგების დაგმობაში მონაწილეობა მიეღოთ ან უსიტყვოდ დასთანხმებოდნენ მის მიერ გამოტანილ განაჩენს.

იმ დღეს კრებამ დაადგინა: „დავით დემეტრაძე, როგორც გამჟღავნებული ხალხის მტერი, გარიცხულ იქნეს საქართველოს საბჭოთა მწერლების რიგებიდან“

1937 წლის 3 დეკემბერს დავით დემეტრაძეს სამეულმა დახვრეტა მიუსაჯა. განაჩენი სისრულეშია მოყვანილი.

1990 წელს ბრიტანელმა ქართველოლოგმა დონალდ რეიფილდმა დაწერა პიესა „პაოლო იაშვილის სიკვდილი" ნაწარმოების დასასრული ასეთია: ლავრენტი ბერია საუბრობს ფაშისტურ ოხრანკასა და გამცემლებზე, რომელთა შორის არიან: გოგი ელიავა, მიხეილ ჯავახიშვილი, პაოლო იაშვილი, დავით დემეტრაძე, კარლო მელაძე და ა.შ. ბერიას სიტყვა ლოზუნგურად სრულდება: „ბანდიტები განადგურებულნი არიან!" ისმის ხანგრძლივი, მქუხარე ტაში. ცნობილია, რომ იგივე ბედი ეწია ბერიასაც. პიესის დასასრულს ვკითხულობთ რეიფილდის პიესის პერსონაჟის, მთხრობელის, რეპლიკას:

„...მაგრამ აი, რა არის საკვირველი: ქრისტესა და იუდას ყველგან ერთად იხსენიებენ მოთხრობებში. ოღონდ ერთად მხოლოდ ჩვენში მარხავენ..."

საქ. საბჭოთა მწერალთა კავშირის კრებების სტენოგრაფიული ჩანაწერები დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში, ფ. 8. საქ. 411.



პაოლო იაშვილის პორტრეტების ისტორიიდან

კირილ ზდანევიჩის ორად გაყოფილი ტილო

მხატვარი კირილ ზდანევიჩი, კავკასიაში ჩამოსახლებული პოლონელი ემიგრანტების ოჯახიდან (მამა – მიხეილ ზდანევიჩი ქუთაისში ფრანგულის მასწავლებელი და შემდგომ სკოლის დირექტორი იყო), პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ ისევ საქართველოში ბრუნდება. ის ერთნაირად დაეუფლა აკადემიური ხატვის მეთოდს და თანამედროვე ავანგარდისტული სკოლების გამოცდილებას.

მუშაობდა წიგნის გრაფიკაში, დრამატულ და საოპერო თეატრებში, დაზგურ ფერწერაში... განუზომელია მისი ღვაწლი ნიკო ფიროსმანიშვილის ნამუშევრების მოძიების და ქართველი მხატვრის აღიარების საქმეში.

კირილ ზდანევიჩი, თავის ძმასთან, მწერალ და თეორეტიკოს ილია ზდანევიჩთან ერთად მონაწილეობდა ტფილისში დაარსებული ავანგარდისტული მიმდინარეობის, რუს პოეტთა ლიტერატურული დაჯგუფების, „41 გრადუსის“ ჩამოყალიბებასა და პროპაგანდაში.

„ცისფერყანწელებთან“ ზდანევიჩის მეგობრობა კაფე „ქიმერიონის“ მოხატულობაში მონაწილეობითაც აღინიშნა.


დაზგურ ფერწერაში განსაკუთრებით საინტერესოა მის მიერ შექმნილი პაოლო იაშვილის ფერწერული პორტრეტები, რომელთაგან ერთ-ერთი, „პაოლოს პორტრეტი დოგით“, გადარჩენილია, ხოლო მეორე, გაუგებარ მიზეზთა გამო დაანაწევრეს და ორ ფრაგმენტად, სხვადასხვა ოჯახში (იაშვილებთან და ტაბიძეებთან) არის შენახული.

სერგო კლდიაშვილის ხელნაწერიდან: „კირილე ზდანევიჩმა პაოლო დახატა მთელი ტანის სიმაღლეზე, წელს ზევით. პაოლოს ხელში აქვს ამართული ყანწი ცისფერი. პაოლოს დიდი თვალები საოცარ სხივს აფრქვევენ. სახე შთაგონებულია და ამასთანავე თითქოს აღგზნებულიც. ტუჩები წითელი აქვს, ოდნავ მოკუმული. ენერგიისა და შინაგანი ძალის გამომსახველი, მაგრამ ამასთანავე ვნებიანი. სურათი პაოლოს დიდი, ცარიელი ოთახის...“


აქ ხელნაწერი წყდება. რა ბედი ეწია და სად არის კირილ ზდანევიჩის ეს პორტრეტი?

სერგო კლდიაშვილის ცნობილ მოგონებაში „ლექსები იყო მათი საგზალი“ პაოლოს ბინის ის ოთახია აღწერილი, სადაც, მისი თქმით, ზდანევიჩის ეს ნამუშევარი ინახებოდა: „ძალიან დიდი ოთახი იყო. ძალიან დიდი ჩანდა უფრო იმიტომ, რომ ცარიელი იყო... მაგიდაზე ეყარა ლექსების ხელნაწერები, კონვერტში ჩადებული გაუგზავნელი წერილები, რამდენიმე ყელსახვევი და სამიოდე წიგნი. წიგნებიდან მახსოვს რემბოს ლექსების ფრანგული გამოცემა. ფანჯარასთან კუთხეში მიყუდებული იყო კირილე ზდანევიჩის მიერ დახატული პაოლოს უზარმაზარი პორტრეტი. ამ სურათზე პაოლოს ხელში ეჭირა ზევით აღმართული დიდი, ცისფერი ყანწი. პაოლოს ბრაზს გვრიდა ხოლმე ეს სურათი. ცოდვილიანი ვარო! – ამბობდა. ესროდა ხან წიგნს, ხან ფეხსაცმელს. ერთ დღეს კი ისე გახელდა, რომ დანით აკუწა. გადარჩა მხოლოდ სახე, რომელიც ტიციანმა წაიღო“.

ჩვენ დიდხანს ვცდილობდით ვარაუდის დონეზე მაინც აგვეხსნა პაოლოს ამგვარი შესაძლო რეაქცია. წარმოვიდგინეთ, ოსკარ უაილდის დორეან გრეისთან ანალოგიაც: როცა დორიან გრეი ანადგურებს თავის სახეშეცვლილ პორტრეტს. უაილდიც და ინგლისური ესთეტიზმიც ხომ „ცისფერყანწელთა“ მუდმივი ინტერესის საგანს წარმოადგენდა. უაილდის ტექსტები, „უაილდის პროფილი“ პირდაპირ თუ ირიბად შემოდიოდა მათ შემოქმედებაში.



რესტავრაციამდე



რესტავრაციის შემდეგ

„მხოლოდ უაილდის ყელსახვევით გაკვირვებული...“ (პ. იაშვილის ლექსიდან „ავტოპორტრეტი“).

„უაილდის პროფილი... ცისფერი თვალები, სარკეში იმალება თმათეთრი ინფანტა...“ (ტ. ტაბიძის ლექსიდან „ავტოპორტრეტი“).

უაილდისადმი განსაკუთრებულ ინტერესზე მეტყველებს ოსკარ უაილდის პიესაც „სალომეა“, რომელიც პაოლო იაშვილმა თარგმნა და 1923 წელს სანდრო ახმეტელმა დადგა რუსთაველის თეატრში.

სანამ სხვა მასალას გავეცნობოდით, ვივარაუდეთ, რომ საკუთარი პორტრეტის „დანით აკუწვა“, შეიძლება ყოფილიყო ოსკარ უაილდის პერსონაჟის ჟესტის გამეორება ანუ ე.წ. ავანგარდისტული პოზა. თუმცა, ყველა შემთხვევაში, მაინც ძნელი წარმოსადგენია პაოლო იაშვილის მიერ მისი საყვარელი მხატვრის, მეგობრის და თანამებრძოლის, კირილ ზდანევიჩის ნახატის ხელყოფა.

საბოლოოდ, სად არის და რა ბედი ეწია ზდანევიჩის დახატულ ამ ფერწერულ ტილოს?..

ამის შესახებ ლიტერატურული წყაროები და ხელოვნების ისტორია დუმს, მაგრამ იაშვილების საოჯახო არქივში დარჩენილია პოეტის მეუღლის, თამარ იაშვილის მოგონების ჩანაწერი, სადაც ეს თემა შეძლებისდაგვარად ახსნილია და განმარტებული. თამარ იაშვილი დიდხანს არკვევდა, თუ რატომ იქცა ორ დეტალად ანუ ორ ტილოდ კირილ ზდანევიჩის ეს ძალიან ღირებული ნახატი, სადაც ხის ქვეშ ერთად იდგნენ პაოლო და ტიციანი. ჰქონდა საუბრები თბილისში, ზდანევიჩებთანაც. კირილე ზდანევიჩის ქალიშვილს, მირელს ახსოვდა, რომ ეს ტილო მამამისმა აჩუქა არა პაოლოს, არამედ ტიციანს და ეს გადაცემა-ჩუქება მოხდა რიტუალურად, პაოლო იაშვილის, კოლია ჩერნიავსკის და სხვათა თანდასწრებით. ნიკალაი (კოლია) ჩერნიავსკი, რომელსაც ტიციანმა „სლავი ომარ ხაიამი“ უწოდა, ქართველი პოეტების ლექსებს თარგმნიდა და ბწკარედებსაც აკეთებდა. ასევე ზდანევიჩთან და სხვებთან ერთად დიდ მონაწილეობას იღებდა ნიკო ფიროსმანიშვილის ნახატების აღმოჩენასა და მის პოპულარიზაციაში. ჰქონდა საუკეთესო ალღო და გემოვნება ხელოვნებაში.

პაოლო იაშვილის მეუღლის, თამარ იაშვილის განმარტებით, პაოლოს სახე უხეშად იყო ამოჭრილი ტილოდან. გადარჩენილი ფრაგმენტი ანუ პაოლოს სახე იაშვილების ოჯახისთვის, კონკრეტულად მედეა იაშვილისთვის, გადაუცია ახლო ნათესავს, მარინა ადამიას. თუ საიდან გაჩნდა მ. ადამიას ხელში ეს ფრაგმენტი, თამარ იაშვილი აქ რატომღაც ზოგადად, დაუკონკრეტებლად მიანიშნებს: „ჩვენი საერთო ნაცნობებისგან". სავარაუდოა, რომ მათი დასახელება არ სურს.

პაოლო იაშვილის მეუღლეს სერგო კლდიაშვილისთვისაც მიუმართავს კითხვით, თუ რაზეა დამყარებული მისი მოგონება და პასუხად მიუღია, რომ „გადმოცემით" ანუ სხვებისგან მოთხრობილი ისტორიით.

თამარ იაშვილი-სერებრიაკოვა: „მე ძალიან ძნელად წარმოვიდგენ ისევე, როგორც ყველა, ვინც პაოლოს იცნობდა და ალბათ, თვით სერგოც, რომ პაოლოს, ასეთ თაყვანისმცემელს და პატივისმცემელს ხელოვნების ნაწარმოებებისა, მითუმეტეს, კირილეს შემოქმედებისა, მისი მეგობრის, რომელსაც ძალიან აფასებდა და უყვარდა და უაღრესად მადლიერი იყო იმითაც, რომ ფერწერული ტილო „პაოლო დოგით, მამადავითის ფონზე" შექმნა და აჩუქა, კირილეს წინაშე ასეთ მკრეხელობას ჩაიდენდა [...]. სრული დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ზდანევიჩის ნახატის განადგურების ფაქტი სრულიად შეუთავსებელია პაოლო იაშვილის პიროვნებასთან [...]. ახლა ამ ნახატის ორი ფრაგმენტი არსებობს: ერთი ჩვენთანაა – პაოლოს თავი, შავი ქუდით და მისივე შავი ტოგის ზემოთა ნაწილით და მეორე, აბსოლუტურად დაუზიანებლად გადარჩენილი ფრაგმენტი ტაბიძეებთან – ტიციანი ხესთან, სადაც ჩანს პაოლოს შავი ტოგის ქვედა ნაწილიც ანუ ნაწილი წინა ფრაგმენტისა [...]. მთელი მსოფლიოს მხატვრების ცხოვრების გამოცდილების გათვალისწინებით, ზოგჯერ თავად მხატვრები ასახიჩრებენ საკუთარ ტილოებს და არა ამ ტილოებზე გამოსახული პიროვნებანი... თუკი პაოლოს ამ ნახატში თავისი თავი არ მოეწონა, მაშინ პირველ რიგში თავისივე სახეს დააზიანებდა... მისი გამოსახულება კი მთლიანად იყო ამოჭრილი" (მოგონება ინახება პაოლოს შვილიშვილის, მერაბ ნიჟარაძის ოჯახში).

ნახატის ფრაგმენტს, პაოლოს სახეს, დიდი ხნის მანძილზე სადღაც დაკარგულს და მერე აღმოჩენილს, დიდი დროის მანძილზე არასწორ პირობებში შენახვის და მოუვლელობის კვალი აჩნდა. რესტავრატორმა თეონა ასიტაშვილმა ნახატის რესტავრაციაზე მუშაობისას, აღნიშნა, რომ სახეს დანით მიყენებული დაზიანება არ ჰქონდა და ფრაგმენტი მიზანმიმართულად იყო ამოჭრილი საერთო ქსოვილიდან.

ნინო ხოფერია

ილია მაშკოვის „პოეტის პორტრეტი"

გლებ პოსპელოვი

პაოლო იაშვილის სავარაუდო პორტრეტი შესრულებული ილია მაშკოვის მიერ

(იბეჭდება შემოკლებით)

სურათი დათარიღებულია 1910 წლის ოქტომბრით და იმყოფება მოსკოვის ტრეტიაკოვის გალერეაში, სადაც გამოფენილია, როგორც პოეტ ს. ი. რუბანოვიჩის პორტრეტი. ასეთი პოეტი სინამდვილეში არსებობდა – ეს არის ერთ-ერთი მოსკოველი სიმბოლისტი ბრიუსოვის გარემოცვიდან. მას ქებით მოიხსენიებდა ალექსანდრ ბლოკი, ხოლო მოგვიანებით თავისი მემუარების ფურცლებზე მოიგონა ანდრეი ბელიმ. მაშკოვი იცნობდა არა მარტო მას, არამედ მისი ოჯახის წევრებსაც.

თითქოსდა, ამ პორტრეტის ატრიბუტიკასთან ყველაფერი წესრიგშია, მაგრამ გარკვეული დროიდან სურათს გადახდა საინტერესო თავგადასავლები. ერთმანეთისგან დამოუკიდებლად რამდენიმე ადამიანმა დარწმუნებით გამოთქვა თავისი მოსაზრება იმის შესახებ, რომ პორტრეტზე გამოსახულია არა რუბანოვიჩი, არამედ ქართველი პოეტი პაოლო იაშვილი. პირველი მათგანი იყო ტრეტიაკოვის გალერეის თანამშრომელი ე. ა. ლებედინსკაია, რომელიც 1910-იან წლებში ცხოვრობდა თბილისში და კარგად იცნობდა პაოლო იაშვილს. მისი თქმით, ის გამოიცნობდა მას არა მარტო სახით, არამედ კისრითაც. პაოლოს ფართე, დიდი კისერი ჰქონდა, ისეთი, როგორიც აქვს ჩვენთვის საინტერესო პორტრეტის პერსონაჟს.


ამ ქალბატონის ჩვენებამ მეტად დამაინტერესა. 1977 წელს, თბილისში მოგზაურობისას ალნიშნული პორტრეტის ფოტო ვაჩვენე პ. იაშვილის ქალიშვილს, ნედლას, ხოლო მან, თავის მხრივ, ის გააცნო რამდენიმე ადამიანს, რომლებიც იცნობდნენ იაშვილს ახალგაზრდობაში.

„მე ვაჩვენე ეს პორტრეტი ჩემს ნათესავებს, – ყვება ნედლა იაშვილი – და ყველა ერთხმად ამბობს, რომ ეს პორტრეტი მამაჩემისაა. დღეს ვიყავი ჩვენს ცნობილ მხატვართან. ლადო გუდიაშვილთან, პოეტებთან – კოლაუ ნადირაძესთან და ირაკლი აბაშიძესთან. მათაც ერთი ხმით არ უყოყმანიათ და მითხრეს, რომ ეს პაოლოა". გარდა ამისა, ნადირაძემ და გუდიაშვილმა მიაქციეს მას პატარა წერილობითი მოწმობები, რომელიც მე ამჟამად ხელთ მაქვს: „პორტრეტზე ძალიან ყურადღებით დათვალიერებისას დავრწმუნდი, რომ ეს პ. იაშვილის პორტრეტია", – წერს კ. ნადირაძე, ხოლო ლადო გუდიაშვილი ამას უფრო ტემპერამენტიანად გამოხატავს. ბაზალეთში აღნიშნა რა ერთი ფრაზა: „მე ვნახე მხატვარ მაშკოვის მიერ შესრულებული პორტრეტის ფოტო და დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ამ პორტრეტზე გამოსახულია პოეტი პაოლო იაშვილი. აბსოლუტურად ვარ დარწმუნებული, რაშიც ეჭვი არ მეპარება", – საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი ლადო გუდიაშვილი.

და მაინც, აღნიშნული მოწმობები მაშინ არასაკმარისი მეჩვენებოდა. იაშვილი შეეთხვევით შესაძლოა ძალიან ჰგავდა რუბანოვიჩს. შეიძლება იმანაც იქონია გავლენა, რომ პაოლოს ძველ მეგობრებს ძალიან უნდოდათ ჰქონოდათ პოეტის კიდევ ერთი, ესოდენ მეტყველი პორტრეტი. ასე ვთქვათ, ერთი სამახსოვრო ძველ მეგობარზე. ჩემთან ერთად ეჭვობდა ი. ს. ბოლოტნიკოვა, მაშკოვის შემოქმედების უდიდესი სპეციალისტი. თავი იჩინა მისმა სურვილმა, დაყრდნობოდა მხოლოდ აბსოლუტურად დოკუმენტირებულ ფაქტებს და ასევე გარკვეულმა მეცნიერულმა თავაზიანობამ: მას უნდოდა ეს ატრიბუცია ბოლომდე მე თვითონ მიმეყვანა.


გაურკვეველობაში ვიყავი, თვითონ მხატვარმაც ხომ წარმოგვიდგინა თავისი ტილო „ბუბნოვი ვალეტის“ კრებულში (1913 წ.), სათაურით, როგორც „ს.ი. რუბანოვიჩის პორტრეტი“. ყველაფერს აჯობებდა მოძიებულიყო ამ დავიწყებული პოეტის გამოსახულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ რუბანოვიჩს ჰქონდა აბსოლიტურად სხვა გარეგნობა, მაგრამ რუბანოვიჩი სადღაც გაუჩინარდა და მისი არავითარი გამოსახულება დიდი ხანია ცნობილი არა არის. საერთოდ კი პორტრეტის განსაზღვრა მხოლოდ მსგავსებით მეტად საეჭვოა. ეს ეხება რეალისტური ხასიათის პორტრეტებსაც კი. ვთქვათ, რეპინის ან სეროვისა... და მითუმეტეს, ისეთ ნახევრად პრიმიტივისტულ, ნახევრად კუბისტურ ტილოებს, როგორიცაა ჩვენი სავარაუდო პორტრეტი იაშვილისა. მიუხედავად ამისა, შემდგომში ნაპოვნი იქნა იგივე, რაც ბოლოტნიკოვამ ბევრად უფრო გვიან მიამბო, რომ სახელოსნოში მაშკოვთან მოიძებნა მხატვრის კუთვნილი, 1910 წლის ერთ-ერთი გამოფენის კატალოგის ეგზემპლარი, სადაც ექსპონირებულ იქნა აღნიშნული პორტრეტი. აი, ამ კატალოგის ფურცელზე, პორტრეტის სახელწოდების გასწვრივ, აღმოჩნდა წარწერა მელნით, გაკეთებული მაშკოვის ხელით: – „იაშვილი“. ამჟამად, როგორც მე ვფიქრობ, ჩვენ შეგვიძლია ეჭვგარეშე ვთქვათ, რომ ჩვენ წინაშეა, მართლაც პაოლო იაშვილი და რომ პოეტის მეგობრები, რომელთა მოსაზრებები ზემოთ მოგვყავდა, მართლები აღმოჩნდნენ. მაგრამ სწორედ ახლა დგება ჩვენ წინაშე კითხვები და კითხვები! რატომ დაარქვა მაშკოვმა ამ ტილოს რუბანოვიჩის პორტრეტი? მე ამას უფრო ვხსნი ჩვეულებრივი გაუგებრობით წარწერაში. არა მარტო ახალგაზრდა დაჯგუფებების გამოფენები ან მათი კატალოგები, არამედ მათ მიერ გამოცემული კრიტიკული სტატიების კრებულები ჩვეულებრივ მზადდებოდა ნაჩქარევად. ალბათ მაშკოვს რუბანოვიჩის პორტრეტიც გააჩნდა და აი, ვინმემ, რომელიც მისი სიტყვებიდან იწერდა ნაწარმოების დასახელებას, დაუშვა შეცდომა ან გამოცვალა ილუსტრაცია სახელწოდების შეუცვლელად. აღსანიშნავია ისიც, რომ რამდენიმე შემდგომ ექსპოზიციაზე ტილო ფიგურირებდა, როგორც „პოეტის პორტრეტი“ (უსახელოდ).

რატომ არ უძღვნა მაშკოვმა პორტრეტს ნამდვილი სახელი? იმიტომ, რომ იმ წლებში ეს სახელი მას არაფერს ეუბნებოდა. თუ რა გვარი ჰქონდა ქართველ ყმაწვილ კაცს, რომელსაც ის ხატავდა 1910 წელს, მაშკოვმა იმ პერიოდში შეიძლება ვერც აღიქვა. დაიმახსოვრა მხოლოდ ის, რომ ახალგაზრდა დეკლამირებას უკეთებდა თავის ლექსებს. ეს გვარი მან გაიხსენა უფრო მოგვიანებით, როცა უფრო მკაფიოდ მოესმა იაშვილის პოეტური დიდების შესახებ, მაგრამ ამ აღმოჩენის გამოქვეყნება მაშკოვს აღარ დასცალდა, რადგან ლუნაჩარსკის მუზეუმის გაუქმების შემდეგ, პორტრეტი მისი ცხოვრების განმავლობაში აღარ გამოფენილა. შესაძლოა ისიც, რომ კატალოგზე მინაწერი „იაშვილი“ გამოჩნდა ბოლო პერიოდში, 30-იანი წლების ბოლოს ან 40-იანი წლების დასაწყისში, როდესაც მაშკოვს უკვე აღარ ჰქონდა არავითარი შესაძლებლობა გაეხსენებინა წარსული ნაცნობობა პოეტთან, რომელიც ბევრის მსგავსად დაიღუპა სტალინის ტერორის წლებში.



პაოლო იაშვილი, 1911 წ.

ახლა ბევრად უფრო სერიოზული შეკითხვა: სად იქნა დახატული მაშკოვის მიერ იაშვილის პორტრეტი? 1910 წელს



ილია მაშკოვის "პოეტის პორტრეტი"

მაშკოვი საქართველოში არ ყოფილა, რაც მაძლევდა საშუალებას მივსულიყავი დასკვნამდე, რომ იაშვილი 1910 წლის ბოლოს, თუნდაც მცირე ხნით, ჩამოვიდა მოსკოვში. ცნობილია თუ არა პ. იაშვილის ბიოგრაფებისთვის ეს ფაქტი, ამით საქმე არ იცვლება. თუ იქნება მიჩნეული, რომ აღნიშნული პორტრეტი იაშვილისაა, მაშინ აქედან გამომდინარეობს, რომ 1910 წლის ოქტომბერში, პარიზში გამგზავრების წინ, ის მაშკოვის სტუმარი იყო მის სახელოსნოში, მოსკოვში „малый харитоновский уголок"-ში.

რას წარმოადგენდა იმ დროს ილია მაშკოვის სახელოსნო? ეს იყო მოსკოვში ერთ-ერთი ცნობილი სტუდია, რომელიც ამზადებდა მოსკოვის ფერწერისა და ქანდაკების სასწავლებელში შემსვლელთა მსურველებს. სახელოსნოს მოსწავლეთა შორის სხვადასხვა წლებში ირიცხებოდნენ:

ფალკი, ოსმერკინი, ფედოროვი. ასევე ტატლინი, გრიშჩენკო და სხვანი. მაშკოვს მიჰყავდა თავისი სტუდია მხატვარ მიხაილოვსკისთან ერთად, მაგრამ სხვადასხვა წლებში, როგორც მასწავლებლებს პატიჟებდა სხვა მხატვრებსაც თავისი მეგობრების წრიდან.

1909 წლის ბოლოს გაზეთები წერდნენ, რომ ლარიონოვი და მაშკოვი სხვებთან ერთად გარიცხულები იყვნენ სასწავლებლიდან მემარცხენეობისთვის ფერწერაში. სტუდია გადაკეთდა ლარიონოვის, მაშკოვის, გონჩაროვას, კონჩალოვსკის გარშემო შემოკრებილი ახალგაზრდა მხატვრების შტაბბინად. ლარიონოვი და გონჩაროვა ასწავლიან და როგორც ჩანს, მუშაობენ მაშკოვის სახელოსნოში. 1910 წლის მეორე ნახევარიდან საგრძნობია ლარიონოვის გავლენა თავის მეგობრებზე, მათ შორის მაშკოვზე. ა. რომის სიტყვების თანახმად, მეტად ექსპრესიული „პოეტის პორტრეტი“ სულიერად ახლო იყო ლარიონოვის ტიპის „ყოფით გროტესკთან“. მართლაც, იაშვილის ხელების გამოსახულებაში გამოიცნობა მისი ცნობილი ჯარისკაცების „თათები“ ან კიდევ პოეტ ხლებნიკოვისა მის არანაკლებად ცნობილ პორტრეტზე ფ. დოლტის შვეიცარიის კრებულიდან. და ასევე ტილოს ზედაპირზე გაბრტყელებული კიდურები, ტრეტიაკოვის გალერეიდან ასე ნაცნობი ლარიონოვის მჯდომარე ჯარისკაცის მუხლამდე და თავს ზემოთ ფიგურის გადანაჭერი, რომელიც პირისპირ აახლოვებს ფიგურას მაყურებელთან, ქმნის რა მას განსაკუთრებით შემტევს და წონადს.

ცნობილია, რომ იაშვილი გატაცებული იყო არა მარტო ლექსებით, არამედ ხელოვნებითაც. 1913 წელს პარიზში ჩასვლისას ის შედის ლუვრის ხელოვნების ინსტიტუტში, სადაც ეცნობა არა მარტო პოეტებს, არამედ პიკასოს, მოდილიანს და სხვა მხატვრებს. თუ ინტერესი მხატვრობისადმი მას ჰქონდა უკვე 1910 წელს, მოსკოვში ჩამოსვლისას, ის უნდა მისულიყო ფერწერის სასწავლებელში, სადაც მისთვის სხვა სახელოსნოებთან ერთად, რომლებიც ჩამბარებლებს ამზადებდნენ, უნდა მიეთითებინათ მაშკოვის სახელოსნოზეც.

აბსოლუტურად არ არის შესწავლილი იაშვილის ბიოგრაფის ისეთი ფურცელი, როგორიცაა მისი ნაცნობობა მაიაკოვსკისთან. ზოგი იხსენებს, რომ ასეთი ნაცნობობა შედგა მხოლოდ 20-იან წლებში, მაშინ, როდესაც მაიაკოვსკი ჩამოვიდა თბილისში და იაშვილი თარგმნიდა მის ლექსებს. ამავე დროს, ტიციან ტაბიძე იხსენებს, რომ პაოლო იაშვილი მაიაკოვსკის იცნობდა ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიიდან, სადაც ისინი ერთად სწავლობდნენ. თუ ეს ასეა, რატომ არ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 1910 წელს, მოსკოვში, მათ შორის არსებობდა გარკვეული ურთიერთობები: ორივე ახალგაზრდა პოეტი იყო საქართველოდან, თანასკოლელები და თანატოლები და ასევე ორივე აპირებდა მხატვრობას.

არის გარკვეული საფუძველი ვივარაუდოთ, რომ მაიაკოვსკი იმყოფებოდა მაშკოვის სტუდიაში სწორედ 1910 წლის პერიოდში. როდესაც მაიაკოვსკი გამოჩნდა სასწავლებლის კედლებში, არც ლარიონოვი, არც მაშკოვი იქ აღარ იყვნენ. მიუხედავად ამისა, მაიაკოვსკი ავტობიოგრაფიაში იტყობინება, რომ „ის დაუდგა განსადევნებს“ ანუ ლარიონოვს და მაშკოვს, რომლებიც განიდევნენ ამ მომენტამდე ორი წლით ადრე! ნიშნავს თუ არა ეს მის უფრო ადრინდელ ნაცნობობას მათთან. მაშკოვის სტუდიაში, სადაც უკვე ვთქვი, ასევე ამზადებდნენ სასწავლებლებში ჩამბარებლებს. ცნობილია, რომ 1914-1915 წლებში მაიაკოვსკი უკვე ხშირი სტუმარია მაშკოვის სახელოსნოში. მის ერთ-ერთ მოწაფესთან მაიაკოვსკის სერიოზული რომანი ჰქონდა, ხოლო მაშკოვის მეორე მოწაფე გარი ბლუმენფელდთან კი – მეგობრული დამოკიდებულება. ბოლოს და ბოლოს მაიაკოვსკი ამ წლებში წერდა ტექსტებს მაშკოვის სამხედრო თემატიკის ნახატებისთვის. ხომ არ დაიწყო მისი ურთიერთობა სახელოსნოსთან ბევრად უფრო ადრე და ამ შემთხვევაში ის თავად ხომ არ არის იაშვილის მეგზური მოსკოვში?

ბოლო ვარაუდით შეიძლება არც გამოვსულიყავი, რომ არა იმის გათვალისწინება, რომ სამუშაო ჰიპოთეზა საოცრად სასარგებლოა სამეცნიერო ცოდნის განვითარებისთვის. ალბათ

ჩემი ეს მცირე სტატია პირდაპირი გამოწვევაა ქართველი ლიტერატორებისთვის, დაწვრილებით გამოიკვლიონ იაშვილის ბიოგრაფია და ამით შეიტანონ სიცხადე არა მარტო მის შემოქმედებაში, არამედ მაშკოვის შემოქმედებაშიც. თუ ქართველი მეცნიერები დაამტკიცებენ, რომ იაშვილის გამგზავრება მოსკოვში არა მარტო არ შედგა, არამედ არც შეიძლება შემდგარიყო, მაშინ ამ დროისთვის არსებული ფაქტები ჩვენ უნდა ავხსნათ სხვანაირად. მაგრამ თუ გამოირკვა, რომ გამგზავრება შესაძლებელი იყო ან მითუმეტეს, ამის დამამტკიცებელი რაიმე საბუთით არის გამაგრებული, მაშინ ჩვენი რწმენა იმისა, რომ პორტრეტზე იაშვილი არის გამოსახული, 95 პროცენტიდან 100 პროცენტამდე გაიზრდება. მაშინ ჩვენ შევძლებთ ვისაუბროთ იმაზე თუ როგორი ბიძგების მომცემი შეიძლებოდა ყოფილიყო მაშკოვის სახელოსნო. როგორი ორიენტაცია მისცეს მას, მაგალითად, მოსკოველმა მხატვრებმა მის სამომავლო პარიზულ ნაცნობობაში და საერთოდ, რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ პატარა ეპიზოდს ჩვენი დიდი მხატვრის, ილია მაშკოვის და პოეტ პაოლო იაშვილის შემოქმედებაში.

(მოხსენება წაკითხულ იქნა 1983 წელს, ქართული ხელოვნების მე-4 საერთაშორისო სიმპოზიუმზე, თბილისში)

გლებ პოსპელოვი

პაოლო იაშვილის სავარაუდო პორტრეტი

პაატა ნაცვლიშვილი

ბევრისთვის ალბათ უცნობია, რომ XX საუკუნის პირველი ნახევრის თვალსაჩინო რუს მხატვარს, ექსცენტრიკულ რეალისტად და რუს პოსტიმპრესიონისტად მონათლულ ილია მაშკოვს (1881-1944), შესაძლოა, პაოლო იაშვილი ჰყავდეს დახატული.

„პოეტის პორტრეტი" – ასე იწოდება ინტერნეტში ეს ტილო. იგი 1910 წლით არის დათარიღებული და ტრეტიაკოვის გალერეაშია დაცული მოსკოვში. ცნობილი რუსი ხელოვნებათმცოდნე, რუსული ავანგარდის აღიარებული მკვლევარი გლებ პოსპელოვი თავის მონოგრაფიაში „ბუბნოვი ვალეტი" (Бубновый валет, Москва, 1990) მას ორ ადგილას პაოლო იაშვილის პორტრეტად მიიჩნევს, ხოლო ერთგან – რუსი პოეტის, სემიონ რუბანოვიჩის პორტრეტად, თუმცა კი ფრჩხილებში ორივე შემთხვევაში კითხვის ნიშანსაც სვამს.

აქ მართლაც ისმის კითხვა და თანაც რამდენიმე:

სად და როდის უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს ცისფერყანწელი ქართველი პოეტი პაოლო იაშვილი და მასზე 13 წლით უფროსი ილია მაშკოვი – 1910 წელს შექმნილი მხატვართა ცნობილი გაერთიანების დამფუძნებელი წევრი?

რატომ უნდა დაინტერესებულიყო მაშინ უკვე ცნობილი მხატვარი 16 წლის (საარქივო დუკუმენტების თანახმად, პაოლო იაშვილი 1910 წლისთვის 18 წლის უნდა ყოფილიყო. – ნ. ხ.) ქუთაისელი ჭაბუკით, რომელსაც მისი „პოეტის პორტრეტის" შექმნის წელს ჯერ ერთი ლექსიც არ ჰქონდა გამოქვეყნებული? და საერთოდ, არის თუ არა ტილოზე ასახული ახალგაზრდა მამაკაცი პაოლო იაშვილი?

დიახ, სეზანიდან წამოსული მაშკოვისეული სტილიზაციის მიუხედავად, ის საერთო იერით, აზიდული წარბებით, ულვაშით, ჩაცმულობითა თუ ქართული გამომეტყველებით მართლა ძალიან ჰგავს პაოლოს. ერთადერთი, რამაც შეგვიძლია მსგავსების კუთხით დაგვაეჭვოს, მისი ორად გაყოფილი თმაა, ჩვენ პაოლო უფრო უკან გადავარცხნილი თმით ვიცით, თუმცა ჭაბუკობაში შეიძლება ასეთიც ყოფილიყო.

მაშკოვი საქართველოში ერთადერთხელ, 1927 წელს არის ნამყოფი, როცა შემოქმედებითი მივლინებით გამოგზავნეს საქართველოში ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის პირველი რიგის გაშვებასთან დაკავშირებით.

მაშინ ის ალბათ შეხვდებოდა პაოლო იაშვილს, რომელიც იმ პერიოდის საქართველოს ერთი ყველაზე გამოჩენილი ფიგურა იყო. მაგრამ „პოეტის პორტრეტი“ არა 1927 წელს, არამედ სწორედ 1910 წელს არის შექმნილი, რასაც ადასტურებს „ბუბნოვი ვალეტის“ პირველი გამოფენის შემორჩენილი კატალოგი. ეს გამოფენა 1910 წლის დეკემბერსა და 1911 წლის იანვარში გაიმართა მოსკოვში და მაშკოვს მაშინ სხვა რვა ნამუშევართან ერთად ეს ტილოც გამოუფენია.

პოსპელოვი თავის წიგნის ბოლოს დართულ შენიშვნებში იმასაც გვიყვება, საიდან და რატომ ვარაუდობს, რომ „პოეტის პორტრეტი“ სწორედაც პაოლოს პორტრეტია. თუმცა, ეს შენიშვნა მოცულობით გაცილებით მეტია, ვიდრე ამ ნამუშევრის ამბავი ძირითად ტექსტში, ღირს მისი მთლიანად ამოწერა და თარგმნა:

„ის, რომ პორტრეტზე გამოსახულია მოსკოველი პოეტი ს. რუბანოვიჩი, დღეს საეჭვო უნდა იყოს. ი. ს. ბოლოტინას (მოსკოველი მხატვარი და ხელოვნებათმცოდნე ირინა ბოლოტინა მაშკოვის შემოქმედების ყველაზე ავტორიტეტული მკვლევარი იყო. – პ. ნ.) სიტყვებით, მან მაშკოვის სახელოსნოში მიაკვლია ერთ-ერთი გამოფენის კატალოგს, სადაც ეს ნამუშევარი წარმოდგენილი იყო „პოეტის პორტრეტის“ სახელწოდებით. ამ კატალოგის მინდორზე მაშკოვის ხელით კალმით არის მიწერილი „იაშვილი“.

მაგრამ უფრო ადრე იმ აზრამდე, რომ მაშკოვის პორტრეტზე გამოსახულია ქართველი პოეტი პაოლო იაშვილი სიჭაბუკეში (1910 წელს ის 16 წლის უნდა ყოფილიყო), მივიდა ტრეტიაკოვის გალერეის თანამშრომელი ე. ა. ლებედინსკაია, რომელსაც კარგად ხსომებია იაშვილი თბილისში გატარებული თავისი ახალგაზრდული წლებიდან. 1974 წელს პოეტის ქალიშვილის, მედეა პავლეს ასული იაშვილის დახმარებით ჩვენ მოვახერხეთ პორტრეტის ფოტოგრაფიული ასლი იაშვილის ძველი მეგობრებისთვის – ლადო გუდიაშვილისთვის, კოლაუ ნადირაძისთვის და ირაკლი აბაშიძისთვის გვეჩვენებინა. სამივემ სრულიად სარწმუნოდ მიიღეს ე. ა. ლებედინსკაიას ვერსია.

ლადო გუდიაშვილმა წერილობითაც დაადასტურა თავისი აზრი: „მე ვნახე მხატვარ მაშკოვის ნამუშევრის ფოტო და დაზუსტებით და დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ პორტრეტზე გამოსახულია პოეტი პაოლო იაშვილი, რაშიც მე ეჭვი არ მეპარება. სსრკ სახალხო მხატვარი ლადო გუდიაშვილი. 28.08.1974“.

მაშკოვის პორტრეტის პერსონაჟი ძალიან ჰგავს პაოლო იაშვილს მის შემორჩენილ ფოტოებზე. ყველა ვინც პოეტს იცნობდა, განსაკუთრებით უსვამენ ხაზს მის „სქელ კისერს“, როგორც იაშვილის გარეგნობის დამახასიათებელ ინდივიდუალურ ნიშანს. რასაკვირველია, ახალგაზრდა კაცის ზოგიერთი ნაკვთი შეიძლება უტრირებული იყოს მაშკოვის მიერ, რომელიც მას ისე აღიქვამდა, როგორც კონჩალოვსკი იაკულოვს, უწინარესად როგორც „აღმოსავლეთის ადამიანს“ – მისი იმდროინდელი ესთეტიკის სულისკვეთებით. ამ სტრიქონების ავტორმა 1983 წლის მაისში მაშკოვის პორტრეტის ატრიბუციის შესახებ მოხსენება წაიკითხა ქართული ხელოვნების IV საერთაშორისო სიმპოზიუმზე თბილისში. მოხსენება მთავრდებოდა მოწოდებით ქართველ ლიტერატურათმცოდ-

ნეთა მიმართ, დეტალურად გამოეკვლიათ პაოლო იაშვილის ბიოგრაფია, განსაკუთრებით — პერიოდი გიმნაზიის დამთავრებასა და პარიზში ფერწერის შესასწავლად გამგზავრებას შორის. თუ ამ გამოკვლევებით დადგინდება, რომ 1910 წლის ოქტომბერში ახალგაზრდა იაშვილს შეეძლო მოსკოვში, მაშკოვის სახელოსნოში აღმოჩენილიყო, მაშინ საკითხი მაშკოვის პორტრეტზე გამოსახული პერსონაჟის შესახებ შეიძლება საბოლოოდ გადაწყვეტილად ჩაითვალოს".

მე არ ვიცი, მოჰყვა თუ არა რაიმე შედეგი გლებ პოსპელოვის ამ მოწოდებას, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველებმა ყურად არ იღეს რუსი კოლეგის მოწოდება, ან დაადგინეს, რომ 1910 წელს პაოლო მოსკოვში არ ყოფილა, რაკი მას მერე პაოლო იაშვილის ორტომეულიც გამოიცა ილუსტრაციებით, ნინო ჩხიკვიშვილის უხვად ილუსტრირებული წიგნიც მასზე და დიდი გამოფენაც მოეწყო ლიტერატურის მუზეუმში, ხოლო ამ პორტრეტის ხსენება ქართულ სივრცეში, თუნდაც ვირტუალურში, ჩემი შეტყობით, არ ყოფილა.

რამდენადაც ვიცი, მაშკოვისეული პორტრეტი დღემდე უცნობია ქართული საზოგადოებისათვის.

ისევე როგორც, სხვათა შორის, უცნობია მაშკოვის მიერ საქართველოში შესრულებული ნამუშევრები 1927 წელს, როცა ის საგანგებოდ მოავლინეს ზაჰესის პირველი რიგის გაშვებასთან დაკავშირებით. ზაჰესის ამსახველი მაშკოვის ნამუშევრებიც მოსკოვშია დაცული. იმავე წელს მას თბილისის პეიზაჟებიც დაუხატავს.

საერთოდ, თუ ალექსანდრე ელერდაშვილის ენციკლოპედიაში შეტანილ ორსიტყვიან განმარტებას („რუსი ფერმწერი") არ ჩავთვლით, ქართულ ინტერნეტში ილია მაშკოვის (1881-1944) შესახებ ერთადერთი სრულიად არაფრისმთქმელი ტექსტი იძებნება, რომელიც, ვფიქრობთ, სულაც კომპიუტერული თარგმანია ინგლისურიდან.

პაატა ნაცვლიშვილი

ახალი და უკვეულო მედებებისთვის...

(ფრაგმენტები წერილიდან „ქართული ავანგარდიზმის ისტორია და თეორია“
დაიბეჭდა იტალიურ ენაზე, კრებულში „ავანგარდი ტფილისში“.
ვენეციის უნივერსიტეტის გამოცემა, 1982)

ისტორიულ მოვლენებთან მიმართებით ხანდახან საჭიროა აუხსნელ და განსაკუთრებულ დამთხვევებზე დაფიქრებაც. ქართული ავანგარდი სწორედ ამის კარგი მაგალითია; რამდენიმე განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა სწორედ აქ, ერთმანეთთან ახლოს დაიბადა (როგორც მაგალითად ორი ბიძაშვილი – გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეები, გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი და ვალერიან გაფრინდაშვილი. ისინი სწავლობდნენ ერთსა და იმავე წლებში, ერთ გიმნაზიასა თუ ინსტიტუტში, ტრიალებდნენ ერთსა და იმავე წრეებში: მიეცათ ერთმანეთის გაცნობის საშუალება, შემდეგ დამეგობრდნენ და ლიტერატურის მომავალიც განსაზღვრეს. ლიტერატურის ისტორიას გეოგრაფიული დამთხვევებიც განაპირობებს).

1915 წელს ქუთაისში ახალგაზრდა პოეტებმა „ცისფერყანწელების“ ჯგუფი ჩამოაყალიბეს, რომელმაც შემდგომში ძალიან დიდი გავლენა იქონია ქართულ ლიტერატურაზე. „ცისფერყანწელთა“ ორდენის შექმნას მისი ბუნებრივი ლიდერის, პაოლო იაშვილის დაუოკებელ აქტიურობას უნდა უმადლოდეს საზოგადოება (მისი ქართული სახელი იყო პავლე. პაოლო კი პოეტიზებული ვარიანტია). ამას ჯგუფის სხვა წევრებიც აღიარებდნენ.

„და იაღზე შენ იქნები მეფემ წინამძღვრად.
ამიტომ არ გვაქვს არცერთ ყანწელს აქამდე შიში.
რომ მოვეღებით საქართველოს ღექსის ნიაღვრად

ტიციან ტაბიძე

პაოლო იაშვილი 1892 წელს დაიბადა არგვეთში. თავიდან ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობდა. 1913 წელს კი ხელოვნების შესასწავლად პარიზში, ლუვრის სკოლაში გაემგზავრა. 1915 წელს სამშობლოში დაბრუნდა და შეეცადა, უკვე აქ, ქართული ლიტერატურის ნოყიერ ნიადაგზე გადმოეტანა პარიზში გავრცელებული ახალი ავანგარდისტული იდეები და თავისი ქვეყნის კულტურულ ტრადიციებში ევროპული ლიტერატურისა და ხელოვნების სიახლეები შემოეტანა. ილია ერენბურგი იხსენებს, რომ პაოლო იაშვილს 1914 წელს შეხვდა პარიზის კაფეში „როტონდა“... „პაოლო იყო გამხდარი და იმპულსური ყმაწვილი (ოცი წლისა). მეკითხებოდა: „რომელ კაფეში იჯდა პოლ ვერლენი? როდის მოვა აქ პაბლო პიკასო? მართალია, რომ თქვენ კაფეში წერთ? მე ალბათ ვერ შევძლებდი... შეხედეთ, როგორ კოცნიან ერთმანეთს... ეს მე ძალიან აღმაგზნებს“... პაოლოს თბილისში ნახვამ ძალიან გამახარა, თითქოს თანამებრძოლი მენახოს... თუმცა, პარიზში ჩვენი შეხვედრა შემთხვევითი და ზერელე იყო“.

პაოლო იაშვილი მართლაც განსაკუთრებული პიროვნება იყო. ბორის პასტერნაკის მიხედვით: „ეს იყო ბრწყინვალე, მაღალი წრის ადამიანი, ძალზე განათლებული, შესანიშნავი მოსაუბრე, ნამდვილი ევროპელი, ულამაზესი გარეგნობის მქონე. [...] პაოლო ნიჭს ასხივებდა. მისი თვალები შინაგანი ცეცხლით ბრწყინავდა. ტუჩებზე კი ვნების ალმური ეკიდებოდა. მისი სახე განცდილ-ნაგრძნობის სიმხურვალით იყო დაღალული, რის გამოც თავის ასაკთან შედარებით ხნიერად

გამოიყურებოდა, ხანგრძლივად ნაცხოვრებ, დაღლილ-დაქანცულ ადამიანს გავდა. [...] „პაოლო იაშვილი იყო ნამდვილი ავთანდილი, სიმღერის და სიყვარულის მშვენიერი რაინდი, მისი სული რუსი და ფრანგი სიმბოლისტების სკოლას დაეხვეწა, განსაკუთრებით ჟიულ ლაფორგისა და გიიომ აპოლინერის პოეზია უყვარდა; სიმბოლიზმის სიყვარული გამუდმებით ჩანს მის ლექსებში...“ იაშვილზე ფიქრისას თვალწინ ქალაქური სამყარო წარმომიდგება – ოთახები, თავშეყრები, კამათი, გამოსვლები, პაოლოს ცეცხლოვანი მგზნებარება ღამეულ უხვმსმენელიან ნადიმებზე... ტიციანს როცა ვიგონებ, ბუნების სტიქია წარმომიდგება, თვალწინ გადამეშლება სოფლის მყუდროება, აყვავებული ველის ყვავილოვნება, ზღვის ტალღები. სიმონ ჩიქოვანიც ხაზს უსვამს ამ ორი პოეტის განსაკუთრებულ ბუნებას, მათ ურთიერთსაწინააღმდეგო ტემპერამენტს: „პოეტური იმპროვიზაციის დიდი ოსტატის, ახოვანი და შადრევანივით ავარდნილი პაოლო იაშვილის გვერდით ტიციან ტაბიძე თითქოს იჩრდილებოდა. ფართო საზოგადოებაში ისეთი უეცარი ეფექტის მოხდენა არ შეეძლო“. [...]

1916 წლის თებერვალში ქართულ გაზეთებში ბევრი დაიწერა იმის შესახებ, რომ მზადდებოდა ახალი ჟურნალის, „ცისფერი ყანწების“ გამოცემა და ის იქნებოდა ამავე სახელწოდების მქონე საზოგადოების თეორიული ჟურნალი. 1916 წლის გაზეთი „მეგობარი“ აცხადებდა, რომ აღნიშნული ჟურნალი სწორედ იმ დღეს, 28 თებერვალს გამოვიდა. 1919 წელს „ცისფერი ყანწების“ იუბილეს „ARS“-ში 27 თებერვალს აღნიშნავდნენ. ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ პირველი ნომრის გამოცემა 1916 წლის თებერვლის ბოლოს უნდა ვივარაუდოთ. ახალ ჯგუფში, გარდა პაოლო იაშვილისა და ტიციან ტაბიძისა, შედიოდნენ აგრეთვე მაშინ იმედის მომცემი მწერლები, როგორებიც იყვნენ: გრიგოლ რობაქიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, ივანე ყიფიანი, სანდრო ცირეკიძე. 1918 წელს მათ შეუერთდნენ: გიორგი ლეონიძე, სერგო კლდიაშვილი, რაჟდენ გვეტაძე, შალვა აფხაიძე, შალვა კარმელი, ნიკოლო მიწიშვილი და ალი არსენიშვილი. თავისი შემადგენლობით ეს არ იყო დახურული, სექტანტური, ხისტი ჯგუფი. პირიქით, ხასიათდებოდა გარკვეული თავისუფლებით. ამიტომაც რთულია მის წევრთა კონკრეტული რაოდენობის მითითება (თავად პაოლო იაშვილსა და ტიციან ტაბიძეს ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა მონაცემი აქვთ მითითებული), თუმცაღა, მასში ცამეტ კაცზე მეტი წევრი არ ყოფილა.

რამ განაპირობა ამ საზოგადოების შექმნა, როგორი იყო ის ლიტერატურული და სოციალური მოთხოვნილებები, რომელმაც ხელი შეუწყო მის ჩამოყალიბებას? ეს იყო ახალგაზრდა პოეტების მიერ დასავლური იდეების გულუბრყვილო „მოტაცება“ თუ ეს იყო მოულოდნელი ცვლილებების საბოლოო შედეგი, სიღრმისეული წინააღმდეგობების დასასრული? იყო კი ეს იმ ოცნების რეალიზაცია, რომელსაც ასე შენატროდნენ ენთუზიასტი ქუთაისელი გიმნაზიელები, რომელთაც ქართულ პოეზიაში ძირეული გარდატეხის შეტანა სურდათ?

1915 წელი „დიდი ეპოქის“ დასასრულია ქართულ ლიტერატურაში. სცენას ტოვებს ორი დიდი პოეტი – აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა (პირველი იანვარში გარდაიცვალა, მეორე ივნისში). ახალგაზრდა ლიტერატორები რთული და, გარკვეული თვალსაზრისით, დრამატული არჩევანის წინაშე დგებიან – მისდიონ უკვე გათელილ, უნაყოფო, მაგრამ სხვის გზას, თუ სცადონ უფრო საეჭვო, მაგრამ მომხიბლავი გზა ახლისა. [...]

„ცისფერყანწელმა“ პოეტებმა ჯგუფური პასუხი გასცეს ამ კითხვას – საქართველოში, ასე შორს ევროპული კულტურული ტრადიციებისგან, იმის მიბაძვით, რაც ხდებოდა ევროპულ ლიტერატურაში, შექმნეს ყველაზე თანამედროვე ორგანიზაციული ფორმის მქონე პირველი ავანგარდისტული საზოგადოება.

პაოლო იაშვილის მანიფესტში „პირველთქმა“, რომელიც ჟურნალის პირველ ნომერში დაიბეჭდა, ნათლად ჩანს ამ საზოგადოების მახასიათებლები: ექსცენტრიზმი, დენდიზმი, ეგზიბი-

ციონიზმი (არა კონფორმიზმი), ანტაგონიზმი, სკანდალიზმი, წარსულის მიუღებლობა, მანქანა-სა-შუალებების გაკერპება, ავტორეკლამა, დემაგოგია, ძალადობის (ნგრევის კულტი) და სხვა, რაც მას ევროპული ავანგარდისტული „ტრადიციის" გრძელ სიაში ათავსებს. [...]

იდეებისა და ქცევის ნორმების ჩამოყალიბების შუა გზაზე „ცისფერყანწელები" შურისმაძიებელ, მამაც გმირებად წარმოჩინდებიან; მხოლოდ მათ შესწევთ იმის ვაჟკაცობა, რომ დაამარცხონ ტრადიციის სიბნელე და განსაზღვრონ ახალი სავალი გზა. სიმბოლისტების საუკეთესო ტრადიციების კვალდაკვალ ისინიც ინტელექტუალთა პატარა ელიტის მსგავსად აღმოცენდებიან. ისინიც ისეთივე ეულნი და არისტოკრატები იყვნენ, როგორც პოეტი სიმბოლისტურ მალარმისეულ ტრადიციაში, პოეტი, რომელიც სპილოს ძვლის ტახტზე ზის ან ვიაჩესლავ ივანოვისეული ცოდნის მცველი, რომელიც სპილენძის ძვლის კოშკშია გამოკეტილი. მანიფესტის არსი, მისი ფაქტურა იტალიელი და რუსი ფუტურისტების ნათელი მიბაძვაა (მეორეს მხრივ, მანიფესტის დაბეჭდვა ავანგარდისტების იდეაა და არა სიმბოლისტების), რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის მათ მიერ სიმბოლისტების აშკარა იმიტაციით, არჩეულ იერატიკულ, გაუგებარ ენასთან.

1916 წელს ამგვარი იმიტაცია ავლენს განზრახ მიმბაძველობას, შესაძლოა ავტოირონიის სურვილსაც. [...]

პაოლო იაშვილი პოსტსიმბოლისტურ თეორიულ საქმიანობას ახორციელებს და ცდილობს სიმბოლიზმის საუკეთესო შედეგები შეაზავოს ახალ, ავანგარდისტულ მონაპოვართან. პაოლოს მანიფესტი – უნდა მოიძიო საკუთარი ადგილი ევროპული სიმბოლიზმის ნოყიერ ნიადაგში (რა თქმა უნდა, ისინი ვალში არიან „ლოთი ძმების" – პოლ ვერლენის, შარლ ბოდლერის, სტეფან მალარმეს და არტურ რემბოს წინაშე), მაგრამ ამავე დროს, ისიც აქვთ გადაწყვეტილი, რომ განახორციელონ ძლიერი პოსტსიმბოლისტური საქმიანობა, რომელიც სრულიად ახალი და უჩვეული შედეგებით დასრულება. [...]

პაოლო იაშვილთან სათქმელის მეორე პლანი შეიმჩნევა, მაგრამ არა იმდენად მის პოეზიაში, რომელიც ზუსტ მონაცემებზეა დაფუძნებული და „იგი ენათესავება ახალ ევროპულ პროზას. ა. ბელის, კ. ჰამსუნისა, მ. პრუსტისა და, მათ მსგავსად, აღსავსეა ახლებური, მოულოდნელი და მახვილი დაკვირვებებით" (ბ. პასტერნაკი), რამდენადაც მის, როგორც პოეტის ფიგურაში, მის ხასიათში, მის ფსიქოლოგიაში. ის მართლაც მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მისტიფიკაციის ავტორია. 1915 წლიდან მოყოლებული, მან ბევრი ლექსი, უფრო სწორად, „დღიური" გამოაქვეყნა, როგორც მათ არარსებულმა პოეტმა ქალმა – ელენე დარიანმა – უწოდა. პოეტი დიდი წარმატებით აგრძელებდა ამ მისტიფიკაციას 1924 წლამდე. როგორც ჩანს, შთაგონების წყარო ელენე დარიანის ფიგურის შესაქმნელად მაქსიმილიან ვოლოშინის მიერ შექმნილ და ელიზავეტა დმიტრიევას მიერ განხორციელებულ ჩერუბინა დე გაბრიაკის ფიგურაზე მეტად ლუიზა ლალონი (გოუსიე გალაონე) იყო, პოეტი ქალი, რომელიც გ. აპოლინერის ფანტაზიაში გაჩენილა და რომლის შესახებაც პაოლოს თავისი პარიზში ცხოვრების პერიოდში გაუგია. ელენე დარიანის ფიგურის შექმნა, რაც თავისთავად ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ფსევდონიმის გამოყენება არ არის გაპირობებული ცენზურისაგან გაქცევის რაიმე განსაკუთრებული საჭიროებით; ეს არც საბრძოლო სივრცის შესაქმნელად და არც ლიტერატურულ ექსპერიმენტად არ უნდა გავიგოთ და ბოლოს, არც თამაშისა და გართობის დაუოკებელ სურვილად (არ არის გამორიცხული, რომ ამ ელემენტებს მხოლოდ მარგინალური როლი შეესრულებინათ), არამედ აიხსნება, ნაწილობრივ მაინც, იმ ნიღბის „აპოლოგიით", რომელიც დამახასიათებელია ქართველი ხალხისათვის და რომელზეც ლაპარაკობს ტიციან ტაბიძე თავის მანიფესტში „ცისფერყანწელებზე"; განსაკუთრებით კი აიხსნება პაოლო იაშვილის სურვილით, ქალის სიტყვებით ისაუბროს სექსუალურობაზე, ქართულ ეროტიზმზე (ლ. ავალიანი, პაოლო იაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 143-150). იღებს რა

ვალერი ბრიუსოვის მოწოდებას, რომელიც სხეულისმიერში იგივე სილრმეებს ხედავდა, რასაც სულისმიერში, პაოლო იაშვილის – ელენე დარიანი ყველა ქართველ პოეტს უსწრებს, რომელთათვისაც მთელი „ეროტიკა“ ამ პოეტებისა „სათაყვანებელ არსებათა გარეგნული აქსესუარების – სხეულის, თვალების, ტუჩ-კბილისა და სხვა, ხოტბას არ შორდებოდა“, რათა თავიანთ შემოქმედებაში გადმოეცათ ნამდვილი „შეყვარებულობის ეროტიკული, თანაც სუფთა ქალური სტიქიის განცდები“ (Г. Робакидзе, Грузинский Модернизм, „ARS“, 1918, 1.). შენიღბვა ან, უფრო სწორად, ის გამოცალკევება-გამოყოფა, რისი უნარიც გააჩნია პაოლო იაშვილს, მისი დახვეწილი და მაგიური სტილი ქალური ეროტიულობის აღწერისას, უკეთესად გადმოსცემს მის ლიტერატურულ სულიერ მდგომარეობას; ეს მისი მიდრეკილებაა – იმღეროს მთელი სამყაროს სიმღერები და მათ შორის გრძნობით, ელეგანტურად გამოყოს ერთი მათგანი. [...]

„ცისფერყანწელები“ ხშირად აწყობდნენ საღამოებს, სადაც კითხულობდნენ მოხსენებებს და თავიანთ ლექსებს ან თავად მონაწილეობდნენ სხვა პოეტებისადმი მიძღვნილ საღამოებში. [...]

მაგალითად, გაზეთი „მეგობარი“ აჯამებს პაოლო იაშვილის მიერ თავის მოხსენებაში წარმოდგენილ თემებს, რომელიც მან ქუთაისის თეატრში 1916 წლის 16 ივნისს წაიკითხა: „1. ახლის მოვლენა და ყოფილის დანიშნულება. 2. სიმბოლიზმი, როგორც აუცილებლობა. 3. ფუტურიზმის არსება. ფუტურიზმი და „ცისფერი ყანწები“. 4. პოეზიის იდუმალება და ლექსის გრძნეულება. 5. სიმბოლიზმი – მომავალი ხელოვნება“.

კიდევ ერთი და გადამწყვეტი დასტური იმისა, რომ სიმბოლისტური და ფუტურისტული მოძრაობის ლიტერატურული და პოეტური პრინციპები იყო ათვლის წერტილი „ცისფერყანწელთა“ თეორიისთვის, საფუძველი, რომელზეც შეიქმნა ასეთი ორიგინალური პოეზია.

1916 წელს გამოვიდა ამ ჟურნალის მეორე და უკანასკნელი ნომერი. „მეოცნებე ნიამორები“ აცხადებდა, რომ აუცილებლად გამოვიდოდა ამ ჟურნალის მესამე ნომერიც: „პაოლო იაშვილის რედაქტორობით მალე გამოვა „ცისფერი ყანწების“ მესამე წიგნი. დაიბეჭდება ლექსები: გრიგოლ რობაქიძის, პაოლო იაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, ტიციან ტაბიძის, ლელი ჯაფარიძის, კოლაუ ნადირაძის, გიორგი ლეონიძის, ალექსანდრე ჩაჩიკაშვილის, ალექსანდრე ცირეკიძის და სხვ“.

ამასვე პირდებოდა მკითხველს 1919 წლის ჟურნალი „ARS“, რომლის მიხედვით, ახალ ნომერს უნდა შეეთავაზებინა მკითხველისთვის „ფრანგი და რუსი პოეტების თარგმანები, ახალი ქართველი პოეტების ლექსები, სკოლის დეკლარაცია და მთელი რიგი მანიფესტები“, მაგრამ, უცნობი მიზეზების გამო, ჟურნალის ახალი ნომერი არ გამოსულა. [...]

1921 წელს, რაც ჟურნალი „მეოცნებე ნიამორები“ დაიხურა, „ცისფერყანწელებმა“ დაკარგეს თავიანთი უკანასკნელი თეორიული ასპარეზი და ჯგუფის ესთეტიკურ-ლიტერატურულ ერთობაშიც ბზარი გაჩნდა. ის ახალი, აგრესიული, პროლეტარული ლიტერატურის შემოტევას განიცდიდა. ოციანი წლების მეორე ნახევარში „ცისფერყანწელების“ წევრები თავ-თავიანთ გზებს ეძებენ, რომელიც ახალი დროების შესაბამისად, უფრო მეტად იქნებოდა დაკავშირებული რეალობასთან.

ლუიჯი მაგაროტო

იტალიურიდან თარგმნა მაია ჯავახიძემ

პაპასიური სახლის კონფერენციის მასალებიდან

2022 წლის 12 აპრილს „კულტურულ ურთიერთობათა ცენტრ – „კავკასიური სახლში“ გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია „დარიანული ლექსების ავტორის ვინაობა“. ამ თემას გამოეხმაურა ჟურნალი „აფრაც“ (2022 წ. №29), რომელიც გამოიცემა „კავკასიურ სახლში“ ევროპული ფონდის „HORIZON“-ის დახმარებით.

კონფერენციის მასალების დიდი ნაწილი იმავე წელს დაიბეჭდა აკადემიურ კრებულში „ელენე დარიანის დღიურები, ტექსტი და ავტორი პაოლო იაშვილი“. წიგნმა გააერთიანა თითქმის ყველა ძველი და ახალი პუბლიკაცია, პოეტის „დარიანულის“ საკითხთან დაკავშირებული, ის, რაც მეცნიერული კვლევის საფუძველზე დასტურდება. კრებული ქართულ და ინგლისურ ენებზე მომზადდა საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით.

გთავაზობთ ამ კრებულში დაუსტამბავ ოთხ სტატიას „კავკასიურ სახლში“ გამართული კონფერენციის მასალებიდან.

უჩინარი დედნის პწკარედი

„ციკლის ყველა ლექსი როდი ეკუთვნის

სინამდვილეში პაოლო იაშვილის კალამს“.


(ელენე ბაქრაძე – ვალენტინა ბალუაშვილს. 1964)

„ლექსები ელენე დარიანის ფსევდონიმით ყველა ჩემია“.

(ელენე ბაქრაძე – გრიგოლ აბაშიძეს. 1976)

2004 წელს „ლიტერატურული ძიებანის“ 25-ე ტომში ზეინაბ ლომჯარიამ საკუთარი წინასიტყვაობით გამოაქვეყნა ელენე ბაქრაძე-ქართველიშვილის შვიდი წერილი, გაგზავნილი ვალენტინა ბალუაშვილისთვის, რომელიც „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებას იკვლევდა (სადოქტორო დისერტაცია დაუცავს 1973 წელს). წერილები რუსულად არის დაწერილი; პირველი დათარიღებულია 1964 წლით, ბოლო წერილი სავარაუდოდ 70-იანი წლების დამდეგს უნდა იყოს გაგზავნილი. ისინი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში.

ამჟამად ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს მეორე წერილი, რომელიც 1965 წლის ნოემბრით უნდა დათარიღდეს. ის მთლიანად ეძღვნება ლექსის „წერილი ანა ახმატოვას“ დაწერის ისტორიას და შეიცავს ამავე ლექსის პწკარედებს, შესრულებულს ელენე ბაქრაძის მიერ. (პირველ წერილში ელენე ბაქრაძე ვალენტინა ბალუაშვილს უგზავნის დარიანული ციკლის ორი სხვა ლექსის — „უვერტიურა“, „ძახილი“ — და აგრეთვე „ხატაურის“ [ეს ამ ციკლში არ შედის] პწკარედებს).



პაოლო იაშვილის ხელნაწერი

ეს არის პასუხი ვალენტინა ბალუაშვილის ღია ბარათზე, და გაგზავნილია თბილისიდან ლენინგრადში, სადაც მაშინ ადრესატი მივლინებით იმყოფებოდა. (სხვა წერილები თბილისიდან თბილისშია გაგზავნილი). როგორც ჩანს, ქალბატონმა ვალენტინამ ღია ბარათით სთხოვა ელენე ბაქრაძეს გაეგზავნა მისთვის ზემოაღნიშნული ლექსის რუსული თარგმანი, რათა ის ანა ახმატოვასთვის ეჩვენებინა.

ამის საპასუხოდ ელენე წერს:

„რუსული ვარიანტი ჩემი [ლექსისა] „წერილი ანნა ახმატოვას" მე არ მაქვს, და არც არავის აქვს. არის ჩემი „წერილი" (იგულისხმება ლექსი „წერილი ანნა ახმატოვას". — ლ. ბ.) და დაბეჭდილი წერილი (იგულისხმება ამ ლექსის ბეჭდური ვერსია. — ლ. ბ.), რომელშიც პაოლომ, როგორც თითქმის ყოველთვის, თავისი „შესწორებები" შეიტანა. დავურთავ პწკარედულ თარგმანს, თუ ანა ახმატოვას ის დააინტერესებს, თუ არა და — ნურც გადასცემ." (თარგმანი აქაც და შემდგომაც ჩვენია. — ლ. ბ.).

მართლაც, წერილს ახლავს ორი პწკარედი. პირველის სათაურია „Соболезнование Анне Ахматовой", მეორისა — „Письмо Анне Ахматовой".

როგორც ვნახეთ, ზემოთ მოყვანილ ფრაგმენტში ქალბატონი ელენე ლაპარაკობს ამ ლექსის თ ა ვ ი ს ი ხელნაწერი ვარიანტის არსებობაზე, რომელშიც პაოლოს, მისივე სიტყვით, „შესწორებები" შეუტანია და ისე დაუბეჭდავს. ელენე ბაქრაძის არქივში მოიპოვება დარიანული ციკლის ოთხი ლექსის მისი ხელით ნაწერი ვარიანტები, მეტ-ნაკლებად მიახლოებული ბეჭდურ ვერსიებთან. ისინი შეგვიძლია ვიხილოთ გიორგი ჯავახიშვილის წიგნში „ელენე დარიანის ლეგენდა და სინამდვილე" (2001), აგრეთვე ლიტერატურის მუზეუმის 2022 წლის გამოცემაში, რომელშიც შესულია ელენე ბაქრაძის მოგონებები, წერილები, დღიურები, ლექსები, თარგმანები — დაცული ლიტერატურის მუზეუმში, გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმის არქივში (პატარძეული) და კერძო კოლექციებში. მათ შორის „წერილი ანნა ახმატოვას" ელენე ბაქრაძისეული დედანი არ ჩანს. ისე გამოდის, თითქოს პწკარედის გაკეთების შემდეგ დედანი გაქრა და მისი შინაარსი მხოლოდ რუსულმა პწკარედმა შემოგვინახა.

პირველ ვერსიას (რომლის დედანიც არ ჩანს) ელენე ბაქრაძე მ თ ლ ი ა ნ ა დ საკუთარი შემოქმედების ნაყოფად აცხადებს, მეორეს — პაოლოს მიერ გავრცობილ-ჩასწორებულად. პირველი

სულ ოთხი სტროფია, მეორე – ექვსი. ელენე ბაქრაძე გამოქვეყნებული ვერსიის ექვსი სტროფიდან სამს თავისი შემოქმედების ნაყოფად გვაცნობს და სამსაც პაოლოს მიერ ჩამატებულად, ერთიც ბეჭდური ვერსიის მიღმა დარჩენილა. პაოლოს ეს სტროფები მიეწერება:

„თბილისის მაღლი და შვენება
გიშვლის. ვიცი.
ორივეს ერთად გვეჩვენება
წასული პრინცი.

შენ დაღალული გიბანია
სხეული ნისლში...
ჩემი ქვეყანა ისპანია
არი ივლისში.

ჩვენი მზე. ჩვენი მხარე ღერჯი
ღიყებს აგინთებს:
აკოცე შენი ცივი ტუჩით
თამარის თითებს"

ამათი პაოლოსეულობა, მართალაც, ეჭვს არ ბადებს — არც ვერსიფიკაციის და არც სხვა მხრივ. აქ გვხვდება თ ა მ ა რ ი, პაოლოს უსაყვარლესი ისტორიული პიროვნება, რომელსაც ის სხვა ლექსებშიც არაერთხელ ახსენებს (პაოლოსთან მოვიძიეთ კიდევ ოთხი თამარი; ერთგან მას „დობილს" უწოდებს (ვისარგებლეთ გამომცემლობა „ლიტერას" 2011 წლის ელექტრონული ვერსიით – „პაოლო იაშვილი. ლექსები" – და „იოტა რიდერის" საძიებო სისტემით).

ელენე ბაქრაძის ლექსებში თამარი ერთხელაც არ არის ნახსენები.

შემდეგ: „შენ **დაღალული** გიბანია / სხეული ნისლში".

(ხაზგასმა აქაც და შემდგომაც ჩვენია. — ლ. ბ.).

„დაღალული" კუთხური ვერსიაა ლიტერატურული „დაღლილისა". ეს ვნებითი გვარის მიმღეობა პაოლოს ლექსებში შვიდჯერ გვხვდება ამ სახით და არც ერთხელ ლიტერატურული ფორმით. ელენეს ლექსებში კი (რომლებიც ლიტერატურის მუზეუმის გამოცემაშია შეტანილი) მხოლოდ ლიტერატურული ფორმაა: ექვსი „დაღლილი" და არც ერთი „დაღალული".

აქვე ვთქვათ სათაურის თაობაზეც — „წერილი ანნა ახმატოვას".

გალექსილი წერილი (ეპისტოლე) პაოლო იაშვილის საყვარელი ჟანრია. ჟანრის სახელწოდება მას ზოგჯერ სათაურში გააქვს, ზოგჯერ — არა, მაგრამ ამის მიუხედავად ლექსის ეპისტოლური ხასიათი ეჭვს არ იწვევს.

ამ „წერილამდე" მას უკვე გამოქვეყნებული აქვს „წერილი დედას" (1916 წელს — ანუ სერგეი ესენინის ამავე სათაურის მქონე ლექსის დაბეჭდვამდე ბევრად ადრე), ასევე „ნასაყდრის გალავანიდან" — სანდრო ცირეკიძისთვის მიწერილი გალექსილი ეპისტოლე [1922], ხოლო მოგვი-

ანებით — „წერილი კოლაუ ნადირაძეს" [1932]. ელენე ბაქრაძესთან ამ ჟანრის ერთ ლექსსაც ვერ ვპოულობთ, თუ არ ჩავთვლით მარიჯანის წიგნის 1956 წლის გამოცემაზე წარწერილ ლექსს „წერილი მარიჯანს", რომელიც „წერილი ანნა ახმატოვას" მოტივებისა და სახეების გამოყენებით არის შედგენილი, რაც ცალკე საუბრის თემაა. იგი რატომღაც არ არის შესული ლიტერატურის მუზეუმის გამოცემაში. მისი ნახვა შეიძლება გიორგი ჯავახიშვილის ზემოთ დასახელებული წიგნის 57-ე გვერდზე.

უცნაური ჩანს, რომ ელენე ვალენტინა ბალუაშვილს ბეჭდური ვერსიის პწკარედთან ერთად „თავისი", მისი სიტყვით, თავდაპირველი ვერსიის პწკარედსაც უგზავნის. ეს ნაკარნახევი უნდა იყოს იმის სურვილით, რომ შექმნას შთაბეჭდილება, თითქოს მისი ხელიდან გამოსულ დედანში (რომელიც არ ჩანს!) იგივე შინაარსი, რაც პაოლოს მიერ „ნასწორებ" ვერსიაშიც დარჩა, განსხვავებული სიტყვებით იყო გამოხატული. ამით სურს თავისი მონაწილეობა ამ ლექსის შექმნაში „დოკუმენტურად" განამტკიცოს.

მაგრამ ზემოხსენებული შთაბეჭდილების შექმნის პროცესში შეცდომა მოსდის.

ფრაზა „მე მინდა გითხრა სამძიმარი, რომ ბლოკი მოკვდა" ბეჭდური ვერსიის პწკარედში ასეა თარგმნილი: „Хочу выразить сочувствие / По поводу смерти Блока", რაც ზუსტი თარგმანია და ასევე უნდა გადასულიყო იმ ვერსიაში, რომელსაც თავის ვერსიას ეძახის. მაგრამ იქ ვკითხულობთ: „Хочу в соболезновании сообщить / О смерти Блока".

აზრობრივად ერთი, მაგრამ სიტყვიერად განსხვავებული ვარიანტის ძიების პროცესში ქალბატონ ელენეს შეცდომა მოუვიდა. დააკვირდით გამოთქმას „Хочу... сообщить" — „მინდა გაცნობო / შეგატყობინო". მაგრამ ანა ახმატოვას თბილისიდან აცნობო / შეატყობინო, ბლოკი გარდაიცვალაო, ნონსენსია, — თბილისიდან მას ამის გამო შეიძლება მხოლოდ მიუსამძიმრო, როგორც ეს მართებულად წერია ბეჭდურ ტექსტშიც და მის ელენესეულ პწკარედშიც.

მესამე საერთო სტროფი ორ განსხვავებას გვიჩვენებს.

ბეჭდური ვერსია:

„მე ცოცა მიცნობს: სხვანაირი
მეწვია ბედი.
შენთვის საჩუქრად მაქვს ღაირი
და ოქროს გედი

გედი ანა ახმატოვას პოეზიაში გამორჩეული სახე-სიმბოლოა (ამის თაობაზე მრავალი გამოკვლევა არსებობს) და ამ ფრინველის ხსენება მისდამი მიძღვნილ ლექსში ბუნებრივია.

ბეჭდური ვერსიის ამ სტროფის მე-3-4 სტრიქონები ელენეს ასე აქვს თარგმნილი: „Для тебя приготовила / Бубен и золотого лебедя"). თავისად გასაღებული ვერსიის, ანუ თითქოსდა პირველადი, პაოლოსაგან ჯერ ხელუხლები ვარიანტის, პწკარედს კი ამ სახით გვთავაზობს: „Здесь заготовила тебе нашу даиру / И черного лебедя".

„ოქროს გედია“ პირველადი თუ „შავი გედი“? პირველადი „ოქროს გედი“ უნდა იყოს, ძირძველი ტრადიციის მქონე საიუველირო ნაწარმის სახეობა, საჩუქრად ერთობ გამოსადეგი. „შავი გედი“ კი აბა რა ძღვენია იმისთვის, ვისაც ზოოპარკთან არანაირი კავშირი არ აქვს!

ელენეს, ეტყობა, **„ოქროს** გედი“ ეხამუშა, არარეალისტურ სახედ მიიჩნია ის, და „რეალისტური“ **„შავი** გედით“ ჩაანაცვლა („თეთრი გედი“, როგორც ჩანს, ბანალური ეჩვენა!).

„ოქრო“ პაოლო იაშვილის საყვარელი სიტყვაა. მის ლექსებში იძებნება ამ სიტყვის გამოყენების ოთხ ათეულამდე შემთხვევა. ვნახოთ ორიოდე მაგალითი, სადაც „ოქრო“ ეპითეტად არის გამოყენებული: „თორმეტი წლიდან აღარ მაცლიდნენ / ცხოვრებას დიდი **ოქროს** ჩიტები“ („პოემა ჩემი რამოდენიმეთ გადარევისა“, 1918), „ჩადგება ალბათ გულის წიაღში / კმაყოფილება **ოქროს** ტბორებად“ („პოეზიის ინჟინრებს“, 1929), „რა ჰყავს ბადალი, როცა ზვინები / ჩამწკრივდებიან ოქროს არჩვებად“ („პოეზიის ინჟინრებს“, 1929).

ელენე ბაქრაძის ორიგინალურ ლექსებში კი, რომლებიც ლიტერატურის მუზეუმის გამოცემაშია შესული, „ოქრო“ მხოლოდ ერთხელ იხსენიება უსათაურო ლექსში „იყო ზღაპარი...“

კიდევ ერთი განსხვავება ბეჭდურსა და ელენე ბაქრაძის ვარიანტებს შორის ეს არის:

ბეჭდური:

„მე ცოტა მიცნობს: სხვანაირი / მეწვია ბედი“;

ელენე ბაქრაძის პწკარედი:

„Меня знают: иная / Судьба постигла меня“.

ელენე ბაქრაძის ვერსია:

„Меня все знают, необычная постигла / Судьба“

ანუ პწკარედებში იმის საპირისპირო წერია, რაც ბეჭდურ ვერსიაშია.

ელენეს ორი ლექსი აქვს გამოქვეყნებული პირველი მეუღლის — ბერიშვილის — გვარით. ერთი მათგანის სათაურია „თავად დარიანს“, ის დაიბეჭდა გაზ. „ბახტრიონის“ 1922 წლის №24-ში, რომელიც 24 დეკემბერს გამოვიდა, ანუ იმავე თვეში, რომელ თვეშიც „წერილი ანნა ახმატოვას“ დაიბეჭდა ჟ. „მეოცნებე ნიამორებში“. „თავად დარიანში“ ელენე, როგორც ჩანს, პაოლოს გულისხმობს, ანუ პაოლო იაშვილს დარიანად მოიხსენიებს, რაც ძალზე საგულისხმოა.

ამ ლექსის ერთი სტროფი ეს არის:

„მე მუდამ ვარ ჩუმი, არიან წამები,
როდესაც მოდიან და ვხვდები ალებით,
მე ცოტა მიცნობენ, ვარ ხომ **სხვანაირი**
ხელებზე მკოცნიან, ყველა, დავალებით.“

აზრობრივადაც, ენობრივადაც, ვერსიფიკაციულადაც უბადრუკი რამ არის, მაგრამ ერთი აშკარაა: **„მე ცოტა მიცნობენ**, ვარ ხომ **სხვანაირი**“ უეჭველი „წინაპარია“ სტრიქონისა ლექსიდან „წერილი ანნა ახმატოვას“: **„მე ცოტა მიცნობს: სხვანაირი** / მეწვია ბედი“, ანუ მათ შორის ინტერტექსტური მიმართებაა. ეს ფაქტი განამტკიცებს შეხედულებას, რომ პაოლოს პერსონაჟის პროტოტიპი ელენე ბაქრაძეა.



თბილისი 1920-იანი წლებში

მაგრამ რატომ აღარ აწყობს ქალბატონ ელენეს ანა ახმატოვასადმი მიძღვნილი ლექსის პწკარედის მომზადებისას „მე ცოტა მიცნობს“, და რატომ ცვლის მას საწინააღმდეგო შინაარსის მსჯელობით, ძნელი სათქმელია. ფრაზა მისი პწკარედიდან: „Меня все знают“ უფრო თვითონ პაოლოს შეეფერება, ვიდრე პერსონაჟ ელენე დარიანს, პოეტური ტალანტით დაჯილდოებულ ახალგაზრდა ქალს, რომელიც თავის ლექსებს მხოლოდ დღიურებს ანდობს, და ეს სიტყვებიც — ნაკლები ცნობადობის შესახებ — სავსებით ბუნებრივად ჟღერს მისგან; ცოტა დარდობს კიდეც: „სხვანაირი მეწვია ბედიო“, ანუ: უკეთესი ხვედრის ღირსი ვიყავი, მაგრამ უფერულ ყოველდღიურობას თავი ვერ დავაღწიე, „ცნობადი სახე“ ვერ გავხდიო.

„Меня все знают“ — ხომ არ არის ეს ნამდვილ ავტორზე მიმანიშნებელი უნებლიე წამოცდენა, — ნამდვილ ავტორზე, რომელსაც ნამდვილად ყველა იცნობდა?

(შევადაროთ: პაოლოს ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში „ფერადი ბუშტები“, ავტორი-მთხრობელი, რომელიც მათხოვარს ქუჩაში ფულს უგროვებს, ამბობს: „მე მთელი ქალაქი მიცნობს — ბევრმა მაჩუქა“).

ერთი მრავლისმეტყველი დეტალიც.

ბეჭდური ტექსტი:

„მე ცოტა მიცნობს: სხვანაირი / მეწვია ბედი“ (ელენეს პწკარედი: **„Меня знают: иная** / Судьба постигла меня“) — როგორც უკვე ვთქვით, ამისი აშკარა წინამორბედია პაოლოსადმი მიძღვნილი ელენე ბაქრაძის ლექსის ეს სტრიქონი: **„მე ცოტა მიცნობენ,** ვარ ხომ **სხვანაირი“**.

ელენეს ვერსია:

„Меня все знают, необычная постигла / Судьба“.

ამის ქართული შესატყვისი იქნება: „მე ყველა მიცნობს, უჩვეულო მეწვია ბედი“ ცხადია, აქ ინტერტექსტი აღარა გვაქვს, არამარტო იმიტომ, რომ „მე ცოტა მიცნობს“ შეიცვალა საპირისპ-

ირო შინაარსის ფრაზით: „მე ყველა მიცნობს“, არამედ იმის გამოც, რომ „სხვანაირი“ შეიცვალა „უჩვეულოთი“.

ეს უტყუარი საბუთია იმისა, რომ ლექსის ელენესეული ვერსია მეორეულია, ხოლო ბეჭდური ვერსია პირველადი (მან ან ვერ იცნო ინტერტექსტი, ან „თავისი“ და ბეჭდური ვერსიების ენობრივად განსხვავების პროცესში დაავიწყდა ამ სტრიქონის ბეჭდური ვერსიის კავშირი მის პირველ გამოქვეყნებულ ლექსთან).

ელენე ბაქრაძის ვერსიაში არის ერთი სტროფი, რომლის კვალიც არ ჩანს დაბეჭდილ ტექსტში. აი ეს:

„Не игнорируй моей Карталинией
Будь хорошей
Благостью своей окутает тебя в храмовой праздник
Собор в Арбо“.

ქართულად: „ნუ უგულებელყოფ ჩემს ქართლს, დამიჯერე, კეთილმოწყალებაში გაგხვევს [ის] არბოს ტაძრის საეკლესიო დღესასწაულზე“.

ანა ახმატოვას ეპატიჟება ქართლში, სოფელ არბოში, კონკრეტულად — საეკლესიო დღესასწაულზე, რომლის დამაგვირგვინებელი ცერემონია სოფელ არბოს ტაძარში იმართება.

არბო სოფელია გორის მუნიციპალიტეტში, იქვე ახლოს მდებარეობს ელენე ბაქრაძის მშობლიური სოფელი (დედულეთი) ერედვი, სადაც მან ბავშვობა გაატარა. არბოში არის ორი ეკლესია: ერთი მე-10 და მეორე მე-19 საუკუნისა. წმინდა გიორგის სახელს უკავშირდება ამ სოფელში შემორჩენილი ტრადიცია არბოობის დღესასწაულისა.

კოორდინატები მკაფიოა: ელენე ბაქრაძე ანა ახმატოვას თავის მშობლიურ მხარეში ეპატიჟება. ამგვარი დაკონკრეტების მიზანი ის უნდა იყოს, რომ „პწკარედში“ თავისი ავტორობის აშკარა კვალი დატოვოს.

მაგრამ ამ დაკონკრეტებას არასასურველი ეფექტიც ახლავს: ეს კონსპირაციის დარღვევაა. არადა, პირველ წერილში ის სწერს ვალენტინა ბალუაშვილს: „[დარიანული ციკლის პირველივე ლექსებზე საზოგადოების რეაქციის შემდეგ] ის მიხვდა [წერილის ამ ნაწილში ელენე ბაქრაძე თავის თავზე მესამე პირის ფორმით ლაპარაკობს. — ლ. ბ.], რომ [სხვა] გამოსავალი არ იყო — უნდა დამალულიყო და მან პაოლოს სიტყვა ჩამოართვა არავისთვის და არასოდეს გაემხილა მისი ავტორობა. ეს პირობა დაცულ იქნა, ძალიან ცოტა ვინმემ იცოდა ამის შესახებ. [...] მან [პაოლომ. — ლ. ბ.] არაერთხელ სთხოვა საიდუმლოს გამჟღავნების ნებართვა, მაგრამ ყოველ ჯერზე ემორჩილებოდა ელლის თხოვნებს“.

ჰოდა, ამის გათვალისწინებით ჩნდება კითხვა: რაღა საჭიროა ამგვარი დაკონკრეტებისას ფსევდონიმს ამოფარება? თუ ლექსში ნახსენები იქნა ელენე ბაქრაძის მშობლიური ადგილების ტოპონიმიკა და რეალიები (ქართლი, სოფ. არბო, ამ სოფლის ტაძარი და მასთან დაკავშირებული საეკლესიო ზეიმი, რომელზეც იგი ლექსის ადრესატს, თავის უსაყვარლეს რუს პოეტს ეპატიჟება), რაღა უნდა ავტორის გამოცნობას! და, საერთოდ, ამ ლექსის — „წერილი ანა ახმატოვას“ — ავტორს რა სჭირს დასამალავი? რა არის ამ ლექსში ისეთი, რაც ახლობლების თუ საზოგადოების

რისხვას დაატეხდა თავს მის შემთხზველს? სრულიად არაფერი!

იმავე წერილში, ახლახან დამოწმებული ფრაგმენტების ცოტა ზემოთ, ფსევდონიმის შერჩევის თაობაზეც აწვდის ცნობას ადრესატს და ამბობს:

„მათში [დარიანული ციკლის ლექსებში. — ლ. ბ.] აისახა ოცნებები და გრძნობები, ქალის განუხორციელებელი სურვილები. [...] იმაზე, რომ ასეთი ლექსები საკუთარი გვარით დამებეჭდა, ლაპარაკიც ზედმეტი იყო. და აი შეირჩა ფსევდონიმი: შენარჩუნებულ იქნა სახელი — ელენე, ხოლო გვარად გადაკეთდა ოსკარ უაილდის რომანის საყვარელი გმირის — დორიან გრეის — სახელი. ასე დაიბადა ელენე დარიანი“.

ვიმეორებ: „წერილი ანნა ახმატოვას“ ავტორს არანაირი საფრთხე არ დაემუქრებოდა, თუკი ამ ლექსს საკუთარი სახელით დაბეჭდავდა. იმ ხანებში ხომ გამოაქვეყნა თავისი სახელით ორი ლექსი, ერთი იმავე 1922 და მეორე 1924 წელს, ჰოდა, არც ამ ლექსის გამოქვეყნება გაუჭირდებოდა! იგივე შეიძლება ითქვას ელენე დარიანის ფსევდონიმით დაბეჭდილ ზოგიერთ სხვა ლექსზეც, მაგალითად, „პარიზისაკენ“. ვერც ამ ლექსზე იტყვის ვინმე, რომ იმ დროს ფსევდონიმის გარეშე მისი გამოქვეყნება ქალისთვის სახიფათო უნდა ყოფილიყო.

ყველაფერი თავის ადგილას დადგება, ყველა ეს კითხვა მოიხსნება, თუ რეალობას ვაღიარებთ: ფსევდონიმ ელენე დარიანის მიღმა იგულისხმება არა კონკრეტული, რეალურად არსებული ქალი, რომელიც ამ ფსევდონიმის მეშვეობით ვინაობას მალავს, რათა თავისი თამამი ტექსტებით გამოწვეული რისხვა აირიდოს, არამედ ელენე დარიანი პაოლო იაშვილის გამოგონილი პერსონაჟია, რომელიც ლექსებს წერს — ხან მეტ-ნაკლებად ეროტიკულს, ხანაც თითქმის ან სავსებით განრიდებულს ეროტიკისგან.

პაოლოს მიერ განხორციელებული ეს ლიტერატურული პროექტი ორიგინალური არ არის: მისი ანალოგი მოიპოვება რუსულ პოეზიაში. მხედველობაში გვაქვს 1913 წელს მოსკოვის გამომცემლობა „სკორპიონის“ მიერ დაბეჭდილი წიგნი სათაურით „ნელის ლექსები“. როგორც შემდგომ გაირკვა, ეს ლიტერატურული მისტიფიკაცია იყო. ნელის „ქალური“ ლექსების ავტორი სინამდვილეში იმ დროს უკვე სახელგანთქმული პოეტი ვალერი ბრიუსოვი ყოფილა. ვალერი ბრიუსოვისა და პაოლო იაშვილის მისტიფიკაციებს ერთმანეთისაგან 2-3 წელი აშორებთ.

დასკვნა:

განხილულ მტკიცებულებათა ერთობლიობა უფლებას გვაძლევს დიდი ალბათობით განვაცხადოთ, რომ ლექსის „წერილი ანნა ახმატოვას“ ის უჩინარი თავდაპირველი დედანი, რომლის რუსულ პწკარედსაც ელენე ბაქრაძე ბეჭდური ვერსიის პწკარედთან ერთად უგზავნის ვალენტინა ბალუაშვილს, არასოდეს არსებულა. მისი ამბავი ქალბატონი ელენეს მიერ იმ მიზნით შეთხზული ჩანს, რომ როგორმე წილი დაიდოს დასახელებული ლექსის თანაავტორობაში.

ორი ავტორი ხარ...

პაოლო იაშვილის რეაბილიტაციის შემდეგ (1954) მისი თხზულებებიც გამოსცეს, მაგრამ ვაი ასეთ გამოცემას: მეტ-ნაკლები ცვლილება თითქმის ყველა ლექსში შეიტანეს, მათ შორის, რაღა თქმა უნდა, „ელენე დარიანის დღიურებშიც“, რომლის ზოგიერთი ლექსი უღვთოდ იყო ნასწორები რედაქტორ-გამომცემლების მიერ. რამდენიმე მაგალითი:

1. პ ი რ ვ ე ლ ნ ა ბ ე ჭ დ ი („ზამთარში“):

„ღრიანის წუთი ღღეს ისეთი მშვენიერია —
ვით პირველი **ღამეს**. პირველ ღამეს ქაბუკი ქმარი

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი:

„ღრიანის წუთი ღღეს ისეთი მშვენიერია —
ვით პირველი **კოცნის**. პირველ **კოცნის** ქაბუკი ქმარი“

(გაუგებარია რას უნდა ნიშნავდეს „პირველ კოცნის ქმარი“!)

პ ი რ ვ ე ლ ნ ა ბ ე ჭ დ ი („ზამთარში“):

„ჩემი **სხეული** ცივი არის, როგორც ის მთვარე“

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი:

„ჩემი **ტუჩები** ცივი არის, როგორც ის მთვარე

2. პ ი რ ვ ე ლ ნ ა ბ ე ჭ დ ი („უკანასკნელი მოვიხსენი ტანსაფარავი“):

„დამეძინება... გათავდება ზანტი ზმორება.
და დამშვიდდება **ჩემი** მკერდი ჯერ ხელუხლები;
ძირში ჩემს **მეცველს** ვიღაც ვაჟი ეამბორება
და **ვნებისაგან** იღუნება ჩემი მუხლები.
მზის აყვავება გამომცაცებს მწვავე აღამიანს.
(ჩემს შეყვარებას **მწუხარება** კვლავ მოემატა!)
და დაღონებულს, ვაჟის კოცნას, **კოცნას ნამიანს**,
ვარდისფერ **ენით მომაგონებს გამთბარი** კაცა

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი:

„დამეძინება... გათავდება ზანტი ზმორება.
და დამშვიდდება **ბროდის** მკერდი ჯერ ხელუხლები:
ძილში ჩემს **ცეცხლებს** ვიღაც ვაჟი ეამბორება
და მღელვარებით იღუნება ჩემი მუხლები.
მზის აყვავება გამომცდაცებს მწვავე ადამიანს.
(ჩემს შეყვარებას **მოგონების მწუხრად** რომ დარჩა).
და დაღონებულს. ვაჟის კოცნას. სულ ერთ წამიანს
ვარდისფერ ღიღით აელვარებს ცის ღერჯი ფარჩა

(რედაქტირებული ტექსტების ციტირებას ვახდენთ პაოლო იაშვილის თხზულებათა 1959 წლის გამოცემიდან, რომელიც შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა შალვა დემეტრაძემ, რედაქტორი კი ირაკლი აბაშიძე იყო. ხაზგასმა ყველგან ჩვენია. – ლ. ბ.).

ამ ლექსების ავტორობაზე პრეტენზიის მქონე ელენე ბაქრაძისგან თავისი ავტორობის განმამტკიცებელი ქმედება ის იქნებოდა, გაეპროტესტებინა ეს ამბავი. მარტო იმის გამო კი არ ედავა შალვა დემეტრაძესთან, ვინც ეს წიგნი შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა, ჩემი ლექსები პაოლოს სახელით რატომ გამოაქვეყნეთო, არამედ იმაზეც აეტეხა განგაში, ტექსტები რატომ გადამიკეთეთო! მაგრამ ქალბატონ ელენეს ამის თაობაზე საყვედური არავისთან დასცდენია, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამის შესახებ არც მისგან, არც მისი ინტერესების დამცველთაგან არაფერი გვსმენია.

აშკარაა ელენე ბაქრაძეს ეს ამბავი არ აინტერესებს, რაც იმის ნიშანია, რომ ავტორი ან თანაავტორი დარიანული ციკლის ლექსებისა ის არ არის, იგი მხოლოდ პროტოტიპია ელენე დარიანისა, ანუ ზოგიერთი ბიოგრაფიული დეტალითა და ხასიათისმიერი რამდენიმე შტრიხით ენათესავება პაოლო იაშვილის მიერ შექმნილი ლექსების ციკლის პერსონაჟს, რის გამოც ნაცნობ-მეგობრები მას ზოგჯერ ელენე დარიანად მოიხსენიებდნენ.

კარგი, ვთქვათ, „თავისი“ ლექსების ტექსტოლოგიური საკითხების გახმაურებაზე უარი იმ მიზეზით თქვა, რომ, რაკი რედაქტორ-გამომცემლებმა ამ სახით ინებეს მათი ხელახალი პუბლიკაცია, დე ასე იყოს, მაგათთან მაინც ვერაფერს გავაწყობ, და ამის გამო ჯობს არავინ გავაღიზიანოო. მაგრამ ტექსტებში ცვლილებების შეტანით გამოწვეული თავისი გულისწყრომა თუნდაც დღიურებში ხომ მაინც უნდა გამოეხატა, თუკი, რასაკვირველია, ამას შეამჩნევდა!

1960-იანი წლების პირველ ნახევარში მას საუკეთესო შემთხვევა მიეცა თავისი აზრი გამოეთქვა ლექსების გადაკეთების თაობაზე, მეტიც — ის ვალდებული იყო ასე მოქცეულიყო. რამ გააჩინა ამგვარი ვალდებულება, ახლავე მოგახსენებთ.

ამ დროისათვის მას საქმიანი მიმოწერა ჰქონდა ცისფერყანწელთა შემოქმედების მკვლევარ ვალენტინა ბალუაშვილთან, რომელიც მასალებს აგროვებდა დისერტაციისთვის. პირველივე წერილში, 1964 წლის 26 მაისით დათარიღებულში (მიმოწერა რუსულ ენაზე წარმოებდა), ელენე ბაქრაძე ვალენტინა ბალუაშვილს ორი დარიანული ციკლის („უვერტიურა“, „ძახილი“) და ერთიც სხვა ლექსის („ხატაური“) საკუთარ რუსულ პწკარედებს სთავაზობს (ეს წერილები ზეინაბ ლომ-

ჯგარიამ 2004 წელს გამოაქვეყნა „ლიტერატურული ძიებანის“ XXV წიგნში).

და რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, პწკარედს იგი ასრულებს შალვა დემეტრაძის გამოცემაში წარმოდგენილი ნასწორები ტექსტიდან, რაც იმაზე მეტყველებს, რომ იგი მას ავთენტიკური ჰგონია.

„ძახილის“ პირველნაბეჭდში (გაზ. „მეგობარი“, 1915, №33) ასეთი სტრიქონია:

„სანატრელია ყველასათვის ღღეს ჩემი ცხანი ,

რომელიც შალვა დემეტრაძის გამოცემაში ასე ჩასწორდა:

„ღაღღიი არის, სანატრელო, ღღეს ჩემი ცხანი

ამ ჩანასწორებ ვერსიას მისდევს ელენე ბაქრაძის პწკარედი:

„**Утомленно, желанный**, сегодня тело мое“

(„Утомленно“ ორი н-თი დაუწერია, რაც ამ შემთხვევაში სწორი არ არის — ერთი н უნდა, თორემ აზრი იცვლება).

შემდეგ: პირველნაბეჭდშია:

„ღავფარე **ცხანი** ბნეე ნაწნავებით

შალვა დემეტრაძის გამოცემაში კი ასეა:

„ღავფარე **ღამე** ბნეე ნაწნავებით


ამ ჩასწორებულ ვერსიას თარგმნის ელენე ბაქრაძე:

„Покрыла **ночь** темными косами“.

აშკარაა, ელენე ბაქრაძეს შალვა დემეტრაძის გამოცემის ტექსტი ავთენტიკური ჰგონია, არ იცის, რომ ის ნასწორებია რედაქტორ-გამომცემლების მიერ, რაც ნამდვილ ავტორს არ დაემართებოდა. მით უფრო, რომ, როგორც ამავე წერილში წერს, სწორედ ეს „ძახილი“ ყოფილა მისი გამორჩეულად საყვარელი ლექსი:

„Е.[лена] Ф.[едоровна] очень любит стих.[отворение] „Зов“ (წერილის ამ მონაკვეთს ელენე ბაქრაძე მესამე პირის ფორმით წერს. — ლ. ბ.). Оно ей доставляет радость своей совершенной формой и выраженным в ней томлением и глубокой грустью в тоске по любимому“.

(ქართულად: „ელენა ფიოდოროვნას ძალიან უყვარს ლექსი „ძახილი“. იგი მას სიხარულს ანიჭებს თავისი სრულყოფილი ფორმით, რითაც გამოხატულია ტანჯვა და ღრმა სევდა-ნაღველი, რასაც მას საყვარელი ადამიანის გამო კაეშანი ჰგვრის“).



ჰაოლო (ჩანახატი), ავტ. გიორგი შხვაცაბაია, 2023 წ.

ჰოდა, თუ ასეა, მაშინ ეს ლექსი მის ავტორს (გინა თანაავტორს) ზეპირადაც კი უნდა ახსოვდეს და ხვდებოდეს, რომ წიგნში მისი ტექსტი ნასწორებია. თუ ავტორი ხარ, ამგვარი „სწორებები" შეუმჩნეველი არ დაგრჩება და ვერც გულგრილად მოეკიდები ამ ამბავს.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ელენე ბაქრაძეს დარიანული ციკლის ლექსების რედაქტირების ამბავი რომ სცოდნოდა, ამის გასაპროტესტებლად ვალენტინა ბალუაშვილთან მიმოწერა (რომელიც შვიდი წერილისგან შედგება) საუკეთესო საბაბი იყო. რაკი პროტესტი არ ჩანს და, რაც მთავარია, ქალბატონი ელენე უდრტვინველად თარგმნის არაავთენტიკურ ტექსტს, ეს იმის დასტურია, რომ იგი ამ ლექსების არც ავტორად და არც თანაავტორად საგულვებელი არ არის.

P.S.

რაც შეეხება ლექსს „უვერტიურა", რომლის პწკარედს აგრეთვე უგზავნის ქალბატონი ელენე ვალენტინა ბალუაშვილს, მასში რედაქტორ-გამომცემლებს მხოლოდ ერთი სიტყვა ჩაუსწორებიათ: პირველნაბეჭდის „სიგიჟე" („ყოველთვის ციურს ჯერ უცნობი **სიგიჟე** რომ მსურს") „სიშმაგით" შეუცვლიათ („ყოველთვის ციურს ჯერ უცნობი **სიშმაგე** რომ მსურს"). ეს სიტყვები სინონიმებია, ამიტომ შესაძლებელია ისინი ერთი და იმავე სიტყვით ითარგმნოს. ელენე ბაქრაძის პწკარედში მათ ადგილას ზის „порыв" („...что мне, всегда небесной, захотелось незнакомых **порывов**").

ლევან ბრეგაძე

პაოლო იაშვილის დარიანული ნაქარაგმევი

„საფრაგნეთიდან მოიტანა მან ოცნებანი,
სონეტის რკალი, ტრიოლეტი და ასონანსი“
(კოლაუ ნადირაძე, „ექსპრომტი პაოლო იაშვილს“)

დარიანული ციკლის ლექსების ავტორობის დასადგენად, ვფიქრობ, უპირველეს ყოვლისა, უნდა მივმართოთ ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის მეთოდებს, რადგანაც პრობლემა სწორედ ლიტმცოდნეობითია და მისი გადატანა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სფეროში, რაც 2013 წლიდან იწყება და დღემდე გრძელდება, არ არის გამართლებული. ბუნებრივია, როცა ლექსთან გვაქვს საქმე, მთავარი სიტყვა ლექსმცოდნეობამ უნდა თქვას, თუმც ლექსი, როგორც ლიტერატურული ქმნილება და მისი სხვადასხვა ასპექტი, ცხადია, შეიძლება გამოიკვლიოს ლიტმცოდნეობისა თუ საზოგადოდ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სხვა დარგებმაც.

მინდა, წინასწარ მოვუბოდიშო კოლეგა ლექსმცოდნეებს, იმის გამო, რომ საკითხით დაინტერესებული მრავალრიცხოვანი აუდიტორიის გათვალისწინებით, მომიწევს ჩვენი სფეროს სპეციფიკურ საკითხთა, რამდენადაც შესაძლებელია, გამარტივებულად, ადვილგასაგებად განმარტება, დარგობრივ ტერმინთაგან მაქსიმალური განტვირთვა, მეორე მხრივ კი, ბოდიშს ვუხდი ფართო მკითხველ საზოგადოებას იმის გამო, რომ პრობლემის უფრო მარტივად გადმოცემა ჩემს შესაძლებლობებს აღემატება.

დარიანული ციკლის პაოლო იაშვილისეული, არასრული ხელნაწერი უბის წიგნაკი ინახება მის მემკვიდრეებთან, სხვაფრივ დიდად განებივრებულნი არა ვართ მისი პირადი არქივით, განსხვავებით, მაგალითად, მისივე თანამედროვე გალაკტიონისაგან, რომლის საარქივო მასალების გამოცემამაც ოცდახუთი ტომი შეადგინა. რაკი სიტყვამ მოიტანა, აქვე აღვნიშნავ, რომ ქართული ლიტერატურის მთელ მემკვიდრეობაში ასეთი დიდი არქივი არავისგან დაგვრჩენია. რაც შეეხება პაოლო იაშვილს, საკუთარ მოგონებებში ელენე ბაქრაძეც აღნიშნავს, თავის ხელნაწერებს იგი უდიერად ეპყრობოდა და პირდაპირ ურნაში მოისროდა ხოლმეო. ვისურვებდი, ერთი მცირე, პირადი მიძღვნის გარდა („ელენე დარიანს“), ელენე ბაქრაძის არქივში აღმოჩენილიყო კიდეე რაიმე ხელნაწერი პაოლო იაშვილის გამოუქვეყნებელი ლექსისა, მაგრამ, სამწუხაროდ, დანარჩენი პაოლოს მიერ უკვე გამოქვეყნებული ლექსების ბაქრაძისეული ხელნაწერი ვარიანტებია(!). აქ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, აღვნიშნავ მხოლოდ, ბოლო დროს საკმაოდ გახმაურდა ფაქტი, რომ ელენე ბაქრაძეს საკუთარი ხელით ჰქონდა გადაწერილი არა მხოლოდ პაოლო იაშვილის, არამედ სხვადასხვა თაობის ქართველ და უცხოელ ავტორთა ქმნილებანი, რაც გასულ წელს მისი საარქივო მასალების გამომცემელთა მიერ შეცდომით მიეწერა მას, როგორც ავტორს.

ამჟამად ჩემი კვლევის საგანია თოთხმეტი ლექსისაგან შემდგარი „დარიანული ციკლის“ ერთერთი ბოლო ლექსი სათაურით – „დარიანული“, რომელიც „ელენე დარიანის“ ფსევდონიმითაა გამოქვეყნებული, სიმბოლისტურ ჟურნალ „მეოცნებე ნიამორებში“ (1923 წ. №10). არსებობს ამავე ლექსის ელენე ბაქრაძისეული ხელნაწერი ვარიანტი, დაცული გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმში, ელენე ბაქრაძის არქივში. ტექსტს ახლავს მისივე გვიანდელი ლექსად მინაწერიც. იგი გამოქვეყნებულია გიორგი ჯავახიშვილის წიგნში „ელენე დარიანის ლეგენდა და სინამდვილე“ – თბ, 2002, 95-96 (მე ამ გამოცემით ვსარგებლობ).

გარკვევა იმისა, ამ ორი ტექსტიდან რომელია პირველადი და რომელი მეორადი, თავის მხრივ, დაგვეხმარება დარიანული ციკლის ავტორის ვინაობის დადგენაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გ. ჯავახიშვილის მსგავსად, პრობლემის 2013 წლიდან განმასაზოგადოებელნი ლექსს ელენე ბაქრაძეს მიაკუთვნებენ.

ლექსმცოდნეობითი დაკვირვება ელენე ბაქრაძის ხელნაწერზე იმ მხრივაც საინტერესოა, რომ იგი, როგორც გ. ჯავახიშვილი მიიჩნევს, ორ ქრონოლოგიურ ეტაპს აერთიანებს: პირველია საკუთრივ ლექსის – „დარიანული“ – ბაქრაძისეული ვერსია, ხოლო მას მოსდევს უკვე გვიანდელი მინაწერი მისივე ლექსი-მიმართვა, ოღონდ მასში გამოყენებული ზმნის არასწორი ფორმის გამო შინაარსი ბუნდოვანია, ძნელია დაადგინო ვის მიმართავს – ლექსის ავტორს, თანაავტორს, თუ ავტორობასთან დაუკავშირებელ პირს? – მაგრამ ამაზე მოგვიანებით.

***

დავიწყოთ ჟურნალში გამოქვეყნებული ტექსტით. მანამდე კი მინდა აღვნიშნო, რომ „დარიანულის“ ტექსტი ინტერნეტში ფართოდ არის გავრცელებული და, როგორც წესი, არასწორი ფორმით ქვეყნდება. „მეოცნებე ნიამორებში“ ტექსტი დატეხილია, თითო სტრიქონზე თითო სიტყვაა, (იშვიათ შემთხვევაში ორი). ნებისმიერი გამოცემა თუ ინტერნეტპორტალი ვალდებულია, დაიცვას ავტორის ნება, ანუ ლექსის – „დარიანული“ – იმგვარი დაწერილობა, როგორიცაა ცისფერყანწელთა გამოცემაში.

დარიანული

დაიცანჯა
ძაჯა
მარჯნის
მძიმე ჯაქვის ცარებით,
ბევრი ცრემლი დამეხარჯა
ერთ ღამის ნეცარებით.

დაიცანჯა
ძაჯა
მარჯნის
მძიმე ჯაქვის
ცარებით,
მე ღოყაზე დამრჩა
ფარჩა
ცხელ პირის მოკარებით.

დაიცანჯა ძაჯა
მარჯნის
მძიმე ჯაქვის
ცარებით,
ჩემ დამცანჯველს
ღმერთი დასჯის
ქაჯად
გადაგვარებით.

ელენე დარიანი

ჯერ სათაურის შესახებ. ლექსის სათაური – „დარიანული" მარტივად შეიძლებოდა გაგვეგო, როგორც სადაურობითი ზედსართავი სახელი, რომელიც, მიუგებდა კითხვაზე – „სადაური?" მაგალითად: მუხრანული, თელავური, დარიანული და ასე შემდეგ, ანუ გვეფიქრა, რომ ეს ნიშნავს კიდევ ერთ ლექსს დარიანული ციკლიდან, მაგრამ, ვფიქრობ, იგი ამ ლექსის ჟანრის განმსაზღვრელად უნდა მივიჩნიოთ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

„დარიანულის" შემთხვევაში ისეთსავე განსაზღვრებასთან გვაქვს საქმე, როგორც ცეკვის ან სიმღერის ჟანრობრიობის აღნიშვნისას. ცეკვასა და სიმღერას რაგვარობის, ხასიათის, ჟანრობრიობის განსასაზღვრად დაესმის კითხვა – „როგორი?" მაგალითად: მხედრული, მაყრული, ნადური, ფერხული, მოგუდული და ასე შემდეგ. ასე რომ, სათაური – „დარიანული" – ისეთივე სახეობაა ლექსისა, როგორიც, ვთქვათ, „ჩახრუხაული" ან ბისტიკაური „მუხრანული". ეს არის ის პრინციპული ნოვაცია, რაც ცისფერყანწელთა ლიდერმა მოიტანა ქართული პოეზიაში. ლექსის ჟანრობრივი/სახეობრივი მახასიათებლის გარკვევას პრინციპული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის მისი კომპოზიციური ჩარჩოს მოსახელთებლად.

ამასთანავე, ეს პატარა ლექსი რეფრენული აგებულებისაა. წაუკითხავადაც თვალსაჩინოა, რომ ტექსტის ზუსტად ნახევარს სამჯერ გამეორებული რეფრენი წარმოადგენს („დაიტანჯა მაჯა მარჯნის მძიმე ჯაჭვის ტარებით"), რეფრენი კი ცნობილია, რომ თავდაპირველი ფუნქციით სიმღერას უკავშირდება. სასიმღერო აგებულებისაა „დარიანულის" ლექსის რიტმიკა და ბგერწერა. ვფიქრობ, ეს ფორმობრივი ნიშნები, რომელზეც მოგვიანებით ცალკე კიდევ ვისაუბრებ, საკმარისია ჩემი ნათქვამის ნათელსაყოფად.

რაკი რეფრენი ვახსენე, მისი კომპოზიციური ფუნქციის შესახებაც აქვე ვთქვათ ორი სიტყვა: ზოგადად, მიჩნეულია, რომ რეფრენი (ლირიკისთვის, სასიმღერო ტექსტისთვის – მისამღერი) პოეზიამ „სახსოვრად" დაიტოვა ხელოვნების უხსოვარი, სინკრეტული პერიოდიდან და ლექსში იგი ეგრეთ წოდებული სასიმღერო, ციკლური, წრიული კომპოზიციის საშუალებაა. განსახილველი ლექსი კი სწორედ ასეთი აგებულებისაა. იგი შედგება თავრეფრენისაგან – ლექსის თავში, დასაწყისში მოთავსებული რეფრენისაგან (დაიტანჯა მაჯა მარჯნის მძიმე ჯაჭვის ტარებით), რომელიც ლექსში კიდევ ორჯერ მეორდება და მონორითმულად, ანუ ერთ რითმაზე არის მასთან შეწყობილი მთელი ლექსი. დაქტილური, სამმარცვლიანი სარითმო სიტყვა „ტარებით", რომელთანაც შეწყობილია სხვა რითმები, „აიძულებს" ოთხმარცვლიან სიტყვას „ნეტარებით" – რომელიც, თავის მხრივ, ამ ლექსშიც და ზოგადადაც კარგი, ზუსტი რითმაა, რამენაირად მოირგოს დიდი ცეზურა; სამაგიეროდ, გამოიწვიოს პოეტური ლიცენცია „ერთ ღამის" და სიტყვიდან „ნეტარებით" ნე-მარცვალი შეუერთოს წინა მუხლს ასე – „ერთღამისნე". ამის გამოკვეთას და დამახსოვრებას მნიშვნელობა აქვს, რადგან მოგვიანებით მოგვიხდება ამ საკითხთან მობრუნება, ელენე ბაქრაძის ხელნაწერზე საუბრისას.

აქვე აღვნიშნავ, რომ, რაკი რეფრენი რაღაც დიდი ან მცირე ფრაზის თუ ბლოკის გამეორებაა, პოეტური ტექსტის სხვადასხვა ნაწილში, კომპოზიციურად სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე ადგილებში, იგი ამის შესაბამისად სხვადასხვაგვარი ძალმოსილებით იტვირთება.

„დარიანულში" ის კლასიკური შემთხვევა გვაქვს, თუ სამჯერ გამეორებით, როგორ იწვევს იგი გრადაციას. ნათქვამს რომ კონკრეტიკა შევძინო და გაგება გავაადვილო, ვიტყვი, რომ რეფრენული გრადაციის ყველაზე თვალნათლივი ნიმუშია თანამედროვე ქართული პოეზიიდან ბესიკ ხარანაულის ლექსი – „სად არიან შვილები".

სხვა საკითხებზე ყურადღების გამახვილებამდე, მინდა, უბრალოდ დავიმახსოვროთ, რომ სიტყვაში „დ – არ – იანული“, დაფიქსირებულია მარცვალი „არ“. სხვაფრივ, სიტყვა ძირითადად სონორულ-ასონანსური, ანუ მღერადი აგებულებისაა, როგორც თავად ფსევდონიმი „ელენე დარიანი“...

თუმცა, ვიდრე ლექსის რიტმიკასა და ბგერწერას შევეხებოდე, ჯერ ვიზუალურად დავუკვირდეთ მის გამოსახულებას. ქართულ ლექსმცოდნეობაში ჩემამდეც არის აღნიშნული და მერე გამეორებულიცაა, რომ ამ ლექსის გრაფიკული გამოსახულება განწყვეტილ სამაჯურს შეესაბამება, მე ისღა დამრჩენია, რომ გავიზიარო შორენა ქურთიშვილისა და თამარ ბარბაქაძის მიერ კარგა ხნის წინ გამოთქმული ეს აზრი და ჩემი მხრით დავუმატო, რომ ეს არის პირველი შემთხვევა ქართული ლექსის ისტორიაში, როდესაც გრაფიკას გამომსახველობითი როლი მიენიჭა. გაივლის დიდი დრო მას შემდეგ და გვექნება გრაფიკული პოეზიის შესანიშნავი ნიმუშები, ვახტანგ ჯავახაძის მიერ 70-იან წლებში შექმნილი; გაჩნდება წერილებიც გრაფიკული პოეზიის შესახებ, გასული საუკუნის ოთხმოც-ოთხმოცდაათიან წლებში ახალთაობელთა ერთი ნაკადი – თემო ჯავახიშვილი, დავით ჩიხლაძე და სხვები კვლავ აქტიურად დაინტერესდებიან გრაფიკული პოეზიით. სამწუხაროდ, უფრო გვიანდელ ნიმუშებზე ვერაფერს ვიტყვი, რადგან საზღვარგარეთ მყოფს ისე იოლად აღარ მიმიწვდება ხელი ლიტერატურულ გამოცემებზე. პირველი კი ნამდვილად პაოლო იაშვილის „დარიანულია“, სადაც გრაფიკის გამომსახველობითობა მხატვრული ფუნქციითაა გამოყენებული.

ვიზუალური დაკვირვების დონეზე ასევე ცხადია ის, რომ ლექსში ერთადერთი პუნქტუაციური ნიშანია გამოყენებული – წერტილი ბოლოში. შესაძლოა, აქ ვინმე მომედავოს და მითხრას, პუნქტუაციის ნიშნების არქონა უფრო ადრინდელი საუკუნეების პოეტურ ტექსტებსაც კი ახასიათებსო. საქმე ის გახლავთ, რომ ეს გარეგნულად თითქმის მსგავსი, თუმც არსობრივად აბსოლუტურად განსხვავებული, მოვლენებია – პუნქტუაციურ ნიშნებზე უარის თქმა, ანუ უნიშნობა, „დარიანულის“ შემთხვევაში არის ნიშანი.

ეს გარემოება პაოლო იაშვილის „დარიანულს“ აქცევს პირველ ქართულ ლექსად, რომელშიც პუნქტუაციაზე უარის თქმა გამოყენებულია ტროპული, ასე ვთქვათ, გამომსახველობითი ფუნქციით.

საინტერესოა, რატომ აუქმებს ავტორი პუნქტუაციას?

ვფიქრობ, პასუხი ერთდროულად ლექსის ორ პლანშია საძიებელი: პირველი მიზეზი – ეს არის სასიმღერო, რეფრენული, წრიული კომპოზიცია, რომელიც, ასე ვთქვათ, ჯერ გაუწყვეტელი სამაჯურივით წრეზე ტრიალებს, „მაჯას სტანჯავს“, ვიდრე გაწყდება, მეორე არის გრაფიკა. ყველაზე ვრცელი – აქ ხუთმარცვლიანი სტრიქონი გვაქვს. ცნობილია, რომ სტრიქონებად არა მხოლოდ ლექსითი, არამედ ნებისმიერი ტექსტის დატეხვა – პაუზებით გაჯერებულ ტექსტს გვაძლევს, ქმნის თავისებურ რიტმს. ამავე დროს იგი ანელებს ტექსტის აღქმის ტემპს. რა ფუნქცია აქვს სასვენ ნიშანს? ისიც ხომ არსებითად შესვენებაა, პაუზაა. აქ კი სტრიქონებად, ცალკეულ სიტყვებად დატეხილ, პაუზებით ისედაც გაჯერებულ ტექსტში სასვენი ნიშანი უკვე ზედმეტია. გამოიწვევდა უფუნქციო დუბლირებას, რაც მაღალი პოეტური ოსტატობის მაჩვენებელი ვერ იქნებოდა.

ისევ ვიზუალური დაკვირვების დონეზე დავრჩეთ.

უკვე აღვნიშნე, რომ ლექსი სულ სამჯერ განმეორებადი ექვსსიტყვიანი თავრეფრენისა და მასთან გარითმული სამი ტაეპისგან შედგება... ვიდრე გაკვირვებით შემნიშნავდეთ, აქვე თავად დავაზუსტებ: ტაეპების სამუშაო მიზნით აღდგენის საშუალებას მაძლევს რეფრენის ბოლოს დაფიქსირებული რითმა ტარებით/ნე-ტარებით/ მო-კარებით/გადა-გვარებით. ეს ლექსმცოდნეობაში ძველი, აპრობირებული პრაქტიკაა.

მერე რომ არ გამომრჩეს, აქვე აღსანიშნავია ერთი მომენტი: განსახილველი ლექსის რითმები, ერთის გარდა – ტარებით//ნეტარებით – განსაკუთრებულობით არ გამოირჩევა... არ გამოირჩევა კი არა, იმ მოთხოვნების პირობებში, რასაც სიმბოლისტები უყენებდნენ რითმას, სუსტია. ყველა სარითმო ერთეული არის მეტყველების ერთი და იგივე ნაწილი ერთსა და იმავე გრამატიკულ პოზიციაში, მარტივად, ყველა მათგანი მიუგებს ერთ კითხვაზე „რით?“ და მათი რიგის გაგრძელება დაუსრულებლად შეიძლება. რა ახსნა უნდა მოეძებნოს ამ გარემოებას, გარდა იმისა, რომ ქართულ პოეზიაში არაერთი ნოვაციის შემომტან ავტორს სწორედაც რომ, ჩანაფიქრი აქვს ასეთი. რა ჩანაფიქრი? ამ ლექსის პოეტური მეტყველება აგებულია არატრადიციულ რითმულობაზე, არამედ განსხვავებულ ბგერწერულ პრინციპზე და სარითმო ადგილას დაფიქსირებული თანამჟღერი და ამავე დროს თანაბარი გრამატიკული პოზიციის სიტყვები – (გარდა ამ ერთისა – ტარებით//ნეტარებით), მაინც პირობით რითმებად უნდა მივიჩნიოთ.

ბგერწერულ ორგანიზაციაზე, მე ვიტყოდი, ამ ლექსის კამერულ ორკესტრირებაზე, ქვემოთ საგანგებოდ კიდევ ვიმსჯელებ, აქ კი აღვნიშნავ, რომ რითმა ძალზე გვიანდელი შენაძენია ევროპული ლექსისათვის, იგი საუკუნეთა მანძილზე ალიტერაციული იყო. „დარიანული“ თავისი ალიტერაციებით, ასონანსებით, სონორებითა და მთელი ბგერწერული პლანით, შეიძლება გავიაზროთ, როგორც ევროპული ლექსის ქართულად რეკონსტრუირებული მინიმოდელი.

„დარიანული“ არის ქართულ პოეზიაში პირველი ყველაზე მოკლესტრიქონებიანი ლექსი. ცალკეულ ლექსებში მოკლე სტრიქონები აქა-იქ ბევრგან შეგვხვდება, მაგრამ აქ ჩვენ საუბარი გვაქვს, მოკლესტრიქონიანობაზე, როგორც ტექსტის მაორგანიზებელ ერთ-ერთ ძირითად პრინციპზე.

ლექსი იწყება სიტყვით – „დაიტანჯა“. ლექსის კომპოზიციის ელემენტარული კურსიდან ცნობილია, რომ მისი ნაწილებიდან დასაწყისი (ვგულისხმობ ტრადიციული, კლასიკური, კონვენციური ლექსის დასაწყისს) ძალზე მნიშვნელოვანია იმით, რომ მასში მოცემულია ის ძირითადი რიტმული იმპულსი, რომლის რეალიზაციაც შემდგომ მოხდება ლექსში, ეს – რიტმიკის დონეზე; გარდა ამისა, არა მხოლოდ სათაურით, არამედ დასაწყისი პირველი სიტყვით ფიქსირდება ლექსი ათასგვარ საძიებო სისტემაში. ისიც წამიკითხავს, რომ მთარგმნელთა ერთი ნაწილი ცდილობს, შეინარჩუნოს ორიგინალის პირველი სიტყვა, რათა შემდგომ თარგმანის ენაზე ადვილი მოსაძიებელი იყოს იგი. ვცდილობ, არ გავცდე ლექსმცოდნეობის საზღვრებს, თორემ ვიტყოდი, რომ ეს არის, თუ მუსიკას შევადარებთ, პირველი ბგერა, რომელსაც, თუ არასწორად აიღებ, მერე ველარ გადაარჩენ მთელ ნამღერს.

დარიანულში პირველი სიტყვა – „დაიტანჯა“ არის კამერტონი, რომელზეც აწყობილია ამ პატარა ლექსის მთელი ორკესტრი:

ჯ-(ჯანი) ბგერაზე დაყრდნობილი ალიტერაცია აქედან განიფინება მთელ ტექსტში;

მასშია მოცემული ა – ანი ხმოვანზე აწყობილი ასონანსური რეგისტრი – აა, რომელიც დაიწყო სათაურში „არ-მარცვლით, რომელიც ამავე დროს შეიძლება არ-ნაწილაკად იქნეს გააზრებული და რომელიც შემდგომ სიტყვაში გაგრძელდება, გამყარდება ასევე ორი ა-ანით „დაიტანჯა მაჯა“ და შეიწყობს მთელს ასონანსურ სისტემას, აწყობილს ანზე.

აქვეა მოცემული მეორადი მარიტმიზებელ-მაალიტირირებელი დტთ – სამეულის ორი წევრი დ-დონი და ტ-ტარი (დ-აი-ტ-ანჯა).

მოცემულია ასევე სონორებიდან (მნრლ) ერთი – ნ.

წარმოუდგენელია, ერთმა სიტყვამ ბგერწერულად მეტი სიმძიმე ზიდოს პოეტურ ტექსტში.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს სიტყვა წარმოადგენს „დარიანულის" მთელი ბგერწერული ბადის გასაღებს, ხოლო ასონანსური სისტემა ამ ბადისა უჭირავს სათაურში „დ-არიანული" – დაფიქსირებულ „არ" მარცვალს, რომელიც შემდგომ თერთმეტჯერ(!!!) მეორდება ამ მცირე ზომის ტექსტში და განფენილია მასში თავიდან ბოლომდე... მაქსიმალურად რომ არ ვცდილობდე, თავი შევიკავო ინტერპრეტაციული ჩარევის საცდურისაგან, ვიტყოდი, რომ ამას აუცილებლად სემანტიკური მნიშვნელობაც უნდა ჰქონდეს. ამ ნეგაციის, უარყოფის გზით რაღაცისგან, გამტანჯავისგან გათავისუფლებას უნდა ესწრაფვოდეს ლექსის ლირიკული სუბიექტი.

იქნებ ვინმემ ტექსტს ახლიდან თვალი გადაავლოს და შემნიშნოს, რომ, გარდა ალიტერაციისა, დტთ- სამეულისა, ა- ასონანსისა და სონორებისა, ამ ტექსტში სხვა ასო-ბგერებიც მრავლადაა... აუცილებლად იქნება! სხვანაირად, უბრალოდ, წარმოუდგენელია, მაგრამ საკითხი ასე დგას, აქვთ კი მათ ტექსტის ბგერწერულად მაორგანიზებელი ფუნქცია? საიდან ვგებულობთ, რას აქვს და რას არა?

ამას ვგებულობთ არა მხოლოდ უბრალო სტატისტიკით, გამოყენების სიხშირით, არამედ, აქცენტირების ქვეშ მოქცევითაც. ლექსის ტექსტში ზოგადად აქცენტირების და მათ შორის ბგერის აქცენტირების მრავალი ხერხია, მათგან ყველაზე აპრობირებულია: აქცენტირებადი ნიშნის დაფიქსირება სათაურში, რეფრენში, ტექსტის დასაწყისში, რითმაში, დასასრული სტრიქონის ბოლო სიტყვაში, ცენტრალურ სინტაგმაში და ასე შემდეგ, ანუ იმ პოზიციებში, რომელსაც ჩვენ ძირითადად მივაპყარით ყურადღება.

ბგერწერამდე, ალბათ, უმჯობესი იყო, ჯერ რიტმიკაზე გვესაუბრა, თუმცა ამ ლექსში ყველაფერი ისე ორგანულად გადადი-გადმოდის ერთმანეთში, რომ განუწყვეტლივ გვიხდება საკითხთან დაბრუნება ყოველი ახალი საფეხურის ავლის შემდეგ. ახლაც ვატყობ, ასე მოგვიწევს. არსებობს ქართველი ლექსმცოდნეების სამაგიდო წიგნი – აკაკი გაწერელიას „ქართული კლასიკური ლექსი" – გამოცემული სამოცდაათი წლის წინათ. მასში აღწერილია ის საზომები, რომელიც გამოვლენილი იქნა ავტორის მიერ ქართულ პოეზიაში. მისი სიტყვებით, თხუთმეტმარცვლოვანი საზომი ქართულ პოეზიაში უიშვიათესია, ლექსი „დარიანული" კი სწორედ თხუთმეტმარცვლოვანია.

თუ მიგიქცევიათ ყურადღება, რომ „დარიანი ელენე" და „იაშვილი პაოლო" მარცვლობრივად ერთნაირია? ეს რიტმი შედგენილი ჩანს ასე:

დარიანი/ დარიანი/ დარიანი /ელენე

რაც იგივეა:

იაშვილი/იაშვილი/იაშვილი/პაოლო

„დაიტანჯა მაჯა მარჯნის მძიმე ჯაჭვის ტარებით"

4/4/4//3

რატომ ჩნდება დიდი ცეზურა სამმარცვლიანი სიტყვის წინ? სამმარცვლიანი სიტყვა – „ტარებით" – სარითმოა და ეს აფიქსირებს, მიჯნავს მას ოთხმარცვლიანი მუხლებისაგან, დანარჩენი არარეფრენული ტაეპები კი ძლიერს, განმეორებადს – რეფრენულს ემორჩილებიან და ამის გამო გვიჩნდება მათში ორი პოეტური ლიცენცია ტექსტში (ცხელ პირის და ერთ ღამის).

ახალი საზომის შემოტანა-დამკვიდრება ჩვეულებრივ ასე ხდება. პირველად იგი უჩვეულოდ აღიქმება, სიახლით სუნთქავს, იქნებ ყურს კიდეც ეხამუშებოდეს, მაგრამ თუ თავად ნაწარმოები კარგია, დასამახსოვრებელი, რიტმული ინერცია გადამდებია და ხშირად თემას ან რაიმე ფორმობრივ ნიშანს თან გაიყოლებს.

ჩვენ შემთხვევაში უფრო ფორმობრივ ნიშანზე მოგვიხდება საუბარი. დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ სათაური „დარიანული“ ნიშნავს, რომ ეს არის რეფრენიანი სიმღერა, რეფრენი – გამეორების სახეა. რაკი ვამბობ, რომ რაღაც ფორმობრივი გაიყოლა, რეფრენი და ალიტერაცია ამ ლექსის მაინც ორი ყველაზე მკაფიო გარე ნიშანია, რეფრენული ტაეპი – შეიძლება მოკლე, უბრალო გამეორებით ჩანაცვლებულიყო. ამას ცალკე ლექსმცოდნეობითი კვლევა სჭირდება და ჩვენი ამჟამინდელი ინტერესის საგანს, კაცმა რომ თქვას, ბევრს არც არაფერს მატებს, უფრო სხვა კუთხით დგება საკითხი. მე უბრალოდ, მეხსიერებაში შემორჩენილ ფრაგმენტებს შეგახსენებთ თვალსაჩინოებისთვის, თუ როგორ ვარიაციებად ტრანსფორმირდა შემდგომში ეს რიტმული მოცემულობა. მანამდე კი აღვნიშნავ მხოლოდ, რომ „დარიანულის“ ფორმის დაუფლება მოგვიანებით ლექსის არაერთმა საუკეთესო ქართველმა ოსტატმა სცადა, მაგრამ მიღებული შედეგი ნამდვილად არ მიეკუთვნება მათივე საუკეთესო ლექსების რიგს. პირადად ჩემს მეხსიერებას კი ესენი შემორჩენია:

„ვარსკვლავებს ედარებოდი, ვარსკვლავების სადარი,

ადექ, მკერდზე დაიკიდე გმირო ოქროს ვარსკვლავი“ (ი. ნონეშვილი)

„საქართველო იყო მათი საფიცარი სახელი“ (ლადო ასათიანი)

„გულანშარო, გულანშარო, სამეფოო ვაჭართა“ (შოთა ჩანტლაძე)

„ვინ იცნობდით, ვინ იცნობდით, ვინ იცნობდით ირინეს?!“ (ჯანსუღ ჩარკვიანი)

არც ისაა გამორიცხული, რომ ჩემს მეხსიერებას სიმრავლიდან სწორედ ისეთი მაგალითები ჰქონდეს სელექციურებული, სადაც გამეორებებია.

ვიდრე მეორე ტექსტზე, ელენე ბაქრაძის ხელნაწერზე გადავიდოდეთ, მინდა ამ პირველზე საუბარი ე. ბაქრაძის ხელნაწერში დაფიქსირებული მინაწერით დავამთავრო.

იგი ამბობს (ასე ვეღარ დავწერ, რადგან – ნ.დ.) აზრთა წმინდა სამფლობელომ დამიკეტა კარებიო და ახსენებს სიტყვას „ნაქარაგმები“...

და ეს მიემართება ეროტიკული შინაარსის ლექსს „დარიანული“!

ხომ არის, ცოტა არ იყოს, უცნაური, ლოყაზე ცხელი ფარჩის, ანუ ვნებიანი ნაკოცნის ნაკვალევისა და ნეტარებაში გატარებული ერთი ღამის ეროტიკულ კონტექსტში ადამიანს უცებ „აზრთა სამფლობელო“ გაგახსენდეს?

ეს მაფიქრებინებს, რომ ელენე ბაქრაძეს რაღაც უნდა სმენოდა ამ ლექსის აგებულების შესახებ, იქნებ ის, რომ ფორმობრივად იგი კონსტრუირებული იყო რაღაც ინტენციის მიხედვით, კერძოდ, როგორით – ამდენი კი არ უწყოდა. ხოლო ეროტიკულ ფასადს მიღმა აქ, როგორც შევეცადე მეჩვენებინა, რთულად განსახორციელებელი და წარმატებით განხორციელებული ჩანაფიქრი იყო მიმალული. ტყუილად, როდი მიაჩნდათ პაოლო მის თანამედროვეებს „ლექსის ფალავნად“ (ნინო თარიშვილი) „სონეტის რკალის, ასონანსებისა და ტრიოლეტების“ შემომტანად (კოლაუ ნადირაძე) და ა.შ. სიტყვა „ნაქარაგმებიც“ შესაძლოა, ამას მიგვანიშნებდეს, თუმცა აქ ვწყვეტ რეფლექსიას და ვრჩები ლექსმცოდნეობის საზღვრებში.

ახლა ვნახოთ, რა ხდება ელენე ბაქრაძის ხელნაწერში.

ჯერ ისე მოვიქცეთ, როგორც პირველ შემთხვევაში, ანუ ვიზუალურად, ტექსტში „შეუსვლელად“, გარედან დავათვალიეროთ იგი:

„დამეღალა მაჯა მარჯნის მძიმე ჯაჭვის ტარებით
მე ლოყაზე დამრჩა ფარჩა ცხელ პირის მოკარებით;
დამეღალა მაჯა მარჯნის მძიმე ჯაჭვის ტარებით
ცრემლი ბლომად დამეღვარა ერთი ღამის ნეტარებით,
დამეღალა მაჯა მარჯნის მძიმე ჯაჭვის ტარებით
ჩემს დამტანჯველს ღმერთი დასჯის ქაჯად გადაგვარებით.

P.S.

ვიცი გული დაგეღალა ამდენი შედარებით
(ნუ მომიწყენ, კვლავ მიიღე უშნოდ ნაქარაგმები)
ჩემი გრძნობით უწინდებურს ვეღარ შევედარები
აზრის წმინდა სამფლობელომ მომიხურა კარები“.

1. როგორც ვხედავთ, ელენე ბაქრაძეს ლექსისთვის ექვსტაეპედის ფორმა მიუცია ანუ „განყვეტილი სამაჯურის“ გრაფიკული ეფექტი გაუუქმებია, ამასთანავე გაუუქმებია სტრიქონის ბოლოს პაუზები, რომელთაც გრაფიკის გამოყენებით, რიტმულად მაორგანიზებელი ფუნქცია დააკისრა პაოლო იაშვილმა (ამით „გაჩვეულებრივდა“ ლექსის ორიგინალური ტემპო-რიტმი).

2. ალაგ-ალაგ დაუსვამს სასვენი ნიშნები, შედეგად მივიღეთ პუნქტუაცია, რომელიც აღარც ლექსის გამომსახველობის ჩანაფიქრს მისდევს და აღარც პუნქტუაციის წესებს – უბრალოდ, არასწორია.

3. გადაუადგილებია მზა ტაეპები/სტრიქონები (ურთიერთშეუნაცვლებია მეორე და მეოთხე).

4. ლექსის პირველივე სიტყვა, რიტმული და ბგერწერული ღერძი, კამერტონი – „დაიტანჯა“ – შეუცვლია ნეიტრალური სიტყვით „დამეღალა“, რომელიც რეფრენში მოხვედრის გამო, სამგზის მეორდება და ბლოკავს „დამეტანჯა“-ს ალიტერაციაზე აწყობილ ლექსს.

გადაადგილებული მეოთხე სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე:

„ბევრი ცრემლი დამეხარჯა ერთ ღამის ნეტარებით“,
მაგრამ ე. ბაქრაძესთან იკითხება ასე:
ცრემლი ბლომად დამეღვარა ერთი ღამის ნეტარებით“.

5. იქ, სადაც პაოლო იაშვილს დაქტილური რითმის გამო, პოეტური ლიცენცია ჰქონდა დაშვებული, ე. ბაქრაძეს ეს ლიცენცია მოუშლია, თითო ხმოვანი ჩაუმატებია, ანუ „გრამატიკულად გაუსწორებია წინადადება“ და შედეგად, ნაცვლად „დრიანულის“ სრულიად ორიგინალური რიტმისა, მიუღია რუსთველური მაღალი შაირი – რვა საუკუნის მანძილზე ყველაზე გატრივიალურებული რიტმული წყობა. შევადაროთ:

ცრემლი ბევრი დამელვარა ერთი ღამის ნეტარებით 4/4/4/4/

ჰე მეფეო, გავიპარვი, ძებნად ჩემდა საძებრისად.

თუმცა ეს პრინციპიც ვერ დაუცავს ბოლომდე, ერთხელაც გაიმეორა და ფინალში ისევ დარიანულ საზომს 4/4/4/3-ს დაბრუნებია.

ხოლო ამ საზომს რომ ნამდვილად ვერ გაუგო ვერაფერი, ჩანს მისივე მინაწერიდან, რომელშიც უცდია, „დარიანულის“ რიტმულ ინერციას მიჰყოლოდა, გარითმვის „წესი“, ანუ ის, რაც „დარიანულში” ნომინალურად არის შენარჩუნებული, კი გაუმეორებია, გარეგნულად თითქოს იმიტირებულია, მაგრამ თვალნათლივია, რომ სხვაფრივ წარმოდგენა არა აქვს „დარიანულის“ რიტმულ, ალიტერაციულ, სონორულ, ასონანსური რთული, ჟღერადი კომპოზიციის შესახებ, რაზეც ზემოთ ვისაუბრე და რაც, მსუბუქად რომ ვთქვა... მისი ბრალი არ არის.

ყველაფერი ეს ადასტურებს, რომ საერთოდ ვერ აუღო ალღო სალექსო ფორმას, ვერ ჩასწვდა „დარიანულის“ ავტორის ფორმობრივ ჩანაფიქრს.

თუმცა კიდევ ერთს აღვნიშნავ. ნუ მომიწყენო, ამბობს იგი. ვცდილობ და ვერ გამიგია, როგორ უნდა გავიაზრო ეს ზმნა: სამპირიანად: მომიწყენ შენ მე მას – ვის? ვისზეა ლაპარაკი?


ხოლო თუ ორპირიანია, ასე: მომიწყენ (შენ მე) ანუ გამხდი მოსაწყენად, გამოდის, რომ მინაწერი ისეთ დროსაა დამატებული, როცა ისინი კვლავ ერთად არიან? აქ ალბათ სიტყვა ლიტერატურის ისტორიკოსებმა ან იქნებ ტექსტოლოგებმა თქვან!

ჩემი საბოლოო დასკვნა კი ასეთია:

პაოლო იაშვილის „დარიანული“ არის პირველადი ტექსტი, ხოლო ელენე ბაქრაძის ხელნაწერი წარმოადგენს მეორადს. ანუ ავტორი ლექსისა „დარიანული“ არის პაოლო იაშვილი, ხოლო ელენე ბაქრაძე მოცემულ შემთხვევაში არის გადამკეთებელი, რომელიც ვერ ჩასწვდა ტექსტს, როგორც ორგანულ მთლიანობას და სიტყვა „დაიტანჯა“, კამერტონი, ასე ვთქვათ, საყრდენი კედელი გამოაცალა ლექსის არქიტექტონიკას.

ასეთია ჩემს ხელთ არსებულ ტექსტთა ლექსმცოდნეობით-შედარებითი ანალიზის შედეგი.

ნინო დარბაისელი



ელიჩკა დარიანი.

მზის აყვავება გამომტაცებს მწველ ალმიანს,
(ჩემს შეყვარებას მწუხარება კვლავ მოემატა)
და დალონებულს, ვაჟის კოცნას, კოცნას ნამიანს
ვარდისფერ ენით მოამგონებს გამობარი კატა.

ოსკარ შმერლინგის შარჟი პაოლოს დარიანუე ლექსზე,
ჟურნალი "ეშმაკის მათრახი", 1916, N°12

ჰაოლო იაშვილის ლიტერატურული მისტიფიკაციის წინაპირობები და საბოლოო შედეგები

„ცისფერყანწელთა ორდენის“ გამოსვლას მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართულ ლიტერატურულ პარნასზე, არერთგვაროვანი შეფასებანი მოჰყვა. თუმცა, დროის გადასახედიდან, ნათელია მათი ნოვატორული როლი ისევე, როგორც „ყანწელთა“ ცხოვრებასა და შემოქმედებაზე იმ ეპოქის, მსოფლიოში უკვე არსებული ლიტერატურული ტექსტების და მიმდინარეობების გავლენებიც. მათ შორის: ფრანგული სიმბოლიზმის (ვგულისხმობთ, ჟან მორეასის სიმბოლიზმის მანიფესტს, ვერლენის ცნობილ საპროგრამო ლექსს „პოეტური ხელოვნება“ და ფრანგი სიმბოლისტი პოეტების შემოქმედებას), ასევე რუსული სიმბოლიზმის (უფრო ზუსტად, რუსული სიმბოლიზმის მანიფესტის და ვალერი ბრიუსოვის, ალექსანდრ ბლოკის და ანდრეი ბელის შემოქმედებას), იდეალისტური ფილოსოფიის (ძირითადად ა. შოპენჰაუერის), მარინეტის ფუტურიზმის მანიფესტის (გამოვყოფთ მხოლოდ მანიფესტს და არა იტალიური ფუტურიზმის ლიტერატურულ პროდუქციას), ასევე რუსული ფუტურიზმის და უაილდის ინგლისური ესთეტიზმის გავლენებს. უფრო ზუსტად კი მათ კვალს „ყანწელთა“ შემოქმედებაზე.

ეს ე.წ. გავლენები შესაძლოა იმგვარი ზემოქმედების პროცესსაც მივაკუთვნოთ, როგორ ფორმულირებასაც აძლევდა მეოცე საუკუნის დასაწყისის ევროპის ლიტერატურული მეტრი რემი დე გურმონი ფრანგი სიმბოლისტების სრულიად შეგნებულ, თითქმის დეკლარირებულ გავლენებს. მაგალითად, როგორი სიამოვნებით განიცადეს მათ პოეტ ვილიე დე ლილ-ადანის გავლენა, ანუ როცა გავლენა არა ფარული, არამედ სრულიად ნებაყოფლობითი, უფრო მეტიც, როცა გავლენა წინასწარგამიზნული აქტი ხდება.

მსოფლიოში არსებული შემოქმედებითი პროცესების ნებაყოფლობით თუ ზოგჯერ დაუსწრებლადაც, ზოგჯერ არაცნობიერადაც გაზიარება „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურულ პროდუქციაზეც პირდაპირ თუ არაპირდაპირ მოქმედებდა. მითუმეტეს, რომ ისინი ამგვარი გავლენებისგან იზოლირებას სულაც არ ცდილობდნენ.

მოდერნისტული სკოლებისთვის დამახასიათებელი სკანდალურაობა, ნიღბის ესთეტიკა, ბოჰემა, სახელების მითოლოგია თუ მისტიფიკაცია ყანწელთა შემოქმედების განუყოფელი ნაწილი გახდა. უდიდესი გავლენა მოახდინა რემი დე გურმონის „ნიღაბთა წიგნმაც“. საგულისხმოა, პაოლო იაშვილის გრაფიკული ჩანახატებიც, რაც ჟანრობრივად და სტილისტურად ზუსტად იმეორებს რემი დე გურმონის წიგნის ილუსტრაციებს, ფრანგ სიმბოლისტთა პორტრეტებით. თუმცა, პაოლო მეგობარ ქართველ პოეტთა სახეების ჩანახატებს ქმნის, საკმაოდ ოსტატური მონასმებით. აქვე გავიხსენოთ, 1913 წელს პაოლოს გამგზავრება პარიზში, ლუვრთან არსებულ ხელოვნების ინსტიტუტში, რაც თავდაპირველად, მხატვრობის პროფესიული ხელოვნების დაუფლებას ისახავდა მიზნად. პარიზული ბოჰემის წიაღთან ზიარებამ მის ლიტერატურულ შემოქმედებას განსაკუთრებული ელფერი მიანიჭა. ნაგრძნობმა ცოდნამ, გაუნელებელმა ემოციებმა, პარიზის ნამდვილ გარემოში ყოფნამ და საფრანგეთის არა მხოლოდ ზედაპირულმა, ტურისტულმა მონახულებამ დააწერინა: „ფერადი ბუშტები“, „ევროპა“, 1915-1924 წლებში კი „ელენე დარიანის დღიურები“.

რა თქმა უნდა, არსებობს წარმოსახვის ხელოვნებაც, რის მეშვეობითაც მაგალითად, გალაკტიონ ტაბიძე ნიკორწმინდის ტაძრის უნახავადაც წერს ლექსს „ნიკორწმინდა“, მაგრამ დარიანული ციკლის ლექსები, თუნდაც „პარიზისაკენ“, ზოგიერთი ტოპონიმის და სახელის გამორჩეულ ცოდნას გულისხმობს. ლექსის ქსოვილში, უკვე კოდებად ქცეული სიტყვების: ბულ მიშელის, ყრუ

მონასტერი კათოლიკების და პოლ კლოდელის ამგვარი კონტექსტით და ტერმინოლოგიით მოხსენიება მხოლოდ პარიზში მცხოვრებ, იქაური ჰაერით ბოლომდე გაჟღენთილ, იქაურ არტისტულ ბოჰემაში წილნაყარ ადამიანს თუ შეუძლია... ამ ფაქტს ზუსტად შენიშნავს ლიტერატურათმცოდნე მაია ბიბილეიშვილი, როცა წერს: „არცერთ სხვა თანამედროვე პოეტს არ ჰქონია პარიზის ასეთი ინტელექტუალური, ესთეტიკური, ბიოგრაფიული, გეოგრაფიული და რაც მთავარია, რესანტიმენტული გამოცდილება“. პაოლოს ე.წ. პარიზული ტერმინოლოგია ამ გარემოს შემოქმედებით ათვისებასაც გულისხმობს.

არსებობს გერონტი ქიქოძის მოგონება: პარიზის ლათინურ კვარტალში როგორ ხვდებოდა პაოლო იაშვილს, რომელიც დიდხანს და ყურადღებით უმზერდა შადრევანში მოფართხალე ბეღურებს... „უფალო, გალავნის ყორეზე დამნიშნე ბეღურა ჩიტად“... პაოლოს ეს სტრიქონი, უფრო გვიან, 1926 წელსაა დაწერილი და დასტურია იმისა, რომ მიღებული მძაფრი შთაბეჭდილება, წლების მერეც, სამუდამოდ რჩება ცნობიერებაში...

„საქართველოს შემდეგ უწმინდესი ქვეყანა არის პარიზი. ადიდე, ხალხო, ეს ჩვენი მრისხანე ქალაქი, სადაც გიჟური გატაცებით ჯამბაზობენ ჩვენი ლოთი ძმები: ვერლენი და ბოდლერი. ვერლენი, სიტყვების მესაიდუმლე და არტურ რემბო, სიამაყით მთვრალი დაწყევლილი ჭაბუკი...“ – ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ ვრცელი წინათქმა მანიფესტის ფუნქციას ასრულებს. თუმცა, პაოლო იაშვილს აქ პუნქტურად, თეორიულად არ ჩამოუყალიბებია ამ ლიტერატურული დაჯგუფების შემოქმედებითი კრედო და ესთეტიკური მიმღეობა. ყველა შემთხვევაში ის საპროგრამო წერილად უნდა განვიხილოთ, სადაც ზეაწეული, არტისტული ტონით წარმოითქმის ყველა ის საკვანძო სიტყვა და ორიენტირი, რაზეც ახალი ლიტერატურული მიმდინარეობა დაეფუძნა. მათ შორის, ურბანისტული პეიზაჟი, როგორც უძრაობასთან დაპირისპირებული ხმაური: „ჩვენ გვინდა, რომ საქართველო გადაიქცეს უსაზღვრო, მეოცნებე ქალაქად, სადაც ცოცხალი ქუჩების ხმაური შეცვლის ყვავილოვანი ველების ზურმუხტობას“.

აქ საგულისხმოა ის ტრადიციული რეალობაც, როცა რომელიმე „იზმის“ დამფუძნებელი მწერალი – ხელოვანი არჩეული პროგრამის ერთგული რჩება მხოლოდ ჯგუფური მანიფესტის დონეზე და არა ინდივიდუალურ შემოქმედებაში. ასე მოხდა „ყანწელებთანაც“. მათ ავანგარდისტული და მოდერნისტული ხელოვნების ისეთი ძირითადი პუნქტებიც კი ბოლომდე ვერ მიიღეს, როგორიცაა მაშინიზმის საუკუნის იდეალიზაცია, წარსულის უარყოფა... არ განხორციელდა ის, რასაც პროგრამულად აანონსებდა პაოლო იაშვილი: „დავიწყების ზღვაში გადაისროლეს წარსულის ოქროს გვირგვინების ძვირფასი მარგალიტები, ცეცხლს მისცეს ყველაფერი, რაც წარსულმა განადიდა...“

წარსულის და მომავლის, ურბანიზაციის და ე.წ. წმინდა ბუნების, სოფლური პეიზაჟის დისონანსები და პარალელები ჩანს პაოლო იაშვილის მთელ შემოქმედებაში. მათ შორის, დარიანულ ციკლშიც.

კონტრასტი სოფელსა და ქალაქს შორის პაოლო იაშვილის პოეზიის თემაა. „ჩემო ქვეყანავ, მეტად ძნელია / შენი დაკარგვა და დატოვება, / სოფლის ბავშვები აღარ მელიან, არ მელის მუხა ათასრტოეba“ („პარიზისაკენ“). იქვე: „მე ველარ მივალ სოფლის წყაროსთან / და ვერც თამაშით დავიღალები“. „მე სოფლის ამბავს შენ მოგიყვები“... (ეს უკანასკნელი – „ცისფერი ქოლგა“, იგივე დარიანული ციკლიდან, დაწერილია 1922 წელს, სოფელ ავლევში).

ასეთივე კონტრასტი სოფელსა და ქალაქს შორის პაოლო იაშვილის სხვა, არა მხოლოდ დარიანული ციკლის ლექსების ინტონაციასაც გასდევს. „დავტოვე სოფელი – მყუდრო სამყოფელი, ქვიტკირის მარნები და კატის კნუტები [...] და დავიკუნტები ქალაქის ქუჩებში მე – სალახანა“ („წერილი დედას“).

ამგვარი მაგალითები, მსგავსი ინტონაციები პაოლო იაშვილის პოეზიის სამყაროს ანუ მის სხვადასხვა წლებში დაწერილი ლექსების საერთო მთლიანობაზეც მიგვანიშნებს და მიუხედავად, ელენე დარიანის ციკლის ანუ ამ მისტიფიკაციის წარმატებული მცდელობისა, რომელიც „ცისფერყანწელთათვის" ორგანული, მოდერნისტული ესთეტიკის გავლენითაა შექმნილი, ის მაინც, ამ თვალსაზრისით, ზოგადია და პოეტის სტილისტურ თუ შინაარსობრივ მთლიანობას მხოლოდ კანონიკური სიმბოლიზმის, გნებავთ, მოდერნიზმის ჩარჩოებში არ გამოხატავს.

არსებობს მისტიფიკაციასა და ფსევდონიმს შორის ნიუანსური განსხვავებები. მისტიფიკაცია აბსოლიტურ სხვადქცევას მოითხოვს: სტილისტურად, ორთოგრაფიულად, შინაარსობრივად, ინტონაციურად... ელენე დარიანში პაოლო იაშვილის სტილისტიკა ბოლომდე ვერ შეინიღბა ანუ სხვა პოეტი ვერ შედგა. თუნდაც ქალის სახელს და სახეს ამოფარებულმა სტრიქონებმა, გაამჟღავნა ცისფერყანწელი პოეტი, საკუთარი ხელწერით, ალოგიზმებით, მეტაფორებით, სიტყვის შინაგანი ენერგიით... თუკი ამ მისტიფიკაციას სრული ჟანრული კანონიკით განვიხილავთ, დარიანული ციკლი ვერ ან არ შემდგარი ლიტერატურული მისტიფიკაციაა, რომელიც გამორჩეულ პოეტურ ტექსტებად იქცა ისევე, როგორც არც წმინდა წყლის, კანონიკური სიმბოლიზმი გახლდათ „ცისფერყანწელთა" ლიტერატურული პროდუქციის ობიექტური ნიშანი, მიუხედავად იმისა. რომ საკუთარ თავს სიმბოლისტებს უწოდებდნენ.

აქ ჟანრი, როგორც სათქმელის ფორმა, გვევლინება სოციალურ სტრუქტურად, რომელიც ყველაზე მეტად დამოკიდებულია ინდივიდზე, მის ტალანტსა და შინაგან ხმაზე.

„ჩვენში მზადაა ნიადაგი მოდერნიზმისთვის," – ასაბუთებდა „ცისფერყანწელთა" დეკლარაცია 1916 გამოცემულ ჟურნალ „ცისფერი ყანწების" პირველ ნომერში.

აქ მოდერნიზმი მოიაზრებოდა არა მხოლოდ ტერმინოლოგიური ან სტრუქტურული მნიშვნელობით, როგორც მეოცე საუკუნის დასაწყისის უკიდურესად თანამედროვე მიმდინარეობა, გამოხატვის განსაკუთრებული ხერხებით, უჩვეულო ფორმებით, გათანამედროვებული მითებით და მისტერიებით, არამედ როგორც სხვად ქცევის საიდუმლოს დაუფლებაც. ტიციან ტაბიძის განმარტებით, „ქართველ ხალხს უყვარს ცხოვრების თეატრალიზაცია. იმას უნდა მუდამ სხვა იყოს. ქართველ ხალხს უყვარს ნიღაბი".

1926 წელს შედგენილ ქართული ფსევდონიმების ნუსხას, რომელიც ცნობილმა ბიბლიოგრაფმა გიორგი ბაქრაძემ შეადგინა, მეტი სიზუსტისათვის, საგულისხმო სქოლიო ახლავს: „ცოცხალ ავტორთა ფსევდონიმების შესახებ სიაში თავი მოყრილი აქვს მხოლოდ გახსნილ ფსევდონიმებს ან თვით ავტორის მიერ მხილებულს. ნებადაურთველად არც ერთი ფსევდონიმი არ არის შეტანილი". აქ, სხვა ავტორებთან ერთად, მოხსენიებულია პაოლო იაშვილის ორი ფსევდონიმი: „იაშვილი პაოლო – ელენე დარიანი, არიელი". დღემდე გამოცემულ ყველა ლექსიკონსა თუ პროფესიულ ლიტერატურულ გამოცემაშიც, ბუნებრივია, იგივეა დადასტურებული. მათ შორის, ლიტერატურის მუზეუმის მიერ მომზადებულ ოთხტომეულშიც: „ლიტერატურული ჟურნალები, 1910-1920-იანი წლები". ეს გამოცემა თავს უყრის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულ, მეოცე საუკუნის დასაწყისის ლიტერატურულ პერიოდიკას, სადაც, ეპოქის რეალიების ფონის პარალელურად, ცნობილ თუ უსამართლოდ დავიწყებულ ავტორთა უმნიშვნელოვანესი შემოქმედებითი პროცესებია ასახული. პირველივე წიგნში „ცისფერი ყანწების" ორივე ნომერია შეტანილი. აქ წარმოდგენილი ყველა მასალა იმ პერიოდის ლიტერატურული ფიგურანტების პორტრეტებსაც და მათ შემოქმედებით რეპუტაციასაც წარმოაჩენს.

„ელენე დარიანის დღიურები" იქმნებოდა წლების მანძილზე. 1923 წელს ეს ციკლი სრულდება ანუ იწერება უკანასკნელი დარიანული ლექსი. პერსონაჟი დაემშვიდობა სამშობლოს და

პარიზისკენ სამუდამოდ გაემგზავრა. ამ პერიოდის საქართველოში უკვე განსხვავებული რეალობაა. გასაბჭოების შემდეგ, თანდათან უკან იხევს მოდერნისტულ-ავანგარდისტული ცხოვრების და შემოქმედებითი მოღვაწეობის იქამდე არსებული სტილი და ყოფიერების მრავალფეროვნება. საბჭოთა, იდეოლოგიზებულ, ერთფეროვან გარემოში უკვე ანაქრონიზმად გამოიყურება პაოლო იაშვილის საპროგრამო ფრაზა: „პოეტმა უნდა გააზღაპროს თავისი ავტობიოგრაფია"...

დარიანული ციკლი დასრულდა, მაგრამ ცალკე საკითხია, „ელენე დარიანის დღიურების" შემოქმედების საიდუმლო ანუ შემოქმედებითი პროცესი ჩანაფიქრიდან განხორციელებამდე.

ბახტინის თანახმად, ყველა ეპოქას სხვადასხვა სათქმელი და თვითგამოხატვის მანერა გააჩნია. განსხვავებული იყო პაოლო იაშვილის ყოფიერების, თითქოსდა, ორად გაყოფილი დროებაც...

ჩვენი თემა დროის მხოლოდ კონკრეტულ ლოკალს ეხება: როდის, რა წინაპირობებით და როგორ დაიწერა პაოლოს „ელენე დარიანის დღიურები". იმ შესაძლებლობას, რომ ამ ლექსებს სხვა ავტორიც შეიძლება ჰყავდეს, სავარაუდოდაც არ განვიხილავთ, რადგან ვფიქრობთ, საკითხის ამგვარი დასმაც კი არასერიოზულია, მაგრამ ინტერესმოკლებული არ გახლავთ სხვათა ვარაუდების ლოგიკის გაგება, იმ აზრების წარმომავლობის და ერთგვარი მტკიცებულებების დღემდე არსებობის ინცინდენტი, რაც თავისთვად, ალბათ, მიზეზ-შედეგობრივი კავშირებით არის ასახსნელი.

პაოლო იაშვილის ამ ლიტერატურულმა მისტიფიკაციამ, სადაც პოეტი საკუთარი ლექსების ავტორობას და თამამ პასაჟებს ქალის სახელის ქვეშ ნიღბავდა, მაშინდელი საზოგადოების დიდი მღელვარება გამოიწვია. თუმცა, მალე ცხადი გახდა ნამდვილი ავტორის ვინაობა, რაც თანამედროვეთა მოგონებებშიცაა გაცხადებული. ისინი, გამონაკლისის გარეშე, ელენე დარიანს პაოლო იაშვილის ფსევდონიმად მოიხსენიებენ.

მისტიფიკაცია, საიდუმლო თუ საიდუმლოთი განდობილობა, გნებავთ, ლიტერატურული ტყუილი, გნებავთ, ფანტაზიის და წარმოსახვის იმგვარი უნარი, როცა სხვად ქცევა, სხვად არსებობის მისტერია მწერალს და მკითხველს ახალი სინამდვილის წინაშე აყენებს, მსოფლიო ლიტერატურისთვის უცხო არ არის და განსაკუთრებით ორგანულად ჯდება მოდერნის ესთეტიკაში.

საგულისხმოა ვალერი ბრიუსოვის, გიიომ აპოლინერის და პროსპერ მერიმეს პერსონაჟებისა: კლარა გასულის, ნელის თუ ლუიზა ლალონის პარალელები პაოლო იაშვილის დარიანულ ლექსებთან. ამ კუთხით კვლევის პრიორიტეტები ჩემამდე სხვა მკვლევარებს ეკუთვნით: ლალი ავალიანს, ზეინაბ ლომჯარიას, ქეთევან ენუქიძეს, თამარ პაიჭაძეს და სხვებს.

ამიტომ ამ თემაზე არ შევჩერდებით. მხოლოდ სიმბოლურად, ოდენ ლირიული გადახვევისთვის, იმ ლიტერატურის ერთ-ერთ პასაჟს გავიხსენებთ: მსახიობ კლარა გასულის ყელზე შემოხვეულ გრძელ, მარგალიტის მძივს... და მარგალიტები პაოლოს დარიანულ სტრიქონებში: „მარგალიტები მოვიხვიე ყელზე სამწყებად, მარგალიტები, იაგუნდები... / არ შემიძლია შენი სახის გადავიწყება, არ დაბრუნდები?"...

მოდერნიზმის ეპოქის მახასიათებელ ავანგარდისტულ პოზად შეიძლება ჩაითვალოს აპოლინერის სამშობლოდან, პარიზიდან დაბრუნებული პაოლო იაშვილის, სკანდალურ ამბად ქცეული, „ელენე დარიანის დღიურების" ქალაქ ქუთაისში საჯაროდ წაკითხვაც და გამოქვეყნებაც.

ვისაც წარმოდგენა აქვს პატრიარქალური საქართველოს, კერძოდ ქუთაისის, იმდროიდელ მენტალიტეტზე, გამორიცხულია შესაძლებობა ამგვარი ლექსების ავტორი ქალის არსებობისა ანუ ამგვარი გაბედულება და დაპირისპირება ფილისტერულ საზოგადოებასთან, რომელიც ამ ლექსებს პორნოგრაფიად და გარყვნილებისკენ მოწოდებად აღიქვამდა (რომ აღარაფერი ვთქვათ, იმ ძალის და შესაძლებლობის სხვა პოეტის გამოჩენაზე). ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება" (1915

წ. №40) შესაბამისად აღწერს სიტუაციას, როცა საზოგადოებამ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი და „ამ ლექსების კითხვის დროს რამდენიმე ქალი თეატრიდან გავიდა".

სკანდალი არ ცხრებოდა. დიდხანს ეძებდნენ ქალს, რომელიც შეიძლებოდა ამ ლექსების ავტორი ყოფილიყო. მიმართეს გაზეთ „მეგობარს", სადაც დარიანული ლექსები დაიბეჭდა. პასუხი: „ელენე დარიანს არ ვიცნობთ. არც მისი მიმართულება ვიცით" („ჩვენი მეგობარი", 1916, №20).

იქვე დაინტერესებულან თავგადასავლების მაძიებელი მამაკაცებიც და გულმოდგინედ ეძებდნენ ამ ესოდენ ეროტიულ ქალბატონ ელენეს...

„დარიანობა შემდგომში არაერთ ქალბატონს მიაწერეს, – გვითხრა იმ ეპოქის ცნობილი პოეტის გრიგოლ ცეცხლაძის ვაჟმა, მამუკა ცეცხლაძემ, – ანუ ასევე მიაკუთვნეს შესანიშნავ პოეტ ქალსაც ნინო თარიშვილს. რა თქმა უნდა, ელენე ბაქრაძესთან შედარებით, ეს უფრო ლოგიკური იქნებოდა, რადგან ის ნამდვილი პოეტი იყო და დარიანული ციკლის შინაარსის დარი ლექსებიც ჰქონდა, მაგრამ სიმართლე მალე გაირკვა... ნინოს პოეზიით მოხიბლულმა პაოლომ ბარათი მისწერა: „რახან შენი ლექსები წავიკითხე, მე ქალის მაგივრად წერას თავს ვანებებო" (საუბარი ვიდეოფირზე ჩაწერილია ჩვენ მიერ).

ქართულ პრესაში 1916 წელს ამგვარი აზრებიც გამოითქვა: „ჩვენ ეჭვი გვეპარება, რომ ქართველი ქალი ამრიგად დაცემულიყოს და ვეჭვობთ, რომ ის მართლა ელენე იყოს (გაზეთი „სამშობლო", 1916 წ. №14).

„არ შეგვიძლია დავიჯეროთ, რომ ქართველი ქალი ამგვარად გაურცხვდა... ეჭვი გვაქვს, რომ ის მართლა ელენე იყოს" (გაზეთი „ახალი კვალი", 1916, №305).

პირველი ოფიციალური მინიშნება დარიანული ლექსების ავტორობის შესახებ სერგეი გოროდეცკის რედაქტორობით, თბილისში გამომავალ ჟურნალ „ARS"-ის ფურცლებზე გამოაქვეყნა გრიგოლ რობაქიძემ, როცა აღნიშნა, რომ ელენე დარიანის ლექსები ეკუთვნის „ქართული მოდერნიზმის ერთ-ერთ მესაფუძვლეს, მამაკაცს"...

„შეიძლება ითქვას, რომ პაოლო იაშვილის მისტიფიკაციამ გაიმარჯვა, – წერს პაოლო იაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ცნობილი მკვლევარი ლალი ავალიანი, – დარიანული ლექსები, უწინარეს ყოვლისა, პოეტის გარდასახვის იშვიათ უნარზე მეტყველებს... პოეტს უნდა დაენახა სამყარო არარსებული პოეტის და თანაც ქალის თვალით. „ელენე დარიანის დღიურები" ოდენ თვითმიზნური მისტიფიკაცია როდი იყო. ის წარმოადგენდა თამამ პოეტურ-სტილისტურ ექსპერიმენტს, მიმართულს „დაკანონებული" სატრფიალო ლექსების წინააღმდეგ. პაოლო იაშვილის მისტიფიკაციის მოტივირება მოხერხდება მისი პიროვნული თვისებების (მისტიფიკაციების დიდოსტატი, არტისტული ჟესტებისა და ნიღბების მოყვარული) და შემოქმედებითი (პოეტური გარდასახვის, მხატვრული იმიტაციის ბრწყინვალე უნარის მქონე) გათვალისწინებით" (ლ. ავალიანი, „პაოლო იაშვილი", მონოგრაფია, ესეები, 2017 წ.).

და მაინც, ზოგი რამ ამ „მისტიფიკაციის მოტივაციის" შესახებ. მართლა არსებობდა თუ არა სავარაუდო ქალი – ავტორი, ან ვინ იყო ამ ლექსების პერსონაჟი, სულაც შთაგონების წყარო?

დიახ, არსებობდა ქალბატონი ელენე ბაქრაძე. ვერ უარვყოფთ იმ რეალობასაც, რომ 1915 წლის რაღაც მონაკვეთში ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი ახალგაზრდა პაოლოს მეგობარი ქალი გახლდათ, მაგრამ პოეტის სიტყვები რომ მოვიშველიოთ: „მუდამ თან მახლავს მე მშვენიერ ქალთა კრებული..." მათი ურთიერთობის ფაქტი დოკუმენტურადაა დადასტურებული მიძღვნილი სონეტით და ეპისტოლარული მემკვიდრეობით. არც ამ ქალბატონის ეფექტურ გარეგნობას, ცხოვრების და ჩაცმის მოდერნისტულ სტილს უარვყოფთ და არც იმის შესაძლებლობას, რომ ის მამაკაცთა ინტერესის საგანი გამხდარიყო.

„ელენეს და პაოლოს რომანი ჰქონდათ. პირველი ხელთათმანი ელენემ გადმოუგდო“, – გვაუწყებს კოლაუ ნადირაძე (ნინო ჩხიკვიშვილის პუბლიკაციიდან „ოცნებად დამრჩა“, 1985 წ.). ეს კონკრეტული ფაქტი, რომელიც ქალბატონ ელენეს არაორდინალობაზეც მეტყველებს, მოგვიანებით, ჩვენი აზრით, სხვაგვარადაც იშიფრება, რომ გადაგდებული ხელთათმანი არა მარტო სამიჯნურო-სატრფიალო ფუნქციას ითავსებს, არამედ ეს ახალგაზრდა ქალი მაღალი რანგის პოეტის ლიტერატურულ მფარველობასაც ელის. უპირველესად, საკუთარი უმწიფარი ნაწერების გადამუშავებას ან როგორც თავისივე მოგონებებში განმარტავს, ლექსების „შლიფოვკას“.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რასაც ელენე ბაქრაძის მემუარები ადასტურებს, რომ ლექსების ე.წ. „შლიფოვკისთვის“ ანუ შესწორება-გადაკეთებისთვის მას გალაკტიონ ტაბიძისთვისაც მიუმართავს. ლიტერატურის ისტორიის კულუარებში ყოველთვის არსებობდნენ და არსებობენ ლიტერატურის თანამგზავრები, ამგვარი მომწერლო თუ მოპოეტო სუბიექტები, რომლებიც ნამდვილ ოსტატებთან დაახლოებას, მათ გაღებულ დროს და თავაზიან სამსახურს საკუთარი კარიერისთვის იყენებენ...

1915 წელს, როცა დარიანული ციკლის პირველი ლექსი წაკითხულ იქნა და სკანდალურად გახმაურდა ქუთაისში, 17 წლის ელენე ბაქრაძე იმყოფებოდა განჯაში, თავის პირველ მეუღლესთან, გიორგი ბერიშვილთან ერთად. ამიტომ ელენე ბაქრაძე-ბერიშვილს საკუთარი ბიძა, იასონ ბაქრაძე წერილობით უამბობდა ქუთაისის ამბებს.

იმ წლებში პოპულარული მწერალი პეტრე გელეიშვილი, ფსევდონიმით „ყარიბი“, წერდა: „ქუთაისის მანდილოსნები ჩვეულებრივის კდემამოსილებით აძაგებენ დარიანს ასეთი პორნოგრაფიული ლექსებისთვის, მაგრამ დაკვირვებული თვალი ადვილად დაინახავდა, რომ ყველა მათგანს დიდი სურვილი ჰქონდა ელენე დარიანად გახდომა თუ არა ერთი დღით, ერთი საათით მაინც მის როლში ყოფნა... ამიტომ ქუთაისის მოსკუჩავო ბანოვანები ცდილობდნენ როგორმე „ყანწელებს“ დაახლოვებოდნენ, მათთან ბულვარზე ესეირნათ. ხუმრობა ხომ არ იყო, თუნდაც ერთი წუთით ელენე დარიანად თავის გასაღება“.

ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი, თავისი ცხოვრების სტილით, თუნდაც ლიტარატურული ინტერესებით, ნამდვილად არ ეკუთვნოდა ზემოთ აღნიშნულ „მოსკუჩავო ბანოვანთ“. მან 1915 წელს გამოაქვეყნა პირველი ნაწარმოები. თავისებურად ემზადებოდა შემოქმედებით მწვერვალების დასაპყრობად, წერდა არანაკლებ თამამ, სატრფიალო ლექსებს (აქ, რა თქმა უნდა, ხარისხს არ ვგულისხმობთ). არც სათანადო გამბედაობა აკლდა. საინტერესოა, ან მაშინ ან მერე, რა უშლიდა ხელს, თუკი მისი იყო, დარიანული ლექსები საკუთარი სახელით გამოექვეყნებინა. მით უმეტეს, როცა საზოგადოების აღშფოთების პირველმა ტალღამ გადაიარა...

სწორედ 1915 წლით არის დათარიღებული პაოლო იაშვილის შთაგონებული, თბილი წერილები ელენე ბაქრაძისადმი, მათი მეგობრობის და ინტიმის გამომხატველი, რაც მეუღლესთან, განჯაში, გასაგებ მიზეზთა გამო, ქალს კონსპირაციულად უნდა შეენახა...

ბიძა იასონ ბაქრაძე დეტალურად აღუწერს ძმისშვილს ქუთაისში აგორებულ სკანდალს პაოლოს მიერ ელენე დარიანის ლექსების წაკითხვის გამო. იგივე ლექსების ღირებულებაზე თავის აზრსაც დაურთავს: „ვიცოდი, რომ შენ ავტორს კარგად იცნობდი და მეც მკვახედ გამოვთქვი აზრი ისეთ „პოეზიაზე“. იასონ ბაქრაძეს სიტყვა „პოეზია“ ბრჭყალებში აქვს ჩასმული.

დავუბრუნდეთ იმავე 1915 წელს. ბიძის დახმარებით, ახალგაზრდა ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი ქუთაისის გაზეთში მინიატურას ბეჭდავს, რისი ლიტერატურული დონეც, როგორც ჩანს, დიდი პოტენციური შესაძლებლობის წარმოდგენას ვერ ქმნის. მზრუნველი ბიძა ჭკუას არიგებს: „თუ შენთვის წერა ცელქობა არ არის და ნიჭს შრომით განავითარებ, კარგი იქნება“.

როგორც, ჩანს, მინიატურის ავტორს საკუთარი ნაწერები „ცელქობად“ სულაც არ მიაჩნდა და პოეზიაშიც ცდიდა ბედს. 1915 წელს, ჯერ მისი არც ერთი ლექსი გამოქვეყნებული არ იყო (ალბათ სათანადო „გაშალაშინების“ მოლოდინში), მაგრამ პატარძლეულში, გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმში, დაცულია სწორედ იმ პერიოდით დათარიღებული ლექსები. ბოდიშს ვიხდი ვრცელი ფრაგმენტების მოხმობისთვის, მაგრამ დარიანულ ციკლთან შესადარებლად ეს აუცილებლობად ჩავთვალე. სტილიც, ორთოგრაფიაც დაცულია.

„ეს ყველაფერი ბევრ დღეებს ითვლის,
[...] თუმც ისმის სადღაც,
მე ვლაპარაკობ ასე სულ სხვისთვის,
სულ სხვა დარდების მე მსურს გამხელა.
თითქოს გათავდა, რაც გვწამდა წინად,
მოგვადგა უცხო სავსე უფლებით,
და ტვინს დააწვა საშინელ ტვირთად
სული გაზრდილი მყუდრო კუთხეში.
გულზე დაბმული სისხლის წვეთებად
მწყდება უნაზეს გრძნობით ნატარი...“

და ა.შ.

ეს ლექსი კი ზუსტად, 1915 წლით არის დათარიღებული, ანუ დარიანული ლექსების გამოსვლის პერიოდში.

„ჩვენ აქ ვართ მძიმედ დაყუჩებული,
ვდგევართ და ველით მძიმე განსაცდელს,
სურვილის ხელით გალურჯებულნი
უკვდავი ხელით ჯვარს არ ავაცდენთ“...

კიდევ ერთი მაგალითი. ახლა მისი უფრო ე.წ. ინტელექტუალური ლექსებიდან:

„დანტე თუ ბრძოლის კოშკებს აგებდა,
სტენდალს შეჰყავდა იქ მიწიერი,
თუ შეგახვედრა ჩემთან განგებამ,
რატომ არ გახდი შენ ზეციერი.“

კომენტარისთვის გთავაზობთ ფრაგმენტს დავით წერედიანის მოსაზრებიდან, რომელიც ჩავიწერეთ ტელეგადაცემისთვის „ელენე დარიანის მითი“.

დათო წერედიანი: „მე აქ ლიტერუტურულ პრობლემას ვერ ვხედავ. ეს პატარა აგორებული სენსაციაა. ხალხს პოეზიის არსებობა დავიწყებული აქვს და ამით შეიძლება გაახსენდეს. ელენე დარიანის ლექსებს ქალი ავტორი რომ გამოსჩენოდა, მეც მივესალმებოდი, ოდნავ მაინც რომ შეეფერებოდეს სიმართლეს. დარიანულ ლექსებს გამორჩეული ოსტატის ხელი ატყვია. პაოლო ლექსის გამორჩეული ოსტატი იყო. ჩემი აზრით, ამ მხრივ პაოლოს და გალაკტიონს ტოლს ვერავინ უდებდა. გამოდის, რომ იმ დროს უმაღლესი რანგის სამი პოეტი არსებობდა: გალაკტიონი,

პაოლო და ვინმე ელენე ბაქრაძე, რაც ძნელი დასაჯერებელია თავისთავად, მაგრამ როცა მის ხელნაწერებში ჩავიხედავთ, ხელში შეგვრჩება სრულიად უმწეო რამ. პოეზიაზე არც არის ლაპარაკი. სტრიქონი გაუმართავია, სიტყვა სიტყვაზე არ ებმება... ამის ავტორმა, რომ უეცრად ისეთი დონის ლექსები დაწეროს, მარტივად გამორიცხულია. ვფიქრობ, მაქ არავითარი დამატებითი არგუმენტი არ არის საჭირო".

1998 წელს „ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნდა დავით თევზაძის წერილი „გზა-საცდენილი დისკუსია", რაც ძირითადად გიორგი ჯავახიშვილისადმია მიმართული, პირველი მკვლევარისადმი, ვინც დარიანული ციკლი ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი-ქართველიშვილის ავტორობას მიაწერა: „გიორგი ჯავახიშვილს უნდა შეეჯერებინა დარიანული ლექსები თვით პაოლოს და ელენე ბაქრაძის ამ პერიოდის ლექსებთან (თემატიკური, ლექსიკური, მხატვრულ-სახეობრივი, ვერსიფიკაციული და სხვა პოეტური აქსესუარების მიხედვით)... მხოლოდ ამ გზით გახდებოდა შესაძლებელი საკითხის მეცნიერული გადაწყვეტა და არა შეყვარებულთა შეხვედრებსა და ინტიმურ ურთიერთობებზე დაყრდნობით".

მეცნიერის ამ განაცხადის სისწორის მიუხედავად, ჩვენ მაინც შეძლებისდაგვარად მოკრძალებით მოვიხსენიებთ ბატონ გიორგი ჯავახიშვილს, რადგან ის, სხვებისგან განსხვავებით, იმათგან, ვინც მისი გაჟღერებული დარიანის მითისგან შემდგომ მატერიალური თუ იდეოლოგიური სარგებელი მიიღო, ბევრად დადებითად გამოიყურება. ამ წესიერი თელაველი კაცის პირადი პათოსი მისატევებელია, როცა უკანდაუხეველი სიჯიუტით, მხოლოდ რაღაცის აღმოჩენის სურვილით, ახალი ლიტერატურული სენსაციის აფიშირებას თუ სახელის ძიებას სრულიად უანგაროდ შეუპყრია, მაგრამ ჭეშმარიტების დადგენისთვის მეცნიერულმა დონემ და კვალიფიკაციამ შეუშალა ხელი.

ბესო ჟღენტის მოგონების თანახმად, ელენე ბაქრაძე თავისი პროზად ჩამოწერილი განცდებით მიდიოდა პაოლო იაშვილთან.

ელენე ბაქრაძე თავისივე დღიურში გვაუწყებს: „ჩემს აღმაფრენას, (რუსულ ენაზე წერს „порыв") ბრწყინვალე „შლიფოვკას" უკეთებდა პაოლო იაშვილი".

ვფიქრობთ, საკმაოთ არ არის, რომ არსებითი განსხვავებაა ახალგაზრდა ქალის ემპირიულ აღმაფრენასა და სერიოზულ ლიტერატურულ პროდუქციას შორის, რომელსაც ლექსის დიდოსტატი ქმნის.

ნარატივი დარიანული ციკლის ელენე ბაქრაძის ავტორობაზე ემყარება მისივე მემუარებს, ანუ დოკუმენტად არის მიჩნეული მისივე ჩანაწერები, რომ სწორედ იგი გახლავთ პოეტი ელენე დარიანი ანუ ავტორი დარიანული ლექსებისა.

ლიტერატურულ კონტექსტში ნებისმიერი დოკუმენტის გააზრებას უპირველესად, დოკუმენტის არა მარტო ფაქტობრივი, არამედ შინაარსობრივი ნამდვილობა განსაზღვრავს.

ცხადია, შეუძლებელია მემუარისტიკაზე დაყრდნობა, როგორც პირუთვნელ წყაროზე. შესაძლოა თხრობა ახლოსაც იყოს ფაქტებთან, მაგრამ თხრობის ცენტრში დგას პიროვნება, მისი აღსარების მოტივაცია, გულწრფელობა, მიზანი, რითაც ის ახდენს თავისი ცხოვრებისა და გარემოს ინტერპრეტაციას, საკუთარ დიალოგს წარსულსა და აწმყოსთან. უპირველესად კი ანგარიშგასაწევია დროის დისტანცია. დროის სხვადასხვა სიშორიდან სხვადასხვაგვარად აღიქვამენ საგნებს და მოვლენებს. ასევე გასარკვევია, რას ეყრდნობა მემუარებში არსებული პირადი, ბიოგრაფიული ფაქტები, რადგან ვფიქრობთ, თითქმის შეუძლებელია ამ ჟანრის თხრობა, სუბიექტურობის გარეშე.

ჩვენ აღარ შევჩერდებით ცისფერყანწელთა თანამედროვე მწერლებზე, რომლებიც სხვადასხვა ფორმით ადასტურებენ დარიანული ლექსების ავტორის ნამდვილ ვინაობას, რადგან ისინი ჩვენამ-

დე სხვა მკვლევარებსაც აქვთ დეტალურად ციტირებული. მხოლოდ ნაკლებად ცნობილ ორ დოკუმენტს გაგაცნობთ. მინდა მადლობა გადავუხადო მკვლევარ ზეინაბ ლომჯარიას, რომელმაც ეს ძალიან საყურადღებო მოგონებები მათივე ავტორთა, გიორგი აბზიანიძის და აკაკი გაწერელიას ხელნაწერების სახით მომაწოდა: გთავაზობთ ფრაგმენტებს:

გიორგი აბზიანიძე: „პარიზში გატარებულ ცხოვრებას მასზე (პაოლო იაშვილზე) ეტყობა დიდი გავლენა მოუხდენია. იგი ხშირი სტუმარი ყოფილა არა მარტო კაფე „როტონდასი", სადაც თავს იყრიდნენ გამოჩენილი პიკასო, მოდილიანი, გიიომ აპოლინერი, ილია ერენბურგი... ეს თავშესაყრელი, როგორც ცნობილია, პაოლომ აღწერა „ფერად ბუშტებში" და შემდეგ ერცლად ილია ერენბურგმა მოგონებებში, მაგრამ, როგორც ჩანს, პაოლო ხშირად ყოფილა ახალგაზრდა მხატვართა და პოეტთა მემეარცხენე ჯგუფში, რომლებიც აწყობდნენ გამოსვლებს... ასეთი ტიპის ერთ-ერთ კარნავალში, რომელშიც ნიღბებიც იყო, პაოლოს განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია და იგი გამოუცხადებიათ კარნავალის მეფედ... პაოლო ყოველ ნაბიჯზე, ყოველ წუთში ეწეოდა ცხოვრების პოეტიზაციას. დაწერილ ლექსს პაოლო იაშვილი არ თვლიდა პოეზიის ერთადერთ ფორმად (გავიხსენოთ პაოლოს მიძღვნა ელენე ბაქრაძისადმი „შენი ლექსები მე მაბარია..." – ნ. ხ.). ამიტომ მისი ურთიერთობა მეგობრებთან, ქალთან, საზოგადოებასთან, კერძოდ თუ ნადიმზე, თეატრსა თუ ქუჩაში, ყველგან იღებდა პოეტურ, მხატვრულ ფორმებს... რაინდული ბუნება ამ ქართველი ვაჟკაცისა მჟღავნდება თითოეულ დეტალში. პაოლოს ცოლმა თამარმა წამიკითხა წერილი, სადაც გულთამხილავის გრძნობით არის გადმოცემული ბავშვების, მისი პატარა მეგობრების მეტყველება, მიმიკა, ფსიქოლოგია. ამ დეტალშიც ჩანს პაოლოს ფართო და მრავალმხრივი ბუნება, ისე, როგორც ელენე დარიანად მეტამორფოზაში, როცა მან ქალის ნაზი გრძნობების პოეტური აღქმით გააკვირვა თანამედროვე მკითხველი".

აკაკი გაწერელია: „არ შევხვედრივარ მწერალს, რომელიც ასე ეგზომ გულგრილი ყოფილიყოს თავისი ლექსების შეკრებისა და ცალკე კრებულად გამოცემისადმი... იყო მის ხასიათში რაღაც ტიუტჩევისეული უკვე დაწერილისადმი გულისაყრისა და ზურგშექცევისა. ცალკე დაბეჭდილი თავისი ლექსები პ. იაშვილს მის სიცოცხლეში არც უნახავს... რამდენი დრო მიტარებია ტიციან ტაბიძესთან და მასთან ერთად... გამთენიისას ისევ ხაშის ძიებაში, რომ ყველაფერი ისევ შეზარხოშებით დამთავრებულიყო... და პაოლო იაშვილი ანაზდად წამოიწყებდა, მაგალითად, ელენე დარიანის ფსევდონიმით დაწერილ, მის შესანიშნავ ლექსს „ანა ახმატოვასადმი"...

ცნობისათვის, ლექსების გამოცემასთან დაკავშირებით: ქალბატონი ლალი ავალიანი პაოლოს პირველ გამომცემელ შალვა დემეტრაძესათან შეხვედრას იგონებს, რომელიც სხვა რეალობას აღნიშნავდა, რომ ცხოვრების ბოლო წლებში პოეტი სწუხდა, რომ აქამდე ერთი წიგნის გამოცემაც კი ვერ მოასწრო (ლალი ავალიანი, „პაოლო იაშვილი", 2017).

ასე რომ პაოლო იაშვილის ბობოქარი ცხოვრების მანძილზე არაერთი რეალობა შეიცვალა საპირისპიროდ. პოეტი-დენდის გამომწვევი, ხმაურიანი ყოფიერება და მისი რაინდული თვისებები სრულიად ბუნებრივად ითავსებდა ყველანაირი სოციალური წრის ადამიანების დახმარებას, ხელშეწყობას და სხვათა ნიჭიერების აღიარებას. მათ შორის, ლიტერატურაში. მოგონებათა თანახმად, სახელდახელოდ შეთხზულ ლექს-ექსპრომტებს დაუნანებლად გააჩუქებდა-ხოლმე... ერთ-ერთ ლიტერატურულ თავყრილობაზე, კაფეში, საზოგადოებას აუწყა, რომ ხლებნიკოვის ახალი ლექსს კითხულობდა. ტაშიც დაიმსახურა... სინამდვილეში კი ის საკუთარი ლექსი იყო... პაოლო იაშვილი მეტისმეტად გულუხვად ფანტავდა თავის ნიჭიერებას.

უტყუარი ფაქტი, დარიანული ციკლის პაოლო იაშვილისეული ავტორობა, დღეს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს გენდერული პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რატომღაც სტომატოლოგთა საზოგადოებამ „რედექსმა", ცალკეულმა პირებმა და პარადოქსულია, რომ სხ-

ვადასხვა ფორმით (მიძღვნილი ექსპოზიცია, ქართულ და უცხოურ პრესაში გამოქვეყნება, კრებულის გამოცემა) განხორციელდა სწორედ „ცისფერყანწელთა ორდენის" წევრების, ტიციან ტაბიძისა და გიორგი ლეონიძის მიერ დაარსებული ლიტერატურის მუზეუმის ეგიდით. რაც შეეხება სტომატოლოგთა ორგანიზაციის გაუგებარ ენთუზიაზმს: ისინი ამ პოლემიკაში ე.წ. სახელიანი ლიტერატორების პროვოცირებულები იყვნენ და სამწუხაროდ, მათ გამო უხერხულ მდგომარეობაში ჩაიყენეს თავი.

დასაფიქრებელია, რომ ელენე ბაქრაძე-ბერიშვილ-ქართველიშვილის, როგორც დაჩაგრული პოეტი ქალის, რეპუტაციის „გადასარჩენად" სოლიდურ გრანტებს გასცემენ არა მარტო რიგითი გენდერულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, არამედ თვით ჰაინრიხ ბიოლის ფონდიც, ვისი ეგიდითაც მომზადდა და ქალაქ ჰამბურგის ბიბლიოთეკაში გაიმართა გამოფენა „100 ქალი, რომლებმაც შეცვალეს საქართველო". ამ ქალბატონთა შორისაა ელენე ბაქრაძეც, ემანსიპირებული პოეტი ქალი, დაჩაგრული იმიჯით, რამეთუ მისი ლექსები სხვამ (პაოლო იაშვილმა) მიისაკუთრა (აქ მართლაც ზედმეტია კომენტარი!).

2018 წელს, გერმანიაში, პოპულარული გაზეთის „ფრანკფურტერ ალგემაინე ცაიტუნგ"-ის 28 აპრილის ნომერში, მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურული პროცესებისადმი მიძღვნილი პუბლიკაცია გამოქვეყნდა (ავტორი ლაშა ბაქრაძე). ეს თავისთავად სასიამოვნო ფაქტი, უცხოური პრესის ფურცლებზე „ცისფერყანწელთა ორდენის" გახსენება, სათანადო ილუსტრაციებით, დაიჩრდილა, დარიანული ლექსების ავტორად ელენე ბაქრაძის გამოცხადებით. იქვე, ხაზგასმულად, თითქოს იგი „ყანწელთა" შემოქმედების მთავარი ფიგურანტი იყოს, გამოქვეყნდა ამ ქალბატონის სოლიდური ზომის პორტრეტიც. ამავე წერილში გამოითქვა ლიტმცოდნეობას სრულიად აცდენილი მოსაზრებაც, რომ „ელენე დარიანის დღიურები" შესაძლოა ორ ავტორს ერთდროულად ეკუთვნოდეს. ჩვენი წარმოდგენით, ლიტერატურის ისტორიას არ ახსოვს ასეთი რეციდივი, რომ ღირებულ პოეტურ ტექსტს, კერძოდ ლექსს, ორი ავტორი შეხმატკბილებულად, ორი კალმით წერდეს. სხვა საკითხია ნაწარმოების რედაქტირება. შთაბეჭდილება რჩება, რომ ეს პუბლიკაცია, უპირველესად ელენე დარიანის მითის უკვე საერთაშორისო დონეზე რეალიზებისთვის იყო შექმნილი (გაზ. Frankfurter Allgemeine Zeitung, 28.04.2018. „Georgische Künstlergruppe: Die blaue Hörner").

პარალელურად ნამდვილ დოკუმენტს მივუბრუნდეთ – ვერშემდგარი პოეტი ქალის ლექსების ხელნაწერებს. ერთ-ერთი ლექსი 1934 წელსაა დაწერილი, რაც იმასაც ნიშნავს, რომ ავტორს უკვე ვრცელი შემოქმედებითი გზა აქვს გავლილი იმ 1915 წლიდან, როცა თავისი პირველი ნაწარმოები გამოაქვეყნა. წესით, ლექსის ვერსიფიკაცია, მხატვრული მხარე თუ მთავარი სათქმელი უკვე ბევრად დახვეწილი უნდა იყოს. ყურადღებას ნუ მივაქცევთ იმას, რომ არსებული დროების გათვალისწინებით, იდეოლოგიური ფრაზებია შეტანილი. ამ მიზეზით ხომ არაერთი პოეტი ცდუნდა. ჩვენ მხოლოდ დარიანული ციკლის ავტორთან, პაოლო იაშვილთან პრეტენზიის მქონე „ლექსების მწერლის" ქმნილება, მისი ოსტატობა გვაინტერესებს.

ჩვენს წინაშეა, 1934 წლით დათარიღებული, ელენე ბაქრაძის ლექსის ხელნაწერი, რომელიც დაცული გახლდათ გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმში, ელენე ბაქრაძე-ბერიშვილ-ქართველიშვილის არქივში.

„ყვავილები დახუთულნი სუნთქავდნენ,
გრილი გულით მტკვარი მოდუდუნებდა,
მთელ ქვეყანას ურეობით ურტყამდა
ისტორიის დღეთა დაგუგუნება.

მე დავცქერი საფლავს სულით ეული,
პოეტი კი ძირს დაეშვა გოდებად
და მერანი მისგან გაქარებული,
ტორებსა სცემს კლდეთ ამართულ გონებას.“

ეს ლექსი არ გამოქვეყნებულა. ჩვენი აზრით, გამოქვეყნდა ელენე ბაქრაძის მხოლოდ ის ლექსები (მაგალითად, „თავადო დორიან“), რომელიც პაოლო იაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის ან სხვა რომელიმე ოსტატის მიერ იყო არა მხოლოდ სათანადოდ რედაქტირებული, არამედ საფუძვლიანად გადაკეთებული, რასაც ზემოთ მოყვანილი ლექსის ავტორი „შლიფოვკას“ უწოდებს. საარქივო ჩანაწერებიდან ჩანს, რომ ელენე ბაქრაძე ამგვარი დამხმარეების მიმართ განსაკუთრებულ მზრუნველობას და ყურადღებას იჩენდა („ელიკოს 20 წელია ვუყვარვარ“, – ჩაუწერია ქალის მზრუნველობით გულაჩუყებულ გალაკტიონ ტაბიძეს).

დასასრულს საბოლოო შედეგზე:

დარიანული ლექსების შესახებ წლების მანძილზე არსებულ დაუსრულებელ დისკუსიაში ისე, როგორც ზოგადად ყველა მოვლენაში, შესაძლებელია პოზიტიური მომენტიც დავინახოთ: მრავალი ლიტერატორი, ლიტერატურის მოყვარული თუ არმოყვარული, ჩაერთო მეოცე საუკუნის დასაწყისის ლიტერატურული პროცესების და პერსონალიების, მათთვის ნაცნობი თუ უცნობი პოეტების, დეტალურად კი პაოლო იაშვილის შემოქმედების განხილვაში. რა თქმა უნდა, ნამდვილი ინტერესების პარალელურად, გამოიკვეთა მავანთა ინტერესებიც: ლიტერატურის კომერციალიზაცია და პოლიტიზებაც. ყველამ სათანადოდ წარმოაჩინა თავისი პლატფორმა ისე, რომ თითქმის აღარაფერი, აღარავის დონე, შესაძლებლობა თუ მოტივაცია დარჩა გასარკვევი და აუხსნელი... „ცისფერყანწელები“ საკუთარ თავს სიმბოლისტებს უწოდებდნენ. სიმბოლისტების გაცხადებული მისიაც ხომ ეს იყო: მედიუმად ექციათ პოეტი...

...და რაც მთავარია, საზოგადოება ახალი ინტერესით მიუბრუნდა პაოლო იაშვილის დატოვებულ მემკვიდრეობას, მისი რაინდული ცხოვრების გზას და ტრაგიკულ აღსასრულს. დღევანდელმა, მრავალი ემპირიული საზრუნავით დათრგუნულმა საზოგადოებამ, პაოლო იაშვილისადმი და მისი სახით, ზოგადად პოეტისადმი, ნამდვილი თანაგრძნობა გამოხატა, ზოგჯერ მისივე სიტყვების ციტირებითაც. მაგალითად: „დღეს საქართველო მე ვეღარ ვცანი“; ან „საქართველოში არ იწამეს ჩემი დენდობა“...

ნინო ხოფერია

დარიანული ციკლის დექსები, პაოლო იაშვილის ხელნაწერები.

პაოლო იაშვილის ბიოგრაფია თარიღებში

1892 წლის 2 აგვისტოს ქუთაისის გუბერნიაში, შორაპნის მაზრის სოფ. არგვეთში (დღევანდელი საჩხერის რაიონი), ჯიბრაილ იაშვილისა და ბაბილინა მდივანის ოჯახში დაიბადა პავლე (პაოლო) იაშვილი. იმ პერიოდში მათ კიდევ შვიდი შვილი ჰყავდათ.

1900 წლის პირველ ოქტომბერს რვა წლის პავლე იაშვილი ქუთაისის გიმნაზიაში მიაბარეს.

1905-1906 წლებში გიმნაზიის საკლასო ჟურნალში ასეთი წარწერა გაჩნდა: „პავლე იაშვილი, მესამე კლასის მოსწავლე“.

1909 წლის საზეიმო ლიტერატურულ საღამოზე, რომელიც აკაკი წერეთლის საპატივცემულოდ იყო გამართული, ყმაწვილმა პავლე იაშვილმა პატარა კახის როლი თეატრალურად განასახიერა და მოწვეული მგოსნის და დამსწრე საზოგადოების ყურადღება მიიპყრო.

1911 წელს, სხვადასხვა დროს ანტისამთავრობო დემონსტრაციებში მონაწილეობისთვის პ. იაშვილი გიმნაზიიდან გარიცხვის კანდიდატთა შორის ჩაწერეს. იძულებული გახდა ქუთაისი დაეტოვებინა და ანაპის შეპეტოვოს კერძო გიმნაზიაში გადასულიყო.

1911 წელს სტუდენტურ გაზეთში პირველად გამოაქვეყნა თავისი ლექსი.

1912 წელს, სხვადასხვა თაობის მწერლებთან ერთად, დაიწყო ჟურნალ „ოქროს ვერძის“ გამოცემაზე მუშაობა.

1913 წლის 1 მაისს გამოვიდა „ოქროს ვერძის“ პირველი ნომერი. ჟურნალმა ძალიან ცოტა ხანს, მხოლოდ ივლისამდე იარსება.

1913 წელს პაოლო იაშვილი პარიზში გაემგზავრა ლუვრის ხელოვნების სასწავლებელში აკადემიური ხატვის დაუფლებისთვის, მაგრამ ეს მიზანი ბოლომდე ვერ განახორციელა. იმდროინდელი პარიზის კოლორიტულ ყოფაში, ტიპიურ ბოჰემურ ცხოვრებაში ჩაერთო. მალე პირველმა მსოფლიო ომმაც მოუსწრო და საქართველოში დაბრუნდა.

1915 წელს აკაკი წერეთლის გარდაცვალებას მთელი საქართველო გლოვობდა. პაოლო იაშვილი აკაკის დამკრძალავი კომიტეტის აქტიური წევრი იყო.

1915 წელს ჩამოყალიბდა „ცისფერყანწელთა ორდენი“. ამავე წელს პაოლო იაშვილმა, ქუთაისის თეატრში საჯაროდ წაიკითხა ლექსები დარიანული ციკლიდან, რამაც საზოგადოების ზედმეტად კონსერვატიულ ნაწილში, უფრო მეტად კი ფილისტერებში, დიდი აღშფოთება გამოიწვია.

1916 წლის 28 თებერვალს ქუთაისში გამოვიდა ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ პირველი ნომერი. იმავე წლის დეკემბერში ჟურნალის მეორე ნომერი გამოვიდა.

1918 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში, „ცისფერყანწელები“ ქუთაისიდან თბილისში გადავიდნენ და პირველი ლიტერატურული საღამო კონსერვატორიის დიდ დარბაზში ჩაატარეს.

1918 წელს პაოლო იარაღასხმული, მოხალისედ, საომრად წავიდა ბათუმში. მას სამხედრო კონსულტაციებს უწევდა დავით კლდიაშვილი.

1921 წელს, თებერვლის ბოლო რიცხვებში, როცა დამარცხებულმა საქართველოს მთავრობამ და ჯარმა თბილისი მიატოვა, პაოლო იაშვილმა, გენერალ გიორგი მაზნიაშვილის თხოვნით და კონსულტაციებით, ჩამოაყალიბა შეიარაღებულ ცხენოსანთა რაზმი, რათა პანიკისა და მოროდიორობისგან დაეცვა ქალაქი.

1921 წელს საქართველოს მწერალთა კავშირი გაიყო ორად. პაოლომ თავის მეგობრებთან ერთად დააარსა „ახალი მწერლების კავშირი“.

1921 წლის 1 სექტემბერს პაოლო იაშვილმა ცოლად შეირთო ცნობილი ქართველი მოღვაწის, ილია ოქრომჭედლიშვილის ქალიშვილი თამარ ოქრომჭედლიშვილი-სერებრიაკოვა.

1923 წელს მწერალთა ახალი და ძველი კავშირი გაერთიანდა. პაოლო იაშვილი აირჩიეს გაერთიანებულ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრად.

1922 წელს ხელოვანთა სასახლეში (მაჩაბლის 13) შეიქმნა პოეზიის აკადემია, სადაც ლექციებს კითხულობდნენ: პაოლო იაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ტიციან ტაბიძე, პავლე ინგოროყვა და სხვ.

1924 წელს, პირველ მაისს, დაიბადა პოეტის ქალიშვილი მედეა იაშვილი.

1924 წლის სისხლიანი რეპრესიების პერიოდში, შორაპანში, მატარებელში ჩაცხრილეს პაოლოს ოცი წლის ძმა ჭუნია (ვასილი).

1927 წელს პაოლო იაშვილი აირჩიეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრობის კანდიდატად და თბილისის საბჭოს წევრად, ხოლო შემდგომ საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად.

1936 წელს მოსკოვში, კრემლში, პაოლო იაშვილი (მიხეილ ჯავახიშვილთან, გალაკტიონ ტაბიძესთან და ალიო მაშაშვილთან ერთად) დაჯილდოვეს შრომის წითელი ორდენით. იმ დღეებში ჯიბო იაშვილი ცუდმა წინათგრძნობამ შეიპყრო: „შვილო, პაოლო, ნამეტანი ხმაურობ და მეშინია, შენი ხმაური ცუდად არ დამთავრდეს...“

1937 წლის 15 მაისს საქართველოს კომპარტიის მე-10 ყრილობაზე ლ. ბერიამ მკაცრად გააკრიტიკა პაოლო იაშვილი, რის შემდეგაც სამთავრობო ტრიბუნებიდან და საქართველოს საბჭოთა მწერალთა პრეზიდიუმის სხდომებიდან მისი დადანაშაულება დაიწყო, „იდეური სიფხიზლის“ არქონის და „ხალხის მტრებთან“ თანამზრახველობის ბრალდებით.

1937 წლის 21 ივლისს ლავრენტი ბერიამ პ. იაშვილი დაიბარა კაბინეტში. დაკითხვა მიმდინარეობდა ღამის ორ საათამდე.

1937 წლის 22 ივლისს, მწერალთა კავშირის სხდომის მსვლელობის დროს, პაოლო იაშვილმა სასახლის მეორე სართულზე სანადირო თოფით თავი მოიკლა. თვითმკვლელობიდან მეორე დღეს პაოლო იაშვილი, ოჯახის წევრების თანდასწრებით, დაიკრძალა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

1954 წელს, ქართველ მწერალთა მეოთხე ყრილობაზე, სამშობლოს მოღალატედ შერაცხული პაოლო იაშვილის რეაბილიტაცია გამოცხადდა.

1955 წელს გამოვიდა პაოლო იაშვილის თხზულებათა პირველი წიგნი, რომელიც შეადგინა შალვა დემეტრაძემ. რედაქტორი ირაკლი აბაშიძე.

1957 წელს პაოლოს ნეშტი პეტრე-პავლეს სასაფლაოდან დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გადაასვენეს.

2010 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ პაოლო იაშვილს თვითმკვლელობის ცოდვა შეუნდო, საფლავი აკურთხა და პანაშვიდი გადაუხადა.

ბიბლიოგრაფია, წყაროები:

იაშვილი პაოლო. *პირველთქმა (მანიფესტი).* ჟურნ. „ცისფერი ყანწები“. ქუთაისი, 1916, № 1.

გაფრინდაშვილი ვალერიან. *შენიშვნები ლირიკაზე.* ლექსები, პოემა, თარგმანები, ესეები, წერილები მწერლის არქივიდან. თბილისი, „მერანი“, 1990.

გაფრინდაშვილი ვალერიან. *დეკლარაცია (ახალი მითოლოგია).* ჟურნ. „მეოცნებე ნიამორები“. თბილისი, 1922, № 7.

აფხაიძე შალვა. *ქართული პოეზიის პერსპექტივები.* ჟურნ. „მეოცნებე ნიამორები“. თბილისი, 1919, № 1.

ტაბიძე ტიციან. *ცისფერი ყანწებით.* ჟურნ. „ცისფერი ყანწები“. ქუთაისი, 1916, № 1.

გუდიაშვილი ლადო. *მოგონებების წიგნი.* თბილისი, „ნაკადული“, 1979.

ავალიანი ლალი. *ქართული მოდერნიზმის იძულებითი დასასრული.* ქართული მოდერნიზმის ტოპოლოგია. „მერიდიანი“, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. თბილისი, 2016.

ჩორგოლაშვილი მამია. *თითქოს აქ ვიყო დაბადებული.* თბილისი, „ნაკადული“, 1990.

ქიმერიონი რუსთაველის თეატრში. თბილისი, რუსთაველის ეროვნული თეატრი, 2022.

რობაქიძე გრიგოლ. *ფალესტრა.* ჟურნ. „ქართული მწერლობა“, თბილისი, 1928, № 4.

გაზ. „Борьба“, 30 დეკემბერი, 1919, № 298.

იაშვილი პაოლო. *სრულიად საქართველოს მწერალთა მეორე ყრილობა, მეორე სხდომა.* ჟურნ. „ქართული მწერლობა“, თბილისი, 1928, № 4.

რობაქიძე გრიგოლ. *Грузинский модернизм.* გრიგოლ რობაქიძე, წიგნი III, პუბლიცისტიკა. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, თბილისი, 2012.

მაგაროტო ლუიჯი. *პირველი სიყვარული.* ლიტერატურული საუბრები, ნინო ხოფერია. თბილისი, „უნივერსალი“, 2004.

Терентьев Игорь. *Трактат о сплошном неприличии.* Тифлис, 1920.

Белый Андрей. *Символизм как миропонимание.* Москва, издательство „Республика“, 1994.

Блок Александр. *Очерки , статьи и речи, из дневников и записных книжек письма.* Москва, государственное издательство художественной литературы, 1955.

გაფრინდაშვილი ვალერიან. *დავით გურამიშვილი.* „მეოცნებე ნიამორები“, წიგნი მეოთხე. თბილისი, 1920.

ჟურნ. „ცისფერი ყანწები“. ქუთაისი, 1916, № 2.

იაშვილი პაოლო. *ფერადი ბუშტები.* „მნათობი“, 1924, № 3.

L'avanguardia a Tiflis, Arti Grafiche Scala, Venezia, 1982.

ცისფერყანწელები, მანიფესტები, პოეზია, პოეტური პროზა, ესეები. თბილისი, გამომცემლობა „პალიტრა L“, 2018 წ.

საუბარი მელიტა ჩოლოყაშვილთან. რეზო თაბუკაშვილი. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, თბილისი, 2013 წ.

ჟურნ. „H_2SO_4“. 1924, № 1-2.

იაშვილი პაოლო. *პოეტი საქართველოში.* „ბახტრიონი“, 1922, № 1.

იაშვილი პაოლო. *ყანწები 1942 წელში*. „ბარრიკადი“, 1922, № 5.

იაშვილი პაოლო. *ვეფხის ტყაოსანი და კონსტანტინე ბალმონტი*. „თემი“, 1913, № 114.

იაშვილი პაოლო. *ბალმონტი ჩვენ შორის*. „სამშობლო“, 1915, № 187.

იაშვილი პაოლო. *იაკობ ნიკოლაძე*. „ბახტრიონი“, 1923, № 22.

იაშვილი პაოლო. *კარმელი – მართალი*. „რუბიკონი“, 1923, № 3.

იაშვილი პაოლო. ქართული სალიტერატურო ენის დაცვისათვის. პაოლო იაშვილის სიტყვა მწერალთა კავშირში (სტენოგრაფიული ჩანაწერი), 29 აპრილი, 1934 წ. პაოლო იაშვილი, საიუბილეო საარქივო გამოცემა ორ წიგნად. წიგნი პირველი. თბილისი, „ლიტერატურის მატიანე“, 2002.

ა. პუშკინი. *ლექსები და პოემები*. თარგმანი პავლე იაშვილისა. ტფილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1936.

მოგონებები პაოლოზე: ნადირაძე კოლაუ, კლდიაშვილი სერგო, ქიქოძე გერონტი, აფხაიძე შალვა, ლეონიძე გიორგი, მაყაშვილი მარო, ტაბიძე ნინო, გაწერელია აკაკი, ასათიანი გურამ, ჯაფარიძე ლადო, თოიძე ალექსანდრა (შურა), დემეტრაძე შალვა, აბაშიძე ირაკლი, ჩიქოვანი სიმონ, რობაქიძე გრიგოლ, ოქრომჭედლიშვილი-სერებრიაკოვა თამარ. პაოლო იაშვილი. საიუბილეო საარქივო გამოცემა ორ წიგნად. წიგნი მეორე. თბილისი, „ლიტერატურის მატიანე“, 2002.

ჯავახიშვილი ქეთევან. მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება. თბილისი, მერანი, 1991.

Пастернак Борис. *Люди и положения* (Автобиографический очерк). Журн. „НОВЫЙ МИР“. Москва, издательство „известия советов депутатов трудящихся СССР“, 1967 г.

Белый, Андрей. *Ветер с Кавказа (впечатления)*. Издательство „Федерация“ артель писателей „Круг“, Москва, 1928 г.

ჯიქია მარინა. სხვა დროში იცხოვრა (მოგონებები მარინა ჯიქიაზე). თბილისი, „სეზანი“, 2023.

პაოლო იაშვილი. ლექსები, პოემა, თარგმანები. თბილისი, „სახელგამი“, 1955.

ჩვენი მზიური პაოლო. თბილისი, „მერანი“, 1995.

გამოყენებულია საქართველოს ეროვნული არქივის, ქუთაისის ცენტრალური არქივის, საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის, რუსთაველის ეროვნული თეატრის მუზეუმის, პაოლო იაშვილის ოჯახის, სხვადასხვა კერძო კოლექციებიდან მიღებული ფოტომასალა.

21-ე და 26-ე გვერდებზე ფოტოები „ქიმერიონიდან“ გადაღებულია ბატონ მირიან კილაძის მიერ.

Summary

The collection "Paolo Iashvili:The Book of His Life and Work", together with the accompanying depictions of the epoch, expresses all of the following: the poet's artistry and the drama of hisexistence;His inner strength and the insecurity of his own times.As far as possible, the cause-and-effect connections are narrated, due to which the declared ideal of 'Tsisferkantseli' (member of the 'Blue Horns' literary group): "The poet should turn his autobiography into a tale" – wasleft tragically unfulfilled.

The book presents a selection of Paolo Iashvili's works, memories of his contemporaries, rare documents preserved in state or private archives, accompanied by comments.The collection also contains an overview of the literary processes and artistic environment of Tbilisi at the beginning of the twentieth century, under the title "Modernist Tbilisi".

The visual part of the collection includes, together with archival photographs and manuscripts, depictions of memorial sites and items in Kutaisi and Tbilisi photographed specifically for this publication, such as: the poet's father Jibo Iashvili's house in Kutaisi, with rare relics.Also, the house-museum in the village of Argveti as well as the exhibits of the temporary exposition dedicated to Paolo Iashvili opened in the Writers' House in Tbilisi.Some of the materials are published here for the first time and partially fill in the gaps in the heritage that survived the repressions, and restore somemissingpieces of the poet's biography.

Paolo Iashvili, the author of the creative declaration of "Tsisferkantseli", called the members of his literary order "actors of renewal". This statement simultaneously meant a wide palette of modernist currents and a universal experience of tradition. Conscious or subconscious loyalty to the values of the past is the main feature of Paolo Iashvili's portrait, as well as national self-respect. The last one, we think, was revealed in the tragic end of this talented person - suicide to protect his honor.

We tried to holistically present the specific times that played such a momentous role in how the life and creative work of Paolo Iashvili unfolded.

შინაარსი

ანოტაცია....3
მოდერნისტული ტფილისი....5
ლექსები
ავტოპორტრეტი....56
ლანდი სიცივეში....57
სონეტი ელლის....57
სონეტი ვალერიან გაფრინდაშვილს....58
ღამე კუბოში....59
სევდიანი ზურმუხტი....60
წითელი ხარი....61
ფარშავანგები ქალაქში....62
იქითური....64
წერილი დედას....65
ტრიპტიხი (მალარმე, ვერლენ, ვერჰარნ)....66
მდუმარე ვედრება....68
სონეტი (კოკაინის ბუში)....69
დაცემულ ბათომს....70
ღარიბი ვერლენი (კოლაუ ნადირაძეს)....72
ოფელიას ორდენის კავალერს....73
ალი არსენიშვილს....74
პოემა ჩემი რამოდენიმეთ გადარევისა....76
ნიკო ლორთქიფანიძეს....78
ტიციან ტაბიძეს....79
გიორგი ლეონიძეს....80
არტურ რემბო....81
პოეტი და ადამიანი....82
ლილი მეუნარგიას....84
პავლე ინგოროყვას....85
გრიგოლ რობაქიძეს....86
ევროპა....88
დატრიალება....90
ოვანეს თუმანიანი....91
გრიგოლ რობაქიძეს....92
URBI....93
ტანიტ ტაბიძე....94
არგვეთის ღამეები....96
მელორის ლოცვა....98
პოეზია....100
ქუთაისის ხანძარი....102
პოეზიის ინჟინრებს....104
მაგიდა – ჩემი პარნასი....106
კოლაუ ნადირაძეს....108
როგორც აფრის ტკაცუნი....110
ლექსებიდან: „ლირიული მისამართები"....112
აფთიაკარი....114
სამასი არგვეთელი....116
მწვერვალებიდან....122

ექსპრომტები
სამეგრელოს ასულს....124
უეცარი ლექსი – პოლონეთს....125
ოფორტი (დავით კლდიაშვილს)....126
ექსპრომტი ს. ჩიქოვანს (ქართველ ფუტურისტებს)....126
ეთიმ გურჯს....127
გამოთხოვება შემოდგომამდე....128
ტანიტ ტაბიძეს....129
მარიკუნია აღნიაშვილს....129

დარიანული ლექსები
ძახილი....132
ჩემი თავადი....133
ზამთარში....134
უვერტიურა....135
უკანასკნელი მოვიხსენი ტანსაფარავი....136
პირამიდებში....137
ფერადი სონეტი....138
მე და კატა....139
ყოველთვის მაისში....140
ელენე დარიანი წერს უბრალოდ და აბნეულად....141
ცისფერი ქოლგა....142
წერილი ანნა ახმატოვას....143
დარიანული....144
პარიზისკენ....145

პროზა, ფერილები, სიტყვები
ფერადი ბუშტები....148
პირველთქმა....162
პოეტი საქართველოში....174
ყანწელები 1942 წელში....176
„ვეფხის ტყაოსანი" და კონსტანტინე ბალმონტი....182
ბალმონტი ჩვენ შორის....184
იაკობ ნიკოლაძე (იუბილესთვის)....186
კარმელი – მართალი....187
ქუთაისში (შალვა კარმელის დასაფლავება)....188
ნიკო ფიროსმანიშვილი....194
ქართული სალიტერატურო ენის დაცვისათვის....199

თარგმანები
ალექსანდრ პუშკინი
საქართველოს მთებზე....205
ზღვისადმი....206
ღრუბელი....208
დავეხეტები ქუჩის ხმაურში....209
კავკასიონი....210
ნუ იმღერ ჩემთან ლამაზო ქალო....211
ძეგლი....212
მე თქვენ მიყვარდით: და ვინ იცის ეს გრძნობა დიდი....213

ვლადიმერ მაიაკოვსკი
პოეტებისთვის....214
საუბარი ფინინსპექტორთან პოეზიის შესახებ....220

კონსტანტინ ბალმონტი
ორი ფრინველი (ალი სამყაროსი)....226
ყოფნის ანდერძი....227
საქართველო....228

ვაგიფი
წეროები....230

შარლ ბოდლერი
საღამოს ჰარმონია....231

არტურ რემბო
მთვრალი ხომალდი....232
SENSATION....235

მოგონებები პაოლოზე...
პაოლო ჩემი! – კოლაუ ნადირაძე....238
დებედაჩაის ღამე – კოლაუ ნადირაძე....240
ლექსები იყო მათი საგზალი – სერგო კლდიაშვილი....246
პაოლო იაშვილი – გერონტი ქიქოძე....252

მელიტა ჩოლოყაშვილის მოგონება....256
პაოლო იაშვილი – შალვა აფხაიძე....258
ჩვენი მზიური პაოლო – გიორგი ლეონიძე....286
მარო მაყაშვილის დღიურიდან....292
ჩვენი აკთანდილი – ნინო ტაბიძე....296
Три Тени – ბორის პასტერნაკი....312
Ветер с Кавказа – ანდრეი ბელი....316
რამდენიმე სიტყვა პაოლო იაშვილზე – აკაკი გაწერელია....320
პაოლო იაშვილი – გურამ ასათიანი....324
პაოლოს მოგონებისთვის – ლადო ჯაფარიძე....338
მოგონება – ლადო გუდიაშვილი....340
პაოლო! – ალექსანდრა (შურა) თოიძე....342
მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება – ქეთევან ჯავახიშვილი....344
ეს ერთადერთი გამოსავალი იყო – მედეა იაშვილი....347
არგვეთელთა მოგონებები....352
მოგონება პაოლოზე – აკაკი ვასაძე....366
იმპროვიზაციის ჯადოქარი – პაოლო იაშვილი – შალვა დემეტრაძე....368
ზარები ოცდაათიანი წლებიდან – ირაკლი აბაშიძე....374
ჩანაწერები პაოლო იაშვილზე – სიმონ ჩიქოვანი....386
გრ. რობაქიძის წერილიდან „სათავენი შემოქმედებისა“....395
1924 წელი – თამარ იაშვილი....400
პაოლო იაშვილი 1921 წლის 24 და 25 თებერვლის დღეებში (მოგონებები მცირე კომენტარებით)....402
1921 წელს – თამარ ოქრომჭედლიშვილი-სერებრიაკოვა....408
ბორის პასტერნაკი თამარ იაშვილს....410
მწვერვალი „პაოლო იაშვილი“....411
იუნკერ კოლია (ნიკოლოზ) დგებუაძის წერილი დედას....412

„ცისფერყანწელთა“ ლექსები პაოლოს
პაოლო იაშვილს – გრიგოლ რობაქიძე....416
პაოლო იაშვილს – ტიციან ტაბიძე....417
გრიგოლ რობაქიძეს, პაოლო იაშვილს – ნიკოლო მიწიშვილი....418
პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე – ვალერიან გაფრინდაშვილი....419

პაოლო იაშვილის პირადი მიმოწერა....420

ხელნაწერები კომენტარებით
სერგო კლდიაშვილის ჩანაწერები....431
საბედისწერო დღის ქრონიკა....436
პაოლო იაშვილი დამფუძნებელი კრების არჩევნებში....440
პაოლო იაშვილი – ეკატერინე გაბაშვილს....444
პაოლო იაშვილი და ვლადიმერ ჯიქიას საქმე....447
პლატონ კეშელავას განმარტება (1938 წ.)....458
იმედის ფანჯარა....460
„ყველაზე იმედიანია პაოლო“....462

დოკუმენტები პაოლო იაშვილის ხელმოწერით
ქართული კულტურის დასაცავად....466
პაოლო იაშვილის სამუზეუმო ინტერესები....472

ფრაგმენტები მწერალთა სხდომის დოკუმენტური ქრონიკიდან....478

პაოლო იაშვილის პორტრეტების ისტორიიდან
კირილ ზდანევიჩის ორად გაყოფილი ტილო....486
ილია მაშკოვის „პოეტის პორტრეტი“....489

ახალი და უჩვეულო შედეგებისთვის – ლუიჯი მაგაროტო....496

კავკასიური სახლის კონფერენციის მასალებიდან
უჩინარი დედნის აწკრედი – ლევან ბრეგაძე....500
თუ ავტორი ხარ... – ლევან ბრეგაძე....508
პაოლო იაშვილის დარიანული ნაქარაგმევი – ნინო დარბაისელი....512
პალო იაშვილის ლიტერატურული მისტიფიკაციის წინაპირობები და საბოლოო შედეგები – ნინო ხოფერია....522
პაოლო იაშვილის ბიოგრაფია თარიღებში....534
ბიბლიოგრაფია, წყაროები....536
Summary....538

მადლობას ვუხდით:

საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმს
საქართველოს ეროვნულ არქივს
რუსთაველის ეროვნული თეატრის მუზეუმს
მწერალთა სახლს
პაოლო იაშვილის სახლ-მუზეუმს სოფ. არგვეთში
იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმს
პაოლო იაშვილის ოჯახს
სერგო კლდიაშვილის ოჯახს
ქალბატონ ნანა ჯიქიას
ქალბატონ მანანა გედევანიშვილს
ბატონ მერაბ კვიცარიძეს
ბატონ მირიან კილაძეს
ბატონ ლევან ბრეგაძეს

UDC (უაკ) 821.353.1(092 იაშვილი პ.) 821.353.1.09
ხ-09

წიგნი გამოიცა საქართველოს კულტურის, სპორტისა
და ახალგაზდრობის სამინისტროს ხელშეწობით

საქართველოს
კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის
სამინისტრო

მადლობას ვუხდით ევროპულ ფონდ HORIZON-ს ფინანსური დახმარებისთვის
Our deep gratitude for financial support to the European Foundation HORIZON

STICHTING
HORIZON

იდეის ავტორი ნაირა გელაშვილი

შემდგენელი და რედაქტორი ნინო ხოფერია

ფოტოგრაფი, დიზაინერი, დამკაბადონებელი ზვიად მიქელაძე

გამომცემლობის რედაქტორი მარიკა ტყეშელაშვილი

© „კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი – კავკასიური სახლი“

ISBN 978-9941-9756-2-2